დ. გვრიტიშვილი, შ. მესხია

თბილისის ისტორია



საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო
სბავშვო ⁄ ახალგაზრდობის ლიტერატურის
სახელმწიფო გამომცემლობა
19 თბილისი 52

ავტორებისაგან

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს მოკლედ გადმოსცეს ჩვენი დედაქალაქის წარსული, მისი დაარსების დროიდან ვიდრე XIX საუკუნის დამდეგამდე.

ქალაქ თბილისის შესახებ მრავალი დაწერილა. მაგრამ ამ ნაშრომთა უმეტესობა ამჟამად ან დღევანდელ მოთხოვნილებებს არ აკმაყოფილებს, ან ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს. ჩვენი დედაქალაქის წარსულით კი დაინტერესებულია საბჭოთა საქართველოს ყოველი მშრომელი და ამიტომაც ასეთ წიგნზე მოთხოვნილება მეტად დიდია.

ავტორები არ დაკმაყოფილებულან თბილისის მარტოოდენ პოლიტიკური ისტორიის მოთხრობით (რაც ახასიათებს თბილისის შესახებ დაწერილი მონოგრაფიების თუ წერილების უმეტესობას), და შეეცადნენ ქალაქის ეკონომიური, სოციალური და კულტურული ვითარების სურათიც წარმოედგინათ. ასევე ნაშრომში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა საქალაქო ცხოვრებასა და წესწყობილებას. ამ საკითხების შესასწავლად გამოყენებული იყო, ლიტერატურისა და ნაბეჭდი წყაროების გარდა, საარქივო მასალებიც, რომელნიც, რაკი ნაშრომი სამეცნიერო აპარატის გარეშე იბეჭდება, გზადაგზა დასახელებული არაა.

ნაშრომში ზოგი საკითხი პირველად არის წამოჭრილი, ზოგი კი ახლებურად არის გადაწყვეტილი. ავტორთა მოსაზრებანი, ამგვარ შემთხვევაში, სხვადასხვა სახის საბუთებზეა დამყარებული, რომელთაც პოპულარულ ნარკვევში ადგილს ვეღარ დაუთმობდნენ. ნაშრომის დანიშნულება და განსაზღვრული მოცულობა ავტორებს აიძულებდა

ზოგი საკითხისათვის სავსებით აველოთ გვერდი, ზოგი კი მოკლედ გადმოეცათ. ამიტომ ნაშრომს სისრულის პრეტენზია, ცხადია, ვერ ექნება.

ამას გარდა, ავტორები კარგად გრძნობენ, რომ მათი პირველი ცდა—მიმოიხილონ ჩვენი დედაქალაქის წარსულის უოველი მხარე—უნაკლო არ იქნება. მაგრამ, ერთი ძველი მოდვაწის თქმისა არ იუოს, იმდენად ძლიერი იუო „ძალი სიუვარულისა“ ჩვენს მიერ აღებული თემისადმი, რომ მან გაგვაბედინა ნაშრომის ამგვარი სახითაც მიწოდება ფართო მკითხველებისადმი. ავტორები სიამოვნებით მიიღებენ. უოველგვარ საქმიან შენიშვნას და შესაძლებელ შემთხვევაში ეცდებიან. მათ გამოსწორებას.

წინამდებარე ნაშრომის I, III, IV, V, VII, თავები და II თავის 1—4 ქვეთავი დაწერილია შოთა მესხიის მიერ; ხოლო შესავალი, VI თავი და II თავის 5—10 ქვეთავი დავით გვრიტიშვილის მიერ.

შესავალი

ქალაქი თბილისი მსოფლიოს ქალაქთა შორის ერთ-ერთი უძველესი და ულამაზესთაგანია. თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ქალაქმა არა ერთხელ იცვალა სახე. ჟამთა სიავისა და ძნელბედობის დროს, მტერთა უამრავი ურდოების შემოსევებისას, ქალაქი ინგრეოდა და ნადგურდებოდა; ხოლო როცა ქართველი ხალხი მტერს განდევნიდა საკუთარი მიწა-წყლიდან, გამარჯვებას ზეიმობდა თბილისიც. თბილისის პოლიტიკური თავგადასავალი მჭიდროდაა დაკავშირებული ქართველი ხალხის პოლიტიკურ თავგადასავალთან.

ქართველი ხალხის საამაყო შვილი, დიდი სტალინის უერთგულესი თანამებრძოლი ამხანაგი ლავრენტი ბერია აღნიშნავდა: „ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანმა ისტორიამ, — მძიმე გასაჭირსა და უბედურებასთან ერთად, როდესაც საქართველო ხანძრის ალში იყო გახვეული, განადგურებული და დამონავებული მრავალრიცხოვან მტერთა უამრავი ურდოების მიერ, — იცის აგრეთვე საკმაოდ ბევრი ბედნიერი და სასიხარულო დღე, როდესაც ხალხი განდევნიდა ხოლმე თავის მტრებს, როდესაც ძველი ქალაქი თბილისი — საქართველოს დედაქალაქი და გული—კვლავ აღორძინდებოდა ფერფლიდან და საყოველთაო სახალხო ზეიმი „მჩქეფარედ მოედებოდა საქართველოს მიწა-წყლის ხეობებსა და ჭალებს".

თბილისი ერთ-ერთი უდიდესი პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ცენტრი იყო წარსულში არა მარტო საქართველოსათვის, არამედ კავკასიისათვის და მთელი მახლობელი აღმოსავლეთისთვისაც. საუკუნეებში აქ იმართებოდა სავაჭრო შეხვედრები, სამხედრო აღლუმები, დიპლომატიური თათბირები, ლიტერატურული საღამოები, სამეცნიერო დისპუტები.

ქართული კულტურის მძლავრი ნაკადი აქედან მიედინებოდა ჩრდილოეთით თუ სამხრეთით, აღმოსავლეთით თუ დასავლეთით. ქართველი ხალხის ინდივიდუალობის ჩამოყალიბების საქმეში თბილისმა სრულიად განსაკუთრებული როლი შეასრულა. ამიტომ იყო, რომ ქართველი ხალხის თვალში თბილისი სხვა ქართულ ქალაქთა შორის სრულიად განსხვავებულად მოჩანდა, — იგი დედაქალაქი იყო. როცა გლეხი თბილისში მიდის, იგი ჩვეულებრივ ამბობს, „ქალაქში მივდივარ" და გასაგებიც არის—ქართველისათვის ქალაქი და თბილისი თანაბარი მნიშვნელობის ცნებებია.

მრავალ ქარიშხალგამოვლილი ჭალარა თბილისი XIX საუკუნის დამდეგს განვითარების ახალ ფაზაში შევიდა. საქართველო რუსეთის გუბერნიად გადაიქცა. რუსეთის ორბიტში მოექცნენ ამიერკავკასიის სხვადასხვა პოლიტიკური ერთეულები, — თბილისი ამიერკავკასიის ადმინისტრაციული ცენტრი გახდა.

სულ უფრო და უფრო ფართო ხასიათს იღებდა ქართველი ხალხის დაახლოება რუს ხალხთან. თბილისში მარტო ცარიზმის მოხელენი როდი მოდიოდნენ,

აქ არა იშვიათად გამოჩნდებოდნენ ხოლმე დიდი რუსი ხალხის საუკეთესო შვილები: პუშკინი, ლერმონტოვი, გრიბოედოვი, გორკი და სხვანი. მათ საქართველოში მოჰქონდათ ახალი აზრები, ახალი იდეები და ამ ახალი აზრებისა და იდეების გავრცელების კერა თბილისი ხდებოდა.

XIX საუკუნის დამლევს თბილისი ხდება რევოლუციური მოძრაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო ცენტრი. ამხანაგი ს ტ ა ლ ი ნ ი 1926 წელს წერდა: „მაგონდება. 1898 წელი, როცა პირველად ჩავიბარე რკინიგზის სახელოსნოების მუშათა წრეს. ეს იყო 28 წლის წინათ. მაგონდება, როგორ მივიღე პრაქტიკული მუშაობის პირველი გაკვეთილები ამხ. სტურუას ბინაზე ჯიბლაძის (მაშინ ისიც ერთ-ერთი ჩემი მასწავლებელი იყო), ჩოდრიშვილის, ჩხეიძის, ბოჭორიშვილის, ნინუას და თბილისის სხვა მოწინავე მუშების თანდასწრებით. ამ ამხანაგებთან შედარებით მაშინ მე ყმაწვილი კაცი ვიყავი. შესაძლოა მაშინ მე ცოტა უფრო ნაკითხი ვიყავი, ვიდრე ბევრი ამ ამხანაგთაგანი. მაგრამ, როგორც პრაქტიკული მუშაკი, მაშინ მე უთუოდ დამწყები ვიყავი. აქა, ამ ამხანაგების წრეში, მივიღე მე მაშინ ჩემი პირველი საბრძოლო რევოლუციური ნათლობა. აქ, ამ ამხანაგების წრეში, გავხდი მაშინ რევოლუციის შეგირდი. როგორც ხედავთ, ჩ ე მ ი პ ი რ ვ ე ლ ი მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ლ ე ბ ი თ ბ ი ლ ი ს ი ს მ უ შ ე ბ ი ი ყ ვ ნ ე ნ“.

დიდი სტალინი არა მარტო თვითონ სწავლობდა თბილისის მოწინავე მუშებისაგან, არამედ ასწავლიდა მათ — რაზმავდა და სკედდა ძალებს მომავალი გამარჯვებებისათვის: ქალაქ თბილისში მრავალი ისტორიული ადგილია დაკავშირებული მუშათა რევოლუციური მოძრაობის წარმოშობის წლებთან, ამხანაგ სტალინის მუშაობასთან, მის სახელთან...

სოლოლაკის მთისა და კოჯრის გზატკეცილის მიდამოებში ამხანაგი სტალინი ატარებდა მუშათა სოციალ-დემოკრატიული წრეების არალეგალურ კრებებს. ამ უბანში, გზატკეცილის დასაწყისში, ფერდობქვეშ დღესაც არის ორსართულიანი პატარა სახლი. ამ სახლში ამხანაგმა სტალინმა შექმნა არალეგალური ბოლშევიკური სტამბა და დაბეჭდა „ტიფლისკი პროლეტარი“. (გამოვიდა მხოლოდ 2 ნომერი 1910 წ. 5 იანვარს და 21 მარტს).

მნახველზე წარუშლელ შთაბეჭდილებას სტოვებს ავლაბრის რესტავრირებული არალეგალური ბოლშევიკური სტამბა. დიდი სტალინის მითითებით ამ პატარა ოროთახიანი სახლის ქვეშ, სარდაფში ბოლშევიკებს მოწყობილი ჰქონდათ ფარული სტამბა.

ახალგაზრდა სტალინი სათავეში უდგება თბილისის მუშათა წრეებს და მალე თბილისის მუშები სერიოზულ ძალად იქცევიან და ცარიზმის წინააღმდეგ აზკარა შეგნებულ ბრძოლას იწყებენ.

1898 წლის აგვისტოში ამხანაგი სტალინი შეეიდა „მესამე დასში“ („მესამე დასი“ იყო პირველი მარქსისტული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია). ამხანაგი სტალინის ინიციატივით ჩაისახა და ჩამოყალიბდა „მესამე დასის“ უმცირესობა — მარქსისტულ-ლენინური ჯგუფი, რომელიც რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ჩანასახი იყო საქართველოსა და ამიერკავკასიაში. ამხანაგი ლ. ბერია აღნიშნავს: „უმცირესობა (ამხანაგები: სტალინი, კეცხოველი, წულუკიძე) „მესამე დასის“ უმრავლესობასთან გადამჭრელ ბრძოლაში, აფართოებს რა თავის გავლენას მუშათა სოციალ-დემოკრატიულ წრეებში 1899—1900 წლებში, ახერხებს თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის გადაყვანას ვიწრო საწრეო პროპაგანდიდან მასობრივ აგიტაციაზე და პოლიტიკურ ბრძოლაზე თვითმპყრობელობის წი-

ნაალმდეგ". „მესამე დასი" უმცირესობამ შესძლო 1899 წელს მოეწყო პირველი მაისობა ქალაქგარეთ. ერთი წლის შემდეგ, 1900 წელს, მლაშე ტბის რაიონში, პირველმაისობახე 500-მდე თბილისელი მუშა გამოვიდა. მიტინგზე დიდი შთამაგონებელი სიტყვით გამოვიდა ამხანაგი სტალინი, რომელმაც მუშებს მოუწოდა ცარიზმისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ აშკარა პოლიტიკური ბრძოლისაკენ და ამავე მიტინგზე წამოაყენა წინადადება მომავალ, 1901 წელს, პირველმაისობა თვით ქალაქში მოეწყოთ. როგორც ცნობილია, ამხანაგ სტალინის ამ მოწოდებას მუშები ხალისით გამოეხმაურნენ და 1901 წლის 22 აპრილს ქალაქის ცენტრში მოეწყო მუშათა საპირველმაისო დემონსტრაცია. დემონსტრაციის ხელმძღვანელი და ორგანიზატორი იყო თვით ამხანაგი სტალინი. გაზეთი „ისკრა" ამის შესახებ წერდა: „ის ამბავი, რომელიც კვირას, 22 აპრილს (ძველი სტილით) მოხდა თბილისში, ისტორიულად ღირსშესანიშნავია მთელი კავკასიისათვის: ამ დღიდან კავკასიაში იწყება აშკარა რევოლუციური მოძრაობა".

საქართველოს მუშათა მოძრაობის მატიანეში ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უჭირავს 1900 წლის აგვისტოს გაფიცვას. 1900 წლის 1 აგვისტოს თბილისის რკინიგზის სახელოსნოების და დეპოს მუშებმა გაფიცვა მოაწყეს. ამ გაფიცვაში ოთხიათასამდე მუშა იღებდა მონაწილეობას. გაფიცვა, რომელსაც დიდი სტალინი ხელმძღვანელობდა, 15 დღეს გრძელდებოდა.

აგვისტოს გაფიცვასთან დაკავშირებით საგანგებოდ გამოსულ პროკლამაციებში ნათქვამი იყო:

„ძვირფასო მეგობრებო!

მთელი ქალაქი განცვიფრებულია თქვენი საქციელით და გაოცებული თქვენის მხნეობით, გაფაციცებით ადევნებენ თვალყურს თქვენს განმათავისუფლებელ ბრძოლას!

თქვენი შეუდრეკელი ძალა შიშის ზარსა ჰკვრის თქვენს მტრებს და უბადებს გულში თქვენდამი უნებლიე პატივისცემას. თქვენი ვაჟკაცური და ერთსულოვნებით ამაღლებული ბრძოლა უკეთესი მომავლისათვის განუსაზღვრელ იმედებს უღვიძებს გულში ყველა თქვენს მეგობარს...

არ დაიკიწყოთ, რომ თქვენ მარტონი არა ხართ. თქვენ უკან მოგყვებათ ფეხრული, უძლეველი ძალა მილიონ მუშათა, რომელნიც მზად არიან დასახმარებლად გამოგიწოდონ თავისი ღონიერი მკლავები.

მაშ გაუმარჯოს თქვენს სიმხნეს! გაუმარჯოს პროლეტართა ერთიანობას!

არსებობს ერთი დიდი ბოროტება. ჩვენ ყველას, პროლეტარებს, უნდა გვახსოვდეს იგი. ეს ჩვენი კლასობრივი ინტერესების შეუგნებლობაა!

მტკიცედ დავიმახსოვროთ, რომ ყველა სხვა ბოროტება მომდინარეობს მხოლოდ ამ ერთისაგან, ამ უმთავრესისაგან.

ჩვენ ხარიკით ბევრს ვმუშაობთ — ვიღებთ კი ცოტას, როგორც ბეჩავი მონები.

იმიტომ, რომ შეგნებული არა გვაქვს ჩვენი ინტერესები!

ჩვენ დამცირებულნი, შეურაცხყოფილნი ვართ. ჩვენ ენა გვაქვს, მაგრამ უფლება არა გვაქვს ვილაპარაკოთ ჩვენს საჭიროებაზე, სმენა გვაქვს, მაგრამ ნაბრძანები გვაქვს ყრუ ვიყოთ ჩვენი საკუთარი მოთხოვნილებისადმი. მხედველობა გვაქვს, მაგრამ აკრძალული გვაქვს დავინახოთ ჩვენს შორის და ჩვენს გარშემო არსებული ტანჯვა. რატომ?

იმიტომ, რომ დაქსაქსულად, გაუერთიანებლად ვმოქმედებთ. მაშასადამე, შეგნებული არა გვაქვს ჩვენი ინტერესები!

თბილისის მთელი მუშა-მოსახლეობა ფეხზე დადგა, ყველანი აღელვებული არიან, გაიფიცნენ. რატომ?

იმიტომ, რომ მათ თანდათან შეიგნეს თავიანთი ინტერესები".

გაფიცული მუშების ძირითადი მოთხოვნები იყო 8 საათიანი სამუშაო დღე, ხელფასის მომატება, შრომის პირობების გაუმჯობესება და სხვა.

თბილისის რკინიგზის მუშების ამ გაფიცვას დიდი გამოხმაურება ჰქონდა სხვა საწარმოებსა და ფაბრიკა-ქარხნებში. მართალია, ეს გაფიცვა მარცხით დამთავრდა — ცარიზმის მთავრობამ 800-მდე მუშა დააპატიმრა, მაგრამ, როგორც სტალინური გაზეთი „ბრძოლა" წერდა: „დამარცხდნენ რა მუშები გუშინ, ამით მათ გამარჯვება მოიმზადეს დღეისათვის". ამხანაგი მ. კალინინი, რომელიც ახლო იცნობდა რუსეთის მსხვილ სამრეწველო ქალაქების მუშათა მოძრაობებს, როცა თბილისში ჩამოვიდა და აქაურ მუშათა რევოლუციურ მუშაობას ახლო გაეცნო, გაანცვიფრებული დარჩა. იგი შემდეგ იგონებდა: „მაშინ მომეჩვენა, რომ თბილისში რევოლუციური მოძრაობა გაცილებით უფრო ფართო და ღრმა იყო, ვიდრე პეტერბურგში". 1901 წელს თბილისში დაარსდა რ. ს. დ. მ. პ. ლენინურ-ისკრული მიმართულების თბილისის კომიტეტი. 1901 წ. 11 ნოემბერს მოწვეულ იქნა ს. დ. ორგანიზაციის თბილისის პირველი კონფერენცია.

1905 წ. რევოლუციის დროს თბილისის მუშები მოწინავეთა რიგებში არიან: „თბილისში 18(31) იანვარს მოხდა თბილისის პროლეტარიატის საყოველთაო გაფიცვა, რომელმაც დასაბამი მისცა საყოველთაო გაფიცვების ხანას: ბათუმში, ჭიათურაში, ქუთაისში, სამტრედიაში და სხვა ქალაქებში" (ლ. პ. ბერია). ოფიციალური სტატისტიკით 1905 წელს ყოველ მუშაზე თბილისში გაფიცვა 4, 49 ჯერ მოდიოდა.

თბილისის მუშების მასწავლებელი და ხელმძღვანელი იყო ამხანაგი სტალინი. 1905 წლის ოქტომბერში თბილისში (ნაძალადევში) გამართულ მუშათა მიტინგზე ამხანაგი სტალინი ამბობდა:

„აბა რა რევოლუცია იქნება, რომ უიარაღოთ გაიმარჯვოს? ის რა რევოლუციონერია, ვინც იტყვის: ძირს იარაღიო? ამის მთქმელი ორატორი, ალბათ, ტოლსტოის მიმდევარია და არა რევოლუციონერი. და ვინც უნდა იყოს ამის მთქმელი, ის რევოლუციის, თავისუფლების, ხალხის მტერია...

რა გვესაჭიროება ჩვენ, რომ მართლა გავიმარჯვოთ? ამისათვის გვესაჭიროება სამი რამ: პირველი, ჩვენ გვესაჭიროება შეიარაღება, მეორე — შეიარაღება, მესამე — კიდევ და კიდევ შეიარაღება".

მენშევიკების გამცემლური პოლიტიკის შედეგად თბილისში 1905 წლის 29 აგვისტოს თბილისის ქალაქის გამგეობის კედლებთან და ერევნის მოედანზე (ამჟამად ლ. ბერიას სახელობის მოედანი) მოხდა თბილისის უიარაღო მუშათა სისხლისმღვრელი შეტაკება პოლიციასთან.

„ამხანაგი სტალინი იცავს მუშათა კლასის საყოველთაო შეიარაღებული აჯანყების აუცილებლობას და ეწევა მის პროპაგანდას, ამხელს და აცამტვერებს მენშევიკთა ლიდერებს" (ლ. ბერია). ამხანაგი სტალინი, ბოლშევიკები თბილისის მუშებს განუმარტავენ მეფის მთავრობისა და მენშევიკების მიზნების ნამდვილ არსს, სათავეში უდგებიან მუშათა აჯანყებებს. ბოლშევიკებმა მოაწყეს თბილისის პროლეტარიატის აჯანყება. შეიქმნა საგაფიცვო კომიტეტი. თბილისის საგაფიცვო

კომიტეტმა ხელთ იგდო ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველო, ტელეგრაფი და დაიწყო ქალაქის ცხოვრების მოწესრიგება. ნაძალადევი შეიარაღებულ მუშათა ხელში იმყოფებოდა. მეფის ხელისუფლებამ ჯარი იხმო აჯანყების ჩასაქრობად, ნაძალადევი — იარაღით დაარბიეს.

22—23 დეკემბერს სალდათის ბაზრის რაიონსა და დიდუბეში მუშებს შეტაკება ჰქონდათ მეფის ჯარებთან.

1905 წ. რევოლუცია დამარცხდა. დაიწყო სტოლიპინის რეაქცია. განსაკუთრებით შური იძია ცარიზმმა ამიერკავკასიაზე. „ამიერკავკასიის ხალხთა საუკეთესო რევოლუციური წარმომადგენლების ძვლებით მოჰფინა მეფის მთავრობამ შორი გზა კავკასიიდან ციმბირამდე. 1907 წელს თბილისის და ქუთაისის გუბერნიებიდან ადმინისტრაციული წესით გადასახლებულთა რიცხვი, არასრული ცნობებით, 3.076 აღწევდა." (ლ. ბერია).

1907 წ. ამხანაგ სტალინი ქ. ბაქოში გადავიდა, მაგრამ იგი ერთი წუთითაც არ ივიწყებდა თბილისს. იგი „ჩამოდიოდა თბილისში საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციის სახელმძღვანელოდ და პარტიული კონფერენციების ჩასატარებლად". (ლ. ბერია). 1909 წლის ოქტომბერში ამხანაგი სტალინი ჩამოდის თბილისში და ხელმძღვანელობს თბილისის ბოლშევიკურ ორგანიზაციას. ამხანაგი სტალინის ინიციატივით 1909 წლის ნოემბერში ჩატარდა თბილისის ბოლშევიკური კონფერენცია.

1910 წელს ამხანაგ სტალინს თბილისი ასე აქვს დახასიათებული: „მრეწველობის განვითარების მხრივ თბილისი ბაქოს პირდაპირ წინააღმდეგობას წარმოადგენს. თუ ბაქო საინტერესოა როგორც ნავთის მრეწველობის ცენტრი, თბილისი შეიძლება საინტერესო იყოს მხოლოდ როგორც კავკასიის ადმინისტრაციულ-სავაჭრო და „კულტურული" ცენტრი. თბილისში სულ 20.000-მდე სამრეწველო მუშაა, ე. ი. ნაკლები, ვიდრე ჯარისკაცნი და პოლიციელები. ერთადერთი მსხვილი საწარმოა რკინიგზის სახელოსნოები (3.500-მდე მუშა). დანარჩენ საწარმოებში თითოში 200, 100 მეტწილად კი 40—20 კაცია. სამაგიეროდ თბილისი პირდაპირ სავსეა სავაჭრო დაწესებულებებით და მათთან დაკავშირებული „სავაჭრო პროლეტარიატით". რუსეთის მუდამ ცოცხალი და მოუსვენარი დიდი ბაზრებისაგან სუსტი დამოკიდებულება თბილისს უმოძრაობის დაღს ასვამს. ის გარემოება კი, რომ აქ ადგილი არა აქვს მწვავე კლასობრივ შეჯახებებს, რაც მხოლოდ მსხვილი სამრეწველო ცენტრების დამახასიათებელია, თბილისს იმ ჭაობს ამსგავსებს რომელიც ბიძგს გარედან ელოდება. სწორედ ამით აიხსნება, რომ მენშევიზმმა, ნამდვილმა „მემარჯვენე მენშევიზმმა", ასე დიდხანს გასძლო თბილისში. სულ სხვაა ბაქო, სადაც ბოლშევიკების მკვეთრი კლასობრივი პოზიცია ცხოველ გამოხმაურებას პოულობს მუშათა შორის!

ის, რაც ბაქოში „თავისთავად ცხადია", თბილისში ცხადი ხდება მხოლოდ ხანგრძლივი დისკუსიების შედეგად,—ბოლშევიკების შეურიგებელ სიტყვებს დიდი სიძნელით ინელებენ. სწორედ ამით აიხსნება თბილისელი ბოლშევიკების „განსაკუთრებული მიდრეკილება" დისკუსიებისადმი და, პირიქით, მენშევიკების სურვილი, შეძლებისამებრ „თავიდან აიცილონ" დისკუსიები. მაგრამ ნათქვამიდან მხოლოდ ის გამომდინარეობს, რომ რევოლუციური სოციალდემოკრატების მიერ თბილისის პროლეტარიატის სოციალისტური განათლებისათვის წარმოებული მუშაობა ძალიან ხშირად და გარდუვალად მიიღებს მენშევიზმთან იდეური ბრძოლის ფორმას".

კიდევ უფრო უბადრუკ მდგომარეობაში იყო თბილისი მენშევიკების დროს. გათბობა, განათება, ტრანსპორტი მთლიანად მოიშალა. ქალაქში სულ რაღაც ტრამვაის 9 ვაგონი მოძრაობდა უგრაფიკოდ.

მენშევიკები, რომლებმაც ხელთ იგდეს ძალაუფლება, შეტევაზე გადავიდნენ ბოლშევიკების წინააღმდეგ. 1918 წლის თებერვალში მენშევიკებმა დააპატიმრეს ბოლშევიკური ორგანიზაციის ხელმძღვანელი შუშაკები. ამიერკავკასიის კომისარიატის განკარგულებით დაიხურა ბოლშევიკური გაზეთები: „კავკაზსკი რაბოჩი“, „ბრძოლა“ და „ბანვორი კრივ“ („მუშათა ბრძოლა“). ამ აქტს თბილისის პროლეტარიატმა პროტესტით უპასუხა.

22 თებერვალს თბილისში გაიმართა რკინიგზელთა მიტინგი, რომელსაც 3000 კაცი დაესწრო. მიტინგზე მიიღეს რეზოლუცია, სადაც წამოყენებული იყო საკითხი—ბოლშევიკური გაზეთების აკრძალვის დადგენილების გაუქმებისა და დაპატიმრებული კომუნისტების დაუყოვნებლივ განთავისუფლების შესახებ.

გადიოდა დღეები, რევოლუციური მოძრაობა აღმავალი გზით მიდიოდა. მენშევიკები საკუთარი ძალებით ვეღარ ახერხებდნენ თავიანთი ბატონობის შენარჩუნებას, თუმცა რევოლუციონერებით საპყრობილეები გაავსეს; ისინი დასავლეთის იმპერიალისტებს იწვევენ საქართველოში ქართველი ხალხის წინააღმდეგ. მენშევიკების საქმიანობამ ჩვენი ქვეყანა კატასტროფამდე მიიყვანა. 1920 წლის 30 ნოემბერს გაზეთ „პრავდაში“ ამხანაგი სტალინი წერდა: „საქართველოს კატასტროფიული სამეურნეო და სასურსათო მდგომარეობა ფაქტია, რომელსაც თვით ახლანდელი საქართველოს მესვეურნიც კი აღნიშნავენ. საქართველო, რომელიც გაება ანტანტის ხაფანგში და ამიტომ დაჰკარგა როგორც ბაქოს ნავთი, ისე ყუბანის პური, საქართველო, რომელიც გადაიქცა ინგლისისა და საფრანგეთის იმპერიალისტური ოპერაციების ძირითად ბაზად და ამიტომ დაადგა საბჭოთა კავშირთან მტრულ დამოკიდებულების გზას, — ეს საქართველო ამჟამად თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს ითვლის. ტყუილად როდი იყო, რომ მომაკვდავი მეორე ინტერნაციონალის გახრწნილმა ბელადმა, რევოლუციის ტალღით ევროპიდან გამოძევებულმა ბ-მა კაუცკიმ თავშესაფარი ჰპოვა მყრალ, ანტანტის ბადეში გახლართულ საქართველოში, გაკოტრებულ ქართველ სოციალ-მედუქნეებთან. ეჭვი არ არის, რომ გაპირვების ჟამს ანტანტა ისევე მიატოვებს საქართველოს, როგორც სომხეთი მიატოვა“.

მენშევიკების სისხლიანი ბატონობის დროს ქალაქ თბილისში არა მარტო არაფერი აშენებულა, არამედ ინგრეოდა და პარტახდებოდა ისიც, რაც ძველად შეიქმნა.

თბილისის პროლეტარიატი მედგარ ბრძოლას ეწეოდა მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ და იკრებდა ძალებს საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად. ბოლშევიკები სულ უფრო და უფრო ააშკარავებდნენ მენშევიკების გამცემლურ პოლიტიკას და ხალხს შეიარაღებული აჯანყებისაკენ მოუწოდებდნენ. მენშევიკების სისხლიანი ბატონობის პერიოდში არ ყოფილა არც ერთი დღე, რომ საქართველოს ამა თუ იმ კუთხეში აჯანყება-გაფიცვები არ მომხდარიყოს.

თბილისის მუშები მენშევიკების წინააღმდეგ მებრძოლთა პირველ რიგებში იყვნენ ყოველთვის.

1917 წლის 27 (14) ივნისს თბილისში დაიწყო კოოპერაციის მუშა-მოსამსახურეთა გაფიცვა, 8 ივლისს თბილისში გაიფიცნენ კლუბისა და რესტორნების მოსამსახურენი, თამბაქოს ფაბრიკის მუშები, პურისმცხობელნი, მასწავლებლები

და სხვანი. გაფიცვები სულ უფრო და უფრო ფართო ხასიათს ღებულობდა. სექტემბერში თბილისში გაიფიცნენ სპილენძის სატყეცი ქარხნის, ხოტოვიჩის მექანიკური სახელოსნოს, თამბაქოს ფაბრიკების, აფთიაქების, ზინგერის კომპანიისა და სხვ. მუშა-მოსამსახურეები.

გმირული წითელი არმიის დახმარებით ქართველმა ხალხმა დაამხო მენშევიკების სისხლიანი ბატონობა და დაამყარა საბჭოთა ხელისუფლება.

1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს დედაქალაქში, — თბილისში აღმართული იქნა წითელი დროშა. ეს ისტორიული ფაქტი შემდეგი დეპეშით ამცნო ლენინსა და სტალინს ამხანაგმა ს. ორჯონიკიძემ: „თბილისზე ფრიალებს საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა.

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!“

ამიერიდან დაიწყო ქართველი ხალხის ცხოვრებაში ახალი ერა. ქალაქი თბილისი განვითარების სრულიად ახალ პერიოდში შევიდა. როგორც აღნიშნული იყო, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით ახალი ხანა დაიწყო ქართველი ხალხის ცხოვრებაში, ახალი თავი დაიწყო თბილისის ისტორიაშიც, ქალაქს ნამდვილი პატრონი გაუჩნდა... თუ მანამდე ესა თუ ის საქალაქო წამოწყება მხოლოდ კერძო პირთა ყეთილ სურვილზე იყო დამოკიდებული, ამიერიდან ქალაქის განვითარება, მშენებლობა გეგმაშეწონილად მიმდინარეობდა და მთავრობისა და პარტიის ყურადღების ცენტრში მოექცა.

თბილისის განახლების ისტორია განუყრელადაა დაკავშირებული დიდი ს ტ ა ლ ი ნ ი ს უახლოესი თანამებრძოლის, ქართველი ხალხის საამაყო შვილის ლ ა ვ რ ე ნ ტ ი ბ ე რ ი ა ს სახელთან.

ჩვენმა საყვარელმა დედაქალაქმა თბილისმა 30 წლის განმავლობაში დიდი ცვლილებები განიცადა. ყოველი დილა საბჭოთა საქართველოში, მის დედაქალაქში ახალ მშენებლობათა და გარდაქმნათა მომტანია. ყოველი ახალის სიდიადე და მნიშვნელობა უფრო რელიეფურად მაშინ გამოჩნდება, როცა კარგად წარმოვიდგენთ იმას, თუ რა იყო ჩვენი დედაქალაქი მისი წარმოშობის დღიდან, როგორ თანდათან იცვლიდა ის სახეს და როგორ მოიტანა მან თავი ჩვენს დიად ეპოქამდე. აი ამიტომ გადასწყვიტეს ამ წიგნის ავტორებმა მოეთხროთ თბილისის ისტორია მისი დაარსების დღიდან, ვიდრე XIX საუკუნის დამდეგამდე.

XIX—XX საუკუნის ისტორია ავტორებს განხრახული აქვთ მეორე წიგნად გამოსცენ.

თავი I

ქალაქ თბილისის წარმოშობა

1. თბილისის მდებარეობა

ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი, თ ბ ი ლ ი ს ი, მდინარე მტკვრის ნაპირებზე, ტაფობშია გაშენებული.

მას მთიანი საზღვრები აქვს; მხოლოდ ერთი მხრიდან, ჩრდილოეთიდან, რა მხრიდანაც მტკვარი მოდის, არის მისი საზღვარი გაშლილი. სამი დანარჩენი მხრით კი თბილისს სულ მთები ზღუდავს: აღმოსავლეთით მას მახათას მთაგრეხილი აკრავს, სამხრეთით—სოლოლაკისა, რომლის ერთ-ერთი მთიდან, რომელსაც ძველადაც თაბორს უწოდებდნენ, გამოდის თბილი ნაკადული. დასავლეთით თბილისს ციცაბოკალთებიანი მთაწმინდა საზღვრავს.

თბილისი მდებარეობს გრინვიჩიდან ჩრდილოეთ განედის 41° 43′ 37″ და აღმოსავლეთი გრძედის 44° 48′-ზე.

თბილისის ტაფობში, დროთა ვითარებაში, გზა გაუკაფავს მდინარე მტკვარს. ამ მდინარეს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ძველ დროშიაც. იგი ხელს უწყობდა მოსახლეობის დამკვიდრებას თბილისის დღევანდელ ტერიტორიაზე. მტკვარში ბევრგვარი თევზია: ზუთხი, ორაგული, ფარგა და სხვ. ამას გარდა, მტკვარი რწყავს თავის ნაპირებს, ანაყოფიერებს მათ და ამით ხელს უწყობს მცენარეულობის გაშენებას. მტკვრით შეიძლებოდა აგრეთვე ტვირთის გადაზიდვა სხვადასხვა მიმართულებით. ყველა ეს ბუნებრივი პირობა, როგორც აღვნიშნეთ, ხელს უწყობდა თბილისის მიდამოებში ჯერ პირვანდელი მოსახლეობის გაჩენას, ხოლო შემდეგ ქალაქის წარმოშობასაც.

მტკვარს გარდა თბილისის ტერიტორიაზე პატარა მდინარეებიც გადის: წავკისის წყალი, ვერე და ავანაანთ ხევი. სამივე მტკვრის მარჯვენა შენაკადია. წავკისის წყალი სოლოლაკის ხევ-

ში ჩამოდის. ძველად მას ლეღვთა ხევი რქმევია, შემდეგ კი დაბა-ხანის ხევი დაურქმევიათ, რაკი ძველად მის შესართავთან მტკვრის პირას დაბალები (მეტყაველები) ტყაველობას ალბობდნენ და გამოსაქნელად ამზადებდნენ.

ჩვენი ცნობილი ისტორიკოსის ვახუშტის მოწმობით, ვერეს ძველად სკვირეთის მდინარე რქმევია. ავანაანთ ხევი სოლოლაკში იღებს სათავეს. წინათ იგი დღევანდელ პუშკინისა და ბარათაშვილის სახელობის ქუჩაზე ჩამოდიოდა. ამჟამად კი, ავანაანთ ხევი ამ ქუჩებს ქვეშაა გატარებული და მტკვარს ბარათაშვილის სახელობის ხიდის ხელმარჯვნივ უერთდება. ამ პატარა მდინარეებსაც სარგებლობა მოჰქონდათ და მოაქვთ თბილისისათვის.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანია თაბორის მთიდან გამომდინარე ცხელი ნაკადული, გოგირდ-ტუტოვანი წყალი, რომლის სამკურნალო მნიშვნელობა ძველიდანვე ცნობილი იყო და რომელმაც სახელი გაუთქვა თბილისის აბანოებს. შემთხვევითი არ არის, რომ თბილისის აბანოებს ჩვენი ხალხი დიდის ქებით იხსენიებს არა ერთ ხალხურ ლექსში.

თბილისის მიდამოები ყოველთვის ველი როდი იყო. ძველ ქართველ ისტორიკოსთა არაპირდაპირი ცნობები და ქართული თქმულებები გვარწმუნებენ, რომ თბილისის თავდაპირველი ტერიტორია ტყით ყოფილა დაფარული, სადაც უხვად იყო გარეული ფრინველი და ნადირი. თქმულების მიხედვით, მცხეთაში მჯდომ ქართლის მეფეებს აქ ჰყვარებიათ ნადირობა ირმებსა და ხოხბებზე. აღსანიშნავია, რომ ერთი დოკუმენტის მიხედვით, ჯერ კიდევ XIV საუკუნეში, ავლაბრის (დღევანდელი 26 კომისრის რაიონის) ნაწილი ტყით ყოფილა დაფარული.

თბილისს მოხერხებული მდებარეობა ჰქონდა. იგი იმ გზაზე იყო, რომელიც მტკვრის ხეობით და ალმოსავლეთ ამიერკავკასიით საქართველოს სამხრეთის ქვეყნებთან აკავშირებდა. აქედანვე გადიოდა გზა ჩრდილოეთ ალბანიაში (ახლანდელი აზერბაიჯანის სსრ). თბილისის დასავლეთით მდებარე მთები და მდინარის კლდოვანი ნაპირები ადვილად ჰკეტავდნენ მტკვრის გაყოლებით მიმავალ გზას.

ყველაფერი, რაც ვთქვით, ხელს უწყობდა ქალაქის წარმოშობას, მაგრამ, ამას გარდა, მეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მჭიდროდ დასახლებული პუნქტის, ქალაქის წარმოშობისათვის იმ მიდამოებსაც, რომელნიც მას გარს ერტყა. ასეთი კი ბევრი იყო

და არის, მაგალითად: ტაბახმელა, ოქროსყანა, წავკისი, კოჯორი, კიკეთი, წყნეთი, დიღომი, ლისი, ავჭალა და სხვა. უმრავლესი მათგანი ძველიდანვე ყოფილა დასახლებული. მათ ეკონომიურ დაწინაურებაზე დიდად იყო დამოკიდებული თბილისის, როგორც ქალაქის, წარმოქმნა და მისი შემდგომი ზრდა-გაძლიერება.

2. უძველესი მოსახლეობა თბილისსა და მის მიდამოებში

როგორც დავინახეთ, თბილისს ყოველმხრივ მნიშვნელოვანი მდებარეობა ჰქონდა. ასეთ მოხერხებულ ადგილზე მოსახლეობა ადრევე უნდა გაჩენილიყო, მაგრამ ჩვენი ძველი საისტორიო თხზულებანი ამის შესახებ არაფერს გვეუბნებიან.

როცა წერილობითი წყაროები არ გაგვაჩნია, შორეული წარსულის შესასწავლად ნივთიერი კულტურის ძეგლები და არქეოლოგიური მასალა უნდა მოვიშველიოთ. არქეოლოგიური მონაცემები კი მოწმობენ, რომ თანამედროვე თბილისის ტერიტორია შორეულ წარსულშივე ყოფილა დასახლებული.

აქვე უნდა ითქვას, რომ რაკი თბილისი მეიდროდ არის დასახლებული, აქ სისტემატური არქეოლოგიური გათხრების წარმოება ვერ ხერხდება და ამიტომ ის აღმოჩენები, რომელნიც აქ ჩვენი ძველი წინაპრების ცხოვრებას გვაუწყებენ, უმთავრესად შემთხვევითი ხასიათისაა, მაგალითად: 1936 წელს სანაპირო ქუჩის მშენებლობისას აღმოჩნდა პატარა ზომის ბრინჯაოს (სპილენძისა და კალის შენადნობი) მახვილი. 1926 წ. საბჭოს ქუჩაზე ბრინჯაოს ხანის სამარხი აღმოჩნდა, რომელშიც იპოვეს ერთი ბრინჯაოს მასრაგახსნილი შუბისპირი, ბრინჯაოს სატევარი და თიხის ჭურჭლები.

ჩვენმა მოსწავლეებმაც შესძინეს მეცნიერებას მნიშვნელოვანი მასალა: 1948 წ. ერთმა მოსწავლემ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში მოიტანა ბრინჯაოს სატევრის პირი, რომელიც მას ნარიყალაზე უპოვნია.

ბრინჯაოს თუ უფრო ადრინდელი ხანის ადამიანთა იარაღები და ჭურჭლეულობა ნაპოვნია თბილისის მიდამოებშიც. 1935 წელს ღრმაღელეში შემთხვევით აღმოჩნდა ბრინჯაოს ცული, რომლის მსგავსი ჯერჯერობით სხვაგან არსად შეგვხვედრია. ხოლო

პროფ. გ. ნიორაძემ დიდუბეში კიდევ უფრო ადრინდელი ხანის, ენეოლითის (ლითონის ხანის დასაწყისის) დროინდელი ადამიანის ჭურჭლეულსაც მიაკვლია.

თბილისის მიდამოებში ნაპოვნ ენეოლითის დროის ჭურჭლეულობას ჩვენი მეცნიერები ძველი წელთაღრიცხვის მესამე ათასწლეულის დამლევს აკუთვნებენ, აქვე აღმოჩენილ ზემოხსენებულ ბრინჯაოს იარაღებს კი ძველი წელთაღრიცხვის პირველ ათასწლეულს. ამრიგად, არქეოლოგიური მასალა საკვლევით ადასტურებს, რომ დღევანდელი თბილისის ტერიტორიაზე ადამიანს ჯერ კიდევ 4—5 ათასი წლის წინათ უცხოვრია.

არქეოლოგიური აღმოჩენები ამით არ ამოიწურება. თბილისის ტერიტორიაზე ბრინჯაოს შემდეგდროინდელი ნივთიერი კულტურის ძეგლებიც არის აღმოჩენილი. მიმდინარე საუკუნეში, დღევანდელი საჯარო ბიბლიოთეკის შენობის საძირკვლის ჩაყრის დროს, რამდენიმე თიხის ჭურჭელი იქნა ნაპოვნი. ზოგი მათგანი ძლიერ წააგავს სამთავროს (საქართველოს ძველი დედაქალაქის მცხეთის ერთ-ერთი უბანია) სამაროვანში აღმოჩენილ კერამიკას. მსგავსი ჭურჭელი აღმოჩნდა აგრეთვე ზემო ავჭალის არხის გათხრის დროსაც და მეცნიერების მიერ იგი ჩვენი წელთაღრიცხვის I საუკუნით თარიღდება.

საქართველოს მუზეუმის დღევანდელი შენობის საძირკვლის გაჭრის დროს აღმოჩნდა აგრეთვე ორი ერთნაირი თიხის სამტუჩა ჭურჭელი; ამგვარივე თიხის ჭურჭელი მცხეთაშიც იპოვეს და ჩვენი წელთაღრიცხვის II საუკუნეს მიაკუთვნეს.

1935 წელს, ღრმაღელეში, მიწის სამუშაოების შესრულების დროს, რამდენიმე თიხის ჭურჭელთან ერთად აღმოჩნდა ბრინჯაოს სამაჯური, ბრინჯაოს ბეჭედი გემმით (ქვაზე ამოკვეთილი გამოსახულებით), საკიდი ბაყაყის გამოსახულებით და ერთი ე. წ. „ეგვიპტური სკარაბეი“ (საკიდი თილისმა ხოჭოს გამოსახულებით); მსგავსი ნივთეულობა სხვადასხვა დროს იყო აღმოჩენილი საბურთალოზე, ავლაბარში, ბესიკის ქუჩაზე, საბა-სულხანის ქუჩაზე და სხვაგან.

ჩვენი წელთაღრიცხვის I—II საუკუნის ეს მასალები კი იმას ამტკიცებენ, რომ თბილისის ტერიტორიაზე ძველი წელთაღრიცხვის მესამე ათასწლეულის დამლევიდან მოკიდებული მოსახლეობა განუწყვეტლივ ყოფილა.

თბილისის ამ უძველეს მოსახლეობას თავის დროზე აღებ-მი-



თბილისში და მის მიდამოებში აღმოჩენილი ბრინჯაოს იარაღები

საქ. მუზეუმის კოლექცია



თბილისში აღმოჩენილი თიხის ჭურჭლები
საქ. მუზეუმის კოლექცია

ცემობაც უწარმოებია მეზობელ ქვეყნებთან. ამას მოწმობს თბილისის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მონეტები (ფულები).

ასე მაგალითად, 1870-იან წლებში, ქალთა გიმნაზიის შენების დროს (კეცხოველის ქუჩაზე), უპოვიათ ბაქტრული* მონეტა, რომელიც ძველი წელთაღრიცხვის III—II საუკუნეს მიეკუთვნება. ვარაზის ხევში ნაპოვნია ავგუსტ კეისრის მიერ ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე მოჭრილი სპილენძის მონეტა; 1947 წ. კი ორთაჭალაში, მაჰმადიანურ სასაფლაოზე, ბავშვებმა იპოვეს ბოსფორის მეფის მითრიდატ VIII (41—45 წ. წ.) მეუღლის სპილენძის მონეტა. ნაპოვნია აგრეთვე ბოსფორული მონეტები ახალი წელთაღრიცხვის II და III საუკუნეებში მოჭრილი.

რა თქმა უნდა, ეს აღმოჩენები შემთხვევითი არაა და იმას გვიჩვენებს, რომ თბილისის ძველ მოსახლეობას აღებ-მიცემობა უწარმოებია როგორც კასპიის გაღმა მხარესთან (ბაქტრია), ასევე რომთან და ბოსფორის სამეფოსთან (ყირიმის ნახევარკუნძული).

ბრინჯაოს დროისათვის მოსახლეობა იყო დღევანდელი თბილისის მიდამოებშიც. სოფ. წყნეთში აღმოჩენილი ბრინჯაოს სამაჯურები და რკინის შუბის პირი, კიკეთში მოპოვებული ენეოლითური ხანის კერამიკა, დიღომში ნაპოვნი ბრინჯაოს სამაჯური და სხვა, ასევე ბრინჯაოს სამკაული, ზემო ავჭალის იმდროინდელი არა ერთი მნიშვნელოვანი ძეგლი,—ყველა ეს იმის უტყუარი საბუთია, რომ თბილისის მიდამოები უძველეს დროში დასახლებული ყოფილა.

ნაპოვნია აგრეთვე მონეტები. თბილისის მიდამოებში დიღომში 1924 წ. გლეხმა ვანო სისაურმა შემთხვევით ძველ სამარხს მიაკვლია და სამარეს ჩიჩქნა დაუწყო; ჯერ ბრინჯაოს სამაჯური იპოვა, ხოლო შემდეგ რომის კეისრის ავგუსტუსის (44 წ. ძვ. წ.—14 ახ. წ.) და პართიის მეფე ჰოტარზეს (40—51 წ. ახ. წელთაღრიცხვით) ვერცხლის მონეტები.

როგორც ვხედავთ, ძველი წელთაღრიცხვის I საუკუნიდან თბილისში და მის მიდამოებში უცხოური მონეტები საკმაოდ ფართოდ ყოფილა გავრცელებული.

---

* ალ. მაკედონელის მიერ შექმნილ სახელმწიფოს დაშლის შემდეგ ძვ. წელთაღრიცხვის III ს. შუა წლებში ჩამოყალიბებული სამეფო, კასპიის გაღმა მხარეში.

ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მიერ უკანასკნელ ხანებში თბილისის მიდამოებში წარმოებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა დაადასტურეს და კიდევ უფრო გაამდიდრეს ჩვენი წარმოდგენა თბილისისა და მისი მიდამოების უძველესი მოსახლეობის შესახებ.

თბილისის ტერიტორიაზე სხვადასხვა დროის მატერიალური კულტურის ძეგლებისა და მონეტების აღმოჩენა იმას გვიჩვენებს, რომ თბილისი ჯერ კიდევ ძვ. წელთაღრიცხვის უკანასკნელ საუკუნეებში მჭიდროდ ყოფილა დასახლებული. ყველაფერი ეს კი ამზადებდა ნიადაგს იმისთვის, რომ ეს მჭიდროდ დასახლებული, ეკონომიურად და სტრატეგიულად მარჯვე მდებარეობის პუნქტი ქალაქად გადაქცეულიყო.

3. ქალაქის წარმოშობა

მაშინ, როცა თბილისი მხოლოდ დასახლებულ პუნქტად ითვლებოდა, საქართველოში უკვე არსებობდა მრავალი მნიშვნელოვანი ქალაქი და საქალაქო ცხოვრებაც საკმაოდ იყო განვითარებული. თბილისის მახლობლად უძველესი დროიდანვე არსებობდა ქალაქები: ჩრდილოეთით—მცხეთა, სარკინე, ურბნისი, უფლისციხე, აღმოსავლეთით—რუსთავი, სამხრეთ-დასავლეთით—სამშვილდე, ხუნანი და სხვ. მათ შორის პირველობდა ქალაქი მცხეთა. მცხეთა დიდი ხნიდან ითვლებოდა ქართლის (აღმოსავლეთ საქართველოს) მეფეთა სატახტო ქალაქად. თბილისის მოსახლეობას პირველ რიგში ამ მახლობელ ქალაქებთან უხდებოდა ურთიერთობა, მათ უკავშირდებოდა ის სხვადასხვა გზებით. ეს კიდევ თანდათან აძლიერებდა თბილისის მნიშვნელობას.

ქართლის მეფეებს ადრევე მიუქცევიათ ყურადღება მნიშვნელოვან ადგილას წარმოშობილ ამ მჭიდროდ დასახლებული პუნქტისათვის და მასზე (თბილისზე) გამვლელი გზის დასაცავად ციხე აუშენებიათ. ამ ციხის დანიშნულება იყო გზა ჩაეკეტა აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან და თანაც გაემაგრებინა ქართლის იმდროინდელი დედაქალაქი—მცხეთა.

შემთხვევითი არ არის, რასაკვირველია, ძველი ქართველი ისტორიკოსის ლეონტი მროველის თქმა, რომ თბილისი ააშენეს „ციხედ მცხეთისა“, ე. ი. რომ თბილისი ააშენეს მცხეთის მისად-

ჯომებთან, მის გასავლელებს შორის, მცხეთის სიმაგრედ, მის გასამაგრებლად. თბილისის ტერიტორიაზე ციხის აგება, ამავე ისტორიკოსის მიხედვით, ქართლის მეფე ვარაზბაკურის დროს, ე. ი. დაახლოებით, ახალი წელთაღრიცხვის IV საუკუნის მეორე ნახევარში მომხდარა. ასე რომ, IV საუკუნის მეორე ნახევარში თბილისი, მანამდე უკვე მეიდროდ დასახლებული ადგილი, სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით მნიშვნელოვან გამაგრებულ პუნქტადაც იქცა. მაგრამ თბილისის ზრდა ამით არ დამთავრებულა.

საქართველოს მეზობელი სპარსეთი ყოველნაირად ცდილობდა ქართლი ხელში ჩაეგდო. მისი ეს მისწრაფება განსაკუთრებით აშკარა ხდება IV საუკ. მეორე ნახევრიდან. ამ დროს სპარსეთმა მოახერხა თავისი გავლენა გაევრცელებინა ქართლის ერთ ნაწილზე, მის უშუალოდ მოსაზღვრე ნაწილზე. მალე, IV საუკ. დასასრულს, სპარსეთმა მთელი ქართლი იგდო ხელთ. ამიერიდან ქართლის მეფე სპარსეთის ვასალად ითვლებოდა. აქაურ მეფეთა მოქმედებისათვის რომ თვალყური ედევნებინა, სპარსეთის შაჰმა ქართლში თავისი მოხელე გამოგზავნა. ამ მოხელეს პიტიახშის* თანამდებობა ეჭირა.

ქართლში მოსულმა პირველმა პიტიახშმა, როგორც ამაში ჩვენი უძველესი ისტორიული თხზულება — „ქართლის მოქცევის" ქრონიკა გვარწმუნებს, თავის საჯდომად თბილისი აირჩია.

სპარსელი მოხელის არჩევანი მოწმობს, რომ თბილისი იმ დროს უკვე მნიშვნელოვანი ადმინისტრაციულ-სამეურნეო და სამხედრო-სტრატეგიული პუნქტი იყო. თბილისის გამაგრება ადვილად შეიძლებოდა, რაკი მასში შემოსასვლელი კარები ვიწრო ხეობაში მდებარეობდა. ამას გარდა, თბილისი, როგორც აღვნიშნეთ, მცხეთის ციხედ, მის სიმაგრედ იყო მიჩნეული და აქედან პიტიახშს კარგად შეეძლო მცხეთისათვის და იქ მჯდომ ქართველ მეფის მოქმედებისათვის ყური ეგდო.

„ქართლის მოქცევის" ქრონიკის ავტორი, პიტიახშის მიერ საჯდომად არჩეულ თბილისს ციხე-ქალაქს უწოდებს; ის მოგვითხრობს, რომ სპარსთა მეფის პიტიახში „მოვიდა ტფილისად, ქალაქად-ციხედ" და იგი თავის რეზიდენციად აირჩიაო.

როგორც ვხედავთ, მეიდროდ დასახლებულსა და გამაგრებულ თბილისს IV საუკუნის დასასრულისათვის უკვე ქალაქის სახე მიუ-

---

* „პიტიახში"—სპარსული სიტყვაა და „ქვეყნის უფროსს" ნიშნავს. ის თავისი შინაარსით ქართულ „ერისთავს" შეესატყვისება.

ღია. მაგრამ მაშინ ის უფრო გამაგრებული და ადმინისტრაციული ადგილი იყო, ვიდრე ვაჭრობა-ხელოსნობის ცენტრი, ე. ი. ქალაქი; ამიტომაც უძველესი ქართული მატიანე უწოდებს მას ციხე-ქალაქსა და არა ქალაქს. ზემოხსენებული მატიანის მიხედვით, ეს ციხე-ქალაქი ორი ნაწილისაგან შედგებოდა: პიტიახში მოვიდა „ტ ფ ი ლ ი ს ა დ და კ ა ლ ა დ-ც ი ხ ე დ“. ჩანს, თბილისის ერთ ნაწილს, ქალაქისებურად დასახლებულ ნაწილს, საკუთრივ თბილისი ეწოდებოდა, მეორე, გამაგრებულ ნაწილს, ციხე-სიმაგრეს კი კალა*.

V საუკუნის დამდეგიდან თბილისისა და მისი ციხის მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდებოდა და იგი თანდათან ქალაქის სახეს იღებდა. IV საუკ. დასასრულის ციხე-ქალაქის სავაჭრო-სახელოსნო ცენტრად, ქალაქად, გადაქცევას განსაკუთრებით ხელი შეუწყო საქართველოში V—VI საუკუნეებში მომხდარმა დიდმა ეკონომიურმა და სოციალურმა ცვლილებებმა.

IV—V საუკუნიდან მოკიდებული საქართველოში გაუმჯობესდა რკინის დამუშავება, რასაც ბუნებრივად მოჰყვა მიწათმოქმედების შემდგომი განვითარება. ქართველებს უკვე მეტი პურეული მოჰყავდათ. განვითარდა მებოსტნეობა და მებაღეობა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოში მევენახეობის შემდგომ განვითარებას. ყველაფერი ეს კი საქართველოში საქალაქო ცხოვრების წინსვლის ერთი უმნიშვნელოვანესი პირობა იყო.

ეკონომიური ცხოვრების ცვლილებებმა გამოიწვიეს ცვლილებები ადამიანთა საწარმოო ურთიერთობაში, სოციალურ ურთიერთობაში. წარმოების მონათმფლობელური წესი თანდათან ჰკარგავს თავის მნიშვნელობას და საქართველოში ახალი, ფეოდალური ურთიერთობა იმარჯვებს. ამიტომაც აღნიშნავენ ჩვენი ისტორიკოსები, რომ V-VI საუკუნე იყო „ნამდვილი ისტორიული მოსაბრუნი“ არა მარტო ეკონომიური განვითარების თვალსაზრისით, არამედ აგრეთვე სოციალური, პოლიტიკური გარდატეხის მხრივაც.

ფეოდალური ურთიერთობის გამარჯვებამ დიდად შეუწყო ხელი საქართველოში ვაჭრობა-ხელოსნობის განვითარებას, საქალაქო ცხოვრების აყვავებას. საქართველოს ქალაქები კიდევ უფრო მჭიდროდ დაუკავშირდნენ მეზობელ სახელმწიფოთა ქალაქებს. საგარეო ვაჭრობასთან ერთად იზრდებოდა საშინაო ვაჭრობაც.

---

* „კალა“ არ უნდა მომდინარეობდეს მსგავსი არაბული „ კ ა ლ ა“ (ციხე) სიტყვიდან; ის ამ შემთხვევაში თბილისის ციხე-სიმაგრის უძველეს გეოგრაფიულ სახელად ჩანს.

ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის გამარჯვების წყალობით საეკლესიო ურთიერთობა გაცხოველდა, ამან კი წარმოშვა ახალი ქალაქები, ხოლო ზოგი ძველი ციხე-ქალაქი ქალაქად გადააქცია. მაგრამ ამასთან ერთად თანდათან დაეცა ზოგიერთი ძველი წინაფეოდალური ხანის ქალაქი; ესენი სულ მალე თავის მნიშვნელობას ჰკარგავენ. V—VI საუკუნისათვის, როგორც საეკლესიო სახელოსნო ცენტრები, უკვე აღარ არსებობენ წინაფეოდალური ხანის ქალაქები — კასპი, ნეკრესი, მოვაკანი, სარკინე და ურბნისი. V—VI საუკუნიდან იწყება აგრეთვე ქართლის უძველესი დედაქალაქის მცხეთის ეკონომიური და პოლიტიკური მნიშვნელობის დაცემაც.

ასეთი გარდატეხის ეპოქაში წარმოიშვა თბილისი, როგორც ქალაქი.

* * *

როგორც აღვნიშნეთ, თბილისში ერთხანს სპარსელი მოხელე პიტიახში იჯდა. მაგრამ მას შემდეგ, რაც სპარსეთის მეფეებმა ქართლის აზნაურები გადიბირეს და მათი სახით აქ საიმედო დასაყრდენი გაიჩინეს, სპარსეთიდან საგანგებო მოხელის გამოგზავნა უკვე აღარ ჩათვალეს საჭიროდ და პიტიახშობა ქართლის აზნაურებს ჩააბარეს. ამასთან დაკავშირებით პიტიახშის რეზიდენციამ თბილისიდან ცურტავში* გადაინაცვლა. ეს V საუკუნის შუა წლებში უნდა მომხდარიყო.

ამის შემდეგ თბილისი და მისი მიდამოები ისევ ქართველ მეფეთა ხელში გადადის. თბილისი სპარსელთა და ქართველთა შორის ბრძოლის ასპარეზად გადაიქცა. ამ ბრძოლამ დიდი ზიანი მიაყენა ახლად წარმოშობილ ქალაქსა და მის შემდგომ განვითარებას. ბრძოლა გრძელდებოდა ვახტანგ გორგასალის დროსაც. მეფე მცხეთაში იყო გამაგრებული და აქედან ებრძოდა შემოსეულ მტერს. ზოგჯერ კიდევ, ისტორიკოსის სიტყვით, მოწინააღმდეგენი „შეიბნიან ფონსა ზედა ტფილისისასა". გამუდმებულმა ლაშქრობებმა თბილისი და მისი ციხეც ააოხრა. ამიტომაც ამბობს ვახტანგ გორგასალის ისტორიკოსი, რომ ვახტანგის გამეფების დროისათვის

---

* ზოგი მეცნიერი ფიქრობს, რომ ცურტავი ჰერეთში მდებარეობდა, ზოგი კიდევ მას თბილისის სამხრეთით ეძებს და გაჩიანთან, ჭაპალასთან აიგივებს.

(V ს. მეორე ნახევარი) საკუთრივ თბილისი და „კალაცა მოოხრებული იყო“.

ქართლის მეფის საზრუნავს, სპარსეთთან დროებითი მშვიდობის დამყარების შემდეგ, თბილისის, გაოხრებული ქალაქის, აღდგენა-გაშენება შეადგენდა. ამ საქმეს ხელი პირველად ვახტანგ გორგასალმა მოჰკიდა. ამიტომაა, რომ ზოგ ისტორიკოსს თბილისის დამაარსებლად გორგასალი მიაჩნია. ხალხში დარჩენილი თქმულებაც ამ მოსაზრებას უქერს მხარს.

ინტერესს მოკლებული არ არის თქმულება ქალაქ თბილისის დაარსების შესახებ და ამიტომ ჩვენ მას აქ მოვიყვანთ. თქმულების მიხედვით, ერთდროს თბილისი და მისი მიდამოები ტყით ყოფილა მოცული. ერთხელ აქ ვახტანგ გორგასალი ნადირობდა (აღსანიშნავია, რომ თქმულების ზოგ ვარიანტში თბილისის ტყეში მონადირე მეფის ვინაობა სრულიად არ არის მოხსენებული). მეფისა და მისი ამალის მწევრებმა ხოხობი ააფრინეს. მეფის მიმინო ხოხობს გამოედევნა და ორივე ფრინველი მალე გადაიკარგა ცის სივრცეში. მეფე და მხლებლები იმავე მხრისაკენ წავიდნენ და, დიდი ხნის ძებნის შემდეგ ნახეს, რომ მიმინო და ხოხობი წყაროში ჩავარდნილიყვნენ და ჩათუთქულიყვნენ. მიმინო, თურმე, ისეთი სისწრაფით დასცემოდა ხოხობს, რომ ჰაერში თავი ვეღარ შეემაგრებინა და ბრჟყალებში მომწყვდეული ხოხბით ცხელ წყაროში ჩავარდნილიყო. ეს არე-მარე მეფემ კარგად დაათვალიერა და ნახა, რომ ამ მშვენიერ ადგილას იყო მრავალი წყარო: გრილი, თბილი და ცხელიც. მეფეს მოახსენეს, რომ ამ წყაროებს სამკურნალო თვისებები უნდა ჰქონდესო. ვახტანგს მოეწონა წყაროები და მათი ადგილ-მდებარეობაც. დაიწყო ქალაქის აშენება და მას, თბილი წყლების გამო, სახელად თბილისი უწოდაო.

ხალხში დარჩენილ თქმულებას მაშინ აქვს მეცნიერული ღირებულება, როცა იგი სხვა მასალებითაც დასტურდება. ზოგი რამ ამ თქმულებაშიც არის სწორი, მაგრამ თბილისის გაშენება რომ მხოლოდ ვახტანგ გორგასალის დროს დაიწყო, ეს, რა თქმა უნდა, სწორი არაა. ჩვენ უკვე ვიცით, რომ თბილისის მიდამოებში უხსოვარ დროიდან ხალხი ცხოვრობდა და, რომ IV საუკუნის მეორე ნახევარში (ე. ი. ვახტანგის გამეფებამდე ერთი საუკუნით ადრე) ის უკვე ციხე-ქალაქადაც კი ითვლებოდა.

მაშასადამე, არა თუ თქმულება, არამედ ის ისტორიკოსებიც არ არიან მართალნი, რომელნიც თბილისის დაარსებას ვახტანგ გორგასალს მიაწერენ.

მაგრამ რა ცნობებს გვაწვდის ძველი ქართული საისტორიო მწერლობა ჩვენთვის საინტერესო საკითხზე?

ვახტანგ გორგასალის ცხოვრების აღმწერი, XI ს. ისტორიკოსი, ჯუანშერი მოგვითხრობს: „ვახტანგ მეფე აშენებნ ქალაქსა ტფილისისა, საფუძველი ოდენ დაედვა“, ე. ი. ვახტანგ მეფე ქალაქ თბილისს აშენებდა და მხოლოდ საფუძვლის ჩაყრა მოასწრო. ამ ცნობაში ლაპარაკია არა ქალაქის საფუძვლის ჩაყრაზე, როგორც ზოგი ისტორიკოსი ვარაუდობს, არამედ თბილისის იმ ნაწილის, სადაც საკუთრივ ქალაქი იყო, კიდევ უფრო დასახლებასა და გაშენებაზე.

თბილისის ამ ნაწილს, როგორც იმავე ისტორიკოსის მოთხრობიდან ჩანს, ზღუდე (კედლები) არ ჰქონია და როცა ისტორიკოსიც საფუძვლის ჩაყრაზე ლაპარაკობს, მას სწორედ ეს ზღუდე (ქალაქის კედლები) აქვს მხედველობაში. ამას გარდა, ვახტანგ გორგასალს განზრახული ჰქონია სატახტო ქალაქად ამიერიდან თბილისი გაეხადა. პოლიტიკური ცენტრი მცხეთიდან თბილისში უნდა გადმოსულიყო. ეს კი ქალაქში ახალ ნაგებობათა აშენებას (მეფის სასახლე და სხვ.) მოითხოვდა. ამრიგად, მეფეს რეზიდენცია რომ თბილისში გადმოეტანა, წინასწარ დიდი მშენებლობა უნდა ჩაეტარებინა. მაგრამ შემდეგ, გართულებულ საგარეო პირობათა წყალობით (ამ დროს ვახტანგი სპარსეთის მეფის წინააღმდეგ იწყებს ბრძოლას), ქალაქის ახალი მნიშვნელოვანი ნაგებობების მხოლოდ საფუძვლის ჩაყრა მოასწრო. იგი 502 წ. სპარსეთის წინააღმდეგ ბრძოლის დროს მოკლულ იქნა.

ვახტანგ გორგასალის მიერ დაწყებული საქმის გაგრძელება და დასრულება, მეფის ანდერძისამებრ, მისმა მემკვიდრემ დაჩიმ შესძლო.

ვახტანგ გორგასალის ისტორიკოსი მოგვითხრობს: „ამან, დაჩი მეფემან, შემდგომად სიკუდილისა ვახტანგისა... განასრულნა ზღუდენი ტფილისისანი და ვითა ებრძანა ვახტანგს, იგი შექმნა სახლად სამეფოდ... მეფემან (ქართლის კათალიკოსს) მიათუალა მცხეთა, რამეთუ ეგრე ებრძანა მეფესა ვახტანგს.“ ამ ცნობიდან კარგად ჩანს, როგორც ვახტანგ გორგასალის სურვილები, ასევე მისი შვილის დაჩის ღვაწლიც თბილისის სატახტო ქალაქად გადაქცევის საქმეში.

როგორც ვხედავთ, დაჩიმ ვახტანგის მიერ საფუძველჩაყრილი ქალაქის ზღუდე (კედლები) დაასრულა და რეზიდენცია, ვახტანგის

ანდერძისამებრ, მცხეთიდან თბილისში გადმოიტანა. მცხეთა კიდევ, ქართლის უმაღლეს საეკლესიო ხელისუფალს — კათალიკოზს — მისცა („მიათვალა") საჯდომად.

თბილისში ქართლის მეფის ხელისუფლების გადმოსვლამ იგი კიდევ უფრო გააძლიერა, აქ ახალი მოსახლეობა მოაწყდა.

ერთი ძველი საისტორიო თხზულების მიხედვით, დაჩის მეფობის დროს (VI საუკ. დამდეგი) „ტფილის კაცნი დასხდებოდეს", ე. ი. თბილისში მოსახლეობა მრავლდებოდა. თბილისის ეკონომიური გაძლიერება და აქ მოსახლეობის გამრავლება ხდება დაკნინება-დაქვეითების გზაზე შემდგარი მონათმფლობელური ხანის ქალაქების, განსაკუთრებით კი, მცხეთის ხარჯზე.

ახალმა ფეოდალურმა კლასმა, აზნაურობამ, საუკუნოვანი ბრძოლის შემდეგ, VI საუკუნის დამდეგს, ქართლში პოლიტიკური ბატონობაც მოიპოვა: ძველი, მონათმფლობელთა ძალაზე დამყარებული მეფის ხელისუფლება გაუქმდა და მთელი ძალაუფლება აზნაურების ხელში გადავიდა. ამიერიდან თბილისი გამარჯვებული ფეოდალური კლასის ხელისუფალთა (ერისმთავართა) რეზიდენცია გახდა. ეს დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო ახალი ფეოდალური ტიპის ქალაქის, თბილისის, არა მარტო პოლიტიკური გაძლიერებისათვის, არამედ მისი შემდგომი ეკონომიური დაწინაურებისათვისაც. მას უკვე ძველი, მონათმფლობელური ქალაქი — მცხეთა, კონკურენციას ვერ გაუწევდა. მართლაც, მცხეთამ პოლიტიკურ პირველობასთან ერთად ეკონომიური უპირატესობაც თანდათან დაჰკარგა.

ეს კარგად ჩანს ძველი ისტორიკოსების ცნობებიდანაც. ჩვენს უძველეს მატიანეში ნათქვამია: „მაშინ (523 წ. მეფობის გაუქმების შემდეგ) მცხეთა ათხელდებოდა და ტფილისი ეშენებოდა, არმაზნი შემცირდებოდეს და კალა განდიდნებოდა".

ამ ცნობიდან ირკვევა, რომ მცხეთაში მოსახლეობა მცირდებოდა („ათხელდებოდა"), თბილისში კიდევ მრავლდებოდა („ეშენებოდა"). ამასთან ერთად, მცხეთის ციხე არმაზმაც დაჰკარგა თავისი ძველი მნიშვნელობა. მას შემდეგ, რაც ქართლის ახალი ხელისუფალი თბილისის ციხეში, კალაში დაჯდა, მცხეთის ციხის, არმაზის, მნიშვნელობა შემცირდა, იქ უკვე ქართლის მეფე აღარ იჯდა. ასე რომ, თბილისი ეკონომიურად, უმთავრესად მცხეთის ხარჯზე გაზრდილა; თბილისის ციხეს, კალას, კი პოლიტიკური უპირატესობა მცხეთის ციხე არმაზის ხარჯზე მოუპოვებია.

ამრიგად, ქართული წყაროების მიხედვით დასტურდება, რომ

VI საუკუნის დამდეგიდან თბილისი საქართველოს პოლიტიკური და კულტურული ცხოვრებისა და მისი უდიდესი სავაჭრო-სახელოსნო ცენტრი გახდა.

ამასვე ამტკიცებენ უცხოური წყاროებიც. VI საუკუნის მეორე ნახევრის ბიზანტიელი ისტორიკოსი, თეოფანე, ბიზანტია-ირანს შორის 571 წ. განახლებული ომის აღწერისას, სხვათა შორის, აღნიშნავს: „სომხებმა მოკლეს (მარზპანი) სურენა, გადაუდგნენ სპარსელებს და მიემხრენ რომაელებს... სპარსელებს მაშინვე გაუდგნენ იბერებიც (ქართველებიც) და მიემხრენ რომაელებს; მათ (ქართველებს) მთავრობდა გორგენი, ხოლო ი ბ ე რ თ ა დ ე დ ა ქ ა ლ ა ქ ი მ ა შ ი ნ ტ ი ფ ი ლ ი ს ი ი ყ ო“. ესაა უძველესი ცნობა, სადაც ჩვენი თბილისი იხსენიება.

როგორც ვხედავთ, უკვე უცხოელებმაც იცოდნენ, რომ VI საუკუნისათვის ქართველების მთავარი ქალაქი — დედაქალაქი, თბილისი იყო.

ყოველივე ზემოთქმულს რომ თავი მოვუყაროთ, შემდეგ დასკვნას მივიღებთ: თბილისი და მისი მიდამოები უძველეს დროიდან დასახლებული ყოფილა. მოსახლეობა თბილისში თანდათან გამრავლდა და III საუკუნისათვის, ახალი წელთაღრიცხვით, იგი უკვე მჭიდროდ უნდა ყოფილიყო დასახლებული. მჭიდროდ დასახლებული თბილისი IV საუკ. მეორე ნახევარში ციხე-ქალაქად გადაიქცა. ამ დროიდან მისი მნიშვნელობა უფრო გაიზარდა და მალე ფეოდალური ქალაქის სახე მიიღო. ვახტანგ გორგასალმა, V საუკ. შუა წლებიდან, სპარსელების მიერ არა ერთხელ აოხრებული ქალაქის აღდგენა დაიწყო და მის სატახტო ქალაქად გადაქცევასაც საფუძველი ჩაუყარა.

მხოლოდ VI საუკუნის დასაწყისს გახდა თბილისი ქართლის არა მარტო ეკონომიური, არამედ პოლიტიკური ცენტრიც. VI საუკ. გამარჯვებული ფეოდალური კლასის პოლიტიკური მესვეურნი თბილისში მკვიდრდებიან.

ამით დავამთავროთ ქალაქის წარმოშობის შესახებ საუბარი და ახლა ორიოდე სიტყვით შევეხოთ იმას, თუ რატომ უნდა დარქმეოდა მას სახელად „თბილისი“.

ამ საკითხს არა ერთი ქართველი და უცხოელი მეცნიერი შეხებია. ზოგი მეცნიერის აზრით, ქალაქის სახელი „თ ბ ი ლ ი ს ი“ ქართველთა უძველესი წინაპრების, „თუბალების“, სატომო სახელისაგან წარმოდგა. ამგვარი მტკიცების მიხედვით, თუბალების

თუ თობლების მთავარ ქალაქს „თუბალ-ისი“, „თობელისი“, ანუ „თბილ-ისი“ შეერქვა. ზოგი მკვლევარი კიდევ, ებრაელთა უძველეს საისტორიო წიგნში — „ბიბლიაში“, ანუ „დაბადებაში“ მოხსენებულ „თობელს“ ქალაქის სახელწოდებად მიიჩნევდა და მას თბილისთან აიგივებდა. ასე რომ ამ მეცნიერთა მიერ თბილისი უძველეს ქალაქად იყო მიჩნეული.

ქალაქის სახელწოდების ამგვარად ახსნა რაღაც ხელოვნური ჩანს. უფრო ბუნებრივი იქნებოდა გვეფიქრა, რომ ქალაქს სახელწოდება იმ თ ბ ი ლ ი წყაროებისაგან მიუღია, რომლითაც ეს ადგილი განთქმული იყო.

ძველი თბილისი იმ ადგილას მდებარეობდა, რომელსაც ახლა „აბანოს უბანს“ ეძახიან და სადაც, როგორც აღვნიშნეთ, თბილი და ცხელი გოგირდის წყაროები ამოდის. „თბილისი“ ქალაქს, როგორც ეს ზემომოყვანილ ლეგენდაშიც იყო აღნიშნული, ამ თბილი წყაროების გამო შეერქვა. ძველად „თბილის“ ნაცვლად „ტფილი“ ითქმოდა, ამიტომაც ამბობდნენ და წერდნენ თბილისის მაგიერ „ტფილისს“.

აღსანიშნავია, რომ ყველა ქართველი ტომი (ქართველობას შეადგენენ ქართები, მეგრელ-ჭანები და სვანები) როდი უწოდებს ჩვენს დედაქალაქს თბილისს. ორი მათგანი, კერძოდ, დასავლურ-ქართული ტომები, მეგრელები და სვანები, მას „ქ ა რ თ ს“ ეძახიან. ეს მეტად საინტერესო სახელი ჩანს. „ქ ა რ თ ი“, ისე როგორც „ქ ა რ თ-ლი“, ქ ა რ თ-ველი, სა-ქ ა რ თ-ველო, ე. ი. ქვეყნის, მისი დედაქალაქისა და მცხოვრებთა აღმნიშვნელი სიტყვები, „ქართ“ ძირისაგან წარმოდგება. „ქართი“ კი ჩვენ მეცნიერებს ქართველ ტომთა სამშობლოს უძველეს სახელწოდებად მიაჩნიათ. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ „ქართლი“, ანუ, მეგრული გამოთქმით, „ქართი,“ ძველი ქართული საისტორიო წყაროების მიხედვით ერქვა ქართველთა უძველეს, მცხეთაზე უფრო ადრინდელ ციხე-ქალაქს, შემდეგ დროინდელ არმაზ-ციხეს, როგორც ვხედავთ, დასავლელ ქართველებს, მეგრელებსა და სვანებს, ახალი დედაქალაქისათვის, თბილისისათვის, ძველისძველი ციხე-ქალაქის სახელი უწოდებიათ.

თ ა ვ ი II

თბილისის თავგადასავალი

1. თბილისი V-VI საუკუნეებში

თბილისმა, როგორც მნიშვნელოვანმა სამხედრო-სტრატეგიულმა პუნქტმა, ადრევე მიიქცია ქართლის დაპყრობისათვის მებრძოლთა ყურადღება. როგორც აღვნიშნეთ, ჯერ კიდევ IV საუკუნის დასასრულს აქ სპარსელი მოხელე პიტიახში დაჯდა. ხოლო მას შემდეგ, რაც თბილისი ქართლის დედაქალაქი გახდა, ის კიდევ უფრო მეტად იზიდავდა საქართველოს დამონებისათვის მებრძოლ გარეშე ძალების ყურადღებას. თუ კი მოძალადე ძლიერი იყო, თბილისში მტკიცედ გამაგრებას ფიქრობდა, რომ აქ ფეხმოკიდებულს საქართველოს ყოველ კუთხეზე განეხორციელებინა თავისი ძალმომრეობა, მაგრამ თუ საამისო ძალა არ აღმოაჩნდებოდა, მტერი ქალაქის სრულ მოსპობას ისახავდა მიზნად.

არა ერთხელ აუოხრებიათ მოძალადეებს თბილისი, მაგრამ მრავალჯერ დანგრეული ქალაქი, ქართველი ხალხის დიდი სიყვარულითა და ზრუნვით მოსილი, ხელახლა ცოცხლდებოდა და ხელახლა მტკიცედ დგებოდა ფეხზე.

ქართველმა ხალხმა თავისი დიდი სიყვარული დედაქალაქისადმი ლექსადაც გამოთქვა:

„ნეტარ ქება როგორ ითქმის ამ თბილის ქალაქისაო,
ზამთარი არის ბროლისა, ზაფხული ხურმუხტისაო,
გარს აბევია ბაღები, ჩარხი უბრუნავს წყლისაო“...

ასე აღფრთოვანებით უმღეროდნენ ხალხური პოეტები თბილისს.

მდიდარი და მრავალფეროვანია თბილისის თავგადასავალი, მისი წარსული, რომლის ძირითადი მომენტების მოთხრობაზედაც ჩვენ ამჟამად გადავდივართ.

V საუკუნიდან სპარსელები ამიერკავკასიაში სულ უფრო და

უფრო იკიდებდნენ ფეხს. ჯერ მათ სომხეთი დაიპყრეს, შემდეგ საქართველოსაც წვდნენ და თანდათან გაბატონდნენ კიდევაც.

IV საუკ. დასასრულიდან ქართლმა ხარკიც კი იკისრა სპარსელთა სასარგებლოდ. ამის შემდეგ არ გასულა დიდი ხანი, რომ სპარსელებმა აღმოსავლეთ საქართველოში ადგილობრივ წარჩინებულთა, აზნაურთა დახმარებით მეფობაც გააუქმეს და ახალი მოხელე გამოგზავნეს. ეს მოხდა 523 წელს. ამ ახალ სპარსელ მოხელეს, ქართლის უზენაეს ხელისუფალს, მარზპანი* ეწოდებოდა. მარზპანი უკვე გაძლიერებულ თბილისში დაჯდა და აქედან მართავდა მთელ ქართლს. ქართველებს, კერძოდ მის ერთს ნაწილს, აზნაურებს, მხოლოდ შინაური მართვა-გამგეობა ჰქონდათ მინდობილი. ისინი მარზპანს შველოდნენ და მასთან შეხმატკბილებულად მოქმედებდნენ.

სპარსელებმა დიდხანს ვერ იბოგინეს ქართლსა და მის დედაქალაქში. მალე ქართლის აზნაურებსა და სპარსელებს შორის ხიდი ჩატყდა. აზნაურები ვერ შეეგუენ ქართლში სპარსელების მმართველობისა და ხარკის სიმძიმეს. მათ თავიანთი ახალი ხელისუფალი გაიჩინეს. ქართლში ერისმთავრობა დაწესდა. ერისმთავარი ადგილობრივი ფეოდალური კლასის ხელისუფალი იყო. ქართლის ერისმთავრებიც თბილისში იჯდნენ. ისინი აქ ჭრიდნენ საკუთარ ფულს ქართული წარწერით. ქართლის ერისმთავრები ყოველნაირად ზრუნავდნენ თბილისის შემდგომი აყვავებისათვის. VI—VII საუკ. მიჯნაზე აქ აშენდა დიდებული კათედრალური ტაძარი, თბილისის „სიონი.“ ასე რომ, თუმცა თბილისში მარზპანი იჯდა, ქალაქი მაინც ქართული კულტურის მნიშვნელოვანი ცენტრი იყო.

ამრიგად, აზნაურები სპარსელებს გადაუდგნენ, სპარსელების წინააღმდეგ დაწყებულ სახალხო მოძრაობას მიემხრენ და ამ მოძრაობის მეთაურებიც გახდნენ.

ნელ-ნელა დაიწყო ქართლის განთავისუფლება სპარსელებისაგან. VI საუკუნის დამლევისათვის ქართლის დიდმა ნაწილმა უკვე გადაიგდო სპარსელების ბატონობის უღელი. მაგრამ სპარსელები ჯერ კიდევ თბილისის ციხეში იყვნენ გამაგრებულნი და ამ მნიშვნელოვან პუნქტს ადვილად არ თმობდნენ.

VII საუკ. დამდეგს სპარსელებს საგარეო მდგომარეობა გაურთულდათ. ბიზანტიის ამდროინდელმა იმპერატორმა ჰერაკლემ არა ერ-

---

* „მარზპანი“ სპარსული სიტყვაა და „ოლქის მმართველს“ ნიშნავს.

თხელ დაამარცხა სპარსეთის შაჰი ხოსრო და მისი სახელმწიფოც განადგურების პირამდე მიიყვანა. ჰერაკლემ განიზრახა სპარსეთისათვის ჯერ ჩრდილოეთის პროვინციები ჩამოეცილებინა, და ამ მიზნით 614 წ. სომხეთს შეესია, შემდეგ სხვა პროვინციებიც დალაშქრა და ყველა ამათგან უსიტყვო მორჩილება მოითხოვა. ხოლო ვინც მას არ მიემხრობოდა და ურჩობას გამოიჩენდა, ბიზანტიის კეისარი სამაგალითო დასჯით იმუქრებოდა.

ჰერაკლე კეისარმა სპარსეთისა და მის მიერ დაპყრობილ პროვინციათა წინააღმდეგ ბრძოლაში მოკავშირედ ხაზარები* გაიჩინა.

ჰერაკლე კეისარმა ქართლის დედაქალაქის თბილისის დასჯაც მოიწადინა და იგი თავისი ლაშქრით ქართველებისა და სპარსელების მიერ გამაგრებულ თბილისის კედლებთან დაბანაკდა.

აქ მას მოკავშირე ხაზარებიც მოუვიდა; ხაზარებს ჯიბღუ ხაკანი და მისი შვილი შათი მოუძღოდნენ. კეისარმა პატივით მიიღო მოკავშირე. მას და მისი ლაშქრის მეთაურებს მრავალგვარი მდიდარი საჩუქარი უძღვნა; ხაკანის ახალგაზრდა შვილს კი, თავისი მშვენიერი ასულის ევდოკიას სურათი უჩვენა და ცოლად მიცემას შეჰპირდა. 19 წლის შათი ამ დაპირებამ კიდევ უფრო წაახალისა და კეისრის ერთგული მოკავშირე გახადა.

დიდხანს ებრძოდნენ ქართველები თბილისს შემოწყობილ ბიზანტია-ხაზარების ლაშქარს. ამ ბრძოლას ქართლის იმდროინდელი ერისმთავარი სტეფანოზი მეთაურობდა. ქართველი ისტორიკოსის ჯუანშერის სიტყვით, სტეფანოზი, უშიშარი მებრძოლი, ყოველდღე ქალაქის კარებთან უმართავდა ბრძოლას ჰერაკლესა და ჯიბღუ ხაკანის ლაშქარს. მაგრამ ერთ-ერთ ბრძოლაში სტეფანოზი მოჰკლეს. ამის შემდეგ მტერს შესაძლებლობა მიეცა ქალაქს შესულიყო. ჰერაკლემ თბილისის ერთი ნაწილი აიღო. მაგრამ თბილისის ციხე, კალა, არ ნებდებოდა. ციხეში გამაგრებულ ქართველ და სპარსელ მეომრებს სპარსელი ციხისთავი და ქალაქის ადგილობრივი მკვიდრი, ქართველ მთავართა შთამომავალი, მეთაურობდნენ. ციხეში გამაგრებულნი თავდადებით იბრძოდნენ მოზღვავებული მტრის წინააღმდეგ. გაიგო თუ არა სპარსეთის შაჰმა, რომ ორი სახელმწიფოს ლაშქარი იბრძოდა თბილისის წინააღმდეგ, გადაწყვიტა ქალაქის თავდადებულ დამცველთათვის ჯარი მიეშველებინა.

---

* ხაზარების სამეფო ჩრდილო კავკასიაში იყო და მდ. ვოლგიდან აზოვის ზღვამდე ვრცელდებოდა. მათი სამეფოს მეთაური ხ ა კ ა ნ ი ს ტიტულს ატარებდა.

ციხის იერიშით აღებამდე მოუვიდათ მეციხოვნეებს 1000 რჩეული მხედარი. ქალაქის მკვიდრნი მაშველი ჯარის დანახვაზე კიდევ უფრო გამხნევდნენ და ამ დიდ განსაცდელს თამამად თვალს უსწორებდნენ. რა ხერხი არ უხმარიათ ბიზანტიელებსა და ხაზარებს: ოთხთვლიანი ქვის სასროლი მანქანებით (ფილაკვნებით) უზარმაზარ ლოდებს ესროდნენ ციხის კედლებსა და ანგრევდნენ მას. ამის გარდა, ქვითა და ქვიშით გატენილ ნავტიკებს ჰყრიდნენ თურმე მტკვარში, მტკვარს აგუბებდნენ და ქალაქში უშვებდნენ. „მიუხედავად ამისა, — მოგვითხრობს სომეხი ისტორიკოსი მოსე კალანკატუელი, — ციხის დამცველნი იდგნენ უშიშრად, ურთიერთს ამხნევებდნენ, მტრების მიერ დანგრეულ კედლებს ხელახლა აშენებდნენ და ამაგრებდნენ“. ბიზანტიელთა და ხაზართა ლაშქარი მოიქანცა, მისი მნიშვნელოვანი ნაწილი კი დაიღუპა ბრძოლაში. თბილისის ციხის ასაღებად ბრძოლა ამაო ჩანდა. კეისარმა და ხაკანმა თათბირი გამართეს და ამჯერად თბილის ციხისათვის ბრძოლაზე ხელის აღება გადაწყვიტეს.

ამგვარმა გადაწყვეტილებამ ქალაქის დამცველები კიდევ უფრო გაათამამა და მათ კეისარსა და ხაკანს დაცინვა დაუწყეს. მოიტანეს უზარმაზარი გოგრა, გამოსახეს ხაზართა მთავრის სახე, წამწამების მაგიერ რამდენიმე მოკრილი ტოტი გაუკეთეს, წვერის ადგილი გაატიტვლეს, ნესტოები წყრთის სიგანისა გამოუკრეს და მტრის პირდაპირ ციხის კედელზე დადვეს. ლახვრებით ჩხვლეტდნენ ჯიბღუსადმი მიმსგავსებულ გოგრას და თან ყვიროდნენ: „აი, თქვენი ხელმწიფე, თაყვანი ეცით მას, ეს ჯიბღუ ხაკანია.“

ასევე ყბად აიღეს ჰერაკლე კეისარი. მეციხოვნენი ციხის გალავანზე გადმოდგებოდნენ ხოლმე და ბიზანტიელებს გასძახებდნენ: თქვენს მეფეს თხის წვერი ასხია და ვაცის კისერი აქვსო. ამის გამგონე კეისარი და ხაკანი მძვინვარებდნენ, ჯავრს გულში იკლავდნენ და იმუქრებოდნენ.

მაგრამ ამჟამად ბრძოლის გაგრძელებაზე მაინც ხელი აიღეს. ჰერაკლემ სპარსეთში გალაშქრება გადაწყვიტა, ხაზართა ხაკანი კი თავის ქვეყანაში დაბრუნდა. თბილისში მან თავისი შვილი, შათი, დატოვა. ეს მოხდა 626 წ. შათის დაეკავა თბილისის ციხის აღება და მოქალაქეთა სამაგალითოდ დასჯა. შათიმ ბრძოლა ციხის ასაღებად მეორე წელს დაიწყო. სომეხ ისტორიკოსის სიტყვით, მოძალადე ხაზარებს აქ ამჟამად ვერ დაუხვდნენ თბილისის ციხის დამცველი წინანდელი ვაჟკაცები. შათიმ ამით ისარგებლა,

გარს შემოერტყა ციხეს და ბრძოლით შეავიწროვა მოქალაქენი. ისინი მაინც არ ნებდებოდნენ. ორი თვე თავგანწირვით იბრძოდნენ მეციხოვნენი. ბოლოს ხაზარები მიესიენენ ციხის კედლებს და იერიშით აიღეს იგი. დაუნდობლად გაუსწორდნენ ციხის დამცველებს, ისინი ერთიანად ამოწყვიტეს. ზოგი გადარჩენილი თავშესაფარს ვეღარ პოულობდა — ხაზარები ,,ალიასავით მოედვნენ ქალაქის ყოველ კუთხეს. არც ქალები და ბავშვები დაინდვეს: „დედათა ოხვრა და გმინვა ისმოდა ისე, — მოგვითხრობს სომეხი ისტორიკოსი, — როგორც ურიცხვ ცხვრის ფარას ბღავილი. მათ ფეხდაფეხ მისდევდნენ უწყალო მკვლელნი, რომელთა ხელები რუს მსგავსად ადენდნენ სისხლსა და რომელთა ფეხნი სპყლეტდნენ წაქცეულთა გვამებს. როდესაც შეწყდა ხმაურობა, გმინვა და კვნესა, და როცა აღარც ერთი აღარ დარჩა ცოცხლად, მაშინ ცნეს მტრებმა, რომ მათი მახვილები გაძღნენ სისხლის ღვრით“. ამის შემდეგ ხაზარებმა უპატრონოდ დარჩენილი ქალაქის ძარცვას მიჰყვეს ხელი.

ხაზარებმა ქალაქის დაცვის მეთაურნი, სპარსელი ციხისთავი და ერთი თბილისელი ქართველი, შეიპყრეს და ჯავრის ამოსაყრელად კეისარს მიჰგვარეს. კეისარმა მათი სამაგალითოდ დასჯა ბრძანა. ტყვეებს ჯერ თვალები დასთხარეს, რაკი მათ ხაკანის გამოსაჯავრებლად მისი სურათი დიდ გოგრაზე უთვალებოდ გამოსახეს. შემდეგ კიდევ ცოცხლად ტყავი გააძრეს, გამოქნილი ტყავი თივით გატენეს და ციხის კედელზე ჩამოკიდეს.

ასე დამთავრდა 627 წელს თბილისის მოქალაქეთა და სპარსელთა ბრძოლა ბიზანტიის კეისრისა და ხაზართა ხაკანის წინააღმდეგ.

თბილისის აღების შემდეგ ჰერაკლე კეისარმა ქართლის სხვა ქალაქებშიც გაგზავნა მოლაშქრეები და ყველგან სისხლის გუბეები დააყენა. ამრიგად, VII საუკ. ოცდაათიან წლებში ქართლი ბიზანტიის ხელში გადავიდა და აქ ბიზანტიური გავლენა დამყარდა. მაგრამ თბილისი ბიზანტიელთა ხელში არ ყოფილა. როგორც ქართველი ისტორიკოსი მოგვითხრობს, ჰერაკლე კეისარმა თბილისი ქართლის ერისმთავარს გადასცა, მასთან მშვიდობიანი ურთიერთობა დაამყარა და მისგან მხოლოდ სამხედრო სამსახურსა და ერთგულებას მოითხოვდა. კეისარი თბილისისა და საერთოდ ქართველების შინაურ საქმეებში არ ერეოდა.

2. თბილისი მაჰმადიან მფლობელთა ხელში

ბიზანტიის კეისარმა დიდხანს ვერ ისარგებლა თავისი გამარჯვებით. სამხრეთიდან უკვე მოდიოდა მრისხანე ძალა — არაბები, რომელნიც მთელ მსოფლიოს დაპყრობით დაემუქრნენ. ბიზანტიას ამიერიდან საქართველოსათვის აღარ ეცალა და იგი ამ ახალი ძალის გამკლავებაზე ზრუნავდა.

არაბთა ერთ-ერთი საგვარეულოს წარმომადგენელმა, მუჰამადმა, VII საუკ. დამდეგს არაბეთის ნახევარკუნძულზე მოსახლე სხვადასხვა დაქსაქსული ტომები გააერთიანა და საფუძველი ჩაუყარა ერთიან არაბულ სახელმწიფოს. გაძლიერებულმა არაბებმა მოკლე ხანში შესძლეს სირიის, პალესტინისა და ირანის დაპყრობა. ამის შემდეგ არაბებს გზა ხსნილი ჰქონდათ ჩვენი ქვეყნისაკენ. VII საუკ. ორმოციან წლებში მათი პირველი რაზმები ჯერ სომხეთის, ხოლო შემდეგ საქართველოს საზღვრებსაც მოადგნენ.

ამავე საუკუნის შუა წლებში არაბები კიდევ უფრო გაძლიერდნენ და 654 წ. ქართლის ერისმთავარი იძულებული გახდა საარაბო ხარკი ეკისრა. მიუხედავად ამისა, არაბებმა მთელი საუკუნის განმავლობაში, საქართველოში ფეხი ვერ მოიკიდეს. ასევე ვერ შესძლეს მათ ამ ხნის განმავლობაში თბილისის დაპყრობაც. თბილისი ისევ ქართლის ერისმთავარს ეკუთვნოდა.

არაბები თბილისზე თავიანთ გავლენას მხოლოდ VIII საუკ. დამდეგისათვის ავრცელებენ. ჯერ აქ ფულის მოჭრა დაიწყეს (პირველი არაბული ფული თბილისში 705 წელს მოჭრეს), ხოლო შემდეგ თბილისში დამკვიდრებასაც შეეცადნენ. მაგრამ ქართველი ხალხი მაჰმადიან დამპყრობლებს ასე ადვილად არ დაუთმობდა საყვარელ დედაქალაქს. ამიტომ ქართველებს მოძალადეებმა სასტიკი სასჯელი გადაუწყვიტეს; ქვეყნის ასაოხრებლად და დაუმორჩილებელი ქართველების დასასჯელად არაბთა ხალიფამ აქ გამოგზავნა საშინელი შურისმაძიებელი მურვან-ყრუ დიდი ლაშქრით. მურვანმა სასტიკად ააოხრა აღმოსავლეთი და დასავლეთი საქართველო. მან მრავალი ქალაქი და სოფელი საფუძვლითურთ დაანგრია. მურვანის 736—738 წლების ლაშქრობათა შედეგად, მოგვითხრობს ისტორიკოსი, საქართველო ისე იყო აოხრებული, რომ არც ნაშენები რამე დარჩა და არც კაცთა და პირუტყვთა საპმელიო. მურვანის შემდეგაც, თუმცა გასულა „ჟამნი მრავალნი მშვიდობით“, ქვეყანა მაინც ვერ გამობრუნებულა.

მართალია ქ. თბილისი მურვანის ლაშქრობას გადაურჩა, მაგრამ მან დროებით მაინც გასტეხა ქართველთა წინააღმდეგობის უნარი და დასაბამი მისცა არაბთა ბატონობის დამყარებას ქართლში. ამ დროიდან ისინი თბილისშიც მტკიცედ დამკვიდრდნენ. ამიერიდან თბილისი ქართლის მმართველი არაბი მოხელის — ა მ ი რ ა ს — (ასე უწოდებდნენ არაბები მათ მიერ დაპყრობილ პროვინციათა გამგებლებს) სარეზიდენციო ქალაქი გახდა.

ამრიგად, VIII საუკუნის 30-ანი წლების დასასრულიდან თბილისი მაჰმადიან მფლობელთა ხელში გადავიდა. მაგრამ აქ ჯერ კიდევ ქართლის ერისმთავარიც იყო. ქართლის ერისმთავარი თბილისში IX საუკუნის დამდეგამდე იჯდა, სანამ არაბებმა ამ ქართველი მოხელის ხელისუფლება საესებით არ გააუქმეს.

არაბთა გარდა, სიმდიდრით სახელგანთქმულ თბილისს სხვა მტრებიც არ უსვენებდნენ. ხაზარებმა მეორედ მოიწადინეს ქალაქის გაძარცვა და 764 წ. თბილისს შეესიენ. აი, რას მოგვითხრობს ქართველი ისტორიკოსი ხაზართა იმდროინდელი ლაშქრობის მიზეზების შესახებ: ქართლის ერისმთავარს, ჯუანშერს, სილამაზით განთქმული და ჰყოლია. მას შ უ შ ა ნ ი ერქვა. შუშანის სილამაზის შესახებ ხმამ ხაზართა ხაკანის ყურამდეც მიაღწია და ხაზარეთის მბრძანებელმა მისი ცოლად შერთვა გადაწყვიტა. ხაკანმა ქართლის ერისმთავარს მოციქული გამოუგზავნა — შუშანი ცოლად სთხოვა, ხოლო სამაგიეროდ, არაბების წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარება აღუთქვა. ჯუანშერი და მისი დედა უარზე დადგნენ — არ გვინდა ხაზარების დახმარება, უმჯობესი იქნება ჩვენი ქვეყნიდან გადავიხვეწოთ, ვიდრე ხაზართა წარმართ ხაკანს შუშანი მივათხოვოთო. ხელცარიელი მოციქული უკან დაბრუნდა და ყველაფერი თავის მბრძანებელს მოახსენა. ხაკანმა ამაყი ერისთავის დასჯა და შუშანის ძალით ხელში ჩაგდება გადაწყვიტა. სამი წლის შემდეგ გაგულისებულმა ხაკანმა ქართლში თავისი სარდალი გამოგზავნა დიდი ლაშქრით. სარდალი, რომელსაც ქართველი ისტორიკოსი ბლუჩანს უწოდებს, კახეთში შემოიჭრა. აქ ერთ-ერთ ციხეში ჯუანშერი და შუშანი იდგნენ. რამდენიმე დღის ბრძოლის შემდეგ ბლუჩანმა ციხე აიღო, ჯუანშერი და შუშანი შეიპყრო, შემდეგ ქართლს გადმოვიდა, ქვეყანა ააოხრა და თბილისი გაძარცვა. გამარჯვებული სარდალი დარიალის გზით უკან გაბრუნდა.

შუშანს გადაწყვეტილი ჰქონდა მოძალადეს მაინც არ დანებებოდა. გზაზე მან ბეჭდის თვალი ამოაგდო, მის ქვეშ საწამლავი

ჰქონდა, მოწოვა იგი და თავი მოიკლა. ბლუჩანმა ხაკანს მარტო ჯუანშერი მიჰგვარა და მისი დის გზაზე თავის მოკვლის შესახებაც მოახსენა. ხაკანი გაუწყრა სარდალს — რატომ შუშანის გვამი არ მოიტანე, რომ გარდაცვლილის სილამაზე მაინც მეხილაო. ხაკანმა უყურადღებო ბლუჩანის დასჯა ბრძანა. მას კისერზე თოკი გამოაბეს, აქეთ-იქით ორ ცხენოსანს გააწევინეს და თავი მოსწყვიტეს.

ამ მოთხრობის მიხედვით, ხაზართა მიერ თბილისის აოხრების ბიზეზი სილამაზით სახელგანთქმული შუშანი იყო. ნამდვილად კი ხაზარებს თბილისის მათთვის ადრიდანვე ცნობილი სიმდიდრე აინტერესებდათ, შუშანი კი თბილისში ლაშქრობის მოწყობის საბაბად გაიხადეს.

როგორც ვხედავთ, ქართველებს მრავალმხრივ უხდებოდათ ხმლის ქნევა: აქეთ ხაზარებსა და ბიზანტიელებს ებრძოდნენ, ქართლში კიდევ არაბები იყვნენ გაბატონებული და ხალხის მთელი ძალაც ამ უღლის გადაგდებას ეწირებოდა.

ქართველი ხალხის დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის წარმატებას ხელს უწყობდა ის განხეთქილება, რომელიც თვით არაბებს შორის წარმოიშვა. VIII საუკ. დასასრულიდან და IX საუკ. დამდეგიდან დაპყრობილი პროვინციების არაბი მოხელეები, ამირები, განუდგნენ ცენტრს და განზე წევა დაიწყეს. ისინი განცალკევება-დამოუკიდებლობისაკენ მიისწრაფოდნენ, თავიანთ თავს უკვე იმ ადგილების ბატონ-პატრონებად თვლიდნენ, სადაც ისინი ხალიფას მიერ მხოლოდ გამგებლად იყვნენ დანიშნული.

ასეთივე მიდრეკილება გაუჩნდათ IX საუკ. დამდეგიდან თბილისის ამირებსაც. თბილისის ამირა ამ დროიდან თავს თითქმის დამოუკიდებლად გრძნობდა და თბილისსა და მის მიდამოებში მოკრეფილ ხარკს ცენტრში კი არ გზავნიდა, თვით ითვისებდა. ხალიფა ვერ ურიგდებოდა თბილისის ამირას ამგვარ მისწრაფებას და მის მორჩილებაში მოყვანას ცდილობდა. ბრძოლა თბილისის ამირასა და ხალიფას შორის IX საუკ. დამდეგს დაიწყო.

IX საუკ. დამდეგს ამირად თბილისში ალი შუაბის ძე ყოფილა. ხალიფამ ჯერ კიდევ ალის გაუმართა ომი; მაგრამ თბილისის მფლობელსა და ხალიფას შორის ბრძოლამ განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მომდევნო ამირას, საჰაკ (ისაკ) ისმაილის ძის, დროს მიიღო. საჰაკი IX საუკ. ოცდაათიანი წლებისათვის უკვე არ ემორჩილებოდა ხალიფას. ძლიერი ამირა სავსებით დამოუკიდებლად გრძნობდა თავს. ურჩი ამირას დასასჯელად ხალიფა აქ ჯარს ჯარზე გზავნი-

და. IX საუკ. 40-იან წლებში საჰაკის წინააღმდეგ სარდალი ხალიდი მოვიდა. მას ზოგი ქართველი დიდებულიც მიემხრო და არაბთა და ქართველთა ლაშქარმა ერთად შეუტია საჰაკს, მაგრამ იგი მაინც ვერ დაამარცხეს. ვერც ხალიდის შვილმა მოჰმადმა შესძლო თბილისის ამირას მორჩილებაში მოყვანა. თბილისის ამირას კახელები უმაგრებდნენ ზურგს და ხშირად ერთად იბრძოდნენ ხალიფას მიერ გამოგზავნილ სარდალთა წინააღმდეგ. საჰაკის ურჩობა თითქმის თხუთმეტი წელიწადი გაგრძელდა. თბილისის ამირას ურჩობით გამძვინვარებულმა ხალიფა მუთავაქილმა 853 წ. ურიცხვი ჯარი გამოგზავნა და მას მრისხანე ბ უ ღ ა თ ურ ქ ი უთავა. ბუღამ საჰაკის წინააღმდეგ ბრძოლა თბილისიდან დაიწყო, პირველად მისი აღება განიზრახა. ბუღას სისხლისმღვრელი ლაშქრობა დეტალურად აღწერილი აქვთ როგორც ქართველ, ასევე არაბ და სომეხ ისტორიკოსებს. ჩვენც ამ წყაროების მიხედვით მოგითხრობთ მას.

არაბთა ლაშქარი თბილისს აღმოსავლეთის მხრიდან მოადგა და აქ დაბანაკდა. ბუღამ იგი ორ ნაწილად გაჰყო: ერთს აბულ ყაბასი უთავა, მეორეს კი ზირაქი. ამ უკანასკნელმა თბილისს მოედნის მხრიდან შეუტია, ხოლო აბულ ყაბასი კი თბილისის ერთ-ერთ კართან, რომელსაც არაბი ისტორიკოსი რაბადის კარს უწოდებს, დაბანაკდა. თვით ბუღა ქალაქის აღმოსავლეთით მაღალ გორაკზე იდგა და აქედან თვალყურს ადევნებდა მისი სარდლების მოქმედებას. თბილისის ამირა უბრძოლველად არ თმობდა ქალაქს. მან მუდგრად შეუტია ზირაქს. ბუღა ყოველივე ამას კარგად ხედავდა და უფრო მკაცრი ზომების მიღება გადაწყვიტა. ბუღას ბრძანებით ქალაქის წინააღმდეგ ცეცხლმტყორცნელი იარაღები გაგზავნეს. ქალაქის იმდროინდელი თავდაცვითი და სხვა ნაგებობანი უმთავრესად ხისაგან ყოფილა აშენებული, ამიტომაც სწრაფად მოედვა ცეცხლი ზღუდეებს, ერთბაშად ავარდა კვამლი და ალი ქალაქში. როცა საჰაკმა ნახა ცეცხლწაკიდებული კოშკი და მისი მიდამოები, ბრძოლა წაგებულად ჩათვალა და გაქცევით განიზრახა თავის დახსნა. წამოისხა ტყავის ტანსაცმელი, ხელში კვერთხი აიღო და ქალაქის იმ კარებს მიაშურა, საიდანაც გზა გადიოდა ქალაქ სამშვილდისაკენ.

მაგრამ აქ საჰაკს მიუსწრეს, იგი და მისი შვილი ამრიც შეიპყრეს და ბუღას მიჰგვარეს. ქალაქში კი ცეცხლი მძვინვარებდა და ანადგურებდა მის მცხოვრებლებს. ეს ამბავი, ერთი ქართული ცნობის მიხედვით, 853 წ. 5 აგვისტოს მოხდა.

არაბი ისტორიკოსების აღწერით, თბილისის ამირა, საჰაკი, მეტად უშნო კაცი ყოფილა — ჩასუქებული, დიდი მელოტი თავით, რომელზედაც რაღაც მუქი დაღი ჰქონია და ელამი თვალებით. მაგრამ ამ მახინჯ ადამიანს თურმე მეუღლედ ძლიერ ლამაზი, სარარის (ასე უწოდებდნენ არაბები ავარებს) მფლობელის ასული ჰყოლია.

როცა საჰაკის მეუღლემ გაიგო ქმარ-შვილის დატყვევების ამბავი, განიზრახა მათი დახსნა თავისი სილამაზითა და დიდი საჩუქრებით. მართლაც, საჰაკის მეუღლის სიმშვენიერით მრისხანე სარდალიც კი მოიხიბლა; საჰაკსაც სიცოცხლე მიენიჭა, მაგრამ დროებით. ბუღას სარარის მბრძანებლის ასული შეუყვარდა და მისი მეუღლედ დასმა მოინდომა. ამისათვის კი საჰაკის მოშორება იყო საჭირო. ბუღამ უბრძანა ჯალათებს, თავი მოეკვეთათ მისთვის. თბილისის ამირას თავი გააგდებინეს, თავმოჭრილი სხეული კი ჯვარს აცვეს. საჰაკთან ერთად ბუღამ თავის წინააღმდეგ მებრძოლი ზოგი ქართველი დიდებულიც სიკვდილით დასაჯა.

დიდი ზიანი მოუტანა ბუღა-თურქის ლაშქრობამ თბილისს. ქალაქის ეკონომიური წინსვლა საკმაო ხნით შეჩერდა. იგი მთლიანად გადაიბუგა, მოსახლეობა გაწყდა. თუ არაბ ისტორიკოსებს დავუჯერებთ, ბუღას მიერ ცეცხლწაკიდებულ თბილისში 50.000 კაცი დაიღუპა.

ასე დამთავრდა თბილისის ამირას, საჰაკის, ურჩობა. ბუღამ საჰაკის მაგიერ თბილისში ახალი ამირა დასვა, მაგრამ ისიც თავის წინამოადგილეთა მსგავსად, ხალიფას უკვე თითქმის აღარ ემორჩილებოდა. X საუკ. შუა წლებიდან კი თბილისის ამირები დამოუკიდებელი ფეოდალები გახდნენ. თითქოს ხალიფებიც შეეჩვიენ ამ მდგომარეობას და ამიერიდან თბილისის ამირათა წინააღმდეგ დამსჯელი ექსპედიციები იშვიათად ეწყობოდა. ამიტომაც ამბობდნენ არაბი ისტორიკოსები, რომ ბუღას შემდეგ „განეშორა მუსლიმანების შიში სანაპირო ციხე თბილისს.“

3. ქართველ მეფეთა ბრძოლა თბილისის გასათავისუფლებლად

არაბების ძალაუფლება, მათი აქ დამკვიდრების დროიდანვე, უფრო ცენტრალურ რაიონებზე (განსაკუთრებით ქართლზე) ვრცელდებოდა. განაპირა თემებს კი ისინი ვერ წვდებოდნენ. ამის გარდა, არაბების მიერ ქართლში დაპყრობილი ადგილებიც ნელ ნელა თა-

ვისუფლდებოდა და მალე თბილისის ამირა მხოლოდ თბილისისა და მისი მიდამოების მფლობელი გახდა.

საქართველოს განაპირა თემები კი, რომელნიც არაბთა ბატონობას გადაურჩნენ, თანდათან დაწინაურდნენ. მომრავლდა მოსახლეობა, გაიშალა სამეურნეო საქმიანობა. ქვეყანა ეკონომიურად მოღონიერდა. ზოგი ახალი ქალაქი წარმოიშვა, ზოგი ძველი ძალები კი გაიზარდა. გაფართოვდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეთა ურთიერთობა; საქართველოს ეკონომიურმა წინსვლამ ხელი შეუწყო მის ტერიტორიაზე ახალი ფეოდალური სამეფო-სამთავროების წარმოშობას. VIII საუკ. დასასრულსა და IX საუკ. დამდეგს საქართველოში უკვე არსებობდა კახეთის სამთავრო, აფხაზეთის სამეფო და ტაო-კლარჯეთის სამთავრო. დამოუკიდებელ ფეოდალურ ერთეულად იქცა აგრეთვე თბილისის საამიროც.

მალე ამ სამეფო-სამთავროთა გაერთიანების ამოცანაც წამოიჭრა. აუცილებელი იყო საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს შექმნა, რომელიც მოსპობდა შინაგან დაქუცმაცებას და ხელს შეუწყობდა ქვეყნის შემდგომ უფრო სწრაფ ზრდას. მართლაც, IX საუკ. დამდეგიდან დაიწყო ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისათვის. იგი თითქმის ორი საუკუნე გაგრძელდა და 978 წ., ბაგრატიონთა საგვარეულოს წარმომადგენლის, ბაგრატ III-ის, ქართლსა და აფხაზეთში გამეფებით დაგვირგვინდა. ერთიანი საქართველოს პირველი მეფის ტახტზე ასვლას ყველა კმაყოფილებით როდი შეხვდა. განკერძოებას შეჩვეული მთავრები და ერისთავები ბაგრატ III-ს ხელს უშლიდნენ და საქართველოს გაერთიანების საქმეს აბრკოლებდნენ. მაგრამ ნიჭიერმა მეფემ დიდგვარიანთა წინააღმდეგობა გატეხა და ძირითადად მაინც მოახერხა საქართველოს გაერთიანება. თუმცა ბაგრატ III-მ დიდად შეავიწროვა თბილისის საამიროს ტერიტორია, მაგრამ თბილისი და მისი მიდამოები ჯერჯერობით მაინც, ძველ მაჰმადიან მფლობელთა ხელში იყო. ამ დროისათვის საქართველოს მეფეს ქართლში სარეზიდენციოდ უფლისციხე ჰქონდა მიჩნეული, საქართველოს დედაქალაქად კი ქუთაისი ითვლებოდა. ამიერიდან გაერთიანებულ საქართველოს მეფეთა ერთ ამოცანას თბილისის განთავისუფლება, საქართველოს ძველი ეკონომიური და პოლიტიკური ცენტრის დაბრუნება შეადგენდა.

ბაგრატ III-მ საამისო ნიადაგი მოამზადა. მისი მეცადინეობით თბილისი ირგვლივ საქართველოს მეფის სამფლობელოებით იყო გარშემორტყმული და დღეს თუ ხვალ თვითონაც მათ უნდა შეერ-

თებოდა. მაგრამ ბაგრატ III-ის სიცოცხლეში ეს ვერ მოხერხდა და ამ ამოცანის გადაწყვეტა მან თავის შთამომავალთ უანდერძა.

ბაგრატის შემდეგ მისი შკილი გიორგი I მეფობდა. მაგრამ მან თავისი ხანმოკლე სიცოცხლე ბიზანტიის წინააღმდეგ ომს შეალია და თბილისის გასანთავისუფლებლად ვეღარ მოიცალა.

ამ საქმეს ხელი ბაგრატ IV-მ მოჰკიდა. ბაგრატი 1027 წ. გაბეფდა და მცირეწლოვანმა მეფემ, დიდებულთა დახმარებით, მაინთავე დაიწყო თბილისის განთავისუფლებისათვის ზრუნვა.

ბაგრატის გამეფების დროს თბილისში ამირად ჯაფარი ყოფილა. ბაგრატის მომხრე დიდებულებმა, კლდეკარის ძლიერმა ერისთავმა—ლიპარიტ ლიპარიტის ძემ და ქართლის ერისთავმა—ივანე აბაზას ძემ 1032 წ. როცა ბაგრატი 12 წლისა იყო, თბილისის ამირა ჯაფარი მცხეთის მახლობლად, მუხათგვერდს გაიტყუეს და იქ დაატყვევეს. შეპყრობილი ამირა მეფეს მოჰგვარეს. ბაგრატმა იგი ერთხანს პატიმრობაში ამყოფა. ამასობაში ლიპარიტმა და ივანემ, თბილისის მახლობლად, ბირთვისის ციხეც დაიპირეს. ასე რომ, საქართველოს მეფეს გზა ხსნილი ჰქონდა თბილისისაკენ. მაგრამ ბაგრატ IV-ისა და ლიპარიტის მოწინააღმდეგენი ამოქმედდნენ.

საქართველოს მეფის მიერ თბილისის დაპყრობა კიდევ უფრო გააძლიერებდა მას და აგრეთვე ამ საქმისათვის თავდადებულ კლდეკარის ერისთავსაც. ეს კი დიდებულებს მაინცდამაინც არ ეპრიანებოდათ. ამიტომ მეფის ორგულმა დიდებულებმა მცირეწლოვან ბეფეს შეაცოდეს შეპყრობილი ჯაფარი და მისი განთავისუფლება და ისევ თბილისის ამირად დატოვება ურჩიეს. ბაგრატი მათ რჩევას მიჰყვა და, ქართველი ისტორიკოსის სიტყვით, მან მართლაც შეიწყალა ჯაფარი და „გაუტევა ტფილისს ზედა ამირად“.

კლდეკარის ერისთავი ლიპარიტი თბილისის შემოერთებაში თავის შემდგომ გაძლიერების წყაროს ხედავდა და ამიტომაც ერთხელ დაწყებულ საქმეს იგი თავს არ ანებებდა. გავიდა თუ არა რამდენიმე წელი, ლიპარიტმა ბაგრატ მეფე თბილისის ამირას წინააღმდეგ შეაგულიანა და ისევ თბილისის გასანთავისუფლებლად ბრძოლის დაწყება ურჩია. მეფეს მოეწონა ერისთავის განზრახვა და 1037 წ. თავისი ლაშქრით თბილისს შემოეწყო. ბაგრატ IV-ს კახთა მეფეც მოეშველა. კახეთ-ჰერეთის ლაშქარი თბილისს დღევანდელი ავლაბრის მხრიდან უტევდა, ბაგრატ IV კი მტკვრის მარჯვენა ნაპირებიდან.

როგორც ჩანს, თბილისის იერიშით აღება ძნელი იყო, ამიტო-

შაც ქართველებმა განიზრახეს ამირას ძალა ქალაქის ხანგრძლივი გარემოცვით გაეტეხათ. თბილისის ალყა ორ წელიწადს გაგრძელდა. ქართველთა ლაშქრის რკალში მოქცეულ თბილისელებს დიდად გაუჭირდათ. მათ ერთი მხრით გამუდმებული შეტაკებები ავიწროებდათ, მეორე მხრით შიმშილი—სურსათის ნაკლებობა და სიძვირე. ქართველი ისტორიკოსის სიტყვით, ქალაქში ისეთი სიძვირე ჩამოვარდნილა, რომ ერთი ლიტრა* ვირის ხორცი 500 დრამად* იყიდებოდაო.

თბილისის ამირა განსაცდელში აღმოჩნდა. ის კარგად ხედავდა, რომ თავისი ძალებით ვერ გაუმკლავდებოდა საქართველოს მეფის ლაშქარს და მან საგანგებო მოციქულები აფრინა მეზობელ მაჰმადიანურ ქვეყნებში და ლაშქრით სასწრაფო დახმარება ითხოვა. მეშველი რაზმი არ ჩანდა. ამასობაში, ქალაქის მცხოვრებლებმა კიდევ თბილისის დათმობა გადაწყვიტეს. სასოწარკვეთილ ჯაფარს მეტი გამაგრება აღარ შეეძლო და გასაქცევად მომზადებას შეუდგა. ამირას ტიკები და ნავები გაუმზადეს, რომ ღამე ქ. განძაში (დღევანდელი კიროვობადი, აზერბაიჯანის სსრ) გაპარულიყო.

ასეთ გადამწყვეტ მომენტში მეფის ორგულები ამოქმედდნენ და, როგორც ქართველი ისტორიკოსი მოგვითხრობს, ზოგიერთმა დიდებულმა მეფეს ალყის მოხსნა და ამირასთან ზავის ჩამოგდება ურჩია. მართლაც მეფემ, ლიპარიტის დაუკითხავად, მოულოდნელად მოხსნა ალყა თბილისს და იგი ისევ გასაქცევად გამზადებულ ჯაფარს მიანება.

ამრიგად, 1039 წ. ბაგრატ IV-მ მეორედ დაჰკარგა თბილისის განთავისუფლების შესაძლებლობა. ამას გარდა, მან სამუდამოდ მტრად გადაიკიდა თბილისის შემოერთებისათვის მებრძოლი ძლიერი ერისთავი, რომელიც მეფის ამგვარი საქციელით დიდად განაწყენებული იყო.

1045 წ. თბილისის ამირა ჯაფარი გარდაიცვალა. თბილისი „ქალაქის უხუცესების“, ანუ, როგორც ქართველი ისტორიკოსი უწოდებს, „თბილისის ბერების“ ხელში გადავიდა. მოქალაქენი და მათი განმგებელი „ქალაქის ბერებიც“ საქართველოს მეფის მომხრენი იყვნენ. როგორც კი ქალაქის ბატონი ამირა გარდაიცვალა, მოქალაქეებმა გადაწყვიტეს თბილისი ბაგრატ IV-ისათვის მიეცათ და საქართველოს ძლიერი სამეფოსათვის შეეერთებინათ.

---

* ლიტრა—წონის ერთეულია, დაახლოებით 400 გრამს უდრიდა.

** დრამა—ფულის ერთეულია და უდრის ორშაურნახევარს.

ბაგრატი დასავლეთ საქართველოში სხვა საქმეებით იყო გართული, როცა მას თბილისის მოქალაქეთა უხუცესები ეახლნენ და თბილისის მიცემას შეჰპირდნენ. საქართველოს მეფეს ხელსაყრელი დრო დაუდგა; მიატოვა საქმეები და სასწრაფოდ ქართლში გადმოვიდა. აქაც მოქალაქეთა წარმომადგენლები შეეგებენ და ისევ თბილისის ჩაბარება სთხოვეს. მეფე ქალაქისაკენ გამოემართა. დილიის ველზე ბაგრატს თბილისის დანარჩენი მოსახლეობაც მიეგება და დიდი სიხარულით იგი ქალაქში შეიყვანეს: „იყო ხმობა ბუკთა და დუმბულთა... რომლისა ხმითა იძრვოდა ქვეყანა და იყო სიხარული ყოველმხრივ გასაკვირველი“, მოგვითხრობს ისტორიკოსი. მეფე ქალაქში შემოატარეს; მოქალაქეთა წესისამებრ, ბაგრატს თავზე აყრიდნენ ოქროსა და ვერცხლის ფულებს. შემდეგ კი ქალაქის კარებისა და ციხეების გასაღებები ჩააბარეს და ამირას დარბაზში შეიყვანეს.

მეფემ ქალაქის ციხე-სიმაგრენი ჩაიბარა და იქ თავისი მოხელეები ჩააყენა. ასე რომ, ბაგრატს მთელი ქალაქი დაემორჩილა. ოღონდ არ ნებდებოდა მტკვრის მარცხენა ნაპირი — ისანი (ავლაბარი). აქ იყო თავმოყრილი მეფის მოწინააღმდეგე სამხედრო ფეოდალური არისტოკრატია. ისნელებმა ხიდი ჩააგდეს და მეფის გადმოშვება არ ენებათ. რაკი ისანში გამაგრებულნი უბრძოლველად არ ნებდებოდნენ, ბაგრატ IV-მ იარაღს მიმართა და ისნის სიმაგრეებს ლოდმსროლელი მანქანები მოუყენა.

ბაგრატმა მთელი ზაფხული მოანდომა ისნის წინააღმდეგ ბრძოლას, მაგრამ მაინც ვერ აიღო იგი.

როგორც კი გაიგო ლიპარიტ კლდეკარის ერისთავმა ბაგრატის თბილისში შესვლა, იგი მაშინვე დიდი ლაშქრით მეფის წინააღმდეგ გამოემართა. მეფე ვერ აღუდგა ძლიერ ერისთავს, თბილისი დაადო და ჯავახეთში გადავიდა.

საქართველოს მეფემ ლიპარიტის მტრობის წყალობით ქალაქი ამჟამადაც დაკარგა. თბილისის გამგებლობას ისევ „ქალაქის ბერები“ ინარჩუნებენ. ქალაქის სხვა მფლობელი ამ დროისათვის არ ჩანს. ამის შემდეგაც რამდენიმე წლის განმავლობაში ისინი მოქმედებდნენ და წყვეტდნენ ქალაქის საშინაო საქმეებს.

ბაგრატ IV-ის მოწინააღმდეგე ერისთავი ლიპარიტი 1048 წ. თურქებმა ტყვედ ჩაიგდეს. საქართველოს მეფემ ამ შემთხვევით ისარგებლა და ენერგიულად მოჰკიდა ხელი სამეფოს საზღვრების შემომტკიცებას. ამოქმედდნენ „თბილისის ბერები“ და ბაგრატი თბი-

ლისში ისევ მიიწვიეს. ბაგრატ IV-მ ერთხელ კიდევ დაიჭირა ქალაქი, მაგრამ არა დიდი ხნით. 1051 წ. ლიპარიტი თურქებმა ტყვეობიდან გაანთავისუფლეს. გაიგო თუ არა ბაგრატ IV-მ ლიპარიტის განთავისუფლება, მაშინათვე მიატოვა თბილისი და ისევ ჯავახეთში გადავიდა.

ამ დროიდან რამდენიმე წელი ისე გავიდა, რომ საქართველოს მეფეს თბილისის განთავისუფლებისათვის ბრძოლა არ უწარმოებია. თბილისში ისევ ძველი მაჰმადიანი მფლობელები — ამირები გაბატონდნენ.

XI საუკ. შუა წლებიდან საქართველოს ახალი მტერი უჩნდება. ეს იყო აღმოსავლეთიდან წამოსული თურქული ტომები, რომელთაც სათავეში სელჩუკის საგვარეულო ედგათ. ამის გამო მათ თურქ-სელჩუკებს უწოდებდნენ. თურქ-სელჩუკთა სულტანმა ალფარსლანმა საქართველო პირველად 1065 წ. დალაშქრა. სამი წლის შემდეგ იგი მეორედ შემოესია საქართველოს და ამჯერად ქართლი და არგვეთი სასტიკად ააოხრა. სუსხიანი ზამთრით შეწუხებული სულტანი მალე გადაიხვეწა, მაგრამ უკან მიმავალმა თბილისი დალაშქრა. იგი ამირას წაართვა და თავის მოკავშირეს, განძის მფლობელს, ფადლონს მისცა. თბილისს ახალი მბრძანებელი გაუჩნდა.

სულტანის ძალით ზურგგამაგრებული ფადლონი თავს მაგრად გრძნობდა და მან არა მარტო თბილისში, არამედ მის მიდამოებშიც მოინდომა გაბატონება.

ზაფხულში მეფე ბაგრატი თბილისის მახლობლად დიდგორს იდგა. გათამამებულმა ფადლონმა არაფრად მიიჩნია მეფის დიდგორს ყოფნა და თბილისის მიდამოების დარბევა დაიწყო. გათავხედებული ამირას წინააღმდეგ მეფემ რჩეული ლაშქარი გაგზავნა. მეფის მხედრობა წილკნის კართან მიეწია მტერს. ფადლონი გაქცევით ფიქრობდა თავის დახსნას, მაგრამ ლტოლვილებს ქართველები უკან მისდევდნენ. თვით ფადლონმა თხუთმეტიოდე მხედრით ქართველთა მდევრებს ძლივს გაასწრო და წილკნის გზით ერწოში გადავიდა. კახეთის მეფესთან უნდოდა თავი შეეფარებინა, მაგრამ გზაზე იგი იცნო ერთმა ქართველმა და დაიჭირა. დატყვევებული ფადლონი ჯერ კახთა მეფეს მიჰგვარეს, მაგრამ ბაგრატმა მაინც მოახერხა მისი ხელში ჩაგდება, და მაშინვე შეეცადა თბილისი დაეპყრო. მეფე თბილისს შემოადგა. თბილისში ფადლონის მიერ დაყენებულ მოხელეებს, რომ უნაყოფო ბრძოლაზე ხელი აეღოთ, „ძელზე გასმული“ ფადლონი შორიდან უჩვენა: აი თქვენი

ბატონი ჩემს ხელთ არის, დამარცხებულია და უბრძოლველად დაგვნებდითო. თბილისელები მაინც არ ნებდებოდნენ. ფადლონის ბიერ დანიშნული ერთი მოხელე თურმე თვით ფიქრობდა გაამირებას თბილისში და საქართველოს მეფეს ქალაქს ასე ადვილად ბბა როგორ დაუთმობდა. ქართველებმა მაინც მოახერხეს თბილისის აღება.

ბაგრატს ამჟამად არავინ უშლიდა ხელს, რომ თბილისი საბოლოოდ საქართველოს სამეფოს კუთვნილებად გამოეცხადებინა. მაგრამ ამ შემთხვევაშიც მეფის გაძლიერების მოწინააღმდეგე დიდგვარიანები ჩაერიენ საქმეში და ბაგრატი აიძულეს თბილისში გამგებლად ისევ ძველი ამირთა ჩამომავალი ვიღაც სითილ თუ სილილ არაბი დაენიშნა. ოღონდ თბილისის ამირა ამიერიდან საქართველოს მეფის ყმადნაფიცად ითვლებოდა და მას ბაგრატ IV-ისათვის ყოველწლიურად 44-000 დრაჰკანი *) უნდა გადაეხადა.

ამრიგად, ბაგრატ IV-ის მიერ წლების განმავლობაში წარმოებული ბრძოლების მიუხედავად, თბილისის მაჰმადიან მფლობელთავან განთავისუფლება ვერ მოხერხდა. მაგრამ ეს ბრძოლა მაინც უშედეგო არ ყოფილა: ჯერ ერთი, თბილისის ამირა ქართველთა ბეფის მოხარკე გახდა, და ამას გარდა, შეიქმნა მტკიცე ნიადაგი თბილისის გამოხსნისათვის, რაც შემდეგ ბრწყინვალედ გამოიყენა დავით აღმაშენებელმა.

4. თბილისი—საქართველოს დედაქალაქი

ბაგრატ IV გარდაიცვალა 1072 წელს. მის მაგიერ ტახტზე ავიდა გიორგი II, სუსტი ნებისყოფის მეფე. გიორგის გამეფებით ისარგებლეს დიდგვარიანებმა და მეფეს საშინაო მდგომარეობა მეტად გაურთულეს. ამას გარდა, გიორგი II-ს გარეშე მტრებიც აწუხებდნენ. ამ დროისათვის თურქები კიდევ უფრო გაძლიერდნენ და 1080 წლიდან საქართველოში ე. წ. „დიდი თურქობა“, თურქთა დიდი შემოსევები დაიწყო. საქართველოს მეფემ თურქთა სასარგებლოდ ყოველწლიური ხარკი იკისრა.

ასე გართულებულ საგარეო და საშინაო პირობების დროს მეფეს შესაძლებლობა არ ჰქონდა თბილისისათვის ყურადღება მიექ-

---

* დრაჰკანი—ოქროს ფული იყო, რაც დაახლოებით ხუთ მანეთს ფდრიდა ოქროთი.

ცია და მის შემოერთებაზე ეფიქრა. თუმცა გიორგი II-ს საამისოდ არც ძალა ჰქონდა და მაინცადამაინც არც სურვილი გამოუჩენია.

აღსანიშნავია, რომ გიორგის მეფობის დროს, XI საუკუნის 80-იანი წლებიდან, თბილისში ბაგრატ IV-ის მიერ დაყენებულ ამირას ხელისუფლება გადაშენებულა და თბილისის მართვა-გამგეობა ისევ მოქალაქეების წარმომადგენელთა, ქალაქის უხუცესთა ხელში გადასულა. „თბილისს,—მოგვითხრობს არაბი ისტორიკოსი ალ-ფარიკი,—დაახლოებით ორასი წლის განმავლობაში ფლობდა ბანუ-ჯაფარის მკვიდრი საგვარეულო. მაგრამ შემდეგ, მისი უფროსი წარმომადგენლები ამოწყდნენ და ქალაქის მმართველობა გადავიდა მისი მცხოვრებლების ხელში, ისე რომ თითოეული მათგანი მართავდა ქალაქს თითო თვე. ასე გაგრძელდა ორმოცი წელი". როგორც ჩანს, ამირების ხელისუფლების მოსპობის შემდეგ, ქალაქი ვერც ქართველ მეფეს დაუბრუნებია და ვერც სხვა მუსლიმან მთავარს ჩაუგდია ხელში.

გიორგი II დიდხანს არ ყოფილა მეფედ. 1089 წ. იგი აიძულეს ტახტზე ხელი აეღო. დავით აღმაშენებელმა ენერგიულად დაიწყო საქართველოს საშინაო და საგარეო მდგომარეობათა გამოსწორება და მალე დიდ წარმატებებსაც მიაღწია. ჯერ თურქ-სელჩუკთა რბევა-ლაშქრობებს მოუღო ბოლო და სულტანს სათურქო ხარკის ძლევაც შეუწყვიტა. შემდეგ ურჩი ფეოდალები და გამდგარი კახეთის სამეფო დაიმორჩილა. როცა საქართველოს საშინაო ძლიერება აღადგინა, თურქ-სელჩუკთა მიერ დაპყრობილი ციხე-ქალაქების განთავისუფლებისათვის დაიწყო ბრძოლა. მაჰმადიან მფლობელებს ჯერ კიდევ ეპირათ, თბილისი და მისი მიდამოები. ამას გარდა თურქებს ქვემო-ქართლის სხვა მნიშვნელოვანი ქალაქები და ციხეებიც ეპყრათ: ქალაქ დმანისი, ქალაქ სამშვილდე, ქალაქ რუსთავი და სხვანი; ყველა ესენი თბილისის მისასვლელებს იცავდნენ და ერთიან მძლავრ თავდაცვის სისტემას ჰქმნიდნენ.

მეფეს თბილისისათვის ბრძოლა ამ სისტემის გარღვევით, ზემოხსენებულ ციხე-ქალაქთა დაპყრობით უნდა დაეწყო. დავითმა პირველი იერიში სამშვილდის წინააღმდეგ მიიტანა და 1110 წ. იგი ხელიდან გამოსტაცა თურქებს. ქალაქ სამშვილდის დაკარგვით შეშინებულმა თურქებმა ქვემო-ქართლის ციხე-სიმაგრეთა უმეტესობა უბრძოლველად მიატოვეს და გაიქცნენ. სამშვილდე თბილისს სამხრეთ-დასავლეთიდან იცავდა და მისი აღების შემდეგ მეფეს უკვე გზა ხსნილი ჰქონდა თბილისისაკენ. მაგრამ დავითი ამით არ დაკ-

შაყოფილდა. ახლა მეფე თბილისს სამხრეთ-აღმოსავლეთიდან მოადგა და 1115 წ. ქალაქ რუსთავი აიღო. სამი წლის შემდეგ კიდევ ლორის ციხე დაიპყრო. ეს ძლიერი ციხე-სიმაგრე სამხრეთიდან მომავალ მტერს გზას უკრავდა. ამრიგად საქართველოს მეფე თბილისის ირგვლივ მდებარე ციხეებსა და ქალაქებს ზედიზედ იპყრობდა და თბილისს თანდათან უახლოვდებოდა.

დავითის წარმატებები დიდად ავიწროებდა საქართველოში და საერთოდ ამიერკავკასიაში მყოფ თურქებს. ისინი კარგად ხედავდნენ, რომ მეფე დღეს თუ ხვალ თბილისსაც აიღებდა და მას დმანისს და სომეხთა ქალაქ ანისსაც მიაყოლებდა. ასე, რომ მაჰმადიანი მფლობელები ამიერკავკასიაში ყველა მნიშვნელოვან ქალაქს დაკარგავდნენ. ამიტომაც თბილისის, განძისა და დმანისის მაჰმადიანმა ვაჭრებმა, მათზე მოწევნილი დიდი მწუხარების ნიშნად, ხელები და პირი შავად შეიღებეს და სულტანს თხოვნით მიმართეს, — დავით მეფის წინააღმდეგ რაიმე დახმარება აღმოგვიჩინეთო.

თურქთა სულტანი მართლაც დიდი ლაშქრით წამოვიდა დავით აღმაშენებლის წინააღმდეგ. ომი 1121 წ. 15 აგვისტოს თბილისის მახლობლად, დიდგორთან მოხდა. საქართველოს მეფემ ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა — მაჰმადიანთა კოალიციური ლაშქარი სასტიკად იქნა დამარცხებული.

დიდგორთან გამარჯვებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თბილისის განთავისუფლებისათვის წლების განმავლობაში წარმოებული ბრძოლების დასაგვირგვინებლად. სულტანის შეერთებული ლაშქრის დამარცხების შემდეგ, თბილისის მაჰმადიან მფლობელებს ხსნის იმედი არსაიდან ჰქონდათ.

დიდგორთან გამარჯვების შემდეგ, მეფემ თავი ანება დამარცხებულ მაჰმადიანთა ლტოლვილი ლაშქრის დევნას და პირდაპირ თბილისისაკენ გასწია. ქართველთა მეფე თბილისს შემოერტყა. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქის მაჰმადიან მფლობელთა მდგომარეობა მძიმე იყო, ისინი უბრძოლველად მაინც არ დანებებულან. თბილისის ალყა, თუ არაბ ისტორიკოსს დავუჯერებთ, დიდხანს გაგრძელებულა და მხოლოდ დიდგორის ომის მეორე წელს, 1122 წ. შესძლო დავითმა ქალაქის აღება. როგორც კი მეფემ თბილისი იერიშით აიღო, პირველ სამ დღეს ქალაქი თავის ლაშქარს მიანება საძარცვავად და თვითონ მაჰმადიან მფლობელებს, რაკი მათ ქალაქი უბრძოლველად არ მისცეს, სასტიკად გაუსწორდა. ერთი ცნობით, მეფემ თბილისის აღების პირველ დღეს ხუთასამდე მაჰ-

მადიანი ჩამოახრჩობინა. ამას გარდა, დავით აღმაშენებელმა თბილისი თავის ხელისუფლებას დაუმორჩილა და მოქალაქეთა წარმომადგენლების „ქალაქის უხუცესთა“ თვითმმართველობა შეკვეცა.

დავითი კარგად ხედავდა, რომ თბილისის ვაჭრობა-ხელოსნობა აქ გაბატონებულ მაჰმადიანთა ხელში იყო; მათი შეეიწროება, დარბევა და ქალაქის საუკუნეებით განმტკიცებული წესების მოსპობა კი დედაქალაქს დიდი ეკონომიური ცენტრის მნიშვნელობას დაუკარგავდა. ამიტომაც მალე დაუცხრა მეფეს გულისწყრომა და თბილისელ მაჰმადიანებს მრავალგვარი შეღავათები უწყალობა. მას შემდეგ, რაც ქალაქი იერიშით აღებულ იქნა, მოგვითხრობს არაბი ისტორიკოსი ალ-ფარიკი, დავითმა აღუთქვა მცხოვრებთ მფარველობა და კარგი მოპყრობა. მან გაანთავისუფლა ისინი იმ წლის სხვადასხვა გადასახადებისაგან და მუსლიმანთა თხოვნისამებრ ბრძანა, რომ მათ უბანში არავინ დაჰკლას ღორი. მეფეს განუცხადებია აგრეთვე, რომ არ გაუწევს მფარველობას იმას, ვინც შეაწუხებს და დასჩაგრავს მუსლიმანსაო. მას მიუნიჭებია მაჰმადიანებისათვის თავისუფლად ლოცვისა და ლოცვისათვის მოწოდების უფლება. დავითმა აუკრძალა ქართველებს, სომხებსა და ებრაელებს თბილისში „ისმაილის“ (მუსლიმანთათვის განკუთვნილ) აბანოში შესვლა. ამავე ისტორიკოსის ცნობიდან ჩანს, რომ დავით აღმაშენებელს მაჰმადიანთათვის საგადასახადო შეღავათებიც მიუნიჭებია. მეფეს თავის სასარგებლოდ დაუწესებია ყოველწლიური გადასახადი ქართველებისათვის 5 დინარის, ებრაელთათვის — 4, ხოლო მაჰმადიანთათვის 3 დინარის რაოდენობით.

ამგვარივე შეღავათებით სარგებლობდნენ თბილისელი მაჰმადიანები დავით აღმაშენებლის შვილის დემეტრე I-ის დროსაც. დემეტრეს დროს თვით ფარიკი შეხვედრია თბილისში მუსლიმანებს, რომელთაც მეფე ისეთი პატივისცემით ეექცეოდა თურმე, რომ ასეთს მოპყრობას ისინი ბაღდადშიაც (მაჰმადიანთა სატახტო ქალაქშიაც) ვერ იხილავდნენო.

ამრიგად, ქართველ მეფეთა მიერ საუკუნეების განმავლობაში წარმოებული ბრძოლა თბილისის გასანთავისუფლებლად მხოლოდ დავით აღმაშენებლის დროს დასრულდა. დავითის თანამედროვე ქართველი ისტორიკოსი სიამაყით აღნიშნავს, რომ თბილისი, რომელიც ოთხასი წლის განმავლობაში უცხოელებს ჰქონდათ, მეფემ მტერს ხელიდან გამოგლიჯა და თავის შთამომავალთ საქართველოს დედაქალაქად საუკუნოდ დაუმკვიდრაო.

თბილისის განთავისუფლების შემდეგ საქართველოს მეფემ რეზიდენცია ქუთაისიდან თბილისში გადმოიტანა. ქუთაისმა საქართველოს პოლიტიკური ცენტრის მნიშვნელობა დაკარგა. დაეცა ერთიანი საქართველოს მეფეთა მიერ ქართლში სარეზიდენციოდ არჩეული უფლისციხის მნიშვნელობაც. ასე გადაიქცა ერთ დროს ქართლის სამეფოს დედაქალაქი თბილისი გაერთიანებული საქართველოს უდიდეს ეკონომიურ და პოლიტიკურ ცენტრად. დავით აღმაშენებლის დროიდან იწყება თბილისის ნამდვილი აყვავების ხანა. ქალაქს მშვიდობიანი განვითარების დრო დაუდგა. საქართველო უკვე წინა აზიის უძლიერეს სახელმწიფოდ იყო გადაქცეული და მისი დედაქალაქი არა მარტო პოლიტიკურად, არამედ ეკონომიურადაც პირველობდა მთელს ნეზობელ სახელმწიფოთა ქალაქებს შორის.

ჯერ დავით აღმაშენებელმა, ხოლო შემდეგ მისმა მემკვიდრეებმა დემეტრე I-მა გიორგი III-მ და თამარ მეფემ კიდევ უფრო გააძლიერეს და ააყვავეს საქართველოს დედაქალაქი.

5. ხვარაზმელები თბილისში

დავით აღმაშენებლის მიერ ქალაქის განთავისუფლების დროიდან, 1122 წლიდან, 1226 წლამდე, თბილისი უცხო შემოსევებს არ შეუწუხებია. ჭაღარა თბილისმა ასწლიანი შესვენება მიიღო, წინა ომებით მიყენებული ჭრილობები მოიშუშა და ქართველი ხალხის კულტურულ-ეკონომიურ ცხოვრებაში სრულიად გარკვეული ადგილი დაიჭირა.

XIII საუკუნის 20-იან წლებში მდგომარეობა შეიცვალა. ისტორიის ასპარეზზე გამოჩნდა ახალი ძალა, რომელმაც სრულიად განსაკუთრებული კვალი დააჩნია მრავალი ხალხების ისტორიას, ეს ახალი ძალა იყო მონღოლობა. მონღოლებმა დაამარცხეს მეზობელი სახელმწიფოები და ამიერკავკასიასაც ესტუმრნენ. თუმცა პირველ ხანებში მათ დიდი ზარალი არ მოუტანიათ, მაგრამ ყველაფრიდან ჩანდა, რომ მათ გამოჩენას უამინდობა მოჰყვებოდა. მონღოლების მეორედ გამოჩენამდე საქართველოს ეწვევიენენ ხვარაზმელები.

ხვარაზმელთა სამეფო შუა აზიაში არსებობდა. მონღოლებმა სასტიკად დაამარცხეს ხვარაზმელები. ხვარაზმის მფლობელი მუჰამედი, რომელიც დამარცხების შემდეგ თავის სამეფოდან დასავლე-

დავით აღმაშენებელი

ნახატი ი. თოიძისა

თით გამოიქცა, კასპიის ზღვის ერთ-ერთ კუნძულზე გარდაიცვალა. მოჰამედის შემკვიდრემ ჯალალედინმა ხანგრძლივი ხეტიალის შემდეგ მონღოლების წინააღმდეგ მოკავშირეების ძებნა იწყო. კავშირი შესთავაზა საქართველოსაც. ქართველებმა უარით უპასუხეს. ჯალალედინი დიდი ჯარით საქართველოს მოსათხრელად დაიძრა. იგი 1225 წლის შემოდგომით საქართველოს სამეფოს იმდროინდელ საზღვრებში შემოიჭრა და დვინის სანახების აოხრება დაიწყო. აქედან ჩრდილოეთით იბრუნა პირი და გარნისს, ცნობილ ციხე-ქალაქს, მოადგა. აქ ქართველთა ჯარს შეებრძოლა ჯალალედინი. ქართველთა ჯარი ჯერ კიდევ საკმაო სისრულით არ შეკრებილიყო, სარდლებსაც დაბნეულობა ეტყობოდათ. ამით ისარგებლა ჯალალედინმა, შეტევაზე გადმოვიდა, დაამარცხა ქართველები და კვლავ დვინს მიაშურა. დვინის აღების შემდეგ თბილისისაკენ წამოვიდა. საქართველოს მეფე რუსუდანი (1222—1245) ქუთაისს წავიდა და ქალაქის დაცვა მემნა და ბოცო ბოცოს ძეებს დაავალა. 1225 წლის დეკემბერს, მტერი თბილისს მოადგა. თბილისისათვის ბრძოლა 1225 წლის დეკემბრიდან 1226 წლის 9 მარტამდე გაგრძელდა. მტერი მოქმედებდა არა მარტო იარაღით, არამედ მოტყუება-გადაბირების პოლიტიკითაც.

ქალაქის მცხოვრებთა დიდი ნაწილი არაქართველთაგან შედგებოდა და სარწმუნოებითაც განსხვავდებოდნენ ურთიერთისაგან. ჯალალედინმა მოხერხებულად გამოიყენა მოსახლეობის ასეთი სიჭრელე და ხმა გაავრცელა — მაჰმადიანთა მხსნელად მოვდივარო. სპარსულ-თურქული მოსახლეობა მტერს მოკავშირედ მიუვიდა.

მოღალატეებმა მომხდური მტრის მეგზურობა გაწიეს, ქალაქის თავდაცვის სუსტი ადგილები აჩვენეს. ამავე დროს მათ ქალაქის დამცველებში დეზორგანიზაცია შეჰქონდათ, ვერაგობას მიმართავდნენ. ციხისთავი მემნა ვერაგულად იქნა მოკლული ერთი სპარსელი მოღალატის მიერ. ამ შემთხვევის გამო მტერს საშუალება ეძლეოდა განჯისკარით ქალაქში შეჭრილიყო. მემნას ძმა, ბოცო, ისანში გამაგრდა, მომხდურ მტერს ძლიერი ომი გაუმართა. მტერი ქალაქში შემოიჭრა, მშვიდობიან მოსახლეობას დაერია და ხლეტა დაუწყო. ამ ამბის მომთხრობი XIV საუკუნის ქართველი ისტორიკოსი, ჟამთააღმწერელი, შეუძლებლად მიიჩნევს მომხდარი ფაქტი სრულყოფილად გადმოგვცეს, რადგან „არა შემინდობს ტკივილი გულისა მოხსენებად თუ ვითარ იქმნეს ხვარაზმელნი შინაგან ქალაქისა."

თამარ მეფე

ნახატი ი. თოიძისა

როცა მტრისაგან გაიტეტილ ადამიანებს წარმოვიდგენ „ცრემლთა მიერ აღვივსები, რამეთუ ვინ შემძლებელ არს მოთხრობად, რავდენი მოსაწევარნი იქმნეს. რამეთუ ესეოდენ ხოცდეს, რომელ ჩჩვილნიც ძუძუთაგან დედისათა აღიტაცნიან და წინაშე დედისა დაანარცხიან. და რომელსამე თუალნი წარსცვივდიან, და რომელსამე ტვინი დაითხის, და მერმე დედანი მოიკლოდიან.“ მტრის მძვინვარებას საზღვარი არ ჰქონდაო, განაგრძობს მემატიანე, „მოხუცები ცხენთა მიერ დაითრგუნებოდეს, და ჰაბუკნი დაეკვეთებოდეს. სისხლისა მდინარენი დიოდეს, თავი ტანისაგან შორებული და თმა ნაწევართა შიგან აღრეულნი“. ადამიანთა გვამები ცხენთა ფეხით იზილებოდა ქალაქის მტვრიან ქუჩებში, „საზარელთა ხმათაგან იძროდა ქალაქი ყოველი, რამეთუ უმრავლესი ერი ვითა ცხოვარნი შეკრბიან და ხოცდიან.“

მიუხედავად მტრის ასეთი ველური ღონისძიებებისა, ხვარაზმელებმა ისანი მაინც ვერ აიღეს. ისანში გამაგრებული ბოცო საძულველ მტერს დიდ ზიანს აყენებდა და არა ერთ მომხდურს აგზავნიდა საიქიოს. ბოლოს ბოცო დაარწმუნა რუსუდანმა, რომ ამაო იყო ისანში კვლავ დგომა და იგიც ბრძოლით გაეცალა. ამიერიდან ჯალალედინის თარეში კიდევ უფრო მკაცრ ხასიათს იღებს. მან ბრძანება გასცა სიონის ეკლესიისათვის გუმბათი მოერღვიათ, გუმბათის ადგილზე მისთვის კარავი გააკეთებინათ და სიონის თავზე მოკალათებული ჯალალი აქედან იძლეოდა ბრძანებას. მისი განკარგულებით მეტეხის ხიდზე ღვთისმშობლის ხატი პირაღმა დადვეს. ხიდის ყურზე მოიყვანეს აურაცხელი მოქალაქენი. იმას, ვინც ხატს ფეხს არ დაადგამდა, თავს ჰკვეთდნენ და მტკვარში აგდებდნენ. ამ ველური მეთოდით მოსახლეობის საკმაოდ დიდი რიცხვი გაიტეტა. ქამთააღმწერელი გვარწმუნებს, რომ ამ წესით გაჟლეტილთა „აღრიცხვა შეუძლებელ არს სიმრავლისათვის, რამეთუ ვგონებ ვითარმედ ათ ბევრად აღიწია რიცხვი მოკლულთა“. ათი ბევრი 100.000 უდრის. ეს რიცხვი, რაც უნდა გადაჭარბებული იყოს, მაინც იმის მაუწყებელია, რომ მომხდურმა ურდოებმა მოსახლეობის დიდი უმრავლესობა გაჟლიტეს. ზოგი ცნობით, დახოცილთა რიცხვი თბილისში აღემატებოდა ცოცხლად დარჩენილთა რაოდენობას.

ქამთააღმწერლის ამ ცნობებს ადასტურებს იმდროინდელი სომეხი ისტორიკოსი კირაკოზ განძაკელიც. მისი გადმოცემით თბილისში მცხოვრები სპარსელები დაეხმარნენ ჯალალედინს ქალაქის

აღებაში. მან მცხოვრებთაგან ბევრი გაჟლიტა, ნაწილი გაათათრა, ეკლესიები გაანადგურა. ასე მოიქცა ის არა მარტო თბილისში, არამედ განჯას, ნახჩევანსა და სხვაგანო.

ჯალალედინი სრულ ბატონ-პატრონად სთვლიდა თავს ქალაქში და მისი განკარგულებით სპეციალურად გამოყოფილი პირნი დღე-დაღამე მუშაობდნენ იმ ალაფის აღსარიცხავად, რომელიც ხვარაზმელებმა თბილისის აღების დროს ხელთ იგდეს. გადმოგვცემენ, რომ ჯალალედინმა კმაყოფილებით აღნიშნა: „მარტო სიმდიდრისათვის რომ მოვსულიყავი, თბილისის აღებით დავკმაყოფილდებოდიო.“

ჯალალედინის ერთი წლის ბატონობამ არა მარტო ქართველები, არამედ მაჰმადიანებიც დაარწმუნა ჯალალედინის პოლიტიკის უვარგისობაში და თბილისელი მაჰმადიანები ახლა უკვე რუსუდანის მზეს ფიცულობდნენ და ხალხს ჯალალედინის წინააღმდეგ აჯანყებისაკენ მოუწოდებდნენ.

მიუხედავად ჯალალედინის არა ერთი გამარჯვებისა, მან მაინც ფეხი მტკიცედ ვერსად მოიკიდა და მის ზურგში ნიადაგ აჯანყებები ხდებოდა. 1226 წლის ბოლოს ქართველებმა ისარგებლეს ჯალალედინის საერთო მდგომარეობის გართულებით, თავს დაესხნენ თბილისში მყოფ ხვარაზმელ მეციხოვნეებს, ერთიანად ამოწყვიტეს ისინი და ქალაქი გაანთავისუფლეს. მაგრამ მალე ჯალალედინი კვლავ საქართველოში დაბრუნდა, ქართველებმა მიზანშეწონილად არ დაინახეს ომის გამართვა; მტერს რომ ხელთ არ ჩავარდნოდა საყვარელი ქალაქი, თვითონვე გადასწვეს და ჯალალედინს უბრძოლველად გაეცალნენ.

ჯალალედინი დღემოკლე აღმოჩნდა, იგი 1231 წელს მოკლული იქნა ერთი ქურთის მიერ და ხვარაზმელთა სისხლიან ბატონობასაც საქართველოში ბოლო მოეღო.

თბილისი განთავისუფლდა, მაგრამ ქალაქი ჯერ კიდევ გონს ვერ მოსულიყო, რომ საქართველოს უკვე ახალი დამპყრობელი მოევლინა.

6. თბილისი მონღოლთა ბატონობის ქვეშ

ხვარაზმელთა ბატონობა მონღოლთა ბატონობით შეიცვალა. XIII საუკუნის 40-იან წლებში მონღოლები კვლავ ესტუმრნენ საქართველოს.

მოუახლოვდნენ თუ არა მონღოლები საქართველოს საზღვრებს, რუსუდანი დასავლეთ საქართველოში გადავიდა და ქუთაისში დაბანაკდა. თბილისის გამგებლობა და დაცვა მუხას ძეს ჩააბარა და თან დაავალა: როცა მონღოლები თბილისს მოუახლოვდებიან, ქალაქი გადაწვი, რათა ხვარაზმელების მსგავსად მათაც ხელთ არ იგდონ ჩვენი დედაქალაქიო.

მუხას ძეც ბრძანებისამებრ მოიქცა: „რა ეამს ცნო მუხას ძემან, — ამბობს ეამთააღმწერელი, — მოახლოვება თათართა, მოწვა სრულიად ქალაქი, და თვით პალატი და ისანნი, და ესრეთ მოოხრდა ქალაქი ტფილისისა“.

საქართველოს მთავრობის მესვეურები ვერ აღმოჩნდნენ თავის სიმაღლეზე. იმის მაგივრად, რომ ქვეყნის თავდაცვის მტკიცე ორგანიზაცია შეექმნათ, ვაზირები თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებიანო, ერთად და ცალ-ცალკე სულ უფრო და უფრო შორს გარბოდნენ და თავს აფარებდნენ მიუვალ ციხე-სიმაგრეებს. ქართველი ხალხის ძირითადი მასა — გლეხობა უხელმძღვანელოდ აღმოჩნდა.

ქართველი გლეხობა უბრძოლველად არ ნებდებოდა მტერს დიდ ზიანს აყენებდა მას. მაგრამ მომხდური მტრის ორგანიზებულობას მაინც თავისი გაჰქონდა და გამარჯვება მტერს რჩებოდა.

მონღოლები მოეფინენ „ქვეყანასა მსგავსად მკალთა, საოხრებლად და ხოცად, და არსადა იყო ლხინება, შეწევნა და ნუგეშინის ცემა“, — მოგვითხრობს ეამთააღმწერელი. მონღოლთა ბატონობის შედეგად, იმავე ისტორიკოსის თქმით, „სავსე იყვნეს მოკლულთა მიერ ყოველნი ალაგნი, ქალაქნი, სოფელნი, ველნი, ტყენი, მთანი და ხევნი... ყოველნი მკვიდრნი საქართველოსანი, ამერნი. ხედვიდეს მამა-დედანი შვილთა მოკლულთა და შვილნი მამა-დედათა მკვდართა მდებარეთა, სხვანი ძმათა და ნათესავთა, და დათა თვისთა იავარად წარსხმულთა, ცოლთა და შვილთა მათთა და ყოველსა სიმდიდრესა მათსა წინაშე მათსა განბნეულსა.“

მონღოლთა თარეშს ბოლო არ უჩანდა. საქვეყნოდ გამრიგე, მოხელე-ერისთავები თანდათან მონღოლებს მიუვიდნენ და მორჩილება აღუთქვეს. ქალაქი თბილისი მონღოლებმა დაიკავეს და თავიანთი „წესრიგი“ დაამყარეს.

ეამთააღმწერლის ცნობები რომ სწორია და აქ გადაჭარბებული არაფერია, ეს ამ ამბების თანამედროვე სომეხი ისტორიკოსის კირაკოზ განძაკელის ცნობებიდანაც ჩანს. იგი გვამცნობს, რომ ოდესღასაც აყვავებული საქართველოს სამეფო მონღოლთა ფეხქვეშ

სულს ლაფავდა. მონღოლთა თარეშს ზედ დაერთო ადგილობრივ ფეოდალთა თავაშვებულება, რომლებიც ძარცვავდნენ ღარიბებს, რათა ფუფუნებით ცხოვრება არ მოშლოდათ.

რაც დრო გადიოდა, მონღოლთა ბატონობა მით უფრო აუტანელი ხდებოდა. მონღოლებმა დააწესეს გადასახადები მეურნეობის ყველა დარგზე. ქალაქები, როგორც სავაჭრო-სახელოსნო ცენტრები, მონღოლებს გარკვეულ გადასახადებს უხდიდნენ. სავაჭრო შემოსავლის ყოველი 100 თეთრიდან სამონღოლოდ სამი თეთრი მიდიოდა. ამ გადასახადს მონღოლები ტამღას უწოდებდნენ. გადასახადებს ამძიმებდა მონღოლთა მოუწესრიგებელი საგადასახადო სისტემა: ხშირი იყო, რომ ამა თუ იმ გადამხდელს გადასახადს ხელმეორედ სთხოვდნენ, რადგან მას სათანადო საბუთი არ გააჩნდა. XIII საუკუნის 60-იან წლებში საგადასახადო საქმეებს ხელმძღვანელობდა მონღოლთა მოხელე, წარმოშობით სპარსი, რომელიც თბილისში იჯდა და ისე უწესოდ იქცეოდა, რომ „თუ სამზარეულოსა მეფისასა ცხვარი, გინა კრაეი ისყიდებოდა, მასზედაცა ხარაჯა წაუღიან, რომელსა იგი ტამღად უწოდდეს“.

მოტანილი ფაქტებიდან მკითხველი დარწმუნდება, რომ ქართველი ხალხი მონღოლთა უღელქვეშ დიდ გაჭირვებაში იყო და ამ საერთო ბედს იზიარებდა თბილისიც.

მას შემდეგ, რაც ქართველები დარწმუნდნენ, რომ მონღოლთა წინააღმდეგ, ხელსაყრელ მომენტამდე, პირდაპირი ბრძოლა შეუძლებელი იყო, შეურიგდნენ ბედს და მონღოლებთან ზავი დადეს. რუსუდანი ქუთაისიდან კვლავ თბილისში გადმოვიდა. საქართველოს სამეფო კარზე, ქ. თბილისში, მონღოლთა ხელისუფლების წარმომადგენელიც იმყოფებოდა, რომელიც მონღოლთა ინტერესს იცავდა. როგორც ზევით აღვნიშნეთ, მონღოლთა წარმომადგენელი საქართველოს შინაურ საქმეებში იმდენად ერეოდა, რომ მეფის სამზარეულოსაც კი კონტროლს უწევდა.

მონღოლთა ბატონობა ას წლამდე გაგრძელდა; ამ ხანგრძლივი ბატონობის პერიოდში ქალაქი თბილისი არა ერთხელ ყოფილა მონღოლთა რბევა-აწიოკების ობიექტი. 1259—1260 წელს, როდესაც ქართველი მეფეები, ნარინ დავითი და ულუ დავითი, მონღოლთა წინააღმდეგ აჯანყდნენ, მონღოლებმა თბილისი ქართველებს წაართვეს და საგამგეოდ ვიღაც სომეხ ვაჭარს—შადინს გადასცეს. ამ ხანის თბილისისათვის ჩვეულებრივ ამბებად ჩანს გლახაკ-ქვრივ-ობოლთა და დავრდომილთა ურიცხვი ჯგუფების არსებობა. გლახაკ-

ქკრიე-ობლობა იმდენად ხშირი ყოფილა, რომ დემეტრე თავდადებულის დროს (1272—1289), ჟამთააღმწერელის გადმოცემით, ქალაქის ქუჩები და განაპირა უბნები გლახაკებით იყო სავსე.

XIII საუკუნის 90-იანი წლებიდან, როცა მონღოლთა წინააღმდეგ ქართველთა აჯანყებებმა მასობრივი ხასიათი მიიღო, მონღოლები ნიადაგ აგზავნიან დამსჯელ ექსპედიციებს. ეს ექსპედიციები მოდიან თბილისში, აქ ბანაკდებიან და ავიწროებენ მოსახლეობას. მათი სტუმრობაც კი უბედურების მომტანი იყო. სარგის ჯაყელი რომ დაავადდა, არღუნ აღა 20.000 კაცით მის სანახავად წამოვიდა; სანამ სამცხეში მივიდოდა მან ჯერ თბილისი ინახულა და თავისი „სტუმრობის" ძალაც აჩვენა. ამ „სტუმრების" მასპინძლობა და შენახვა ხალხს უხდებოდა.

მიუხედავად ასეთი არაადამიანური ჩაგვრისა, საკმარისი იყო ქართველებს ოდნავი საშუალება მისცემოდათ ამოსუნთქვისა, რომ ისინი მაშინვე თავისი საყვარელი ქალაქის აღდგენას შესდგომოდნენ.

XIII საუკუნის 50-იან წლებში მესტუმრე ჯიქურმა, რომელიც ულუ დავითის საქართველოში არყოფნის დროს საგანგებო უფლებებით იყო აღჭურვილი, შესანიშნავი სასახლე ააგო ისანში.

ხვარაზმელებისაგან დანგრეული და შეგინებული დიდებული სიონის ტაძარიც ხელახლა განუახლებიათ ქართველებს.

ქვეყნის აღდგენის საქმეში განსაკუთრებულ ღვაწლმოსილად ჩანს დემეტრე თავდადებული (1271—1289). ჟამთააღმწერელი გადმოგვცემს, რომ დემეტრემ „აღაშენა ქვეყანანი მოოხრებულნი".

დემეტრეს განსაკუთრებული ყურადღება მიუქცევია თბილისის აღდგენისათვის. იმავე ისტორიკოსის გადმოცემით, დემეტრემ მეტეხის ეკლესია ააშენა და „შეამკო განგებითა დიდითა". ეს ძეგლი დღესაც ყურადღებას იქცევს, როგორც XIII საუკ. მეორე ნახევრის ქართული ხუროთმოძღვრების მაღალი ღირსების ძეგლი. მიუხედავად იმისა, რომ ათეული წლების განმავლობაში ქართველი ხალხი ველური ტომების სასტიკი ბატონობის ქვეშ იმყოფებოდა, მას მაინც შესწევდა უნარი საკუთარი ინდივიდუალობის ნიშანწყალი შეენარჩუნებინა და შეექმნა ხუროთმოძღვრების ისეთი იშვიათი ძეგლი, როგორიც არის მეტეხის ეკლესია.

7. თბილისი XIV—XV საუკუნეებში

XIV საუკუნის ოციან წლებიდან საქართველოში მონღოლობა გადაშენდა. ქვეყანა პოლიტიკურად განთავისუფლდა, ეკონომიურად მოღონიერდა და ტერიტორიულად გაერთიანდა. ქალაქ თბილისსაც დაეტყო ქვეყნის საერთო აღმავლობის გავლენა.

იმდროინდელ თბილისს საქართველოს გარეთ იცნობენ, როგორც ერმრავალ და კეთილმოწყობილ ქალაქს.

რომის პაპმა, იოანე XXII-მ, ახლო აღმოსავლეთის კათოლიკე ეპისკოპოსის რეზიდენცია სმირნიდან თბილისში გადმოატანია. პაპი ამ ამბავს იმით ამართლებდა, რომ თბილისი ყველაზე განთქმული და შესანიშნავი იყო თავისი სიდიდით და კეთილმოწყობით.

„მრავალი თათბირისა და გამოკითხვის შედეგად, — წერდა პაპი თავის 1328—1329 წლის წერილებში, — დავრწმუნდით, რომ ტფილისი, საქართველოს სამეფოს ცენტრი, საუკეთესო, ხალხმრავალი, კეთილმოწყობილი და მდიდარი ქალაქია... განთქმული და შესანიშნავია“.

მაგრამ თბილისს კეთილდღეობა დიდხანს არ გაუგრძელდა: XIV საუკუნის 80—90-იან წლებში თბილისს კვლავ უამინდობა დაუდგა. 1386 წელს შუა აზიიდან მოსული ველურთა ურდო თემურლენგის მეთაურობით საქართველოში შემოვიდა. თბილისისაკენ მომავალმა გზაზე არა ერთი ციხე-ქალაქი მოთხარა და გაანადგურა. კარის (ყარსის) ცნობილი ციხე-ქალაქი, რომელიც განთქმული იყო თავისი ციხე-სიმაგრეებით, მიწასთან გაასწორა. ყარსის აღების შემდეგ თემურლენგი საქართველოს დედაქალაქის, თბილისის, ასაღებად გამოემართა. თბილისი, სპარსელი ისტორიკოსის შერეფედდიან ალი-იეზდის სიტყვით, მაგარი ზღუდეებით გამაგრებული ქალაქი იყო. „თავიანთი დედაქალაქის ასეთი სიმტკიცით დაიმედებული ქართველები, — წერდა აკად. ივ. ჯავახიშვილი, — მედგარი ბრძოლისა და სასტიკი წინააღმდეგობის გასაწევად მოემზადნენ... თბილისის აღებას არც თემურლენგი სთვლიდა ადვილ საქმედ და ამიტომ გადამწყვეტი ბრძოლა მხოლოდ წინასწარი კარგი მომზადების შემდეგ დაიწყო. უპირველესად იგი ტფილისის გარემოცვასა და გზების შეკვრას შეუდგა. შემდეგ საომარი იარაღისა და საბრძოლველი მანქანების გამართვას მიჰყვეს ხელი.“

თუ რამდენად დიდ მნიშვნელობას აძლევდა თემურლენგი თბილისის აღებას, იქიდანაც ჩანს, რომ იგი პირადად თვითონ ხელ-

მძღვანელობდა თბილისის აღების ოპერაციებს. თბილისელები მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ მომხდურ მტერს.

ქალაქის ციხე-კედლებიდან თემურლენგელებს სეტყვასავით უშენდნენ ქვებსა თუ ისრებს. თემურლენგმა, რომელსაც დიდი გამოცდილება ჰქონდა ციხე-ქალაქების აღებისა, თბილისზე იერიშისასყველა მებრძოლს ჩელტები (დიდი ფარები) ააღებინა. ისინი ამ ჩელტებით იცავდნენ თავს და ქალაქზე განუწყვეტელი იერიში მიჰქონდათ. ამავე დროს თემურმა თავისი ლაშქარი ცალკეულ ჯგუფებად დაჰყო და თითოეულს თავისი საბრძოლო უბანი ჩააბარა. იგი, ხმალამოღებული, პირველი გადავიდა იერიშზე და თავისი ჯარისკაცები გაამხნევა. ხანგრძლივმა ალყამ და მტრის უკეთ შეიარაღებამ თავისი გაიტანა. მტერმა გასტეხა ქართველთა მედგარი წინააღმდეგობა და ქალაქში შეიჭრა. 1386 წლის 21 ნოემბერს თემურლენგმა ქალაქი თბილისი აიღო და საქართველოს მეფე ბაგრატ V ცოლშვილითურთ ხელთ იგდო. ამ გამარჯვების აღსანიშნავად თემურლენგმა დიდი ნადირობა გამართა ყარაიის ველზე.

როგორც წესი, როცა თემურლენგი რომელიმე ციხე-ქალაქს აიღებდა, განსაკუთრებით მაშინ, თუ ციხე-ქალაქის აღებისას დიდ წინააღმდეგობას წააწყდებოდა, აღებულ ციხე-ქალაქში ქვას ქვაზე აღარ სტოვებდა. მაგრამ თბილისის მიმართ ამჯერად ეს ველური მეთოდი არ გამოუყენებია. რა თქმა უნდა, ეს თემურის ჰუმანურობით არ აიხსნება. მან ამ შემთხვევაში, როგორც ეს თავის დროზე აკადემიკოსმა ივ. ჯავახიშვილმა შენიშნა, თბილისი არ დაანგრია გარკვეული პოლიტიკური მოსაზრების გამო. მისი მთავარი მტერი იყო ჩრდილოეთ ულუსის მბრძანებელი თოხთამიში და მის წინააღმდეგ საბრძოლველად უეჭველია ქართველთა მონაწილეობა დიდად დაეხმარებოდა. ეგების ამ მოსაზრებით არ გაანადგურა მან თბილისი, რომ ქართველთა ნდობა დაემსახურებინა.

თემური საქართველოდან მალე წავიდა და 1393 წლამდე აქ აღარ გამოჩენილა. 1393 წელს თემურლენგი საქართველოში მეორედ შემოიჭრა, ქალაქ თბილისი აიღო და თბილისის ციხეებში თავისი მეციხოვნეები დააყენა. 1393—1403 წლებში კი განსაკუთრებით მძიმე იყო თემურლენგის ბატონობა. ეს პერიოდი არის ნამდვილი სისხლიანი პერიოდი. თემურლენგის რვა გზის შემოსევის შედეგად ჩვენი ქვეყანა უდაბნოს დაემსგავსა.

იმდროინდელი მემატიანეები გვაუწყებენ, რომ სადაც კი ფეხი შედგა თემურმა, იქ ბალახი აღარ ამოვიდაო. XV საუკ. თხზულების,

„ძეგლი ერისთავთა“-ს, ავტორი გადმოგვცემს: „მოწვეს და მოაოხრეს ყოველი საქართველო და დაყარნეს მძოვრნი მკვდრისა, ვითარცა მჭელი თივისა“.

მარტო დასავლეთ საქართველოში, სადაც მხოლოდ ერთხელ ილაშქრა თემურლენგმა და ისიც ქუთაისამდე, შერეფედდინის ცნობით, 700-მდე სოფელი იქნა განადგურებული. თემურლენგი ყველაფერს სპობდა სულიერსა თუ უსულოს, რაც კი დედამიწის პირზე იდგა. მისი შემოსევების შედეგია ქართულ ლექსიკონში ისეთი სიტყვების გაჩენა, როგორიცაა „ნაფუძარი“, „ნასახლარი“, „ნაქალაქარი“, „ნასოფლარი“ და სხვა. გასაგებია, რომ ასეთ პირობებში არც თბილისი გადაურჩებოდა დანგრევას. მიუხედავად იმისა, რომ 1403 წელს გიორგი მეფესა და თემურლენგს შორის ზავი დაიდვა, თემურლენგმა, საქართველოდან წასვლის წინ, განკარგულება გასცა თბილისის მიდამოებში არსებული მატერიალური კულტურის ძეგლები დაენგრიათ.

თემურლენგი 1405 წელს გარდაიცვალა და მის მიერ შექმნილი სახელმწიფოც დაიშალა. საქართველომ მცირე ხნით შესვენება მიიღო. თბილისისათვისაც კარგი ამინდი დადგა.

1412 წელს საქართველოს სახელმწიფოს სათავეში ჩაუდგა ნიჭიერი სახელმწიფო მოღვაწე ალექსანდრე პირველი. მან არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება ჩაატარა აოხრებული ქვეყნის აღდგენისათვის. აღდგენა იწყო ქალაქ თბილისმაც. მაგრამ XV საუკუნის 40-იან წლებში მდგომარეობა გაუარესდა. საქართველოს გარეშე მტერი კვლავ აეშალა და შემოსევები გახშირდა. 1440 წელს თავრიზის მფლობელი ჯეჰან-შაჰი დიდი ჯარით საქართველოს წინააღმდეგ დაიძრა. აღდგომა დღე იყო, ქართველები არ ელოდნენ თავდასხმას და სადღესასწაულოდ მორთულიყვნენ სოფელსა თუ ქალაქებში. მტერი მოულოდნელად შემოიჭრა საქართველოში და ქალაქ სამშვილდეს ალყა შემოარტყა. სამშვილდე თბილისისაკენ მომავალ გზაზე მდებარეობდა, მნიშვნელოვანი ციხე-ქალაქი იყო და თბილისის შორეულ სათავდაცვო ხაზს ამაგრებდა. ჯეჰან-შაჰმა ქალაქი სამშვილდე აიღო და სამშვილდის კარებს წინ 1464 მოჭრილი თავისაგან მინარა დაადგმევინა. მტერმა ესეც არ იკმარა და, თომა მეწოფელის სიტყვით, 9400-მდე სამშვილდელი ტყვედ წაასხა.

სამშვილდის აღებისთანავე ჯეჰან-შაჰმა თავისი რიცხვმრავალი ურდოები თბილისისაკენ დასძრა. მან სძლია თბილისელთა წინა-

აღმდეგობა, აიღო ქალაქი, გაძარცვა და მიანგრ-მოანგრია. მტერი ისე სასტიკად მოეჭცა მოქალაქეებს, რომ არ ინდობდა არც მოხუცს, არც ბავშვს, არც ქალს. სომეხი ისტორიკოსი თომა მეწოფელი გვარწმუნებს, რომ თავზარდაცემული მოქალაქეები ერთმანეთს ეხეთქებოდნენ და არ იცოდნენ, სად შეეფარებინათ თავი. ჯეჰან-შაჰის შემოსევას ისეთი დაღი დაუმჩნევია ქალაქისათვის, რომ ქართველებს დიდი ხნის განმავლობაში ვეღარ მოუხერხებიათ ქალაქის აღდგენა. იტალიელ მოგზაურებს, იოსაფა ბარბაროს და ამბროზიო კონტარინის, რომლებიც 1475 წელს მოვიდნენ თბილისში, ქალაქი აოხრებული და ხალხმცირე დახვედრიათ. ამბროზიო კონტარინი წერს: „12 ივლისს 1475 წ. მოვედით საქართველოს მეფის ქალაქში, რომელსაც ჰქვია ტფილისი. ეს ქალაქი დგას მცირე გორაზე. მეორე უფრო მაღალ გორაზე, აშენებულია ტფილისის ციხე, საკმაოდ მაგარი, — ტფილისი წინათ სახელგანთქმული იყო თავისის სიდიდით და ამჟამად კი დაცემულია, მაგრამ ქალაქის ის უბნები, რომელიც აოხრებას გადარჩენია, ახლაც კარგად არის დასახლებული“.

თითქოს საკმარისი არ იყო უამრავ მტერთა ხშირი შემოსევები, და ქალაქს 1475 წლის სექტემბერ-ოქტომბერში, თავს დაატყდა შავი ჭირი. ამბროზიო კონტარინის თქმით, „ეს სენი ძლიერ ეუსრავდა ხალხს“.

1477 წელს საქართველოს შემოესია ირანის მბრძანებელი უზუნ-ჰასანი 40.000 კაცით. იგი თბილისს მოადგა. ჩანს, ჯეჰან-შაჰის შემოსევების შემდეგ, თუმცა ქალაქის ციხე ქართველებმა კვლავ გაამაგრეს, მაგრამ ქალაქის დაცვა მაინც სათანადო სიმაგრეებით ვერ უზრუნველუყვიათ და იძულებულნი გამხდარან ქალაქიდან გახიზნულიყვნენ. ასე რომ, უზუნ-ჰასანმა უბრძოლველად აიღო ქალაქი თბილისი და თავისი გარნიზონები ჩააყენა. სპარსთა მეციხოვნე ჯარები თბილისში იმყოფებოდნენ 1478 წლამდე. 1478 წელს უზუნ-ჰასანი გარდაიცვალა. მის შემდეგ ტახტისათვის ბრძოლა-ინტრიგები ჩამოვარდა. ამით ისარგებლეს ქართველებმა თბილისში მყოფი სპარსელები ამოქელიტეს და ქალაქი გაანთავისუფლეს.

1488 წელს იაყუბ-ყაენი საქართველოს წინააღმდეგ დიდ ჯარს აგზავნის ხალილ-ბეგის მეთაურობით. მტერი თბილისს მოადგა. ქალაქის მისადგომები საგანგებოდ გაამაგრეს ქართველებმა და მომხდურ მტერს სასტიკი ომი გაუმართეს. „იყვის ყოველთა დღეთა ომი და არა იყო ღონე ციხის წაღებისა“. ქართველებმა სხვა

ზომებიც მიიღეს, თბილისზე საიერიშოდ მოსულ სპარსელებს ზურგს უმაგრებდნენ ჭანდარს მდგომი სპარსელები. ამათზე მიიტანეს იერიში ციციშვილებმა, ბარათაშვილებმა და ჯავახიშვილებმა. მათ ჭანდარში მდგომი მეციხოვნე ჯარები სასტიკად დაამარცხეს. გაიგეს თუ არა თბილისის მოალყეებმა ეს, მიატოვეს ბრძოლა და უკან წავიდნენ. კუმისის ბოლოს გზა გადაუჭრეს ქართველებმა და სასტიკად დაამარცხეს. მთელი მათი ქონება ქართველებმა იგდეს ხელთ. „თავთა მათთა აცმიდიან ღობე-მარგილთა ზედა.“ — მოგვითხრობს ქართველი ისტორიკოსი.

სპარსელები მეორედაც შემოდიან საქართველოში 1490-იან წლებში, მაგრამ ამჯერადაც მათ ვერ აიღეს თბილისი და სირცხვილეულნი დაბრუნდნენ უკან.

ამიერიდან 1522 წლამდე თბილისი უცხოელ დამპყრობელს აღარ შეუწუხებია და ქალაქიც მოშენებას იწყებს, მაგრამ მალე თბილისს კვლავ თავს დაატყდა უბედურება.

8. თბილისი XVI—XVII საუკუნეებში

XV საუკუნეში ერთიანი ფეოდალური საქართველოს სამეფო ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დაიშალა. ამიერიდან 1762 წლამდე თბილისი ქართლის სამეფოს სატახტო ქალაქად ითვლებოდა.

ჯერ კიდევ 1501 წელს შაჰ-ისმაილს ურჩევდნენ თავისი ერთგულები, რომ მას ხელთ ეგდო თბილისი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ექნებოდა ოსმალებთან წარმოებულ ომში. მაგრამ იმჯერად მან ლაშქრობა ნაადრევად ჩათვალა.

1522 წელს შაჰ-ისმაილი დიდი ჯარით საქართველოში შემოიჭრა და აღჯაყალას დაბანაკდა. ქართველებმა თბილისი გაამაგრეს და მომხდურ მტერს ომი გაუმართეს; თელეთის ბრძოლაში, ირანელთა რამდენიმე რაზმი გაჟლიტეს ქართველებმა, მაგრამ მტრის სიჭარბემ თავისი გაიტანა, საბოლოო გამარჯვება მას დარჩა. ამ გამარჯვების შემდეგ სპარსელები თბილისისაკენ გამოემართნენ: შაჰ-ისმაილი „გარე მოადგა ციხესა ტფილისისასა და ბრძოლა უყო ძლიერად“. როგორც აღნიშნული იყო, თბილისის მისადგომები ქართველებს საგანგებოდ ჰქონდათ გამაგრებული და პირდაპირი იერიშით თბილისის აღება მტერმა ვერ შესძლო. ამავე დროს ქართველები მას ციხიდან დიდ ზარალს აყენებდნენ. მიხვდა რა შაჰი,

რომ ციხე გარედან არ აიღებაო, შეეცადა შიგნიდან გაეტეხა იგი. ცბიერმა შაჰმა გადაიბირა ციხისთავი, დიდ ჯილდოს დაჰპირდა. ციხისთავი სულმოკლე აღმოჩნდა, თავის ხალხს უღალატა და მტრის მხარეზე გადავიდა. შაჰი შეიპრა ქალაქში, მოსახლეობა გაძარცვა და დაატყვევა, ქართული კულტურის ყველა შესანიშნავი ძეგლი დაანგრია და შეაგინა. შაჰ-ისმაილმა, დაიპყრო რა ქალაქი, ქალაქის ციხეებში თავისი მეციხოვნეები ჩააყენა და მეტეხის ხიდის ყურზე მეჩეთი ააშენა. სპარსელები, ჩანდა, მტკიცედ აპირებდნენ აქ დამკვიდრებას. ქართველები კონტრზომებისათვის ემზადებოდნენ და შესაფერ დროს უცდიდნენ, რომ შეტევაზე გადასულიყვნენ და თავიანთი საყვარელი ქალაქი გაენთავისუფლებინათ. მომენტი დადგა—1524 წელს შაჰ-ისმაილი გარდაიცვალა და ირანის სამეფო ტახტზე ავიდა მისი მცირეწლოვანი ვაჟი, თამაზი. ამით ისარგებლა ქართლის მეფემ დავითმა. მოადგა თბილისს, „აღიღო ხგი, მოსრნა ყიზილბაშნი, კვალად აღიღო აღჯაყალა, შემუსრა იგი. განასხნა თათარნი და დაიპყრო საზღვარნი თვისნი ყოველნი“, მოგვითხრობს ქართველი ისტორიკოსი.

1524—1541 წლები თბილისისათვის იყო მშვიდობიანი ცხოვრების წლები.

1541 წელს შაჰ-თამაზი ყარაბაღში მოვიდა და, როგორც ისტორიკოსი ფარსადან გორგიჯანიძე წერს, „ომნახულნი მამაცნი და ხელგამამავალნი ვაჟკაცნი დაარჩივა, თორმეტი ათასი ცხენკეთილი გამოჰყო და საქართველოსკენ წამოვიდა. მტერი მოულოდნელად, ღამით, ქალაქს დაეცა. გორგიჯანიძე განაგრძობს: „ქალაქს ცეცხლი მოუდვეს და მრავალი სული დახოცეს.“ მოქალაქეთაგან „ზოგმან ცოლ-შვილნი გარდახვეწეს და ზოგთ ციხეში შეასწრეს. თვითანც ბევრნი დაიხოცნეს, ყიზილბაშიც მრავალი ამოწყვიტეს“. როგორც ვხედავთ, ცუდად არ უბრძოლიათ ქართველებს, მაგრამ მომხდურ მტერს თბილისი მაინც აუღია. იგივე ისტორიკოსი ამჯერად თბილისის აღების მიზეზად იმას ასახელებს, რომ „მეფე და ლაშქარი ზემო ქართლს იყვნეს და მოქალაქეთ ეს მოლოდინი არა ჰქონდათ და მერმე ღამითაც დაესხნეს და იძახდეს — „აენი მოვიდაო. მოქალაქენი ერთგან ვეღარ შეგროვდეს და ყველაკანი თავისის ცოლ-შვილის მორჩენას ცდილობდეს. მაგრამ მაშინაც მრავალი დაატყვეეს“.

მტრის ასეთი მოულოდნელი თავდასხმის გამო ქართველებმა ვერ მოასწრეს ციხეში საკირო მარაგის შეტანა. ყოველივე ამას

ზედ დაერთო ციხისთავი გულბაათის ღალატი. როცა მტერი ქალაქის მთავარ ციხეს მიადგა, ციხისთავი მტერს მიუვიდა, მაჰმადიანობა მიიღო და კლიტე-გასაღებები გადასცა. შაჰმა ქალაქი გადასწვა, ციხეში თავისი მეციხოვნე გარნიზონები ჩააყენა და დიდი ალაფით უკან გაბრუნდა.

ქართლის მეფე ლუარსაბი (1534—1558 წ.წ.) მედგარ ბრძოლას აწარმოებდა თბილისის განთავისუფლებისათვის: არა ერთხელ მიიტანა იერიში თბილისზე, არა ერთხელ ამოჟლიტა ყიზილბაშთა მოთარეშე რაზმები და ერთხანს თბილისიც გაანთავისუფლა, მაგრამ შაჰ-თამაზმა საქართველოს დედაქალაქი კვლავ ხელთ იგდო. ვახუშტის თქმით, „შემუსრა ტფილისი და ნეშტნი მოსწყვიტნა, შეაყენა ციხესა შინა მცველნი უმრავლესნი“. ამიერიდან ლუარსაბი კვლავ აწარმოებს ბრძოლას თბილისისათვის, მაგრამ უშედეგოდ. იგი თვითაც ამ ბრძოლას შეეწირა. 1558 წელს, გარისის ომში, სასიკვდილოდ დაიჭრა და გარდაიცვალა.

* * *

ლუარსაბის სიკვდილის შემდეგ ქართლში სიმონ პირველი გაშეფდა. მანაც თავის პირველ ამოცანად თბილისის განთავისუფლება დაისახა. 1561 წელს სიმონი თბილისზე საიერიშოდ ემზადებოდა. მან კახელებიც მოიშველია და ციხედიდს დაბანაკდა. შაჰ-თამაზმა ზომები მიიღო: ყაზახ-შამშადილოსა და განჯა-ყარაბაღის ბეგლარ ბეგებს დაავალა — თბილისელ მეციხოვნე ყიზილბაშებს დახმარება აღმოუჩინეთო.

თბილისში მყოფი მეციხოვნე ყიზილბაშები სიმონის რაზმების მოძრაობას თვალყურს ადევნებდნენ და ფხიზლობდნენ. ჩანს, მათმა დაზვერვამ შეიტყო, რომ სიმონი ციხედიდს (ახლანდელი სადგური ძეგვის მიდამოებში) ბანაკობს და თბილისზე წამოსასვლელად ემზადება. მტერი შეეცადა თვითონ გადასულიყო იერიშზე. მტრის დიდი რაზმები აღდგომის წინა ღამეს ციხედიდს გაემგზავრნენ. სიმონის მეთვალთვალემ, ფარეშა გერმანოზაშვილმა, რომელიც დევისნამუხლარს (ახლანდელ მუხათგვერდს) იდგა, საყარაულო საჯდომი მიატოვა და სოფლის ეკლესიაში წირვაზე წავიდა. ეს შემთხვევა კარგად გამოიყენა მტერმა — ეს ადგილი შეუმჩნევლად გაიარა და სიმონის ბანაკს მოულოდნელად დაატყდა თავს. ამ ბრძოლაში

ქართველები დიდად დაზარალდნენ. ბრძოლის ველზე დაეცა კახთა ჯარების უფროსი გიორგი ბატონიშვილი. ამ ბრძოლაში დაიღუპა ცხრა ვაჟკაცი ამილახვრიანთ სახლიდან. სიმონი ზემო ქართლში გაიხიზნა. ამრიგად, თბილისის ასაღებად მოწყობილი ეს ოპერაცია ჩაიშალა.

ერთი შემთხვევის გამო თბილისის განთავისუფლება ამიერიდან კიდევ უფრო გაძნელდა. სიმონის ღვიძლი ძმა, დავითი, 1564 წელს ძმას გაეცალა, ყაზვინს მივიდა, ქართველთა დაუძინებელ მტერს, ირანის შაჰს ეახლა, მაჰმადიანობა მიიღო და ძმის წინააღმდეგ ბრძოლის მეთაურობა იკისრა. მტერსაც ეს უნდოდა. შაჰმა დავითს თბილისისა და სომხით-საბარათიანოს მეფობა უბოძა და თბილისში გამოისტუმრა. ეს მოღალატე თბილისში ჩამოვიდა და ყიზილბაშებს სათავეში ჩაუდგა. სიმონმა არა ერთხელ სძლია ყიზილბაშთა ლაშქარს და ქალაქის მისადგომებში ჟლიტა ისინი. ერთ-ერთ ბრძოლაში სიმონმა ქალაქის მახლობლად სასტიკად დაამარცხა ყიზილბაშთა ლაშქარი, ბრძოლაში მოკლა თვით ამ ლაშქრის „ქკუანაკლები და ამაყი“ სარდალი. „ეს ამბავი მეფემ დავით ყაენს მისწერა და ლაშქარი სთხოვა“. შაჰმა დავითის თხოვნა შეასრულა, ჰასანბეგ ყარამანლუ დიდი ლაშქრით საქართველოში გამოგზავნა. დავითმა და ჰასანბეგმა შეერთებული ძალებით გაილაშქრეს სიმონზე, მაგრამ „მეფემ სვიმონ გაიმარჯვა, მეფე დავით და ყიზილბაშნი დამარცხებულნი ქალაქში შემოვიდნეს და მეფემ სვიმონ თანმოატანა და ქალაქის ციხეს შემოადგა“. მტერი ისე დაიბნა, რომ თუ მოქალაქენი სიმონს მიმხრობოდნენ, ქალაქი უსათუოდ განთავისუფლდებოდა; მაგრამ მოქალაქეებმა დაბნეულობა გამოიჩინეს, შაჰის მრისხანებისა შეეშინდათ და სიმონს არ მიემხრნენ. შიშით შეპყრობილი დაუთხანი* დამარცხების ამბებს შაჰს ატყობინებდა და მაშველ ჯარებს სთხოვდა. 1569 წელს ფარცხისის ომში (ალგეთზე) სპარსელებმა ტყვედ იგდეს სიმონი და თბილისის გამოხსნის საკითხიც სამომავლოდ გადაიდო.

1578 წელს ოსმალეთმა ომი გამოუცხადა ირანს. ოსმალთა ლაშქარმა ჩილდირის ტბასთან სასტიკად დაამარცხა ირანთა ჯარი და საქართველოს დასაპყრობად გამოემართა. დაუთხანი უძლური აღმოჩნდა. ღალატჩვეული რენეგატი ახლა ოსმალებს მიუვიდა და

---

* მოღალატე დავით მეფეს ქართველებმა დაუთხანი შეარქვეს და ამ სახელით დარჩა იგი ისტორიაში.

ქართლის ციხე-სიმაგრეები, მათ შორის თბილისის ციხეც, ოსმალებს გადასცა. ყიზილბაშთა მეციხოვნეები თბილისში ოსმალთა მეციხოვნეებით შეიცვალა.

1578 წელს ირანელები ტყვეობიდან ანთავისუფლებენ სიმონს და აგზავნიან ქართლში, ოსმალების წინააღმდეგ. სიმონი ჩამოდის რა ქართლში, შემოიკრებს თავის ერთგულ თანამემამულეებს და იწყებს სამზადისს ოსმალების გასადევნად. მისი ძირითადი მიზანია, პირველ რიგში გაანთავისუფლოს თბილისი და გორი. ამდროს თბილისში მყოფი მეციხოვნე ოსმალები დიდ-დიდ ჯგუფებად ხეტიალობდნენ სოფლებში, იტაცებდნენ მცხოვრებთა დოვლათს და კვლავ თბილისის ციხეებში იკეტებოდნენ.

სიმონი უთვალთვალებდა ასეთ მოთარეშე რაზმებს, სადაც თვალს მოჰკრავდა, გამოედევნებოდა და სისხლს უშრობდა. ერთხელ სიმონი ლილოს ტბასთან იყო დაბანაკებული, მაღალ გორაზე. „რა ჟამს გამოვიდნენ ქალაქის ციხიდამე მროწეული (მროწეული, საქონლის ჯოგი, ნახირია.—დ. გ.) ურუმთა (ოსმალთა.—დ. გ.), გაუსია მეფემა სვიმონ მცირე ჯარი და დაატაცებინა მროწეულნი. და რა იხილნეს მემროწლეთა, ივლტოდენ და ამცნეს ციხესა მყოფთა ურუმთა და გამოვიდა სიმრავლე ჯარი ურუმთა“. დაინახეს რა ოსმალთა ჯარი, ქართველები ცხენებს მოახტნენ და ხმალამოღებულები მისცვივდნენ მტერს. ცხარე ბრძოლა გაიმართა. ამ ბრძოლაში ოსმალებმა დიდი ზარალი ნახეს და ცხენისჭენებით თბილისისაკენ მოკურცხლეს. ქართველები ფეხდაფეხ მისდევდნენ, ხოცდნენ ყველას, ვისაც კი წამოეწეოდნენ. სიმონი მათ თბილისის ციხემდე მიჰყვა, ცოცხლად დარჩენილი ოსმალები ციხეში შეცვივდნენ, კარს ურდული გაუყარეს და ციხიდან აუტეხეს სროლა. ამ იერიშის დროს სიმონმა ციხე ვერ აიღო. თბილისიდან დაბრუნებულმა სიმონმა ლორეზე გაილაშქრა და იქ მყოფი მეციხოვნენი გაჟლიტა. ამ ოპერაციების შემდეგ სიმონი ტაბახმელას დაბანაკდა და კვლავ თბილისისაკენ ეჭირა თვალი. თბილისს მყოფმა ფაშამ თავის მეციხოვნე ოსმალებით სიმონის ბანაკზე თავდასხმა განიზრახა და ტაბახმელასკენ გაეშურა. ფაშის განზრახვა სიმონმა ადრე შეიტყო და ბრძოლისათვის მოემზადა. ბრძოლა მოხდა ტაბახმელას. ამ ბრძოლაში სიმონმა გაიმარჯვა. ბერი ეგნატაშვილის ცნობით, ოსმალებმა 500-მდე კაცი დატოვეს ბრძოლის ველზე და უკან დაბრუნდნენ. როგორც ვახუშტი ბაგრატიონი, ისე ბერი ეგნატაშვილი გვარწმუნებენ, რომ ზემოთ აღწერილი ბრძოლების შემდეგ სიმონმა თბი-

ლისი გაანთავისუფლა და თბილისის ციხეებში მყოფი მეციხოვნე ურუმნი* გაეცლიტაო. ეგნატაშვილის თქმით „წარმოვიდა მეფე სვიმონ და მოადგა ციხესა ტფილისისასა და აღიღო ციხე ტფილისისა და ქალაქი დაიპყრო თვითან და მოსრა ყოველივე, რაოდენიცა იყუნეს ციხესა ტფილისისასა ურუმნი“. ვახუშტის თქმითაც სიმონი „მოადგა ტფილისს, მცირეს ხანსა შინა წარიღო და მოსწყვიტნა სრულიად ოსმალნი“.

მაგრამ, ჩანს, ქართველებმა დიდხანს ვერ შეინარჩუნეს თბილისი და იგი ისევ ოსმალებმა აიღეს.

* * *

XVII საუკუნის დამდეგს ირანი შეტევაზე გადავიდა ოსმალეთის წინააღმდეგ და შაჰ-აბასმა ქართველების დახმარებით ამიერკავკასიის ციხე-ქალაქებში მდგომი ოსმალები ზედიზედ დაამარცხა.

1606 წელს შაჰ-აბასი შემოვიდა თბილისში, აქ მყოფი ოსმალები ზოგი ტყვედ იგდო, ზოგი გაეცლიტა და თბილისის ციხეებში თავისი გარნიზონები ჩააყენა. ასე რომ ახლა ოსმალთა გარნიზონები კვლავ ყიზილბაშთა გარნიზონებით შეიცვალა.

ცბიერი შაჰ-აბასი ცდას არ აკლებდა, რომ თბილისი გაეგაგრებინა, აქ დიდი ჯარი ჰყოლოდა, რათა ქართველთა აყრის შავბნელი გეგმები განეხორციელებინა. ამიერიდან ყიზილბაშთა მეციხოვნე ბრბო ძალადობისა და შევიწროების ყოველგვარ საშუალებას მიმართავდა. მართალია, ქართლის მეფის ტახტი თბილისში იყო, მაგრამ თბილისის ციხეში ყიზილბაშები ისხდნენ, მეფის საქმეებში ერეოდნენ, ქალაქში თვითნებობდნენ, მოსახლეობას ძარცვავდნენ, ქართულ ადათ-ჩვეულებს შეურაცხყოფდნენ.

ევროპელი მოგზაური შარდენი, რომელიც XVII საუკუნის 70-იან წლებში იყო საქართველოში და თბილისიც ინახულა, ყიზილბაშთა მეციხოვნეების მძლავრობის შესახებ ამბობს: „ქალაქი გარშემორტყმულია მაგარი და მშვენიერი კედლით, — ის გრძელდება სამხრეთიდან ჩრდილოეთით და სამხრეთის მხრიდან აქვს დიდი ციხე, სადაც მხოლოდ და მხოლოდ სპარსელები ცხოვრობენ — გარნიზო-

---

* ძველი ქართული წყაროები ხშირად თურქებს ურუმებს უწოდებენ, ხოლო სპარსელებს—ყიზილბაშებს.

ნი და ხელოსნები, სამხედრო მოედანს, რომელიც მდებარეობს ციხის წინ, იყენებენ საზოგადოებრივ მოედნად და ბაზრად. ეს ციხე ითვლება თავშესაფრად, ყველა დაბნაშავე და მოვალე იქ უშიშრად არი. ქართველი მეფე, რომელიც შაჰისაგან წერილს თუ საჩუქარს იღებს, ჩვეულებრივ ქალაქის ალაყაფის კარებს იქით მიდის ციხეზე გავლით, რადგან სპარსეთიდან მომავალი გზა თბილისში სხვა მხრივ არ არის თუ არა ციხით. შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ მეფე არასოდეს არის დაზღვეული, რომ როცა იგი ციხეში შივა, მინბაშმა არ დაატყვეოს, რომელმაც შეიძლება საამისო ფარული განკარგულება მიიღო შაჰისაგან. სპარსელებმა ჭკვიანურად მოაწყეს ეს საქმე (ალაყაფის კარებს იქით მეფის გამოძახება და იქ შაჰის ბრძანების გადაცემა), ამ გზით მათ შეუძლიანთ რისკისა და დიდი შრომის გარეშე დაიპირონ მეფე და სხვა ერისთავ-თავადი".

ვფიქრობთ, რომ შარდენს ამ შემთხვევაში არაფერი გადაუპარებია. მას არა ერთი ქართული წყაროც ემოწმება: ისტორიკოსი ფარსადან გორგიჯანიძე გადმოგვცემს, რომ ყიზილბაშებმა ქალაქის ციხეში დაატყვევეს ქართლის კათალიკოსი, რომელიც „დაარჩვეს და ციხიდამ გარდმოაგდეს".

ირანელები ცდილობდნენ თბილისი მაჰმადიანური სარწმუნოებას გავრცელების კერად გაეხადათ და იწყეს მეჩეთების აგება. პოლიტიკურ ბატონობას თან სდევდა სულიერი გახრწნა, ეროვნული სახის დაკარგვა. ირანელების ამ ღონისძიებას ცეცხლითა და მახვილით გაუმასპინძლდნენ ქართველები. შარდენი გადმოგვცემს: თბილისში, მიუხედავად იმისა, რომ ეს ქალაქი მაჰმადიან სახელმწიფოს ეკუთვნის და მთელს მხარეს მაჰმადიანი მთავარი მართავს, მაინც მეჩეთები ვერ ააშენესო. ირანელები ყოველგვარ ღონეს მიმართავდნენ, რომ აეშენებინათ მეჩეთი, მაგრამ ვერ ამთავრებდნენ მის მშენებლობას, რადგან ხალხი მაშინვე აღდგებოდა იარაღით ხელში, მიანგრევდა შენობას და მკაცრად უმასპინძლდებოდა მშენებლებს. შარდენი გადმოგვცემს, რომ ირანელებმა ციხის ახლოს მაინც შეძლეს ერთი მეჩეთის აშენება, მაგრამ როცა მოლა ავიდა და ხალხს ლოცვისაკენ მოუწოდა, ხალხმა ქვები დაუშინა და მოლა იძულებული შეიქნა გაქცეულიყო.

როგორც ვხედავთ, ხალხი არ ურიგდებოდა მტრის ბატონობას, იარაღით აიძულებდა მტერს დათმობაზე წასულიყო და როცა შესაფერი მომენტი დგებოდა, შეტევაზეც გადადიოდა. აი მაგალითები:

1623 წელს ქართლი აჯანყებამ მოიცვა. აჯანყებას სათავეში ჩაუდგა გიორგი სააკაძე. გიორგი სააკაძემ მარტყოფს დაბანაკებული სპარსელთა გარნიზონი მოსპო და თბილისზე მიიტანა იერიში. ქალაქი ადვილად გაანთავისუფლა მტრისაგან, მაგრამ ციხეების აღება გაძნელდა. გიორგი სააკაძემ გამოჰყო ერთი ჯგუფი და თაბორის მთიდან უბრძანა შეტევა. ირანელებმა ნარიყალას შეაფარეს თავი. ნარიყალას აღება პირდაპირი შეტევით ძნელი იყო, ამიტომ ქართველებმა ალყა შემოარტყეს და წყალი დაუწყვიტეს. მეციხოვნეებს გაუჭირდათ.

ერთმა მოქალაქემ გარსუა ჭანუაშვილმა ქალაქის მინბაში (ირანელთა მეციხოვნეების უფროსი) გაამხნევა. ყაენის კარგი ამბავი როცა მოვა, „წითელს რასმეს წამოვისხამო, ციხისაკენ გარდმოვდგებიო და მაგრათ იყვენითო.“ ამ მოღალატეს გვერდში ამოუდგა გიორგი გორგიჯანიშვილიც. იგი მეგობრობდა მინბაშს. როცა მინბაშმა შეუთვალა, უწყლობამ შეგვაწუხა და მოგვეხმარეო, იგი ღამით გაიპარა და ქართველებისაგან აღებული ხის ღარები ისევ თავის ადგილზე დააწყო. წყალმა მთელი ღამის განმავლობაში იდინა და ციხის წყალსაცავები აავსო. მეორე დილას წყალსადენი კვლავ მოშალეს ქართველებმა, მაგრამ უკვე გვიანღა იყო. მეციხოვნე სპარსელები წყლით მომარაგებულნი იყვნენ. ფარსადან გორგიჯანიძის სიტყვით, „ციხოანნი იმ წყლის შოვნით გამაგრდნენ და ციხე აღარ მისცეს.“ ციხიდან ორი კაცი გამოიპარა და გიორგი სააკაძესთან მოვიდა. მათ აუწყეს გარსუა ჭანუაშვილის და გორგიჯანიშვილის ამბავი. გიორგის ბრძანებით მოღალატეები დასაჯეს: „გარსუას თავი მოჭკვეთეს და გორგიჯანა კისრით ჩამოჰკიდეს და ქალაქი და ლაშქარი ჩამოატარეს“, — მოგვითხრობს ისტორიკოსი.

9. თბილისი XVIII საუკუნეში

XVII საუკუნის 30-იანი წლებიდან მოყოლებული 1723 წლამდე თბილისი მტრის რბევა-აწიოკებას არ შეუწუხებია. მშვიდობიანი ცხოვრების პერიოდი აღინიშნა თბილისის ზრდა-განვითარებით. არა ერთი შესანიშნავი შენობა აშენდა, ქუჩები მოიკირწყლა და ვაჭრობა-ხელოსნობა გაფართოვდა.

1723 წელს თბილისს თავს დაატყდა უბედურება; ყაცთმოძულე კონსტანტინე, კახეთის მფლობელი, შაჰს ეახლა, ქართლი გამოსთხო-

დიდი მოურავი გიორგი სააკაძე

ნახატი ი. თოიძისა

ვა და აღუთქვა — ვახტანგ მეექვსეს მოგაშორებ და ქართლს და-გიმორჩილებო. დამპყრობელ შაჰს ჭკუაში დაუჯდა ნათქვამი: ბრძანებით კონსტანტინე ქართლის მეფედ აღიარა და ქართლის წინააღმდეგ გამოისტუმრა; უბადრუკი რენეგატი ალაჰს შეავედრა და გამარჯვება უსურვა. შაჰისათვის კონსტანტინე მით უფრო სასურველი ჩანდა, რომ ვახტანგ VI-მ „მოშალა ტყვის ყიდვა, დაამდაბლნა თათარნი და უმეტეს ტფილისის ციხის მცველნი."

კონსტანტინე კახბატონმა, მიიღო რა ბრძანება ქართლის გამგებლობისა, აღიარა მაჰმადის სჯული, გამოიცვალა სახელი (მაჰმად-ყული-ხანი შეარქვეს). თბილისის მეციხოვნეებს მაჰმად-ყული-ხანმა მზადყოფნა შემოუთვალა. ამათაც იწყეს სამზადისი — „დახშნეს კარნი ციხისანი ღამე და ისროდენ თოფ-ზარბაზანთა." ვახტანგ VI ქალაქის დასაცავად მოემზადა, ოჯახი დახიზნა და მოქალაქეებს მობილიზაცია გაუკეთა. ამასობაში მაჰმად-ყული-ხანი მოვიდა და ავლაბარს დაბანაკდა. მისი ძმა თეიმურაზი მცხეთას შემოადგა და იქიდან აპირებდა ქალაქზე თავდასხმას. კონსტანტინეს ერთი რაზმი ქალაქში შემოიჭრა და კლდის უბანი დაიპირა. ბაქარ ვახტანგის-ძემ ეს რაზმი დაამარცხა, კახელები განდევნა და იქ მცველები დააყენა. კონსტანტინე დათმობას არ აპირებდა. მან მოიშველია განჯის ხანი, „იხმო სპანი ერევნისა" და დაიქირავა ლეკები. ქურდ-ავაზაკთა მთელი ეს ბრბო ქალაქს შემოადგა. ვახტანგს შველოდნენ რაჭველნი და იმერელნი. თბილისისათვის ბრძოლა სამ თვეს გაგრძელდა. ავლაბარს დაბანაკებული კონსტანტინე ნებას აძლევდა მასთან მყოფ ლეკებს თბილისის გარეუბნები და ახლომახლო სოფლები ერბიათ. ერთ ასეთ მარბევალ რაზმს ბაქარი თელეთს შემოეყარა, დაამარცხა ისინი, ნადავლი წაართვა და აიძულა თავისივე ბანაკში დაბრუნებულიყვნენ. განჯის ხანი შულავერს მოსულიყო და, სანამ თბილისზე მოიტანდა იერიშს, იქაურობას აოხრებდა. ვახტანგ VI-მ განჯის ხანის წინააღმდეგ თავისი შვილი ვახუშტი გაგზავნა ჯარით. ვახუშტიმ ბორჩალოელნი გაიქცია, მაგრამ განჯის ხანი აღჯაყალის ციხეში ჩაიკეტა და უვნებელი გადარჩა. კონსტანტინემ თავის მაშველ ხანს მხსნელად ლეკები გაუგზავნა. ვახუშტი ლეკებს ხმალდახმალ ეკვეთა. ბრძოლამ მწუხრის ჟამამდე გასტანა. ლეკები დიდი ზარალით გაბრუნდნენ უკან. გამარჯვებული ვახუშტი ალაფით თბილისში მოვიდა. ასეთი თავდასხმა-იერიშები არ ცხრებოდა. მტერი ცდილობდა თელეთის გზით შემოჭრას. ამ უბანს ბაქარი იცავდა. მან ერთ-ერთ მოთარეშე რაზმს ბრძოლა გაუმარ-

თა და დიდადაც დააზარალა. სამასამდე ლეკი დაატყვევა და თბილისს გამოისტუმრა. გზაზე მას შემოეყარა ლეკ-ყიზილბაშთა დიდი ჯგუფი. „იკვეთნენ ესენი და მოსვლასვე აოტნეს და მოსწყვიტნეს უმრავლესნი და სხვანი ლტოლვილნი შევიდნენ სეიდაბადსა შინა, ხოლო ბაქარ მოვიდა ტფილისს.“ სეიდაბადში დაბანაკებული მტერი თაბორსაც იგდებს ხელთ. ბაქარი ღამით გადადის შეტევაზე, იღებს თაბორის მთას. ვახუშტის თქმით, კონსტანტინე „აღმხედრდა დილას და მოგზავნა თუშნი და ლეკნი მკვირცხლნი თაბორსა ზედა, აღიღეს მათვე თაბორი და მომართეს ბაქარს. მაშინ ბაქარ ეკვეთა მაჰმად-ყული-ხანს და მისვლასვე ივლტოდენ და მოსწყვეტდნენ ქართველ-იმერნი და შესჯარნეს ვიწროსა მტკვრისასა, არამედ უფროს მოიშთოდნენ მტკვარსა შინა.“

ვახუშტი გვარწმუნებს, რომ ბაქართან მყოფ თავადებს მხარი რომ მისთვის ბოლომდე დაეჭირათ, კონსტანტინეს ხელთ იგდებდაო, მაგრამ თავადებს თავიანთი ფეოდალური ზრახვები ჰქონდათ და უნდოდათ კონსტანტინეს სახით ქართლის მეფეს მეტოქე ჰყოლოდა. ბაქარი მოვიდა თბილისს ნადაელით და ხელთ იგდო მოწინააღმდეგეთა დროშებიც კი. კონსტანტინე ხედავდა, რომ მასთან მყოფი ძალები საკმარისი არ იყო თბილისის ასაღებად, იგი ნავით გავიდა მტკვარში, მივიდა მარტყოფს, იქიდან გაემგზავრა ქიზიყს, რათა ლეკთა დიდი ბრბოები დაექირავებინა. მან „აღუთქვა ლეკთა ვეცხლი დიდძალი, წარმოიყვანნა და დაესხნეს ტფილისს მეფესა.“ რენეგატ კონსტანტინეს ბევრი მომხრე გაეჩინა ვახტანგის ბანაკში. როცა კონსტანტინე თბილისს მოადგა, მტკვარი ადიდებული იყო, მას არ შეეძლო მტკვარში გამოსვლა; ერთადერთი გზა ქალაქში შემოსასვლელად ეს იყო ძეტეხის ხიდი. ხიდს სდარაჯობდა ვინმე სიმონი. თუ მტერი ხიდს მოადგებოდა, მას უნდა ხიდი მოეშალა. მაგრამ, როდესაც კონსტანტინე ლეკთა ბრბოებით მოადგა ხიდს, სიმონმა არა თუ არ აჰყარა ხიდი, არამედ საფრენიც კი არ გაამაგრა. ამასთან ერთად თბილისში მეფე ვახტანგთან მყოფ ქართლის თავადთა უმრავლესობამ ვახტანგს უღალატა და მტერს მარტო მიუტოვა მეფე. მეჯინიბემ ცხენი მიჰგვარა მეფეს, ხოლო ქალაქში შემოსულ ლეკებს მცირე რაზმით აკავებდა როსტომ ფალავანდიშვილი, რათა მეფე ხელთ არ ეგდოთ. მოთარეშე ლეკები შეიჭრნენ ქალაქში და, რაც წაიღებოდა, წაიღეს. სიონი გადაწვეს, მოქალაქენი აიკლეს. დიდ ქართველ პოეტს დავით გურამიშვილს, რომელიც ამ ამბის მომსწრე იყო, კონსტანტინეს მიერ თბილისის აოხრების ამბავი შემდეგნაირად აქვს აღწერილი:

„კახბატონსა წინა დღითვე
მხასა ყვანდა თვისი ჯარი;
იგ რა ესმა, წ.ბოვიდა,
დაიჭირა ავლაბარი;
ნარიყალა შიმბაშს ეპყრა,
შაჰის-ტახტი, ციხის კარი.
რა მივიდა, ფიცხლავ მოსცა,
გაიკეთა მუნ საფარი.
შემოებნენ, დაამარცხეს,
მან მიმართა მუხრან-ჭარსა;
უთხრა: ქართველთ გამაწბილეს,
არც მე შავჭამ იმათ ჯავრსა;
შეიპირა ჭარელები,
სასყიდელი მისცა ჯარსა,
წაუძღვა და ხელმეორედ
მიაყენა ჯარი კარსა.
ქართლს, კახეთსა გარდეხადა
მაშინ ღვთისა საფარველნი,
ოდეს გარსა შემოადგნენ
თიფლის კახნი და ჭარელნი!

გაუთენდათ სომეხებსა
დღე შაბათი საზარელნი,
ზოგი მოკლეს, ზოგი დასკრეს,
ზოგს წაგვარეს საყვარელნი.
სალხინოს დღეს მოქალაქე
დიაღ ავად შეაქციეს,
წამოუხენეს საქონელნი,
სახლ-დუქნები დააქციეს,
დაამარცხეს ქართველთ ჯარი,
ვახტანგ მეფე გააქციეს.
თეთრსა მტკვარსა სისხლად ღებდა,
რაც მათ სისხლი დააქციეს!"

ასე აოხრდა საქართველოს უძველესი და უსაყვარლესი ქალაქი თბილისი თვით ქართველთა ფეოდალური ეინიანობის წყალობით. კონსტანტინეს ამ ძარცვის შედეგად, აკად. ნ. ბერძენიშვილის სამართლიანი შენიშვნით, „მთელი საუკუნის განმავლობაში ამის შემდეგ ქალაქი თავის ძველს კეთილდღეობას არ დაბრუნებია."

კონსტანტინე აოხრებულ, დამშეულ და გაძარცულ ქალაქში დასახლდა და ციხეში მყოფ ყიზილბაშთა იმედით ბოგინობდა. პირველ ხანებში არც ერთი ქართლელი თავადი არ მიუვიდა, ხოლო შემდეგ ვახტანგის პოლიტიკით უკმაყოფილო გიორგი არაგვის ერის-

თავი და შანშე ქსნის ერისთავი ეახლნენ, მალე რამდენიმე სხვა თავადმაც დაუკრა თავი, მაგრამ კონსტანტინემ დიდხანს ვერ მოიკიდა ფეხი თბილისში. მალე ირანელთა სისუსტით და ქართლ-კახეთის შინა აშლილობით ისარგებლეს ოსმალებმა, ქართლში შემოიჭრენ და თბილისის ასაღებად გაემართნენ. კონსტანტინე უძლური აღმოჩნდა. ოსმალთა დანახვაზე დაფრთხნენ მის გვერდით მყოფი ლეკები და სახლებს მიაშურეს. კონსტანტინე ქალაქის გარეთ მიეგება ოსმალთა ჯარების სარდალს სერასკერ იბრაჰიმ ფაშას და ქალაქის ციხე-სიმაგრეთა გასაღებები გადასცა. ამ ამბავს დავით გურამიშვილი შემდეგი სიტყვებით გადმოგვცემს:

„ოდეს ცნა კახმა ბატონმა,
ლაშქარი სარასკარისა
საქართველოსა მოადგა,
ვით გოლსა ბრბო ფუტკარისა;
წინაღმდეგობა არ ეძლო,
ქმნა მათის სანუკარისა,
წინ მიეგება, მიართვა
კლიტენი ციხის კარისა."

ოსმალებმა კონსტანტინე დააპატიმრეს, მაგრამ ციხიდან გაიპარა და კახეთს გაიქცა.

1723 წლის ივნისში თბილისში ოსმალები შემოვიდნენ. ქართლში მეფობა მოსპეს და თვითონ დამკვიდრდნენ. მათმა ბატონობამ 1735 წლამდე გასტანა. ოსმალთა ბატონობის მთელი 12 წლის მანძილზე ქალაქში არაფერი ახალი არ შექმნილა, ძველი კი ინგრეოდა და პარტახდებოდა, ყოველივე ოსმალთა მიზანსწრაფვას ხმარდებოდა: ოსმალები ქართველ თავადებში შუღლს სთესდნენ, ერთმანეთს ჰკიდებდნენ; ომები და სამეფოს აწიოკება ეპოქის განუყრელი თანამგზავრი შეიქმნა. ამ ხანის საქართველოს მდგომარეობის კლასიკური აღწერა მოცემული აქვს დავით გურამიშვილს:

„კახთ ნაჩინჩხლთ წინწკალთ დაერთო
ქართველთა ქარი ალხედა:
რა იგი ორნი შეშუღლდნენ,
ვით ქორნი გარიჯალხედა,
გამოელვიძა არწივსა
ჩხუბსა და მათს ყრიალხედა,
გარიელს კლანჭი მან უკრა,
სხდენ ქორნი ცარიელხედა."

მშვენიერი შედარებაა! ძმათა შორის სისხლისღვრით, ურთიერთ შტრობით საერთო მტერმა ისარგებლა, ხოლო ესენი კი:

„მოტყუვდნენ ხუროთმოძღვარნი,
იხმარეს ავნი ხურონი,
ძველთაგან მკვიდრად ნაშენნი:
საქართლო-საკახურონი
მოშალეს. ვეღარ იშენეს
სრა-ვანი საკვეხურონი,
ყჳა და მამულნი მტრებს მისცეს,
თვით დარჩნენ უმსახურონი.“

ოსმალთა ბატონობის ხანა, ეს არის ნამდვილი სისხლის წვიმების ხანა. იმავე პოეტის თქმით:

„მოხვდენ ერთმანერთს, დაიქცა
რაც მაშინ სისხლის ღვაოები,
აღაბრუნებდა ბევრს წისქვილს,
თუმცა სდებოდა ღარები!

ვაი იმ დღეს! ოსმალონი
ბევრს უბრალოს სისხლსა ღვრიდენ.
საცა შეხვდისთ მუშა-კაცი,
გლახა, მწირსა თავსა სჭრიდენ;
გოდორს თავი აკლიაო,
ცხრის ურმისა ხარში ჭყრიდენ,
ტანთ მარხველი არა ყვანდა,
მელა-ტურა გამოხვრიდენ.“

ოსმალთა ბატონობის შედეგად:

„მოისრა ხშირი ქვეყანა,
გახდა ვერანად, ტრამლადა!
სულ წარიტაცეს, თუ ვინმე
შამბში მოურჩა წამლადა.“

ამ უბედურების მთავარ მიზეზად დავით გურამიშვილმა სრულიად სამართლიანად შინა ფეოდალური შუღლი ადიარა:

„რაც მოგახსენე მოგვგვარა
ჩვენ ერთმანერთის ბრძოლამა!
ქართლი ოსმალომ დაიპყრა,
კახეთი ლეკთა მოლამა;
მით ჩვენმან ხისხლმან ნაღვარმან
ხევნები სულ ამოლამა,
სუნით მოიცვა მთა-ბარი
ჩვენის მკვდრის მძორთა ყროლამა!“

ხალხი მოთმინებიდან გამოვიდა და „თაეულაფიან ოსმალთა“ წინააღმდეგ საბრძოლველად მზადება იწყო. 1735 წელს ოსმალთა წინააღმდეგ აჰხედრებულ ირანელთა ჯარებს მიემხრნენ ქართვე-

ლები; ქართველებმა მოხერხებულად გამოიყენეს ირან-ოსმალეთის წინააღმდეგობანი და ირანელთა დახმარებით გაანთავისუფლეს ქვეყანა. თბილისელმა მეციხოვნე ოსმალებმა ბრძოლა წაგებულად სცნეს და ქალაქი დაცალეს.

არა ნაკლებ მძიმე იყო ყიზილბაშობა. ნადირ-შაჰი სულ ახალ-ახალ მოთხოვნილებებს უყენებდა ქართველებს. თბილისის ციხეებში მყოფი ყიზილბაშები მძლავრობდნენ ადგილობრივ მცხოვრებლებზე, არბევდნენ ახლომახლო სოფლებს, ბეგარა-გადასახადებს ვერ ასდიოდა მოსახლეობა. განდევნეს რა ოსმალები ქართველებმა, ახლა ყიზილბაშთა წინააღმდეგ შემოირტყეს ხმალი. ქვეყანა აჯანყების ალში გაეხვია. ნადირ-შაჰი იძულებული იყო უკან დაეხია, იგი დათმობაზე წავიდა. 1744 წელს ნადირ-შაჰმა ქართლის მეფედ დაამტკიცა თეიმურაზ II, ხოლო კახეთის მეფედ მისი შვილი ერეკლე II. ქვეყნის თანდათან გამოხსნის ჟამი ახლოვდებოდა. 1745 წელს თეიმურაზ მეორე ქართული წესით ეკურთხა მეფედ; ეს მნიშვნელოვანი ამბავი იყო, რადგან 1632 წლიდან მოყოლებული ქართლში მაჰმადიანები ისხდნენ მეფეებად. ამ ახალ ფაქტთან დაკავშირებით თბილისი ზეიმობდა: მოქალაქენი საზეიმოდ მორთულიყვნენ და ჩირაღდნებით ქუჩებში სეირნობდნენ; დადგა დრო, როცა ქართველს შეძლო ეთქვა აწ, „მუნ ჩვენს ხელთ არის ჩვენობა“.

1747 წელს ყიზილბაშობა გადაშენდა, მოისპო საქართველოში. მართალია, თბილისის ციხეებში ყიზილბაშთა მეციხოვნენი კვლავ ისხდნენ, მაგრამ ირანში მომხდარი ამბების გამო მათი გავლენა მცირდებოდა.

ამ ხანებში თბილისელებს თავს დაატყდა მოულოდნელი, თავისებური კატასტროფა. როდესაც თეიმურაზ, ქართლის მეფე, ერანს იხმეს, მან ქართლი საგამგებოდ თავის შვილს ერეკლეს და ვახტანგ VI-ის ძმის, იესეს შვილს, აბდულაბეგს ჩააბარა. მაგრამ აბდულაბეგმა ერეკლეს უღალატა; მან ქართლში მოხეტიალე ლეკთა-ბელადები შემოირიგა, საბარათიანო შემოიფიცა, სამშვილდისა და ბირთვისის ციხეები შეაკეთა და დაიფიცა: „ქართლი ჩემი არის და აღარავის დავანებებ“. ერეკლეს შეუთვალა, ქართლი ჩემი არის და კახეთი შენთვის დამინებებიაო. მდგომარეობა გამწვავდა. ჩანდა, უდანაშაულო ქართველთა სისხლის დაღვრა გარდაუვალი იყო. ერეკლემ ჯარის შეყრა ბრძანა. მის გამოძახილზე ქალაქ თბილისში მოვიდნენ: ფშავ-ხევსურები და კახელ-ქართლელები. ორივე მხარე ერთმანეთს არბევდა, ქვეყანა ვერანდებოდა. ბარათაშვილე-

ბი ქალაქის განაპირა უბნებს და ქალაქის მახლობელ სოფლებს არბევდნენ, სამაგიეროდ „ქალაქიდამ ჯარი გავიდის და საბარათა-შვილოს ჰსცემდენ და აოხრებდენ ყოველთვის“.

აბდულაბეგი მოკავშირეების შოვნას შეუდგა. ერთ-ერთმა ტახ-ტის მაძიებელმა ამირ-ასლან-ხანმა მიიბირა აზერბაიჯანი და სხვა მრავალი პროვინცია. მასთან მივიდა აბდულაბეგიც. ამასობაში ერეკლეს განუდგა ყაზახის ხანიც. ასლან-ხანმა აბდულაბეგს 8000 კაცი მისცა და ერეკლეს წინააღმდეგ გამოგზავნა. ეს ამბავი თბი-ლისელმა მეციხოვნეებმაც შეიტყვეს. „ქალაქის ციხის მინბაში მეფეს ერეკლეს აღარ მოენდო, დაჯდა ციხეში და აღარ ჩამოვიდა ქალაქში.“ აბდულაბეგი კოდაზე დაბანაკდა დაქირავებული ჯარით. აქედან მან ერეკლეს შემოუთვალა: „კახეთი დაგვიცალე“. ერეკ-ლემ მტკიცე პასუხი შეუთვალა: „სანამდის სული მიდგას, ჩემგან აქედამ გასვლა არ იქნება.“ ქალაქის მინბაშიც კი, რომელიც ერეკლეს განუდგა, აბდულაბეგს აღარ მიუვიდა. განრისხებული აბდულაბეგი, რომელსაც სულხან ორბელიანიც შემოეყარა, მოადგა ქალაქს. „შეიქმნა ქალაქში მზადება ომისა.“ ერეკლემ ჯარის თადა-რიგი დაიპირა და ქალაქიდან საომრად გავიდა. თბილისის დაცვა-ში გარდა ქართლ-კახეთის სათავადოებიდან მოსული ჯარებისა, მონაწილეობას იღებდნენ მოქალაქეებიც. „ავიდნენ ესენი თაბორი-საკენ, მეფე ერეკლეც წაბძანდა წავკისის მხარეს“. აბდულაბეგიც საბარათიანოს ჯარითა და ავღანელ ლეკებითურთ შემოეყარა. ომი მოხდა წავკისის მთაზე. „შეიქმნა ომი ფიცხელი, რომ თოფის ხმისაგან აღარა ისმოდა რა და კომლისაგან ჯარი აღარა ჩანდა.“ მეწინავე რაზმმა, რომელშიც ორბელიანი და ქიზიყელნი იყვნენ, პირველსავე დარტყმით სძლიეს აბდულაბეგის დაქირავებულ რაზმს და უკუ აქციეს. „ესე რა ნახეს ჯარის გაბრუნება, შეუტიეს ქარ-თველთა და კახთა ერთ პირ, გაიქცა ეს ჯარი მთლივ, დაუწყეს კაფა, რომ ღუთის რისხვა დასცეს. რა დაშვრა ჯარი ხოცისაგან, მოსდიან შუბი ანუ ხმალი და ხუთი და ექვსი თითო კაცმა ყიზილ-ბაში ეგრე იპირის. მიყვნენ იაღლუჯის ბოლომდის, დარჩათ კარავი, მოფენილობა, თუ რამ სხვა.“ ამ ამბის თანამედროვე, პაპუნა ორბელიანი, სიამაყით ამბობს: „ასეთი გამარჯვება მოუხდა მეფეს ერეკლეს, არასდროს ქართლში ამისთანა გამარჯვება არ მამხდა-რიყო და არც ამრიგად ყიზილბაშს ქართლში დამარცხებოდათ, ხანებს დროშები აქ დარჩათ, წავიდნენ სირცხვილეულნი და გან-ჯამდის ვეღარ დადგნენ.“ თავლაფიანი აბდულაბეგი სამშვილდეში

ჩაიკეტა კვლავ. ამრიგად, რენეგატ აბდულაბეგის ეს შემოტევა მოგერიებულ იქნა და თბილისი გადარჩა მტრისაგან აოხრებას. გამარჯვებული ერეკლე თბილისში შემოვიდა.

ამ გამარჯვების აღსანიშნავად თბილისელებმა დიდი ზეიმი გადაიხადეს. ერეკლეს ქალაქის კარებშივე „მიეგებნენ დასნი სამღთონი და ანუ გუნდნი ერთანი და შეასხმიდენ ქებასა.“ ერეკლეს მდივნებმა აღრიცხეს მოკლულთა და ტყვეთა რაოდენობა, მათი რიცხვი 1700-მდე აღწევდა. ერეკლემ ერთ ხერხს მიმართა: საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში ჩაფრები გაგზავნა და ყველას აცნობა გამარჯვების ამბავი. ამავე დროს ტყვედ დარჩენილი ლეკები და ყიზილბაშები თავთავის სახლებში გაისტუმრა და „ამით კიდევ უფრო განიფინა ამბავი გამარჯვებისა“. ამის შემდეგ ამ გამარჯვების აღსანიშნავად ერეკლე „დაჯდა ნადიმად, ნახა ლხინი და გასცა საბოძვარი“. ამ გამარჯვებამ მართლაც დაარწმუნა მეზობელი სახანოები, რომ ერეკლესთან ბრძოლა ხუმრობა საქმე არ იყო. აბდულაბეგს თანდათან ჩამოშორდნენ მომხრეები. ერეკლე ხშირად აგზავნიდა მის წინააღმდეგ დამსჯელ რაზმებს.

აბდულაბეგის ლეკთა მოთარეშე რაზმები დახეტიალობდნენ სამხრეთ საქართველოში, ძარცვავდნენ მოსახლეობას და ნადავლი სამშვილდეში მიჰქონდათ. ამის გამო ქვეყანა ისე გაპარტახდა, რომ „მთელ სომხითში ბოლნისის მეტი და სამწევრის მეტი შენობა აღარსად იყო. ორბელიანთ მამულიც ასე დაიცალა, რომ დმანისისა და ფიტარეთის მეტი შენობა აღარსად იყო“.

განწირული აბდულაბეგი ერთხელ კიდევ დააიმედეს ყიზილბაშთა სახელმწიფოს ტახტის მაძიებლებმა. ამირ-ასლან-ხანმა აბდულაბეგს დახმარება აღუთქვა და თან თბილისის ყიზილბაშთა გარნიზონი გააფრთხილა: „ვინც ჩვენი ერთგული ყმა არ იქნება, ციხეს ნუ მიანდობთო“.

საკმარისი იყო თბილისელ მეციხოვნე ყიზილბაშებს ეს განკარგულება მიეღოთ, რომ უმალ ზარბაზნები ექუხებინათ: მათ ციხე გამოკეტეს და ციხიდან ქალაქს თოფ-ზარბაზნები დაუშინეს.

ერეკლემ კონტრზომები მიიღო, „გაარიგა საფრის კაცნი—ჯარი გუნდნი და გუნდნი გააწყვნა“, ბრძოლამ სერიოზული ხასიათი მიიღო. „შეიქმნა სროლა ციხით ყუნბარა-ზარბაზანთა, რომ კომლისაგან ციხე აღარ ჩნდა, ხმისა და ზრიალისაგან ქალაქი აღარ ჩნდა.“ არც ერეკლე აკლებდა და „აქათ ქალაქით იყო სროლა თოფით და იქით ციხით, რომ ყურთა ხმა აღარ ისმოდა.“

თბილისელ მეციხოვნეებს აბდულაბეგი ეხმარებოდა. მან თავისი უფროსი შვილი—აღასი გამოგზავნა 60 კაცით; ისინი ნარიყალას ციხეში დადგნენ. ამავე დროს აბდულაბეგი სამშვილდიდან ყოველ-დღიურად უგზავნიდა მეციხოვნეებს სურსათ-სანოვაგეს, ამხნევებდა და ამაგრებდა მათ. ერეკლემ შეიტყო ყოველივე ეს და ზომები მიიღო. ხუთასი კაცი გამოჰყო და მათ სამშვილდიდან თბილისისაკენ მომავალი გზის შეკვრა დაავალა. აბდულაბეგმა შეიტყო ეს და 200 ლეკი შეგზავნა ქალაქის ციხეში. ისინი ციხის მინბაშმა აბანოებში განალაგა, როცა ზემო მთიდან მოტანილ სანოვაგეს გადმოყრიდნენ, ლეკები აიღებდნენ და ციხეში შეჰქონდათ. ერეკლემ აქაც მიაწვდინა ხელი და მისმა ჯარმა ლეკებისა და აბდულაბეგის სხვა კაცებისაგან მოტანილი პური თუ სხვა სურსათ-სანოვაგე არაერთხელ წაართვა მტერს და ქალაქში შეიტანა.

ერეკლე ყოველგვარ ზომებს ღებულობდა, რომ ქალაქში წესრიგი ყოფილიყო. იგი სასტიკად სჯიდა ჯაშუშ-მოლალატეებს. გამოირკვა, რომ ქალაქის მელიქი ციხის მინბაშს საიდუმლო ცნობებს აწვდიდა და ამხნევებდა. ერეკლემ დაიჭირა იგი ცოლშვილითურთ და ავჭალას გამოჰკეტა. ათასი თუმანი ჯარიმა გადაახდევინა და მელიქობაც წაართვა.

ქალაქისათვის ბრძოლა გრძელდებოდა. მტრის ხელში იყო ქალაქის ყველა ციხე-სიმაგრე. მტრის მთავარ პლაცდარმებს ნარიყალა და მეტეხი წარმოადგენდნენ. ამ სიმაგრეებიდან „ზარბაზანი და ყუნბარა ასე მოდიოდის ქალაქზე, რომ ვითა ცეცხლი წვიმსო, მარა ბრძანებითა ხვთისათა ვერარას ავნებდიან მყოფთა ქალაქისათა: მოუმართეს მეტეხით ზარბაზანი და ესროდიან სასახლესა მეფისას“,—მოგვითხრობს ამ ამბის თანამედროვე.

მეციხოვნე ყიზილბაშები ცდილობდნენ ერეკლეს მომხრეთა დასში დეზორგანიზაცია შეეტანათ, დილით ხმამაღლა გადმოსძახებდნენ ხოლმე ხშირად: ირანიდან ამბავი მოვიდა, ადილ-შაჰი (თეიმურაზის სიძე, სპარსეთის შაჰად გახდა 1747 წელს, მას შემდეგ, რაც ნადირ-შაჰი მოკლეს) გადმოაგდესო. მაგრამ მტრის ასეთ ფანდებს გასავალი არ ჰქონდა. საბარათიანოს გარდა მთელი ქართლ-კახეთი და ფშავ-ხევსურეთი, მთიულეთი და ხევი ერეკლეს მხარეზე იყო. ამათ გარდა „მოქალაქეთა, ვისაც თოფის აღება შეეძლოთ, ყოველნი საფრებსა არა დააკლდენ, დიდნი და მცირენი ერთგულად და დაუზარებლივ სამსახურსა არა დააკლდებოდნენ“.

რადგან მეციხოვნე ყიზილბაშები არ ცხრებოდნენ და აბ-

დულაბეგი კვლავ ბოროტობდა, ერეკლემ ამირინდო ამილახვარი გაგზავნა გორს და გორიდან დიდი ზარბაზანი მოატანინა. ეს ზარბაზანი, რომელსაც ქართველები „ბოპორმას“ უწოდებდნენ, ნადირ-შაჰმა მოიტანა ერევნიდან და აქ დარჩა. ზარბაზანი პირველად „მეტეხის ციხეს მოუმზადეს, აგრეეე თაბორის ციხეს სროლა დაუწყეს; რა ეს ზარბაზანი ნახეს ციხელებმა, მაშინვე შეშინდენ, დიდად აქცევდა, საცა მოხვდის და მისისა ხმისაგან ქალაქი ირყეოდა, ათი ლიტრა ტყვია მოუნდის და წამალიც მისი შესაფერი“,— მოგვითხრობს ისტორიკოსი.

ამასობაში სპარსეთიდან თეიმურაზის მშვიდობის ამბავი მოვიდა. ამან კიდევ უფრო გაამხნევა ერეკლეს მომხრეთა დასი. ერეკლემ შეტევა განაახლა. ერეკლემ ამჯობინა, რომ ჯერ მტრის თაბორის განლაგება მოეშალა. ასეც მოიქცა. იგი თაბორის მთაზე ავიდა და მტრის ციხე-სიმაგრის ახლო სანგრები გააკეთა. თაბორის განლაგების მოშლა გაგრძელდა. სანგრებიდან ერეკლეს მოიერიშე რაზმები გათენებიდან ბინდამდე თოფს უშენდნენ მოწინააღმდეგეს. ღამით ერეკლე ქალაქში მოდიოდა და სანგრებში სათვალთვალო რაზმებს სტოვებდა მხოლოდ. „რა გაჭირდა აღება ციხისა, ბრძანა ბატონმა დიდის ზარბაზნის გამოტანა თაბორზე.“ ერეკლეს ბრძანება შესრულებულ იქნა. სოღანლუღს წყალში გაიტანეს ზარბაზანი, თელეთზე შემოატარეს და შინდისის მხრიდან მოიტანეს თაბორის მთაზე. თაბორის ციხის აღება ასე აქვს ისტორიკოს პაპუნა ორბელიანს, აღწერილი: დიდი ზარბაზანი „მოუმართეს ციხესა თაბორისასა, განუმზადეს ჯარი იერიშისა, დაუშინეს ეს დიდი ზარბაზანი, მეოთხე რომ ჰკრეს და უყვეს იერიში, მოვიდა ქართველთა და კახთა ჯარი და მთლივ ციხეს გარს შემოეხვივნეს, გარს მიწით სავსე თოფრა შემოეხვივათ ციხისათვის, რომ სიმაგრე მიეცათ, მცირედნი კაცნი იყვნეს შიგა. მაგრამ არ ავად იყვნეს მყოფნი ციხისანი, არც თოფის სროლა გაუწყეტიათ და, სანამდის ციხეში შიგ არ ჩაუცვივდენ, არც ომისაგან დაწყნარდენ, აიღეს ციხე და იავარ-ჰყენეს საქონელი, შიგა მყოფნი კაცნი ზოგი ცოცხალი მოარეეს მეფეს ერეკლეს და ზოგთა თავი წარკვეთეს“. საკმაო სისრულით არის, როგორც ვხედავთ, ციხის აღება აღწერილი. ერეკლე თაბორის ციხეს დიდ სტრატეგიულ მნიშვნელობას აძლევდა თბილისის დაცვისათვის; ამიტომ, აიღო თუ არა ციხე, შემოაელო ჯალავანი და შიგ თავის გარნიზონი ჩააყენა, თვითონ ჯამარჯვებული ქალაქში ჩამოვიდა და ციხის საქმეები გაარიგა.

ასეთი ბრძოლის შედეგად ორი მოპირდაპირე ბანაკი ჩამოყალიბდა. ერთი ბანაკი ეკუთვნოდა ერეკლეს, რომელსაც მხარს უჭერდა ქართველთა უდიდესი ნაწილი. ამ ბანაკის ცენტრი თბილისში იყო. მეორე ბანაკს ხელმძღვანელობდა რენეგატი აბდულაბეგი, რომელსაც ბარათიანთ სახლის შვილები გადაებირებინა და ლეკთა მოთარეშე რაზმები და ყიზილბაშთა ჯარის ნაწილები გაეხადა ზურგის შემწედ. მათი ბანაკი სამშვილდეში იყო.

აბდულაბეგი, როგორც დავინახეთ, მთავარ მიზნად ისახავდა თბილისის აღებას. თბილისის წინააღმდეგ მას ოთხი მხრიდან იერიში მიჰქონდა: დასავლეთის მიმართულებით — ავჭალიდან, ეს იყო უფრო შორეული სათარეშო უბანი, ნარიყალიდან, მეტეხიდან და თაბორიდან.

როგორც აღნიშნული იყო, ერეკლემ მტრის თაბორის განლაგება მოშალა და იქ თავისი ნაწილები ჩააყენა.

ავჭალის მხრიდან თავდამსხმელ ლეკთა რაზმებს ერეკლემ არა ერთხელ გაუთენა შავი დღე. ავჭალის სანახები თბილისელთა ნახირის საძოვრებს წარმოადგენდა. სამშვილდეში აბდულაბეგთან ნამყოფმა ერთმა ლეკთა ბელადმა დაღესტნიდან ლეკთა ბრბო წამოიყვანა და ავჭალის მინდვრებში მყოფ თბილისელთა მენახირე-მწყემსებს დაეცა. ლეკებმა დაიტაცეს თბილისელებისა და მახლობელი სოფლების საქონელი; იმ იმედით, რომ ერეკლე თბილისის ციხეს ადგას და იმას ვერ მიატოვებსო, მოთარეშენი ზანტად გაუდგნენ გზას. ერეკლეს ეს ამბავი მიუვიდა. შან „არა ინება მათი ეგრე წასვლა, ჯარი, ვითა იდგნენ საფრებსა და ქუჩაბანდებსა, არ მოშალა არც ერთი და თითონ მცირეს კაცით წაბძანდა. წინ ჩაფარი გაგზავნა, კახნი კაის ჯარით, ზოგი საგარეჯოს, ზოგი მანავის ბოლოს შემოეყარნენ: გამოუდგა და შირაქის ბოლოს მოეწივა ჯართა ლეკისათა“. პაპუნა ორბელიანი გადმოგვცემს, რომ ერეკლე პირველი თვითონ გადავიდა შეტევაზე და მხლებელს უთხრაო: „ვის უყვარს ღმერთი და ერთგული არის ჩემი, გულ სრულიად შეიბას“. გალომგულებული ქართველები ეკვეთნენ მტერს. გააპეს მათი რაზმები და „ხოცდენ ლეკთა, ვითა კატათა“. მეორე დღეს ლეკთა ახალი რაზმი დაამარცხა ერეკლემ, წაართვა არა მარტო მინატაცები, არამედ მათი საკუთარი ცხენ-იარაღიც და გამარჯვებული დაბრუნდა თბილისში, ლეკთაგან მინატაცები საქონელი ისევ პატრონებს დაუბრუნა.

აბდულაბეგის მომხრე მეციხოვნეები მალე დარწმუნდნენ, რომ

საქმე წაგებული იყო და ერეკლესთან შერიგება არჩიეს. მეტეხის მეციხოვნეებმა ერეკლეს კაცი გაუგზავნეს და შეუთვალეს: „კაცი გვიბოძე, ციხეს მოგართომთო“. ერეკლემ ეს წინადადება მიიღო და მოსალაპარაკებლად სულხან ეშიკაღასბაში და ჯიმშერ ჩოლოყაშვილი, თუშთმოურავი გაგზავნა. ამავე დროს ციხესთან საკმაოდ დიდ ჯარს მოუყარა თავი. ხიდი აყრილი იყო და ნაეებით გადიოდნენ. ღამით მიადგნენ მეტეხს. გაუღეს ქვედა კარი, შევიდნენ კახელები ამ კარით და მიადგნენ გალავნის ძირს. ინათლა თუ არა, ეს ჯარი უკვე მეტეხის ციხეში შევიდა. ქართლის ნაწილებმა რომ კახელების მეტეხის ციხეში შესვლა შეიტყვეს, მათაც ღარ დააყოვნეს და „მიადგნენ დაბლა ციხესა“. არც მოქალაქეები ჩამორჩნენ. „მოიტანეს კიბეები მოქალაქეთა, მიიდგეს და შეიქნა დენა გალავანზე.“ მოიერიშე რაზმებს ხელმძღვანელობდნენ კონსტანტინე მუხრან-ბატონი, მდივანბეგი იოანე ორბელიანი და ამ ოპერაციების აღმწერი პაპუნა ორბელიანი. გადაუხტნენ ციხეში. მეციხოვნეებს კარები მიწით აევსოთ. იწყეს კარებიდან მიწის გადაყრა. ციხის აღების ამბავი უცბად მთელს ქალაქს მოედო, ქალაქის ქართველი მოსახლეობა უმალ ციხესთან გაჩნდა. კარიც გააღეს და ციხე ჯარით აივსო. „გაიქცნენ ციხელები და სულ ნარიყალაში აკრბნენ, დარჩათ გამარჯვება და ციხის აღება ქართველთა.“ ყიზილბაშებმა ნარიყალიდან დაუშინეს მეტეხს და ერთგვარი ზარალიც აჩვენეს ქართველებს, მაგრამ ამ დიდი გამარჯვების შემდეგ ქართველებმა ზარალი აღარაფრად ჩააგდეს. მალე ქართველებმა აბანოების კარი და განჯის კარიც იერიშით აიღეს და გაამაგრეს. ამ გამარჯვების შემდეგ მტერს მხოლოდ ნარიყალაღა ჰქონდა. აბდულაბეგი ჯერ კიდევ ახერხებდა მინბაშის დაიმედებას, იგი სამშვილდიდან უგზავნიდა სურსათ-სანოვაგეს და ცოცხალ ძალას.

მაგრამ თაბორისა და მეტეხის ციხის აღების შემდეგ ნარიყალაც განწირული იყო და ვერავითარი გარე დახმარება მას დიდხანს ვეღარ გაამაგრებდა. პაპუნა ორბელიანი გადმოგვცემს, რომ „რა ეს ციხეები (მეტეხისა და თაბორის ციხეები, დ. გ.) აიღეს, დიდად შეშინდნენ მყოფნი ციხისანი, ციხე ცოტა იყო და სული მრავალი, ზაფხულის ღამი იყო ივლისი და სულმა დიდად შეაწუხათ, საზრდოც მოაკლდისთ“. ამ სივიწროვეს ზედ დაერთო თაბორიდან დიდი ზარბაზნით ნიადაგ ყუმბარების ტყორცნა. ზარბაზნით ყუმბარებს პირდაპირ ციხეში ისროდნენ, რაც „დიაღ ბევრს ახდენდა და აოხრებდა“.

ყოველივე ამან მეციხოვნე ყიზილბაშების მხნეობა გასტეხა და ურჩი ყიზილბაშები ამიერიდან შენდობას ითხოვდნენ ერეკლესაგან—„დაუწყეს ლაპარაკი და ხვეწნა მეფეს ერეკლეს: „თუ დანაშაულს ვეაპატიებო და არ დაგვხოც, ციხეს დაგანებებთო“. ერეკლემ მეციხოვნე ყიზილბაშებთან ქიზიყის მოურავი თამაზი და ეშიკაღასბაში სულხანი გაგზავნა და შეუთვალა—არაფერს დაგიშავებთო. პაპუნა ორბელიანი ამ ამბავს ერეკლეს კაცთმოყვარეობით ხსნის, „თორემ ციხის თათრებს ეს როგორ შეენდობოდა, სიონს მონასტერს ზარბაზანს ესროდენ და მეფის საჯდომი სასახლე ყუნბარით აავსეს და ზარბაზნითა დაამტვრიეს, ყუნბარით ისეთი ქვის სროლა შემოიღეს, რომ ქალაქი სულ ქვით აავსესო“. აქ კაცთმოყვარეობა კი არ ამოძრავებდა ერეკლეს, არამედ მას გარკვეული პოლიტიკური მოსაზრება ჰქონდა. ამ ჯერად ერეკლეს მთავარი მოწინააღმდეგე აბდულაბეგი იყო, აბდულაბეგს უმეტესად ყიზილბაშების იმედი ჰქონდა. თუ ერეკლე დაარწმუნებდა ყიზილბაშებს, რომ იგი მათ ხელს არ ახლებდა, მაშინ ისინი აბდულაბეგს აღარ მიეხმრობოდნენ. მართლაც, ერეკლეს ელჩებმა დაარწმუნეს მეციხოვნეები, რომ არაფერი არ დაუშავდებოდათ; მათაც სხვა გამოსავალი აღარ ჰქონდათ და ციხე დაცალეს: „გამოვიდნენ სულ ერთპირ და მოუძღვნენ, წამოვიდნენ ბატონთან, ერეკლესთან გამოცხადდნენ: 1) აბდულბეგის შვილი აღასი საბარათიანოს კაცებით, რომლებიც მას ახლდნენ, 2) ციხის მინბაში თავის თაბუნის კაცით, მეციხოვნეები და ყადი *“, მათი. ყველა ესენი გამოცხადდნენ ერეკლესთან და „თავი დაუკრეს“. ერეკლემ აპატია დანაშაული, გაუჩინა ულუფა და ქალაქში მისცა ბინები.

ასე დამთავრდა აბდულაბეგისა და მის მოკავშირე ლეკ-ყიზილბაშთა ბრძოლა თბილისისათვის 1748 წელს ივლისის 22-ს.

1606 წლიდან ყიზილბაშთა გარნიზონები თბილისის ციხეში ისხდნენ ნიადაგ. ყიზილბაშებმა თბილისი თავისებურ პლაცდარმად გადააქციეს თავიანთ შავბნელი ზრახვების განხორციელებისათვის ბრძოლაში.

მათ 1723 წელს ოსმალებს ჩააბარეს თბილისი, ხოლო 1735 წელს კვლავ ხელთ იგდეს. 1748 წელს ერეკლემ დიდი ხნით ამოუკვეთა ყიზილბაშებს ფეხი.

---

* ყადი მაჰმადიანური სარწმუნოების წარმომადგენელია, პაპუნა ორბელიანის განმარტებით იგი არის „სჯულის თავი“ იგივე მოსამართლე.

ერეკლე მეფე

ნახატი ი. თოლ.ძისა

გაათავისუფლა რა ნარიყალას ციხე, ყიზილბაშთა ამ საბუდარში შევიდა ერეკლე, „ნახა ჯაბახანა, ყოველი დაწერა სრულიად და დააყენა ნარიყალაში მერაბ ანდრონიკასშვილი სამოცის კახის კაცით. დაბლა ციხის სახლები უბოძა თავადთა ყოველთა და მეტეხის ციხეში დააყენა ალადაღ ჩერქეზისშვილი კახის კაცითა“.

ამიერიდან 1795 წლამდე თბილისს მტრის შემოსევა აღარ განუცდია. ქალაქი აღმავლობის გზას დაადგა. მაგრამ 1795 წელს აღა-მაჰმად-ხანის ველურმა ბრბოებმა ქალაქი მიწასთან გაასწორეს.

10. აღა-მაჰმად-ხანის შემოსევა, კრწანისის ომი

შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ჯალალედინის ლაშქრობის შემდეგ თბილისს არ განუცდია ისეთი რბევა-აწიოკება, როგორც აღა-მაჰმად-ხანის შემოსევების დროს იყო. ამიტომ, სანამ მის უშუალო ლაშქრობას შეეხებოდეთ, საჭიროა ზოგადად მაინც დავახასიათოთ აღა-მაჰმად-ხანი, როგორც პიროვნება.

აღა-მაჰმად-ხანი იყო ასტრაბადის მხარის მფლობლის ჰუსეინ ყაჯარის შვილი. ჰუსეინი ენერგიულად ებრძოდა ქერიმ-ხანს და მას სპარსეთის შაჰის ტახტს ეცილებოდა. არა ერთი მიღწევის შემდეგ ჰუსეინ ყაჯარს საქმე ცუდად წაუვიდა და თავის შვილთან, აღა-მაჰმად-ხანთან ერთად გაიქცა თურქმენისტანში. აქ ცხოვრობდნენ 4 წელს, შემდეგ შვილები დაბრუნდნენ ასტრაბადში, ქერიმმა აღა-მაჰმად-ხანი დაასაჭურისა და ციხეში გამოკეტა.

დიდხანს ციხეში ყოფნამ და დასაჭურისებამ ისედაც მახინჯ აღა-მაჰმად-ხანს უფრო გაუძლიერა კაცთმოძულეობა.

აღა-მაჰმად-ხანის გარეგნობა და ხასიათი მისი ბიოგრაფოსების აღწერით ასე წარმოგვიდგება: პატარა ტანის, გამხდარი აღა-მაჰმად-ხანი შორიდან 14-15 წლის ბიჭს ჰგავდა. დანაოჭებული, უწვერულვაშო სახე დაჩაჩანაკებულ მოხუც ქალს ამსგავსებდა მას. ხოლო მისი მუდამ უსიამოვნო სახის გამომეტყველება საშინელ შესახედავს ხდიდა, განსაკუთრებით უგუნებობისა და რისხვის დროს.

სიძულვილი და სისხლმწყურვალე სიბოროტე გამოსჭვიოდა მის ლრმად ჩამჯდარ თვალებიდან, რომლებსაც შინაგან მღელვარების დროს ლალისფრად სჭყეტდა ხოლმე.

აღა-მაჰმად-ხანის გამშვალავი შეხედვა მაყურებელს შიშის ზარს სცემდა, ხოლო მის თხელ და მუდამ მოკუმულ ტუჩებს არ შორ-

დებოდა დამცინავი ღიმილი, რომლითაც გარემოს მიმართ ღრმა სიძულვილს გამოჰხატავდა.

მაღალი წაწვეტებული ქუდი ჰფარავდა მის გაპარსულ თავს და მის ყვითელ, უწვერულვაშო დანაოჭებულ სახეს მიცვალებულის გამომეტყველებას აძლევდა, რაც იმ არაბუნებრივ დამახინჯებაზე მიგვითითებდა, რომელიც ბავშვობის დროს მიუღია და რომლისათვისაც იგი მთელი კაცობრიობის მოძულე გამხდარა.

ფიზიკურად დამახინჯებული შაჰი სულიერადაც დამახინჯდა. ნადირშაჰის გახრწნილი სხეულის ნარჩენები, რომლის მიზეზითაც აღა-მაჰმად-ხანი დაასახიჩრეს, სასახლეში მიმავალი დერეფნის ქვაფენილების ქვეშ დაამარხვინა, რათა შესაძლებლობა ჰქონოდა ყოველდღიურად გადაეთელა მისთვის საძულველი გვამი. ასევე სურდა მას ერთ სამარხში მოეთავსებინა ადამიანთა მთელი მოდგმა და მათ გვამებზე ფეხი შეედგა.

მისი სულმდაბალი ბუნების შეუზღუდავი ვნება იყო ბატონობისაკენ ტრფიალი, სიძუნწე, შურისძიება. ის ყველაფერს უკიდურესობამდე ეძლეოდა, განსაკუთრებით კი უკანასკნელს.

აღა-მაჰმად-ხანი განირჩეოდა თავისი სიმკაცრით ყველა მის წინამორბედ სპარსელ ხელისუფალთაგან. პატიების, წყალობისა და კაცთმოყვარეობის სიტყვა არასოდეს მოსწყდებოდა თვითმპყრობელ საჟერისის ბაგეს.

ამ დახასიათებაში არაფერია გადაჭარბებული, პირიქით, აღა-მაჰმად-ხანზე ბევრად მეტის თქმა შეიძლება. არ არსებობს ცნება, რომელიც მისი დახასიათებისათვის შესაფერი იქნებოდა, იგი თავისთავში მოიცავდა ყოველივეს, რაც კი არაადამიანურია... ჩვენ ამას კარგად დავინახავთ თბილისის მაგალითზე.

მას შემდეგ, რაც ქერიმხანი გარდაიცვალა, აღა-მაჰმად-ხანმა მოახერხა ციხიდან გაქცევა, მივიდა ისპაჰანს და, რადგან აქ თანამგრძნობნი ვერ ნახა, ასტრაბადს გაეშურა და იწყო შაჰის ტახტისაკენ ლტოლვა. ვერაგობით, ცბიერობით, მოტყუება-დაპირებებით თუ ცეცხლითა და მახვილით მან მიაღწია ირანის შაჰის ტახტამდე. გახდა რა ირანის მბრძანებელი, მან თავი მოუყარა მკვლელთა და ქურდ ავაზაკთა უდიდეს ბრბოს და იწყო მეზობელი ქვეყნის დაპყრობა. მის დაპყრობით გეგმებში ცენტრალური ადგილი საქართველოს ეპირა.

1783 წელს რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთ დახმარების ტრაქტატი დაიდო. ამ ფაქტმა რეაქცია გამოიწვია მთელს მაჰმა-

დიანურ სამყაროში. აღა-მაჰმად-ხანმა არა ერთხელ გააფრთხილა ერეკლე, რომ მას ხელი აეღო რუსეთისაკენ მზერაზე და ეცნო ირანის სუვერენობა. სამაგიეროდ იგი ერეკლეს აზერბაიჯანს ჰპირდებოდა. ერეკლესათვის აღა-მაჰმად-ხანის წინადადება მიუღებელი იყო. ერეკლეს მტკიცედ სწამდა რუსეთთან მეგობრობა და ერთხელ აღებულ გეზს იგი აღარ სცვლიდა.

რაც დრო გადიოდა სულ უფრო და უფრო აშკარად ჩანდა, რომ აღა-მაჰმად-ხანი საქართველოზე გამოლაშქრებას აპირებდა. საამისო სამზადისი მას უკვე დაწყებული ჰქონდა და ირანში დიდ ჯარს უყრიდა თავს. ერეკლე რუსეთის სამეფო კარს ატყობინებდა ირანის ამბებს და სთხოვდა დახმარებას. დრო გადიოდა, რუსეთიდან დახმარება არ ჩანდა, აღა-მაჰმად-ხანს კი უკვე ყოველგვარი სამზადისი ჩაეტარებინა და მოდიოდა საქართველოს მოსათხრელად. მაისის ბოლო რიცხვებში აღა-მაჰმად-ხანი თავრიზიდან გამოვიდა. საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლისას რომ მტკიცე ზურგი ჰქონოდა, მას ჯერ აზერბაიჯანის ხანები უნდა შემოემტკიცებინა. მალე, მართლაც, იმედი გაუმართლდა: არა ერთმა ხანმა დაუკრა თავი და შესთავაზა სამსახური. მხოლოდ ყარაბაღის ხანი, იბრაჰიმი არ მიუვიდა საპურისს. იგი შუშის ციხეში ჩაიკეტა და მტერს დიდ ზიანს აყენებდა. ამავე დროს იბრაჰიმ ხანმა მთელ მოსახლეობას იარაღი ააღებინა ხელში და სახალხო ომით უპასუხა დამპყრობელს. ერეკლესაც შესთავაზა აღა-მაჰმად-ხანმა მორჩილება, მაგრამ ერეკლემ ბრძანება გასცა და აღა-მაჰმად-ხანის ელჩი ციხეში გამოჰკეტა.

ერეკლე იმედოვნებდა, რომ იგი საკმაოდ დიდ ჯარს მოუყრიდა თავს და მტერს ვაჟკაცურად დახვდებოდა. გადმოგვცემენ. რომ სამხედრო საბჭოზე ერეკლეს განუცხადებია: მე მინდა აღა-მაჰმად-ხანი და იმისი ჯარი ისე წავახდინო, რომ საქართველოდან ერთი მოამბე ყიზილბაში ვეღარ გავიდესო. მართლაც, რომ ქართველებს მთელი თავიანთი შეძლებისათვის მობილიზაცია ექნათ, სრული უეჭველობით შეიძლება ითქვას, რომ არავითარი მტერი საშიში არ იქნებოდა. ქართველებს შეეძლოთ ბრძოლის ველზე გამოეყვანათ 40000-დე მებრძოლი. მათ იმედი ჰქონდათ, რომ დამხმარე ჯარი მოუვიდოდათ იმიერკავკასიის მთიელთაგანაც და, რომ ყოველივე ისე გაკეთებულიყო, როგორც ერეკლე ვარაუდობდა, მაშინ აღა-მაჰმად-ხანის ლაშქრობა, უეჭველია, სრული მარცხით დამთავრდებოდა და ქალაქი თბილისი გადარჩებოდა დანგრევას.

მაგრამ შესაძლებლობა და სინამდვილე ერთიდაიგივე არ არის: 40.000 მოლაშქრიდან განსაცდელის ჟამს 4-5 ათასი კაცი ძლივს შეგროვდა. 1795 წლის კრწანისის ომში ქართველების დამარცხების მიზეზი თავადურ რეაქციაში უნდა ვეძიოთ.

ბატონიშვილები თავიანთ საუფლისწულოებში ისხდნენ და სამშობლოს დაცვაზე არ ზრუნავდნენ.

„მარკოზაშვილის დარბაზელები“ სოფელ-სოფელ დაძრწოდნენ და ხალხში დეზორგანიზაცია შეჰქონდათ. ალექსანდრე ორბელიანი სამართლიანად აღნიშნავს: „—თითქმის ქალაქ თბილისის მახლობლად მოვიდა აღა-მაჰმად-ხან, ჯარი ჯერ კიდევ ბრსად იყო მეფის ირაკლისათვის, ყოველს მხარეს აიყარნენ ქართველები და მაგარს ადგილებში დაიხიზნენ: თავადნი თუ აზნაურნი, ანუ გლეხნი სულ ერთიან. ამისათვის იტყვიან: ციხე შიგნიდან გატყდებაო. ასე იყო მაშინ საქართველოს საქმე. მეფის ირაკლის მტრობის გულისათვის იმისი მტრები საქართველოს ღუპავდნენ გაუკითხავად ის უსინდისონი, სადაც იმ დროს მთელ საქართველოში მეფის ირაკლის მტრები ჩუმად დაწანწალობდნენ და ხალხს აშინებდნენ: აღა-მაჰმადხანი ორასიათასი ჯარით მოდის, დაიხიზნენით, თორემ სულ ერთიან წაგლეკამსო“.

მოღალატეთა თავხედობა იქამდის მივიდა, რომ მოღალატე ანდრონიკაშვილმა 200 ქიზიყელი ომის წინა ღამეს გააპარა.

მაშინ, როდესაც ქართლში ასეთი ამბები იყო, აღა-მაჰმად-ხანი უკვე უახლოვდებოდა თბილისს. 32 დღის უშედეგო ალყის შემდეგ შუშის ციხე მიატოვა აღა-მაჰმად-ხანმა და განჯის გზით საქართველოსაკენ წამოვიდა. აღსტაფასთან მცირე ხნით შეჩერდა და იქაური მაჰმადიანი თავკაცები იხმო. მათ შემდეგი სიტყვებით მიმართა: ხელფეხი შეეკრათ ჩვენი დიდების წყაროს — ისლამის შეურაცხმყოფელთ, დაეშალოთ ეს ერთი მუჭა ქართველობა ისე, როგორც კალატოზები შლიან ძველთაძველ სახლს. ამ სიტყვებმა არა ერთი მოკავშირე შეჰმატა მრისხანე აღა-მაჰმად-ხანს.

7 სექტემბერს აღა-მაჰმად-ხანის მეწინავე რაზმი უკვე ჩატეხილ (ახლანდელ წითელ) ხიდზე იყო.

8 სექტემბერს ქართველთა მზვერავებმა გამოარკვიეს, რომ მტრის ჯარები იაღლუჯის სანახებში არიან. სხვათა შორის, აქ მზვერავთა ჯგუფი, რომელსაც გორჯასპი ნათალიშვილი ხელმძღვანელობდა (ქართველ მზვერავთა ჯგუფში 12 კაცი იყო) მტრის დიდ ჯგუფებს შეეტაკა. გარდა გორჯასპი ნათალიშვილისა ყველანი

მტერს შეაკვდნენ, ნათალიშვილი მოკლული თურქმანის ცხენს შეაჯდა და თავს უშველა.

აღა-მაჰმად-ხანის ჯარის საერთო რაოდენობას 30-35 ათასს ანგარიშობენ.

საქართველოს საზღვრებში შემოსული აღა-მაჰმად-ხანი ფრთხილობდა. მან იცოდა, რომ ერეკლე კარგი და გამოცდილი სტრატეგი იყო და ეშინოდა მოულოდნელად არ დამატყდესო თავს. ალ. ორბელიანი გადმოგვცემს: „განძვირებული აღა-მაჰმად-ხან მეფეს ირაკლიზედ მოდიოდა, მაგრამ თან თურმე ეშინოდა: მეფე ირაკლი გონიერი კაცია, ამასთან ნადირშას გაზრდილი და ამის გამო სიფრთხილით უნდა მოვიქცეო“.

აღა-მაჰმად-ხანი ასეთი სიფრთხილით მოვიდა სოღანლუღის სანახებში და თავისი ჯარები იქ გააწყო. სამხედრო თათბირზე ერეკლემ ქალაქის დაცვის თავისი გეგმა წარადგინა. გეგმა იმ დროის კვალობაზე კარგად იყო შედგენილი, გათვალისწინებული იყო ქალაქის ციხე სიმაგრეების განლაგებაც და ბუნებრივი სიმაგრეებიც.

როგორც ცნობილია, თბილისი საკმაოდ შემოზღუდულია ბუნებრივი მთა-გორებით, რაც ქალაქის დაცვას ერთგვარად აადვილებს. მხოლოდ ჩრდილოეთით მდ. მტკვრის დინება ჰქმნის ღია კარებს. დანარჩენი მხარე ქალაქისა კი კარგად არის ბუნებრივი სიმაგრეებით დაცული. სამხრეთით ქალაქს მიჰყვება სოლოლაკის კლდოვანი ქედი. ამ ქედის სანხრეთის ფერდობებზე გაშენებულია მრავალჭირნახული ნარიყალას ციხე. ეს ციხე ერთი მხრით მცხოვრებთა თავშესაფარია, ხოლო მეორე მხრით ირანიდან მომავალ მთავარ გზას იცავს. ნარიყალას პირდაპირ, წავკისის ხეების მარჯვნივ, მაღალ მთაზე იდგა საკმაოდ მაგარი ციხე—„ხოშაყალა,“ რომელიც ჰკეტავდა თელეთ-შავნაბადით კრწანისისაკენ მომავალ უმოკლეს გზა-ბილიკებს. თაბორი კოჯრის მაგისტრალს ჰკეტდა. მეტეხი წარმოადგენდა მნიშვნელოვან სიმაგრეს, რომელიც ცეცხლს აყრიდა განჯისკარით მოსულ მტერს.

ერეკლემ ყოველივე ეს გაითვალისწინა და სათანადო თადარიგი დაიჭირა.

აღა-მაჰმად-ხანის წინააღმდეგ ერეკლემ შემდეგი ღონისძიებები ჩაატარა: თავისი ჯარის ნაწილები დაჰყო ცალკეულ რაზმებად და თითოეულ რაზმს თავისი წინამძღოლი გაუჩინა.

მთავარი ძალა ერეკლემ სეიდაბადის ბაღების ბოლოს განალაგა და სანგრები და სხვა თავდაცვითი თხრილები გააკეთა. ეს იყო აწინდელი სამასი არაგველის სახელობის ხიდის მიდამოები.

მარჯვენა ფლანგი დავით ბატონიშვილს ებარა. მას ექვსი ზარ-ბაზანი და 400 ჯარისკაცი ჰყავდა თავის განკარგულებაში. იგი თელეთ-შავნაბადის გზა-ბილიკებს იცავდა. ამდენად, ქართველთა მთავარი ძალების ზურგის დაცვას დავით ბატონიშვილი აწარ-მოებდა.

მეწინავე ნაწილებს იოანე ბატონიშვილი სარდლობდა. მას ქართველ ვაჟკაცთა საუკეთესო ნაწილი ახლდა თან. მარცხენა ფლან-გი ივანე მუხრან-ბატონს ებარა, რომელიც მტკვრის მარჯვენა ნა-პირს იცავდა. თვით ერეკლე ცენტრს იცავდა. მასთან იყვნენ იმერ-ლები ზურაბ წერეთლის მეთაურობით. ერეკლეს ზურგს უმაგრებ-დნენ ვახტანგ ბატონიშვილი და ოთარ ამილახორი.

ქალაქის მისასვლელში იდგა სოლომონ მეორე 1000 იმერლით.

ასეთი განლაგება მოხდა 10 სექტემბრის ბრძოლის შემდეგ.

უფრო ადრე, 10 სექტემბრის ჩათვლით, ქართველთა ძირითადი ლაშქარი განლაგებული იყო სოღანლუღის ვიწროებში. აქ ქარ-თველებს საკმაოდ გამაგრებული სანგრები ჰქონდათ. 10 სექტემბერს აღამაჰმადხანის ლაშქარი შეტევაზე გადმოვიდა. ქართველებმა სულ ახლოს მოუშვეს მტერი და შემდეგ ძლიერი ცეცხლი დაუშინეს. მტერმა ვეღარ გაუძლო ქართველთა დარტყმას და საწყისი პოზი-ციებისაკენ დაიხია. აღა-მაჰმად-ხანი დააფიქრა პირველმა მარცხმა. მან არ იცოდა ქართველთა ჯარის ფაქტიური რაოდენობა. იგი ფიქრობდა, რომ ქართველთა ჯარს კრწანისის ველიც ასევე გამაგ-რებული ექნებაო, და შემოვლის გზა აირჩია. მან თავისი ჯარი ცალკე ჯგუფებად დაჰყო და თითოეულ დანაყოფს თავისი სამოქმედო უბანი გაუჩინა. ერთი ჯგუფი თელეთ-შავნაბადის გზით მოუვლიდა და ქართველთა ჯარს ზურგიდან დაარტყამდა, თვითონ აღა-მაჰმად-ხანი 3000 საუკეთესო მხედრით მდინარე მტკვარში შეცურდებოდა და მტკვრის მარცხენა ნაპირით წავიდოდა, ორთაჭალის კუნძულზე გავიდოდა და ქართველთა სოღანლუღის დაჯგუფებას უკან დასა-ხვევ გზებს შეუკრავდა. მტრის მანევრირებას მიუხვდა ერეკლე და კონტრ-ღონისძიება ჩაატარა. სოღანლუღიდან უკან დაიხია და ზე-მოთ ნაჩვენები პოზიციები დაიკავა.

აღა-მაჰმად-ხანის ჯარის უმრავლესობას შეადგენდნენ მაზანდა-რელი მეთოფეები, რომელთაც ყარაჩოხელებს უწოდებდნენ, მათ ჰქონდათ უჩახმახო თოფები, ეს თოფები ანთებული პატრუქით მოქმედებდა.

შუშის ციხიდან, როგორც აღნიშნული იყო, აღა-მაჰმად-ხანი

სირცხვილეული დაბრუნდა. იქ მას დიდი ზარალი მოუვიდა და მისი პრესტიჟიც დაეცა. საჭირო იყო გამარჯვება, რათა შელახული მდგომარეობა გამოესწორებინა. ამიტომ თბილისზე მოსული აღა-მაჰმად-ხანი თავგანწირული იბრძოდა; არავითარ საშუალებას არ ერიდებოდა, მისთვის მსხვერპლის გაღება არარა იყო, ოღონც კი გამარჯვებისათვის მიეღწია.

აღამაჰმადხანმა, განემზადა რა შეტევისათვის, შემტევი ირანული ნაწილების უკან საგანგებოდ შერჩეული 6000 თურქმანი დააყენა და უბრძანა: დაუნდობლად მოჰკალით ყოველი ირანელი, ვინც კი ბრძოლის ველიდან უკან დაიხევსო.

თურქმანებმა, რომლებიც ირანელებისადმი მტრულად იყვნენ განწყობილი, ხალისით მიიღეს შაჰის ბრძანება და უმოწყალოდ ხოცდნენ უკანდახეულ ირანელებს.

11 სექტემბერს ნისლიანი დილა გათენდა. ორივე მხარეს უჭირდა ურთიერთ განლაგებაში გარკვევა. თანდათან მზემ ამოიწია და ნისლი მიმოფანტა. ირანელებმა ძალები გადააჯგუფეს და შეტევაზე გადმოვიდნენ. დაიწყო უმოწყალო სისხლის ღვრა. ქართველები შვიდჯერ მეტ მტერს გმირულად ეკვეთნენ და თავზარი დასცეს. გადმოგვცემენ, რომ აღა-მაჰმად-ხანს განუცხადებია: რამდენი ბრძოლა გადამიტანია, მაგრამ მე არ შემხვედრია ისეთი გმირი მტერი, როგორიც ქართველები არიანო. გასაგებია! ქართველები თავიანთ საყვარელ ქალაქს იცავდნენ, სამშობლოსათვის თავს არ ზოგავდნენ. ირანელთა ლაშქარი კი ქურდ-ყაჩაღთა ბრბოებისაგან შედგებოდა და საქართველოში მოდიოდა არა სახელისათვის, არამედ პირადი სარგებლობისათვის, ნადავლისათვის. ქართველი ჯარის განლაგების ერეკლესეული გეგმა ისე იყო შედგენილი, რომ ყოველი დაჯგუფება ურთიერთს ამაგრებდა და საომარი ოპერაცია ერთიანი, შეთანხმებული ჩანდა.

მირზა იუსუფა ყარაბაღელი წერს: „ქართველი მეზარბაზნეები უდიდესი ყოჩაღობით და მოხერხებით აკაევებდნენ და წინ არ უშვებდნენ ყიზილბაშების ჯარსო.“

11 სექტემბერს ქართველებმა არა ერთი შემოტევა მოიგერიეს და მტრის სისხლით მორწყეს კრწანისის ველი, მაგრამ ძალთა ფარდობამ თავისი გაიტანა. მტრის ურიცხვ გვამებს შორის დაღუპული ქართველი ვაჟკაცებიც მოჩანდნენ აქა-იქ.

აღა-მაჰმად-ხანის დანაკლისი ზოგიერთი ცნობით 13000 კაცს აღწევდა. მაგრამ ქართველებსაც ზარალი მოუვიდათ. რაც დრო გა-

დიოდა, სულ უფრო აშკარა ხდებოდა, რომ გამარჯვება სპარსელებს რჩებოდათ. გალომგულებული მხცოვანი ერეკლე (იგი მაშინ 75 წელს იყო მიღწეული) ჯაბუკური ძალით იქნევდა ხმალს და არა ერთი სპარსელი გამოასალმა წუთისოფელს, მაგრამ მასაც ძალა ელეოდა. ამასობაში მტრის რაზმები გარს ერტყმოდნენ მეფეს და სურდათ ტყვედ ეგდოთ იგი. ივანე ბატონიშვილმა მცირე რაზმით გაიკაფა გზა და ერეკლე გამოიყვანა. მეტეხის ხიდით ერეკლე მცირე მხლებლებითურთ არაგვის ხეობაში გაიხიზნა. ბრძოლის ველი უკანასკნელად დავით ბატონიშვილმა დატოვა. მან გაიგო, რომ ერეკლე მშვიდობიანად გადარჩა, წინააღმდეგობის გაწევა უაზროდ ჩათვალა, ზარბაზნები ხევში ჩაყარა, რომ მტერს არ გამოეყენებინა და ტაბახმელის გზით ანანურს წავიდა.

მართალია, ქართველები კრწანისის ომში დამარცხდნენ, მაგრამ ეს არ იყო ქართველი ხალხის დამარცხება. არც ირანის გამარჯვებად ჩაითვლება იგი; ეს იყო, უპირველეს ყოვლისა, თავადური რეაქციის გამარჯვება. მირზა იუსუფა ყარაბაღელი უთუოდ მართალია, როცა წერს: ერეკლესთან „არსაიდან ჯარი არ მოვიდა, რადგანაც ყველა დროსტარებით, ქეიფით და მხიარულებით იყო გართული. ამიტომ ერეკლე იძულებული გახდა იმ მცირე ჯარით დადგომოდა წინ მტრის მრავალრიცხოვან ლაშქარს“.

მაშინ, როცა თავადური რეაქცია სამშობლოს ღალატობდა, ხალხის საუკეთესო წარმომადგენლები დიდ ქართველ ეროვნულ გმირს—ერეკლეს მხარში ამოუდგნენ და მტერს ძვირად დაუსვეს გამარჯვება. კრწანისის ომი ქართული ვაჟკაცობის თავისებური სიმბოლოა. სამასი არაგველი გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე, მაგრამ სამასმა ქართველმა წინ წაიმძღვარა სამჯერ უფრო მეტი მომხდური მტერი. ბევრმა ქართველმა ვაჟკაცმა ამ ბრძოლაში შარავანდედით შემოსა თავისი სახელი და სამუდამოდ დარჩა ქართველთა გულში. ერთი ამათგანი იყო გიორგი გურამიშვილი. გიორგი გურამიშვილის გმირობის შესახებ მომსწრეთაგან ალ. ორბელიანს შემდეგი გაუგონია: „ზარბაზნების უფროსმა მაიორმა თ. გიორგი გურამიშვილმა (მეფის ირაკლის ნათლული იყო), ამისთანა გაჭირვება ნახა, რომ აუცილებელი სიკვდილი მისულიყო ამათზე, ყველას ხმა-მაღლა შესძახა:

— „ქართველებო, ძმებო! ცხადად ვხედავთ აუცილებელი სიკვდილი მოსულა ჩვენზე, მაგრამ ესეც შეგვიძლიან უნამუსოთ დავნებდეთ ყიზილბაშებს. აბა რომელი გინდათ, სახელით სიკვდილი-

მამულისათვის და კარგის მეფისათვისა, თუ უნამუსოთ სიცოცხლე? ყველამ ერთპირად უპასუხა:

— „ჩვენ მამა-პაპასა უნამუსობა არ უქნიათ და ჩვენც იმათ შვილები ვართ. სიკვდილი გვირჩევნიან უნამუსო სიცოცხლეს“.

— „გმადლობთ, ძმებო! რაც თქვენს კაცობას ეკადრება, სწორეთ იმისთანა გული გაქვსთ, მაგრამ სამი თითით ყველამ მიწა ავიღოთ, შევეამოთ; ეს იყოს წმინდა საიდუმლოს მაგიერი. მას უკან საიქიოს წავდგეთ სახელოვნად“.

მოიერიშე ყიზილბაშებს გურამიშვილმა არა ერთი დარტყმა აჭემა. თვითონ გურამიშვილი „გმირსავითა დადგა და ხმლით სამი ყიზილბაში ჩამოაგდო და მეოთხეს დაამტვრია ზედა, რომელიცა მაშინვე გამოტრიალდა და ერთს ზარბაზანს გადაეხვია ამ სიტყვით: „ღმერთო! ოღონდ მეფე ირაკლი მშვიდობით გაიყვანე ამ საშინელებისაგანა და მე მამულის ჭირის სანაცვლო ვიყო.“

მას შემდეგ, რაც კრწანისი დაეცა, მტერი ქალაქში შემოვიდა და დაიწყო ქალაქის რბევა-აწიოკება.

ქართველ თუ ირანელ მეისტორიეებს უხვად შემოუნახავთ ცნობები ირანელთა იმ მხეცობის შესახებ, რომელიც მათ ჩაიდინეს თბილისის აღების ჟამს.

მირზა იუსუფა ყარაბაღელი ასე აგვიწერს ირანელებისაგან თბილისის დარბევას: „ყიზილბაშების ჯარი „სიხარულის სახლში“— თბილისში შევიდა და ქალაქის ძარცვა-რბევა იწყო და „სიხარულის სახლი“ ტირილისა და შეშფოთების სავანედ აქცია. (ქალაქის მცხოვრებნი) ზოგი პრიალა ხმლის ლუკმა გახდა, ზოგიც ტყვეობის ბორკილებში მიექცა. ყველა ფერიას სახიანი (ქალწული) ურჩხულის გარეგნობის მქონე არსებათა მიერ იქნა შეპყრობილი და ყოველი ბროლმკერდიანი (ქალი) მტარვალთა ტყვეთ გახდა.

ძვირფასი მოწყობილობა ეკლესიებისა გაძარცულ-წაბილწული იქნა და მომხიბლველი (სილამაზის მქონე) სასახლეების ნივთები ეშმაკების ბრბოთა მიერ იქნა დატაცებული.

ამ შავბნელ დროს აღა-მაჰმად-ხანი თავისი შავი და ბნელი გულით შვიდ დღეს დარჩა იქ და ის ქალაქი მთლად დაანგრია და მწუხარებით აავსო, ხოლო მაღალი და დიდებული შენობები ცოცხალ არსებებისაგან დააცარიელა.“

სხვა ცნობებითაც ვიცით, რომ აღა-მაჰმად-ხანი ქვას-ქვაზე აღარ სტოვებდა თბილისში. თეიმურაზ ბატონიშვილი გადმოგვცემს: თბილისში შემოსელისთანავე აღა-მაჰმად-ხანი, პირველყოვლისა, მეფის

პალატებისაკენ გაეშურა. მას თან ახლდა განჯის ხანი ჯევათი, გვარად ზიად-ოღლი, შთამომავლობით ყაჯარი; შაჰმა ყურადღებით დაათვალიერა შენობა, ინახულა მეფის სალარო, რაც მოეწონა, თვითონ წაიღო, შემდეგ სასახლე ლაშქარს მისცა გასაძარცვავად. მან ჯარს უფლება მისცა გაეძარცვათ და დაეწვათ ეკლესიები, სასახლეები და კერძო სახლები, გაეწყვიტათ ან ტყვედ წაეყვანათ მცხოვრებნი, განურჩევლად სქესისა და წლოვანებისა.

ქალაქის მცხოვრებთა დაბალი ფენები (ხელოსნები, წვრილი ვაჭრები, გლეხები) ქალაქში დარჩნენ, ისინი უომრად არ ნებდებოდნენ მტერს. თეიმურაზ ბატონიშვილისავე მოთხრობით, ქალაქში დარჩენილი მოსახლეობა ჩაიკეტა სახლებში, მათ ბარიკადები ააგეს ქუჩებში და ბევრ სპარსელს სამუდამოდ დაუბნელეს მზე.

საძულველი მტერი არავის ინდობდა. გადმოგვცემენ, რომ, როცა მტერი თბილისში შემოვიდა, მოქალაქეებმა თავიანთი არჩეული პირები მიუგზავნეს და მშვიდობიანი მოსახლეობის უვნებლობა გამოსთხოვეს, მაგრამ მრისხანე საჟურისმა უპასუხა მათ: ისეთ გასამართლებას უნდა მოელოდეთ, როგორიც ღვთის სამსჯავროში ხდება, სადაც საკუთარი ცოდვებისათვის ყველა ანგარიშს აბარებსო.

ირანელი მეთაურები ქალაქელ ლამაზ მანდილოსნებს თავის ჯარისკაცებზე ჰყიდდნენ; დედებს ჩვილ ბავშვებს ხელიდან სტაცებდნენ და მათსავე თვალწინ ხმლის ფხის გასასინჯად შუა ჰკაფავდნენ. ეკლესიის მსახურებს თავი მოუყარეს ერთად, ხელები შეუკრეს და ყველა ადიდებულ მტკვარში გადაჰყარეს. ერთგვარი „შეღავათი“ მისცეს დოსითეოს მიტროპოლიტს, რომელიც ხელებშეუკრავი გადააგდეს მტკვარში.

არტემ არარატელი, რომელმაც თავისი თვალით ნახა ფერფლად ქცეული ქალაქი, წერს:

„... მეორეს დღეს მივედით სოფელს ლილოში (იგი სიღნაღიდან მოდიოდა.—დ. გ.), მაგრამ აქაც ვერ ვიპოვეთ ვერც ერთი ცოცხალი სული, გარდა მკვდრებისა, რადგანაც ყიზილბაშები ამ ადგილამდინ მოსულიყვნენ. რამდენიც თბილისს ვუახლოვდებოდით, მომეტებულად ვხედავდით ყოველგან დახოცილებსა. მესამე დღეს საღამოზედ შევედით ავლაბარში, რომელიც სპარსელებისაგან სრულებით გადამწვარი იყო.

ჩვენა ვფიქრობდით გავსულიყავით მტკვარში პირდაპირ თბილი-

სისაკენ, მაგრამ მტკვრის ხიდი ყიზილბაშებს დაეწვათ უკან დაბრუნების დროს, რომ მდევარი უკანიდამ არ მოსწეოდათ. ამისათვის იძულებული შევიქენით მოგვეძებნა ღამე სადგომი ადგილი. მთელს გარეთუბანში ვიპოვნეთ მხოლოდ ერთი სახლი, რომელიც გადარჩენოდა ყველაფრის დამდაგავს ცეცხლსა.“

არტემ არარატელი განაგრძობს: „მეორე დღეს დილით, მივედით რა მტკვრის პირზე, დავინახეთ, რომ თბილისი თითქმის ყოველი მხრით ბოლავდა“. „მივედი თბილისში ტაფიტალის კარებიდან, მე ძლიერ შემზარდა, როდესაც დავინახე, რომ დედაკაცები და ყმაწვილები მტრისაგან თავმოკვეთილები ეყარნენ ყოველს ადგილას. ვნახე აგრეთვე აუარებელი დახოცილი კაცის გვამები: მარტო ერთს კოშკში ვარაუდით ათასზე მეტი იქნებოდა... განჯის კარამდის თითქმის არავინ შემხვედრია აქ მცხოვრებთაგანი, რამდენიმე ნაწვალები, მოხუცებული და მოუძლურებული ბერიკაცის მეტი, რომელნიც ყიზილბაშებს ეწამებინათ მისთვის, რომ ეთქმევინებინათ, სადა ჰქონდათ შენახული ფული ან რომელიმე სხვა განძეულობა. ქალაქი თითქმის სრულებით იყო დამწვარი, მაგრამ ჯერ კიდევ ბოლავდა; ჰაერი იყო აყროლებული დახოცილი ხალხისაგან, რომელნიც ციხეში ყარდნენ და განავრცელებდნენ მავნებელს სუნსა.“

„... განჯის კარის მახლობლად, თათრის მეიდანზე, ეკლესიასთან ერთი სახლი იყო, რომელიც დაწვას და დაქცევას გადარჩენოდა. იმ სახლში დასვენება განვიზრახე და დარჩენა მეორეს დღემდის, მაგრამ როდესაც შევედი, ვნახე ტიტველი კაცი, რომელიც ეგდო მიწაზე და ძლივს სუნთქავდა. ის კაცი ჩემი ნაცნობი გამოდგა;—ის იყო დაჭრილი და ძლივს გამაგებინა, რომ რამდენიმე დღეა, რაც მშიერია... იმან მიამბო სპარსელების და ყიზილბაშების ურჯულო და შეუბრალებელი ქცევა ქალაქში. იმისი სიტყვით ჩჩვილ ძუძუმწოვარ ბავშვებს და მოზრდილებსაც ცალ ფეხში ხელს წაავლებდენ და შუაზედ გასჩეხდნენ თითო დაკვრით, რომ გაეგოთ კარგად უჭრიდათ ხმალი თუ არა.“

ასე ერცელი ამონაწერის მოტანა ვამჯობინეთ, რომ მკითხველმა თვითონ ბოისმინოს თანამედროვის ნაამბობი.

მრისხანე საპურისმა ქალაქის ყოველგვარი ფასეულობა თან წაიღო და შენობები მიწასთან გაასწორა, დაინგრა თოფხანა, ზარაფხანა, სემინარია, სტამბა, წიგნსაცავები, აბანოები.

20 სექტემბერს აღა-მაჰმად-ხანი აიყარა და ირანისაკენ წავიდა.

ქალაქში თანდათან დაბრუნდნენ გახიზნული მოქალაქენი, დაბრუნდა თვალცრემლიანი ერეკლე მეფეც. მრავალჭირნახული და მრავალ გამარჯვებათა მქონე ერეკლე დამწუხრებული უყურებდა თავის საყვარელ ქალაქს, მტრისაგან ფერფლად ქცეულს.

დიდი ქართველი პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი ერეკლეს ქალაქში დაბრუნებასა და მის განცდებს ამგვარად გადმოგვცემს:

„რა მოახლოვდა ქალაქსა მეფე,
დიდხანს უკვლეტდა ცრემლთა აღმჩქეფე!
პალატნი მისნი გარდმონგრეულან,
სახლნი სამშობლო დანაცრებულან;
მიდამო ხედავს უპატრონობას,
აღოხრებასა და ნატამლობას!
დუმილი სუფევს მის არემარეს!
მხოლოდ ბუტბუტებს მტკვარი მწუხარე.
შემრთველი მრავალთ სისხლთა ქართველთა:
იგი გადარჩა მხოლოდ სპარსელთა!

კრწანისის გმირულმა ეპოპეამ ერთხელ კიდევ გამოამჟღავნა, რომ ღონემიხდილ ირანს არ შესწევდა ძალა შეესრულებინა თავისი შავბნელი ზრახვანი.

მტარვალმა საპურისმა კვლავ განიზრახა დიდი ჯარით საქართველოს წინააღმდეგ გამოელაშქრა, მაგრამ 1797 წელს იგი მსხვერპლი გახდა თავისივე მსახურების გალესილი ხანჯლისა.

დიდი დრო დასჭირდა თბილისს, რომ საპურისისაგან მიყენებული მძიმე ჭრილობები მოეშუშებინა. წლების განმავლობაში ქართველი ხალხი გულმოდგინედ აშენებდა დანგრეულ ქალაქს... ქალაქის უბნებმა თანდათან გამოცოცხლება იწყეს... თბილისი ძალას იკრებდა, რომ XIX საუკუნეს მომხვდებული შეხვედროდა და რუსეთის მეშვეობით მტკიცედ და საბოლოოდ დამდგარიყო მშვიდობიანი განვითარების ახალ გზაზე.

თავი III

თბილისის ტერიტორია და გარეგანი სახე

1. ქალაქის ტერიტორია

თბილისის ზემომოთხრობილი თავგადასავალი კარგად გვიჩვენებს, რომ დაარსების დროიდანვე ქალაქი გარეშე მტრებისა თუ შინაურ მოღალატეთა წყალობით არა ერთხელ აოხრებულა და განადგურებულა.

მოძალადეთა ძალმომრეობით ნადგურდებოდა ქალაქის არა მარტო თავდაცვითი, არამედ სხვა, საზოგადო დანიშნულების ნაგებობანიც. თბილისი ისევ ფეხზე დგებოდა, ხელახლა შენდებოდა, მაგრამ გამუდმებული ბრძოლა ფეოდალურ ქალაქს თანდათანობითი განვითარების შესაძლებლობას არ აძლევდა და თავის სახეს უკარგავდა.

განუწყვეტელი შფოთი და რბევა ქალაქის ტერიტორიალურ ზრდასა და გაფართოებასაც აფერხებდა. ზოგჯერ ქალაქის ახლად დასახლებული უბნებიც ისპობოდა და თბილისის მცხოვრებლები იძულებული ხდებოდნენ ქალაქის უფრო გამაგრებულ ნაწილს შეხიზვნოდნენ და ციწრო რკალში მომწყვდეულიყვნენ. საუკუნეების შემდეგ, როგორც კი მშვიდობა ჩამოვარდებოდა, ისევ დანგრეულ ნაგებობათა აღდგენა და განადგურებული უბნების ხელახლა დასახლება იწყებოდა.

ამით აიხსნება, რომ ჩვენს დედაქალაქში ძველი საუკუნეების საერო თუ სასულიერო დანიშნულების ნაგებობანი თავიანთი პირვანდელი სახით თითქმის არც ერთი არ მოღწეულა. გვიანი, შუა საუკუნეების რომელიმე მთელი შენობაც არ დარჩენილა. თუ ფეოდალური ხანის თბილისის ნაგებობათაგან რაიმე გადარჩა თავისი პირვანდელი სახით, ისინიც საქართველოს სამეფოს არსებობის უკანასკნელ სამ საუკუნეს ეკუთვნის.

ყოველივე ამის გამო ძნელი ხდება ნათლად წარმოვიდგინოთ, თუ როგორ თანდათან იზრდებოდა საქართველოს დედაქალაქი, როდის რა ტერიტორია იყო ქალაქისა დასახლებული, რა და რა ნაგებობები იყო ამა თუ იმ უბანში და სხვა.

მაგრამ ძველი წერილობითი წყაროები, XVII-XVIII საუკ. თბილისის გეგმები და აღწერილობები, შემონახულ ძეგლებთან ერთად, შესაძლებელს ხდიან ასე თუ ისე აღვადგინოთ ძველი თბილისის სახე.

-თბილისი საქართველოში ფეოდალური ურთიერთობის განვითარების დროს წარმოიშვა და ამ ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის გამარჯვებისას გადაიქცა ქართლის დედაქალაქად. ასე რომ თბილისი წარმოიშვა, როგორც ფეოდალური ქალაქი და ამიტომაც ის დიდად განსხვავდებოდა წინაფეოდალური საქართველოსათვის დამახასიათებელ ე. წ. ციხე-ქალაქებისაგან.

სულ სხვაგვარად შენდებოდა ციხე-ქალაქები: ციხე-ქალაქები პირველ რიგში სიმაგრეებს წარმოადგენდნენ და ქალაქი კიდევ მის დამატებად ითვლებოდა. ფეოდალური ურთიერთობის გამარჯვების შემდეგ განვითარებული საქალაქო ცხოვრება ძველი ციხე-ქალაქის ფარგლებში ვეღარ ეტევა და ქალაქის მოსახლეობაც საქმიანობას ციხის კედლებს გარეთ იწყებს. ამიერიდან ციხე გადაიქცევა ქალაქის დამატებად, მას უკვე ქალაქის მოსახლეობისა და აქ გამავალი გზის დაცვა ევალება.

როგორც ვხედავთ, V-VI საუკუნიდან საქართველოში ფეოდალური ურთიერთობის დამყარებამ დიდი ცვლილება მოახდინა საქალაქო ცხოვრებაში. ამ ცვლილებების წყალობით ბევრმა, ძველი მონათმფლობელობის დროინდელმა ციხე-ქალაქმა დაკარგა თავისი მნიშვნელობა (კასპი, ურბნისი, სარკინე, მცხეთაც კი); ზოგმა კიდევ ახალი ურთიერთობის შემოჭრას გაუძლო და ამ ურთიერთობის შესაბამისი სახე მიიღო (უჯარმა, სამშვილდე, რუსთავი და სხვ.) და, რაც მთავარია, მრავალი ახალი ქალაქიც წარმოიშვა. ერთი და უდიდესი მათგანი თბილისი იყო.

თბილისის მაგალითზე ჩვენ წარმოდგენა გვექმნება ფეოდალურ ქალაქზე. ამიტომ ჯერ ქალაქის ტერიტორიის ზრდას შევეხოთ, ხოლო შემდეგ მისი გარეგანი სახის აღწერაზე გადავიდეთ.

ქალაქის უძველესი მოსახლეობა ჩნდება იმ უბანში, სადაც თბილი გოგირდოვანი წყლების აბანოებია და რომელსაც დღეს „აბანოების უბანს“ უწოდებენ. ქალაქის ძირითადი მოსახლეობის გაჩე-

ნას ამ უბანში ადასტურებს როგორც თქმულება, ასევე ისიც, რომ ქალაქმა სახელწოდება სწორედ ამ თბილი წყლებისაგან მიიღო. უძველეს დროიდანვე ამ უბანს „ტ ფ ი ლ ი ს ი“ ეწოდებოდა, შემდეგდროინდელი წყაროებიც მას „ს ა კ უ თ რ ი ვ ტ ფ ი ლ ი ს ს“ ა ნ უ „ძ ვ ე ლ ქ ა ლ ა ქ ს“ უწოდებენ. ეს იყო IV-VI საუკუნის თბილისის ქალაქის მოსახლეობის ძირითადი რაიონი. როგორც 1948-49 წ. წარმოებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა დაადასტურეს, ქალაქის ამ უძველეს ნაწილში XII-XIII საუკუნეებშიც გრძელდებოდა საქალაქო ცხოვრება.

სამასი არაგველის სახელობის (ყოფ. ორთაჭალის) ბაღის გვერდით, სადაც დღესაც გადის ძველი ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთი კედელი, ახალი ბაღის მშენებლობის დროს შუა საუკუნეების კერამიკის მრავალგვარი ნაშთი აღმოჩნდა. ამან ჩვენი მეცნიერების ყურადღება მიიქცია და იქ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტმა არქეოლოგიური გათხრები დაიწყო. გათხრების შედეგად აღმოჩნდა ციხის კედელთან დაღუპული მეომრის საფლავი, რომელსაც ქისაში აღმოაჩნდა თამარ მეფისა (1184-1213 წ. წ.) და მისი შვილის რუსუდანის (1222-1245 წ. წ.) დროს მოჭრილი ასზე მეტი სპილენძის ფული. ეს რაიონი, როგორც ჩანს, ამ დროს თიხის ჭურჭლის მკეთებელ ხელოსნებით ყოფილა დასახლებული. აქ ჰქონიათ მათ თავიანთი სახელოსნოები — ჭურჭლის გამოსაწვავი ქურები.

როგორც ვხედავთ, თბილისის ამ უძველეს ნაწილში საქალაქო ცხოვრება ძველებურად მიმდინარეობდა XII-XIII საუკუნეებშიც. XII-XIII საუკ. ეს რაიონი იყო ქალაქის უკიდურესი სამხრეთ-აღმოსავლეთი საზღვარი. ქალაქის ამ კედლებს იქით, მტკვრის დინების მიმართულებით, იწყებოდა ქალაქის გარეუბანი. ქალაქის მოსახლეობა ამ მიმართულებით მეტი აღარ გაზრდილა.

ახლა ძველი თბილისის სხვა საზღვრებიც გავარკვიოთ; ჩრდილო-აღმოსავლეთით მას მტკვარი საზღვრავდა, ამის მოპირდაპირე მხრიდან, ე. ი. სამხრეთ-დასავლეთით—თაბორის კალთები, ხოლო ჩრდილო-დასავლეთით მას უკვე ხსენებული წავკისის წყალი (ახლანდელი „დაბახანა“) ესაზღვრებოდა. აი, ამ საზღვრებში იყო მოქცეული ძველი თბილისის მოსახლეობა.

ქალაქის უძველესი მოსახლეობის გაჩენასთან ერთად წარმოიშვა თბილისის ციხე-სიმაგრე კ ა ლ ა ც; ეს თბილისის მეორე ნაწილი იყო, რომელიც ამ ადგილის დასაცავად სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით ჯერ კიდევ IV საუკუნეში აუშენებიათ.



ციხე-სიმაგრე ნარიყალა

XIX საუკ. ფოტო

კალა თბილისის ჩრდილო დასავლეთით იყო და მას საკუთრივ ქალაქისაგან, ანუ თბილისისაგან წავკისის წყალი ჰყოფდა. კალა, როგორც ციხე-სიმაგრე, ცალკე კედლებით იყო შემოსაზღვრული. ციხე სიმაგრის პირველი კედელი, ე. ი. კალას სამხრეთ-აღმოსავლეთი კედელი, რომელიც მას საკუთრივ თბილისისაგან ჰყოფდა, მიმართებოდა წავკისის წყლის (ახლანდ. დაბახანის) პარალელურად, იმ ქუჩის თავიდან, რომელიც ამჟამად ჯერ აბანოებისაკენ და შემდეგ ბოტანიკური ბაღის შესასვლელისაკენ მიემართება. ეს კედელი თავდებოდა ზეგით კალას ციხე-სიმაგრით, ციტადელით, რომლის ნანგრევები დღესაც დაჰყურებს ქალაქს და რომელსაც ნარიყალას* ეძახიან. ციტადელიდანვე ეშვებოდა მეორე კედელი, რომელიც პირველის პარალელურად მოემართებოდა ქვემოთ და თავდებოდა მტკვრის ნაპირზე, იქ, სადაც დღეს მეტეხია და ავლაბრის ხიდით მტკვრის მარჯვენა და მარცხენა ნაპირი ერთმანეთს უერთდება.

ზემოხსენებულ კედლებში მომწყვდეული ციხე კალა აქვს მხედველობაში ჩვენს ძველ ისტორიკოსს, როცა აქ ირანელი პიტიახშის მოსვლაზე ლაპარაკობს. ირანელი მოხელე ამ ციხე სიმაგრეში იჯდა და აქედან უწევდა ის კონტროლს ქართლის მეფეების მოქმედებას. პიტიახშის შემდეგ კალაში ჯერ ქართლის მეფეები ისხდნენ, ხოლო მერე ქართლის ერისმთავრები და ირანელი მარზპანებიც. კალას კედლებიდან დასცინოდნენ თბილისის დამცველები ჰერაკლე კეისარსა და ხაზართა ხაკანს ჯიბღუს.

კალას მნიშვნელობა თანდათან იზრდებოდა, განსაკუთრებით კი- VI საუკუნიდან, ე. ი. მას შემდეგ, რაც შემცირდა ქართლის ძველი დედაქალაქის მცხეთისა და მისი ციხის არმაზის მნიშვნელობა.

თბილისში სამეფო რეზიდენციის გადმოტანის შემდეგ, როგორც ეს უკვე აღენიშნეთ, მოსახლეობა თანდათან მრავლდებოდა. ვაჭრები და ხელოსნები ახალ დედაქალაქში იყრიდნენ თავს, აქ სახლდე-

---

* „ნ ა რ ი ყ ა ლ ა", XVII-XVIII ს. ს. საქართველოში ციხეთა ერთი განსაკუთრებული სახის ზოგადი სახელი იყო. „ნარიყალა ციხე" მარტო თბილისის ციხე-სიმაგრეს როდი ჰქონდა. „ნარიყალა ციხე" ჰქონდა გორის, სურამის, ანანურის, ბოჟორმის, გრემის, სიღნაღის და სხვა ციხეებსაც „ნარიყალა" „ნარინ-ყალასაგან" უნდა იყოს წარმოდგარი და „უმცროს", „მცირე" („ნარინ" მონღოლური სიტყვაა და უმცროსს შეესატყვისება) ციხეს უნდა ნიშნავდეს. „უმცროსი," „მცირე", ანუ „ნარიყალა ციხე" განსხვავდებოდა ციხე-სიმაგრის „დედა-ციხისაგან" ანუ „თავადი" (მთავარი) ციხისაგან.

ბოდნენ. ყოველივე ამან IV-V საუკუნეების თბილისისა და კალას საზღვრები თანდათან გაარღვია, ქალაქი და მისი ციხე-სიმაგრე უკვე ვერ ეტეოდა იმ საზღვრებში, რომელიც ჩვენ ზემოთ მოვხაზეთ, ე. ი. სამასი არაგველის სახელობის ბაღიდან, ვიდრე ავლაბრის (მეტეხის) ხიდამდე; მაგრამ განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ქალაქი იზრდებოდა არა სამხრეთ-აღმოსავლეთის საზღვრების გადალახვით, ე. ი. მტკვრის დინების მიმართულებით, არამედ „ზევით“, კალას ჩრდილო-დასავლეთი კედლიდან, ავლაბრის (მეტეხის) ხიდიდან მოკიდებული მტკვრის დინების აღმა.

506 წლისათვის ერთ-ერთი საეკლესიო კრების მონაწილედ უკვე თბილისის ეპისკოპოსიც მოიხსენიება. როგორც ჩანს, ვახტანგ გორგასალის მეფობის უკანასკნელ წლებში თბილისში ქალაქის ქრისტიანი მოსახლეობის საეკლესიო ხელისუფლის თანამდებობა დაუწესებიათ. საეპისკოპოსოები კი მჭიდროდ დასახლებულ ადგილებში არსდებოდა ხოლმე. VI საუკუნის მეორე ნახევარში თბილისში ქართლის ერისმთავრებს საეპისკოპოსო კათედრალის, „დიდი ეკლესიის“, ანუ სიონის მშენებლობა დაუწყიათ. ზოგი ისტორიკოსის გამოანგარიშებით სიონის მშენებლობა 64 წელს გაგრძელებულა და მხოლოდ VII საუკ. ოციან წლებში დაუსრულებიათ. სიონი დღესაც ამაყად დგას, უკვე მრავალჯერ გადაკეთებული, მტკვრის მარჯვენა, შედარებით დაბალ ნაპირზე, სიონის ქუჩის აღმოსავლეთ მხარეზე. საეპისკოპოსო კათედრალი აგება ქალაქის ტერიტორიის გარეთ, გარეუბანში არ შეიძლებოდა. ის ქალაქის ტერიტორიის შიგნით უნდა ყოფილიყო. ასე რომ ქალაქის ტერიტორია იმ დროისათვის დღევანდელ სიონის უბანს უკვე გაცილებული იყო.

VI-VII საუკუნეების მიჯნაზე აშენებულმა სიონმა მრავალჯერ განიცადა მტრის რისხვა და ამიტომაც მრავალჯერ იქნა იგი აღდგენილი და გადაკეთებული. სიონის ტაძრის განახლებასა და შეკეთებებზე მეტყველებენ მის კედლებზე დღემდე დაცული წარწერები. ერთი წარწერა გვატყობინებს, რომ თბილელ ეპისკოპოსს ელისე საგინაშვილს 1657 წ. მეორეჯერ აუშენებია სიონის გუმბათი, მოუხატვინებია და მოურთავს სამხრეები და კარიბჭე.

მეორე წარწერა, რომელიც ვახტანგ VI-ს ეკუთვნის, 1710 წ. არის ამოკრილი და ისევ სიონის განახლებაზე მოგვითხრობს. ამის შემდეგაც გაძარცვეს და დაანგრიეს სიონი; განსაკუთრებით 1795 წ. აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის დროს. ამიტომაც XIX საუკ. დამდეგს აელახლა იწყება ზრუნვა მისი აღდგენა-განახლებისათვის.



სიონის ტაძარი

სამხრეთ აღმოსავლეთის ფასადი.

VI საუკ. დამდეგისათვის ქალაქის ამ ახალ უბანში აუშენებიათ სასულიერო დანიშნულების მეორე ნაგებობაც. იგი დღესაც დგას შავთელის ქუჩაზე და მას ამჟამად ანჩისხატის ტაძარს უწოდებენ. ეს სახელწოდება ტაძარმა XVII საუკუნეში მიიღო, იმ დროიდან, როდესაც აქ ძველი საქართველოს სამხრეთის პროვინციიდან, ანჩიდან, ხატი გადმოიტანეს. მანამდე კი მას „ზარის ეკლესიას“ უწოდებდნენ. ანჩისხატის ეკლესიაც არა ერთხელ განუახლებიათ. მის სამრეკლოზე გაკეთებული წარწერა მოგვითხრობს, რომ ეს სამრეკლო და ეკლესიის ჭიშკარი 1675 წ. აუგია დომენტი ქართლის კათალიკოსს.

VI საუკ. დამდეგს დღევანდელი შავთელის ქუჩაზე „ზარის ეკლესიის“, და განსაკუთრებით VI-VII საუკ. მიჯნაზე სიონის ტაძრის აგება იმას მოწმობს, რომ უკვე VII საუკ. დამდეგს ქალაქის ტერიტორია ბარათაშვილის სახ. (ყოფ. მუხრანის) ხიდამდე სწვდებოდა.

მოსახლეობა მარტო მტკვრის მარჯვენა ნაპირზე როდი იყრიდა თავს. ძველი დროიდანვე მოსახლეობა ჩნდება მტკვრის მარცხენა ნაპირზედაც, დღევანდელი ავლაბრის ტერიტორიაზე. ძველიდანვე მტკვრის მარჯვენა და მარცხენა ნაპირი ხიდით უერთდებოდა ერთმანეთს. ქალაქის უძველესი ხიდი იქ უნდა ყოფილიყო, სადაც მტკვრის კალაპოტი ყველაზე უფრო ვიწროა და მისი კლდოვანი ნაპირები მარჯვეა ხიდის გასადებად. ასეთი ადგილი თბილისში, როგორც ცნობილია, მეტეხთან არის. სწორედ აქ იყო ქალაქის ხიდიც, რომელიც თბილისსა და კალას აერთებდა დღევანდელ ავლაბართან.

თბილისის პირდაპირ, მტკვრის მარცხენა ნაპირზე, მოსახლეობა, როგორც ზემოთ აღენიშნეთ, ძველიდანვე იყო. მაგრამ მას შემდეგ, რაც ირანელები ქართლში დამკვიდრდენ და მარზპანი თბილისში დაჯდა, მათ განსაკუთრებული ყურადღება მიუქცევიათ მტკვრის მარცხენა ნაპირის გამაგრებისთვისაც. ამას მაჰმადიან ისტორიკოსთა ცნობები ადასტურებს.

IX საუკუნის არაბი ისტორიკოსები მოგვითხრობენ, რომ ირანელებმა VI საუკუნეში თბილისის პირდაპირ, მტკვრის აღმოსავლეთ ნაპირზე (ე. ი. დღევანდელ ავლაბარში), ქალაქი გააშენესო და იგი თავიანთ სასაზღვრო სიმაგრედ გაიხადესო. ამ ცნობაში ქალაქი, რა თქმა უნდა, პირობითაა ნახმარი და იგი გამაგრებული ადგილის აღმნიშვნელად უნდა მივიჩნიოთ. აქ ირანელებს, იმავე ისტორიკოსთა ცნობით, ს ო ღ დ ე ბ ი ს ტომი დაუსახლებიათ და ამით მტკიცე დასაყრდენი გაუჩენიათ ქალაქის ამ უბანშიც.

არაბ ისტორიკოსებს თუ დავუჯერებთ, ამ ტერიტორიამ თავისი უძველესი სახელწოდება, — ს ო ღ დ ე ბ ი ლ ი, სწორედ სოღდების ტომისაგან მიიღო.

როგორც ვხედავთ, VI-VII საუკუნეებისათვის თბილისი სამი ნაწილისაგან შედგებოდა; მისი ერთი ნაწილი იყო ქალაქი, ანუ საკუთრივ თბილისი; მეორეს წარმოადგენდა ქალაქის ციხე-სიმაგრე, რომელსაც კალას უწოდებდნენ, მესამე კი იყო მტკვრის მარცხენა ნაწილი, რომელსაც სოღდებილი ერქვა.

ქალაქის მოსახლეობისა და ტერიტორიის შემდგომი ზრდა ერთხანს შეაფერხა ჯერ ჰერაკლე კეისრისა და შემდეგ არაბთა ლაშქრობებმა; მაგრამ ეს დროებითი მოვლენა იყო. მას შემდეგ, რაც არაბთა სახალიფოში ფეოდალიზაციის პროცესი დაიწყო და თბილისის საამიროც ფეოდალურ ერთეულად იქცა, მისმა მეზობელმა ქართულმა ფეოდალურმა სამეფო-სამთავროებმა თავისუფლად ამოისუნთქეს და არაბებთან ხშირად კეთილმეზობლური ურთიერთობა ჰქონდათ.

არაბთა მფლობელობის დამყარების დროიდანვე განსაკუთრებით გაძლიერდა თბილისი, რომელიც არაბებმა ჩრდილოეთის მთავარ სამხედრო ბაზად აქციეს ბიზანტიის იმპერიის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამას გარდა, თბილისი არაბთა წყალობით ჩაება განვითარებულ მსოფლიო ვაჭრობაშიც. ყოველივე ამან ქალაქის შემდგომ ზრდას ხელი შეუწყო.

როგორი იყო VIII-X საუკუნეების თბილისი? ამის შესახებ ჩვენ მცირე ცნობები მოგვეპოება, მაგრამ ზოგი რამის თქმა მაინც შესაძლებელი ხდება.

VIII საუკ. ქართველი ისტორიკოსის იოანე საბანისძის თხზულების, „აბო თბილელის წამების“ მიხედვით ირკვევა, რომ თბილისის ამირას თავისი სასახლე ჰქონია კალას ტერიტორიაზე, კერძოდ იქ, სადაც სომეხთა მთავარანგელოზის ეკლესია იყო, გოგირდის აბანოებიდან ბოტანიკურ ბაღში ამავალ გზაზე. როგორც ჩანს, კალას ძველი ტერიტორია VIII საუკ. დასასრულშიც თბილისისა და მისი მიდამოების გამგებლის რეზიდენცია ყოფილა.

ამავე ავტორის ცნობით, მტკვრის მარჯვენა ნაპირი მარცხენას „ქალაქის ხიდით“ უერთდებოდა. მტკვრის მარცხენა, კლდოვან ნაპირზე იყო „ციხე ქალაქისა“, რომელსაც ამ დროს „სადილეგოს“*

* „დილეგი“ სპარსული სიტყვაა და ნიშნავს ტუსაღს, „სადილეგო“ კი „სატუსაღოს“.

უწოდებდნენ. საბანისძის აღწერიდან ირკვევა, რომ „სადილეგო“ ანუ „ქალაქის ციხე“ იქ უნდა ყოფილიყო, სადაც დღეს მტკვარია.

VI-VII საუკუნეში, როგორც საბანისძე ამბობს, ქალაქს გარეთ, სოღდებილის გაუმაგრებელ ნაწილზე, „სადილეგოს“ აღმოსაელეთით, ქალაქის სასაფლაო ყოფილა. ამ უბანს თავისი ძველი სახელწოდება შერჩენია: იოანე საბანისძე მას „საგოდებელს“ უწოდებს.

მტკვრის მარცხენა ნაწილი არაბებს კიდევ უფრო გაუმაგრებიათ. არაბი ისტორიკოსების ცნობით, IX საუკუნის პირველ ნახევარში სოღდებილი თბილისის იმდროინდელმა ამირამ, საჰაკმა გაამაგრა, თხრილი შემოაევლო მას და შიგ არაბული გარნიზონები ჩააყენა. აღსანიშნავია, რომ ქ. თბილისის 1860 წ. ერთ-ერთ რუსულ გეგმაში საგანგებოდ აღნიშნულია ქალაქის ამ ნაწილში უძველესი თხრილის არსებობის კვალი. იგი სწორედ არაბების მიერ შემოვლებული თხრილის ნაშთი უნდა იყოს.

თბილისის ტერიტორია განსაკუთრებით უნდა გაზრდილიყო მას შემდეგ, რაც ის ერთიანი საქართველოს სატახტო ქალაქად იქცა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ხანის თბილისის ტერიტორიის წარმოსადგენად ცნობები თითქმის არ მოგვეპოვება. ერთი მაინც ცხადია, რომ „დიდად სახელგანთქმული ქალაქი თბილისის“ ტერიტორია არ შეიძლებოდა შემოფარგლულიყო ჩვენ მიერ ზემოხსენებული საზღვრებით და იგი კიდევ უნდა გაზრდილიყო მტკვრის აღმა მიმართულებით. თამარის ისტორიკოსების ცნობებიდან ირკვევა, რომ, მართალია, დიდუბე ქალაქგარეთ ითვლებოდა, მაგრამ იგი ქალაქის კარებს არც ისე დიდად იყო დაშორებული. ეს კი გვაფიქრებინებს, რომ ქვაშუეთი, ანუ მდაბიურად ქაშუეთი (26 კომუნარის სახ. ბაღთან) და XII საუკუნეში აგებული ე. წ. „ლურჯი მონასტერი“ (ვერაზე, კიროვის სახ. პარკთან) XII-XIII საუკუნეებში ქალაქის ფარგლებში იყო. ასე რომ ამდროინდელი თბილისის ტერიტორია ვერამდე მაინც ერცელდებოდა.

დიდუბე,* ქალაქის კედლებს გარეთ, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გარეუბნად ითვლებოდა. აქ ჰქონდა სამეფო სასახლე თამარს, აქ, დიდუბის სამეფო სახლში, გადიხადეს სახელოვანი ქორწილი თამარ მეფემ და დავით სოსლანმა.

---

* დუბე, საბას განმარტებით, დაბალ ადგილს ნიშნავს; ამრიგად, დიდუბე „დიდდუბე“-ს შეკუმშული ფორმაა და ნიშნავს დიდ დაბალ ადგილს, დიდ ვაკე ადგილს.

XII-XIII საუკუნეებში კიდევ უფრო გაიზარდა მტკვრის მარცხენა ნაწილის მნიშვნელობა. ძველი სოღდებილის ერთ, გამაგრებულ ნაწილს, სადაც ციხე-სიმაგრე იყო, უკვე (XI საუკუნიდან მაინც) ისანი* ეწოდებოდა.

ისნის ციხეში იყო თამარის სამეფო ტახტი. აქ მეფე ხშირად იმყოფებოდა. ისნის სასახლეში მყოფ თამარს შეატყობინეს სამწუხარო ამბავი 1184 წ. მამის გიორგი III-ის გარდაცვალების შესახებ.

მნიშვნელოვანი პუნქტი იყო ძველი სოღდებილის მეორე, გაუმაგრებელი ნაწილიც, რომელსაც ამჟამადაც ძველებურად საღუდებელს უწოდებენ. აი აქ, საღუდებლის მიდამოებში, სამეფო სასახლის გვერდით, უნდოდა დაეარსებინა თამარის ერთ-ერთ ვაზირს (მინისტრს) ყუთლუ-არსლანს ახალი სახელმწიფო დაწესებულება—„კარავი“. როგორც ჩანს, საღუდებელი ამ დროისათვის ქალაქის ერთ მნიშვნელოვან უბნად ითვლებოდა.

როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, XIII საუკუნიდან თბილისმა ჯერ ჯალალედინის შემოსევა განიცადა, შემდეგ მონღოლებისა, როცა თბილისი ხანძრის მსხვერპლი გახდა; უფრო გვიან, XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე, თემურლენგის შემოსევების წყალობით საქართველოს თავს დაატყდა უდიდესი კატასტროფა. თემურლენგმა ქვეყნის მეურნეობას და მოსახლეობას დიდი ზარალი მიაყენა. საქართველოს საერთო მდგომარეობას მისი დედაქალაქიც ძლიერ განიცდიდა. ამის შემდეგაც თბილისი არა ერთხელ გადასულა ხელიდან ხელში, არა ერთხელ აოხრებულა და დარბეულა. საქართველოსათვის ბრძოლა უმთავრესად თბილისისათვის ბრძოლა იყო და გაბოროტებულ უცხოელ დამპყრობელთ, როგორც ზემოთ ვნახეთ, მრავალჯერ დაუნგრევიათ ქალაქი.

თბილისისათვის გამუდმებულმა ბრძოლებმა არა მარტო შეაფერხა ქალაქის ტერიტორიის ზრდა, არამედ უკვე დასახლებული უბნებიც მოსპო. მოსახლეობა შემცირდა და განსაცდელისაგან თავდაცვის მიზნით ძველი ქალაქის გამაგრებულ ნაწილებს შეეხიზნა, ციხე-სიმაგრეთა ვიწრო რკალში მოეწყვედა.

ასე მაგალითად, თუ X-XIII საუკუნეებში ქალაქის ვაკრები ახელოსნები სამხრეთ-აღმოსავლეთით, დღევანდელ სამასი არაგველის (ორთაჭალის) ბაღამდე ესახლნენ, XIII საუკუნიდან აქ ქა-

---

* „ისანი“ არაბული სიტყვაა და ციხე-სიმაგრეს ნიშნავს.

ლაქის მოსახლეობის კვალი უკვე აღარ ჩანს. აქ წარმოებულ არქეოლოგიურ გათხრებისას მხოლოდ X-XIII საუკუნეების თიხის ჭურჭლეულობა აღმოჩნდა, აქვე მოპოვებული ძველი ფულები რუსუდანის მეფობის დროს არ სცილდება. ჩანს, მოსახლეობა ქალაქის ამ ძველ უბანში მონღოლების შემოსევის დროიდან გაწყდა და ამის შემდეგ იგი ვაჭრებითა და ხელოსნებით აღარ დასახლებულა. ეს დასტურდება თბილისის XVII-XVIII საუკუნეებში შედგენილი გეგმებითაც. XVII საუკუნის სამოცდაათიან წლებში თბილისის გეგმა ჩაუხაზავს ფრანგ მოგზაურს შარდენს. ამ გეგმიდან ჩანს, რომ კალას სამხრეთ-აღმოსავლეთით მოსახლეობა მცირე იყო და მთელი ეს ტერიტორია უმთავრესად ბაღებს ეკირა.

XVIII საუკ. შუა წლების თბილისის გეგმა იმდროინდელმა დიდმა ქართველმა ისტორიკოსმა და გეოგრაფმა ვახუშტიმ შეგვიდგინა. ამ გეგმიდან კიდეე უფრო ნათლად ჩანს, რომ ძველი თბილისის ეს ძირითადი ტერიტორია უკვე ბაღებით ყოფილა დაფარული და მას ამ დროისათვის თბილისის, ანუ სეიდაბადის ბაღები ეწოდებოდა. ამასვე ადასტურებს თბილისის 1800 წლის გეგმაც, რომლის მიხედვითაც ეს ტერიტორია, აბანოების უბნის გამოკლებით, მთლიანად ბაღებს უკირავს.

ამრიგად, არქეოლოგიური მასალები და XVII-XVIII საუკ. თბილისის გეგმები გვიჩვენებენ, რომ ძველი თბილისის ეს ტერიტორია XIII საუკ. შუა წლებიდან არ იყო ვაჭრობა-ხელოსნობის უბანი. აქ მოსახლეობა გაწყდა და შემდეგ არც დასახლებულა. ეს ტერიტორია ამიერიდან ქალაქის ბაღებს დაეთმო.

ასე ისპობოდა უცხოელთა გამუდმებულ ლაშქრობათა წყალობით ძველი თბილისის ზოგი უბანი; მაგრამ თბილისში სიცოცხლე არასოდეს ჩამკვდარა და, როგორც კი ქალაქის მცხოვრებთ შესაძლებლობა შეექმნებოდათ, ისევ სცილდებოდნენ ქალაქის ძველ კედლებს და ახალ-ახალ სამოსახლო უბნებს იჩენდნენ.

XVII-XVIII საუკუნეთა განმავლობაში თბილისი კვლავ იწყებს ზრდას და გაფართოებას. ამდროინდელ თბილისის ტერიტორიის წარმოსადგენად ჩვენ შეგვიძლია XVII-XVIII საუკუნეთა გეგმებს მივმართოთ. ამ მხრივ განსაკუთრებით დიდ დახმარებას გაგვიწევს ვახუშტი ბაგრატიონის შედგენილი ზემოხსენებული გეგმა და სათანადო აღწერილობა.

ვახუშტი ბაგრატიონის სიტყვით, XVIII საუკ. შუა წლების თბილისი სამი ნაწილისაგან ან, როგორც ის ამბობს, სამი ქალაქისა-

გან შედგებოდა: პირველი—ეს ძველი ქალაქის ტერიტორიაა, რომელსაც ისევ თბილისი ერქვა. მაგრამ აღსანიშნავია, რომ ამ უბანს XVIII საუკ. სამოციან-სამოცდაათიანი წლებისათვის უკვე ძ ვ ე ლ ი თ ბ ი ლ ი ს ი ეწოდება. კიდევ მეტი, თუ იმდროინდელ უცხო აღმწერელს, გიულდენშტედტს დავუჯერებთ, ძველი თბილისის ტერიტორია უკვე ქალაქის გარეუბნად ითვლებოდა. იგი წერდა: „აბანოებს ქვევით არის გარეუბანი, უფრო სწორედ, ძველი თბილისი. ქალაქისა და გარეუბნის მახლობლად ვრცელი ვენახოვან-ხილიანი ბაღნარია, რომელიც 5 ვერსის მანძილზე გრძელდება ქვემოთ, მტკვრის მიმართულებით". ქალაქის ამ ნაწილს სხვა სახელიც ჰქონია. ვახუშტის დროს, მისივე სიტყვით, მას ს ე ი დ ა ბ ა დ ი* ეწოდებოდა. ძველი თბილისის, ანუ სეიდაბადის ტერიტორიის შესახებ ზემოთ გვქონდა საუბარი,—იგი უმთავრესად ახლანდელი აბანოებისა და ბალნეოლოგიური კურორტის რაიონია. სეიდაბადს ქვემოთ, მტკვრის გაყოლებით, X-XIII საუკ. ქალაქის ტერიტორიაზე, როგორც აღვნიშნეთ, ვახუშტის დროს და მასზე ადრეც, მოსახლეობის ამოწყვეტის შემდეგ თბილისის ანუ სეიდაბადის ბაღები იყო გაშენებული. მოსახლეობა მხოლოდ მთის კალთებზე ყოფილა შეფენილი.

მეორე, ყველაზე დიდსა და მნიშვნელოვან ნაწილს, ქალაქის ცენტრს ვახუშტის დროსაც კალა ეწოდებოდა. დიდი ხნის წინათ გაშორდა ქალაქის ტერიტორია ძველი კალას, IV-V საუკუნეებში ციხე-სიმაგრის ჩვენ მიერ ზემოთ შემოსაზღვრულ კედლებს. ქალაქის ტერიტორია თუ სამხრეთ-აღმოსავლეთით შეიკვეცა, სამაგიეროდ ჩრდილო-დასავლეთით თანდათან იზრდებოდა. მიუხედავად ამისა, ახლადწარმოშობილ ქალაქის უბანს, როგორც ვხედავთ, XVIII საუკუნეშიც ისევ თბილისის ძველი ციხე-სიმაგრის სახელი შერჩენია: თუ კალა IV-V საუკუნეებში იმდროინდელი ქალაქის მხოლოდ ციხე-სიმაგრეს ეწოდებოდა, XVIII საუკუნეში ეს ძველი სახელწოდება ქალაქის ცენტრის საერთო სახელად გადაქცეულა.

როგორი იყო XVII-XVIII საუკუნეებში კალას ტერიტორია? კალას თავისი, ჩვენს მიერ ზემოაღნიშნული ძველი კედლები შერჩა, მაგრამ მისი ტერიტორიის გაზრდის შემდეგ საჭირო გახდა ახალი კედლების შემოვლებაც. ეს შედარებით ახალი კედლები კარგად ჩანს

---

* ვახუშტისავე განმარტებით აქ, ძველი თბილისის ტერიტორიაზე სპარსეთის შაჰმა შაჰსეფი II-მ (1629-1642 წ წ.) სეიდების ტომი დაასახლა და ამის გამო ეწოდა ამ უბანს „სეიდაბადი", ანუ სეიდების სამოსახლო.

შარდენის (XVII ს. სამოცდაათიანი წლები), ვახუშტისა და ასევე 1800 წლის გეგმებში.

ამ გეგმებზე აღნიშნული კედელი ქალაქისათვის, ვახუშტი ბაგრატიონის სიტყვით, 1642-1667 წლებში, სპარსეთის შაჰის აბას II-ის დროს შემოუვლიათ. მაგრამ მისივე ცნობიდან ირკვევა, რომ ქალაქს ამ დრომდეც ჰქონია კედელი, რომელიც XVII საუკ. პირველი ნახევრისათვის უკვე შემუსვრილი ყოფილა.

ამ კედლების მიხედვით შეიძლება შემოიფარგლოს XVIII საუკ. კალას ტერიტორია. კალას სამხრეთის გალავანი იწყებოდა ქალაქის ციტადელიდან (დღევანდელი ნარიყალა), მისდევდა სოლოლაკის ქედს (დაახლოებით დღევანდელი კომკავშირის ხეივნის მიმართულებით) და მთავრდებოდა ციხე-სიმაგრით, რომელსაც ვახუშტი შაჰის ტახტს უწოდებს. შაჰის ტახტის ნანგრევები დღემდე არის დარჩენილი.

ნარიყალასა და შაჰის ტახტს შორის გავლებული კედლის სიგრძე, გიულდენშტედტის სიტყვით, 60 რუსულ საჟენს (დაახლ. 1200 მეტრს) უდრიდა. შაჰის ტახტიდან კალას კედელი უხვევდა ქვევით და ჩრდილოეთისაკენ, დღევანდელ ილია ჭავჭავაძისა და პუშკინის ქუჩების გაყოლებით მოემართებოდა. იგი ბარათაშვილის ქუჩის კუთხემდე გრძელდებოდა. აქედან კი მიჰყვებოდა „ავანაანთ ხევის“ მარჯვენა ნაპირს, ბარათაშვილის ქუჩის დღევანდელ მიმართულებას, ჩადიოდა მტკვრის ნაპირამდე და თავდებოდა იქ, სადაც დღეს ბარათაშვილის სახელობის (ყოფ. მუხრანის) ხიდია. ამ ძველი გალავნის ნარჩენები დღესაც ჩანს პუშკინის ქუჩის № 27 და 29 სახლებს შუა.

ბარათაშვილის სახ. ხიდიდან კედელი მტკვრის მიმართულებას მიჰყვებოდა, ე. ი. სამხრეთისკენვე ბრუნდებოდა და თავდებოდა იქ, სადაც დღეს ე. წ. „თათრის ციხედანია“. ქალაქის მეოთხე კედლის როლს კიდევ ზემოხსენებული კალას სამხრეთ-აღმოსავლეთის ძველი კედელი ასრულებდა, რომელიც ნარიყალიდან ჩამოდიოდა წავკისის, ანუ დაბახანის წყლის პარალელურად.

კალას შემოვლებული კედლების წრეწირი, გიულდენშტედტის ვარაუდით, სამ რუსულ ვერსს არ აღემატებოდა.

როგორც ვხედავთ, ქალაქის ცენტრს, უმთავრეს ნაწილს XVIII საუკუნეშიც დაახლოებით იგივე ტერიტორია ეკავა, რაც თბილისს VII-VIII საუკუნეებში.

თბილისის მესამე ნაწილი, ანუ მესამე ქალაქი, რომელიც

მტკვრის მარცხენა ნაპირზე იყო, ვახუშტის დროსაც ისნად იწოდებოდა. ისანი XVIII საუკ. შუა წლებში მტკვრის მარჯვენა ნაპირს ერთადერთი ხიდით უკავშირდებოდა.

როგორც ვახუშტის გეგმიდან ჩანს, ისანი XVIII საუკ. შუა წლებში შემოზღუდული არ ყოფილა, მას ირგვლივ მხოლოდ თხრილები და ხევები უვლიდა. ისნის მხოლოდ ერთი, ზედ მტკვრის პირთან მდებარე ნაწილი, სადაც მეტეხის ეკლესია არის, იყო გალავანშემოვლებული. მეტეხის ეკლესიას გალავანი ჰქონდა ადრეც. იგი კარგად ჩანს შარდენის გეგმაზედაც. ისნის დანარჩენი ნაწილი, ისე როგორც ძველად, XVIII საუკუნეშიაც საკმაოდ დასახლებული იყო.

ისანს ავლაბარი*, როგორც ჩანს, ძირითადად XIV საუკუნიდან შეერქვა.

აი ამ სამი ძირითადი ნაწილისაგან შედგებოდა XVIII საუკ. შუა წლების თბილისი. მაგრამ ამდროინდელი ქალაქის ტერიტორია მარტო ზემოხსენებულით არ შეიძლება განისაზღვროს. XVII-XVIII საუკუნის გეგმებიდან კარგად ჩანს, რომ ამ საუკუნეთა მიჯნაზე ქალაქის ტერიტორია თანდათან იზრდებოდა. უმთავრესად მტკვრის აღმა მიმართულებით ჩრდილოეთისაკენ იზრდებოდა ქალაქი ძველიდანვე და ამავე მიმართულებით განაგრძობდა ის ზრდას XVII XVIII საუკუნეებშიც. ხელახლა დაიწყო XII-XIII საუკუნეებში განახლება მჭიდროდ დასახლებულმა უბანმა.

ვახუშტის გეგმიდან ჩანს, რომ ერთი მხრით მტკვარსა და მთაწმინდის კალთებს შორის, ხოლო მეორე მხრით, კალასა (ბარათაშვილის ქუჩიდან) და კომუნარების სახ. ბაღს შორის უკვე მოსახლეობა იყო. მოსახლეობის ხელახლა გაჩენა ამ ტერიტორიაზე უმთავრესად XVII საუკ. მიწურულიდან იწყება.

შარდენის გეგმით (XVII საუკ. 70-იანი წლები) ამ ადგილზე ორიოდე შენობისა და ეკლესიებს გარდა არაფერია ნაჩვენები. ვახუშტის გეგმით იგი შედარებით დასახლებულია: აქ რამდენიმე ეკლესიაა: ვანქი (სომეხთა საკათედრო ეკლესია) მტკვრის პირას (მტკვრის ქუჩაზე), კალაუბანი (იქ, სადაც დღეს კინო-თეატრი „რუსთაველია"), ქაშუეთი და სხვ.; ეკლესიებს გარდა აქ სხვა ნაგებობანიც იყო. ვანქის საყდრის მეზობლად, ჩრდილოეთით, ვახუშტის ნაჩვენები აქვს მოედნის სასახლე. მის წინ, დასავლეთით, კომუნარების სახ. ბაღის ტერიტორიაზე ყოფილა მოედანი, ანუ ასპარეზი. ასპა-

* „ავლაბარი" სასახლის მიდამოს ნიშნავს.



თბილისის ციხის კოშკის ნანგრევები („შაჰის ტახტი“)

XIX საუკ. ფოტო

რეზი ქალაქის მცხოვრებთა შესაკრებელ ადგილად ითვლებოდა. აქ იმართებოდა სხვადასხვა სახის სამხედრო ვარჯიშობა, ბურთაობა და სხვ. ამ მოედანს თავის დროზე თურმე 250 საჟ. სიგრძე ჰქონია. XIX საუკ. დამდეგიდან მის ნაწილზე კერძო პირები დასახლდნენ. ნაწილზე კიდევ ბაღის გაშენება დაიწყეს. ასპარეზის მახლობლად იყო მეფის საბაზიროდ (შეეარდნებისა და სხვ. მონადირე ფრინველთა შესანახი).

ქაშუეთის მახლობლად, იქ, სადაც დღეს კავშირგაბმულობის სახლი დგას, თავადი ციციშვილის სასახლე ყოფილა; ხოლო იმ ადგილზე, სადაც დღეს პიონერების სასახლე და საქართველოს მუზეუმია, დიდი ფეოდალის არაგვის ერისთავის სასახლე იყო. ამ მნიშვნელოვან შენობათა გარდა ვახუშტის ნაჩვენები აქვს სხვა კერძო პირთა საცხოვრებელი სახლებიც.

როგორც ვხედავთ, იმდროინდელი თბილისის ჩრდილოეთის საზღვარი ქაშუეთამდე და კომუნარების სახელობის ბაღამდე მოდიოდა.

ქალაქის ამ მეოთხე ნაწილს XVIII საუკ. პირველ ნახევარში ჯერ კიდევ გ ა რ ე უ ბ ა ნ ს ეძახდნენ, მას ქალაქის ფარგლებს გარეთ თვლიდნენ. ნაგრამ იგი თავისი დასახლებით უკვე არ ჩამოუვარდება ქალაქის ისეთს ნაწილს, როგორიც ისანი იყო და ამიტომ, ვახუშტის ცნობით, მის დროსვე უკვე ამ მეოთხე ნაწილსაც ქალაქს უწოდებდნენ: „ხოლო აწ უწოდებენ ო თ ხ თ ა ვ ქალაქთა“ — ამბობს ვახუშტი.

XVIII საუკ. დამდეგიდან ქალაქი, ვახუშტის გეგმის მიხედვით, სხვა მიმართულებითაც იზრდებოდა. კალას დასაველეთით, დღევანდელი სოლოლაკის უბანიც თანდათან ესახლებოდა. მაგრამ აქ ჯერ კიდევ თითო-ოროლა შენობის გარდა უმთავრესად მეფის, ქალაქის მამასახლისისა და სხვათა ბაღები ყოფილა.

XVIII საუკ. შუა წლებში მტკვრის მარცხენა ნაპირზე. ისნის ჩრდილოეთით, ჩუღურეთშიც არის მოსახლეობა, მაგრამ იგი ქალაქის ტერიტორიას მოწყვეტილი ჩანს და ქალაქის უბნად არ შეიძლება მივიჩნიოთ.

აი ასეთი იყო ძირითადად ქალაქ თბილისის ტერიტორია ვახუშტის გეგმით XVIII საუკ. შუა წლებში.

თუ როგორი სახე ჰქონდა ქალაქს ერეკლე მეორის მოღვაწეობის დროისათვის, ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ თბილისის 1800 წ. რუსული გეგმის მიხედვით, რომელიც მოსკოვშია დაცული.

როგორი იყო ქალაქის სახე ამ გეგმის მიხედვით?

გეგმის შემდგენელს იმდროინდელი თბილისი, პირობით, 12 ნაწილად აქვს დაყოფილი. პირველს მათ შორის ნარიყალა წარმოადგენს. ნარიყალაში ამ დროისთვისაც თავმოყრილი ყოფილა ქალაქის უმთავრესი სიმაგრენი. თვით ნარიყალა მტკიცე კედლებით იყო შემოსაზღვრული. აქ შემოდის მდ. წავკისის წყლიდან გამოყვანილი არხი. ნარიყალაში 1800 წლისათვის ყოფილა: დასავლეთით— „სამეფო ქალაქის კოშკი" („Цареградская башня"); მის პირდაპირ, საწინააღმდეგო მხარეზე კი იყო მეორე კოშკი, რომელსაც „თავრიზის კოშკი" ერქვა. ნარიყალას ქვემო კედელთან ყოფილა საარტილერიო საპურველთა შესანახი შენობა, „თავრიზის კოშკში" კიდევ თოფისწამლის შესანახი, წყლისსაცავი და სხვ. ამავე კოშკს ჰქონდა ერთადერთი კარი, რომლითაც ნარიყალა უერთდებოდა ქალაქის სიმაგრის მეორე უბანს, ანუ როგორც მაშინ უწოდებდნენ, „ციხეს". „ციხე" გეგმის შემდგენელს ქალაქის მეორე ნაწილად აქვს წარმოდგენილი. „ციხე" აგრეთვე ცალკე კედლებით იყო შემოსაზღვრული. ამ კედლებს შიგნით მოქცეული ყოფილა ფერისცვალების ქართული ეკლესიის ნანგრევები, „ციხის" კარები, რომლითაც ციხის შიგნითა ტერიტორია უერთდებოდა „ციხის" გარეთა კედლების ტერიტორიას და რომელიც მას ნარიყალას საერთო კომპლექსში აქცევდა. „ციხიდანვე" გადიოდა გასასვლელი წყლისაკენ, რომელიც მიემართებოდა სამხრეთ-დასავლეთით, ციხის კედლებს გარეთ მდ. წავკისისაკენ. ეს გასასვლელი ამ დროისათვის გაფუჭებული ყოფილა. „ციხეში" იყო აგრეთვე ორი საცხოვრებელი ნაგებობა და წყლის საცავი. წყლის საცავში შემოდიოდა თხრილი, რომელიც გამოყვანილი იყო წავკისიდან. თხრილი მოსდევდა სოლოლაკის მთის კალთებს, გაივლიდა შაჰის ტახტს, მიჰყვებოდა კედელს, გაივლიდა ნარიყალას და ჩადიოდა „ციხეში".

ზემოხსენებულს გარდა „ციხეში" იყო სხვადასხვა სიმაგრენიც, კოშკები, ბატარეა (მთის წვერებზე) და სხვ. „ციხეს" ჰქონია წყლისკენ მეორე გასასვლელიც. იგი ციხის გარე კედლიდან იწყებოდა და ჩადიოდა მტკვარზე, დღევანდელი მეტეხის ხიდის მახლობლად.

გეგმის მიხედვით, მესამე და უმთავრესი ნაწილი თბილისისა ეს იყო საკუთრივ „ქალაქი". „ქალაქი" ამ დროისთვისაც თავისი საკუთარი კედლებით ყოფილა შემოსაზღვრული. ქალაქის აღმოსავლეთის კედელი იწყებოდა მტკვრის ნაპირიდან, იქ, სადაც წავკისის ხევი უერთდება მტკვარს, მიჰყვებოდა ზემოთ, წავკისის ხევის მიმართულებით, ხოლო შემდეგ უხვევდა სამხრეთით და უერთდე-

ბოდა „ციხისა“ და ნარიყალას კედლებს; აქედან მიჰყვებოდა სოლოლაკის თხემს და თავდებოდა შაჰის ტახტთან.* შაჰის ტახტიდან ქალაქის კედელი მოდიოდა ქვემოთ, სამხრეთ დასავლეთისაკენ და ჩამოდიოდა ე. წ. „დიღმის კარამდე“. აქედან კიდევ, „ავანაანთ ხევის“ გაყოლებით, ქვემოთ მიემართებოდა მტკვრისაკენ და ჩადიოდა იქ, სადაც დღეს ბარათაშვილის სახელობის ხიდია. აღსანიშნავია, რომ ქალაქის კედლების ეს ნაწილი („დიღმის კარიდან“ ბარათაშვილის ხიდამდე) ამ დროისათვის მაინც დამაინც გამაგრებული არ იყო. გეგმიდან ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ 1800 წლისათვის ეს კედელი სანახევროდ მოშლილი იყო... ეს გასაგებია — ქალაქის ზრდა სწორედ ამ მიმართულებით ხდებოდა, მოსახლეობა თანდათან შლიდა ამ საზღვარს...

ერთადერთი კედელი, რომელიც მტკვრის გასწვრივ ქალაქს ამ დროისათვის ჰქონია, იწყებოდა წავკისის შესართავიდან - ქალაქის აღმოსავლეთის კედლიდან — მიდიოდა მტკვრის აღმა მიმართულებით და თავდებოდა მეტეხის ხიდთან. სხვაგან კი, მტკვრის გაყოლებით, ქალაქს კედელი უკვე არ ჰქონდა.

თბილისის ამ ნაწილში, „ქალაქში“, თავმოყრილი იყო უმთავრესი ნაგებობანი, ქარვასლები, ბაზრები, მოედნები და სხვ. სამეფო ნაგებობანი მტკვრის ნაპირებზე ამ დროისთვის დანგრეული ყოფილა.

ქალაქის შემდეგ ნაწილს „აბანოების უბანი“ შეადგენდა. იმ დროისათვის აქ მხოლოდ აბანოები იყო გაშენებული. მათ სამხრეთ-აღმოსავლეთით კი, მტკვრის გაყოლებით, მის მარჯვენა ნაპირზე, როგორც აღვნიშნეთ, მხოლოდ ბაღები იყო.

თბილისის შემდეგი უბანი „კალაუბანი“, ე. ი. „კალას“, ანუ ამდროინდელი ქალაქის უბანი იყო. ამ უბანში მოსახლეობა უკვე მეტი ჩანს, ვიდრე ვახუშტის დროს. აქვე იყო ქაშუეთი, მის აღმოსავლეთით — ქართველთა სასაფლაო, სამხრეთით — კალაუბნის მცირე ციხეში — წმ. გიორგის ეკლესია და სხვ. ამავე უბანში სხვა ძველი ნაგებობანიც ყოფილა, რომელნიც იმ დროისათვის ნანგრევებად იყო ქცეული.

ქალაქის ჩრდილოეთ კედელთან, „წყლის კარის“, ანუ, „მუხრანის კარის“ ქვემოთ, მტკვრისაკენ იყო ე. წ. „ვანქის უბანი“. ეს უბანი

---

* შაჰის ტახტი 1800 წ. გეგმაში ცალკე (IV) ნაწილადაა გამოყოფილი, მაგრამ აქ, კოშკს გარდა, იმ დროისათვის სხვა ნაგებობა არ ყოფილა.

ამ დროისათვის მჭიდროდაა დასახლებული. ვანქის ჩრდილოეთით, მტკვრის გასწვრივ, მისი დინების საწინააღმდეგოდ, იყო „ვანქის ციხე“ და ორი სომხური ეკლესია. „ვანქის ციხის“ ჩრდილოეთით და ყაბახის აღმოსავლეთით იყო „ორბელიანთა ციხე“ და სხვ.

ქალაქის შემდგომი ნაწილი, გეგმის შემდგენელის მიხედვით, მტკვრის მარცხენა ნაპირზე, ავლაბარი იყო. მისი ტერიტორია ამ დროისათვის კედელშემოვლებული ყოფილა. კედელი არ ჰქონდა მხოლოდ მტკვრის ნაპირებზე. ავლაბრის კედელი იწყებოდა მეტეხის ხიდიდან, უვლიდა მას ირგვლივ და ისევ მტკვრის ნაპირამდე ჩადიოდა. XVIII საუკ. შუა წლებში ავლაბრის კედლები, როგორც ჩანს, არ ყოფილა; მისი შემოვლება ერეკლე II-ის მოღვაწეობის შედეგი უნდა იყოს. ამ საერთო კედლებს შიგნით იყო მეტეხი, რომელიც თავისი საკუთარი, ცალკე კედლებითაც იყო შემოსაზღვრული. სავაჭრო-სახელოსნო ნაგებობათა გარდა, ავლაბარში ამ დროისათვის იყო ქართული და სომხური ეკლესიები, დარეჯან დედოფლის სასახლე და სხვ.

ავლაბრის კედლებს გარეთ იყო ქალაქის უკანასკნელი ნაწილი ე. წ. „ავლაბრის უბანი“, საკმაოდ ვრცელი, მაგრამ დაუსახლებელი ტერიტორია, აღსანიშნავია, რომ მთელი ეს უბანი 1800 წლისათვის ნანგრევებით ყოფილა დაფარული. ყოველივე ეს, ცხადია, აღა-მაჰმად ხანის გამანადგურებელ ლაშქრობათა შედეგი იყო.

ამ დროს ასევე დაუსახლებელი იყო ჩუღურეთიც. მოსახლეობა ჩანს იმდროინდელ კუკიაზე, მაგრამ იგი ჯერ კიდევ ქალაქის ტერიტორიაში არ ივარაუდება. — ასეთი იყო თბილისის გარეგანი სახე 1800 წლისათვის.

1807-1808 წლებში თბილისი ინახულა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა კლაპროტმა და ქალაქის სათანადო აღწერილობაც დაგვიტოვა. ამ აღწერილობიდან ჩანს, რომ თბილისი XIX საუკ. დამდეგსაც ზემოხსენებული ნაწილებისაგან შედგებოდა. აღსანიშნავია, რომ კლაპროტის დროს ჯერ კიდევ არსებობდა კალას შემომზღუდველი, ქალაქის ახალი უბნისაგან გამომყოფი გალავანი.

ამრიგად, XVIII საუკ. დასასრულსა და XIX საუკ. დამდეგს თბილისის ტერიტორია მოიცავდა: ძველ თბილისს (აბანოების უბანი), კალას, („ქალაქს“), ისანს (ავლაბარს), ე. წ. გარეუბანს, „კალაუბანს“ (ანუ „მეოთხე ქალაქს“, რომელიც დღევანდელი პიონერთა სასახლის, მუზეუმისა და ფედერაციის ქუჩის რაიონს და ნაწილობრივ სოლოლაკის უბანსაც მოიცავდა). დანარჩენი იდგილები, დღეს რომ

ქალაქის ფარგლებში ითვლება — ვერა, ვარდისუბანი, რუსთაველის პროსპექტი, ვაკე, დიდუბე, კუკია, ჩუღურეთი, ნავთლუღი, ორთაჭალა და სხვ., მაშინ ქალაქს გარეთ იმყოფებოდნენ და მის მიდამოებს შეადგენდნენ.

ზოგი მკვლევარის გამოანგარიშებით, XVIII საუკ. მიწურულში თბილისის ტერიტორია დაახლოებით 250 ჰექტარს შეადგენდა.

ამით ვამთავრებთ საუბარს ქალაქის ტერიტორიის თანდათანობით ზრდისა თუ შეკვეცის შესახებ და ქალაქის უმთავრეს ნაგებობათა აღწერაზე გადავდივართ.

2. ქალაქის გარეგანი სახე

ა. თავდაცვითი ნაგებობანი

ფეოდალური ხანის ასე თუ ისე მნიშვნელოვანი ქალაქი, უმეტეს შემთხვევაში, მოზღუდვილი იყო, ე. ი. გალავანი ჰქონდა შემოვლებული. იშვიათად გვხვდება ძველი საუკუნეების ქალაქები, რომელთაც ზღუდეები არ ჰქონოდეს. თბილისსაც მას შემდეგ, რაც მან ქალაქის სახე მიიღო, ირგვლივ კედელი შემოავლეს. ჩვენი უძველესი მატიანის ცნობიდან ჩანს, რომ ჯერ თბილისის სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობის პუნქტი, კალა გაუმაგრებიათ, მას ციხე-კოშკები გაუშენეს და გალავანიც შემოავლეს. მაგრამ კალას პირვანდელი ზღუდის საზღვრების შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი.

ვახტანგ გორგასალის ისტორიკოსის ცნობით, როგორც აღნიშნული იყო, ვახტანგმა ქალაქის ზღუდის შენება დაიწყო. ამ შემთხვევაში ისტორიკოსი, რა თქმა უნდა, საკუთრივ თბილისის ზღუდეს გულისხმობს. ციხე კალა ხომ ვახტანგამდე იყო აშენებული. შეფემ ვერ დაამთავრა თავის სიცოცხლეში ქალაქისათვის ზღუდის შემოვლება, მან მხოლოდ საფუძვლის ჩაყრა მოასწრო. ხოლო მისმა შვილმა დაჩიმ, ჯუანშერის სიტყვით, „განასრულნა ზღუდენი თბილისისანი“.

თბილისის და მისი ციხის ზღუდე, რომელზედაც საუბარი აქვს ისტორიკოსს, ქვიტკირით უნდა ყოფილიყო ნაგები. მაგრამ ქალაქის ეს ძველი ზღუდე, ვახტანგისა და მისი შვილის მიერ აშენებული, ჯიბღუ ხაკანმა და ჰერაკლე კეისარმა VII საუკ. დამდეგს დაანგრიეს. ქალაქის ახალი, ისევ ქვიტკირით ნაგები ზღუდის შემოვლება, როგორც ჩანს, ვერ მოუსწრიათ და თბილისისათვის, ქალაქი

რომ დაუცველი არ ყოფილიყო, ალბათ, დროებით ხის ზღუდე შემოუვლიათ და ხის ციხე-კოშკებიც აუგიათ.

ქალაქის უმთავრესი ნაგებობანი, VIII-IX საუკუნეებში ხისგან ყოფილა აშენებული. ამიტომ არაბთა სარდალმა ბუღამ ადვილად გაუჩინა ქალაქს ცეცხლი. X საუკ. სომეხი ისტორიკოსი თომა არწრუნი, სხვათა შორის, მოგვითხრობს: „ბუღამ გასცა ბრძანება მისულიყვნენ თბილისად წოდებულ ქალაქში, რომელსაც უწინ ფ ა ი ტ ა კ ა რ ა ნ ი ეწოდებოდა. მაღნარის ძელით (ხით) იყო ნაშენი მათი ქალაქი, ზღუდეები, კედლები და მათი სახლები. ქალაქის მკვიდრთა ყოველი სახლი და მათი ყოველი მოწყობილობა ხისაა და მაშინვე გამოიხშა ის ქალაქი ცეცხლით. დაზვინდა და აღტყინდა ცეცხლი ფიქვისა და ნაძვის ადვილად დასაწვავი ხით". როგორც ვხედავთ, IX საუკ. შუა წლებში არა მარტო საცხოვრებელი სახლები, არამედ სიმაგრეებიც ძელისაგან (ხისგან) ყოფილა აგებული. ამიტომაც, ჩვენი მეზობელი სომხები თბილისს, IX-X საუკუნეებში „ხის ქალაქს" ანუ „ფაიტაკარანს" უწოდებდნენ.

ხის ზღუდისა და სიმაგრის გადაწვის შემდეგ ქალაქისათვის ალიზის გამოუწვავი აგურის კედელი შემოუვლიათ. ბუღას ლაშქრობიდან ერთი საუკუნის შემდეგ თბილისს უკვე ალიზის კედელი ჰქონდა. X საუკ. პირველი ნახევრის არაბი ისტორიკოსის ცნობით, იმდროინდელ თბილისს ალიზის ორი კედელი ჰქონდა. ორი კედლით ყოფილა თბილისი გარშემოვლებული X საუკ. დამლევსაც. ერთ-ერთ ირანულ გეოგრაფიულ თხზულებაში X საუკ. თბილისის შესახებ ნათქვამია: იგი „დიდი, აყვავებული ქალაქია, მაგრად გაშენებული... მას ორი პატნეზი აქვს".

X-XIII საუკუნეების თბილისი ორი პირველნდელი კედლის ფარგლებში ვერ მოთავსდებოდა. როცა მოსახლეობა იმდენად გაიზარდა, რომ ვიწროდ შემოფარგლულ ფართობში მათი დატევა უკვე შეუძლებელი შეიქნა, ქალაქს გარეუბნები გაუჩნდა. მერე, დროთა ვითარებაში, ეს გარეუბნები ქალაქის საზღვრებში მოექცა და ქალაქის ნაწილებად იქცა. ამიტომ მათაც, როგორც ჩვეულებრივ ხდებოდა, ზღუდე შემოავლეს. კალას ძველი მცირე გალავანი ამის შემდეგ დანგრეულ იქნა, სამაგიეროდ გაჩნდა კალას ახალი კედელი, რომელიც შაჰის ტახტიდან ბარათაშვილის სახ. ხიდამდე ჩამოდიოდა. როდის შემოავლეს კალას ეს ახალი კედელი, ჩვენ ამჟამად ვერაფერს ვიტყვით. მაგრამ ცხადია, რომ XII-XIII საუკ. თბილისის ზღვარად იგი ვერ იქნებოდა; ქალაქი ამ დროს უფრო შორს იყო გაწეული ჩრდილო-დასავლეთისაკენ.

XIII საუკუნიდან მდგომარეობა შეიცვალა: თბილისმა არა ერთი-გამანადგურებელი ლაშქრობა განიცადა, ქალაქის ტერიტორიაც შეიზღუდა და მისი საზღვარიც კალას ზემოხსენებული კედლებით შემოიფარგლა. ვახუშტის ცნობიდან ჩანს, რომ კალას ეს კედლები XVII საუკუნის პირველ ნახევარში დანგრეული ყოფილა და შაჰ-აბას II-ის დროს განუახლებიათ; XVII საუკ. შუა წლების თბილისს ჩრდილო-დასავლეთით სხვა კედელი არ ჰქონია. ეს კედელი შერჩა თბილისს XIX საუკ. დამდეგსაც, მანამ, სანამ XVII-XVIII საუკუნეთა მიჯნაზე წარმოშობილი გარეუბანი ქალაქის ნაწილად არ იქცა და საბოლოოდ არ დაარღვია კალას ძველი ზღუდის ზემოხსენებული ფარგლები.

XVII საუკ. სამოცდაათიან წლებში, თბილისს მტკვრის გასწვრივ კედელი არ ჰქონია. იგი გალავნით მხოლოდ სამი მხრიდან ყოფილა შემოზღუდული. ფრანგი მოგზაური შარდენი XVII საუკ. 70-ანი წლების თბილისის კედლების შესახებ წერდა: „ქალაქი შემოზღუდულია მშვენიერი და მაგარი კედლით. მდინარისაკენ კი უკედლოა. ქალაქი სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ არის გაშლილი.“

ვახუშტის გეგმიდან ჩანს, რომ XVIII საუკ. შუა წლებისათვის თბილისს მტკვრის გაყოლებითაც ჰქონდა უკვე კედელი. იგი დღევანდელ ბარათაშვილის ხიდიდან იწყებოდა და გრძელდებოდა დაახლოებით აწინდელ „თათრის მოედნამდე“. მტკვრის ნაპირებზე გალავანი XVII საუკ. დასასრულს უნდა იყოს გაყვანილი. თბილისის 1700 წ. გეგმაში, რომელიც ფრანგ ბოტანიკოსს ტურნეფორს შეუდგენია, ეს კედელი კარგად ჩანს მტკვრის გასწვრივ. მაშასადამე, იგი 1673-1700 წლებს შორის გაუკეთებიათ. ქალაქის გალავნის სიმაღლე ზოგან 8 მეტრს აღწევდა, ზოგან კიდევ 10 მეტრამდე, ხოლო კედლის სისქე საშუალოდ $1^1/_2$ მეტრი იყო.

ტურნეფორის დროს თბილისის გალავანი ძლიერ დაზიანებული ყოფილა. მისი ცნობით, 1700 წლისათვის ქალაქის კედლების ნახევარზე მეტი დანგრეული იყო. მაგრამ ქალაქის დანგრეული კედლები მალე აღუდგენიათ: „დღევანდელი ქალაქი ქმნის თითქმის ბლაგვ სამკუთხედს და მტკვრამდე შემოსაზღვრულია აგურის კედლებით. აღმოსავლეთ კუთხეში მცირე სიმაგრეა — ნარიყალა, დასავლეთით კი შარდახტი (შაჰის ტახტი). ქალაქის კედელი ამ ორ პუნქტს შორის სიგრძით 600 საჟენია“, — მოგვითხრობს 1768-1775 წ. თბილისში ნამყოფი უცხოელი მეცნიერი გიულდენშტედტი.

1795 წ. აღა-მაჰმად-ხანის ლაშქრობის დროს თბილისის კედ-

ლებმა უკანასკნელად განიცადა მტრის ურდოების მოძალება. იგი ერთხელ კიდევ მეოგრად დაუხვდა თავდამსხმელს, მაგრამ აღა-მაჰმად-ხანმა მაინც შესძლო ქალაქში შემოვრა და დაუნდობლად დაანგრია იგი.

კლაპროტის ცნობით, აღა-მაჰმად-ხანს ქალაქის სიმაგრეთა ნახევარზე მეტი საფუძვლიანად დაუნგრევია. ისე რომ XIX საუკ. დამდეგისათვის, დანგრეულ ციხე-სიმაგრეთა მხოლოდ ორი მესამედის აღდგენა მოუსწრიათ.

როგორც ვხედავთ, ქალაქის კედლები ქალაქის დაცვას ისახავდა მიზნად. მაგრამ ზღუდეებს გარდა ქალაქს ციხე-კოშკებიც იცავდა, თბილისის გალავანი ციხეებითაც იყო გამაგრებული.

უძველესი ციხე, რომელიც თბილისში აშენდა, ძველ ისტორიკოსთა ცნობით, „შურის ციხედ“ იწოდებოდა. „შურის ციხე“ მრავალჯერ დაინგრა, განახლდა და გადაკეთდა. ამჟამად ამ ციხის მხოლოდ ნანგრევებია დარჩენილი სოლოლაკის ქედის აღმოსავლეთ მთებზე: მას სახელიც შეეცვალა და იმ მიდამოებს დღეს ნარიყალას უწოდებენ..

იმ მცირე ცნობების მიხედვით, რომელიც ჩვენ მოგვეპოვება, XI საუკ. თბილისში რამდენიმე ციხე და კოშკი ყოფილა. ბაგრატ IV-ს თბილისში პირველად შემოსვლისას წყალყინის კოშკი და ქალაქის კარების ყველა კოშკი აუღია, რომელთაც ისტორიკოსი „კართა კოშკებს“ უწოდებს; ამას გარდა მეფემ ხელთ იგდო ქალაქის ციხე დარიჯელელი და მთაბორი. ვახუშტი ბაგრატიონიც ადასტურებს ამ ცნობას და აღნიშნავს, რომ მთაბორზე იყო ციხე, მაგრამ ამჟამად დანგრეულია.

უფრო მეტი მასალა მოგვეპოვება XVII-XVIII საუკუნეების თბილისის ციხე-კოშკთა შესახებ.

XVII-XVIII საუკუნეებში, „შურის ციხის“ მიდამოებში წინანდებურად იდგა ქალაქის ციტადელი, ანუ როგორც ძველი ქართული წყაროები ეძახიან, ქალაქის „თავადი (მთავარი) ციხე“, ვახუშტი ბაგრატიონი მას „მაღალ ციხეს“ უწოდებს. „თავადი ციხის“ უმაღლეს წერტილზე იყო ციხის მთავარი ნაგებობა, დიდი მრგვალი კოშკი, რომელსაც ვახუშტი „სტამბოლის გოდოლად“ (კოშკად) მოიხსენიებს. „სტამბოლის კოშკი“ XVI საუკუნის 70-ან წლებში უნდა იყოს აგებული. აი რას მოგვითხრობს შარდენი ამ კოშკის აგების შესახებ: „ეს ციხე აუშენებიათ ოსმალებს 1576 წელს*, ამ

*) ეს თარიღი შარდენს შეცდომით აქვს ნაჩვენები, უნდა იყოს 1578 წ.

წელს დაუპყრიათ ქალაქი და მთლად მისი არემარე გამოჩენილი სარდლის მუსტაფა-ფაშას წინამძღოლობით, რომელსაც ვერ გამაგრებია საქართველოს მეფე სვიმონი. მუსტაფამ ურჩია სულთან სულეიმანს — საქართველოში რამდენიმე ციხე ააგე, რადგან უამისოდ არ შეიძლება ეს ქვეყანა მორჩილებაში იყოლიოო. სულეიმანმა დაუჯერა ფაშას და ციხეები ააგო... მუსტაფამ ასზე მეტი ზარბაზანი დააწყო ამ ციხის გალავანზე და ციხისთაობა ჩააბარა მაჰმადფაშას". შეიძლება ეს მოთხრობა მართალი იყოს და ოსმალებს მართლაც რაიმე წვლილი ჰქონდეთ ამ კოშკის შენებაში. მაშინ გასაგები იქნება, თუ რატომ ეწოდებს მას „სტამბოლის გოდოლს" (კოშკს) ვახუშტი.

„თავადი ციხე", ციტადელი, დიდხანს იყო ქალაქის პოლიტიკურ-საადმინისტრაციო ცენტრი. აქ, ვახუშტის სიტყვით, XVII საუკ. შუა წლებამდე იყო „სასახლე — მეფისა, პალატნი დიდ-დიდნი და შვენიერნი". აქვე, „მაღალ ციხეში", ყოფილა ციხის საყდარიც და სხვა ნაგებობანი. ამ ნაგებობათა ნაშთი ამჟამად არ ჩანს ნარიყალას ნანგრევებში.

როსტომ მეფემ (1632-1658 წ. წ.) სამეფო სასახლე ციტადელიდან ქვემოთ, სიონისა და ანჩისხატის მიდამოებში გადმოიტანა, ეს ციხე-სიმაგრე კი მთლიანად ირანელთა გარნიზონებს დაუთმო. მართლაც, შარდენის სიტყვით, XVII საუკ. 70-ან წლებში, „ციხეში მხოლოდ ირანელები ცხოვრობენ და მეციხოვნედაც მხოლოდ სპარსელებიევ არიან". ასევე იყო ვახუშტის დროსაც.

დასავლეთიდან ციტადელს იცავდა ე. წ. შაჰის ტახტის ძლიერი ციხე, რომელიც ახლანდელ კომკავშირის ხეივანზეა აღმართული. აღსანიშნავია, რომ გადმოცემით შაჰის ტახტში, ჯერ კიდევ არაბთა მფლობელობის დროს, თითქოს ობსერვატორია ყოფილა; იმდროინდელი მეცნიერები აქ აწარმოებდნენ დაკვირვებებს ცის მნათობებზე.

მტკვრის მარცხენა ნაპირზედაც უნდა ყოფილიყო ციხე-სიმაგრეები. XVII-XVIII საუკ. შუა წლებში, თბილისის გეგმების მიხედვით, ისანში (ავლაბარი) მხოლოდ მეტეხი იყო სათანადო კოშკებით, გალავანშემოვლებული. შემდეგ კი, ერეკლეს დროს, ავლაბრის დიდი ნაწილისთვისაც შემოუვლიათ გალავანი.

რაკი ქალაქი ორგვლივ კედლებითა და ციხე-კოშკებით იყო შემოსაზღვრული, თბილისი რომ მეზობელ ქალაქებსა და ქვეყნებს დაკავშირებოდა, გალავანს კარებიც უნდა ჰქონოდა. იმისდა მიხედ-



თბილისის ციხე XVII—საუკუნეში

იმდროინდელი ფრანგი მხატვრის ნახატი (შარდენით)

ვით, თუ რამდენად დიდი იყო ქალაქი და რა და რა გზები გადი-ოდა მასზე, ქალაქის ზღუდეც ამ გზების მიხედვით კარებად იყო დაყოფილი. ასე რომ გალავანშემოვლებულ ქალაქს კარები უსა-თუოდ უნდა ჰქონოდა.

კარებს არა მარტო სავაჭრო სამიმოსვლო მნიშვნელობა ჰქონ-და, არამედ თავდაცვითიც. კარებთან აგებულ კოშკებში ყოველ-თვის ქალაქის კარების მცველები იდგნენ, რომელთაც თვალყური-უნდა ედევნებინათ იმათთვის, ვინც ქალაქში შემოდიოდა ან კი-დევ აქედან გადიოდა, რათა მტერთაგანი არავინ შემოპარულიყო.

ჩვენს ძველ ისტორიკოსებს არა ერთი შემთხვევა აქვთ მოთხ-რობილი, საიდანაც კარგად ჩანს, თუ როგორ შეეძლოთ უცხოე-ლებს ქალაქის კარიდან შეპარვით მოულოდნელად დასხმოდნენ თავს ქალაქის მცხოვრებლებს. ასე მაგ. დავით აღმაშენებლის დროს განძიდან თბილისში შემოსულ ქარავანს მალულად თან შე-მოჰყოლიან თავდამსხმელი თურქები. მაგრამ მეფე მიუხვდა თურ-ქებს, ისინი სხვადასხვა ხერხით ქალაქის კედლებიდან გაიტყუა და მუსრი გაავლო.

თუ ქალაქის კარები მტკიცედ იყო დაცული, მალულად თუ აშ-კარად მოსული მტერი მცხოვრებლებს ადვილად ვერაფერს დააკ-ლებდა. ამიტომ ამბობდა ჩვენი დიდი მგოსანი შოთა რუსთაველ-ი, რომ

„ჩვენ ცოტანი ვართ, ქალაქი დიდთაგან საომარია...
ათას წელ ვერსით შევუვალთ, თუ ზედ დაგვიხშან კარია."

კარებს ქალაქისათვის ეკონომიური მნიშვნელობაც ჰქონდა, მაგ-რამ ამაზე ქვემოთ ვილაპარაკებთ.

თბილისის კარები ჯერ კიდევ VII საუკ. დამდეგის ამბებთან და-კავშირებით იხსენიება, მაგრამ რამდენი კარი ჰქონდა თბილისს იმ დროს, ჩვენ არ ვიცით.

X საუკ. პირველი ნახევრის თბილისს, ერთი არაბული წყაროს მი-ხედვით, მხოლოდ სამი კარი ჰქონია. მაგრამ ამავე საუკუნის სხვა უფრო სრული ცნობაც მოგვეპოვება. იგი არაბ ისტორიკოსს ტაბა-რის ეკუთვნის. მისი სიტყვით, თბილისს ხუთი კარი ჰქონია: ერთს „მოედნის კარი" ერქვა, მეორეს „კარის კარი", მესამეს „მცირე კარი", მეოთხეს „რაბადის" ანუ „ციხის კარი" და ძეხუთეს „სოლ-დებილის კარი".

XVII-XVIII საუკუნეების თბილისში ქალაქის კარების რაოდე-

ნობის თვალსაზრისით დიდი ცვლილებები არ მომხდარა. ვახუშ-ტის გეგმის და 1800 წლის თბილისის რუსული გეგმის ურთიერთ-შედარებით და სხვა წერილობითი წყაროების მიხედვითაც ირკვევა, რომ ამდროინდელ თბილისს ექვსი კარი ჰქონია.

1800 წ. თბილისის გეგმის მიხედვით, ქალაქის აღმოსავლეთ კედელზე, მის შუა ნაწილში, წავკისის ხევის გადალახვით, იყო „ა ბ ა ნ ო ს კ ა რ ი“. „აბანოს კარი“ ქალაქს აბანოების უბანთან და სეიდაბადთან აერთებდა.

უმთავრესი სავაჭრო გზა, რომელიც სამხრეთიდან მოემართებოდა და რომელსაც „განჯის გზას“ უწოდებდნენ, სეიდაბადს ზემოდან ირგვლივ შემოუვლიდა და ქალაქში სამხრეთის კედლიდან შემოდიოდა. საამისოდ ქალაქს აქ კარი ჰქონდა და იგი „გ ა ნ ჯ ი ს კ ა რ ა დ“ იწოდებოდა. ამავე სახელწოდებით იცნობენ ამ კარს ვახუშტი და სხვა იმდროინდელი წყაროებიც. „განჯის კარით“ ქალაქში შემოდიოდა აგრეთვე ტაბახმელიდან და კრწანისიდან მომავალი გზებიც. ნარიყალიდან, ვიდრე შაჰის ტახტამდე, ქალაქის სამხრეთ კედელზე სხვა კარი არ ყოფილა.

ქალაქის დასავლეთ კედელზე კიდევ ორი კარი იყო. ერთ მათგანს 1800 წლის გეგმით „წ ა ვ კ ი ს ი ს კ ა რ ი“, ვახუშტის მიხედვით „კ ო ჯ რ ი ს კ ა რ ი“ ან კიდევ, სხვა წყაროებით, „მაღლა კარი“ ეწოდებოდა. ამ კარით შემოდიოდა მცხეთიდან მომავალი გზა. 1800 წ. თბილისის გეგმის შემდგენელი ამ გზის შესახებ შენიშნავდა: „გზა მოდის დაბა მცხეთიდან, ხოლო მცხეთიდან მიდის რუსეთში მოზდოკის გზით და იმერეთში ქ. ქუთაისამდე“. ასე რომ „წავკისის კარი“ თბილისს ჩრდილოეთის ქვეყნებთან და დასავლეთ საქართველოსთან აკავშირებდა. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ მცხეთიდან მომავალ მთავარ გზას თითქმის ქალაქის კართან უერთდებოდა „ცხენით სასიარულო გზა სოფელ წავკისისაკენ და აქედან კიდევ ანატოლიაში“ — შენიშნავს გეგმის შემდგენელი. ამიტომაც ეწოდებოდა მას „წავკისის კარი“.

მცხეთიდან მომავალი გზა ორ ტოტად იყოფოდა — ერთი „წავკისის კარისაკენ“ მოემართებოდა, მეორე კიდევ „დ ი ღ მ ი ს კ ა რ ი ს ა კ ე ნ“.

„დიღმის კარი“ ქალაქის დასავლეთ და ჩრდილოეთ კედლების შესაყარზე იყო. „დიღმის კარის“ ნაშთი დღესაც გაირჩევა პუშკინის ჩიხში, ბერიას სახელობის მოედნის მახლობლად. აქვეა ამ კარის დამცველი კოშკის ნაშთებიც.

ქალაქის ჩრდილოეთ კედელზე თბილისს კიდევ ერთი კარი ჰქონდა. მას 1800 წ. გეგმის შემდგენელი „მ უ ხ რ ა ნ ი ს კ ა რ ს“ უწოდებს, ვახუშტი კიდევ „წ ყ ლ ი ს კ ა რ ს“. „მუხრანის კარით“ ქალაქში მცხეთიდან მომავალი გზის ერთი განშტოება შემოდიოდა.

თბილისის მეექვსე კარი მტკვრის მარცხენა ნაპირზე იყო. მას „ ა ვ ლ ა ბ რ ი ს კ ა რ ი“ ეწოდებოდა. იგი მეტეხის ციხის გალავანში იყო მოქცეული. „ავლაბრის კარი“ ქალაქს კახეთის სხვადასხვა კუთხეებთან აერთებდა. ავლაბრის მხრიდან იგი იცავდა აგრეთვე, ქალაქის ერთადერთ ხიდს მდინარე მტკვარზე.

როგორც ვხედავთ, ქალაქის კარები თბილისს სხვადასხვა კუთხეებთან და ქვეყნებთან აკავშირებდა. სამხრეთის ქვეყნებთან კავშირი უმთავრესად „განჯის კარით“ წარმოებდა. ჩრდილოეთის ქვეყნებთან კი თბილისს „წავკისის“, „დიღმის“ და „წყლის“, ანუ „მუხრანის“ კარები აერთებდა. ამავე კარებით შემოდიოდნენ თბილისში დასავლეთ საქართველოდან წამოსული გზები. „ავლაბრის კარი“ თბილისს უმთავრესად კახეთთან და აღმოსავლეთით მდებარე სხვადასხვა ქალაქებთან აერთებდა.

ქალაქის კარებს მარტო ეკონომიური მნიშვნელობა როდი ჰქონდა. იგი ქალაქის ერთგვარი სიმაგრეც იყო. ამიტომ ქალაქის ციხე-კოშკებს და კარებს საგანგებოდ მიჩენილი მცველები ჰყავდა. მათ „მცველნი ქალაქისანი“ ეწოდებათ. ქალაქის ამგვარ მცველთა შესახებ ლაპარაკობს შოთა რუსთაველი თავის „ვეფხის ტყაოსანში“:

„მოვიდეს, აჩნდა ქალაქი, მცველთა ვერ დასთვლიდიან“-ო.

როცა თბილისი საქართველოს მეფეს ჰქონდა ხელთ, მის ციხე-სიმაგრეებში ყოველთვის მეფის ლაშქარი იყო ჩაყენებული. ასე მაგალითად, როცა ბაგრატ IV-მ თბილისის ციხე-კოშკები ხელთ იგდო, იქ თავისი ერთგული ერისთავები და ლაშქარი ჩააყენა.

დავით აღმაშენებლის ლაშქრის ერთ ნაწილს სპეციალურად ქალაქში და მის ციხეებში დგომა და მათი დაცვა ჰქონდა დავალებული. „ქალაქის მცველნი“ ქალაქის კომენდანტს, ანუ, როგორც მაშინ უწოდებდნენ, „ციხისთავს“ ემორჩილებოდნენ. ციხისთავი და ქალაქის მცველნი კიდევ, თავის მხრივ, XVIII საუკუნეში მეფის ერთერთ მინისტრს — მსახურთუხუცესს ექვემდებარებოდნენ.

„ქალაქის მცველებს“ ევალებოდათ უზრუნველეყოთ ქალაქი მოულოდნელი თავდასხმისაგან, დაეცვათ ქალაქის კარები. გაეღოთ იგი დილით ადრე ცისკრისას, რომ მის კედლებთან ღამით გაჩერებული ქარავანი, სათანადო ნებართვის მიღების შემდეგ, ქალაქში შემოეშვათ. ღამით კი ქალაქის კარები იკეტებოდა.

როცა ქართლის მეფე ირანის შაჰის ვასალი გახდა, თბილისში ირანული გარნიზონები იქნა ჩაყენებული და მათ დაეკისრათ ქალაქის ციხის დაცვა.

თბილისის ციხის ამგვარი დამცველების შესახებ ტურნეფორი, სხვათა შორის, შემდეგს მოგვითხრობს: „სიმაგრე ქალაქის თავზე საუცხოოდ არის განლაგებული, მხოლოდ მისი კედლები მორღვეულია და ძლიერ ცუდი კოშკებით არის დაცული. მთელი მისი გარნიზონი შედგება რამდენიმე საცოდავ მაჰმადიან ხელოსნისაგან, რომელნიც სათანადო გასამრჯელოს იღებენ ციხის დასაცავად. ისინი აქ თავიანთი ოჯახებით ცხოვრობენ და იარაღის ხმარება თითქმის არც შეუძლიათ. ციხე-სიმაგრე უფრო შეუძლებელ მოვალეთა და დამნაშავეთა თავშესაფარიაო“.

ციხის ეს უბადრუკი მცველები კონტროლს უწევდნენ ქართლის მეფის მოქმედებასაც.

ქალაქის კარების ერთს უმთავრეს დანიშნულებას ქალაქისა და მისი გარეშემო მიდამოების ურთიერთ დაკავშირება შეადგენდა. კარებიდან შემოდიოდა სხვადასხვა სოფლებიდან და ქალაქებიდან მრავალგვარი საქონელი. სავაჭრო საქონელი ქარავნებით მოჰქონდათ შორეული ქალაქებიდან. საქონლით დატვირთული ქარავნები გადიოდა თბილისიდანაც. თუ ტურნეფორის ცნობას დავუჯერებთ, ქალაქ თბილისიდან და საერთოდ საქართველოდან ყოველდღიურად 2000 ქარავანი გადიოდა. უმეტესი მათგანი თბილისის კარებს გაივლიდა. ზოგი კარით კიდევ მახლობელ სოფლებიდან და ქალაქის სხვა მიდამოებიდან შემოდიოდა სხვადასხვაგვარი სავაჭრო საქონელი. XVIII საუკ. თბილისში შეშა სამი კარიდან — დიღმის, კოჯრისა და ქვემოკარიდან შემოჰქონდათ, რაკი აქეთა მხარეს მოიპოვებოდა ქალაქის მახლობლად ტყიანი ადგილები.

როგორც ვხედავთ, ქალაქის კარები ყველაზე უფრო მოძრაები, ცოცხალი და ხალხმრავალი ადგილი იყო.

ქალაქის კარები ქალაქის საბაჟო პუნქტებს წარმოადგენდნენ. ქალაქის კარის მცველებს დავალებული ჰქონდათ არა მარტო თვალყური ედევნებინათ შემოსული და გასული საქონლისათვის, არამედ ამ საქონელზე სათანადო ბაჟიც აეღოთ. ეს ძველიდანვე იყო დაწესებული თბილისში, მაგრამ კარების დამცველნი მეფეების მიერ დადგენილ წესს ხშირად არღვევდნენ და თვითნებურად ზოგჯერ მეტს ახდევინებდნენ შემოტანილ საქონელზე.

როსტომ მეფის ერთ საბუთში, სხვათა შორის, აღნიშნულია,

რომ თბილისის კარების დამცველები ძველიდანვე დადგენილ წესს არ ემორჩილებიან და ზედმეტს ახდევინებენო გამვლელებს; ამიტომ ვაჭრებმა, მომსვლელებმა და გამსვლელებმა, ქალაქისა და ქართლის მცხოვრებლებმა ითხოვეს — მეფეს სათანადო ზომები მიეღო და ხელახლა მტკიცედ დაეწესებინა ყოველ საქონელზე სათანადო ბაჟი.

მართლაც, როსტომმა 1649 წ. ბრძანებით განსაზღვრა, თუ რა საქონელზე რამდენი ბაჟი აეღოთ. თბილისის კარებთან როსტომის ბრძანებით, აბრეშუმის საპალნეზე მეციხოვნეებს ბაჟად ერთი შაური უნდა აეღოთ. ფართლის საპალნეზე ნახევარი შაური, ბამბის საპალნეზე ერთი ბისტი (დაახლ. 1/2 შაური)*, საყათის (საწვრილმანოს) საპალნეზე ორი ფული (1/2 ბისტი), თუთუნის საპალნეზე ნახევარშაური, მარილის საპალნეზე ერთი ფული (1/4 ბისტი), ბრინჯის საპალნეზე ერთი ფული, ერბოსა და თაფლის საპალნეზე ორ-ორი ფული, ნალ-ლურსმნისა და რკინის საპალნეზე ორი ფული, მატყლის საპალნეზე ერთი ფული, თევზის საპალნეზე ერთი ბისტი, ყველის საპალნეზე ერთი ფული. თუ ვინმე გასაყიდად ცხვარს გამოატარებდა, 100 ცხვარზე ბაჟად ორი შაური უნდა აეღოთ.

საბუთის დასასრულს მეფე აცხადებს: „ეს ასრე გარიგდა და რაც მინბაში (ციხისთავი) აწ დღეს იჯდეს ციხეშია და ან მას უკან სხვა მოვიდეს, ამ საქმეს ნურვინ გარდავა და ნურც მოშლიანო“.

აღსანიშნავია, რომ ქალაქის კარებზე აღებული ბაჟი, როსტომის ბრძანებით, ციხის კარის გამშვენიერებასა და გაძლიერებაზე უნდა დახარჯულიყო.

ბ. ქალაქის სხვა ნაგებობანი

ქალაქი ვაჭრობა-ხელოსნობის ცენტრს წარმოადგენდა. ამიტომ აქ უმთავრესად სავაჭრო სახელოსნო ნაგებობები უნდა ყოფილიყო. ამას გარდა, ვაჭარ-ხელოსანთა მუდმივ შესაკრებელი ადგილები მოედნები და ბაზრებიც იყო.

ყოველივე ეს ფეოდალური ხანის ქალაქის აუცილებელ კუთვნილებას შეადგენდა. ამიტომ როცა ძველი საქართველოს რომელიმე

* ორნახევარი ბისტი ერთ შაურს უდრიდა.

კუთხეში ქალაქის აშენებას დაიწყებდნენ, პირველ რიგში სავაჭრო-სახელოსნო შენობებს აგებდნენ.

ვაჭრობა-ხელოსნობისათვის განკუთვნილ შენობებს ძველად „საფარდულს“ უწოდებდნენ. ხოლო შემდეგ, X—XI საუკუნიდან განსაკუთრებით, ამგვარ ნაგებობებს „ქულბაქი“ შეარქვეს. „ქულბაქი“ სპარსულიდან მომდინარეობს და სავაჭრო ადგილს, დუქანს, ნიშნავს. „ქულბაქი“ XVIII საუკუნეშიც იხმარებოდა სავაჭრო-სახელოსნო ნაგებობის აღსანიშნავად, მაგრამ იშვიათად. „ქულბაქს“ ამ დროიდან მეორე უცხო ტერმინი „დუქანი“ ცვლის. დუქანი დღესაც იხმარება ძველი ქართული მნიშვნელობით.

ძველ თბილისში მრავალი ქულბაქი უნდა ყოფილიყო, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ ცნობები არ გვაქვს, თუ რამდენი დუქანი იყო, ვთქვათ, XII—XIII საუკუნეებში; ამგვარი ცნობები ჩვენ ძველს საისტორიო მწერლობას არ დაუცავს. არც დუქანთა აღწერილობებია შემონახული.

შარდენი XVII საუკუნის 70-ანი წლების თბილისის დუქნების შესახებ მხოლოდ ორიოდე სიტყვით შენიშნავს: „თბილისში რამდენიმე კარგი საზოგადო შენობაა... დუქნებიც კარგად არის მოწყობილი, სუფთად შენახული და მაღლობზე დგას, დიდი მოედნის პირას“-ო.

დღევანდელი თბილისის მიდამოებში თუმცა გადაკეთებული სახით, მაგრამ მაინც შემონახულია ძველი ქულბაქები, დუქნები. პუშკინის ჩიხის გვერდით, ვერცხლის ვიწრო ქუჩაზე, სადაც ძველად ოქრომჭედელთა რიგი (ზარგარხანა) იყო, დაცულია ქულბაქთა ტიპის ნაგებობანი. მათ ზედა სართულში საცხოვრებელი ბინაა, რომელსაც „ბალახანას“ უწოდებენ; ბალახანა კიბით უერთდება ქვემო სართულს, ანუ დარაბას. დარაბაში იყო სახელოსნოცა და სავაჭროც. დარაბებს ფანჯრები არ ჰქონდა და იგი კარებით კი არ იკეტებოდა, არამედ დასაშლელი ფიცრების ფარებით — „დარაბებით“.

ქულბაქებში ხელოსნებსა და ვაჭრებს „დაზგები“ ჰქონდათ გამართული. „დაზგა“ სპარსული სიტყვაა და ირანში სახელოსნო იარაღს, სახელოსნო მაგიდას ან საფეიქრო მანქანასაც ნიშნავდა. ქართულში კი დაზგა, ერქვა როგორც სახელოსნო, ისე სავაჭრო დახლს.

ქალაქში ვაჭარ-ხელოსანთა მუდმივ შესაკრებელი სავაჭრო ადგილი, ანუ როგორც VIII—XI საუკუნეებში უწოდებდნენ, „მოედნები“ იყო. მოედანს XII საუკუნიდან ბაზარი შეერქვა. მოედნები, ბაზრები

უმთავრესად იმართებოდა ქალაქის კარებთან ან კიდევ სხვა თვალსაზრისით მნიშვნელოვან პუნქტთან. ძველიდანვე იყო თბილისში ე. წ. „ციხის მეიდანი“, რომელიც უშუალოდ ემიჯნებოდა კალას დაბალი ციხის გალავანს. „ციხის მეიდანი“ იმ ადგილზე იყო, რომელსაც დღესაც „თათრის მოედანს“ ეძახიან.

მეორე მოედანი თბილისში XVII საუკუნის შუა-წლებიდან ჩანს. მას შემდეგ, რაც როსტომმა სამეფო სასახლე კალას ციტადელიდან ქვემოთ გადმოიტანა, „მეფის მოედანიც“ გაჩნდა. იგი დღევანდელ ერეკლეს მოედნის ტერიტორიაზე იყო.

XVIII საუკუნეში თბილისში მესამე მოედანიც იყო, გარეუბანში, კომუნარების სახელობის ბაღის ტერიტორიაზე, მაგრამ იგი მაშინ უმთავრესად სამხედრო ვარჯიშობებსა და სხვა გასართობებს ეთმობოდა, ამიტომ მას „ასპარეზს“ უწოდებდნენ.

ქალაქის უბნები და მოედნები ერთმანეთს ქუჩებით უკავშირდებოდნენ. ქუჩებს ძველი ქართულით, შუკებს და აგრეთვე ფოლოცებს უწოდებდნენ. ქალაქის შუკას შოთა რუსთაველიც მოიხსენიებს:

„ჩემთა მჭვრეტელთა მოეცვა ქალაქი(ს) შუკა და ბანიო“. XIV საუკ. ისტორიკოსი კი, როცა მას სურს ჯალალედინის მიერ თბილისში დატრიალებული უბედურობა აგვიწეროს, სხვათა შორის, აღნიშნავს: მოხუცები უწყალოდ თბილისის ფოლოცებზე ცხენების მიერ ისრისებოდაო.

განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ძველ საქართველოში ქუჩების კეთილმოწყობას. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ამ მხრივ საინტერესო ცნობას გვაწვდის: მეფემ რამდენიმე გზაზე, რომლებზედაც სიარული ძნელი იყო, ქვაფენილი დააგო. ამ შემთხვევაში ისტორიკოსი საქალაქთაშორისო გზებზე ლაპარაკობს, მაგრამ, ცხადია, საქართველოს სამეფო ხელისუფლება XII საუკუნეში თუ საქარავნო გზებზე ასე ზრუნავდა, მით უფრო თვით ქალაქების ქუჩათა მოწყობას მიაქცევდა ყურადღებას. ამაში ძველ ნაქალაქართა არქეოლოგიური გათხრები გვარწმუნებს. ქალაქ დმანისის არქეოლოგიური შესწავლის დროს ქალაქის კარებთან ქვაფენილი ქუჩა აღმოჩნდა.

თუ დმანისის ქუჩები ასე კეთილმოწყობილი იყო, ცხადია, XII-XIII საუკ. საქართველოს ძლიერი და მდიდარი დედაქალაქის ყოველი ქუჩა ქვაფენილით მოკირწყლული უნდა ყოფილიყო.

XVIII საუკუნის პირველ ნახევრის გეგმის მიხედვით შეიძლება

გავითვალისწინოთ ძველი თბილისის ზოგი ქუჩის მიმართულება. ირკვევა, რომ ქალაქის მთავარი ქუჩები ძველადაც მიიმართებოდა აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ, ქალაქის ზრდის მიმართულებით, სიონ-ანჩისხატის რაიონიდან კალას იმ გალავნისაკენ, რომელიც აწინდელ ილია ჭავჭავაძისა და პუშკინის ქუჩების ხაზს მისდევდა.

ცენტრალური ქუჩა მეფის მოედნიდან იწყებოდა და კოჯრის კარამდე გრძელდებოდა. კოჯრის კარი კი დაახლოებით იქ იყო, სადაც დღეს ლესელიძის ქუჩა ბერიას მოედანს ერთვის.

ძველიდანვე იყო ის ხაზიც, რომელსაც დღევანდელი ვერცხლის ქუჩა მისდევს.* ამ ქუჩის ერთი თავი მეფის სასახლისაკენ მიემართებოდა, მეორე კიდევ დიღმის კარს (პუშკინისა და ბარათაშვილის ქუჩების შესაყარზე) ებჯინებოდა. ვერცხლის ქუჩას სხვა ქუჩებიც უკავშირდებოდა.

კალას სამხრეთ ნაწილში კიდევ ორი გრძელი ქუჩა ჩანს. ერთი დღევანდელ ენგელსის ქუჩას და მის გაგრძელებას ემთხვევა, მეორე კიდევ ლერმონტოვის ქუჩის ერთ მონაკვეთს.

„ამგვარად, — წერს ვახუშტის გეგმის განმმარტებელი ვ. ბერიძე, — XVIII საუკუნის პირველ ნახევარში უკვე არსებობს ის „ფოლოცები“ და გზები, რომლებიც საფუძვლად დაედო აწინდელ ენგელსისა და რიჟინაშვილის, ლერმონტოვის, ლესელიძის, ბარათაშვილის, ვერცხლის, ფედერაციის, პუშკინის, ყოფილ კომინტერნის ქუჩებსა და რუსთაველის პროსპექტს, ბერიას, ბებელისა (ახლანდელი ერეკლეს) და თათრის მოედნებს, ე. ი. უკვე არსებობს მთელი ამ რაიონის აწინდელი დაგეგმარების ჩანასახი, მისი ჩონჩხი“.

შუა საუკუნეების ქალაქები საერთოდ და, მაშასადამე, თბილისიც უმთავრესად უგეგმოდ, სტიქიურად იზრდებოდა. ამიტომ ქალაქის ქუჩების დაგეგმვის რაიმე იდეა ამ დროისათვის თითქმის უცნობია.

თუ XII—XIII საუკუნეების თბილისის ქუჩები კარგად მოვლილი და კეთილმოწყობილი იყო, სამაგიეროდ XVI—XVIII საუკუნეებისათვის მდგომარეობა შეცვლილია. ვახუშტი თბილისის ქუჩების შესახებ მოკლედ შენიშნავდა: „ქალაქი ვიწრო, ფოლორცნი უშვერნი“-ო.

ვახუშტის ამ მოკლე ცნობას XVIII საუკუნის 70-ან წლებში თბილისში ნამყოფი გიულდენშტედტიც ადასტურებს; მისი სიტყვით, ქალაქის

---

* ძველად მას „ოქრომჭედლების ბაზარს“ ან კიდევ, „ოქრომჭედლების რიგს“ ეძახდნენ.

20000 მცხოვრები სამი ვერსის სიგრძის რკალშია მომწყვდეული და ამიტომ „ქუჩების სიგანე თბილისში არ აღემატება 1 საჟენს, შესახვევები, ჩიხები კიდევ ამაზე ვიწროაო“. ეს ვიწრო ქუჩებიც მოუწყობელი ყოფილა. რაკი მათ წყლის საწრეტები არ ჰქონიათ, წვიმების დროს, ქუჩები საშინლად ტალახდებოდა; ხშირი ტალახი და ქუჩებში უსუფთაობა, აქ გავრცელებული სხვადასხვა ავადმყოფობის მიზეზი იყო. თბილისში ამის გამო, წერს გიულდენშტედტი, გავრცელებულია დიზენტერია და ავთვისებიანი ციებ-ცხელება, ხშირია ეპიდემიაც. ასე მაგალითად, 1770 წ. ქალაქში ჭირმა თურმე 4000 კაცი ამოწყვიტა.

ამ მხრივ მდგომარეობა არ შეცვლილა XIX საუკ. დამდეგსაც. თბილისის ვიწრო და ტალახიან ქუჩებზე ჩერდება კლაპროტიც: „ქალაქის ქუჩები ისე ვიწროა, რომ ურმებს მხოლოდ ზოგ მათგანზე შეუძლია გაიაროს. ჩიხებში კი ცხენებითაც ჭირს გავლა. ხოლო როცა ქუჩები ტალახიანდება, ფეხით მოსიარულენიც ერთმანეთს ძლივს ჩაუვლიანო“, — მოგვითხრობს იგი.

შუა საუკუნეების ქალაქებისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია უცხოელთიდან მოსულ ვაჭართა მიერ ქალაქში შემოტანილ საქონელთა შესანახად და მათ მოსასვენებლად განკუთვნილი სასტუმრო სახლები. უცხოელთათვის სასტუმრო სახლების აგება ქალაქებში ქართველებს ძველიდანვე სცოდნიათ. V-VIII საუკუნეებში ამ სასტუმრო სახლებს ბერძნულ სახელს — პ ო ნ დ ო ქ ი ო ნ ს უწოდებდნენ, შემდეგ საუკუნეებშიც იგივე ტერმინი იხმარება, მხოლოდ ფონეტიკურად სახეცვლილი — IX-X საუკუნეებიდან უკვე ფ უ ნ დ უ კ ი იხმარება. ფუნდუკები უმთავრესად ქარავნებისათვის იყო განკუთვნილი. ამგვარ ფუნდუკებს XII-XIII საუკუნეში „საქარავნო ფუნდუკებს“ უწოდებდნენ.

ფუნდუკები შენდებოდა არა მარტო ქალაქებში, არამედ სავაჭრო გზებზეც. ჩვენ გვაქვს ცნობა, საიდანაც ჩანს, რომ თამარ მეფემ ჯავახეთის გზაზე, მისი დიდი ეკონომიური მნიშვნელობის გამო, ორი საქარავნო ფუნდუკი ააგებინა, ერთი ქედს იქით, ერთი კიდევ ქედს აქეთ.

X-XIII საუკუნეში თბილისში არა ერთი ფუნდუკი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ჩვენ საამისო ცნობები გვაკლია.

XIII საუკუნიდან „ფუნდუკის“ მნიშვნელობით, სპარსულიდან ნასესხები ტერმინიც შემოდის — ფუნდუკის მაგიერ, ზოგან უკვე „ქ ა რ ა ვ ა ნ ს ა რ ა ი ა“, ანუ „ქარვასრა“ იხმარება. ეს სპარსული

სახელი, სიტყვა-სიტყვით, „ქარავნის სრას“, ანუ „ქარავნის სასახლეს“ ნიშნავს. „ქარავანსარაიისაგან“ წარმოდგა დღესაც ქართულში გავრცელებული „ქარვასლა“. „ქ ა რ ვ ა ს რ ა ნ ი“ „ვეფხის ტყაოსანშიც“ არის ნახმარი და იგი ამ შემთხვევაშიც ქარავნის ბარგის შესანახს, მოქარავნეთა განსასვენებელს ნიშნავს.

„ვაჭარი ვინმე პატრონი არს ქარავნისა დიდისა,
საროსა მსგავსი ნახარდი და მთვარე დღისა შვიდისა...
მომიხმო, მკითხა ამბავი და ნირი ლართა სყიდისა.
ფატმან ხათუნს გაეხარნეს გააგება მონა ათი,
მოუკაზმნა ქ ა რ ვ ა ს რ ა ნ ი, დააყენა ბარგი მათი“.

XVI-XVII საუკუნიდან ქარავანსარაია, ანუ ქარვასლა კიდევ უფრო გავრცელდა ქართულში და ძველი ფუნდუკის აღსანიშნავ ერთადერთ ტერმინად იქცა. ქარვასლაში ინახებოდა მგზავრთა არა მარტო ბარგი, არამედ აქვე იყო მათი განსასვენებელი სადგომი, საჭმელი და სხვა. XVII საუკუნის ისტორიკოსი ფ. გორგიჯანიძე მოგვითხრობს: „როსტომ მეფემ განჯის გზაზე, გატეხილს ხიდს ზეით, დებედაზე ქარავანსარაია ააშენა, რომ მგზავრი არ გაისარჯოს, სადგომი და საჭმელი მზათ დახვდესო“.

XVII-XVIII საუკუნეში თბილისში რამდენიმე ქარვასლა იყო. შარდენის ცნობით, ეს ქარვასლები კარგად ყოფილა მოვლილი. იგი წერს: „თბილისში რამდენიმე კარგი საქარავნო შენობაა, აქ ფრის ქვით ნაშენი და კარგად შენახული დიდი სასასტუმრო შენობები. ასეთივეა ქარვასლებიც, რომელშიაც უცხოეთიდან მოსული ხალხი ბინავდება დროებით“.

თბილისის ქარვასლებს ქებით იხსენიებს აგრეთვე XVIII საუკ. 70 ან წ. თბილისში ნამყოფი ფრანგი დელაპორტიც. იგი წერს: „მეორე შენობა, აგრეთვე მშვენიერად აშენებული, არის ქარვასლა (ანუ სასტუმრო სახლი); ისინი აქ (თბილისში) იმავე დანიშნულებისა არიან, როგორიც თურქეთში, სხვადასხვა ქვეყნებიდან მოსულთა საცხოვრებლად. ქარვასლა ხელმწიფის ანგარიშზეაო“. როგორც ჩანს, დელაპორტი მხოლოდ მეფის კუთვნილ ქარვასლას აგვიწერს.

ვახუშტის გეგმით ირკვევა, რომ XVIII საუკ. პირველ ნახევრის თბილისში ოთხი ქარვასლა იყო. სამი მათგანი კალას, კედლებით შემოვლებული ქალაქის, ტერიტორიაზე იყო. სიონის მეზობლად, სამხრეთით, მტკვრის ნაპირზე ყოფილა თბილელის, ე. ი. თბილისის ეპისკოპოსის ქ ა რ ვ ა ს ლ ა, რომელიც, როგორც ჩანს, როსტომ მეფეს 1650 წელს აუგია. თბილისის ეპისკოპოსისათვის როსტომ

მეფეს ქარვასლის შემოსავლის ნაწილი უბოძებია. XVIII საუკ. დამდეგს როსტომის მიერ აშენებული ქარვასლა თბილელმა ეპისკოპოსმა დომენტი III აღადგინა. ამიერიდან მას „თბილელის ქარვასლა“ ეწოდა. ამჟამადაც ჩანს ძველი ქარვასლის ნაშტი, რომელზედაც XIX საუკუნეში არწრუნის ქარვასლა დაუშენებიათ. თბილელის ქარვასლისაგან ცოტა მოშორებით, სამხრეთ-დასავლეთით ქალაქის მელიქის ქარვასლა ყოფილა. აქვე იყო აგრეთვე თვით „მეფის ფუნდუკი“, მეფის ქარვასლაც.

მეოთხე ქარვასლა, რომელსაც ვახუშტი „ბეჟანის ქარვასლას“ უწოდებს, კალას კედლებს გარეთ, სოლოლაკის უბანში, დღევანდელ ქალაქის საბჭოს შენობის ადგილზე ყოფილა. ოთხი ქარვასლა იყო 1800 წლის თბილისშიც.

ქარვასლები მეტნაკლებად დიდი ნაგებობანი უნდა ყოფილიყო. ძველად რამდენიმე ათეული ვაჭარი იყრიდა თავს და ერთად მგზავრობდნენ. ერთეულების მგზავრობა უცხო ქვეყანაში საშიში იყო. ზოგი ცნობით, ქარავანში 300 კაცამდე ერთიანდებოდა; სამასი მგზავრისათვის სამასი აქლემი და ცხენი ან სახედარი იყო საჭირო. ასე დიდ ქარავანს ქარვასლებში უნდა დაესვენა, აქ უნდა შეენახათ თავიანთი საქონელი. ცხადია, რამდენად დიდი უნდა ყოფილიყო ძველი ქარვასლები, რომ 300 კაცი მოესვენებიათ, მათი საქონელი შეენახათ და მგზავრები და მათი აქლემები, ცხენები საკმლით უზრუნველეყოთ.

ქალაქის ქარვასლების ერთ ნაწილში ზოგჯერ ვაჭრები და ხელოსნები იყვნენ მოკალათებულნი. ისინი აქ ქირით, როგორც ჩანს, მუდმივად ცხოვრობდნენ.

1781-82 წ. თბილისის აღწერის დავთრის ნაწყვეტიდან ირკვევა, რომ მარტო ნაზარბეგიანთ ქარვასლაში ყოფილა 2 სარაჯი, მესტვირე, 2 ოქრომჭედელი, მეჩახმახე, მჭედელი, მკალავი, 2 მექვაბე, 2 ნალბანდი, დაბაღი, 2 ჭონი, ხარაზი, 2 ბაზაზი, მჩითავი, 2 მეწისქვილე, ხაბაზი, მეფურნე, მზარეული, 2 კალატოზი, ხურო, ქვისმჭრელი, 2 მესანთლე, მეზეთე, მეურმე, ჩორვადარი, მეჯორე. მენახირე, დალაქი, მეაბანოე, 2 ვაჭარი ბაყალბაში, ბაყალი, ჩარჩი, მუშა და სხვ. ამათგან ზოგს ქარვასლაში გაჩერებულთა საჭირო მოვლა-სამსახური ჰქონდა დაკისრებული. ზოგი კიდევ ქარვასლის შენობაში იმგვარ ხელობას მისდევდა, რომელიც აქ დროებით მოსულთა მომსახურეობისათვის იყო აუცილებელი.

თბილისი, როგორც დედაქალაქი, ადმინისტრაციული ცენტრიც

იყო. ამიტომ თბილისში თავდაცვით და სავაჭრო სახელოსნო ნაგებობათა გარდა ადმინისტრაციული აპარატისათვის საჭირო შენობებიც უნდა ყოფილიყო. თბილისში პოლიტიკური ცენტრის გადმონაცვლების შემდეგ, თვით მეფეს, ასევე ქალაქის გამგებლებს, თავიანთი სასახლეები უნდა ჰქონოდათ.

ჯერ კიდევ ვახტანგ გორგასალი, ხოლო შემდეგ მისი შვილი დაჩი აშენებდა თბილისში სამეფო სახლს. ჩვენ სამწუხაროდ არ ვიცით, თუ სად იყო ეს უძველესი სასახლე თბილისში. თბილისში თავისი სასახლე ჰქონდა ირანელთა მარზპანსაც. VI საუკუნეში და VIII საუკუნის დამდეგიდან არაბთა ამირასაც. ჩვენ საამისო წერილობითი ცნობაც მოგვეპოვება. როგორც იოანე საბანისძე გვარწმუნებს, აბო თბილელი შეიყვანეს „ამირას ტაძარში“, ე. ი. გამგებლის „დარბაზში“ სასახლეში, ხოლო შემდეგ ამ სასახლის ეზოში 786 წ. თავი მოჰკვეთეს. ამირას აქ მოხსენებული სასახლე, როგორც ეს მეცნიერებმა გაარკვიეს, იმყოფებოდა ბოტანიკურ ბაღში, გოგირდის აბანოებიდან ამავალ გზაზე.

მას შემდეგ, რაც დავით აღმაშენებელმა თბილისი საქართველოს დაუბრუნა, ამირათ-ამირას წოდებულება და თანამდებობა არ მოსპობილა; იგი საქართველოს მეფის მიერ თბილისის გამგებლად დანიშნულ მოხელეს ეწოდებოდა და, ცხადია, ამის შემდეგაც თბილისში არსებობდა ა მ ი რ ა თ-ა მ ი რ ა ს დ ა რ ბ ა ზ ი, ანუ სასახლე.

თბილისში, მისი ხელახლა შემოერთების შემდეგ, ცხადია, მეფეთა სასახლეებიც იყო. ასე მაგ., თამარს თავისი სასახლე ჰქონდა ისანში (ავლაბარში) და ასევე დიდუბეშიც.

სამეფო სასახლესთან იყო აგრეთვე სხვა სახელმწიფოებრივი დანიშნულების ნაგებობანიც. ცალკე შენობა იყო „ს ა ა ჯ ო კ ა რ ი“, ე. ი. სამოსამართლო სახლი, სასამართლო; ასევე ცალკე იყო „ს ა ჭ ურ ჭ ლ ი ს ა ხ ლ ი“, რომელიც სამეფო ჭურჭლის, განძისა და სიმდიდრის შესანახ ნაგებობას წარმოადგენდა. ასევე ცალკე იყო „ს ა ლ ა რ ო ც“, სამეფო ხაზინის სახლიცა და „ზ ა რ დ ა ხ ა ნ ა ც“— ყოველგვარი სამხედრო იარაღების, სამხედრო ნიშნებისა და სამკაულების საწყობი. მეფის სასახლესთან იყო აგრეთვე „ზ ა რ ა ფ ხ ა ნ ა“, სადაც ფული იჭრებოდა. სახელმწიფოებრივი დანიშნულების მსგავსი ნაგებობანი თბილისში სხვაც იყო, რომელთა შესახებ გზადაგზა მოგვიხდება საუბარი.

ჩვენ არ მოგვეპოვება იმის სათანადო მასალა, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელი იყოს XI-XVI საუკუნის თბილისის საერო

დანიშნულების ნაგებობათა აღწერა. ასეთი ცნობები უფრო გვიანი ხანისაა და საჭიროდ მიგვაჩნია ზოგი მათგანი აქ მოვიტანოთ.

ფრანგი მოგზაური შარდენი ქართლის მეფის ვახტანგ V-ის დროის (1658-1675 წწ.) სამეფო სასახლეს შემდეგნაირად აგვიწერს: „მეფის სასახლე ერთ უმშვენიერეს შენობას წარმოადგენს თბილისში. სასახლეში არის დიდი დარბაზები, რომელნიც მდინარეს და ბაღებს გასცქერიან. ბაღები ძალიან ფართოა. იქვე არის ყაუშხანები, რომლებშიც ბევრ სხვადასხვაგვარ ფრინველებს ინახავენ. არის აშენებული აგრეთვე ერთი დიდი მწევარ-მეძებრების სადგომი და ისეთი მშვენიერი საჯორე, უკეთესი აღარ შეიძლება. სასახლის წინ არის ოთხკუთხი მოედანი, ამ მოედანზე ათას ცხენამდე დაეტევა. მოედანი დუქნებით არის შემოზღუდული. მშვენიერი სანახავია მოედანი და სასახლის ფასადი ამ ბაზრის თავიდან“.

ეს სასახლე, რომელზედაც აქ ლაპარაკია, როსტომ მეფის (1632-1658 წ.წ.) აშენებულია და მას „როსტომის სასახლე“ ეწოდებოდა. ჩვენ მოგვეპოვება ამ სასახლის უფრო დეტალური აღწერა. იგი ეკუთვნის XIX საუკუნის პირველი ნახევრის ცნობილ ისტორიკოსს პლ. იოსელიანს. იგი წერს: „როსტომის სასახლეს სიგრძე 65 საჟენი ჰქონდა. მისი საძირკველი ამოყვანილი იყო მდინარე მტკვრის კლდოვანი ნაპირიდან აგურის სქელი კედლებით. პირველი, ბნელი სართული, რომელიც კლდეს ემყარებოდა, დახურული იყო აგურის თაღით და მასში მოთავსებული იყო სარდაფი და საყინულე სასახლისათვის. მეორე სართული მთლიანად თაღიანი იყო და მას ჰქონდა მაღალი, აღმოსავლეთისაკენ მოქცეული ფანჯრები დიდი გამოქვაბულების სახით. კედლები მორთული იყო ნიჟარებით, ქვებით, სარკეებით, ლამაზი ხის ტოტებით. აქ მოთავსებული იყო სასახლის სიმდიდრენი — ხალიჩები და სხვა. მას ერქვა სალარო ანუ ერმიტაჟი. მესამე — მთავარი სართული განკუთვნილი იყო მეფის, დედოფლისა და მათი შვილებისათვის. იგი შეიცავდა 32 დიდსა და პატარა დარბაზსა და ოთახს. ერთერთი ამ დარბაზთაგანი თბებოდა ღუმელით, რომელიც მეფე ერეკლე I-ის დროს რუსმა ოსტატმა ააგო და მას რუსული სიტყვით — „ფეჩის ოთახს“ ეძახდნენ. მტკვრისაკენ მიქცეულ დარბაზებს ჰქონდა მაღალი ფანჯრები... ამ შენობის აქეთ-იქით მიშენებული იყო ორი ორსართულიანი ფლიგელი სარდაფებით. თითოეული ოცი ოთახისაგან შედგებოდა. მათში მოთავსებული იყო მეფისა და დედოფლის ამალა. მეფის საჯინიბო მოთავსებული იყო კედლის ჩრდილოეთ ბოლოში. სასახ-



ნადიმი ქართლის მეფის სასახლეში (1672 წ.)

იმდროინდელი ფრანგი მხატვრის ნახატი (შარდენით)

ლის წინა მოედნის შუაგულში აგებული იყო მარმარილოს ფილების შადრევანი, წყალი გამოყვანილი იყო აქ წაეკისის მთებიდან. მარმარილოს ორი ლომის პირიდან გადმოდიოდა იმ წყლის შადრევანი, რომლითაც ირწყვებოდა სასახლის ბაღები. თვით ბაღში იდგა პატარა ნაგებობა, რომელშიც მოთავსებული იყო მინერალური გოგირდის წყლის აბანო. ეს წყარო გაყვანილი იყო თბილისის მინერალური წყლის საერთო სატევიდან თიხის მილებით... აბანოს იატაკი დაგებული იყო მარმარილოს ფილაქნით".

ასეთი იყო როსტომის სასახლე, ერეკლე II-ის მიერ გადაკეთებული, XIX საუკ. დამდეგისათვის.

ზემოხსენებული მოედნის (ამჟამად ერეკლეს მოედანი) ჩრდილოეთ მხარეზე იდგა სიმონ ბატონიშვილის მიერ XVIII საუკ. დამდეგს აგებული სასახლე. იგი ერთ ხანს ქართლ-კახეთის უკანასკნელ მეფეს, გიორგი XII ს ეჭირა. ეს სასახლე ამჟამადაც დგას, უკვე რამდენიმეჯერ გადაკეთებული.

თბილისში სასახლეები ჰქონდათ არა მარტო ქართლის მეფეებს, არამედ კახეთის მეფეებსაც. ასე მაგალითად, შარდენი XVII საუკუნის 70-ანი წლებისათვის მოიხსენიებს კახეთის მეფის სასახლესაც: „კახეთის მეფეს,—წერს შარდენი,—ქალაქის ნაპირას აქვს სასახლე, რომელიც აგრეთვე ღირს იმად, რომ კაცმა ინახულოს და დაათვალიეროსო".

XVIII საუკუნის 60-70-ან წლებში მეფის სასახლე ყოფილა სეიდაბადის ბაღებში (შემდეგდროინდელი ბოტანიკური ბაღი) სეიდაბადის სასახლის შესახებ მოგვითხრობს იმ დროს თბილისში ნამყოფი დელაპორტი: „ჩვენ გვაჩვენეს სამეფო სახლი სეიდაბადში, იგი მდებარეობს სიმაღლეზე და ჩანს, რომ არა ნაკლებ საამური ყოფილა გარეგანი შემოფარგლულობა მისი, ისევე, როგორც შინაგანი საუცხოო შემკულობა. ამას უნდა დავუმატოთ ისიც, რომ დიდი ბორცვები დაუვაკებიათ ვრცელ მოედნებად, რომლებშიც უდენია რუებსა და ნაკადულებს". სეიდაბადის ეს შესანიშნავი სასახლე, პლ. იოსელიანის ცნობით, 1795 წ. სპარსელებმა დაანგრიეს, ისე რომ XIX საუკუნის დამდეგისათვის მისი საძირკვლებიც კი აღარ ჩანდა.

დელაპორტი აქებს საერთოდ თბილისის ამ დროინდელ ნაგებობებს, მაგრამ განსაკუთრებით, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, მას მეფის სასახლეები მოსწონებია. იგი თბილისის ნაგებობათა შესახებ წერდა: „თითქმის ყოველი წყლის პირს მდებარე სახლი აშენებულია შიშველ კლდეზე და ამ მხრიდან ქალაქს არა აქვს ზღუდე,

ზოლო სხვა მხრებიდან ზღუდეებით შემოფარგლულია. ზღუდეთა შიგნით არის ფრიად მშვენიერი შენობები დიდებულთა და გლეხთა, ზოლო უფრო უკეთესი სასახლეები (პალატები) მეფეებისა. მეფეთა სასახლეები მრავალი დიდი სახლებისაგან შედგება, რომლებშიც გამოჭრილი ფანჯრები მდინარესა და ვრცელ ბაღებს გადაჰყურებენ".

ყველა უცხოელს თავისი ყურადღება მიუქცევია მეფის სასახლის წინ გადაშლილი მოედნისათვის, რომელიც შემოფარგლული იყო დუქნების რიგით და რომელიც ერთი მხრით მდინარეზე გადაკიდებულ სასახლეს ეკვროდა, მეორე მხრით კი ქალაქის ბაზარს უერთდებოდა. ამ მოედანს ზოგჯერ „ბატონის მოედანს" ან კიდევ „მეფის მოედანს" უწოდებდნენ.

„მეფის მოედანი" მის ხელქვეითთა და ქვეყნის დიდებულთა საზეიმო შესაკრებელი იყო. ასეთ საზეიმო შეკრებას ამ მოედანზე აგვიწერს ერთერთი უცხოელი, რომელიც თბილისში XVII საუკ. 80-90-ან წლებში ყოფილა. იგი წერს: „ერთი კვირით ადრე მეფემ საქართველოს ყველა თავადს აცნობა, რომ თბილისში მოსულიყვნენ ამა და ამ დღეს და დასწრებოდნენ (მეფის საზეიმო გამოსვლას). დანიშნული დღე დადგა. ერთ დილით სამი საათით მზის ამოსვლამდე, ყველა ზემოთდასახელებულმა თავადმა დაიწყო მოედანზე, მეფის სასახლის წინ თავმოყრა. როგორც თვითონ, ისე ცხენებიც კარგად იყვნენ მორთულნი, ისე რომ ყოველი ცდილობდა, რაც კი შეეძლო უკეთესად გამოჩენილიყო და კარგი ცხენიც გამოეჩინა, კარგი ტანისამოსი სცმოდა და, რაც მთავარია, ლამაზი იარაღი ჰქონოდა... მოედანზე ყველა მწყობრად უცდიდა, რომ ჩაცმული მეფე გამოსულიყო". როგორც ჩანს, „მეფის მოედანი" საპარადო მოედანი იყო. მართლაც, თბილისის 1800 წლის გეგმაში ამ მოედნის შესახებ ნათქვამია: მას ეწოდება „ბატონის მოედანი, ანუ მეფის მოედანი, სადაც ამჟამად არის საპარადო მოედანი".

თბილისში სხვა მოედნებიც იყო, მაგრამ მათ სხვაგვარი დანიშნულება ჰქონდათ, და ამაზე ჩვენ ამჟამად სიტყვას არ გავაგრძელებთ.

მეფის გარდა თბილისში თავიანთი სასახლეები ჰქონდათ ქალაქში მცხოვრებ დიდებულებსაც—დედოფალს, სამეფო სახლის წევრებს—მეფის შვილებს, თავადებს, აზნაურებს, მაღალი თანამდებობის სასულიერო პირებს (კათალიკოსს, ეპისკოპოსსა და სხვ.). მათი სასახლეებიც, როგორც გაბატონებული წრის წარმომადგენლებისა, თავისი სიმშვენიერით განსხვავდებოდა ქალაქში მოსახლე

სხვა, ნაკლებად შეძლებული, დაბალი მოსახლეობის შენობებისაგან. ზოგ დიდებულს კი, რომელსაც ქალაქში იშვიათად უხდებოდა ჩამოსვლა, თბილისში თავისი სახლი არ ჰქონდა. მაგრამ, როცა ისინი მეფის ბრძანებით ქალაქში ჩამოდიოდნენ, დროებით თავიანთი ყმების სახლებს იკავებდნენ და იქ ცხოვრობდნენ. ამ მხრივ მეტად საინტერესო ცნობას გვაწვდის ჩვენს მიერ ზემოხსენებული უცხოელი. იგი წერდა: „მხოლოდ მეფეს თავისი ძმებითა და ცოლ-შვილით, პატრიარქს, ეპისკოპოსსა და მეფის ბიძას აქვთ სახლი. დანარჩენ დიდებულებს ქალაქში სახლები არ გააჩნიათ. როცა მათ სხვადასხვა გარემოების გამო გამოიძახებენ თბილისში და აქ ხშირად მოსვლა უხდებათ ხოლმე, წინასწარ თადარიგს იჭერენ. ამ ხალხმა, რომელნიც მათი ყმები არიან... მათ საცხოვრებელი სახლი უნდა დაუთმონ. მათ ყოველგვარი ცერემონიის გარეშე სახლიდან ერეკებიან, ან კიდევ რომელიმე ძველ ქოხში გადაიყვანენ ხოლმე. ამგვარად, თუ სახლი არა აქვთ, ასე მზამზარეულად მათ განკარგულებაში გადადის სხვისი ბინა... თანაც ამბობენ, რომ ასე თუ იქცევიან ეს იმის მაჩვენებელია, რომ ისინი სრულუფლებიანი პატრონები არიან და ესენი კი მათი მონები“.

ასე იყო ფეოდალურ თბილისში, როცა ქალაქში ყმის ქონება და თვით ყმაც ბატონის საკუთრებად ითვლებოდა.

ფეოდალური ქალაქის ძირითად მოსახლეობას ყმა ვაჭრები და ხელოსნები შეადგენდნენ. ცხადია, ყმათა საცხოვრებელი სახლები თუ სახელოსნო-სავაჭრო ნაგებობანი ვერ შეედრებოდნენ მეფეთა, დიდებულთა და მდიდარ ვაჭართა სასახლეებსა და ქარვასლებს. მაგრამ, მათაც უმეტეს შემთხვევაში ერთსართულიანი, ქვისაგან ნაგები და სუფთა შენობები ჰქონიათ.

XVIII საუკუნის 70-ანი წლების თბილისის მდაბიოთა სახლების შესახებ საინტერესო ცნობას გვაწვდის დელაპორტი: „ყველა მდაბიო ხალხის სახლი ქალაქში ქვისგან არის გაკეთებული. მათ სახურავები არა აქვთ, გარდა ბანებისა; ქალებს კარგ ამინდებში ჩვეულებად აქვთ ამ ბანებზე ჯდომა. სახლებში სისუფთავეა, სადგომი უმეტეს შემთხვევაში ხით არის მორთული, იატაკი დაგებულია ხალიჩით, არ იციან ფეჩები და მათ მაგიერ ყველგან არის ბუხარი“. თითქმის ასეთივე აღწერა აქვს მოცემული გიულდენშტედტსაც იგი წერდა: თბილისში „სახლები აგებულია აგურებისა და ფილაქნებისაგან თიხნარევი კირით, ერთსართულად, 15 ფუტის * სიმაღლე,

* ერთი ფუტი უდრის 30 სანტიმეტრს.

სწორი სახურავით (ბანი), თიხით მოლესილი. ოთახებში ქვებია მოფენილი; ფანჯრებში კიდევ მინების მაგიერ გაქონილი ქაღალდია".

ქალაქის ღარიბი მოსახლეობა, განსაკუთრებით ქალაქის განაპირა უბნებში, ვიწრო ჭუჭყიან ქოხებში იყო მომწყვდეული. მათი ქოხების განი და სიგრძე 4-7 ადლს არ აღემატებოდა. თითო ოთახში მთელი ოჯახი იყო მოკალათებული თავისი სამეურნეო მოწყობილობით. ერთი საბუთის სიტყვით, ამგვარი ქოხები უფრო საქათმეებს ჰგავდა, ვიდრე საცხოვრებელს. ასე მაგალითად, აეკლაბრის მდაბიო მოსახლეობა ერეკლე II-ს მოახსენებდა: „მოგეხსენება ჩვენი ცხოვრება, რომ თუ არ დიდი დაჭირება, თორემ აქ მართებული კაცი ვინ დადგება და ან ვინ დგას. [სადგომები] თითო საქათძესა ჰგავს, ქოხებში ვყრიეართ, დღიურად ვრჩებით, მწარედ უილაჯონი და გლახებიო".

როგორც ვხედავთ, მდაბიოთა სახლები საგრძნობლად განსხვავდებოდა დიდებულთა სასახლეებისაგან. მაგრამ აღსანიშნავია, რომ თბილისში, განსაკუთრებით მის ცენტრალურ ნაწილში, ყოველი სახლი გარკვეული წესის მიხედვით უნდა აგებულიყო, მას ჩვეულებრივი სოფლის სახლებისაგან განსხვავებული ხუროთმოძღვრული თავისებურება უნდა ჰქონოდა; როგორც მასალებიდან ირკვევა, თბილისში სახლები ე. წ. „ქალაქური წესით" შენდებოდა. ასე მაგალითად, ერთ-ერთი დიდებული მოგვითხრობს, რომ XV საუკუნეში „თბილისში დარბაზი ქალაქურისა წესითა ავაგეო". ეს იმაზე მიუთითებს, რომ ქალაქში სახლების აგების სულ სხვა წესი არსებობდა და, მაშასადამე, ფეოდალურ თბილისშიც, ამ მხრივ, გარკვეული გეგმიანობა ყოფილა.

საქართველოს სხვადასხვა დროის სატახტო ქალაქებში რომ საზოგადოებრივი თუ კერძო დანიშნულების ნაგებობათა შენება გარკვეული გეგმისა და წესის მიხედვით ხდებოდა, ამაზე ძველ საქართველოში სამეფო ხუროთმოძღვრის თანამდებობის არსებობაც მიგვითითებს. მცხეთაში, მისი დედაქალაქობის ჟამს, როგოც ეს უკანასკნელი დროის არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებულმა მასალებმა დაადასტურეს, არსებობდა ხუროთმოძღვრის თანამდებობა, რომელსაც სამეფო ქალაქში სხვადასხვა ნაგებობათა გარკვეული ხუროთმოძღვრული წესით შენება ევალებოდა.

ხუროთმოძღვრის თანამდებობა X—XII საუკუნის საქართველოშიც არსებობდა. იგი მთავარი მშენებელი იყო. კერძო დანიშნულების

ნაგებობათა მშენებელ ხუროთმოძღვრების გარდა, ძველ საქართველოში იყვნენ საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობათა მშენებელი ხუროთმოძღვრებიც, რომლებიც მეფის მოხელეებს წარმოადგენდნენ. ამგვარი სამეფო თანამდებობა შენარჩუნებული იყო შემდეგ საუკუნეებშიც. ოღონდ ამ თანამდებობის აღმნიშვნელი ქართული ტერმინი — ხუროთმოძღვარი — როსტომ მეფის დროიდან (1632—1658 წ.წ.) უცხოური ტერმინით — „სარაიდარით" შეიცვალა. ისე, როგორც ძველად, XVII—XVIII საუკუნეებშიც ხუროთმოძღვარი, ცნობილი მეცნიერის ვახუშტი ბატონიშვილის მითითებით, ხელმძღვანელობდა სასახლეთა, ეკლესიათა, ხიდების, სასტუმროთა და სხვ. მშენებლობას, ამ მშენებლობაზე მომუშავე ხელოსნებს. ხუროთმოძღვრები იყვნენ ძველ თბილისში ის პირები, რომელნიც „ქალაქური წესის" მიხედვით აგებდნენ შენობებს. სამწუხაროდ, ჩვენ არ ვიცით, თუ რით განსხვავდებოდა „ქალაქური წესით" ნაგები შენობები ჩვეულებრივისაგან; არ ვიცით, რადგან ქალაქთა საერო ხასიათის ძველი ძეგლები თითქმის არაა შემონახული, ხოლო ჩვენი ნაქალაქარები, კერძოდ კი თბილისი, ამ თვალსაზრისით არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ დავით ბაგრატიონის ცნობით, ქალაქში ასაგებ შენობათა ხუროთმოძღვრების მიერ შედგენილ გეგმებს მეფე ამტკიცებდა. დავით ბაგრატიონი წერდა: „ქალაქებში ყველა ნაგებობა მეფის მიერ დამტკიცებული გეგმის მიხედვით უნდა აშენებულიყო".

3. თბილისის უბნები

თბილისის გარეგანი სახის შესახებ ჩვენი საუბარი სრული არ იქნება, თუ ორიოდე სიტყვით მაინც არ შევეხეთ ქალაქის უბნებს.

ფეოდალური ქალაქის გარეგანი სახის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი იყო მისი უბნებად დანაწილება. საქართველოს ქალაქები, მათ შორის თბილისიც, უბნებად იყო დაყოფილი. თბილისის უბნებად დანაწილების შესახებ მითითება VIII საუკუნის ქართულ წყაროში მოგვეპოვება.

საქართველოს დედაქალაქის ცალკეულ უბანთა შესახებ საერთოდ ჩვენ მცირე ცნობები გვაქვს, ამიტომ ძნელი ხდება უბანთა სათანადო სახელებისა და ამა თუ იმ უბნის წარმოშობის მიზეზების გარკვევაც.

XIX ডিসেম্বর ১৯৩৩

৪৩৬৬০

ქალაქის უბნებისა და მათი სახელების წარმოშობის ძირითადი საფუძველი ქალაქის მოსახლეობის საქმიანობა, ქალაქის ეკონომიური ცხოვრება იყო. ეს უდევს საფუძვლად ქალაქის უბანთა იმგვარ სახელწოდებებსაც, რომელნიც ქალაქის ცალკეული უბნების მოსახლეობის ტომობრივ-სარწმუნოებრივ განსხვავებაზე მიგვითითებენ. მაგ., იყო „ურიათა უბანი", „მოგვთა (სპარსთა) უბანი", „ქართველთა უბანი" და სხვ. მაგრამ ეს ქალაქის სხვადასხვა უბნის მოსახლეობის მარტო ტომობრივ და სარწმუნოებრივ განსხვავებაზე კი არ მიუთითებდა, არამედ ამა თუ იმ ტომის საქმიანობის ხასიათზეც, მათს განსხვავებულობაზეც. რაკი ქალაქის უბნებად დანაწილების საფუძველი მაინც მოსახლეობის საქმიანობა იყო, უბნების ეს ძველი, ტომობრივ-სარწმუნოებრივი სახელები თანდათან გაქრა და ქალაქის უბნები მოსახლეობის საქმიანობის მიხედვით იწოდებოდა. ვაჭრობისა და წარმოების (ხელოსნობის) ცალკეულ გვარსა და სახეს ქალაქში თავისი გარკვეული უბანი ჰქონდა. აქედან წარმოდგა ამა თუ იმ უბნის სახელწოდებაც.

XVII—XVIII საუკუნეების მასალებიდან ვიცით, რომ ქალ. თბილისში გარკვეული დარგის ხელოსანთა ცალკეულ რიგებსა და უბნებს, აგრეთვე ხელობის მიხედვით, თავისი სახელები ერქვა. ასე მაგალითად, ვერცხლის ვიწრო ქუჩაზე ჩამწკრივებულ ოქრომჭედელთა რიგს „ზარგაოხანას" (ოქრომჭედელთა რიგს) უწოდებდნენ. ასევე ცალკე იყო, იოანე ბატონიშვილის ცნობით, „ხარაზხანის ბაზარი" ანუ ხარაზების უბანი, ცალკე იყო აგრეთვე „სირაჯხანა" ანუ მეღვინეების, ღვინისა და არყის გამყიდველთა უბანი. ერთ უბანში იყვნენ მოკალათებულნი სხვადასხვა ქსოვილთა მღებრები, ამ უბანს „ლილახანას" უწოდებდნენ. ცალკე მუშაობდნენ მეტყავეები, საფეხსაცმლო და სხვა დანიშნულების ტყავების მკეთებელნი. ნათ უბანს „დაბახანას" უწოდებდნენ. ცალკე რიგს ჰქმნიდნენ მექვაბეებიც—ამ უკანასკნელს „მექვაბეების ბაზარი" ეწოდებოდა. ასე იყო თბილისში სხვა უბნებიც ქალაქში მცხოვრებ ხელოსანთა თუ ვაჭართა საქმიანობის დარგების მიხედვით.

თბილისში ხელოსანთა გარკვეული დარგების ცალკეულ უბნებში, კვარტალებში თავმოყრის აშკარა ნიშნები დიდხანს დარჩა. იგი შესამჩნევი იყო XX საუკ. დამდეგსაც. ასევე უკანასკნელ დრომდე შერჩა ქალაქის ზოგიერთ ქუჩას ხელობის იმ დარგის სახელწოდება, რომელიც იქ იყო თავის დროზე თავმოყრილი. ამგვარად წარმოდგა ქუჩათა და უბანთა შემდეგი სახელწოდებანი: „ვერცხლის რიგი",

„ქურქების რიგი“, „ქვაბის რიგი“, „სირაჯხანის აღმართი“, „ფოსტ-ლების რიგი“, „ბამბის რიგი“ და სხვ.

ამგვარ უბნებად თბილისის დანაწილება გვიანფეოდალური ხანის ეკონომიური ცხოვრების ნაყოფი არ იყო; მას თავისი საფუძველი ადრე, შუა საუკუნეების თბილისის საქალაქო ცხოვრებაშივე მოეპოვება.

ამის საუცხოო საბუთს იძლევა თბილისის ტერიტორიაზე უკანასკნელ ხანებში წარმოებული არქეოლოგიური გათხრები. ზემოხსენებულმა გათხრებმა, სამასი არაგველის სახელობის ბაღთან რომ წარმოებდა, ნათლად გვიჩვენა, რომ ეს უბანი XII—XIII საუკ. თბილისის ერთ-ერთი ენიშვნელოვანი სახელოსნო უბანი ყოფილა. 1800 წლის თბილისის გეგმამ ამ საინტერესო უბნის სახელწოდების დადგენის შესაძლებლობაც კი მოგვცა. ამ ადგილს, სადაც გათხრები წარმოებდა, გეგმის მიხედვით „ხალან-ხანა“ ეწოდებოდა.

მაგრამ რას ნიშნავს ხალან-ხანა? „ხალან-ხანა“, ისევე როგორც ზარკარხანა, დაბახანა, სირაჯხანა და სხვა მისთანა,—შედგენილი სიტყვაა, მისი პირველი ნაწილი „ხალანი“, „ხალამი“ დღესაც ცოცხალია ქართულ მეტყველებაში და პირფართო და ძირფართო თიხის ჭურჭლის აღმნიშვნელი ტერმინია. ამ სიტყვის მეორე ნაწილი კი „ხანა“ უცხოურიდან—ახალი სპარსულიდან ქართულში დიდი ხნის შემოსულია და იგი სახლის, საცხოვრებლის, ადგილის აღსანიშნავად იხმარებოდა. ამრიგად, ტერმინი — „ხალან-ხანა“ XI—XIII საუკ. უხმარიათ, როგორც თიხის პირფართო ჭურჭლეულობის მკეთებელ ხელოსანთა უბნის სახელწოდება. ამგვარივე სახელწოდება შერჩა ამ უბანს მას შემდეგაც, რაც იგი უცხოელთა წყალობით მოისპო და მიწითა და ბაღებით დაიფარა. 1800 წელსაც, როგორც აღვნიშნეთ, ამ უბანს ძველებურად ისევ „ხალან-ხანას“ უწოდებდნენ, თუმცა თიხის ჭურჭლის მკეთებელ ხელოსანთა ცხოვრების კვალი იმ დროისათვის მიწის ზემოთ უკვე აღარ ჩანდა.

თვით ტერმინის შინაარსი და იმ ადგილზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალანი სავსებით შეესატყვისებიან ერთმანეთს.

ექსპედიციამ გამოავლინა მიწის წიაღში ჩამარხული თიხის სხვადასხვაგვარი ჭურჭელი, რომელშიც განსაკუთრებით სპარბობს სამზარეულო თუ სასმისი ჯამები, ლანგრები, ნიჟარისებური ჭრაქები (ზეთის სანათურები), მრგვალი სამარილეები, ყელ-ყურიანი ჭურჭელი კი (სურები, დოქები და სხვ.) შედარებით ნაკლები აღმოჩნდა. ჩანს, ეს უბანი XI—XIII საუკ. მართლაც ძირითადად პირფართო

და ძირფართო თიხის ჭურჭლების მკეთებელ ხელოსანთა უბანი ყოფილა.

ამას გარდა, ექსპედიციამ გამოავლინა თიხის ჭურჭლეულობის გამოსაწვავი 6 „ქართული ქურა". ამოიგდად, არავითარი ეჭვი არ შეიძლება არსებობდეს, რომ XII—XIII საუკუნეების თბილისის ამ უბანში თავმოყრილი იყვნენ თიხის ჭურჭლის მკეთებელი ოსტატები და ამიტომაც ამ უბანს ძველად „ხალან-ხანას" უწოდებდნენ.

ასევე ცხადია, რომ შუა საუკუნეების თბილისში იყო სხვა უბნებიც, რომელნიც აგრეთვე იქ გავრცელებული ხელობის მიხედვით იღებდნენ თავიანთ სახელს, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ საამისო სხვა მასალა არ მოგვეპოვება.

ქალაქს რამდენიმე უბანი ჰქონდა. და მის ზრდასთან ერთად იცვლებოდა მისი უბნების რაოდენობაც და ქალაქის სახეც. ქალაქის ზრდის ერთ-ერთი ნიშანი ახალი დასახლებული უბნების გაჩენა იყო. ამ თვალსაზრისით თბილისის ზოგი ახალი უბნის გაჩენაზე, ჩვენ უკვე გვქონდა ლაპარაკი მისი ტერიტორიის განხილვასთან დაკავშირებით. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ქალაქის ზოგი ადრინდელი გარეუბანი თანდათან ქალაქის ცენტრად იქცეოდა. ასე მაგ., ^კალა ერთხანს ქალაქის, უძველესი თბილისის, უბანს შეადგენდა. მაგრამ როცა თბილისის მოსახლეობა თავის ჩარჩოებში ვერ ჩაეტია და ^ან ქალაქის ზღუდე გადალახა, ეს კალა ჯერ ახალ ქალაქად იქცა, ხოლო შემდეგ თვით ქალაქის ცენტრალურ ნაწილად. თბილისის პირვანდელ ქალაქს XVII—XVIII საუკუნეებისათვის კიდევ — „ძველ ქალაქს" უწოდებდნენ. XVIII საუკ. დასასრულს ეს „ძველი ქალაქი" უკვე თბილისის გარეუბნად ითვლებოდა. არც კალაში დაეტია თბილისის მოსახლეობა. მასაც ახალი უბნები უჩნდება; ერთი ამგვარი უბანი „კალაუბანი" (კალას ე. ი. ციხის უბანი) იყო. მაგრამ ჩვენ ვიცით რომ XVIII საუკ. თბილისის ეს, ჯერ კიდევ გარეუბანი, XIX საუკ. 50-ან წლებში ქალაქის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უბანი იყო, ხოლო ამჟამად იგი სოციალისტური თბილისის ცენტრალური ნაწილია.

ასე იცვლებოდა დროთა ვითარებაში თბილისის ცალკეულ უბანთა ადგილი და როლი ქალაქის ტერიტორიის ზრდასთან დაკავშირებით. მაგრამ ყოველივე ზემოთქმულით არ ამოიწურება თბილისის უბნებად დანაწილების საფუძვლების განმარტება.

ფეოდალური და ბურჟუაზიული თბილისის უბნებად დანაწილების ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი საფუძველი მაინც კლასობ-

რივი, სოციალური ურთიერთობა იყო. ძველი თბილისის ცენტრალურ უბანში ფეოდალური არისტოკრატია—მეფე, სამეფო სახლის წევრები, თავადები, აზნაურები და მდიდარი ვაჭრები იყვნენ მოკალათებულნი. სხვა უბნებში კიდევ ქალაქის დაბალი მოსახლეობა. ყმა ვაჭრები, ხელოსნები და „ქალაქის მდაბიონი“ ცხოვრობდნენ... ქალაქის ამგვარ უბნებად დანაწილება განსაკუთრებით აშკარა გახდა მას შემდეგ, რაც თბილისი ბურჟუაზიული განვითარების გზას დაადგა. ასე მაგალითად, XIX საუკ. 60-იან წლებისათვის გოლოვინის (დღევანდელი რუსთაველის) პროსპექტი, სოლოლაკი, ერევნის (ამ. ჟამად ლ. ბერიას) მოედნის მარჯვენა მხარე, მთაწმინდისა და სოლოლაკის ხეობაში მოქცეული ქალაქის ნაწილი, წარმოადგენდა ქალაქის არისტოკრატიის უბანს. აქ იყო უკვე სწორი და ფართო ქუჩები, დიდი და ლამაზი სახლები და სხვ. ქალაქის „ცუდ უბანს“ კიდევ წარმოადგენდა „ერევნის მოედნიდან სამხრეთით მტკვრამდე, სოლოლაკის მთის ჩრდილო დაქანებიდან მდინარე წავკისამდე და შემდეგ მტკვრის მარჯვენა ნაპირის გასწვრივ მდებარე ტერიტორია. აქ ისევ ძველი ვიწრო, ტალახითა და ნაგვით სავსე, ქუჩები იყო. აქ იყო გამართული ბაზრები. ბინები — ნოტიო, დაბალი; სახლები ძველებური ბრტყელი სახურავებით (ბანებით). აი აქ იყო მოკალათებული ქალაქის ღარიბი მოსახლეობა. ამხანაგი ს ტ ა ლ ი ნ ი წერდა: „ბურჟუაზიული ქვეყნების მსხვილი ქალაქების აუცილებელი ნიშანია ჯურღმულები, ე. წ. მუშათა უბნები ქალაქის განაპირა ადგილებში, რომლებიც წარმოადგენენ ბნელ, ნესტიან, ნახევრად დანგრეულ სადგომთა გროვას, უმეტეს შემთხვევაში სარდაფებში, სადაც ჩვეულებრივ შეკუნჭულია ღარიბი ხალხი, სადაც ისინი ფუთფუთობენ სიბინძურეში და წყევლიან თავის ბედს“. როგორც ვნახეთ, ძველი ბურჟუაზიული თბილისიც გამონაკლისი არ ყოფილა ამ მხრივ.

ასეთი იყო ქალაქ თბილისის ტერიტორია, მისი გარეგანი სახე XI—XVIII საუკუნეებში. ყველა ჩვენგანს კარგად შეუძლია დაინახოს, რამდენად განსხვავდებოდა ძველი თბილისის ტერიტორია, მისი სახე თანამედროვე თბილისისაგან. ეს შედეგია იმ დიდი გარდაქმნებისა, რომელიც სოციალისტურმა რევოლუციამ მოუტანა ქართველ ხალხსა და მის საყვარელ დედაქალაქს თბილისს.

თავი IV

თბილისის ეკონომიური სახე

1. თბილისის ეკონომიური მდგომარეობა VI—XIII საუკუნეებში

ზემოთ უკვე აღნიშნული იყო, თუ როგორ თანდათან იზრდებოდა თბილისი მას შემდეგ, რაც აქ მცხეთიდან აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკურმა ცენტრმა გადმოინაცვლა. VI საუკუნიდან თბილისი თანდათან იქცევა აღმოსავლეთ საქართველოს მნიშვნელოვან სავაჭრო-სახელოსნო ცენტრად. ქალაქის აყვავებას, ზრდა-განვითარებას დიდად უწყობდა ხელს ქვეყნის ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ფეოდალური ურთიერთობის გამარჯვება.

ძველი ქართული და უცხოური საისტორიო მწერლობა არაფერ ცნობას არ გვაწვდის VI-VIII საუკუნეებში თბილისის საქალაქო მეურნეობის სახეების, მათი განვითარების ქალაქის ეკონომიური მდგომარეობის შესახებ. ამიტომ ჩვენ მიერ აღწერილი სურათი სრული ვერ იქნება.

V საუკუნის დასასრულიდან და VI საუკუნის დამდეგიდან თბილისში მოსახლეობა თანდათან იყრიდა თავს. მოსახლეობის გამრავლება ქალაქის ტერიტორიას ზრდიდა. ჩნდებოდა ახალი სავაჭრო და სახელოსნო ნაგებობანი. თბილისი არა მარტო ცხოველ საშინაო ვაჭრობას აწარმოებს, იგი საგარეო ვაჭრობაშიც აქტიურად ერევა. იმდროინდელი აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქები, განსაკუთრებით კი თბილისი, ვაჭრობას აწარმოებენ მეზობელ სომხეთთან, ირანთან, სირიასთან, დასავლეთის ქვეყნებთან, ეგვიპტესთან და სხვებთან.

ამ ქვეყნების ქალაქებში ქართველებს უკვე გაჰქონდათ თავიანთი ნაწარმი და ასევე შემოჰქონდათ იქიდან სხვადასხვა საქონელი.

V საუკ. წყაროებში უკვე მოიხსენიება უცხოეთიდან შემოტანილი სხვადასხვა საქონელი. განსაკუთრებით მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებს იმდროინდელი სომხეთის ქალაქებთან. VI საუკ. ბიზანტიელი ისტორიკოსის, პროკოფი კესარიელის ცნობით, იბერიას (ქართლს) თავისი ნაწარმი გაჰქონდა ქ. დვინში და იქ სხვა ქვეყნებიდან მოსულ ვაჭრებთანაც აწარმოებდა გაცვლა-გამოცვლას. იგი წერდა: ქალაქ დვინში „მრავალი ვაჭარი ცხოვრობს... და ეწევა თავის საქმიანობას. იქ ხომ საქონელი შემოაქვთ ინდოეთიდან, მეზობელი ი ბ ე რ ი ი დ ა ნ, (ქართლიდან, შ. მ.) და თითქმის ყველა, სპარსეთში მოსახლე ტომთა და რომაელების ქვეშემრდომ ზოგიერთ ხალხთა ქვეყნებიდან და ერთმანეთში აღებ-მიცემობას აწარმოებენ“. აღსანიშნავია, რომ VI საუკ. დამდეგს ვაჭრობა იმდენად განვითარებულა და მისი წარმოება მეზობლებთან ისეთ აუცილებელ საქმედ ყოფილა მიჩნეული, რომ სომეხ-ქართველთა სარწმუნოებრივი განხეთქილების შემდეგაც კი, როცა მათ შორის ყოველგვარი ურთიერთობა უნდა მოშლილიყო, ურთიერთშორის ვაჭრობა მაინც იქნა შენარჩუნებული. სომხეთის კათალიკოსმა თავის სამწყსოს უბრძანა: ქართველებთან „სრულებით არავითარი დამოკიდებულება არ უნდა გქონდეთ... ნებადართულია მათთან მხოლოდ ყიდვა-გაყიდვა, როგორც ებრაელებთანო“.

საშინაო და საგარეო ვაჭრობის გაცხოველებაზე მიგვითითებს ისიც, რომ VI საუკ. დასასრულს და VII საუკ. დამდეგს ქართლის ერისმთავრებმა თბილისში, ქართული ასომთავრული წარწერით, საკუთარი ფულიც მოჭრეს. ჩვენამდე მოაღწია თბილისში მჯდომ სტეფანოზისა და სხვა ერისმთავრის მიერ მოჭრილმა არა ერთმა მონეტამ. ცხადია, ფულის მოჭრა თბილისში განვითარებული აღებ-მიცემობით იყო ნაკარნახევი.

თბილისში, როგორც ქართლის უმთავრეს სააღებმიცემო და სახელოსნო ცენტრში, თავს იყრიდა მრავალგვარი სიმდიდრე. იგი ეკონომიურად ძლიერდებოდა. VII საუკ. თბილისის ქონებრივი სიძლიერე უცხოელებსაც ხშირად აოცებდა. აღსანიშნავია, რომ VII საუკ. დამდეგს, როცა ბიზანტიელებმა და ხაზარებმა თბილისი აიღეს, მათ უამრავი სიმდიდრეც იგდეს ხელთ.

VII საუკ. სომეხი ისტორიკოსი მოსე კალანკატუელი საინტერესო ცნობას გვაწვდის VII საუკ. დამდეგის თბილისის ეკონომიური მდგომარეობის შესახებ: ხაზარებმა, — ამბობს მოსე კალანკატუელი, — „გარემოიცვეს ნ ე ბ ი ე რ ი, მ ო ვ ა ჭ რ ე, ს ა ხ ე ლ ო ვ ა ნ ი დ ი დ ი

ქალაქი თბილისი"... ქალაქის აღების შემდეგ, განაგრძობს იგი, ჯერ მოსახლეობა გაჟლიტეს და შემდეგ „ხელი მიჰყვეს საგანძურებს. მთელი სიმრავლე მძიმედ დატვირთული მეომრებისა მიდიოდა თავის ბატონთან და მიჰქონდათ ნადავლის ზვინები და ხვავები. იმდენი მოჰყარეს, რომ თვალს წყალი ელეოდა ოქროსა და ვერცხლის ქანქარების უთვალავი რაოდენობის ცქერაში. ენით უთქმელია თვალმარგალიტით მოოქვილ, საეკლესიო, სამკაულ-სამსახურებელის ამბავი, რომელიც წაიღესო". ქალაქის გაძარცვის შემდეგ ხაზარებს ნადიმზე ხშირად ჰქონდათ მოოქროვილი ვერცხლის თასები და სასმისები, რომელიც თბილისურ ნადავლიდან ყოფილა წამოღებული.

როგორც ვხედავთ, მეზობლებში VII საუკ. დამდეგისათვის თბილისი უკვე „ნებიერ, მოვაჭრე, სახელოვან დიდ ქალაქად" იყო ცნობილი. ამ სახელოვან ქალაქს, მართლაც, უამრავი ქონება ჰქონია; ქალაქის სიმდიდრეზე განსაკუთრებით აქ მოხსენებული „ოქროსა და ვერცხლის ქანქარების (ფულის ერთეულების) უთვალავი რაოდენობა" მიგვითითებს.

ხაზართა და ბიზანტიელთა ლაშქრობამ ქ. თბილისის შემდგომი ეკონომიური დაწინაურება მხოლოდ დროებით შეაფერხა.

VIII—X საუკუნეები საქართველოს ისტორიაში მრავალი მნიშვნელოვანი მოვლენით აღინიშნება. სოციალური ურთიერთობის თვალსაზრისით, ეს საუკუნეები ქართული ფეოდალიზმის შემდგომი განვითარების საუკუნეებია. ამ დროისათვის საქართველოს ტერიტორიაზე ახალი ფეოდალური სამეფო-სამთავროები წარმოიშობა. ეს საუკუნეები მნიშვნელოვანია აგრეთვე ახალი საგარეო ურთიერთობის დამყარების თვალსაზრისითაც. ამ დროისათვის დამყარდა არაბთა მფლობელობა აღმოსავლეთ საქართველოში. არაბებს საქართველოს ეკონომიურ ცხოვრებაზე მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდათ.

არაბთა ლაშქრობებმა VII საუკ. მეორე ნახევრიდან გაამძაფრა საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა, ხოლო შემდეგ არაბთა მფლობელობის დამყარებამ და მასთან დაკავშირებით არა ერთმა გამანადგურებელმა ლაშქრობამ და მძიმე ხარკმა ქვეყნის ეკონომიური წინსვლა ერთხანს საგრძნობლად შეაფერხა. განსაკუთრებით ქართლი და ქ. თბილისი დაზარალდა. მაგრამ ეს დროებითი მოვლენა იყო.

მას შემდეგ, რაც თვით არაბებში დაიწყო ფეოდალიზაციის

პროცესი და თბილისის საამიროც ცალკე ფეოდალურ ერთეულად იქცა, მისმა მეზობელმა ქართულმა ფეოდალურმა სამეფო-სამთავროებმა თავისუფლად ამოისუნთქეს და არაბებთან, ხშირ შემთხვევაში, კეთილმეზობლური ურთიერთობა დაამყარეს. მალე ქალაქი თბილისი, მთელი საქართველო, აქტიურად ჩაება ომაიადების დროიდან განვითარებულ მსოფლიო ვაჭრობაში. ეს აიხსნება არა მარტო ამ დროისათვის მსოფლიო ვაჭრობის განვითარებით, არამედ VIII საუკუნისათვის წარმოშობილ საქართველოს სამეფო-სამთავროთა შემდგომი ეკონომიური დაწინაურებით.

არაბთა მფლობელობის დამყარების პირველ ხანებში განსაკუთრებით გაძლიერდა თბილისი, რომელიც არაბებმა ჩრდილოეთის მთავარ დასაყრდენ სამხედრო პუნქტად, ბიზანტიის იმპერიის საწინააღმდეგო ფორპოსტად აქციეს. მაგრამ, თბილისს არაბებისათვის მარტო სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა კი არა ჰქონდა, არამედ ეკონომიურიც. ამას ისიც ადასტურებს, რომ თბილისში არაბებმა უკვე VIII საუკ. დამდეგს საკუთარი, „თბილური“ ფულის მოჭრა დაიწყეს. თბილისში მოჭრილი ფული ამ ქალაქის მსოფლიო ვაჭრობაში ჩაბმის ერთერთი გამომხატველი იყო.

არაბთა მფლობელობის დროს თბილისისა და აღმოსავლეთ საქართველოს ზოგი სხვა ქალაქის დაწინაურება უკავშირდება აგრეთვე საერთაშორისო ვაჭრობის სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ, მტკვრის აუზში გადანაცვლებას და მეორეს მხრით, ჩრდილოეთის ქვეყნებთან (ხაზარებთან, სლავებთან) ვაჭრობის აღორძინებას. ჩრდილოეთთან VIII საუკუნეში დაწყებულ ვაჭრობაში, რომელიც განსაკუთრებით IX—X საუკუნეებში განვითარდა, ამიერკავკასიის სხვა ქალაქებთან შედარებით უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თბილისს. ამიტომ ამ დროისათვის თბილისი, როგორც ეს არაბული წყაროებიდან ჩანს, განსაკუთრებით დაწინაურებულა. აღსანიშნავია, რომ თბილისი და საერთოდ საქართველო სამხრეთ რუსეთთან დამყარებული სავაჭრო ურთიერთობის არა მარტო ხიდი იყო, არამედ აქტიური მონაწილეც. ცნობილია, რომ სამხრეთ საქართველოს ქალაქებმაც კი X საუკუნეში რუსეთის უფრო ჩრდილოეთ რაიონებთანაც დაიჭირეს სავაჭრო კავშირი. შემთხვევითი არ არის, რომ დავით კურაპალატის (გარდ. 1001 წ.) მიერ მოჭრილი ფული ნაპოვნია რუსეთის ჩრდილოეთ რაიონებში და ბალტიკის ზღვის ნაპირებზე. ძალიან შორს გადიოდა თბილისის ზარაფხანაში მოჭრილი ფულებიც. აღსანიშნავია, რომ, ზოგ სხვა არაბულ მონეტებ-

თან ერთად, თბილისში მოკრილი ფულები მიდიოდა ჩრდილო-დასავლეთ ქვეყნებში.

ყოველივე ეს იმის მაუწყებელია, რომ ქ. თბილისს და საქართველოს იმდროინდელ სხვა ქალაქებსაც მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდათ აღმოსავლეთის თუ დასავლეთის, სამხრეთისა თუ ჩრდილოეთის შორეულ ქვეყნებთან და ქალაქებთან.

ზემოაღნიშნულ გარემოებათა წყალობით თბილისი იზრდებოდა ტერიტორიულადაც, ეკონომიურადაც, მოსახლეობის რაოდენობის მხრივაც.

IX საუკუნის შუა წლებში თბილისი მჭიდროდ დასახლებული ქალაქი ყოფილა. არაბი ისტორიკოსის ტაბარის ცნობით, ბუღა თურქის ლაშქრობის დროს თბილისის 50.000-მდე მცხოვრები დაღუპულა. თუ გავითვალისწინებთ აღმოსავლეთის ქალაქთა მოსახლეობის მრავალრიცხოვნობას საერთოდ ამ დროისათვის, ეს ცნობა გაზვიადებულად არ უნდა მივიჩნიოთ. ასე რომ IX საუკ. 50-ან წლების თბილისში 50.000-ზე მეტი მცხოვრები ითვლებოდა. მოსახლეობის ასე დიდი რაოდენობა იმდროინდელი თბილისის სიძლიერის უტყუარი ნიშანია.

ბუღა თურქის გამანადგურებელმა ლაშქრობამ თბილისის შემდგომი დაწინაურება ერთგვარად შეაფერხა. ქალაქი მალე ისევ ფეხზე დადგა და ამიერკავკასიის იმდროინდელ ქალაქთა შორის ერთი პირველი ადგილთაგანი დაიკავა. აღსანიშნავია, რომ X საუკ. სომეხი მწერალი უხტანესი თბილისს კვლავ უწოდებს საქართველოს „დიდებულ დედაქალაქს... განსაცვიფრებლად ნაგებს, საუცხოოსა და საკვირველს“. იმდროინდელი თბილისის სიძლიერეზე მოგვითხრობენ არაბული საისტორიო წყაროებიც. მაგალითად, არაბი გეოგრაფი ისთახრი X საუკუნის პირველი ნახევრის თბილისზე მოგვითხრობს: „თბილისი დარუბანდზე ნაკლებია. სიმდიდრით სავსე ადგილია, მრავალ ხილიან-ნათესებიანი, მრავალგვარი საქონელი და თაფლი მტკვრით მიაქვთ იქიდან. აქვს თბილი წყლები... მთელს არანში ბარდავზე, დარუბანდზე და თბილისზე უფრო დიდი ქალაქი არ არსებობსო“. ამ ცნობის მიხედვით, თბილისი სიმდიდრით სავსე ქალაქია, რომელსაც მრავალგვარი საქონელი და სხვა ნედლეული გაჰქონდა მტკვრით და სახმელეთო გზით სხვადასხვა მეზობელ ქვეყნებში. განსაკუთრებით ნიშანდობლივია მითითება იმაზე, რომ თბილისიდან სავაჭრო საქონელი გაჰქონდათ მტკვრით. ამისათვის კი, როგორც ეს ქართული წყაროების ცნო-

ბებიდან ჩანს, მტკვარზე საგანგებო ნავები იყო. ასე მაგალითად, როცა ბაგრატ IV-ის მიერ შევიწროებულ თბილისის ამირა ჯაფარს გაუჭირდა და გაქცევა გადაწყვიტა, ტივები და ნავები მოამზადა, რომ ღამით მტკვრით გაპარულიყო.

X საუკ. თბილისის სიმდიდრეზე მოგვითხრობს აგრეთვე ერთ-ერთი იმდროინდელი არაბული გეოგრაფიული თხზულება. იქ ნათქვამია: „თბილისი დიდი, აყვავებული ქალაქია, მაგარი, გაშენებული და ძრავალი სიმდიდრის მქონე“.

X საუკ. 80-ან წლების არაბი ვაჭარი და გეოგრაფი იბნ ჰაუკალი, რომელსაც გადაუმუშავებია ზემოხსენებული ისთახრის გეოგრაფიული თხზულება, თბილისის შესახებ წერდა: „თბილისი ნაყოფიერი და გამაგრებული ქალაქია. იქ უხვად მოიპოვება პროდუქტები, რომელთა ფასი იაფია. თავისი კეთილმდგომარეობით, იგი სჯობს სხვა მდიდარ სახელმწიფოებს. მე მითხრა ერთხელ თაფლის მყიდველმა, რომ მან 20 გირვანქაზე მეტი თაფლი ერთ დირჰემად (დაახლოებით 20 კაპ. შ. მ.) იყიდა... ქალაქი მდინარე მტკვრის ნაპირებზე მდებარეობს. ხორბალს წყლის წისქვილებში ფქვავენ... თბილისში უცხოელთათვის უშიშროება და სტუმართმოყვარეობა სუფევს; იქ ყველას, მათთან შემთხვევით მოსულს, მეგობრულად ექცევიან, ვისაც კი ოდნავი გამჭრიახობა და დამოკიდებულება აქვს განათლების საგნებისადმი“.

* * *

საქართველოს ცალკეული სამეფო-სამთავროების გაერთიანებამ და ერთიანი ცენტრალისტური ხელისუფლების შექმნამ დაარღვია მანამდე არსებული ფეოდალური ჩარჩოები და საქართველოს ცალკეული კუთხეები ერთმანეთს მჭიდროდ დაუკავშირა. შეიქმნა საერთო პირობები ქვეყნის ეკონომიური დაწინაურებისათვის — სოფლის მეურნეობისა და ხელოსნური წარმოების შემდგომი განვითარებისათვის, რაც საწინდარი იყო საქალაქო ცხოვრების განსაკუთრებული აყვავებისა. თბილისი, თუმცა ჯერ კიდევ მაჰმადიან მფლობელთა ხელში იყო, მაგრამ მაინც აქტიურად ერეოდა ქვეყნის საერთო ეკონომიურ აღმავლობაში. თბილისის მოვაჭრე ფენა განუყრელად იყო დაკავშირებული გაერთიანების პროცესში მყოფ საქართველოსთან. ყოველივე ეს კი, კიდევ უფრო აძლიერებდა ქა-

ლაქს. აღსანიშნავია, რომ თბილისი XI საუკუნის 60-ანი წლებიდან საქართველოს მეფეს ყოველწლიურად საკმაოდ დიდი რაოდენობის თანხას, 44.000 დრაჰკანს უხდიდა, როგორც ყმადნაფიცი ქალაქი.

თბილისის ფართო მოსახლეობისათვის მაჰმადიანთა პოლიტიკური ბატონობა მიუღებელი ჩანდა. ამიტომ ბაგრატ IV-ს მოქალაქეთა წარმომადგენლებმა, „ქალაქის ბერებმა", ორჯერ გადასცეს თბილისი. მათი ამგვარი მოქმედება ქალაქის შემდგომი წინსვლის უზრუნველყოფას ისახავდა მიზნად.

თბილისის განთავისუფლება, როგორც აღვნიშნეთ, მხოლოდ დავით აღმაშენებლის დროს გახდა შესაძლებელი. ამიერიდან თბილისი განვითარებული ფეოდალური ქვეყნის, წინა აზიის უძლიერესი სახელმწიფოს ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ცენტრი გახდა. ამის შემდეგ იწყება ქალაქის ნამდვილი აყვავების ხანა.

საქართველოს სამეფო, ამ დროისათვის ზღვიდან ზღვამდე გადაჭიმული, ფლობდა უმნიშვნელოვანეს სავაჭრო გზებს, რომლებიც მას ინდოეთთან, სამხრეთის მაჰმადიანურ ქვეყნებთან, მეზობელ სომხეთთან, ბიზანტიასთან და ჩრდილოეთით კი რუსეთთან აკავშირებდა. მეზობელ ქვეყნებთან სავაჭრო-კულტურული ურთიერთობის ცენტრი თბილისი იყო. საქართველოს სამეფო ყოველნაირად ზრუნავდა არსებულ სავაჭრო ურთიერთობათა კიდევ უფრო განმტკიცებისათვის. ამ მიზანს ისახავდა დავით აღმაშენებლის მიერ გაუვალი გზების შეკეთება, მდინარეებზე ხიდების აშენება, სავაჭრო გზებზე ფუნდუკების (სასტუმრო სახლების) აგება და სხვა. კეთილმოწყობილი გზები ხომ აუცილებელი პირობა იყო ვაჭრობის განვითარებისათვის, ერთი კუთხის მეორესთან დაახლოებისათვის. მდინარეებზე გადებული ხიდები კი მოვაჭრეთა ქარავნების შეუფერხებლად მიმოსვლას აადვილებდა. სასტუმრო სახლები, ფუნდუკები, სადაც მოგზაურთა დასვენება-ღამისთევა უფასო იყო, უცხო ქვეყნებში ხშირად მოსიარულე ვაჭარ-მოგზაურებს ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა.

დავით აღმაშენებლის მემკვიდრენიც ამგვარადვე ზრუნავდნენ ვაჭრობის შემდგომი განვითარებისათვის: თამარ მეფეს კიდევ უფრო გაუდიდებია სავაჭრო გზის პირზე სასტუმრო სახლების რაოდენობა.

როცა დავით აღმაშენებელმა თბილისი აიღო, აქაური ვაჭრები, განსაკუთრებით დიდ-ვაჭრები, ჯერ კიდევ მაჰმადიანთაგან იყვნენ,

ე. ი. იმათგან, რომელთაც საუკუნეების განმავლობაში ეპყრათ ქალაქი. ამათ გარდა აქ ქართველი, სომეხი და ებრაელი ვაჭრებიც მოქმედებდნენ, მაგრამ ქალაქის მთელი ეკონომიური ცხოვრება მაინც ძირითადად მაჰმადიან ვაჭართა ხელში იყო. მათი შეიწროება-განადგურება იმდროინდელ საერთაშორისო ვაჭრობაში თბილისის როლის დაცემას ნიშნავდა. ამიტომ მეფე, როგორც კი მან ქალაქი საბოლოოდ დაიმორჩილა, ლმობიერად მოეკცა მაჰმადიან მოქალაქეებს, მათ გარკვეული უპირატესობები მიანიჭა, გაუადვილა ცხოვრების პირობები და ისე შეუწყო ხელი ვაჭრობის შემდგომ დაუბრკოლებელ განვითარებას, რომ მაჰმადიანებმა თავისუფლება იგრძნეს. თვით მაჰმადიანი ისტორიკოსი აღტაცებით წერდა: „ერთი სიტყვით, მაჰმადიანებს ის (დავით აღმაშენებელი, შ. მ.) უფრო პატივსა სცემდა, ვიდრე თვით მაჰმადიანთა მეფენი“. დავით აღმაშენებლის ამგვარი ღონისძიებანი კიდევ უფრო ზრდიდა თბილისის როლს წინა აზიის ქალაქებში. ხოლო თბილისის საქართველოს სამეფოსთან შეერთება, აქ სახელმწიფო აპარატის თავმოყრა, სამეფო საფინანსო დაწესებულებათა გადმოტანა ზურგს უმაგრებდა ქართველ მოსახლეობას და ამტკიცებდა მის მონაწილეობას ქალაქის ეკონომიურ ცხოვრებაში.

XII—XIII საუკ. თბილისს მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა მეზობელ ქალაქებთან. ათასგვარი საქონლით დატვირთული მრავალი ქარავანი შემოდიოდა თბილისში მეზობელი და შორეული ქალაქებიდან. ასევე ქარავნები გადიოდა თბილისიდანაც. მაგრამ რა საქონელი შემოჰქონდათ საქართველოში?

სხვადასხვა სახის არა პირდაპირი წყაროებიდან ირკვევა, რომ საქართველოში, პირველ რიგში მის დედაქალაქში, საქოხელი მოჰქონდათ არაბეთიდან, ირანიდან, ბიზანტიიდან, სომხეთიდან, ეგვიპტიდან და სხვა ქვეყნებიდან. ასე მაგალითად, XI—XIII საუკუნეების მასალების მიხედვით, ბაღდადიდან და სხვა მაჰმადიანური ქალაქებიდან შემოჰქონდათ სხვადასხვა სახის ბაღდადური ქსოვილები, ოქროქსოვილები, რომელთაც „ზარქაშს“ ეძახდნენ, ნელსაცხებლები და სურნელოვანი ნივთიერებანი — ბალასინი, (ბალზამი) მუშკი, ქაფური და სხვა, ცხენის აკაზმულობა თათრული (მაგ, სადაფით. შემკული აღვირები), შაქარი, ძვირფასი თვალმარგალიტი — ლალი, იაგუნდი, ფირუზი, სადაფი, ბროლი და სხვა. ამავე ქვეყნებიდან ზოგჯერ ზოდებით ოქრო და ფოლადიც კი შემოუტანიათ.

ბიზანტიიდან შემოჰქონდათ სხვადასხვა სახის ქსოვილები, რო-

მელთაც მაშინ, სხვა ქვეყნიდან შემოტანილ ქსოვილებისაგან განსასხვავებლად, „ბერძნულს“ უწოდებდნენ, ოქროქსოვილი, სამღვდელთმსახურო, საეკლესიო ნივთები — ხატები, სურათები და სხვ.

წითელი ძვირფასი ფარჩეული მოჰქონდათ სომხეთიდანაც და მათ ზოგადად „სომხურ ტაბასტას“ უწოდებდნენ.

იმდროინდელ საქართველოს უფრო შორეული ვაჭრობაც უწარმოებია. ასე მაგალითად, საუკეთესო მატყლი ვაჭრებს ქალაქ ალექსანდრიიდან (ეგვიპტე) მოჰქონდათ. თამარის ისტორიკოსი სხვათა შორის მოგვითხრობს: თამარმა „დაიწყო ალექსანდრიიდან ვაჭრების მიერ შემოტანილი მატყლისაგან სამოსლის მოქსოვაო“ საქართველოს სამეფოდან მეზობელ ქვეყნებში ბამბა, მატყლი, აბრეშუმი, ტანისამოსი, ხალიჩები, ქურქები, ოქროქსოვილი, ნავთი და სხვა გაჰქონდათ აქლემებითა და გემებით.

ცხადია, საქართველოს მიერ წარმოებული საგარეო ვაჭრობის უმთავრესი ცენტრი ქალაქი თბილისი იყო. თბილისი იყო საქართველოს საშინაო ვაჭრობის ცენტრიც. XII—XIII საუკ. საქართველოში, ფეოდალური ხანის კვალობაზე, საშინაო ვაჭრობა გაცხოველებული იყო. „საქართველოში, — წერდა ივ. ჯავახიშვილი X—XIII საუკ. შესახებ, — არ მოიძებნებოდა ისეთი საგანი, რომელიც ბაზარზე არ ტრიალებდა, რომელიც სოფლადაც კი არ გაყიდულიყოს“. X—XIII საუკუნეებში ჰყიდიდნენ ცხენს, უნაგირს, ლაგამს, სხვადასხვა სახის სამოსელს, ქვაბს, ხარის ტყავს, ქალამანს, საამშენებლო მასალას — ქვიშას, კირს, სამეურნეო იარაღებს — სახნისს და სხვ.

საშინაო და საგარეო ვაჭრობის დაწინაურების მთავარი პირობა სოფლის მეურნეობისა და ხელოსნური წარმოების განვითარება იყო. ხელოსნური წარმოების ცენტრებს საქართველოს ქალაქები შეადგენდნენ.

X—XIII საუკუნეების თბილისი იყო არა მარტო ვაჭრობის, არამედ ხელოსნური წარმოების ცენტრიც. აქ განვითარებული იყო ხელობის ყოველი დარგი, რაც კი საერთოდ ცნობილია შუასაუკუნეებში საერთოდ.

ამ საუკუნეების თბილისის ხელოსნური წარმოების ერთ-ერთ დარგს მეჭურჭლეობა, ჭურჭელთა კეთება წარმოადგენდა. მეჭურჭლე ხელოსნები უკვე შუა საუკუნეებში სხვადასხვა სპეციალურ ჯგუფებად იყვნენ დანაწილებულნი. ასე მაგალითად, ცალკე იყო ხის ჭურჭლის ანუ, როგორც მაშინ იტყოდნენ „ძელის ჭურჭლის“ მკეთებელნი. თიხის ჭურჭლის მკეთებელნი კი „მეკეცეებად“

იწოდებოდნენ. ცალკე იყვნენ აგრეთვე სპილენძის, ვერცხლის და სხვა ლითონის ჭურჭელთა მკეთებელნი.

თბილისში უკანასკნელ ხანებში წარმოებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა, როგორც ეს ზემოთაც იყო აღნიშნული, მეკეცეობის განვითარების შესახებ მნიშვნელოვანი მასალები მოგვაწოდა. XII—XIII საუკუნეებში თბილისი, როგორც ეს მეკეცე ხელოსანთა უბნის აღმოჩენამ დაადასტურა, კერამიკული წარმოების მნიშვნელოვანი ცენტრი ყოფილა. აქ უწარმოებიათ არა მარტო თიხის უბრალო, არამედ მხატვრული კერამიკის საუცხოო ნიმუშები — მოჭიქული ჭურჭელი. აქ აღმოჩენილ 6 ქურაში უწვავთ და უმზადებიათ უმთავრესად ჭიქურით, სხვადასხვა ქიმიური შემადგენლობის მინისებრი ნივთიერებით დაფარული ჭურჭლები. თბილისში დიდი რაოდენობით დამზადებული სხვადასხვა სახის თიხის ჭურჭელი მარტო თვით ქალაქის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად როდი იყო გამიზნული. თბილისიდან იგი საქართველოს სხვა ქალაქებში, შესაძლებელია მეზობელ ქვეყნებშიც, გაუტანიათ. აღსანიშნავია, რომ ამ საწარმოოში ჭურჭელს გარდა, მოჭიქული კრამიტები და შენობათა პერანგების სადეკორაციო დეტალები, ე. წ. შორენკეცებიც უწარმოებიათ. მეკეცეობის ეს დარგიც, მეკრამიტეობა-მეაგურეობა, შუა საუკუნეების თბილისში აგრეთვე განვითარებული იყო.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა თბილისის ხელოსნურ წარმოებაში მინის ჭურჭლის კეთებას.

ჭურჭლეულობის მკეთებელ ხელოსანთა გარდა თბილისში იყვნენ მ ქ ს ო ვ ე ლ ნ ი ც, რომელნიც მატყლის, აბრეშუმის, სელისა და სხვა. ძაფთაგან სხვადასხვა ლარს (ფართლეულს) აქმადებდნენ. ხელოსნური წარმოების ამ სახის განვითარებას აღნიშნავს მარკო პოლოც, იგი წერს: „თბილისში აკეთებენ აბრეშუმისა და მრავალ სხვა ქსოვილსო“. მოქსოვილ ლარს ტანსაცმლის ფორმას აძლევდა, ე. ი. გამოჭრიდა და შეკერავდა, მკერვალი. ტანსაცმლის მკერვალი ხელოსნებიც ცალკე იყვნენ შუა საუკუნეების თბილისში. ცალკე იყვნენ აგრეთვე მეფეხსაცმელე ხელოსნები, ანუ „მეხამლენი“. ამგვარ ხელოსნებს XI—XIII საუკუნეებში ხარაზებსაც უწოდებდნენ. დამოუკიდებელსა და ძველიდანვე განვითარებულ დარგს თბილისში შეადგენდა მეტყავეობა, ტყავის დამზადება. თბილისის გოგირდ-ტუტოვანი წყაროები ხელსაყრელ პირობებს ქმნიდნენ ხელობის ამ სახის განვითარებისათვის. მეტყავე ხელოსანს X—XIII საუკუნეებში „მეპატრაკეს“ უწოდებდნენ, გვიანფეოდალურ თბილისში კიდევ „დაბაღს“.

მჭედლები შუა საუკუნეების თბილისში, სპეციალობის მიხედ-

ვით, რამდენიმე ცალკეულ ჯგუფად ნაწილდებოდნენ. ცალკე იყვნენ რკინის, სპილენძის და სხვა მსგავს ლითონთა მჭედლები. ამათგან ზოგი სამეურნეო იარაღს აკეთებდა, ზოგი — საომარს და სხვ. იმ ხელოსან მჭედელს კი, რომელიც უმთავრესად ოქროსა და ვერცხლის ნივთებს აკეთებდა და ერთობ ამ მასალაზე მუშაობდა, ოქრომჭედელი ეწოდებოდა. ოქრომჭედლების საქმეს შეადგენდა აგრეთვე ძვირფას თვალთა დამუშავება და ამა თუ იმ ნივთის „პატიოსანი თვლებით“ შემკობა.

ზემოხსენებული ხელობის გარდა, თბილისში განვითარებული იყო აგრეთვე ავეჯის კეთება, მენელსაცხებლობა, მეპურეობა, მხატვრობა, მწიგნობრობასთან დაკავშირებული ხელობანი — ეტრატისა და ქაღალდის დამზადება, გადაწერის ხელობა, წიგნთა შეკერვის ანუ აკინძვის ხელობა და სხვ. განსაკუთრებით განვითარებული იყო თბილისში საამშენებლო ხელობა. ხელოსნობის ეს დარგი რამდენიმე ცალკეულ ჯგუფად ნაწილდებოდა. ცალკე იყვნენ „ხით ხურონი“ და „კირით ხურონი“ ანუ კალატოზები. „ხით ხურონი“ ხის შენობათა აგებას აწარმოებდნენ, კალატოზებს კიდევ ქვითკირის ნაგებობებთან ჰქონდით საქმე.

როგორც ვხედავთ, თბილისში ხელობის თითქმის ყოველი დარგი იყო ცნობილი. ცალკეული დარგების კიდევ სხვადასხვა სპეციალობებად დაყოფა ხელოსნური წარმოების განვითარების დამადასტურებელია. შუა საუკუნეების თბილისში ხელოსნური წარმოების მაღალ დონეს გვიდასტურებს აგრეთვე დღემდე შემორჩენილი თბილისური კერამიკის, ოქრომჭედლობის, ხუროთმოძღვრების და სხვ. ლირსშესანიშნავი ძეგლები.

როგორც ვხედავთ, XII – XIII საუკუნეების თბილისი არა მარტო დიდი მოვაჭრე ქალაქი, არამედ ხელოსნური წარმოების მნიშვნელოვანი ცენტრიც იყო. განვითარებული ვაჭრობა-ხელოსნობა ქალაქის სიმდიდრის წყარო იყო. თბილისი საშინაო და საგარეო ვაჭრობით, განვითარებული ხელოსნური წარმოებით ყოველწლიურად დიდ შემოსავალს აძლევდა მის მფლობელს, საქართველოს მეფეს. თამარის ისტორიკოსი, რომელსაც სურდა საგანგებოდ აღენიშნა ქართველი ლაშქრის მიერ მოპოვებულ გამარჯვებათა მრავალრიცხოვნება, სიამაყით აღნიშნავდა, რომ იმდენად ბევრი მახარობელი მოდიოდა მეფესთან, რომ მათ დასასაჩუქრებლად „დიდად სახელგანთქმულისა ქალაქისა ტფილისისა“ წლიური შემოსავალიც კი არ იყო საკმარისიო.

XII—XIII საუკ. თბილისის სიდიდის წარმოსადგენად განსაკუთ-

რებული მნიშვნელობა ექნებოდა მოსახლეობის რაოდენობის გარკვევას. მაგრამ, სამწუხროდ, საამისო სარწმუნო ცნობა არ მოგვეპოვება. აღსანიშნავია, რომ XIV საუკ. ქართველი ისტორიკოსის ეამთააღმწერელის ცნობით, ჯალალედინის ლაშქრობის დროს, როგორც ზემოთ აღინიშნა, თბილისში ამოწყვეტილ იქნა 100.000 სული. თუ ამ ცნობას დავუჯერებდით, XIII საუკ. დამდეგის თბილისში, რაკი მტრის შემოსევის დროს ყველა არ შეიძლებოდა დახოცილიყო, 100.000-ზე მეტი მცხოვრები მაინც უნდა ყოფილიყო. ასე, რომ ეს ციფრი გადამეტებული ჩანს. ამას გარდა, ჯალალედინის ლაშქრობის დროს თბილისის ციხე-სიმაგრეებს მეზობელ სოფელთა მცხოვრებნიც აფარებდნენ თავს და ამოწყვეტილთა შორის ალბათ ისინიც ივარაუდებოდნენ. ყოველივე ამის გამო, როგორც ზოგი ისტორიკოსი ფიქრობს, XII—XIII საუკუნეებში თბილისის მოსახლეობა 70-80000-ზე მეტი არ უნდა ყოფილიყო. ეს კი ადრე შუა საუკუნეების ფეოდალური ხანის ქალაქისათვის უმნიშვნელო ციფრი როდია.

ვენეციელი მარკო პოლო, რომელიც აღმოსავლეთის ქვეყნებში დიდხანს მოგზაურობდა, XIII საუკ. თბილისის შესახებ წერდა: „ამ ქვეყანაში (საქართველოში, შ. მ.) არის მშვენიერი ქალაქი, სახელწოდებით თბილისი, რომელიც გარშემორტყმულია გარეუბნებითა და მრავალი ციხე-სიმაგრით. მცხოვრებლები, ქართველები და სომხები ქრისტიანები არიან, არის აგრეთვე რამდენიმე მაჰმადიანი და ებრაელი... აქ აკეთებენ აბრეშუმისა და მრავალ სხვა ქსოვილსო". ამ ცნობაში „მშვენიერი ქალაქი თბილისის" მრავალ გარეუბანზე მითითება იმას მოწმობს, რომ ქალაქი უაღრესად განვითარებული ყოფილა, როგორც დასახლებული პუნქტი და ეკონომიური ცენტრი.

თბილისის გაცხოველებული საშინაო თუ საგარეო ვაჭრობა, ხელოსნური წარმოების მაღალი დონე, მოსახლეობის დიდი რაოდენობა, ქალაქის ტერიტორიის ზრდა, ახალი უბნებისა და გარეუბნების გაჩენა ერთხელ კიდევ ადასტურებს ქართველი ისტორიკოსის ზემომოტანილ ცნობას, რომ XII—XIII საუკუნეების თბილისი მახლობელ აღმოსავლეთის ერთ-ერთი უძლიერესი და მართლაც „დიდად სახელგანთქმული ქალაქი" იყო.

2. თბილისის ეკონომიური მდგომარეობა XIV—XVIII საუკუნეებში

თბილისის ეკონომიური განვითარების შეფერხებაში, მის თანდათან დაქვეითებაში დიდი როლი ითამაშა ჯერ ხვარაზმშაჰის ჯალალედინის შემოსევებმა და შემდეგ კიდევ მონღოლთა ლაშქრო-

ბებმა და მათმა საუკუნოვანმა ბატონობამ. ჯალალედინმა, როგორც ზემოთ ითქვა, არა ერთხელ ააოხრა და გადაწვა თბილისი. ასევე გამანადგურებელი იყო მონღოლთა შემოსევებიც. ყოველივე ეს ამცირებდა ქალაქის ფართო მოსახლეობას—ვაჭრებსა და ხელოსნებს, მათ ქონებრივ შესაძლებლობას, რაც თავისთავად ქალაქის, როგორც სავაჭრო-სახელოსნო ცენტრის, განადგურებას ნიშნავდა. მაგრამ დამპყრობლები ამით როდი კმაყოფილდებოდნენ. მონღოლების საგადასახადო სისტემამ და ბეგარამ თბილისის მოსახლეობა გაღატაკებამდე მიიყვანა. უცხოელ დამპყრობლებს ქართველი ბეგატონნეებიც ამოუდგნენ გვერდში და ერთიანი ძალით ძარცვავდნენ ქალაქის მოსახლეობას. აი რას მოგვითხრობს მონღოლთა ბატონობის თანამედროვე სომეხი ისტორიკოსი კირაკოს განძაკელი მონღოლთა და ქართველ ფეოდალთა მძარცველური მოქმედების შესახებ: „ერთ დროს აყვავებული საქართველოს სამეფო დაცემისაკენ გადაიხარა... აზნაურები და დიდებულები ძარცვავდნენ და ყვლეფდნენ ღარიბებს. და ამ ნადავლით თავიანთთვის იძენდნენ ძვირფას ტანსაცმელს, მით იმოსებოდნენ, ჭამდნენ, სვამდნენ და ქედმაღლურად მოჰქონდათ თავი... დაიპყრეს რა მონღოლებმა თბილისი, მოითხოვეს შესაძლებელზე მეტი გადასახადები, და ამით მიიყვანეს რა მოსახლეობა სიღატაკემდე, მონღოლებმა დაიწყეს მათი შევიწროებით წამება და ტანჯვა; გაქცეულებს იჭერდნენ და კლავდნენ. იმათ, ვისაც არ შეეძლო გადასახადთა გაღება, ართმევდნენ ბავშვებს... და აზნაურებიც, კუთხეთა გამგებლები, ეხმარებოდნენ მათ წამებასა და გამოძალვაში, თვით კი მდიდრდებოდნენ. ამით დაუკმაყოფილებელმა მონღოლებმა გააწერეს განსაკუთრებული გადასახადი ყველა ხელოსანს, — ქალაქად და სოფლად, — მეთევზეებს, მემადნეებს, მჭედლებს და შაბის მკეთებლებს... ასევე ამოქაჩეს რა ვაჭრებისაგან მათი სიმდიდრეც, მონღოლებმა თავი მოუყარეს ოქროს, ვერცხლისა და ძვირფასი ქვების უამრავ განძეულობას“.

გასაგებია, თუ როგორ შეუწყობდა ხელს მონღოლთა ამგვარი პოლიტიკა საერთოდ საქართველოს ქალაქებისა, კერძოდ კი თბილისის, ვაჭრობა-ხელოსნობის დაცემას.

დემეტრე II შეეცადა მონღოლთა მიერ აოხრებული ქვეყანა აღედგინა. მის ამგვარ ცდას ერთგვარი შედეგიც მოჰყოლია. დემეტრეს საამშენებლო მოღვაწეობა თბილისსაც შეეხო. თბილისი თანდათან აღდგენას იწყებდა. მისი დაუშრეტელი სიმდიდრე ჯერ

კიდევ გამოულეველი იყო, ქალაქის სახელიც ჯერ კიდევ წინანდებურად გაისმოდა საქართველოს საზღვრებს იქითაც — იგი „სახელგანთქმულ და დიდ სატახტო ქალაქად“ იყო მიჩნეული. სომეხი სწავლული, ფილოსოფოსი და პოეტი იოანე ერზინკაელი, რომელიც 1284 წ. ესტუმრა თბილისს, აღნიშნავდა: „მოგვიხდა შემთხვევა ჩავსულვიყავით... ქართველთა სამეფოში, სახელგანთქმულ დიდ სატახტო ქალაქში, ისტორიული წიგნებით ფაიტაკარანად ცნობილ, თბილისშიო“.

გიორგი ბრწყინვალის დროს საქართველოში მონღოლთა ბატონობის მოსპობით და სამეფოს მთლიანობის აღდგენით გამოწვეული ქვეყნის საერთო ეკონომიური დაწინაურება XIV საუკუნის დამდეგისთვის, თბილისსაც კიდევ უფრო დაეტყო. იგი ისევ მახლობელ აღმოსავლეთის ერთ-ერთი უდიდესი ქალაქია. თბილისი, XIV საუკუნის 30-ანი წლების უცხოური ცნობით, „საუკეთესო, ხალხმრავალი, კეთილმოწყობილი, მდიდარი, განთქმული და შესანიშნავი ქალაქი“ იყო.

თუ XIV საუკ. დამდეგი თბილისის ერთგვარი აღდგენის ხანა იყო, ამავე საუკუნის დასასრულს თბილისს თავს დაატყდა უდიდესი კატასტროფა. თემურ-ლენგის რვაჯერ შემოსევამ საქართველოს დიდი ეკონომიური ზარალი მიაყენა. ქვეყნის ეკონომიური განადგურება ქალაქსაც ძლიერ დაეტყო.

XV საუკუნიდან თბილისის დაცემას ხელი შეუწყო აგრეთვე საქართველოს ერთიანი სამეფოს პოლიტიკურმა დაშლამ. ქვეყნის სამეფოებად დანაწილებამ კიდევ უფრო განამტკიცა ფეოდალური კარჩაკეტილობა, ნატურალური მეურნეობა. XV საუკუნე საგარეო ურთიერთობის თვალსაზრისით სხვა მოვლენებითაც აღინიშნა თბილისისათვის: 1453 წ. ოსმალების მიერ კონსტანტინეპოლის აღებამ საქართველო მოსწყვიტა კულტურულ მსოფლიოს, უმთავრესი საგაჭრო გზები გადაიკეტა. დაეცა აღებ-მიცემობა და ხელოსნური წარმოება. ზოგი ქალაქი სავსებით გაქრა, ზოგმა კიდევ თავისი პირვანდელი მნიშვნელობა დაკარგა. ყოველივე ამან დიდად დააქვეითა თბილისის საქალაქო ცხოვრება. ეს უცხოელ მოგზაურთა ცნობებიდანაც ჩანს. ვენეციელი კონტარინი, რომელიც 1475 წ. იყო საქართველოში, წერდა: „წინათ იგი (თბილისი, შ. მ.) სახელგანთქმული იყო თავისი სიდიდით, ამჟამად კი დანგრეულიაო“. აღსანიშნავია, რომ კონტარინის დროს თბილისს ერთგვარი გამოცოცხლებაც ეტყობოდა. მისი სიტყვით, ქალაქს „საკმაოდ კარგი

ციხე ჰქონია", დანგრევას გადარჩენილი ქალაქის ნაწილებიც კარგად დასახლებული ყოფილა. მაგრამ თბილისს შემდგომი აღორძინების შესაძლებლობა აღარ მიეცა. XVI საუკუნემ ისევ ნგრევა და აოხრება მოუტანა. იგი ირანისა და ოსმალეთის გამუდმებული ბრძოლის ასპარეზად გადაიქცა. ქართლის მეფეებს, ლუარსაბ I სა და სიმონ I-ს, არა ერთი ბრძოლა უწარმოებიათ ოსმალთა და ირანელთა ხელიდან თბილისის დახსნისათვის. გამუდმებული ბრძოლა თბილისისათვის XVII საუკუნის 30-ან წლებამდე გაგრძელდა. ქალაქს განვითარების ყოველგვარი შესაძლებლობა თითქმის მოესპო და იგი დაქვეითების გზას დაადგა. უცხოელთა სიტყვით, XVI საუკ. დამდეგს თბილისი მცირე ზომის ქალაქად იქცა. უცხოელი თომა ზო მინადოი XVI საუკ. დასასრულის თბილისის შესახებ წერდა: „სინან ფაშამ მუსტაფა ფაშის დასამცირებლად თბილისის შესახებ თურქეთის სულტანს ცნობები მოაწოდა: მუსტაფა ფაშა (სულტანს) აცნობებდა, რომ თბილისი დამასკოსავით დიდი და მდიდარი ქალაქიაო. ეს სიცრუეა, რადგან თბილისი მცირე ზომის ქალაქია, მცირერიცხოვანი მცხოვრებლებით და ნაგებობებით დამასკოს ვერ შეედრება, არც სიმდიდრით, არც მცხოვრებლების სიმრავლით და ქალაქის ტერიტორიის სიდიდით მასთან ვერ მივაო".

ამ დროისათვის, მართლაც, თბილისის მოსახლეობის რიცხვი საგრძნობლად შემცირებული იყო. თუ რუსი ელჩების ცნობებს დავუჯერებთ, 1597 წლისათვის, ოსმალთა ბატონობის დროს თბილისში მხოლოდ 2000 კომლი ირიცხებოდა. თითოეულ კომლში რომ, დაახლოებით, 5 სული ვივარაუდოთ, მივიღებთ, 10.000. ასე რომ XVI საუკ. დასასრულისათვის თბილისის მოსახლეობა 10.000 სულს არ აღემატებოდა. ამ ცნობიდან კარგად ჩანს, თუ როგორ დაცემულა თბილისის ეკონომიური ძლიერება, თუ როგორ შემცირებულა მისი მოსახლეობა—იგი მართლაც „მცირე ზომის ქალაქად" ქცეულა.

XVII საუკ. დამდეგიდან თბილისი აღმავლობის გზას დაადგა. ამ საუკუნის 30-ანი წლებიდან ქართლის მეფეები ირანის შაჰის ვასალები ხდებიან და ამან მათ სატახტო ქალაქს ერთგვარი სიმშვიდე მოუპოვა. როსტომ მეფის და შაჰნავაზის (ვახტანგ V-ის) მოღვაწეობის დროს ქართლი და მისი ქალაქები აღორძინდა. აღდგა და გამოცოცხლდა ვაჭრობა-ხელოსნობა.

როსტომ მეფემ, როგორც ზემოთ დავინახეთ, საქალაქო ცხოვრების ზოგიერთი მხარეც მოაწესრიგა—მტკიცედ განსაზღვრა ქა-

ლაქში შემოტანილ სხვადასხვა სახის საქონელზე ასაღები ბაჟის რაოდენობა. ეს ხელს უწყობდა ქალაქის შემდგომ ეკონომიურ აღორძინებას. როსტომის ზემოხსენებული საბუთის მიხედვით, იმდროინდელ თბილისში შემოჰქონდათ და გაჰქონდათ აბრეშუმი, სხვადასხვა სახის ფართლეული, ბამბა, სხვადასხვა სახის საწვრილ-მანო, რკინა, მატყლი, თევზი, ყველი სხვა სახის სურსათი და მრავალი სხვა საქონელი.

XVII საუკუნეში თბილისი ისევ აახლებს მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობას მეზობელ ქვეყნებთან; იზრდება მოსახლეობის რიცხვი, ყურადღება ექცევა ქალაქის კეთილმოწყობას, სხვადასხვა ნაგებობათა მშენებლობას და სხვ. აი, რას მოგვითხრობს XVII საუკ. 60-ანი წლების თბილისის შესახებ მისიონერი სერაფინო მელიკოკანელი: თბილისში „განუწყვეტლივ ერთმანეთს ხვდებიან ყოველი მხრის ვაჭრები — სპარსეთიდან, ალეპოდან, სმირნიდან, კონსტანტინოპოლიდან და მთელი საქართველოდან... თუმცა აქ ყველაფერი უხვად არის, აუარებელი ვაჭრებიც არიან და ყოველდღე დატვირთული ქარავნებიც შემოდის, მაგრამ მაინც საქართველოს სხვა კუთხეებთან შედარებით აქ ყველაფერი ძვირიაო“.

თბილისის საგარეო ვაჭრობას, მის სილამაზეს, მოსახლეობის მრავალრიცხოვნობას ხაზს უსვამდა ამავე საუკუნის 70-ან წლებში თბილისში ნამყოფი ფრანგი შარდენიც. მისი სიტყვით, „თბილისი აღმოსავლეთის ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქია, მჭიდროდ დასახლებული. თბილისში უფრო მეტ უცხოელს შეხვდებით, ვიდრე სხვაგან სადმე. აქ გაჩაღებულია დიდი ვაჭრობა“. იმდროინდელ ქართლს, მის დედაქალაქს, შარდენის სიტყვით, თავისი ნაწარმი გაჰქონდა მეზობელ ქალაქებში. ასე მაგალითად, იგი დიდ ვაჭრობას აწარმოებდა აბრეშუმით თურქეთთან, არზრუმში და სხვა ადგილებში. თბილისი მოხერხებულ სავაჭრო გზაზე იმყოფებოდა მისი საშუალებით შეეძლო დასავლეთის სავაჭრო კაპიტალს სავაჭრო ურთიერთობა გაეგა ინდოეთთან და აღმოსავლეთის ქვეყნებთან. თვით ვახტანგ V-ის სიტყვით, „ევროპელები ინდოეთში მისვლა-მოსვლისათვის ვერ იპოვნიდნენ უკეთეს გზას“. „გარწმუნებთ,—ეუბნებოდა მეფე შარდენს,—თუ ერთხელ სცადეს ამ გზაზე წამოსვლა, მერე სხვა გზას აღარ დაადგებიან“ ევროპელებიო. ევროპის სავაჭრო კაპიტალთან დაახლოება აღორძინებული თბილისისთვისაც საჭირო იყო. ამიტომ პირდებოდა ვახტანგ V შარდენს, რომ ევროპელები „თუ აღებ-მიცემობისათვის მოვლენ, მათ გავანთავისუფლებ ყველა

გადასახადისაგან და მივანიჭებ ყოველგვარ უპირატესობას, რასაც კი ისურვებენ. ჩემი საბრძანებელია შავ ზღვამდინ, დიდი გავლენა მაქვს სპარსეთში, დიდი პატივი ოსმალეთშიო". ქალაქის აღორძინებას, ვაჭრობა-ხელოსნობის გამოცოცხლებას XVII საუკუნეში თან სდევდა მოსახლეობის რიცხვის გამრავლებაც. XVII საუკ. მიწურულისათვის თბილისის მოსახლეობა, XVI საუკუნის დასასრულთან შედარებით, ერთიორად გაიზარდა. ფრანგი ბოტანიკოსის ტურნეფორის ცნობით, რომელიც თბილისში 1700 წელს იყო, ქალაქში, დაახლოებით, 20.000 მცხოვრები ითვლებოდა.

გაიზარდა თბილისის სავაჭრო ურთიერთობა მეზობელ ქვეყნებთან: „თბილისის მთავარი საგანია, — წერდა ტურნეფორი, — ბეწვეული, რომელიც აქედან გააქვთ სპარსეთში ან არზრუმით კონსტანტინოპოლში... თბილისიდან და დანარჩენ საქართველოდან არზრუმში ყოველწლიურად იგზავნება ენდროთი დატვირთული აქლემთა ორიათასზე მეტი ქარავანი... გარდა ამისა, საქართველო ამ მცენარით ამარაგებს ინდოეთსაც, სადაც საუკეთესო ჭრელი ფართლეული იქსოვება... თბილისის ბაზარზე უამრავია ყოველნაირი ხილი, განსაკუთრებით ქლიავი და მშვენიერი მსხალი".

XVIII საუკ. დამდეგს თბილისი კიდევ უფრო დაწინაურდა. ქალაქის აღორძინებას ყოველნაირად უწყობდა ხელს მეფე ვახტანგ VI. მან მტკიცე კანონებით განსაზღვრა „საქალაქო წესდება", ქალაქის მოხელეთა უფლება-მოვალეობა: ქალაქის მცხოვრებლებს გარკვეული პირობები შეუქმნა „საკუთრების ქალაქური წესის" შემოღებით, რომელზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი, მოქალაქე ვაჭრებს მნიშვნელოვანი უპირატესობანი მიანიჭა. ვახტანგ VI-ის მიერ ქვეყნის ეკონომიური დაწინაურებისათვის ჩატარებული სხვა მრავალმხრივი ღონისძიებანიც, ცხადია, დიდად უწყობდნენ ხელს ქართლის დედაქალაქის შემდგომ აღმავლობას. ვახტანგ VI-ის მეფობის უკანასკნელი წლების დროინდელი თბილისის სახე, მისი სიმდიდრე შესანიშნავად აქვს აღწერილი მის თანამედროვე სომეხ ისტორიკოსს ესაიას. იგი წერდა: „და ამრიგად, დიდი ხნიდან მტრებს არ შეუძრწუნებიათ და მშვიდობით ტკბებოდა უმდიდრესი და საუკეთესო ქალაქი თბილისი; მამაკაცები იქ შრომისმოყვარე ვაჭრებია, ხოლო მათი ცოლები და ქალიშვილები, ლამაზები და აღზრდილები, სარგებლობენ შეუდარებელი ცხოვრებით, სიმდიდრითა და ფუფუნებით. ცხოვრობენ ისინი საუცხოო დარბაზებში — მდიდრულად მორთული ავეჯეულობით და ყოველგვარი საოჯახო ნივთე-

ბით... სპილენძის ჭურჭლეულობის მაგიერ აქვთ ოქროსა და ვერცხლის; რაც შეეხება მათს ტანსაცმელსა და ძვირფასი თვლებით მათს შემკულობას, — წარმოიდგინე შენ თვითონ, რამდენადაც ამის შესაძლებლობას შენივე ფანტაზია მოგცემდეს. რა უნდა ვთქვა მე იმ დიდებულ ეკლესიათა სიმდიდრის შესახებ, რომელნიც ფლობენ ოქროსა და ვერცხლის ნივთებს, რომელნიც მორთულნი იყვნენ ფარჩებით და სხვა მრავალგვარი შემკულობებით".

ვახტანგ VI-ის მიერ ჩატარებული ღონისძიებები, ქალაქის სიმდიდრე, მისი მეფობის უკანასკნელ წლებში ისევ უცხოელთა ძალადობამ გააქარწყლა. 1722—1723 წლებში, ოსმალებისა და ლეკების შემოსევათა წყალობით, თბილისი დარბეულ იქნა; ზემოხსენებულ ისტორიკოს ესაიას სიტყვით, ქალაქს შესეული ლეკები სახლებში, ეზოებში, ეკლესიებსა და ტაძრებში ეძებდნენ ყოველგვარ სიმდიდრეს. ამ მძარცველებს, ხარბ და გაუმაძღარ სისხლისმსმელ ბარბაროსებს ხელთ ჩაუვარდათ ქალაქ თბილისის ზემოაღწერილი სიმდიდრე.

მაგრამ, ლეკ-ოსმალონი ამით როდი დაკმაყოფილდნენ. გამაჰმადიანებულმა კონსტანტინემ, რომელიც ამ ბრბოს უძღოდა, ქალაქ თბილისის მცხოვრებლებს ლეკთა სასარგებლოდ 4000 თუმანი გააწერა. თბილისში ოსმალური წესები გაბატონდა. მოიშალა ვახტანგ VI-ის მიერ შექმნილი „საქალაქო წესდება".

თუმცა ოსმალობამ დიდხანს ვერ იბოგინა, მაგრამ თბილისის კეთილდღეობა მაინც არ დაბრუნებულა. ოსმალების ადგილი XVIII საუკ. 30-იან წლებში ირანელებმა, ყიზილბაშებმა დაიპირეს. ქვეყანას „ძნელბედობის ჟამი" დაუდგა...

1736 წ. თბილისში მყოფმა ირანის შაჰმა, ნადირმა, ბრძანება გასცა თბილისიდან ხორასანში 300 კომლი მცხოვრები გადაესახლებინათ. ბრძანებისამებრ შეადგინეს გასასახლებელთა სია, სადაც მოქალაქეთა 300 ოჯახი იყო შეტანილი. ნადირშაჰის ეს ბრძანება ქალაქის ეკონომიურ განადგურებას ისახავდა მიზნად. მართალია 300 კომლი მოქალაქე თბილისიდან არ გაუსახლებიათ, მაგრამ სამაგიეროდ ყიზილბაშებმა მათ მძიმე ეკონომიური ხარკი დააკისრეს: ამ სამას კომლს 3000 თუმანი და 3000 კოდი პური უნდა გაეღო ხპარსეთის შაჰის სასარგებლოდ. ოსმალთა და ყიზილბაშთა მიერ XVIII საუკ. თბილისში გატარებული ესა და სხვა მსგავსი ღონისძიებანი მძიმე კვალს ამჩნევდა ქალაქის ეკონომიურ სახეს. XVIII საუკ. შუაწლების ერთი საბუთის მიხედვით, „ამ ავს დროში", როცა ქა-

ლაქი „ხან ოსმანთ ეპირა, ხან ყიზილბაშთა“ და როცა „არც მეფე იჯდა ქრისტიანე და არც პატრიარქი“, ქალაქის „მოხელეები და გამრიგე-მოსაქმენი“ იმათი იყო. ამიტომაც თბილისსა და მთელს ქართლს უმართლებლო ბევრი რამ სათხოვარი და გამოსაღები დასდებოდა“. მოშლილი იყო ქალაქის „ძველი განწესებები და გუჯრები“.

ერეკლე II-ის მრავალმხრივი მოღვაწეობის ერთი უმნიშვნელოვანესი უბანი „ძნელბედობის ჟამს“ დაცემული საქალაქო ცხოვრების აღდგენა-მოწესრიგება იყო. მან 1770 წ. ბრძანებით აღადგინა, ჯერ კიდევ ვახტანგ VI-ის მიერ დაკანონებული, ვაჭრებისა და ხელოსნებისათვის ხელსაყრელი „საკუთრების ქალაქური წესი“, მოაწესრიგა საქალაქო მართვა-გამგეობა, მტკიცედ განსაზღვრა ქალაქის მოხელეების უფლება-მოვალეობანი.

„გზების დაცვით ლეკთა თავდასხმებისაგან, ვაჭართა თავდაცვით თავადების მიერ შეეიწროებისაგან, ბაეების მოწესრიგებით ერეკლე ხელს უწყობდა ვაჭრობის განვითარებას“.—წერს აკად. ნ. ბერძენიშვილი. ყოველივე ეს კი თბილისის საქალაქო ცხოვრების აყვავების აუცილებელი პირობები იყო. თბილისის ზრდისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე XVIII საუკ. შუა წლებში უკვე დიდი ხნის წინათ თითქმის გაუქმებული დარიალის სავაჭრო გზის გახსნას. ამიერიდან საქართველო რუსეთს ეკონომიურად მჭიდროდ დაუკავშირდა და ამას ქვეყნის ცხოვრებისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. თეიმურაზ II თავის 1755 წ. სიგელში წერდა: „ამას წინათ არას დროსა და ჟამს არა ქნილ იყო, რომ ოსეთზე ქარავნის გზა ყოფილიყოს და მთის გზაზედ ქარავანი, ვაჭარი და სოვდაგარი მოსულიყო და ამ გზიდამ ქალაქში (თბლისში, შ. მ.) სავაჭრო მოეტანათ და აწ ღმერთმან ჩვენს მეფობაში უამრავი წყალობა მიიღო ჩვენზედან და ამ გზით ამჟამად ვაჭარნი და ქარავანი ქალაქს მოვიდნენ.“

აღსანიშნავია, რომ თეიმურაზ II-ის დროისათვის რუსეთიდან თბილისში მოსულ საქონელზე შეღავათიანი ბაეი ყოფილა დაწესებული; ერეკლე II-ის დროისათვის კი, რაკი რუსეთიდან უკვე დაუბრკოლებლად და დიდი რაოდენობით მოდიდოდა საქონელი, რუსეთიდან შემოტანილ საქონელზე ასაღები ბაეიც სხვებისთვის გაუთანაბრებიათ.

ირანიდან მომავალი საქარავნო გზებიც თბილისში იყრიდა თავს. თბილისი ამ გზებით ხეზობელ მაჰმადიანურ ქვეყნებთან ბმი—

დრო ეკონომიურ კავშირში იყო. ფრანგი მოგზაური პეისონელის ცნობით, რომელმაც XVIII საუკ. 50—60-იან წლებში საგანგებოდ დაათვალიერა თბილისი და მთელი საქართველო, „თბილისში ყოველდღე მოდის ქარავნები განჯიდან, შამახიდან, ერევნიდან, თავრიზიდან და არზრუმიდან. იქ (თბილისში) იშოვება ბლომად ურმები და ცხენები ძლიერ იაფად, და ყოველს თვეში იქიდან გადის 150-200 მდე კარგი ურემი ერევანს, თავრიზს და არზრუმშიო". მისივე სიტყვით, „ყველამ იცის რომ ეს ქალაქი (თბილისი) წარმოადგენს სპარსეთიდან კონსტანტინოპოლისა, სმირნისა, ალეპოს და ამ ქალაქებიდან სპარსეთს მიმავალ ქარავნების საქონელთა საწყობს. აქედან გასაგებია, — განაგრძობდა პეისონელი, — რომ თბილისი მართლაც წარმოადგენს ყველაზე უფრო ხელსაყრელ ადგილს სპარსეთთან ვაჭრობის დასამყარებლად". „თბილისის მდებარეობა ხდის მას სპარსეთის ყველა ქალაქის კლიტეგასაღებადო".

მაგრამ რა შემოჰქონდათ თბილისში? ამ თვალსაზრისითაც საინტერესო ცნობები მოეპოვება ზემოხსენებულ პეისონელს. მისი სიტყვით, მაუდი საქართველოს ერთ-ერთი მთავარი საიმპორტო საქონელია. აბრეშუმის ქსოვილები, უბრალო და ოქრო-ვერცხლით მოქარგული, საქართველოში აგრეთვე დიდი მოგებით იყიდებოდა. ასევე დიდი მოთხოვნილება იყო ზეზზე — აბრეშუმნარევ ოქროსა და ვერცხლის ძაფზე, რომელიც აქ ჰოლანდიიდან შემოუტანიათ. „თბილისში არის ყოველგვარი სპარსული საქონლის შეძენის შესაძლებლობა. ეს საქონელი იქ მოდის განჯიდან, შამახიდან, თავრიზიდან, ერევნიდან და არზრუმიდან... თივთიკი, ანუ ცხვრის შავი მატყლი, მოდის შამახიდან, ... თბილისში იყიდება აგრეთვე უზბეკების ქვეყნიდან შემოსული წითელი თიეთიკი... და სხვა", მოგვითხრობს პეისონელი.

თბილისში შემოჰქონდათ აგრეთვე სხვადასხვა სახის სავაჭრო წვრილმანიც: თევზი, მარილი, შაბი, ზეითუნის ზეთი, ზეთის-ხილი, შაქარი, ბრინჯი.

თბილისი უცხოეთიდან შემოტანილი საქონლის მარტო საწყობი და გასაღების ბაზარი როდი იყო. იგი თავისი ნაწარმით აქტიურ მონაწილეობას იღებდა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ვაჭრობაში. თბილისიდან ბლომად გადიოდა კახეთისა და ქართლის ღვინო, განსაკუთრებით ისპაჰანში. თბილისელი მოქალაქეები ვაჭრობას აწარმოებდნენ ბეწვეულით ირანში და კონსტანტინოპოლის ბაზარზე. აქედანვე გადიოდა აბრეშუმი ოსმალეთის მიმართულე-

ბით. ექსპორტის საგანს შეადგენდა აგრეთვე ენდრო, მატყლი, ერბო, თაფლი და სხვ. პეისონელი სხვათაშორის შენიშნავდა: „შემდეგი სამი საგანი შეადგენს აღმოსავლეთ საქართველოს ექსპორტს — ცვილი, ხარისა და კამეჩის ტყავი. ცვილი აქ ძალიან ბლომად არის. თბილისის ახლომახლო მდებარე სოფლები იძლევიან მას ძალიან დიდი რაოდენობით“.

ზოგი ისტორიკოსის გაანგარიშებით, სურსათ-სანოვაგის გარდა, XVIII საუკ. პირველ ნახევრის თბილისში ყოველწლიურად შემოდიოდა და გადიოდა ნედლი და დამუშავებული საქონელი დაახლოებით 120.000 მინალთუნის (120.000 მან.) ღირებულებისა.

სწორედ თბილისის ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, მისი ფართო მონაწილეობა საერთაშორისო ვაჭრობაში იზიდავდა უცხოურ სავაჭრო კაპიტალს თბილისისაკენ. ამიტომაც ამბობდა საფრანგეთის სავაჭრო კაპიტალის აგენტი პეისონელი, რომ „გავსინჯოთ ქალაქ თბილისის მდებარეობა... ჩვენ დავინახავთ, რომ ეს არის ყველაზე უფრო მოხერხებული ადგილი სპარსეთთან შავი ზღვით ვაჭრობის წარმოების მიზნით... ეს გზა იქნება ყველაზე მოკლე და ნაკლები ხარჯების მომცემი... ახალციხის გზით იქ შეიძლება შავი ზღვიდან მიტანილ იქნას ევროპული საქონელი, და იქიდან გავრცელდეს სრულიად ადვილად მთელს სპარსეთში. ასევე ადვილად შეიძლება იქ სპარსული და ინდური საქონლის მოპოება და მისთვის გზის მიცემა შავი ზღვისკენ იმავე მიმართულებითო“.

XVIII საუკ. 70-ანი წლების თბილისის ფართო აღებ-მიცემისა და ხელოსნური წარმოების შესახებ მოგვითხრობს აგრეთვე გიულდენშტედტი. იგი წერს: „თბილისის მოსახლეობა უმთავრესად ცხოვრობს თავისი ვენახებითა და ბაღებით, განსაკუთრებით ბევრს მოჰყავს ბამბა. მათ შორის ბევრი ვაჭრობას მისდევს... მათ მაღაზიებში ყოველთვის შეიძლება ნახოთ ჩვეულებრივი ქსოვილები, ყოველგვარი წვრილმანი, სურსათ-სანოვაგე და სხვ. მოსახლეობის მეორე ნაწილი ხელოსნობას მისდევს. ბევრია მეტყავეები, მჩითავები, ფეიქრები და მჭედლები. პურეული აქ გორიდან და სურამიდან მოაქვთ მტკვრით — ფიქვის ტივებით. ტივის ხეებსაც აქვე ჰყიდიან, როგორც საშენ მასალას“-ო.

XVIII საუკ. 70-ანი წლების თბილისის შესახებ საინტერესო ცნობები მოეპოვება რუსეთის დიპლომატიურ აგენტს კაპიტან იაზიკოვსაც, რომელიც 1770 წ. საქართველოში იყო. იგი რუსეთის

მთავრობას თბილისის შესახებ მოახსენებდა: „საქართველოს მთავარი ქალაქია თბილისი. საკმაოდ ხალხმრავალი ქალაქი... ვაჭრობენ აზიურ საქონელს — ფარჩას, თავთას, ტყავეულს, აგრეთვე რუსეთიდან შემოზიდულ საქონელს... ბევრია ყოველგვარი ხელოსანი და ყოველი სახის ხელოსნობას აქვს ცალკე უბანი... ქალაქგარეთ მრავალი ხეხილის ბაღია, სადაც ხარობს ვაზი, ნუში, ლეღვი, ბროწეული, ატამი, შავქლიავი, ვაშლი და ბევრი სხვა“... საყურადღებოა, რომ იაზიკოვის ცნობით იმდროინდელ თბილისში „ბევრი მდიდარი ვაჭარი“ იყო.

როგორც ვხედავთ, ერეკლე II-ის დროინდელი თბილისი მნიშვნელოვან სავაჭრო ცენტრს წარმოადგენდა. იგი, ამას გარდა, ქართლ-კახეთის სამეფოს ხელოსნური წარმოების ცენტრიც იყო.

XVII—XVIII საუკ. თბილისში ხელობის მრავალგვარი დარგი იყო განვითარებული. სხვადასხვა აღწერილობიდან ვიცით, რომ ამ დროისათვის ცალკე ხელობას წარმოადგენდა ცხენის აკაზმულობის — უნაგირის, თოქალთოს, აღვირის და სხვათა კეთება. ამ დარგის ხელოსნებს სარაჯებს უწოდებდნენ. ცალკე იყვნენ ხარაზები. ისინი ქოშს, წუღებს, წაღაჩებს,* ჩექმებსა და სხვა ფეხსაცმელებს კერავდნენ. ხელობის ცალკე დარგი იყო მექუდეობა; მექუდე ხელოსნებს ქონებს უწოდებდნენ. სირაჯები კიდევ ტიკებსა და რუმბებს აკეთებდნენ.

ბეწვეული თბილისის ერთ ერთი საექსპორტო საგანი იყო. ამას თბილისელი ხელოსნები ამუშავებდნენ. ბეწვეულის დამამზადებელ ხელოსნებს ქურქჩები ეწოდებოდათ. თბილისში იყვნენ აგრეთვე მკერვალები, ნალბანდები, ჩილინდრები — კლიტეების, გასაღებების და სხვა მსგავსთა მკეთებელი ოსტატები, დალაქები, მექვაბეები — სპილენძის ჭურჭელთა მკეთებელნი, ოქრომჭედლები, მესანთლეები, რომელნიც აგრეთვე საპნის გამოხარშვასაც აწარმოებდნენ; კალატოზები, ხუროები, დურგლები, ხარატები, თიხის ჭურჭლის ოსტატები — მეჭურჭლენი, რომელნიც ქაშანურ და სხვა სახის ჭურჭელთა გარდა, ქვევრებსაც ამზადებდნენ; მხატვრები, საკრავთა მკეთებელი ოსტატები, ძაფის, ბაბთის, ზონრის და სხვათა მგრეხელი ყაზაზები, დაბაღები, სხვადასხვა სახის ტყავის სამოგვის, ეირის, კემუხტის, თალათანის და სხვ. მკეთებელნი; მღებრები, ანუ ლილახანის ოსტატები — თავთის, დარაიას და სხვა ქსოვილთა მღებავე-

* „წაღაჩე“ ფეხსაცმლის ერთ-ერთი სახეობაა.

ბი; ფეიქრები, მელაინები, ქვისმთლელები, მეჩახმახეები, მეთოფეები, ხმლის მკეთებლები და სხვა დარგის ოსტატები.

ზოგი აქ მოხსენებული დარგი კიდევ ცალკე ვიწრო სპეციალურ ჯგუფებად ნაწილდებოდა. ზემოხსენებული ხელობის წარმომადგენლები ბლომად ამზადებდნენ სხვადასხვა სახის საქონელს და ის პირველ რიგში თბილისის ბაზარზე გაჰქონდათ.

XVIII საუკუნის თბილისი მნახველს აოცებდა თავის ბაზარზე ადგილობრივი ხელოსნური ნაწარმების სიუხვით. იოანე ბაგრატიონმა თავის სახელგანთქმულ „კალმასობაში“ შესანიშნავად აგვიწერა XVIII საუკ. დასასრულისა და XIX საუკ. დამდეგის თბილისის, უამრავი ხელოსნური ნაწარმებით სავსე ბაზრის სახე. თბილისის ბაზრის ნახვით დაინტერესებულმა პირებმა, იოანეს სიტყვით, „პირველად დაიწყეს მეიდნიდამ წასვლა, შევიდნენ ხარასხანის ბაზარში, იხილეს მუხ ოქრომჭედლები, მსხდომარენი დუქნებში, მრავალი ვერცხლის იარაღი, აგრეთვე ოქროის დაწყობილი და სხვა სამკაული. თქვა ბერმან: „ამ ცოლ-შვილმკვდართ ამდენი ოქრო და ვერცხლი ჰქონებიათო“. დია გაუკვირდა. მერე მივიდნენ მექოშეებთან, იხილეს ყოველი დუქანი სავსე ქოშით და მაშიით; თქვა ამ ბერმან: “ბატონო, ამდენი ქოში რათ უნდათ? ჰგავს, უქოშო ხალხს მოელიან საიდამე!“ რა წაიარეს მცირე, იხილეს სარაჯები, რომელ სავსე აქვნდათ დუქნები ცხენის იარაღებით მზად; რა იხილა ბერმან თქვა: „ბატონო... ჰგავს უბელო ცხენიანს ხალხს მოელიან საიდამე?“ მერე იხილეს ყაზახები და თქვა ამ ბერმან: „ბატონო, ამდენი ძაფი და ზონარი რათ უნდათ, რა უნდა შეკერონ ამდენი?“ იხილა ბაყლები; ნახა რომე, გარეშემო სულ სხვადასხვა ხილი უწყვიათ: თევზი, ხიზილალა, წელა, ბრინჯი, ერბო და სხვა წვრილმანი; უყურა ამ ბერმან, ეგონა ხილს მითავაზებენო და რომ ხმა არავინ გასცა, თქვა: „ბატონო ეს რა ცუდი მასპინძელნი ყოფილან, არცა არა თითონ სჭამენ, არც სხვას აჭმევენო, ნეტამც ეს თებზი, ხიზილალა და წელა მომცა... რომ ჩვენი ბერები გავაძღო ამითაო“... გამოიარა, იხილა მეჩონგურეები და საკრავის მკეთებლები, დუქნები ნახა სავსე ჩონგურით და დაირითა... იქიდგან მოვიდნენ ალაფეფშია, სადაც პურსა ჭყიდდენ და აცხობდნენ. „ბარემ ამდენი პური რათ უნდათ? ჰგავს მშიერ ხალხს მოელიან საითმე!“ მოვიდა მერე, იხილა სირაჯხანა დიდრონის რუმბებით და ტიკებით, ღვინოები და არაყი... მერე მოვიდა და იხილა ქურჭჩები, ბეწვეული და თქო: „ამ ცოლ-შვილდახოცილთ, რამდენი



ძველი თბილისის ბაზარი („თათრის მოედანი“)

გაგარინის ალბომიდან

მელი, მგელი, დათვი, კვერნა, ტურა უნადირნიათ; ბარე ამათთანა მონადირე ოდიშშიც არავინ მინახავსო“... ასე შემოიარეს მთელი ბაზარი და ამათ გარდა მათ იქ ნახეს მექუდეები, ბაზაზები, მკერვალები, ყასბები, მეჭურჭლეები, ნალბანდები, მექვაბეები, ჩილინდრები, ხარაზები, მღებრები, მეჩახმახეები, თოფებისა და ხმლის მკეთებლები, მეწვრილმანეები და სხვა ხელობის წარმომადგენლები, რომლებსაც თავიანთი დუქნები სათანადო ნაწარმებით საკუთარ ჰქონდათ და რომლებიც ამ ნივთებით ვაჭრობდნენ. თბილისის ბაზარში პროდუქტების სიუხვით გაოცებულ ბერს თვით იოანე განუმარტავდა: „ასეა რიგი, რომ ქალაქში ყოველივე საკუთებით უნდა იყოს, რომ ერთი ქალაქის დიდება არის, და მეორე, ქვეყანა გამდიდრდება ვაჭრობით. ვისაც არა ექნება სახლში და ფული ექნება, იყიდის ყოველს და თავის სახლს გაიწყობსო“. თბილისი, ბაზარზე გატანილი ხელოსნური ნაწარმით, მართლაც ადგილობრივ და მეზობელი სოფლების მოსახლეობას ამარაგებდა, მაგრამ თბილისის ხელოსნებს საქონელი საქართველოს საზღვრებს გარეთ გასატანადაც უწარმოებიათ. პოლკოვნიკ ბურნაშოვის ცნობით, რომელმაც თბილისში 1783 წლიდან 1787 წლამდე დაჰყო, თბილისის ხელოსნები კავკასიის ყველა მთის ხალხებსა და უახლოეს ირანელ მეზობლებს აწვდიდნენ „სპილენძის ჭურჭელს, დაჩითულ და თეთრეულ ბამბეულს, ცხენის აკაზმულობას, ხმლებსა და ხანჯლებს, წვრილ რკინეულ საგნებს, ტანსაცმელს, ქუდებსა და ფეხსაცმელს“.

XVIII საუკუნეში თბილისში კერძო წვრილ სახელოსნოებს გარდა იყო შედარებით მსხვილი, სამეფო სარეწაოები, ე. წ. ქარხნები. ამგვარი სარეწაოები განსაკუთრებით ერეკლე II-ის დროიდან მომრავლდა. გიულდენშტედტის ცნობით, ერეკლე II-ს თბილისში ჰქონდა მარილის საწმენდი ქარხანა, დენთის ფაბრიკა, ზარაფხანა, სტამბა და სხვა. ბურნაშოვისა და სხვა წყაროთა მიხედვით კიდევ, XVIII საუკ. 80-90-ან წლების თბილისში ზარბაზნებისა და მორტირების ჩამოსასხმელი ქარხანა ყოფილა.

ვაჭრები და ხელოსნები ცალკეულ დუქნებში მოსაქმეობდნენ. ვაჭრობა-ხელოსნობის ზრდასთან ერთად თბილისში დუქნების რაოდენობაც იზრდებოდა. ესეც ერთი ნიშანი იყო ქალაქის ეკონომიური ცხოვრების დაწინაურებისა.

ზოგი ისტორიკოსის გაანგარიშებით, XVIII საუკ. დამდეგისათვის თბილისში მხოლოდ 200 სავაჭრო და სახელოსნო დუქანი ყოფილა. ერეკლე II-ის დროისათვის, კერძოდ, ამავე საუკუნის 80-ან წლე-

ბისათვის, თბილისის დუქანთა რიცხვი ორნახევარჯერ გაზრდილა; ბურნაშოვის ცნობით, „თბილისში 500-მდე დუქანია, სადაც მშვენიერი საქონელი, ნახელავი და სანოვაგე იყიდება“. შემდეგ წლებში თბილისის დუქნების რაოდენობა კიდევ უფრო გაიზრდებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, სათანადო ცნობები გვაკლია. აღა-მაჰმად-ხანის ბარბაროსული შემოსევების დროს განსაკუთრებით სავაჭრო სახელოსნო ნაგებობები განადგურდა. გადამწვარი და დანგრეული დუქნების აღდგენა ერთბაშად ვერ ხერხდებოდა. ამით აიხსნება, რომ 1803 წელს, აღა-მაჰმად-ხანის ლაშქრობიდან 8 წლის შემდეგაც, თბილისის დუქანთა რაოდენობა მხოლოდ 574-ს აღწევდა. ამათგან ფართლეულით მოვაჭრეთა 85 დუქანი ყოფილა, მეწვრილმანეთა 63, სახელოსნო 310 იყო, სასურსათო 76 და ღვინო-არყის მოვაჭრეთა 40 დუქანი. ასე რომ XVIII—XIX საუკუნეთა მიჯნაზე თბილისში 310 სახელოსნო და 264 სავაჭრო დუქანი ყოფილა. ცხადია, აღა-მაჰმად-ხანის შემოსევამდე გაცილებით მეტი იქნებოდა.

XIX საუკუნის დამდეგიდან, ძველ სავაჭრო სახელოსნო შენობათა აღდგენის წყალობით, დუქანთა რაოდენობა სწრაფად იზრდებოდა, ისე, რომ 1807 წლისათვის დუქნების რიცხვი 725 მდე აღწევდა. ერთი წლის შემდეგ კიდევ უფრო გაზრდილა და 1808 წ. თბილისში უკვე 800 დუქანი იყო.

საინტერესოა გავიგოთ აგრეთვე, ხელობის რომელ დარგს რამდენი დუქანი ჰქონდა დათმობილი თბილისში. აქაც XIX საუკუნის პირველი წლების ცნობა უნდა გამოვიყენოთ და ამით დაახლოებით აღვადგინოთ XVIII საუკუნის დასასრულის სურათი.

1809 წლის ცნობით, თბილისში ბაყლებს 108 დუქანი ჰქონიათ, შესანთლეებს 15 დუქანი, არყის გამყიდველებს — 59, ღვინის გამყიდველებს — 46, ოქრომჭედლებს — 35, მეწვრილმანეებს — 68, დალაქებს — 19, ბაზაზებს — 94, მეთევზეებს — 15, მექვაბეებს—11, პურის მცხობელთ (მეფურნეებს) — 28, ფიქრებს — 26. მკერავლებს — 16, ქურქჩებს — 21, მაზმანებს — 3, მკალავებს — 8, მეჩახმახეებს — 12, ბაშმაღჩებსა და მეწუღეებს — 9, სირაჯებს — 14, მეხაშეებს — 6, დურგლებს —10, მენაბდეებს — 10, მეჩითეებს — 6, მჭედლებს — 31, მელეინეებს — 10, ხარაზებს — 36, მეკუპრეებს — 7, ჭონებს — 26, ნალბანდებს — 3, დალალებს — 4, ყასბებს — 8, მეშარბათეს — 1, დაბაღებს — 22, მებურნუთეს — 1, მეპურქლეებს — 6, ალაფებს — 12, თოლაჩს — 1, ყაზაზებს — 18; ამას გარდა იყო 63 ცარიელი დუქანი, 6 ახალი და 7 სახელმწიფო დუქანი.

როგორც ვხედავთ, ძველი თბილისის 900-ზე მეტი ნაგებობა ვაჭრებისა და ხელოსნების მიერ იყო დაკავებული.

XVIII საუკ. თბილისის ეკონომიური სახის შესწავლაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მოსახლეობის რაოდენობის გარკვევასაც. როგორც აღვნიშნეთ, XVIII საუკ. დამდეგს თბილისში 20.000 მცხოვრები ყოფილა. თბილისის მოსახლეობა ქალაქში ჯერ ოსმალობა-ყიზილბაშობის გაბატონებამ, შემდეგ კი ლეკთა თარეშებმა შეამცირა. ამას გარდა, მოსახლეობის ზრდას ხელს უშლიდა აგრეთვე გამუდმებული შიშიანობა, ქვეყნის არამყარი თავდაცვა. შორეულ თუ ახლობელ მტერთა თავდასხმის მოლოდინში მყოფი მოსახლეობა ქალაქის კედლებს არ სცილდებოდა, მის გარეთ არ ესახლებოდა. XVIII საუკ. 70-ანი და შემდეგი წლების ქალაქი ფაქტიურად თბილისის ძველ კედლებში იყო მომწყვდეული. მიუხედავად სივიწროვისა, მოსახლეობა მაინც კედლებს შიგნით ესახლებოდა. XIX საუკ. დამდეგსაც კი, კედლებს შიგნით, ერთი კვადრატული არშინი მიწა 40 მან. ღირდა. ამით აიხსნება რომ ზოგიერთი ცნობით, XVIII საუკ. მთელ სიგრძეზე, თბილისის მცხოვრებთა რაოდენობას დიდად არ უმატნია.

ოფიციალური ცნობის მიხედვით 1770 წ. 5 აპრილისათვის თბილისში 4.000 კომლი „ქართველი, სომეხი, ფრანგი და თათარი" მკვიდრდებოდა; 1770 წელს, მოგვითხრობს გიულდენშტედტი, თბილისში ეპიდემიამ 4000 კაცი ამოწყვიტა. ხოლო დარჩენილი მოსახლეობის რიცხვი 20.000 მცხოვრები ყოფილა. ამასვე მხარს უჭერს იაზიკოვიც, რომელიც ადგილობრივი წყაროების საფუძველზე გადმოგვცემს, რომ თბილისში მაშინ 5000 კომლი, ე. ი. 25.000 მცხოვრები იყო. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ XVIII საუკ. 70-იან წლებიდან თბილისის მოსახლეობის ზრდისათვის შედარებით უკეთესი პირობები არსებობდა, შეიძლება ვიფიქროთ, რომ XVIII საუკ. 80-90-ან წლებში თბილისის მოსახლეობის რაოდენობას 30.000-მდე მაინც უნდა მიეღწია.

აღა-მაჰმად-ხანის ლაშქრობამ ქალაქს ამ მხრივაც დიდი ზიანი მოუტანა. ქალაქის მზარდი მოსახლეობა კატასტროფულად შემცირდა, ისე რომ აღა-მაჰმად-ხანის შემოსევიდან 8 წლის შემდეგაც, 1803 წ. თბილისის მოსახლეობის რიცხვი XVIII საუკ. დამდეგის მოსახლეობის რაოდენობას არ აღემატებოდა და მხოლოდ 20.000 სულამდე აღწევდა.

ფეოდალური ხანის კვალობაზე განვითარებული ხელოსნური



ძველი თბილისის ქუჩა „თათრის მოედანთან“

XIX საუკ. ფოტო

წარმოება, საშინაო თუ საგარეო ვაჭრობა, თბილისის ვაჭართა ხელში საკმაოდ დიდ თანხას უყრიდა თავს. თბილისის მოქალაქეთა შორის XVIII საუკ. დასასრულისათვის არა ერთი ყოფილა დიდი „სამთავნოს“, ანუ კაპიტალის მფლობელი. აღსანიშნავია, რომ XIX საუკ. დამდეგისათვის თბილისის ძველი მოქალაქენი „სამთავნოს“ სიდიდის თვალსაზრისით შემდეგ ჯგუფებად იყვნენ დანაწილებულნი: პირველ ჯგუფს შეადგენდნენ მოქალაქენი, რომელთაც 50.000 მანეთზე მეტი კაპიტალი ჰქონდათ. ამ ჯგუფში თბილისის ექვსი სახაზინო და 2 საეკლესიო, ე. ი. სულ 8 მოქალაქე ითვლებოდა. მათში პირველი, ქართლ-კახეთის მეფეთა დროს დიდად ნამსახური, დავით სარაჯიშვილი იყო. მეორე ჯგუფს შეადგენდნენ ისინი, რომელთაც 10.000 მანეთზე მეტი კაპიტალი ჰქონდათ. ამ ჯგუფში 61 სახაზინო მოქალაქე ივარაუდებოდა. ხოლო 1000 მანეთზე მეტი კაპიტალის მქონე სულ 120 მოქალაქე ყოფილა.

ამრიგად, XVIII საუკუნის დასასრულს და XIX საუკუნის დამდეგს თბილისში შედარებით დიდი კაპიტალის მქონე 189 მოქალაქე იყო.

გვიანფეოდალურ თბილისში კაპიტალის შეძენის წყაროდ მარტო ვაჭრობა როდი ყოფილა. ამგვარ წყაროს ფეოდალურ ქალაქში მევახშეობაც წარმოადგენდა. ძველ თბილისში მსესხებლად იყვნენ ხელოსნები, ვაჭრები, ეკლესია, თავად-აზნაურები, მეფის ოჯახის წევრები და თვით მეფეც. ასე მაგ., გიორგი XII-ს თბილისელი ვაჭრისაგან აღა ფუნთიეევისაგან სესხად 1065 მანეთი აუღია. ამავე მეფეს ვალი ჰქონდა თბილისელ ხანუმა დალალისა 107 თუმანი, სარა დალალის 248 თუმანი და სხვ. ხოლო ერეკლე II-ს მარტო თბილისელი ვაჭრის გიორგი ნაზარბეგოვის 4791 მანეთი ჰქონია სესხად. თანხის გასესხების მიზანი, ცხადია, სარგებელის მიღება იყო. არა ერთი მაგალითის მოტანა შეიძლებოდა ძველი თბილისის ცხოვრებიდან, რომელიც კარგად დაგვანახებდა, თუ როგორ განვითარებული ყოფილა აქ სავახშო კაპიტალი. მაგრამ სესხი, კრედიტი, თბილისში ხმარდებოდა არა წარმოებას, არამედ მოხმარებას. ამიტომ სესხის დაფარვა ხდებოდა წვრილი მწარმოებლის მცირე შემოსავლით ან კიდევ ქონებით და არა მსხვილი წარმოებიდან მიღებული მოგებით. მიუხედავად ამისა, სავახშო კრედიტს თბილისის შემდგომი განვითარებისათვის გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა — იგი თანდათან ძირს უთხრიდა ფეოდალურ საზოგადოებას, ხელს უწყობდა ფეოდალური მეურნეობის დაცემას და ამზადებდა ნიადაგს წარმოების შემდგომი გამსხვილებისათვის.

ასეთსავე როლს ასრულებდა გვიანფეოდალურ თბილისში საეკლესიო კაპიტალიც. საეკლესიო კაპიტალი თანდათან უფრო მჭიდროდ აკავშირებდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეს. ხელოსანსა და ბაზარს შორის ვაჭარი დგება. თბილისის ხელოსნები თავიანთ ნაწარმს თბილისის ბაზარზე თუ საქართველოს სხვა კუთხეებისა და უცხო ქვეყნის ბაზრებზედაც თბილისელი ვაჭრების შემწეობით ასაღებდნენ. ვაჭარი სამაგიეროდ ხელოსანს საჭირო ნედლეულს აწვდიდა. ხელოსანი თანდათან სწყდებოდა ნედლეულის და გასაღების ბაზარს. ყოველივე ეს საეკლესიო კაპიტალის განვითარების მაღალ ფაზაზე მიგვითითებს, რაც ნიადაგს ამზადებდა ფეოდალური ურთიერთობის დარღვევისა და სამრეწველო კაპიტალის წარმოშობისათვის. მაგრამ თბილისს ჯერ კიდევ გრძელი გზა უნდა გაევლო, რომ განვითარების კაპიტილისტური საფეხურისათვის მიეღწია.

თ ა ვ ი V

ძველი თბილისის სოციალური სახე

1. თბილისის სოციალური სახე X—XVI საუკუნეებში

ფეოდალური თბილისის მოსახლეობა, როგორც დავინახეთ, ზოგჯერ მრავალრიცხოვანი იყო, ზოგჯერ სხვადასხვა მიზეზების წყალობით, მცირდებოდა. თბილისის მრავალრიცხოვანი მოსახლეობა, რომელსაც ძველი ისტორიკოსები საერთოდ „თბილისის მკვიდრთ“ ან კიდევ „ქალაქის მკვიდრთ“ უწოდებდნენ, ერთგვარი არ ყოფილა. ფეოდალურ ქვეყანაში, მაშასადამე, ამ ქვეყნის დედაქალაქშიც, მოსახლეობა სოციალურ ჯგუფებად, სოციალურ კლასებად იყო დანაწილებული. ძირითად კლასებს ბატონები და მათი ყმები შეადგენდნენ. თვით ეს კლასებიც სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებად ნაწილდებოდნენ. ჩვენ სწორედ ამ თვალსაზრისით გვინდა განვიხილოთ ძველი თბილისის მოსახლეობა, მისი შედგენილობა.

„თბილისის მკვიდრთა“ ერთ ძირითად ნაწილს „მოქალაქენი“ შეადგენდნენ.

ქართველი ხალხი „ქალაქს“ თავის დედაქალაქს უწოდებდა; ამით აიხსნება, რომ ძველ ქართულ საისტორიო წყაროებში „ქალაქი“ და „თბილისი“ თანაბარი მნიშვნელობით იხმარებოდა. ამიტომ მას შემდეგ, რაც თბილისი ერთიან საქართველოს დედაქალაქად იქცა, თბილისის ძირითად მცხოვრებლებს „მოქალაქეებს“ უწოდებდნენ. ასე, რომ „მოქალაქეობა“ მხოლოდ თბილისის მცხოვრებთა განსაკუთრებული პატივი იყო და იგი მხოლოდ „თბილისელის“ აღსანიშნავად იხმარებოდა.

მაგრამ „მოქალაქის“ ცნებაში თბილისის მთელი მოსახლეობა კი არ ივარაუდებოდა, არამედ მისი ერთი ძირითადი ნაწილი, კერძოდ ვაჭრები და ხელოსნები. ამრიგად, XI—XV საუკუნეებში მოქალაქე ეწოდებოდა თბილისში მოსახლე, ქალაქში მოსაქმე, ვაჭარსა და ხელოსანს.

„მოქალაქე“ ზოგადი ტერმინი იყო და ამ ცნებაში XV საუკუნემდე თბილისის არა მარტო თავისუფალი მოსახლეობა და მეფის ყმები ივარაუდებოდნენ, არამედ ვაჭარ-ხელოსანთა მთელი ფენა. ამიტომ თვით მოქალაქეები, ე. ი. თბილისის ძირითადი მცხოვრებლები, რამდენიმე განსხვავებულ სოციალურ ჯგუფად ნაწილდებოდნენ. ასევე განსხვავებული იყო მათი საქმიანობაც — ზოგი ვაჭარი იყო, ზოგი კიდევ ხელოსანი.

თბილისელ ვაჭართა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ „დ ი დ ვ ა ჭ ა რ ნ ი“. დიდვაჭარი თბილისში ბევრი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ჩვენ ყველა მათგანის შესახებ ცნობა როდი მოგვეპოვება. თამარის ისტორიკოსი XII საუკუნეში ასახელებს თბილისის მკვიდრს დიდვაჭარს ზანქან ზორაბაბელს. „დიდვაჭართა“ გვერდით უბრალო „ვაჭრებიც“ იყვნენ, რომელნიც თუმცა პირადი თავისუფლებით სარგებლობდნენ, მაგრამ თავიანთი ეკონომიური მდგომარეობით დიდვაჭრებს ჩამოუვარდებოდნენ. ამიტომ ისინი ამ უკანასკნელთა ხელქვეშეთებად ჩანან. როცა დიდვაჭრები სხვადასხვა ქვეყნებიდან საქონელს ჩამოიტანდნენ თბილისში, ამ საქონელს თვით კი არ ჰყიდდნენ, არამედ ვაჭრებს აყიდვინებდნენ.

დიდვაჭრები და ვაჭრები, ე. ი. თავისუფალი ვაჭრები, ქალაქში ცალკე წრეს ჰქმნიდნენ. აღსანიშნავია, რომ მათ ქალაქის სხვა მოსახლეთაგან განსხვავებული ტანსაცმელი, სპეციალური „ვაჭრული სამოსელი“ სცმიათ. შოთა რუსთაველის უკვდავ „ვეფხის ტყაოსანში“ არა ერთხელ არის მოხსენებული „სამოსელი ვაჭრული“, „ვაჭრულად შემოსვა“ და სხვ. ვაჭრებს ძველ თბილისში თავიანთი ორგანიზაციაც ჰქონდათ.

დიდვაჭარნი და საერთოდ ვაჭარნი ფეოდალურ თბილისში გარკვეული პატივით და გავლენით სარგებლობდნენ. ზოგი მათგანი თვით საქართველოს მეფეების ახლო პირად ითვლებოდა. ასე მაგალითად, ერთ-ერთი თბილისელი სომეხი დიდვაჭარი უმეკი ისეთი პატივით იყო მიღებული სამეფო კარზე, რომ საქართველოს მეფის დავით ულუს „მამად“ იწოდებოდა.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ სწორედ თბილისელმა დიდვაჭარმა, ჩვენს მიერ ზემოხსენებულმა ზანქან ზორაბაბელმა, სამეფო დარბაზის დავალებით, ჩამოიყვანა საქართველოს მეფის თამარის საქმრო ვლადიმირ-სუზდალის მთავრის ანდრია ბოგოლუბსკის შვილი გიორგი რუსი, ჩრდილო კავკასიიდან.

დიდვაჭრების ასეთი პატივით მოხსენიება და მათზე ამგვარი მეტად საპატიო მოვალეობის დაკისრება მათს დიდ გავლენია-

ნობაზე მიგვითითებს. შემთხვევითი არ არის, რომ რუსთაველის „ვეფხის ტყაოსანში“ დიდვაჭარი და ვაჭართუხუცესი უსენი „მეფის არიფად“, ე. ი. მეფის მეგობრად, არის მოხსენებული:

„უსენ არიფი მეფისა მეფეცა მისი მდომელი“-ო ამბობს შ. რუსთაველი.

რაკი XII—XV საუკ. თბილისში დიდვაჭრების როლი მნიშვნელოვანი იყო, ისინი თავიანთი უფლებრივი მდგომარეობით მაღალი საზოგადოებრივი წრის ზოგ წარმომადგენლებს უთანაბრდებოდნენ. მაგალითად, ერთი ძველი სამართლის წიგნის მიხედვით, „საპატიო ვაჭრის“ სისხლი 12 ათას თეთრად * იყო შეფასებული, ხოლო მის ქვეშეთი ვაჭრის სისხლი კიდევ მამულ დამცრობილ აზნაურის სისხლს უთანაბრდებოდა და 6.000 თეთრად ფასობდა, მაშინ, როცა გლეხის სისხლის ფასი, იმავე სამართლის წიგნის მიხედვით, მხოლოდ ოთხასი თეთრი იყო.

დიდვაჭრები XI—XIII საუკ. საქართველოში სამოსამართლო უფლებებითაც სარგებლობდნენ. ქართული სამართლის უძველეს ძეგლში, რომელიც ბაგრატის კანონების სახით არის ცნობილი, ნათქვამია: „ვინცა მოძღვარი იყოს, ან მეფეთა წინაშე ზრდილი და ნამყოფი კაცი იყოს, ან კარგი დიდვაჭარი... დასვი ბჭოდ“-ო... დიდვაჭარი „ჭკვიანი იქნების და კარგად ეცოდინება ბჭობა და უსამართლოს არას იტყვისო“.

დიდვაჭრები ბატონობდნენ ქალაქის არა მარტო საშინაო ვაჭრობაში, არამედ საქარავნო-სატრანზიტო ვაჭრობაშიც. საქარავნო-სატრანზიტო ვაჭრობას ყოველთვის დიდვაჭარი ხელმძღვანელობდა, რომელიც სავაჭრო ქარავანს მეთაურობდა და ქარავანთუხუცესად იწოდებოდა.

საქარავნო-სატრანზიტო ვაჭრობას საქართველოში აწარმოებდნენ ვაჭართა ამხანაგობები. ამ ამხანაგობას XIII საუკუნეში „ურტაღი“ ან კიდევ „ორტაღი“ ეწოდებოდა. ურტაღში მსხვილი ვაჭრები იყვნენ გაერთიანებული და ისინი ხშირად მოქმედებდნენ, როგორც მეფეთა და მსხვილ ფეოდალთა აგენტები. ამიტომ დიდვაჭრები, ურტაღის წევრები, ახლო ურთიერთობას ამყარებდნენ ფეოდალურ არისტოკრატიასთან; ზოგიერთი მათგანი იმ დიდი კაპიტალის შემწეობით, რომელიც მათ დაგროვილი ჰქონდათ, მამულებსაც იგდებ-

* „თეთრი“ ამ შემთხვევაში ფულის ერთეულია და დაახლოებით ერთ აბაზს უდრიდა. „თეთრი“ ზოგჯერ ძველ საქართველოში ფულის ზოგადი მნიშვნელობითაც იხმარებოდა.

და ხელთ და ამ გზით დიდვაჭართა ნაწილი ახერხებდა ფეოდალური არისტოკრატიის რიგებში გადასვლას, ან კიდევ მაღალ სამოხელეო თანამდებობას აღწევდა. ასეთი პირები საქართველოშიც, თბილისშიც იყვნენ. საქართველოს ისტორიაში ცნობილი პირები: ხოჯა აზიზი—„სპარსი ვაჭარი", სადუნ მანკაბერდელი, ზემოთ ხსენებული უმეკი და სხვანი, სწორედ ამ გზით იყვნენ დაწინაურებულნი.

თბილისის ფეოდალური არისტოკრატიისა და მოქალაქეთა ზედაფენის — დიდვაჭარ მეურტაღეების ინტერესები ხშირ შემთხვევაში საერთო იყო, ეს კი ქალაქის განვითარებას გარკვეულ მიმართულებას აძლევდა.

მიუხედავად იმისა, რომ დიდვაჭრები ასეთი პატივითა და გავლენით სარგებლობდნენ ძველ თბილისში, ისინი ქალაქში მოსახლე დიდებულთა წრეში მაინც არ ივარაუდებოდნენ და მხოლოდ მოქალაქეთა ზედაფენას ჰქნიდნენ.

დიდვაჭართა წრის გვერდით, რომელშიც თავისუფალი და აგრეთვე სამეფო ვაჭრები ივარაუდებოდნენ, იყვნენ თავისუფალი წვრილი „ვაჭრები" და დიდებულთა, აზნაურთა და ეკლესია-მონასტრების ყმა-ვაჭრებიც. XVII—XVIII საუკ. თბილისში მეფეს, თავადებს, აზნაურებსა და ეკლესიას რამდენი ყმა-ვაჭარ-ხელოსანი ჰყავდა, ეს აღწერილობითი მასალებიდან ვიცით და ქვემოთ იქნება მოტანილი; მაგრამ როგორი იყო ამ მხრივ მდგომარეობა XII—XV საუკუნეებში თბილისში, ეს მასალის ნაკლებობის გამო, სამწუხაროდ, არ არის ცნობილი და ამიტომ ჩვენი მოთხრობა, ცხადია, სრული ვერ იქნება.

ვიცით, რომ დავით აღმაშენებლის დროს ქ. თბილისში შიო-მღვიმის მონასტერს რამდენიმე ყმა-ვაჭარი ჰყავდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ამ მონასტერს ყმა-ვაჭრები თბილისში ჰყოლია მაშინაც, როცა ქალაქი ჯერ კიდევ მაჰმადიანთა ხელში იყო.

გიორგი III-ის (1156—1184) ერთი სიგელიდან ჩანს, რომ შიო-მღვიმის მონასტერს ქალაქში მაჰმადიანთა ბატონობის დროს ხუთი ქულბაქი (დუქანი) ჰქონია, ოთხი კი შემდეგ შეუძენია; ყველა ამ 9 დუქანში შიო-მღვიმის მონასტრის ყმა-ვაჭრები და ხელოსნები მოსაქმეობდნენ. ყმა-ვაჭრები ჰყავდათ ქალაქში სხვა მონასტრებსაც, ქალაქის დიდებულებს, ე. ი. გაბატონებულ ფეოდალთა კლასს, მაგრამ საამისო კონკრეტული მასალა ჩვენ გვაკლია.

როგორც ვხედავთ, XII—XV საუკუნეებში თბილისის მოქალაქეთა ერთი ფენა დიდვაჭრებისაგან, წვრილი ვაჭრებისაგან და დიდებულთა და საეკლესიო-სამონასტრო ყმა ვაჭრებისაგან შედგებოდა.

თბილისის მოქალაქეების მეორე ფენას ხელოსნები შეადგენდნენ. ხელოსნები ქალაქის მწარმოებელი წრის ყველაზე ფართო ფენა იყო.

ხელოსნები ისე, როგორც ვაჭრები, დანაწილებულნი იყვნენ თავისუფალ და არათავისუფალ (ყმა) ხელოსნებად. თბილისში მოსაქმე ხელოსანთა უმეტესობა ქალაქის დიდგვარიანთა ან კიდევ სოფელში მოსახლე ფეოდალების ყმებს წარმოადგენდნენ. მაგრამ აღსანიშნავია ისიც, რომ ხელოსანთა შორისაც იყვნენ საპატიო და „ღირსნი“ ხელოსნები, ისე, როგორც ვაჭართა შორის იყვნენ დიდვაჭარნი და საპატიო ვაჭრები.

როგორც დავინახეთ, XII—XV საუკუნეების თბილისის „მოქალაქეთა“ ფენა სხვადასხვა სოციალური ჯგუფისაგან შედგებოდა, ამიტომ თვით მოქალაქეთა შორის კლასობრივი ინტერესების ერთიანობა როდი იყო. ამის გამო, მოქალაქეთა სხვადასხვა ფენას შორის ჩნდება ურთიერთ ბრძოლა და მოქალაქეთა ზედა ფენა ახერხებს დიდებულთა (თავადთა და აზნაურთა) თბილისში მოსახლე ყმა-ვაჭრებისა და ხელოსნების მოქალაქეთა წრიდან თანდათან გაძევებას. ქალაქის მოსახლეობის ყველაზე დაბალ ფენას „ქალაქის გლახაკნი“ შეადგენდნენ.

„გლახაკობა“ სოციალური უთანასწორობის თანამგზავრი იყო და ამიტომ ისინი ქალაქში მრავლად იყვნენ.

* * *

თბილისის მკვიდრთა შორის X—XVI საუკუნეებში და შემდეგაც ქალაქში მცხოვრები ფეოდალური არისტოკრატიაც ივარაუდებოდა. მოსახლეობის ეს ნაწილი თბილისში, ისე, როგორც საქართველოს სხვა ქალაქებში, გაბატონებულ საზოგადოებრივ წრეს წარმოადგენდა. ფეოდალური არისტოკრატია თბილისში გაბატონებას სხვადასხვა გზით აღწევდა. ჯერ ერთი, დიდებულები ზოგ ქალაქს თვით ფლობდნენ და იქ პოლიტიკურად ბატონობდნენ. თბილისი სამეფო ქალაქი იყო, მეფე ხომ ყველაზე მსხვილი ფეოდალი იყო. მეფე ქალაქზე ბატონობდა როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიურადაც. ქალაქს მეფე სხვადასხვა მოხელეთა შემწეო-

ბით განაგებდა. ქალაქის გამგებლებად ყოველთვის დიდი ფეოდალები ინიშნებოდნენ. მაღალი თანამდებობანი თბილისში, გამოუკლებლივ, დიდგვარიანებს ეკუთვნოდა. ამ გზით მეფე და მისი მოხელენი ქალაქში პოლიტიკურ გაბატონებას აღწევდნენ; მაგრამ დიდგვარიანთა მონაწილეობა საქალაქო ცხოვრებაში ამით არ ამოიწურებოდა. ისინი თბილისის ეკონომიური ცხოვრების ტონის მომცემნიც იყვნენ. აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ვაჭრობაში, საქალაქო გამოსაღებთა და გადასახადთა იჯარით შესყიდვაში, ან კიდევ სავაჭრო ამხანაგობების — ურტაღების საქმიანობაში, საქარავნო-სატრანზიტო ვაჭრობაში და ყოველივე ამით მნიშვნელოვნად ზემოქმედებდნენ თბილისის საერთო ეკონომიურ ცხოვრებაზე.

საქართველოს XII—XIII საუკუნეების ისტორიაში თბილისის საქალაქო ცხოვრების აქტიურ მონაწილეებად ჩანან ისეთი დიდი მოხელეები და დიდგვარიანები, როგორიც იყვნენ: აბულასანი, ყუთლუ-არსლანი, კახა გამრეკელ-თორელი, სადუნ მანკაბერდელი და სხვ.

აბულასანი XII საუკუნის დიდი მოხელეა. იგი ქართლის ერისთავთ-ერისთავი და თბილისის ამირა (გამგებელი) იყო. მას თამარის ისტორიკოსი „თბილისის მკვიდრს“ უწოდებს. იგი, როგორც თბილისის ამირა, ძლიერ ახლოს დგას საქალაქო ცხოვრებასთან არა მარტო თავისი თანამდებობით, არამედ ქალაქის ეკონომიურ საქმიანობაში აქტიური მონაწილეობითაც. აღსანიშნავია, რომ ამ ძლიერ ფეოდალს და გავლენიან მოხელეს, ქალაქში მის მიერ წარმოებული საქმიანობის გამო, ერთერთი ისტორიკოსი, „თბილისელ ვაჭარსაც“ კი უწოდებს.

საინტერესო პიროვნებაა ყუთლუ-არსლანიც. იგი გიორგი III-ის მეფობის უკანასკნელსა და თამარის გამეფების პირველ წლებში საქართველოს სამეფოს მეჟურნალეთუხუცესი (ფინანსთა მინისტრი) იყო. მას, როგორც ამ თანამდებობის მქონეს, ემორჩილებოდა ქალაქები, ვაჭრები და სამეფო სავაჭრო დაწესებულებანი. ასე რომ ის თანამდებობრივად ახლოს იდგა თბილისის ეკონომიურ ცხოვრებასთან. მაგრამ ყუთლუ-არსლანი ამას არ სჯერდებოდა და თავისი საქმიანობით, როგორც ჩანს, დაკავშირებული იყო მოვაჭრეფენებთან. ამიტომაა, რომ ის ძველ ისტორიკოსებს მიაჩნიათ „სიმდიდრით აღზევებულად“, ქონების შემწეობით დაწინაურებულად. რომ ისეთი თანამდებობის პირები, როგორიც ყუთლუ-არსლანი იყო, ვაჭრობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ, ეს კარგად ჩანს

XIII საუკუნის შუა წლების მეჭურჭლეთუხუცესის კახა თორელის მაგალითიდანაც. თვით კახა თორელის მიერ გაცემული საბუთიდან ირკვევა, რომ იგი აქტიურად მონაწილეობდა სავაჭრო კომპანიებში— ურტაღთა საქმიანობაში. ასე მაგ. ერისთავთ-ერისთავ კახას ურტაღისაგან სესხად ფული და ფართლეულიც (ლარიც) აუღია; მოგება რომ ჰქონოდა, თვით ჰყიდდა თვალ-მარგალიტსა და ოქროქსოვილებს. მას მართლაც დიდი მოგება უნახავს: აღებული სესხიც გაუსტუმრებია და კიდევ 60.000 თეთრის ღირებული ქონება და ფულიც დარჩენია.

მოტანილი მაგალითები ნათლად გვიჩვენებენ, რომ ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენლები, აბულასანი, ყუთლუ-არსლანი, კახა ერისთავთ ერისთავი და სხვ. მჭიდრო კავშირში იყვნენ მოქალაქეების ზედა ფენებთან და აქტიურად ზემოქმედებდნენ თბილისის საქალაქო ცხოვრებაზე არა მარტო თავიანთი მაღალი თანამდებობებით, არამედ მსხვილი სავაჭრო ოპერაციებითაც. ყოველივე ეს კი თბილისის საქალაქო წყობილების განვითარებაზე გარკვეულ გავლენას ახდენდა.

ფეოდალური არისტოკრატია ბატონობდა არამარტო ქალაქზე, არამედ მის მიმდგომ რაიონებზედაც. მეფე დიდებულებს აძლევდა საგამგეოდ, არა მარტო ქალაქს, არამედ მის მიდამოებსაც — ქალაქის ირგვლივ მდებარე დაბებსა და თემებს. ეს ის დაბები და თემებია, რომელთაც მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ ფეოდალური თბილისის ეკონომიკისათვის. თბილისის მიდამოებზე ფეოდალური არისტოკრატიის გაბატონება, ნიშნავდა ამ უკანასკნელთა გაბატონებას თვით ქალაქის ეკონომიკის მნიშვნელოვან ნაწილზე. ასე რომ, ამ მხრივაც ფეოდალური არისტოკრატია აღწევდა თავის მიზანს — ქალაქზე არა მარტო პოლიტიკურ, არამედ ეკონომიურ გაბატონებასაც.

შუა საუკუნეების თბილისის საქალაქო ცხოვრებაში საერო ფეოდალების გარდა სასულიერო ფეოდალები, — ეკლესია-მონასტრებიც მონაწილეობდნენ. ეკლესია შუა საუკუნეებში ძლიერ ფეოდალურ ერთეულს წარმოადგენდა. მას თავისი სამფლობელო სხვადასხვა ადგილებში ჰქონდა. ეკლესია-მონასტრებს, როგორც ზემოთ მივუთითეთ, თბილისში თავიანთი წარმომადგენლები ჰყავდათ ყმა ვაჭარ-ხელოსანთა სახით, ჰქონდათ ქულბაქები და სხვა სავაჭრო-სახელოსნო ნაგებობანი და ქონება. ზოგი სავაჭრო ნაგებობა და ვაჭარ-ხელოსანი შეწირული იყო, ზოგი კიდევ თვით მონასტრების

მიერ იყო შეძენილი, ქალაქის ვაჭრობაში მონაწილეობის მიზნით. ცნობილია, რომ ეკლესია-მონასტრები მათი უამრავი მამულიდან შემოსული პროდუქტებით და სხვა გამოსაღებებით ვაჭრობდა. გასაღების უდიდეს ბაზარს შუა საუკუნეების საქართველოს მონასტრებისათვის თბილისი წარმოადგენდა. ამიტომ სჭირდებოდა შიომღვიმისა თუ სხვა მონასტერს აქ დუქნები, ვაჭრები და ხელოსნები. ასე რომ სასულიერო ფეოდალებიც აქტიურად საქმიანობდნენ თბილისში და ამით ერთგვარ გავლენას ახდენდნენ საქალაქო ცხოვრებაზე.

ზემომოტანილ მცირე ცნობებიდან შემდეგი დასკვნა შეიძლება გავაკეთოთ. შუა საუკუნეების თბილისის მოსახლეობა შედგებოდა „მ ო ქ ა ლ ა ქ ე ე ბ ი ს ა გ ა ნ“, რომელშიც ივარაუდებოდნენ როგორც მსხვილი ვაჭრები (დიდვაჭრები), ისე ყმა ვაჭრები და ხელოსნები. „მოქალაქეთა“ გავლენიან ფენას შეადგენდნენ დიდვაჭრები, რომელნიც თავიანთი ინტერესებით მჭიდრო კავშირში იყვნენ ფეოდალურ არისტოკრატიასთან. „მოქალაქეთა“ დაბალი ფენა ყმა ვაჭრებისა და ხელოსნებისაგან შედგებოდა. საქალაქო ცხოვრების უმდაბლეს საფეხურზე „გლახაკნი“ იდგნენ. თბილისში გაბატონებულ წრეს ფეოდალური არისტოკრატია ქმნიდა, რომელიც ქალაქზე არა მარტო პოლიტიკურად, არამედ ეკონომიურადაც ბატონობდა. ისინი საერთო ენას ნახულობდნენ მოქალაქეთა ზედა ფენასთან და მათ თანდათან თავიანთ რიგებში აქცევდნენ. ყოველივე ეს კი შუა საუკუნეების თბილისის საქალაქო წესწყობილების თავისუფალ განვითარებას ხელს უშლიდა და მას ფეოდალური არისტოკრატიის პოლიტიკური და ეკონომიური ბატონობის სფეროში აქცევდა.

2. თბილისის სოციალური სახე XVII—XVIII საუკუნეებში

XV—XVI საუკუნეების საქართველოს სოციალურ ცხოვრებაში მომხდარმა ცვლილებებმა (თავადობის, როგორც წოდების, ჩამოყალიბება, ბატონყმობის გამარჯვება და სხვ.) თავისი გავლენა მოახდინა თბილისის სოციალურ სახეზედაც. თბილისის სოციალურ სახეში ცვლილებები განსაკუთრებით „მოქალაქეთა“ ფენის დაშლაში გამოიხატა.

ზეძოთ უკვე მივუთითეთ, რომ X—XV საუკუნეების თბილისში „მოქალაქეებად“ იწოდებოდნენ როგორც მეფის, ისე დიდებულთა ყმა ვაჭრები და ხელოსნები. XVI საუკ. დამდეგსაც დიდებულის ყმა,

1523 წლის ერთი საბუთით, ჯერ კიდევ თბილისელ მოქალაქედ იწოდება. მაგრამ რაკი თვით მოქალაქეთა შორის, მათი ეკონომიური და სოციალური სიკრელის გამო, კლასობრივ ინტერესთა ერთიანობა არ იყო, მოქალაქეთა უფრო გავლენიანი ნაწილი, მეფის ყმა მოქალაქენი, მოახერხებენ მოქალაქეთა წრიდან ქალაქის იმ ვაჭრებისა და ხელოსნების თანდათან გამოთიშვას, რომელნიც თავადთა და აზნაურთა ყმებს შეადგენენ და, ამრიგად, „მოქალაქეობას“ თბილისის მცხოვრებ-ხელოსანთა მხოლოდ გარკვეული ნაწილის უპირატესობად აქცევენ.

ჩვენ არ მოგვეპოვება მასალები, რომ ამ საინტერესო პროცესს თვალი გავადევნოთ, მაგრამ იგი XVI საუკ. შუა წლებიდან მაინც აშკარა უნდა ყოფილიყო. XVII საუკ. დამდეგისათვის, როგორც ეს არაერთი საბუთიდან ჩანს, „მოქალაქე“ უკვე თბილისში მცხოვრებთა მხოლოდ ერთი წრის აღმნიშვნელ ტერმინად იქცა და იგი თავისი შინაარსით ქალაქში მცხოვრებ „თემის კაცს“ დაუპირისპირდა.

თუ შუა საუკუნეებში თბილისის ვაჭარ-ხელოსნები ყველანი მოქალაქეებად იწოდებოდნენ და ამ წოდების მისაღებად რაიმე განსაზღვრული წესი არ იყო, XVII—XVIII საუკუნეებში „მოქალაქეობის“ წოდების მიღება უკვე ყველას არ შეეძლო და საამისოდ გარკვეული წესიც კი შეუმუშავებიათ.

ამ საკითხის შესასწავლად მოიპოვება მრავალი საინტერესო დოკუმენტი და სწორედ მათ ვემყარებით, როცა გვიანფეოდალურ თბილისში მოქალაქის წოდების მიღების წესის შესახებ ვსაუბრობთ.

ვის ეწოდებოდა მოქალაქე გვიანფეოდალურ თბილისში?

თბილისის მოქალაქედ შეიძლებოდა მიეჩნიათ ის, ვინც „თბილისის მკვიდრი“ იყო, ე. ი. ის, რომელსაც მუდმივი საცხოვრებელი ქალაქში ჰქონდა. მაგრამ ეს არ იყო „მოქალაქეობის“ წოდების მისაღებად საკმარისი პირობა. „თბილისის მკვიდრი“ სამეფო ყმა უნდა ყოფილიყო. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ თბილისში მცხოვრები ყველა სამეფო ყმაც არ შეიძლებოდა ყოფილიყო მოქალაქე. მხოლოდ ის სამეფო ყმა, შეიძლებოდა ჩაერიცხათ მოქალაქეთა დავთარში, რომელიც შეასრულებდა •თბილისის მოქალაქის ვალდებულებებს. საამისოდ კი მას სათანადო შეძლება, უნდა ჰქონოდა. ასე რომ, ბოლოსდაბოლოს მოქალაქეობის მიღების ძირითად საფუძველს სამეფო თუ სადედოფლო ყმის ეკონომიური მდგომარეობა შეადგენდა. ამით აიხსნება, რომ გვიანფეოდალური თბი-

ლისის სამეფო თუ სადედოფლო ყმათა შორის იყვნენ როგორც მოქალაქენი, ასევე ყმა ვაჭარ-ხელოსნები, რომელთაც ამგვარი წოდება არ გააჩნდათ.

თბილისის მოქალაქედ შეიძლებოდა მიეღოთ საქართველოს სოფლებიდან მეფის ნებართვით გადმოსახლებული სახელმწიფო ყმები, რომლებიც თბილისში გაიჩენდნენ უძრავსა და მოძრავ ქონებას (თუნდაც მოქალაქის ქალის შერთვით) და შესძლებდნენ სათანადო საქალაქო ხარჯის გაღებას. ასევე თბილისში მკვიდრად დასახლება აუცილებელი პირობა იყო უცხო ქვეყნიდან მოსულ ვაჭართათვისაც. უცხოელი ვაჭრები, რომლებიც ქართლის სამეფოს მფარველობაში შევიდოდნენ, თავიანთ თავს მეფის ყმად ჩაწერდნენ და მოქალაქის ვალდებულებებს შეასრულებდნენ, მოქალაქის წოდებას მიიღებდნენ.

სამეფო ყმებს გარდა, თბილისის მოქალაქის წოდება, ზემოჩამოთვლილი სათანადო პირობების შესრულებით, შეეძლოთ მიეღოთ როგორც სადედოფლო ყმებს, ისე საეკლესიო ყმებს. მაგრამ მათ სამეფო ყმა-მოქალაქეთაგან განსხვავებით გვიანფეოდალურ თბილისში „სადედოფლო მოქალაქენი“ და „საეკლესიო მოქალაქენი“ ეწოდებოდათ. XVII—XVIII საუკუნეებში თბილისის მოქალაქის წოდებას ვერ იღებდნენ ბატონიშვილების, თავადაზნაურებისა და სხვათა ქალაქში მოსახლე ყმები. ბატონიშვილთა, თავადთა და აზნაურთა ყმობიდან თავის დახსნა, განთავისუფლება და მეფის საგანგებო ბრძანება იყო საჭირო, რომ ამგვარ ვაჭარ-ხელოსნებს მოქალაქის წოდება მიეღოთ.

მაგრამ მოქალაქეებად, შუა საუკუნეებში, იყვნენ არა მარტო ვაჭრები, არამედ ხელოსნებიც. ამდროინდელ საბუთებში ხშირად გვხვდება „მოქალაქე მჭედელი“, „მოქალაქე ხელოვანი მხატვარი“ და სხვ.

მეფის ბრძანებით, თბილისის მოქალაქეთა სიაში შეჰქონდათ ისეთი მოხელენიც, რომელნიც მეფესთან გარკვეული ჯამაგირით მსახურობდნენ, მაგ., მეფის მემუსიკენი, მენაღარენი, ზარაფხანის მუშაკები, ამბარდნები, ბაირახტრები და სხვანი.

ამრიგად, გვიანფეოდალურ თბილისში მოქალაქის წოდება შეეძლოთ მიეღოთ სახელმწიფო (სამეფო-სადედოფლო) და საეკლესიო ყმებს, უცხოეთიდან გადმოსახლებულ და ქართლ-კახეთის სახელმწიფოს მფარველობაში შესულ ვაჭრებსა და ხელოსნებს, საქართველოს სოფლებიდან მოსულ სახელმწიფო და მებატონეთაგან

თავდახსნილ სათავადაზნაურო ყმებს. მოქალაქეობის მიღების აუ-
ცილებელი პირობა თბილისში „ყოველ ჟამიერ“ (მუდმივად) მყო-
ფობა და ხელმწიფის წინაშე სხვადასხვა სახის სამსახურის შესრუ-
ლება იყო.

თბილისის მოქალაქენი ერთ მთლიან ფენას ამჟამადაც არ შე-
ადგენდნენ. მოქალაქეთა შორის ცალკე მოიხსენებიან „შემძლებელ-
ნი მოქალაქენი“. ეკონომიური შესაძლებლობა იყო ერთი საფუძ-
ველი მათი სხვა პატივისა და ღირსებისა. ამ თვალსაზრისით თბი-
ლისის მოქალაქეებში იყვნენ „პირველხარისხოვანი“, „პირველი“,
„ჩინებული“ თუ „გამორჩეული“ და „საპატიო მოქალაქენი“.

ვინ იყო მიჩნეული XVII—XVIII საუკ. თბილისში „პირველხა-
რისხოვან“ და „საპატიო მოქალაქედ“?

მოქალაქეთა ხარისხისა თუ პატივის ძირითადი საფუძველი,
როგორც აღვნიშნეთ, ეკონომიური შესაძლებლობა იყო. მაგრამ,
ერთი პირობა მოქალაქეთა ხარისხისა და პატივისა მათ წინაპართა
დამსახურება, „გვარის მსვლელობაც“, წარმოშობაც ყოფილა.
„გვარის მსვლელობა“ მაინც პირველხარისხოვანი მოქალაქის წო-
დების მისაღებად მთავარი მომენტი არ ყოფილა: „ვაჭართ პირვე-
ლობა კანონის·ძალით გვაროვნებით კი არ არის, არამედ დიდის
ქონების მქონელის გვამზედ არის დამოკიდებულიო.“ — აცხადებდა
თბილისის დიდი ვაჭარი მიხ. სარაჯიშვილი 1816 წ. როგორც ვხე-
დავთ, გადამწყვეტი პირობა მაინც „უძრავისა მამულისა“ და ან
„სამთავნოისა“, ე. ი. კაპიტალის·ქონება იყო.

„უძრავი მამული“ ქალაქში სახლის, მამულისა და ყმების მესა-
კუთრეობას გულისხმობდა. ასევე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა „სამ-
თავნოს“. „სამთავნო“ ვაჭრისა თუ მწარმოებლის მიერ დაბანდე-
ბულ თანხას, კაპიტალს ეწოდებოდა.

პირველხარისხოვან მოქალაქედ მიჩნევისათვის მნიშვნელობა ჰქონ-
და აგრეთვე ამა თუ იმ მოქალაქის მოხელეობასაც, მის მიერ და-
კავებულ თანამდებობას.

ამრიგად, XVI—XVIII საუკუნეებში თბილისში საპატიო თუ
პირველხარისხოვან მოქალაქეებად ითვლებოდნენ ისინი, რომელთაც
ჰქონდათ „უძრავი მამული“, დიდი „სამთავნო“, ე. ი. რომელნიც
იყვნენ „დიდის ქონების მქონებელნი“. ამას გარდა, პირველი მო-
ქალაქეობის მიღებას ხელს უწყობდა „გვარის მსვლელობა“ და ქა-
ლაქში დაკავებული სხვადასხვა თანამდებობა.

დიდი ქონების მფლობელი მოქალაქე სამეფო ხაზინას მეტ სამ-
სახურს უწევდა — მეტი რაოდენობით იხდიდა სამეფო გამოსაღე-

ბებს. ამიტომ, ისინი სხვა მოქალაქეებთან შედარებით უფრო პატივდებულნი იყვნენ და სამეფო ხელისუფლებაც მათ გარკვეულ უფლებებსა და შეღავათებს ანიჭებდა. ვინც მეტს გადაიხდიდა სახელმწიფო გამოსაღებებს, ის მეტი პატივით სარგებლობდა ხელმწიფისაგან. ყველაზე მეტი გადამხდელი პირველხარისხოვნად იყო მიჩნეული. სახელმწიფო გამოსაღებთა გადახდის უნარიანობის მიხედვით თბილისის მოქალაქეები 17 ხარისხად იყვნენ დანაწილებული. მაგრამ რაკი სახელმწიფო ხარჯის გაღება მოქალაქის ყოველწლიურ შემოსავალზე იყო დამოკიდებული და ის მოქალაქეთა შეძლების მიხედვით ნაწილდებოდა, მოქალაქეთა ხარისხებს შორის გარდაუვალი ზღვარი არ არსებობდა. წლევანდელი პირველი გადამხდელი შეიძლებოდა შემდგომ წელს გადამხდელთა მეორე ჯგუფში მოქცეულიყო და პირიქით. ასე რომ მოქალაქეთა ხარისხებად დაყოფა XVII—XVIII საუკ. თბილისში მხოლოდ პირობითი იყო.

ისე, როგორც მოქალაქეთა პირველხარისხოვნობა, თვით მოქალაქეობის მემკვიდრეობითი წოდებაც არ ყოფილა მუდმივი, თუ კი მოქალაქის ქონებრივი შეძლება თანდათან მცირდებოდა, ის ხარისხობრივადაც იკლებდა. უკიდურეს ეკონომიურ გაჭირვებაში ჩავარდნილი კი თანდათან თავის პატივსაც კარგავდა და მოქალაქეთა დავთრიდანაც ამოირიცხებოდა ხოლმე.

აღსანიშნავია, რომ თბილისის მოქალაქის ობოლი, „მოწევნამდე სრულის ასაკისა“, ე. ი. სანამ სრულწლოვანი გახდებოდა, მოქალაქის პატივით ისარგებლებდა, მაგრამ თუ კი ამის შემდეგ ობოლი წინაპრის საქმიანობას ვერ გააგრძელებდა და მოქალაქეთა თანაბრად ხელმწიფის წინაშე სამსახურს ვერ გასწევდა, იგი თავის გვარის ღირსებაში ვერ დარჩებოდა და მოქალაქის წოდებას დაკარგავდა.

როგორც ვხედავთ, მოქალაქეობა და მით უფრო პირველმოქალაქეობა XVII—XVIII საუკ. თბილისში არა მემკვიდრეობითი, არამედ პიროვნული, ინდივიდუალური პატივი იყო.

მოქალაქენი გვიანფეოდალურ თბილისში „მოქალაქეთა დავთარში“ აღირიცხებოდნენ. მოქალაქის წოდება მინიჭებული, თავდახსნილი ყმა, დაეთარში, მეფის ბრძანებით, ქალაქის მელიქს შეჰქონდა.

როგორც ვხედავთ, თბილისში მოქალაქეთა ფართო წრეს XVII—XVIII საუკ. შედარებით პრივილეგიური ფენა გამოჰყოფია. სამეფო, სადედოფლო და საეკლესიო ყმების გარდა, ქალაქის სხვა

მცხოვრებლები ამიერიდან მოქალაქეებად აღარ იწოდებიან. XVII—XVIII საუკ. მოქალაქენი არა მარტო ქონებრივად, არამედ უფლებრივადაც განირჩევიან თბილისში მოსაქმე სხვა ყმა ვაჭარ ხელოსნებისგან. სამეფო ხელისუფლება მათ შედარებით მეტი პატივით ინახავს, სამართალს უმსუბუქებს, შელავათებს ანიჭებს და ზოგ შემთხვევაში, პირველხარისხოვან მოქალაქეებს, დიდებულთა გარკვეულ წრესთან ათანასწორებს. თბილისის ვაჭარ-ხელოსანთა ეს პრივილეგიური ზედაფენა, XVII—XVIII საუკ. თბილისში მრავალრიცხოვანი არ ყოფილა. XIX საუკ. დამდეგს შედგენილი დავთრის მიხედვით, XVIII საუკ. ბოლოს თბილისში მოქალაქის წოდება მხოლოდ 300-მდე კაცს ჰქონია. ეს იმაზე მიგვითითებს, რომ ქალაქის ძირითად მოსახლეობას ბატონიშვილთა, თავადაზნაურთა და სხვათა ყმა ვაჭრები და ხელოსნები შეადგენდნენ და არა პრივილეგიური მოქალაქეები. მაინც ქალაქის ეკონომიურ ცხოვრებაში უმთავრესად სწორედ ეს მცირერიცხოვანი წრე იყო გაბატონებული.

საინტერესოა, თუ როგორი იყო თბილისის მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური ჯგუფების რაოდენობა. ეს ყველაზე უკეთ წარმოგვიდგენს ქალაქის სოციალურ სახეს. სამწუხაროდ, ჩვენ საამისო მასალები მხოლოდ XVIII საუკ. მეორე ნახევრის თბილისის შესახებ მოგვეპოვება. გავითვალისწინოთ ეს მასალებიც.

თბილისის 1803 წლის აღწერის მიხედვით ქალაქში, XVIII საუკ. ბოლოს და XIX საუკ. პირველ წლებში უმაღლესი წოდება (თავადები) აღრიცხულია 72 კომლად, აზნაური კი 133 კომლი ყოფილა. ე. ი. მაღალი წოდების წარმომადგენელი სულ 205 კომლი ყოფილა. მაღალი წოდება თბილისში შედარებით მეტი იქნებოდა მანამ, სანამ ქალაქი ქართლ-კახეთის მეფეს ეკუთვნოდა, ე. ი. 1801 წლამდე, მაგრამ საამისოდ ჩვენ ცნობა გვაკლია. როგორც ჩანს, თავადაზნაურობა XVIII საუკ. თბილისის მოსახლეობის უმნიშვნელო პროცენტს შეადგენდა. ძირითად მოსახლეობას შეადგენდნენ ვაჭრები, ხელოსნები და ქალაქში მოსახლე ყმები.

ქალაქში მოსახლე ყმები მეფეს, დედოფალს, ბატონიშვილებს, ეკლესიას და კერძო მებატონეებს ეკუთვნოდნენ. თბილისის XVIII საუკ. 80-ანი წლების აღწერიდან ირკვევა, რომ თბილისში მცხოვრებ 3428 კომლიდან დარეჯან დედოფალს ეკუთვნოდა 248 კომლი; ქართული ეკლესიის მეთაურს, კათალიკოს-პატრიარქს, თბილისში 198 კომლი ჰყოლია. მეფის შვილებს, ბატონიშვილებს 306 კომლი ჰყავდათ. თავადებსა და აზნაურებს 770 კომლი. ქართულ ეკლესი-

ებს 167 კომლი, სომხურ ეკლესიებს 72 კომლი. ყმები ჰყოლიათ თვით მოქალაქეებსაც. მოქალაქეთა ყმების რაოდენობა XVIII საუკ. 80-ანი წლების თბილისში 164 კომლს აღწევდა. ასე რომ სადედოფლო, საეკლესიო, ბატონიშვილთა, თავადაზნაურთა და მოქალაქეთა ყმების რაოდენობა სულ 1771 კომლს აღწევდა.

თბილისში ყმათა ყველაზე დიდი მფლობელი იყო მეფე. სამეფო ყმათა რაოდენობა XVIII საუკ. 80-ან წლებში 1489 კომლს აღწევდა. მეფის შემდეგ ყმათა დიდი მფლობელი იყო დედოფალი, რომელსაც 80 კომლი გლეხი, 30 კომლი აზნაური და 138 კომლი მოქალაქე ჰყავდა ყმად, შემდეგ პატრიარქი, ბატონიშვილები და სხვ.

თბილისელ თავადთა შორის ზოგს საკმაოდ მრავალრიცხოვანი ყმა ჰყავდა. ასე მაგალითად, მარტო დავით სარდალს 208 კომლი ყმა ჰყოლია თბილისში. ზოგს 70—60 კომლი ჰყავდა, ზოგს კი ერთეულები.

მოქალაქეთა შორის ყველაზე დიდ მფლობელს 11 კომლი ყმა ჰყოლია. მაგრამ ასეთი მფლობელი იშვიათი იყო და უმეტეს შემთხვევაში მოქალაქენი მხოლოდ თითო-ოროლა ყმას ფლობდნენ.

სასულიერო ფეოდალებიც ქალაქში ყმათა მფლობელობით საერო ფეოდალებს არ ჩამოუვარდებოდნენ. ზოგ ეკლესიას დიდი რაოდენობით ჰყოლია, ყმა. ასე მაგალითად, თბილელს, თბილისის ეპისკოპოსს 59 კომლი ყმა ჰყავდა, რუსთავის ეპისკოპოსს 18 კომლი, ეჩმიაძინის ეკლესიას 49 და ასე შემდეგ.

აღა-მაჰმად-ხანის შემოსევამ მნიშვნელოვნად შეამცირა თბილისის მოსახლეობის რაოდენობა. მან თავის შემოსევის დროს, 10.000 მდე ტყვე იგდო ხელთ; ცხადია, უმეტესობა სწორედ თბილისის მცხოვრებლები იყვნენ. ყოველივე ამან დიდი გავლენა მოახდინა ყმათა რაოდენობასა და მათს მფლობელობაზე.

რუსული ხელისუფლების დამყარების შემდეგ კი სახელმწიფო, სადედოფლო და ბატონიშვილების ყმების რაოდენობაც შემცირდა. თუ XVIII საუკ. 80-იან წლებში თბილისში ირიცხებოდა 2139 კომლი სამეფო, სადედოფლო და ბატონიშვილების ყმა, 1803 წლისათვის სახაზინო, სადედოფლო და ბატონიშვილების ყმათა რიცხვი 1336 კომლამდე დასულა, ე. ი. 37,5%-ით შემცირებულა. სამაგიეროდ გაზრდილა კერძო მებატონეების ყმათა რიცხვი. თუ XVIII საუკ. 80-ან წლებში თავადაზნაურებს 770 კომლი ყმა ჰყავდათ, 1803 წლისათვის მათ უკვე 944 კომლი ჰყოლიათ. როგორც ვხედავთ, კერძო მებატონეთა ყმების რაოდენობა XIX საუკ. დამდეგისათვის თბილისში 19%-ით გაზრდილა. მეფობის გაუქმების შემდეგ, როგორც ჩანს,

თავადებსა და აზნაურებს დიდი რაოდენობით მიუთვისებიათ საბაზინო (სამეფო) ყმები.

საინტერესოა, თუ როგორი იყო თბილისის ყმათა მფლობელობა 1803 წლის აღწერის მიხედვით? თბილისში ამ დროისათვის ყოფილა 1055 კომლი სახაზინო ყმა. სადედოფლო, კერძოდ დარეჯან დედოფლისა 177, მარიამ დედოფლის 21 კომლი, ბატონიშვილების 96 კომლი; საეკლესიო ყმა ყოფილა სულ 357 კომლი, მათ შორის კათალიკოსს 144 კომლი ეკუთვნოდა, თბილელს 25 კომლი, და ასე შემდეგ.

აღწერის ზემომოტანილი მასალებიდან კარგად ჩანს, რომ XVIII საუკ. თბილისში თითქმის არ იყო თავისუფალი მოსახლეობა. ქალაქის მოსახლეობა ბატონყმობის უღელში იყო შებმული.

მაგრამ ვინ არიან ქალაქში მოსახლე ეს ყმები? რა საქმიანობას ეწევიან ისინი?

სამეფო, სადედოფლო, საეკლესიო, თუ კერძო საბატონო ყმების დიდი უმრავლესობა ვაჭრები და ხელოსნები იყვნენ. ამ საკითხის შესასწავლად ჩვენ საინტერესო მასალა მოგვეპოვება და მის აქ მოტანასაც საჭიროდ მივიჩნევთ. XVIII საუკ. დასასრულს თბილისში მოსახლე ყმათა საქმიანობის შესახებ გარკვეულ მასალას გვაძლევს 1807 წელს შედგენილი „თბილისში მცხოვრებ საბატონო გლეხთა ნუსხა“.

ამ ნუსხიდან ირკვევა, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს ყოფილ სახლთუხუცესს და სარდალს თავად ივანე ორბელიანს თბილისში ჰყოლია 33 კომლი ყმა. ამათგან, როგორც ნუსხაშია ნათქვამი, ხილით ვაჭარი იყო 1, მევახშე 1, მეფეხსაცმლე 4, დურგალი 1, მჩითავი 1, მეპურე 1, მეეტლე 3, მეაბრეშუმე 2, სურსათით მოვაჭრე 2, ბაშმაღჩი 1, ყასაბი, 1, მექვაბე 2, მებაღე 1, მეთევზე 1, მკერვალი 1, ფეიქარი 2, ღვინით მოვაჭრე 2, მეუნაგირე 1, მღებარი 2, მჭედელი 1, დალაქი 1, გაურკვეველი პროფესიის 1. ამას გარდა, თავად ი. ორბელიანის თბილისში მოსახლე ყმებიდან 14 იყო მისი პირადი მსახური, დანარჩენები (33) კი ქალაქში მოსაქმეობდნენ ვაჭრობითა და ხელოსნობით. უმეტესობა მათგან ხელოსანი ყოფილა. აღსანიშნავია, რომ ი. ორბელიანის ყმები თბილისში ხელობის 14 სხვადასხვა დარგს მისდევდნენ.

ამგვარადვე, თავად თამაზ ორბელიანს თბილისში სულ 26 კომლი ყმა ჰყავდა. ამათგან 12 მისი მსახური იყო, 14 კიდევ ვაჭარი და ხელოსანი. თამაზ ორბელიანის ყმები 11 სხვადასხვა ხელობას მისდევდნენ.

ზოგ თავადს მარტო ხელოსნები ჰყავდა თბილისში ყმებად. მაგალითად დავით ბებუთოვს — სულ სამი ყმა ჰყოლია, საბინე ხელოსანი.

ჩვენ არ შეეუდგებით თბილისის თავადების ყმათა რაოდენობის და საქმიანობის ვრცელ განხილვას და მხოლოდ ზოგად ცნობებს მოვიტანთ. ზემოდასახელებული 1807 წლის ნუსხიდან ირკვევა, რომ თბილისში 59 თავადს (მათი უმეტესობა საკუთრივ ქალაქში ცხოვრობდა) 254 კომლი ყმა ჰყოლია. მათ შორის ხელოსნობით ცხოვრობდა 145 კომლი, ე. ი. ნახევარზე მეტი, ვაჭრობით — 29; ხოლო დანარჩენი 80 კომლი ვაჭრობა-ხელოსნობას არ მისდევდა და ბატონის წინაშე სამსახურს სხვადასხვაგვარ ვალდებულებათა შესრულებით ეუოდა. აღსანიშნავია, რომ თბილისში მოსახლე საბატონო ყმათა უმეტესობა ხელოსნებია. უმცირესობა კი ვაჭრები. მათ შორის არ არის არც ერთი მსხვილი ვაჭარი.

როგორი იყო აზნაურთა ყმების საქმიანობა იმდროინდელ თბილისში? ყმათა ყველაზე დიდ მფლობელ აზნაურს თბილისში 9 კომლი ჰყავდა. ამათგან უმეტესობა ხელოსნები და წვრილი ვაჭრები იყვნენ. ზემოაღნიშნული „ნუსხის“ მიხედვით 24 აზნაურს თბილისში მხოლოდ 54 კომლი ყმა ჰყოლია. ამათგან 10 წვრილი ვაჭარი იყო, 38 ხელოსანი და 6 კი სხვა საქმიანობის შემსრულებელი.

ახლა თბილისში მოსახლე საეკლესიო ყმათა საქმიანობასაც შეეხოთ. აღნიშნული ნუსხის მიხედვით 1807 წლისათვის თბილისში საპატრიარქო, სამონასტრო და საეკლესიო ყმათა რაოდენობა 306 კომლს უდრიდა. ყმათა ყველაზე დიდი მფლობელი პატრიარქი იყო. მას ჰყოლია ჭონი (მექუდე) 9, ფეიქარი 1, მღვდელი 1, მოზდოკში მოვაჭრე 1, თევზეულობით მოვაჭრე 3, ბეაბანოე 1, მეაგურე 3, ვაჭარი 1, გაურკვეველი საქმიანობის 5, მესანთლე 2, ხარაზი 4, სურსათით მოვაჭრე 4, ზეინკალი 3, მექვაბე 4, მკერვალი 6, მსახური 15, ღვინით მოვაჭრე 4, აბრეშუმით მოვაჭრე 2, დურგლების უსტაბაში 1, მეაბრეშუმეთა შაგირდი 1, ხილით მოვაჭრე 1, მუედელი 3, მევახშე 1, მებაღე 15, თოფის წამლის ოსტატი 1, შინამოსამსახურე 2, ფარჩით მოვაჭრე 1, ფართლეულით მოვაჭრე 3, მეტყავე 3, მზარეული 1, მეპურე 3, მსთველი 1 და სხვ. ამრიგად, 123 საკათალიკოსო ყმიდან 64 ხელოსანი იყო, 24 ვაჭარი და 35 კი სხვადასხვა საქმიანობისა.

საერთოდ კი, თბილისში ეკლესია-მონასტრების ყმებიდან ხელოსანი იყო 164, ვაჭარი 61. დანარჩენები სხვადასხვა საქმიანობას მისდევდნენ.

გვიანფეოდალური თბილისის სოციალური სახის შესასწავლად განსაკუთრებით საინტერესოა, რომ ქალაქის ვაჭარ-ხელოსანთა ზუდაფენა, ე. წ. მოქალაქეები, თვით ყმათა მფლობელებად გვევლინებიან და ამით სავსებით უპირისპირდებიან იმ წრეს, რომელსაც თვით ეკუთვნოდნენ და საიდანაც ისინი გამოვიდნენ.

1807 წლის ნუსხის მიხედვით თბილისში ყმა მხოლოდ 14 მოქალაქეს ჰყოლია. არც ერთი მოქალაქე 4-ზე მეტ ყმას არ ფლობდა. მოქალაქეთა ყმების უმეტესობა ხელოსნები იყვნენ. მოქალაქეთა 20 ყმიდან 14 ხელოსანი იყო, 4 წვრილი ვაჭარი და 2 მსახური.

ზემოთ მოტანილი მასალა კარგად გვიჩვენებს, თუ რა საქმიანობას ეწეოდნენ თბილისში მოსახლე სამეფო, სადედოფლო, საეკლესიო და სათავადაზნაურო ყმები. ისინი ქალაქის მწარმოებელ და მოვაჭრე ფენას ჰქმნიდნენ. ყმა ვაჭარი თუ ხელოსანი ბატონის წინაშე სამსახურს თავის საქმიანობით ეწეოდა.

ყმა ვაჭრებისა და ხელოსნების თბილისში მოსაქმეობით მათი მფლობელი, საერო თუ სასულიერო დიდგვარიანი, აქტიურად ერეოდა ქალაქის ეკონომიურ ცხოვრებაში. მაგრამ დიდგვარიანთა მონაწილეობა გვიანფეოდალური თბილისის საქალაქო ცხოვრებაში ამით არ ამოიწურებოდა.

მეფეს და სამეფო სახლს, ასევე სხვა ფეოდალ მფლობელებს, ქალაქში თავისი საკუთრებაც ჰქონდათ. მათი მფლობელობა სხვადასხვაგვარი იყო და ძირითადად ქალაქის ეკონომიურ ყოფაში აქტიურ მონაწილეობას ემსახურებოდა. ასე მაგალითად, დარეჯან დედოფალს თბილისში, როგორც აღვნიშნეთ, მრავალი ყმა ჰყავდა; ამას გარდა, მას ჰქონდა რამდენიმე სამღებრო სახელოსნო, რომელსაც იგი ყოველწლიურად ხუთას ან კიდევ შვიდას თუმნად გასცემდა იჯარით. ასევე წელიწადში 12 თუმნად იყო იჯარით გაცემული მისი ბაღები ქალაქში. დედოფალს, მისივე სიტყვით, თბილისში ჰქონია ყასაბხანა, რომლის ქირა მას წელიწადში 16 თუმანს აძლევდა შემოსავალს.

მარიამ დედოფალსაც რომ ქალაქის ეკონომიურ ცხოვრებაში მონაწილეობა მიეღო, თბილისში დუქნები თვით აუშენებია და ამ მხრივ თავისთვისაც ერთგვარი შემოსავლის წყარო გაუჩენია. მსგავსი დუქნები თუ სხვა სახელოსნო ნაგებობანი ჰქონდათ ქალაქში ბატონიშვილებსაც. დუქნები ჰქონდა მეფესაც, სადაც, ზოგ შემთხვევაში, სამეფო ხაზინაში სხვადასხვა გზით შემოსული ნივთები იყიდებოდა.

ამგვარსავე საქმიანობას ეწეოდნენ უძველეს დროიდან თბილისში ეკლესია-მონასტრებიც, კერძო მებატონეები და სხვანი. სწორედ ამ მიზნით სპირდებოდათ მათ თბილისში ყმა ვაჭრები, ხელოსნები და სავაჭრო-სახელოსნო დუქნები, ქარვასლები და სხვ., რომელნიც საკმაოდ დიდ შემოსავალს აძლევდნენ მათ მფლობელებს.

მაგალითად, XIX საუკუნის დამდეგისათვის თბილისში დუქანი მის მფლობელს ყოველწლიურად აძლევდა შემოსავალს არა უმცირეს 6 მანეთისა და არა უმეტეს 250 მანეთისა. ქალაქის ბაღები შემოსავალს იძლეოდნენ წლიურად 10 დან 200 მანეთამდე. წისქვილები 100 მანეთამდე. თავად ბებუთაშვილის ქარვასლა ყოველწლიურად 5000 მანეთის შემოსავალს იძლეოდა, დედოფლისეული ქარვასლა 3000 მანეთს.

მეტად შემოსავლიანი იყო ქალაქის აბანოებიც. სახაზინო აბანო წლიურად 3000 მანეთს იძლეოდა, საეკლესიო აბანო 2000 მანეთს, ბებუთაშვილების 2000 მანეთს, სუმბათაშვილების 2000 მანეთს, ორბელიანების 600 მანეთს.

მაღალი საზოგადოებრივი ფენების ესა და მსგავსი საქმიანობა თბილისის საქალაქო ცხოვრებაში მათი მონაწილეობის ერთი მხარეა.

ფეოდალური არისტოკრატიის მონაწილეობა თბილისის ეკონომიურ საქმიანობაში XVIII საუკუნის დასასრულს და XIX საუკუნის დამდეგს სხვა ხასიათსაც იღებს: ზოგი ვაჭრობაში მონაწილეობს, ზოგი კიდევ თავის მამულში სხვადასხვა სარეწაოს აწყობს და ნაწარმი, თავისი ყმების შემწეობით, ბაზარზე გააქვს.

აღსანიშნავია, რომ მოვაჭრე კეთილშობილი თბილისში არა ერთი იყო. დამახასიათებელია, რომ XIX საუკუნის პირველი წლების ერთ-ერთ განცხადებას ხელს აწერს თბილისში მოვაჭრე 17 აზნაური.

ზემოთ მოტანილი მცირე მასალა იმაზე მიგვითითებს, რომ თბილისში მოსახლე დიდგვარიანთა საქმიანობაში XVIII საუკუნის დასასრულს და განსაკუთრებით XIX საუკუნის დაზმდეგს ერთგვარი გარდატეხა ხდება. მაგრამ ყველაფერი ეს თბილისის საქალაქო ცხოვრებაში მხოლოდ ეპიზოდური მოვლენები იყო, რომელსაც დიდი კვალი არ შეეძლო დაეჩნია მისთვის. პირიქით, XVIII საუკუნის დასასრულს და XIX საუკუნის დამდეგის თბილისის ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ თბილისი თანდათან თავისუფლდება ფეოდალური არისტოკრატიის ბატონობისაგან, რომელიც საუკუნეების განმავლობაში გრძელდებოდა. თბილისის საქალაქო ცხოვრების ბატონ-პატრონებად ნელ-ნელა ქალაქის ძირითადი მოსახლეობა—

ვაკრები და ხელოსნები ხდებიან. ფეოდალური არისტოკრატიის ცდა იმქამად, როცა ფეოდალური წყობილების დღეები დათვლილი იყო, ჩაებას აღმავლობის გზით მიმავალ საქალაქო ცხოვრებაში მხოლოდ იმის ნიშანია, რომ დრომოჭმული ფეოდალური არისტოკრატიის სურვილები თანდათან საქალაქო ცხოვრების წამყვანი ძალის სურვილებს დაუქვემდებარდეს. მაგრამ ეს მნიშვნელოვანი გარდატეხა ჯერ კიდევ იმდენად ძლიერი არ იყო, რომ მას რაიმე გადამწყვეტი ცვლილებები შეეტანა XVIII საუკუნის დასასრულისა და XIX საუკუნის დამდეგის თბილისის სოციალურ ცხოვრებაში. თბილისი ისევ ფეოდალურ ქალაქად რჩებოდა.

თ ა ვ ი VI

თბილისის კულტურული სახე

თბილისს ქართველი ხალხის კულტურულ ცხოვრებაშიც მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა. ფეოდალური თბილისის კულტურულ-ეკონომიური მნიშვნელობა საქართველოს ფარგლებს სცილდებოდა. იგი მთელი წინა აზიის დიდმნიშვნელოვანი სავაჭრო და კულტურული ცენტრი იყო. აქ იმართებოდა სამხედრო აღლუმები, სამეცნიერო დისპუტები, ლიტერატურული საღამოები, საბაზრო შეხვედრები... საშუალო საუკუნეების ქართული კულტურის ნაკადი აქედან მიედინებოდა ჩრდილოეთსა თუ აღმოსავლეთში, სამხრეთსა თუ დასავლეთში.

თბილისი თავისი კულტურული შემოქმედებით დიდ გავლენას ახდენდა არა მარტო მახლობელ, არამედ შორეულ ქალაქებსა და სოფლებზეც.

1. სასწავლებლები თბილისში

საშუალო საუკუნეებში სწავლა-განათლების ცენტრებს, ჩვეულებრივ, ეკლესია-მონასტრები წარმოადგენდნენ, მაგრამ ქალაქსაც თავისი წონა ჰქონდა ამ საქმეში. სამწუხაროდ, ჩვენ არავითარი, თუნდაც არაპირდაპირი, ცნობა არ მოგვეპოება იმის შესახებ, თუ რა ხასიათის სკოლები არსებობდა, ან საერთოდ არსებობდა თუ არა სკოლები თბილისში ადრეულ შუა საუკუნეებში. თუმცა ჩვენს ძველ მწერლობას ამგვარი ცნობები არ დაუცავს, სასწავლო დაწესებულებათა არსებობა, ვთქვათ, XII—XIII და შემდეგ საუკუნეების თბილისში უდავოდ უნდა მივიჩნიოთ. სხვა მხრივ გაუგებარი იქნებოდა ის დიდი კულტურული მიღწევები, რაც წინა აზიის უძლიერეს სახელმწიფოს დედაქალაქს გააჩნდა. ეს მით უფრო სა-

ვარაუდებელია საქართველოს სიძლიერის ხანაში, რაკი საქართველოს დაცემისა და დაქვეითების ხანაში არა ერთი სკოლა არსებობდა თბილისში. ასე მაგალითად, ჩვენ დანამდვილებით ვიცით, რომ XVII საუკუნეში იტალიელმა მისიონერებმა თბილისში სკოლა გახსნეს. 1667 წელს პატრი კარლო წერდა თბილისიდან რომს: „თბილისში, ჩვენს სკოლაში, 25 მოწაფე გვყავს". კათოლიკე-მისიონერების მიერ გახსნილ სასწავლებლებს სპეციალური დანიშნულება ჰქონდათ. პატრი მისიონერები დასავლეთის სავაჭრო კაპიტალის კონტრ-აგენტები იყვნენ და კათოლიკური ქრისტიანობის გავრცელებით ადგილობრივ იჩენდნენ საკუთარი ინტერესების დაცვის თავისებურ ბაზებს. მიუხედავად ამისა, ასეთ წამოწყებას მაინც ერთგვარი დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა იმ მხრივ, რომ ამ სასწავლებლებში ქართული წერა-კითხვა ისწავლებოდა. ამავე სასწავლებლებში ისწავლებოდა აგრეთვე ლათინური და იტალიური ენებიც.

თბილისში მყოფ „მისიონერებს შორის არა ერთი იყო ექიმი, მხატვარი, მწერალი, ინჟინერი, გეოგრაფ-ასტრონომი და სხვა „საერო" ცოდნით აღჭურვილი",—წერს აკად. ნ. ბერძენიშვილი.

სწორედ ეს მისიონერი-სწავლულნი ასწავლიდნენ თბილისში დაარსებულ სკოლებში და ხელს უწყობდნენ მეცნიერული ცოდნის გავრცელებას. მისიონერთა მოქმედებას დაემატა რუსული კულტურის ზეგავლენაც და ყოველივე ეს ხელს უწყობდა ჩვენში პირველდაწყებითი და საშუალო სკოლების რიცხვის გამრავლებას.

სწავლა-განათლების საქმე განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში მოექცა XVIII საუკუნის მეორე ნახევარში. თუ მანამდე სწავლისა თუ სასწავლებლის საქმე კერძო ხასიათისა იყო, ამიერიდან სასწავლებლები სამეფო-სახელმწიფო ხდებოდა და ამდენად ორგანიზებულ და გეგმიან ხასიათს იღებდა.

სწავლა-განათლების რეფორმატორად გამოდის ერეკლე მეორე. აკად. ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს: „ძველ საქართველოში სკოლები კერძონი იყვნენ და სახელმწიფო მათზე სპეციალურად არ ზრუნავდა. ერეკლეს დროიდან კი საქართველოში სახელმწიფო სკოლა შემოდის".

1755 წლის იანვარში ანჩისხატის ტაძრის ეზოში ფილოსოფიური სემინარია დაარსდა. სემინარიის შენობას მარმარილოს ქვაზე შემდეგი ასომთავრული წარწერა ჰქონდა: „ვითარ საშინელ არს ადგილი ესე! ესე არა რაჲ არს, გარნა სახლი ღვთისა და ესე ბჭე ზეცისა. მე-

ფობასა თეიმურაზისასა და ძისა მისისა მეფისა ერეკლესსა, პატრიარქობასა ანტონისსა 1755 წ. 9 იანვარს". თბილისის სემინარიამ 1795 წლის სექტემბრამდე, აღა-მაჰმად-ხანის სისხლიან შემოსევამდე, იარსება. მსგავსი ხასიათის სემინარია დაარსდა 1782 წელს ქალაქ თელავშიც. აღნიშნულ სასწავლებლებიდან XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ქართველ მწიგნობარ-მოღვაწეთა მთელი დასი გამოვიდა. აქ სწავლობდნენ შემდეგში ცნობილი პირები: ვარლამი, დავით რექტორი, გაიოზი, იოანე მროველი, დოსითეოს ნეკრესელი, ამბროსი ნეკრესელი, გერვასი სამთავნელი, სტეფანე რუსთველი, იოანე ბოდბელი, დოსითეოს ფიცხელაური, არსენ თფილელი, იოანე ოსეს ძე, იოანე ხელაშვილი, პეტრე ქებაძე და სხვა მრავალნი.

სემინარიაში ისწავლებოდა: გრამატიკა, პოეტიკა, რიტორიკა, ლოგიკა, კატეგორია, მეტაფიზიკა, ფიზიკა, ფილოსოფია, საღვთო სჯული, საეკლესიო ისტორია,. მშობლიური ენა, არითმეტიკა და სხვა.

სწავლების ძირითადი მეთოდი იყო — ლექციური მეთოდი. წარმოებდა მოსწავლეთა გამოცდებიც.

სემინარიები წარმოადგენდნენ აგრეთვე პაექრობა-დისპუტების მთავარ კერებს. ხშირად იმართებოდა ხოლმე სამეცნიერო საკითხებზე საჯარო დისპუტები. განსაკუთრებით გავრცელებული იყო „კითხვა-მიგების" მეთოდი. ასეთ პაექრობა-დისპუტებზე დასწრება თავისუფალი იყო. ამას ის მნიშვნელობა ჰქონდა, რომ არამოწაფეებშიც იღვიძებდა ინტერესი მეცნიერებისადმი.

სემინარიების გახსნამ მოითხოვა სათანადო სახელმძღვანელოების შექმნის აუცილებლობა. ამ საქმეს სათავეში ედგა რუსეთიდან დაბრუნებული დიდად განათლებული სწავლული ანტონ პირველი, კათალიკოსი, თბილისის სემინარიის ერთ-ერთი შემქმნელი და ორგანიზატორი.

სახელმძღვანელოთა ნაწილი ქართველებმა უცხო ენებიდან თარგმნეს, ნაწილი კიდევ ორიგინალური, ქართული იყო. ნათარგმნ სახელმძღვანელოთა შორის აღსანიშნავია: ფრიდერიკოს ქრისტეანოს ბაუმეისტერის „მეტაფიზიკა", „ლოგიკა", „ეთიკა" და სხვა.

ანტონ პირველმა შეადგინა ორიგინალური სახელმძღვანელოები: „კატეხიზისი სხვადასხვა წლებისა", „ღუთის მეტყველება", „კატილორია", „ღრამატიკა" და სხვა.

დიდ ყურადღებას აქცევდა სემინარიის მუშაობას თვით ერეკლე

მეორეც. იგი ხშირად ეწვეოდა ხოლმე თბილისისა თუ თელავის სემინარიებს და წახალისების მიზნით სემინარიის წარჩინებულ მოსწავლეებს აჯილდოებდა:

გარდა ფილოსოფიური სემინარიისა, თბილისში არსებობდა სხვა დაწყებითი სკოლის მსგავსი კერძო ქართული სასწავლებლებიც: სიონის სკოლა, კალოუბნის სკოლა, ქაშვეთის სკოლა, მეტეხის სკოლა, ანჩისხატის სკოლა და სხვა. კერძო სასწავლებლების შენახვა თვით საზოგადოებას ჰქონდა დაკისრებული.

ამ სასწავლებლებში ისწავლებოდა საღვთო სჯული, ქართული ენა, არითმეტიკა, გრამატიკა და სხვა.

ქართულ კერძო სასწავლებელთა გარდა, სხვადასხვა რწმენის მოსახლეობისათვის (მაჰმადიანები, სომხები) თბილისში ცალკე იყო აგრეთვე კერძო სკოლები.

1778 წელს თბილისში დაარსდა რუსული ენის შემსწავლელი სკოლა გაიოზის ხელმძღვანელობით. გაიოზი თავისი დროის დიდი განათლებული პირი იყო. მან მოსკოვში დაამთავრა სასულიერო აკადემია და ერეკლეს მიერ მოწვეულ იქნა თბილისში.

ეს დიდი წამოწყება 1795 წელს მოსპო ყიზილბაშურ-ირანულმა ბრბომ.

XVIII საუკუნის დამლევს, კერძოდ 1799 წელს, დიდმა ქართველმა სწავლულმა, „კალმასობის“ ავტორმა, იოანე ბაგრატიონმა შეადგინა პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა თბილისში, გორსა და თელავში უმაღლესი სკოლების გახსნას, მაგრამ 1801 წელს საქართველომ დამოუკიდებლობა დაკარგა და ეს პროექტიც მხოლოდ ისტორიულ დოკუმენტად დარჩა.

როგორც ვხედავთ, ქართლ-კახეთის სამეფოს დედაქალაქში რამდენიმე დაწყებითი და მხოლოდ ერთი საშუალო სკოლა არსებობდა. თბილისის საშუალო სკოლის კარები ყველასათვის როდი იყო ღია. აღსანიშნავია, რომ დავით ბაგრატიონის ცნობით, თბილისის სემინარიაში თავადთა და აზნაურთა გარდა, იღებდნენ მხოლოდ კეთილშობილთა და სასულიერო პირთა შვილებს. ქალაქის ფართო მოსახლეობისათვის კი ეს სკოლა ხელმიუწვდომელი იყო. პირველდაწყებითი, ელემენტარული განათლება მათთვის თითქოს საკმარისი ჩანდა.

თბილისში უმაღლესი სასწავლებლის გახსნაზე კი მაშინ, ცხადია, ოცნება არ შეიძლებოდა.

რომ შევადაროთ ძველი თბილისის სახე ჩვენი დედაქალაქის

დღევანდელ მდგომარეობას, კარგად დავინახავთ, თუ როგორ ერთბაშად წავიდა წინ სწავლა-განათლების საქმე. საუკუნე ნახევრის განმავლობაში ისე, რომ ამ მხრივ ამდენად ძველი და ახალი თბილისის შედარებაც კი შეუძლებელი ხდება. მოპოებულ მიღწევათაგან არსებითი და უმთავრესი კი სულ 30 წელიწადზე — საბჭოთა საქართველოს არსებობის წლებზე, ქართველი ხალხის კულტურის გაუგონარი აყვავების ხანაზე მოდის.

2. ქართული კულტურის მოღვაწენი თბილისში

წარმოშობის დღიდან მოყოლებული თბილისში ყოველთვის მოღვაწეობდნენ ქართული კულტურის სახელოვან წარმომადგენელთა მთელი თაობები, რომელთა შემოქმედებითი სფეროც მრავალმხრივი იყო. სამწუხაროდ, ამ კულტურულ მოღვაწეთა უმრავლესობის სახელი ეამთა-სიავეს შთაუნთქავს, ზოგის ნამუშევარი მკრთალადღა მოჩანს: მხოლოდ მოღვაწეთა მცირე ნაწილის ნაშრომებს მოუღწევიათ ჩვენამდე.

ძველი ქართული საისტორიო მწერლობა XII—XIII საუკუნის თბილისის კულტურულ მოღვაწეთა შესახებ თითქმის არაფერს გვეუბნება, მაგრამ ზოგი რამის გათვალისწინება მაინც შესაძლებელი ხდება.

დავით აღმაშენებელი თბილისის განთავისუფლების შემდეგ შეეცადა ქალაქი არა მარტო პოლიტიკურ და ეკონომიურ ცენტრად გადაექცია, არამედ კულტურის მოღვაწეთა მნიშვნელოვანი შესაკრებელი და ცენტრიც ყოფილიყო. ქართული კულტურის ნიადაგზე აღზრდილი მეფე თავისი პირადი შემოქმედებითაც ხელს უწყობდა მის ზრდა-განვითარებას. მეფე დავითი, თავისი დროის დიდად განათლებული ადამიანი, თვით იყო ავტორი რამდენიმე თხზულებისა. მან იცოდა მეცნიერების, მწერლობის, პოეზიის ფასი და ამით აიხსნება, რომ იგი ამ დარგის წარმომადგენლებს, ქართველებს თუ უცხოელებს, ყოველთვის მფარველობას უწევდა. აღსანიშნავია, რომ მაჰმადიან ისტორიკოსთა სიტყვით, მაჰმადიან სუფიებისა და პოეტებისათვის მეფეს ქალაქში თავშესაფარი აუგია, ხშირად ქონებრივადაც გაუწევია დახმარება და სადღესასწაულო მეჯლისებიც გაუმართავს მათთვის.

ქართული კულტურის შემდგომ განვითარებას ყოველნაირად

უწყობდნენ ხელს დავით აღმაშენებლის მემკვიდრეებიც. სწორედ ამით აიხსნება, რომ თბილისი იყო ფაქტიურად ქართული საერო პოეზიისა და პროზის განვითარების უმაღლესი საფეხურის შემქმნელი.

მარტო იმის აღნიშვნა რად ღირს, რომ სამეფო კარის მოღვაწეთა მიერ სწორედ აქ იქმნებოდა დიდებული საისტორიო თხზულებანი, უკვდავი პოემები, ითარგმნებოდა უცხოური მწერლობის საუცხოო ნიმუშები.

ფაქტიურად თბილისში შეიქმნა შოთას უკვდავი პოემა „ვეფხის ტყაოსანი“, ჩახრუხაძის „თამარიანი“, აქვე, ქართულად გადმოკეთდა „ვისრამიანი“ და სხვ.

დავითის, გიორგის, თამარისა და სხვა მეფეთა კარზე შეიქმნა დავითის ისტორიკოსის შესანიშნავი საისტორიო თხზულება, თამარის ისტორიკოსთა თხზულებები და სხვა.

ამდროინდელი თბილისი წინა აზიის უძლიერესი ქალაქი იყო არა მარტო პოლიტიკურად და ეკონომიურად, არამედ კულტურულადაც. ამით აიხსნება, რომ მონღოლთა ბატონობის დროსაც კი ქ. თბილისი იზიდავდა მეზობელი ქვეყნების მწერლებს, მეცნიერებს. ისინი აქ ჩამოდიოდნენ, რათა თბილისის მეცნიერებისათვის თავიანთი მიღწევები ეჩვენებინათ, გაეზიარებინათ. შემთხვევითი არ არის, რომ 1284 წელს, დიმიტრი თავდადებულის დროს, „დიდ ქალაქ თბილისს“ ესტუმრა სომხური ლიტერატურის ცნობილი წარმომადგენელი, სწავლული-გრამატიკოსი, ფილოსოფოსი და პოეტი იოანე ერზინკელი, რომელმაც თბილისში წმ. გიორგის ეკლესიაში (ნარიყალას ქვემოთ) მეცნიერული სიტყვა წარმოთქვა თემაზე: „ზეციური მიმოქცევისათვის“.

იოანე ერზინკელი იყო არც პირველი და არც უკანასკნელი. ქ. თბილისს მსგავსი სტუმრები ხშირად ჰყავდა.

მონღოლთა ხანიდან მოკიდებული, ქ. თბილისმა ათასი ცეცხლი და მახვილი გადაიტანა. თანდათან დაკნინდა ქალაქი კულტურის მხრივაც. კულტურის მრავალი შესანიშნავი მოღვაწე მოექცა თბილისის ნანგრევებს ქვეშ ისე, რომ მათ სახელსაც კი არ მოუღწევია ჩვენამდე.

ამიტომ ჩვენ იძულებული ვხდებით შევჩერდეთ ქართული კულტურის მოღვაწეებზე, რომლებიც თბილისში XVIII საუკუნეში ცხოვრობდნენ.

ქართულ კულტურულ მოღვაწეთა საქმიანობა რომ უფრო

ვასაგები გახდეს, საჭიროდ მიგვაჩნია ერთგვარი ისტორიული ექსკურსი გავაკეთოთ.

ფეოდალურმა საქართველომ თავისი ძლიერების ზენიტს XI—XII საუკუნეში მიაღწია. XIII საუკუნის ოციანი წლებიდან კი ქართველი ხალხის პოლიტიკურ ცხოვრებაში ძნელბედობის ხანა დაიწყო.

შუა აზიიდან მოსულმა ველურმა ბრბომ მძიმე ჭრილობა მიაყენა ჩვენს ხალხს. არც მომდევნო საუკუნეებში შეწყვეტილა მტრის შემოსევები. განსაკუთრებით მძიმე მარცხი განიცადა საქართველომ XVI—XVII საუკუნეთა მიჯნაზე ირან-ოსმალო დამპყრობლებთან ბრძოლაში. ოსმალეთმა მოგლიჯა საქართველოს სამცხე-საათაბაგო და შეუდგა „ქართველობის" მოსპობას. შაჰ-აბასმა კახეთი გაავერანა და ქართველებით აავსო ირანი. მაგრამ მტერი მოტყუვდა. მან ქართველი ხალხი ვერ წამოაჩოქა. ქართველმა ხალხმა არა ერთხელ „შეღება მტრის სისხლით ქვეშანი" (1623 წ. მარტყოფის ომი, 1624 წ. მარაბდის ომი, 1659 წ. კახეთის დიდი აჯანყება და სხვ.).

ქართველმა ხალხმა აქტიური ბრძოლით უკუაქცია მტერი. მთელი 90 წლის განმავლობაში (1623—1722) საქართველო მსხვილ შემოსევებს აღარ შეუწუხებია. ქვეყანა მოშენდა და „აღდომისა და გამოხსნისათვის" სამზადისს შეუდგა.

„დიდბრძოლა გადახდილი ქართველი ხალხი ახლა, „მშვიდობიანობის" ხანაში, გამოვლილ ომებს იგონებდა, მებრძოლთა შეფასებას ახდენდა და დამარცხება-გამარჯვების მიზეზებს არკვევდა. ამისდა შესაბამისად ქართველი ხალხი შემდგომი ბრძოლის საშუალებებს სახავდა.

ფიზიკურ საშუალებათა გვერდით თანდათან შემუშავდა აგრესიის წინააღმდეგ იდეური ბრძოლის საშუალებანი. თანდათან ჩამოყალიბდა იდეურ-პოლიტიკურ მოღვაწეთა ძლიერი დასი: პოეტ-ლიტერატორები, მეცნიერ-ისტორიკოსები, სახელმწიფო და საეკლესიო მოღვაწენი. სათანადო მებრძოლი მოტივები გაჩნდა პოეზიაში (არჩილი, იოსებ თბილელი), საამისოდ „გაიმართა" ისტორიაც („ახალი ქართლის ცხოვრება"), გაჩაღდა მაჰმადიანობის წინააღმდეგ პროპაგანდა (გიორგი XI, იაკობ შემოქმედელი), დაიწყო ქრისტიანობის აღდგენისაკენ მიმართული ენერგიული მოქმედება (არჩილი, ვახტანგ VI).

თავადების პოლიტიკურ უფლებათა შეზღუდვა, სახელმწიფო, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის მოწესრიგება, ქვე-

ყნის ეკონომიური და კულტურული წინსვლისათვის ხელის შეწყობა ამ დასის საშინაო სამოქმედო პროგრამას შეადგენდა. მეორე მხრით, ქართლ-კახეთის ერთ სამეფოდ გადაქცევა, ხოლო „იმერეთის მპყრობელებთან“ და სხვა მთავრებთან კავშირი ქართლის ჰეგემონიით მისივე პოლიტიკის მიზანი იყო. საქართველოს პატრიოტებს ირანიც და ოსმალეთიც ორივე თანაბრად შეურიგებელ მტრებად მიაჩნდათ — ერთი „ფოცხვერი“ იყო, მეორე „ბაბრი“—და მათ საწინააღმდეგოდ მოკავშირეებს ეძებდნენ“ (აკად. ნ. ბერძენიშვილი).

ამ ფონზე ყალიბდებოდა ქართული კულტურის იმ მოღვაწეთა საზოგადოებრივი შეხედულებანი, რომლებიც თბილისში ცხოვრობდნენ.

ქართული კულტურის თბილისელ მოღვაწეთა შორის გამოირჩევიან:

ვ ა ხ ტ ა ნ გ VI. ბევრი როდი შეუტოლდება ვახტანგ VI-ს. მან ჭეშმარიტად მთელი ეპოქა შექმნა ქართული კულტურის განვითარების ისტორიაში.

ვახტანგს თავისი დროის კვალობაზე საკმაოდ კარგი განათლება მიუღია. იგი სულხან-საბა ორბელიანისაგან იყო შესაფერისად განსწავლული.

ვახტანგს შეუსწავლია ქართული სასულიერო და საერო მწერლობა, საფუძვლიანად იცოდა აგრეთვე ისტორიაც. შემდეგში ვახტანგი დაინტერესებულა მეცნიერების სხვა დარგებითაც.

1709 წლის 15 აგვისტოს პატრი რეჯინალდო ვახტანგის შესახებ წერდა, რომ ვახტანგს იგი „ასტრონომიის გაკვეთილებს აძლევს, ისიც კარგად ითვისებს და ძალიან კმაყოფილიცაა“.

1703 წელს ვახტანგი ჯანიშინად (მეფის მოადგილედ) დაინიშნა. ქართლის მეფე გიორგი XI ირანს იმყოფებოდა. ვახტანგი მეფის საქმეებს განაგებდა ქართლში. მან მთელი რიგი ღონისძიებანი ჩაატარა.

მისი ღონისძიებანი სახელმწიფოებრივი ცხოვრების მრავალ მხარეს შეეხო. სამართალი, სამხედრო წყობა, მეურნეობა, მშენებლობა, სწავლა-განათლება, წიგნების ბეჭდვა და სხვა. მართლმსაჯულების მოწესრიგების მიზნით ვახტანგმა შეადგინა კანონთა კრებული. მოსამართლენი ამ კრებულით სჯიდნენ. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე ვახტანგის მიერ შედგენილ ე. წ. „დასტურ ლამალს“, რომელსაც სახელმწიფოს ძირითადი კანონის მსგავსი დანიშნულება ჰქონდა.



ვახტანგ მეექვსე

თანამედროვე მხატვრის ნახატი.

XVIII საუკუნემდე ქართველებს წიგნის საბეჭდი სტამბა არ ჰქონდათ. ვახტანგმა ეს ხარვეზიც შეავსო. მან ვლახეთიდან საბეჭდი მანქანა-ხელსაწყოები მოიტანა, იქიდანვე მოიყვანა სპეციალისტიც და თბილისში სტამბა გამართა. ამ სტამბას ქართული კულტურის შემდგომი განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე ვახტანგის სარედაქციო მოღვაწეობას. მან თავის ირგვლივ შემოიკრიბა ქართველი სწავლულნი, შეადგინა ე. წ. „სწავლულ კაცთა კომისია“: კომისიამ შეკრიბა „ქართლის ცხოვრების“ სხვადასხვა ნუსხები, სათანადოდ შეამოწმა ისინი და შეჰქმნა ამ ნუსხათა კრებული, რომელიც ცნობილია „ქართლის ცხოვრების“ ვახტანგის რედაქციის სახელით. ამავე კომისიამ შეადგინა საქართველოს ახალი ისტორია.

სამწუხაროდ, ვახტანგის ეს მეცნიერულ-შემოქმედებითი მუშაობა დიდხანს არ გაგრძელებულა. 1712 წელს იგი ირანს იხმეს და წინადადება მისცეს მაჰმადიანობა მიეღო. ვახტანგმა უარით უპასუხა. შაჰმა ის ციხეში გამოკეტა. პატრიოტი-მეცნიერი ციხეშიც ახერხებდა ქართული კულტურისათვის მოღვაწეობას. მან რამდენიმე პირველხარისხოვანი ნაწარმოები თარგმნა სპარსულიდან ქართულად.

1719 წელს ვახტანგი ჩამოვიდა ქართლში და სათაეეში ჩაუდგა სამეფოს.

მაგრამ მოვლენები ისე განვითარდა, რომ ის იძულებული გახდა 1724 წელს დიდი ამალით რუსეთს გადახვეწილიყო.

ვახტანგი ვეღარ ეღირსა თავის საყვარელ სამშობლოში დაბრუნებას ის 1737 წელს ასტრახანში გარდაიცვალა.

როგორც ვხედავთ, ამ დიდი სახელმწიფოებრივი მოღვაწის მთელი კულტურული შემოქმედება მჭიდროდ იყო დაკავშირებული მის პოლიტიკურ საქმიანობასთან. ვახტანგ VI-ის დროინდელ კულტურის ფრონტის წარმომადგენელთა წრე, ისე როგორც თვით მეფე, ქალაქ თბილისში მოღვაწეობდა. ამ წრის ერთი სახელოვანი და მოღვაწეთა უფროსი თაობის წარმომადგენელი იყო ს ულ ხ ან-ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი.

სულხან-საბა ორბელიანი დაიბადა 1658 წლის 24 ოქტომბერს. იგი ბავშვობიდანვე დაახლოებული იყო ქართლის სამეფო კართან და გიორგი XI-განს, როგორც თვით სულხანი ამბობს, „შვილურად გაზრდილი და გასწავლებული“. მას მასწავლებლად ჰყოლია

მცხეთელი ზედგინიძე ბერუკა და გიორგი იაშვილი. ეს უკანასკნელი სიმღერა-გალობას ასწავლიდა. სულხან-საბა ორბელიანი დიდად გატაცებული ყოფილა სწავლით. „ვიყავ სწავლისა ფრიად მოყვარე“,—გვაუწყებს თავის თავზე იგი.

მრავალმხრივი იყო სულხან-საბა ორბელიანის პოლიტიკური მოღვაწეობა. ამას გარდა იმ დიდი კულტურულ-საგანმანათლებლო საქმეების ერთ-ერთი სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი, რომელიც ვახტანგმა წამოიწყო, სულხან-საბა ორბელიანი იყო.

სულხან-საბა ორბელიანი ჭეშმარიტად არის თავისი დროის დიდი ენციკლოპედისტი. იგი წარმოგვიდგება, როგორც დიდი მეცნიერი ლექსიკოგრაფი, იგავ-არაკთა სახელგანთქმული მწერალი, მეცნიერი რედაქტორი, პოეტი და პოლიტიკური მოღვაწე.

სულხან-საბა ორბელიანის ლიტერატურული მემკვიდრეობიდან აღსანიშნავია „წიგნი სიბრძნე-სიცრუისა“, ქართულ სიტყვათა ლექსიკონი, ანუ „სიტყვის კონა“, „მოგზაურობა ევროპაში“, „ქილილა და დამანას“ რედაქცია და სხვ.

ორბელიანის ადგილი ქართული კულტურის ისტორიაში განუზომელია. საკმარისია ითქვას, რომ მის ქართულ სიტყვათა ლექსიკონს დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა და ყოველი ქართველოლოგისათვის იგი მუდამ მაგიდის წიგნად დარჩება.

1725 წლის 26 იანვარს საბა—„ფრიად მაშვრალი მუშაკი მოკვდა, დაეფლა რუსთ ველსა“.

ვ ა ხ უ შ ტ ი ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი. მეთვრამეტე საუკუნის ქართული ისტორიოგრაფიის უდიდესი წარმომადგენელია ვახუშტი ბაგრატიონი.

დაწყებითი სწავლა-აღზრდა ვახუშტის თავის ძმა ბაქართან ერთად, თბილისში, მეფის კარის დეკანოზის გიორგი გარსევანიშვილისაგან მიუღია. შემდეგში, როცა იგი 15—16 წლისა იყო, თბილისში მყოფ კათოლიკე მისიონერებთან სწავლობდა. 1717—1724 წლებში ვახუშტი აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის პოლიტიკურ საქმეებში.

1723 წელს ქართლი ოსმალეთმა დაიპყრო. ვახტანგ VI რუსეთს წავიდა. ვახტანგთან ერთად რუსეთს წავიდა ვახუშტიც. თბილისში დაწყებული სამეცნიერო მუშაობა ვახუშტიმ რუსეთში გააგრძელა.

როგორც აღნიშნული იყო, ვახუშტიმ სათანადო სწავლა-განათლება მიიღო თბილისში. იგი ჯერ გიორგი გარსევანიშვილთან, ხოლო შემდეგ კათოლიკე-მისიონერებთან სწავლობდა.

1727 წელს დაწერილ „ვახტანგიანში“ ფავლენიშვილი ამბობს:

„ვახუშტი ქრისტეს მოსავი მის მცნებაზედა დარგული,
სულ აღასრულა ყოველი სწავლა ლათინთა ფრანგული...“

ვახუშტის მეცნიერული შეხედულებანი ჩამოყალიბდა ქართულ სინამდვილეზე. მან ღრმად შეისწავლა ქართული კულტურის მთელი საგანძური და მოგვცა შესანიშნავი ნაწარმოებები. აკად. ივ. ჯავახიშვილის სამართლიანი თქმით, „ბატონიშვილი ვახუშტი ერთ უდიდებულეს ქართველ მეცნიერ ისტორიკოსთაგანი იყო, სწორუპოვარი მკვლევარი და ამწერი საქართველოს მიწა-წყლისა“.

ვახუშტის მეცნიერული მემკვიდრეობიდან შემორჩენილი ნაწარმოები ორი ნაწილისაგან შედგება: საქართველოს ისტორია და აღწერა სამეფოსა საქართველოსა.

ისტორია, ვახუშტის აზრით, ოთხი ნაწილისაგან შედგება და შეიცავს:

„ადგილის აღწერას“, ანუ გეოგრაფიულ მიმოხილვას, „ნათესავთ მეტყველებას“, ანუ ჩამომავლობისა და ნათესაობის შესახებ ცნობებს, ე. წ. გენეალოგიას, „წლის მრიცხველებს“, ანუ ქრონოლოგიურ ცნობებს და ბოლოს „მოქმედების აღწერას ანუ ამბავის მოთხრობას“.

როგორც აღნიშნული იყო, ვახუშტის გეოგრაფიული აღწერილობა დამოუკიდებელი ნაწარმოები კი არ არის, არამედ იგი მისივე ისტორიულ თხზულებათა ნაწილია. მან ამ წიგნში ქვეყნის გეოგრაფიულ აღწერასთან ერთად ვრცლად მიმოიხილა მხარის მატერიალური კულტურის ძეგლები, მეურნეობის ხასიათი, მოსახლეობის ადათ-ჩვეულება, ბოტანიკური არეები, მეცხოველეობის საკითხები და სხვ მისი შრომა ყურადღებას იპყრობს იმიტომაც, რომ მან „თავისი გეოგრაფია საქართველოს საისტორიო წყაროების შესწავლაზე დაამყარა და ამ გზით თავის შრომას მკვიდრი სამეცნიერო საფუძველი მისცა“. რადგან ვახუშტის შრომა საისტორიო წყაროების ეგოდენ საფუძვლიან შესწავლისა და იმდროინდელ საქართველოს ყოფა-ცხოვრებისა და მდგომარეობის ღრმა დაკვირვების ნაყოფია, ამიტომ „შემდეგშიც იგი მუდამ უკვდავების შარავანდედით იქნება მოსილი და არას დროს მნიშვნელობა არ დაეკარგება“ (ივ. ჯავახიშვილი).

ვახუშტის შრომის მეორე ნაწილი — საქართველოს ისტორია — ჩვენი ხალხის თავგადასავლის თხრობას შეიცავს. ვახუშტი ვრცლად

ოყენებს მატიანეებსა, სხვა დოკუმენტებს და ბევრს საყურადღებო დაკვირვებას იძლევა ჩვენი ხალხის მდიდარი ცხოვრების მრავალ საკითხზე.

განსვენებულ აკად. ივ. ჯავახიშვილს ვახუშტის მეცნიერული მემკვიდრეობის შეფასება ასე აქვს გადმოცემული: „ვახუშტის დიადი ღვაწლი საქართველოს და ქართული საისტორიო მეცნიერების წინაშე თვალწინ წარმოგვიდგება. ქართულ საისტორიო მწერლობაში პირველმა მან შეჰქმნა მძლავრი კრიტიკული მიმართულება. წყაროებისადმი წინანდელ სრულ და განუსაზღვრელ ნდობის მაგიერ, იგი გაბედულად მათ კრიტიკულს განხილვას შეუდგა, მათი სხვადასხვაგვარი ნაკლულოვანება გამოააშკარავა და შეძლებისდაგვარად შეასწორა... თუ ამასთანავე გავიხსენებთ ვახუშტის სწორუპოვარს საქართველოს გეოგრაფიულს აღწერილობას და მის შესანიშნავს საქართველოს ისტორიულ-ფილოსოფიურ საზოგადო მიმოხილვას, მაშინ მისი სიდიადე უცილობელი იქნება ჩვენთვის და XVIII საუკ. ქართულ მწერლობაში ნამდვილ უებრო ბუმბერაზად წარმოგვიდგება“.

ბერი ეგნატაშვილი. ე. წ. „სწავლულ კაცთა“ შორის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია ბერი ეგნატაშვილი. მისი ბიოგრაფიიდან ჩვენ ცოტა რამ ვიცით. ვიცით, რომ იგი მოღვაწეობდა XVIII საუკუნის პირველ ნახევარში, ვახტანგ VI სამეფო კარზე. ვახტანგის მიერ შექმნილი „სწავლულ კაცთა“ კომისიის ერთ-ერთი აქტიური წევრი, და შეიძლება თავმჯდომარეც, იყო ბერი ეგნატაშვილი. კომისიის ძირითადი მოვალეობა იმაში მდგომარეობდა, რომ შეედგინა, ერთი მხრით, ქართლის ცხოვრების ნუსხები და, მეორე მხრით, საანალო მასალის გამოყენებით დაეწერა საქართველოს ახალი ისტორია. საქმე ისაა, რომ გიორგი ბრწყინვალეს შემდეგი (გარდაიცვალა 1346 წელს) პერიოდის შემცველი ისტორიული თხზულება XVIII საუკუნის დამდეგს არ არსებობდა. ვახტანგს ამ ნაკლის შევსება „სწავლულ კაცთა“ კომისიისათვის დაუვალებია, აი, ამ საპატიო საქმის შესრულება, სხვებთან ერთად, დაევალა ბერ ეგნატაშვილს. მან დაწერა ე. წ. „ახალი ქართლის ცხოვრება“, ე. ი. ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური ისტორია XIV საუკუნის 90-ან წლებიდან XVIII ს. დამდეგამდე.

მიუხედავად იმისა, რომ „ახალი ქართლის ცხოვრება“, განსაკუთრებით XVI საუკუნემდე მოთხრობილი ამბების გადმოცემის დროს, მრავალ შეცდომას შეიცავს, მაინც, როგორც განსვენებული

ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა, „საქართველოს ისტორიოგრაფიის შესწავლისათვისაც ზოგადად, მეტადრე XVI—XVII საუკუნეების ისტორიისათვის, ამ ძეგლს თავისი მნიშვნელობა ყოველთვის შერჩება“.

სეხნია ჩხეიძე. XVIII საუკუნის თბილისში მოღვაწე ქართველ ისტორიკოსთა შორის უნდა მოვიხსენიოთ სეხნია ჩხეიძე. მის საისტორიო თხზულებას ეწოდება „ცხოვრება მეფეთა“. სეხნია ჩხეიძე ვახტანგ VI მამის, ლევანის ვაზრდილი იყო. იგი გარკვეულ დავალებებს ასრულებდა გიორგი XI-ის კარზე. მისი მოღვაწეობა XVII საუკუნის 90-ან წლებიდან იწყება. ეს პერიოდი საქართველოს ისტორიაში არის ე. წ. „ორიანობის“ პერიოდი. ქართლში ორი მეფე (გიორგი XI და ერეკლე I) იჯდა. სეხნია ჩხეიძე გიორგის შერჩა. 1707 წელს იგი დაინიშნა ქართლის სამეფოს მოლარეთუხუცესად. შემდეგშიც 1723 წლამდე სეხნია ჩხეიძე ქართლის მეფეების დავალებას ასრულებდა და მოლარეთუხუცესის თანამდებობა ეჭირა.

მან თავისი თხზულება საკუთარი თვალით ნახულისა და სხვათა „მნახავთაგან“ მოთხრობილი ამბების საფუძველზე შეადგინა. მისი თხზულება შეიცავს 1653—1739 წლების მოვლენათა გადმოცემას.

ამ ხანის ქართლის მეფენი ირანის მოხელენი იყვნენ და მათ კარზე უხდებოდათ სხვადასხვა სახელმწიფოებრივი თანამდებობის შესრულება. თვით სეხნია ჩხეიძე დიდხანს ახლდა ირანში გიორგის, ვახტანგ VI-ეს. იგი პირადად იღებდა მონაწილეობას სხვადასხვა ომებში.

სეხნია ჩხეიძე უკვირდებოდა ირანის ცხოვრების სხვადასხვა დეტალებს, მას ეს დანაკვირვები თავის თხზულებაში შეუტანია და ის ირანის ისტორიისათვის ბევრს საყურადღებო ცნობას შეიცავს.

სეხნია ჩხეიძის თხზულებას დიდად ეტყობა ძველი ქართული საისტორიო ნაწარმოებების გავლენა. საერთოდ სეხნია ჩხეიძის ნაწარმოები მეფეთა „გმირულ“ საქმეებს აგვიწერს და ღარიბია ცნობებით ქვეყნის პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიური ცხოვრების შესახებ.

პაპუნა ორბელიანი. XVIII საუკუნის ისტორიკოსთა თაობას ეკუთვნის პაპუნა ორბელიანიც. იგი არის ავტორი ისტორიული თხზულებისა: „ამბავნი ქართლისანი“, ანუ „ამბავი ქართლისაჲ“. იგი ქართლის სამეფო კართან დაახლოებული პირი იყო, ახლოიცნობდა ბევრ ამბავს, რომელიც მას თავის თხზულებაში შეუტა-

ნია. ეს გარემოება უეჭველია დიდად ამაღლებს მისი თხზულების ღირსებას. თავის თხზულების შესავალში თვით პაპუნა ორბელიანი წერს: ქვემომოთხრობილი ამბები, „რომელნიმე ვიხილე თვალითა ჩემითა და რომელნიმე მომეთხრნეს სარწმუნოთა კაცთაგან“.

თავის საისტორიო თხზულებისათვის პაპუნა ორბელიანს ლექსად გამოთქმული ტაეპი წაუმძღვარებია წინ, სადაც ნათქვამია:

„შეუდექ ამბავს ქართლისას პაპუნა ორბელიანი,
განმაძლიერა მეფემან, ვინ არის გვირგვინიანი,
აღვწერე ყოველი ყოფილი მრავალგზის საჩიერიანი“.

პაპუნა ორბელიანი თავის თხზულებას 1739 წლით იწყებს და 1758 წლით ათავებს. მას მიზნად დაუსახავს გადმოეცა აღმოსავლეთ საქართველოში, 20 წლის მანძილზე მომხდარი ამბები. როგორც თვითონ ამბობს, მას სურდა მოეთხრო „იწროებანი ქართლისანი და მალიადი ცვალებანი დამპყრობელთანი და ქვეყნისა ჩვენისათანი, ნწარენი და ძნიადნი მოხარკეობანი“, რომელიც აღმოსავლეთმა საქართველომ ოსმალ-ირანელთა ბატონობის დროს გამოიარა.

პაპუნა ორბელიანს შეგნებული ჰქონდა ისტორიული თხრობის მნიშვნელობა. მისი აზრით დაწერილ ისტორიას ის მნიშვნელობა აქვს, რომ მომავალი თაობანი წაიკითხავენ და გაიგებენ, თუ რა უბედურება გადახდა საქართველოს და ეცდებიან ქვეყნის სიმტკიცე დაიცვან და თავიანთ სამშობლოს კეთილდღეობაზე იზრუნონ.

პაპუნა ორბელიანი ცხოვრებაში ჩახედული და ჭკვიანი ისტორიკოსი იყო. იგი ფაქტებსა და მოვლენებს უბრალოდ კი არ გადმოგვცემს, არამედ ცდილობს ახსნაც მოუძებნოს მათ. ფართოა მისი დაკვირვების სფერო; მას მოთხრობილი აქვს არა მარტო პოლიტიკური ისტორია, არამედ ეკონომიურ ვითარებაზეც აქვს საუბარი, არკვევს დამპყრობთა მიზანსწრაფვას, დამპყრობთა ბატონობის ფორმებს და სხვა.

აკად. ივ. ჯავახიშვილი პაპუნა ორბელიანზე შემდეგს წერს: „პ. ორბელიანი ცხოვრებაში ჩახედული, ღრმა-მოაზრე და ეროვნულ-საზოგადოებრივ გრძნობებით გამსჭვალული ისტორიკოსია. მისი მამულიშვილური გული თანამოძმეთადმი სიყვარულით ძგერს, მისი გონება და აზრი საქართველოს მომავალს დასტრიალებს და ქვეყნის სიმტკიცეზე ოცნებობს. მას მშვენივრად ესმის, რა განსაცდელში იყო ქართველობა და კარგად იცის, რომ მომავალშიც მას

ჯერ კიდევ ბევრი საზრუნავი და მუშაობა ჰმართებს, რომ საქართველოს სიმტკიცე და ძლიერება უზრუნველყოფილიყო და ოდინდელი განსაცდელი კვლავ თავს არ დასტყდომოდა". ერთი სიტყვით, „თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ აღორძინების ხანის ქართულ საისტორიო მწერლობის მშვენებად, ვახუშტის შემდგომ სწორედ პაპუნა ორბელიანი უნდა ჩაითვალოს".

ომან ხერხეულიძე. ერეკლე II-ის კარზე კულტურულ და პოლიტიკურ მოღვაწეობას ეწეოდა ომან ხერხეულიძე. მან დაგვიტოვა ისტორიული თხზულება, რომელსაც ეწოდება „მეფობა ირაკლი მეორისა, მეფისა თეიმურაზის ძისა". როგორც თვითონ ამბობს, მას მიზნად დაუსახავს მკითხველისათვის მოეთხრო ერეკლეს მოღვაწეობიდან უმთავრესად ორ მოვლენაზე:

I „თუ ვითართა შრომითა მიიღო მან მეფობა ქართლისა", და

II თუ როგორ „შეაერთა მან სკიპტრა ორმეფობითი", ანუ როგორ და რა პირობებში შეძლო ერეკლემ ქართლ-კახეთის სამეფოების გაერთიანება ერთ სამეფოდ.

ომან ხერხეულიძეს, პლ. იოსელიანის სიტყვით, თავისი თხზულება 1804 წელს დაუწერია მთავარმართებელ პ. ციციანოვის დავალებით. თუმცა მისი თხრობა 1722—1780 წლებით იფარგლება.

რა თქმა უნდა, ომან ხერხეულიძის თხზულება ღირსებით ბევრად ჩამოუვარდება პაპუნა ორბელიანის საისტორიო თხზულებას. მიუხედავად ამისა, ერეკლე მეორის ხანის ზოგიერთი მოვლენის და განსაკუთრებით ერეკლეს მოღვაწეობის შესახებ ომან ხერხეულიძის ნაწარმოებს მკვლევარი მაინც გამოიყენებს და ბევრ საყურადღებო ცნობას ნახავს მასში.

ანტონ პირველი. XVIII საუკუნის ქართული კულტურის მოღვაწეთა შორის ანტონ პირველს თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. იგი დაიბადა 1720 წლის 17 ოქტომბერს. ანტონ პირველი თბილისისა და თელავის სასულიერო სემინარიების დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი იყო. ამავე დროს იგი იყო ამ სკოლების „დირექტორი, პროტეკტორი და დიდასკალოსი".

ანტონ პირველს მრავალი ორიგინალური და ნათარგმნი მეცნიერული ნაშრომი აქვს. ნათარგმნთაგან აღსანიშნავია: ფრიდერიკოს ქრისტიანოს ბაუმეისტრის „მეტაფიზიკა", „ლოგიკა" და „ეთიკა". სიმონ ჯულფელის — „დიალეკტიკა", ქრ. ვოლფის — „ფიზიკა", კვინტოს კურციუსის — „ისტორია ალექსანდრე დიდისა" და სხვა მრავალი.

ანტონის ორიგინალური ნაწარმოებებიდან აღსანიშნავია: „მზა-მეტყველება“, „სპეკალი“, „ღრამატიკა“, „კატიღორია“, „ღვთის მეტყველება“, „წყობილსიტყვაობა“ და სხვა.

ანტონ პირველის ასეთ მეცნიერულ მოღვაწეობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული კულტურის შემდგომი ზრდისათვის, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მისმა გრამატიკულმა წესებმა საკმაოდ შეაფერხეს ლიტერატურული ქართულის განვითარება.

საიათნოვა. XVIII საუკუნის თბილისს ჰყავდა არა მარტო მეცნიერების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლები და ცნობილი ისტორიკოსები, არამედ მხატვრული პოეზიის სახელოვანი წარმომადგენლებიც. ერთი ასეთთაგანი საიათნოვა იყო.

საიათნოვა თვითონვე ამბობდა, რომ მისი „სამშობლო თბილისია, მხარე ქართლისა, დედა აელაბრელი, მამა ალაბერი“. იგი წარმომადგენელია აშუღური პოეზიისა, რომელიც ჩვენში მეჩვიდმეტე საუკუნიდან ვითარდება. საიათნოვა, ზოგი მკვლევარის აზრით, უნდა დაბადებულიყო 1712 წელს ქალაქ თბილისში. იგი ხელობით მკერვალი იყო. საიათნოვა ბავშვობიდანვე გატაცებული ყოფილა ენების შესწავლით, დაუფლებია ქართულის გარდა სომხურს, აზერბაიჯანულს და სპარსულს. იგი 30 წლის იყო, როცა აშუღობა (ჭიანურზე, ჩონგურზე და სხვა ინსტრუმენტებზე ბაიათების დამღერება) დაიწყო. მან ეს ხელობა ჯერ დაბალ საზოგადოებაში წამოიწყო, ხოლო შემდეგ მეფის კარამდეც მიაღწია. საიათნოვას ლექსებიდან ჩვენამდის მოაღწია 29 ლექსმა.

აკად. კ. კეკელიძის აზრით, „საჲათ-ნოვა წარმომადგენელია ხელოსანთა და მოქალაქეთა აზრების, განცდებისა და სურვილების; მან შექმნა მთელი სკოლა აშუღებისა და აშუღური პოეზიისა, რომლის რეზონანსი დიდხანს ისმის მეცხრამეტე საუკუნეშიც. რამდენადაც თავის შემოქმედებაში ის ერთნაირად ემსახურებოდა და გამოხატავდა ქართველების, სომხებისა და აზერბაიჯანელების გარკვეული წრეების იდეოლოგიას, ის საერთაშორისო პოეტია კავკასიური მასშტაბით. ამით აიხსნება განსაკუთრებული ყურადღება მისდამი საბჭოთა სინამდვილეში“.

აშუღები ქალაქური მუსიკალური ფოლკლორის თავისებური წარმომადგენელნი იყვნენ.

ი. გრიშაშვილი აშუღებზე სამართლიანად წერს: „ისინი არ იყვნენ სათანადოდ განათლებულ-განვითარებულნი, მათი ტვინი მხოლოდ ტფილისის ცხოვრების დარჯაკში იყო გამოსულ-გამოწრთობილი

და სწორედ ტ ფ ი ლ ი ს ი ს ც ხ ო ვ რ ე ბ ი ს ს კ ო ლ ა ჰხდიდა მათ სანთიან ადამიანად".

საიათნოვა თავის თავზე ამბობს:

„ნურვინ იტყვით: ეს ყმაწვილი ვინა ვარ,
ანაბანა ვიცი, სიტყვით წინა ვარ,
საიათნოვა მქვიან, არუთინა ვარ—
სიტყვას ვიტყვი, ცამ ქუხილი დაიწყოს".

საიათნოვას ლექსებს ხალხი მოწონებით ღებულობდა და სიმღერებად აქცევდა. ბევრ მის ლექსს დღესაც მღერიან.

საიათნოვა ქალაქ თბილისის იმ ფართო წრეს ეკუთვნოდა, რომელიც ქალაქის მატერიალურ დოვლათს ჰქმნიდა და რომელზედაც დიდად იყო დამოკიდებული ქალაქის ეკონომიური მდგომარეობის სიავკარგე. ამით აიხსნება, რომ საიათნოვა არა მარტო თავისი წარმოშობითა და აღზრდით, არამედ მთელი არსებითაც, თავისი პოეზიით, თბილისის ვაჭარ-ხელოსნებს, ე. ი. იმდროინდელ შემოქმედ ხალხს, იმდროინდელ თბილისს ეკუთვნოდა. ამიტომ იყო, რომ მისი ხმა დიდხანს გაისმოდა თბილისელთა ცხოვრებაში.

ბ ე ს ი კ ი. თბილისში აღიზარდა და აქ მიიღო განათლება ცნობილმა ქართველმა პოეტმა ბესარიონ გაბაშვილმა, რომელიც ქართული ლიტერატურის ისტორიაში ბესიკის სახელით არის ცნობილი. ბესიკი დაიბადა 1751 წელს. მამამისი ზაქარია თავისი დროის დიდი განათლებული პირი და მეფის დეკანოზი იყო. ბესიკი ბავშვობიდანვე დაუახლოვდა სამეფო კარს და აქვე მიიღო შესაფერისი სწავლა-განათლება.

ბესიკის მამა გარკვეული მიზეზებით საქართველოდან გააძევეს. იგი ჯერ რუსეთს წავიდა, ხოლო შემდეგ იმერეთს დაბრუნდა. იმერეთის მეფე სოლომონ I-მა იგი დიდი პატივით მიიღო და თავშესაფარი მისცა. ბესიკი ერეკლე მეორის დედის, ანახანუმის მფარველობით სარგებლობდა სასახლეში. მაგრამ XVIII საუკუნის 70-ან წლებში ბესიკმა ნდობა დაკარგა ერეკლესთან და იმერეთს გადიხვეწა.

XVIII საუკუნის 80-ან წლებში ბესიკს ერეკლეს წინააღმდეგ მებრძოლთა დასში ვხედავთ.

1788—1791 წლებში იმერეთის სამეფო კარიდან ბესიკი რუსეთს გაიგზავნა. იგი ჯერ პეტერბურგს იყო, ხოლო შემდეგ ქ. კრემენჩუგში გადავიდა და მოლაპარაკებას აწარმოებდა გენერალ პოტიომკინთან იმერეთის საქმეებზე. კრემენჩუგიდან პოტიომკინთან ერ-

თად ბესიკი გადავიდა ქ. იასაში, სადაც 1791 წელს იანვარში გარ-დაიცვალა. მის საფლავზე შემდეგი წარწერა ამოუკრიათ: „საფლავ-სა ამას შინა მდებარე არს თავადი ბესარიონ ზაქარიასძე იობიან გაბაშვილი, რომელიც წარმოგზავნილ იყო იმერეთისა მეფისა და-ვითისაგან დესპანად რუსეთისა დიდებულისა საიმპერატოროსა კა-რისადმი და მიიცვალა აქა იასს წლისა მ (40), წელსა ჩაღ. ეა (1791) იანვარს კდ (25), მხილველისაგან შენდობისა მთხოველი“.

ბესიკს ქართული ლიტერატურის ისტორიაში ერთ ერთი თვალ-საჩინო ადგილი უკავია. ბესიკის ნაწერებში ხშირად ვხვდებით იმ-დროინდელი საქართველოს პოლიტიკური და სოციალური ცხოვ-რების ამა თუ იმ მხარის მხატვრულ გადმოცემას. საერთოდ ბესიკი როგორც პოეტი, აღნიშნავს აკად. კ. კეკელიძე, თანამედროვეთა-განაც დაფასებული და მიჩნეული იყო, მას უწოდებდნენ „მელიქ-სეთბაშს“ და რუსთაველსაც კი ადარებდნენ. მისი ბაიათები და მუხამბაზები, რომელთაც ის საუცხოოდ ამღერებდა თარზე, აყრუ-ებდა ქალაქის ბაღებსა და ქუჩებს. მისმა სატრფიალო ლექსებმა შემდეგში გამოძახილი ჰპოვეს ე. წ. „გარდამავალი ხანის“ ნწერლე-ბის შემოქმედებაში, ალექსანდრე ჭავჭავაძის პოეზიაშიც კი. მომა-ჯადოებელია მისი ლექსის მუსიკალობა, ამოუწურავია მხატვრული გამოსახვის საშუალებანი, საოცარია რითმის სიმდიდრე და სტრო-ფიკის ნაირ-ნაირობა.

ჩვენი მიმოხილვა სრული არ იქნება, თუ არ აღვნიშნავთ იმასაც, რომ თბილისი, ვახტანგ VI-ის დროიდან მოკიდებული, XVIII საუკუ-ნის ქართული კულტურის ცენტრი იყო და რომ აქ განსწავლულნი, აქაურ გამოცდილებებს გაზიარებულნი იყვნენ ყველა ის მოღვაწე-ნი, რომელნიც ქართული კულტურის ისტორიის ფურცლებს ამ-კობენ. .

არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ აგრეთვე ქართული კულტურის ისეთი თვალსაჩინო მოღვაწენი, როგორებიც იყვნენ საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის შვილები: დავით, ბაგრატ, იო-ანე და თეიმურაზ ბაგრატიონები.

დავით ბაგრატიონმა, ცნობილმა პოლიტიკურმა და კულტუ-რულმა მოღვაწემ, ჯერ კიდევ 1800 წ. თბილისში გამოაქვეყნა თა-ვისი „ნარკვევები“, რომელიც იყო პირველი ცდა ქართულ ენაზე მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელოს შექმნისა. დავით ბაგრა-ტიონი ყოველთვის იღვწოდა ქართული კულტურის წარმატებისა-თვის. 1803 წლიდან ის, უკვე თავის სამშობლოს მოშორებული,

არა ერთ თხზულებას წერს საქართველოს ისტორიიდან, ქართული სამართლის ისტორიიდან და სხვ. მას აქვს აგრეთვე გამოკვლევები და სახელმძღვანელოები ფიზიკაში და მეცნიერების სხვა დარგებშიც.

ასევე ნაყოფიერი იყო თეიმურაზ ბაგრატიონის მოღვაწეობაც. განსაკუთრებით აღსანიშნავია იოანე ბაგრატიონი, ქართული ენციკლოპედიის „კალმასობის" ავტორი. ამ ავტორის ფართო განათლება, მისი ცოდნის სიღრმე მეცნიერების ყოველ დარგში კარგად გვიჩვენებს, თუ რა ძლიერი უნდა ყოფილიყო კულტურული თვალსაზრისით, ის ქვეყანა და მისი დედაქალაქი, სადაც ამ ადამიანმა განათლება მიიღო.

3. სტამბები თბილისში

ქართველი ხალხი უძველესი კულტურის მქონე ხალხია. ქართული კულტურა წინაქრისტიანულ სამყაროში ჩაისახა და ვითარდებოდა.

ძველად როგორც სხვა ქვეყნებში, ისე ჩვენშიაც, ამა თუ იმ თხზულების გადაწერა ხდებოდა ხელით და ხელნაწერი ვრცელდებოდა ხალხში. ამ დიდი კულტურული მუშაობის ერთ-ერთი მთავარი ცენტრი იყო ქ. თბილისი.

პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნი 1629 წლით თარიღდება. 1629 წელს ქალაქ რომში დაიბეჭდა ქართულ-იტალიური ლექსიკონი და ქართული ანბანი ლოცვებითურთ.

დასახელებული ლექსიკონის ავტორები არიან სტეფანე პაოლინი და ნიკიფორე ირბაქი, იგივე ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი. ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი განათლებული მწიგნობარი და გამოცდილი დიპლომატი იყო. იგი თეიმურაზ პირველის (1606—1663) დავალებით გაემგზავრა ევროპაში სხვადასხვა სახელმწიფოებრივი საქმეების მოსაგვარებლად და ამასთან ერთად ახერხებდა აგრეთვე დროს გამოყოფას ქართულ-იტალიური ლექსიკონის შედგენა-გამოცემისთვისაც.

1705 წელს ქ. მოსკოვში არსდება ქართული სტამბა. ამ სტამბის დაარსების ინიციატორი იყო საქართველოდან ყამთა სიავის გამო გადახვეწილი არჩილ მეფე. მან დიდი საფასის გაღებით ქალაქ ამსტერდამში ჩამოასხმევინა ქართული შრიფტი და დაბეჭდა დავითნი.

მიუხედავად იმისა, რომ რომისა და მოსკოვის სტამბებში დაბეჭდილი წიგნები საქართველომდის ნაკლებად აღწევდნენ, ამ წამოწყებას მაინც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ამ წამოწყების შედეგად უცხოეთის მოწინავე სწავლულებს საშუალება ეძლეოდათ გასცნობოდნენ ქართულ ენას.

ქართულმა კულტურამ მრავალი ქარტეხილი გამეფიარა და X საუკუნეში გამოვიდა შემოქმედებითი განვითარების შარაგზაზე. მაგრამ ქართული კულტურის ბუნებრივი განვითარება XIII საუკუნის 20-ან წლებში წააწყდა აზიიდან მოსულ ველურ დამპყრობლებს.

ამიერიდან ვიდრე XVII საუკუნის 30-ან წლებამდე ქართველი ხალხი თავდაცვით ომებს ეწეოდა ხვარაზმელების, მონღოლების, ირანელებისა და თურქების წინააღმდეგ. ასეთ პირობებში ქართველი ხალხის ყველა შესაძლებლობა ფიზიკურად გადარჩენის ღონისძიებებს დაექვემდებარა. ბუნებრივია, რომ მწერლობა-ხელოვნება თუ კულტურის სხვა დარგები წინა წლებთან შედარებით ამ დროს ან დაქვეითდა, ან მოიშალა.

XVII საუკუნის 30-ანი წლებიდან საქართველოში ერთგვარი მშვიდობა დამყარდა. საგარეო შემოსევებმა იკლო, ჩვენს ხალხს საშუალება მიეცა შინაური საქმეებისათვის მიეხედა. ყოველივე ამის შედეგად ქვეყანა მოღონიერდა, ვაჭრობა ხელოსნობა გაფართოვდა, საქალაქო ცხოვრება გამოცოცხლდა, სოფლის მეურნეობა დაწინაურდა, ამ საერთო ეკონომიური აღმავლობის საფუძველზე ქართველი ხალხის საუკეთესო ადამიანებმა ქართულ კულტურასაც მიხედეს. დაიწყო გაცხოველებული შემოქმედებითი მუშაობა. ქართველი სწავლულნი აგროვებენ ძველ ქართულ ხელნაწერებს, წერენ ახალს, ორიგინალურს. აი სწორედ ასეთმა საქმიანობამ დღის წესრიგში დააყენა სტამბის შექმნის აუცილებლობა, რადგან გაზრდილ მოთხოვნილებას უკვე აღარ შეესაბამებოდა წიგნის ხელით გადაწერის ძველი პრაქტიკა.

თბილისში პირველი სტამბის დაარსების ინიციატორად გამოდის იმ დროს ქართული კულტურული მოძრაობის მედროშე ვახტანგ მეექვსე.

ვახტანგ მეექვსემ იცოდა, რომ წიგნების ბეჭდვა სხვა ქვეყნებში გავრცელებული იყო, მაგრამ საქართველო მოკლებული იყო ამ ბედნიერებას, ქართველებს არ ჰქონდათ ადამიანთა ეს ერთი უდიდესი მონაპოვართაგანი. ვახტანგის მიერ 1712 წ. გამოცემულ „ვეფხის ტყაოსნის“ ბოლო ფურცელზე ნათქვამია:

„სტამბას ბეჭდევდენ ფრანგნი და რუსნი და მერმე ვლახელნი.
აქ არსად იყო აროდეს, ვერ ვჰპოეთ მისნი მნახველნი,
გიორგის მეფობაშიგან ვახტანგ აკვირვა მნახველნი;
ამ ბეჭდვამ ახლა მის გამო გაცუდნა ყოვლი მჩმახელნი".

ვახტანგ VI-თვის აშკარა იყო, რომ სტამბა უნდა გაიხსნას სათანადო სასტამბო მოწყობილობის და სპეციალისტების შოვნასთან დაკავშირებით. მისი არჩევანი ვლახეთზე შეჩერდა და სტამბის მოწყობილობაც ვლახეთიდან იქნა მოტანილი.

ვახტანგ VI სტამბის ერთ-ერთი ინიციატორი იყო ვლახეთში გახიზნული ქართველი მღვდელმთავარი ანთიმოზი. მაგრამ იბადება კითხვა: რაში გამოიხატა კონკრეტულად ეს ინიციატივა? მარტო რჩევაში? რა თქმა უნდა, არა.

ვიცით, რომ სასტამბო იარაღები ვლახეთიდან მოიტანა ვახტანგმა. მბეჭდავი ხელოსანიც ვლახეთიდან იქნა მოწვეული; საამისო ცნობა თვით ვახტანგ VI მიერ გამართულ სტამბაში, 1709 წელს დაბეჭდილ სახარებაშია დაცული. ვახტანგი დასახელებული წიგნის წინასიტყვაობაში ამბობს: „...მოვიყვანე მესტამბე ვლახეთით და გავაკეთე სტამბა".

იმავე წიგნის წინასიტყვაობაში ნიკოლოზ ორბელიანი წერდა: „ოდეს განაგებდა საქართველოსა ძმის წული კეთილმორწმუნის მეფის არჩილისა და სახელოვანის მეფის გიორგისა და ძე ლევანისა, ღვთის მოყვარე, განათლებული ვახტანგ, იგულისმოდგინა და მიიღო სტამბა ვლახეთით, რომელ აროდეს ყოფილიყო საქართველოში და კელით წერაში ჩვენი საღმრთონი წერილნი განრყვნილიყო..."

იგივე წიგნი გვამცნობს, რომ ვლახეთიდან გამოწვეული მესტამბე სპეციალისტი იყო „მიხაელ სტეფანესშვილი უნგროვლახელი". კიდევ უფრო საინტერესოა მიხეილ უნგროვლახელის წინასიტყვაობა: „ყოველთა მკითხველთა გიხაროდენ, პირველად მიზეზი უცხოსა ამის საქმისა და, ძალითა ღვთისათა უცონელად შემასრულებელი სტამბისა ამის სამკვიდრებელსა თქვენსა, იქმნა კურთხევით კსენებული განათლებული და გამგებელი საქართველოსა ბატონიშვილი და თვით პატრონი ვახტანგ, ღვთისმოყვარენო და ყოვლად შვენიერნო მკვიდრნო საქართველოსანო. ხოლო ყოველივე საქმენი, რაოდენნი იხილვებიან: ასონი, ორღანონი და ყოველნი საკმარნი სტამბისა, დაწყებით სრულ ყოფამდი, მოქმედი და წინა მძღომელი მე ვარ, უნდო მონა თქვენი. უწინარეს ყოვგლთასა დავბეჭდეთ ესე საღმრთო და სამღდელო წმიდაი სახარება. სიმდაბ-

ლით გეეედრებით თქვენ, ყოველთა, დიდთა და მცირეთა, უკეთუ ცთომილი რაიმე იხილოთ, სიტყვა ანუ ასო, ნუ გამქირდავთ, რამეთუ უცხო ვიყავ ქვეყანისა ამის და უსმენელი სიტყვათა თქვენთა. და რომელნი ჩემნი მოწაფე იყვნენ, ეგრეთვე გამოუცდელნი საქმისა ამის ჩემისა: ვითა მე ვიყავ ქართლის უნახავი, ეგრეთვე ჩემნი მოწაფენი სტამბისა".

ამ ამონაწერის მიხედვით შეიძლება შემდეგი დეტალები დავადგინოთ: მესტამბე უცხოელია, ელახეთიდან მოსული, მან არ იცის ქართული ენა. მესტამბე მიხეილს მოწაფეები ჰყავს, რომლებმაც სასტამბო საქმე ჯერ კარგად არ იციან.

დოკუმენტებიდან დგინდება აგრეთვე, რომ სტამბა მოტანილია ელახეთიდან და რომ ამ სტამბის მოტანა საკმაოდ ძვირად დაჯდა.

1711 წელს გამოცემულ წიგნის („სწავლა თუ ვითარ მართებს მოძღვარსა სწავლება მოწაფისა") ავტორი, გერმანე ხუცესმონაზონი, წერს: „ვახტანგმა მოიხვნა სტამბა ქვეყანით ელახეთით, რა ეამს უფლებდა ელახეთს იოანე კოსტანტინე ბრანკოვანე ბასარაბა, და მომართა ქვეყანასა ქართლისასა, დიდის საფასითა და წარსაგებელითა და აღავსო და განანათლა ქვეყანა ჩვენი წიგნებითა, რომელი დაკლებულიყო ეამთა ვითარებისაგან მდევართაგან ქრისტეს რჯულისათა".

1713 წელს გამოცემულ „კურთხევნის" წინასიტყვაობაში კვიპრიანე სამთავნელიც გვაუწყებს, რომ „ოდეს სუფევდა თვისსა სამეფოსა შინა ღვთის მოყვარე მპყრობელი საქართველოსა მეფე უფალი ვახტანგ, იგულისმოდგინა და მოიყვანა ელახეთით მესტამბე მიხაილ და გააკეთებინა სტამბა ფრიადითა წარსაგებელითა საფასეთათა".

სამწუხაროდ, არავითარი ცნობა არ მოიპოვება, სახელდობრ, სტამბის რა მოწყობილობა მოიტანეს ელახეთიდან. ამ საკითხით ბევრი მკვლევარი დაინტერესებულა.

ფრანგი მეცნიერის, ე. პიკოს აზრით, „შესაძლებელია, რომ ანთიმოზმა მონაწილეობა მიიღო მიხეილ სტეფანოვიჩის მიერ ხმარებული ასოების მოპრასა და ჩამოსხმაში და რომ ის რამდენიმე წლის განმავლობაში ფიქრობდა კავკასიაში სტამბის გაგზავნაზე".

1709 წ. თბილისის სტამბაში დაბეჭდილი სახარება ამჟამად ბუქარესტშიაც ინახება. ამ ბუქარესტისეულ ცალის შესახებ აკად. ნ. ბერძენიშვილი წერს: „კიდევ უფრო საინტერესო ისაა, რომ ამ წიგნს მესამე გვერდზე რუმინულად ანთიმოზის ხელით საკმაოდ

გრძელი მინაწერი აქვს. მინაწერს ხელს ურთავს თვით ანთიმოზი (შინაარსი ამ მინაწერისა ის არის, რომ ანთიმოზი ამ წიგნს ეალაბიის მთავარს უძღვნისო). ამ ფაქტიდან—განაგრძობს აკად. ნ. ბერძენიშვილი — შემდეგი შეიძლება დავასკვნათ: თბილისის სტამბიდან გამოსული პირველი წიგნი ანთიმოზს გაუგზავნეს".

უნდა აღინიშნოს, რომ ანთიმოზმა სხვა ენებზეც (არაბულ, ბერძნულ, სლავურზე) არა ერთი წიგნი გამოსცა რუმინეთში მოღვაწეობის დროს.

აკად. ნ. ბერძენიშვილისათვის 1949 წლის 25 მარტს (ამ დროს აკად. ნ. ბერძენიშვილი რუმინეთში იყო მივლინებული) ბერს, სანდუ ტურდოს უჩვენებია ქართულ სახარებასთან ერთად სხვა წიგნებიც.

აკად. ნ. ბერძენიშვილი ამის შესახებ წერს: „ბერმა ჩვენი ყურადღება მიაქცია ამ წიგნის [ქართული სახარების] მოკაზმულობას და ამავე დროს გვიჩვენა ორი წიგნი: ერთი ანთიმოზის ხელითაა ნაწერი და მის მიერვეა მოხატული (ლოცვანი?), მეორეა არაბულ ენაზე ნაბეჭდი სახარება. ორივე ამ წიგნის მოკაზმულობა ისეთივე ხასიათისაა, როგორიც ქართული სახარებისა, ხოლო ზოგიერთი სამკაული არაბული სახარებისა სრულიად იგივეა, რაც ქართული სახარებისა. ასე, რომ შეიძლება უეჭვოდ აღინიშნოს საერთო წარმომავლობა არაბულ-ქართული სტამბური სახარების მოკაზმულობისა და ანთიმოზის ხელნაწერი წიგნის მოხატულობისა. და როცა ჩვენ ვიცით, რომ არაბული სტამბის შემომღები იგივე ანთიმოზი იყო, დასკვნა ქართული სტამბის მოწყობის საქმეში ანთიმოზის მონაწილეობის შესახებ ადვილ-მისაღები გვეჩვენება".

სხვათა მოსაზრებების მოტანა ჩვენ შორს წაგვიყვანდა. მართლაც ანთიმოზი, რომელიც ამაყობს თავისი ქართველობით, ბუნებრივია, ქართულ კულტურაზეც იზრუნებდა. უნდა ვიფიქროთ, რომ მან, რაკი ქართული წერა-კითხვა იცოდა (ის ვლახეთში ჩავიდა მხოლოდ 1692 წლის წინა ხანებში), იქვე, რუმინეთში, ჩამოასხმევინა სათანადო ქართული ასოები, გამართა საბეჭდავი მანქანა და შემდეგ მთელი ეს მოწყობილობა საქართველოში გამოგზავნა. ის ფაქტი, რომ ვახტანგის სტამბაში 1709 წელს დაბეჭდილი სახარების მოხატულობანი არაბულს, ანთიმოზის სტამბაში დაბეჭდილს, ჰგავს, გვაფიქრებინებს, რომ ანთიმოზმა სასტამბო მოწყობილობასთან ერთად აქ, საქართველოში, გამოგზავნა მის მიერვე დაბეჭდილი არაბული წიგნი, იქნებ მოკაზმულობის კლიშეები და ალბათ

რჩევაც მისცა — ამ ფორმის წიგნები გამოუშვითო. უთუოდ ამით აიხსნება, რომ საქართველოში დაბეჭდილი პირველი წიგნი ანთიმოზს მიართვეს, როგორც ამ საქმეში ამაგის გამწევს.

ამრიგად, დადგენილად უნდა ჩაითვალოს ვახტანგის სტამბასთან დაკავშირებული რამდენიმე დეტალი: 1. ქართული სტამბის დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი, ვახტანგთან ერთად, ანთიმოზ ქართველიცაა. 2. ქართული სტამბის მოწყობილობა რუმინეთში ანთიმოზის უშუალო ხელმძღვანელობით დამზადდა. 3. ანთიმოზმა საქართველოში გამოგზავნა მბეჭდავ-სპეციალისტი და ნიმუშად გამოატანა რუმინეთში ანთიმოზის უშუალო მონაწილეობითა თუ ხელმძღვანელობით დაბეჭდილი რამდენიმე წიგნი.

გამოსარკვევი რჩება, რომელ წელს უნდა მოეტანათ რუმინეთიდან საქართველოში საბეჭდი სასტამბო მოწყობილობა? პირველი ნაბეჭდი წიგნი, რომელიც ვახტანგის სტამბიდან გამოვიდა, 1709 წლით თარიღდება.

თუ დავუშვებთ, რომ ისეთ პირობებში, როცა სასტამბო ხელოვნება ახალი წამოწყებულია, ერთადერთი სპეციალისტია და ისიც ქართული ენის არმცოდნე, მაშინ გასაგები ხდება, რომ ერთ წელიწადში სამი წიგნის (სახარება 304 გვ., დავითნი 295 ფურც., სამოციქულო 442 გვ.) გამოცემა წინასწარი მოსამზადებელი მუშაობის გარეშე წარმოუდგენელი იყო. ასეთი საქმე, სულ მცირე, ორი ან სამი წლის მუშაობას მოითხოვდა. ამდენზე თითქოს სინამდვილესთან ახლო უნდა იყოს, ვიფარაუდოთ: სტამბა 1707—1708 წლებში უნდა მოეტანათ ვლახეთიდან. შეიძლება დასახელებული წიგნების ბეჭდვა 1707—1708 წლებში დაიწყეს და 1709 წელს დაამთავრეს, ამის გამო თარიღიც 1709 წელი დაუსვეს.

როგორც ერეკლე მეორის მიერ 1748 წელს გაცემული ერთი საბუთიდან ჩანს, ვახტანგ VI-მ ამ ახალ წამოწყებას სპეციალური „სტამბის სახლები“ აუგო.

ვახტანგის სტამბა მცირე ხანს მუშაობდა. მისი მუშაობის ხანდაზმულობა 1709—1723 წლით განისაზღვრა. მიუხედავად ასეთი მცირე დროისა, ქართველმა პატრიოტებმა დაუშრეტელი ენერგიისა და თავდადებული შრომის შედეგად არა ერთი საპირო თარგმნილი თუ ორიგინალური თხზულება გამოსცეს.

ვახტანგის სტამბაში დაბეჭდილ წიგნთა არა სრული სია ასეთია:

1. 1709 წელს—სახარება, 304 გვერდი.

2. 1709 წელს—დავითნი, 295 ფურცელი.
3. 1709 წელს—სამოციქულო, 442 გვერდი.
4. 1710 წელს—კონდაკი, 212 გვერდი.
5. 1710 წელს—ლოცვანი, 291 გვერდი.
6. 1710 წელს—ეამნი, 385 გვერდი.
7. 1710 წელს—ეამნი, 424 გვერდი.
8. 1711 წელს—გერმანე, „სწავლა, თუ ვითარ მართებს მოძღუარსა სწავლება მოწაფისა", 411 გვერდი.
9. 1711 წელს—დავითნი, 286 გვერდი.
10. 1712 წელს—დავითნი, 415 გვერდი.
11. 1712 წელს—ვეფხის ტყაოსანი, 353 გვერდი.
12. 1713 წელს—კურთხევანი, 627 გვერდი.
13. 1716 წელს—დავითნი, 415 გვერდი.
14. 1717 წელს—ლოცვანი, 291 გვერდი.
15. 1717 წელს—ეამნი, 444 გვერდი.
16. 1719—1720 წელს—კურთხევა იკლესიისა, 79 გვერდი.
17. 1720 წელს—პარაკლიტონი, 453 გვერდი.
18. 1721 წელს—ქმნულების ცოდნის წიგნი, 148 გვერდი.
19. 1722 წელს—ეამნი, 336 გვერდი.

როგორც ვხედავთ, სტამბის მუშაობა საკმაოდ ნაყოფიერი ყოფილა. მკვლევარები სამართლიანად მიუთითებენ, რომ ვახტანგის სტამბაში დაბეჭდილი წიგნები მხატვრული გაფორმებისა თუ სხვა არქიტექტონიკის მხრივ, არა მარტო არ ჩამორჩებიან ევროპაში იმ დროს დაბეჭდილ წიგნებს, არამედ ბევრს რამეში სჯობიან კიდეც. ყველაფერი ეს იმის მაჩვენებელია, რომ ქართველებს ხანგრძლივი ისტორია ჰქონდათ ხელნაწერ წიგნთა შედგენა-გაფორმებისა და ახლა, როცა საბეჭდავი სტამბა გამართეს, თავიანთი მდიდარი გამოცდილება აქაც გამოიყენეს.

ყოველი დაბეჭდილი წიგნის გამოსვლა დიდ აღფრთოვანებას იწვევდა. 1710 წელს გამოცემულ კონდაკს ბოლოში მიწერილი აქვს რუმინული ლექსი ქართული ასოებით, იქვეა ამ ლექსის ქართული თარგმანი: „ქ. ვითარცა უცხონი იხარებენ ხილვასა ზედა თვისთა სამკვიდრებელთასა, და ზღუათა შინა მავალნი ხილვასა ზედა ნავთსაყუდელთასა, ეგრეცა მესტამბენი იხარებენ განსრულებასა ზედა წიგნთასა".

1721 წელს დაბეჭდილი წიგნი ე. წ. „ქმნულების ცოდნის წიგნი" (ვარსკვლავთ მრიცხველობა) თავდება შაირით:

„მენავე ღელვა-გვემული განეროს ხღვისა წყრომასა,
გალატოხნი და ხურონი რა მორჩენ თავის შრომასა,
მათს სიხარულსა ვინ დასთვლის, ანუ შვებისა ხომასა?,
და მესტამბე მათგან უაღრესს იქს სიხარულის ნდობასა".

სამწუხაროდ, 1723 წელს მდგომარეობა შეიცვალა. სამხრეთიდან მოვარდნილმა ქარიშხალმა წალეკა ვახტანგის სტამბა და ეს საქმე XVIII საუკუნის 50 ან წლებამდე ძილს მიეცა.

ქართველმა პატრიოტებმა მომავლის იმედით სტამბის მოწყობილობა-იარაღები მიწაში ჩაფლეს და მტრის რისხვას ააცდინეს.

1735 წელს ქართლიდან ოსმალობა გადაშენდა, ხოლო 1747 წელს ბოლო მოეღო ყიზილბაშობასაც. XVIII საუკუნის 50-ანი წლებისათვის ქართლ-კახეთის ქართული სამეფოები ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულთა შორის პირველობდნენ. ასე რომ „თვინიერ ლეკთა" საშიში მტერი აღარ ჩანდა. შინაფეოდალური ომებიც ერთგვარად მიყუჩებულიყო, ქვეყანა აღმავალი გზით მიდიოდა. ასეთ პირობებში ქვეყნის საპირბოროტო საკითხების გადაჭრა დღის წესრიგში დგებოდა. ასეთი რიგის საკითხი იყო სტამბის აღდგენის საქმეც. ამის განხორციელება თავს იდვეს ერეკლემ და ანტონ კათალიკოსმა. იმდროინდელი ისტორიკოსი პაპუნა ორბელიანი წერს: „ესეცა შესძინეს, გამოიძიეს დიდის ცდით და გამოიღეს სტამბა, რომელ პირველ მეფეს ვახტანგს მოეღო ვლახეთით და მის მეფობას აქეთ ქართლში აღარსად იყო. ანტონი ბატონიშვილმა, პატრიარქმა კეთილმან და სარწმუნოებისა და ქრისტეს სჯულის განმაძლიერებელმა იგულისმოდგინა შეეწე იქმნა მეფე ერეკლე და გამოიღეს სტამბა და აღავსეს წიგნითა ქართლი".

ვახტანგის სტამბის აღდგენა მოხდა 1749 წელს, რაც ჩანს ამ წელს გამოცემულ „დავითნის" თავფურცლიდან, სადაც ნათქვამია „...ბრძანებითა ამაღლებულისა მეფისა ჩვენისა თეიმურაზ ერეკლეს ძისათა, სრულიად ქართლისა მპყრობელისათა და ძისა მისისა მეფე ერეკლე თეიმურაზის ძისათა, კახთა მპყრობელისათა. კურთხევითა სრულიად საქართველოისა პატრიარქის მეფის ძის ანტონი ნეტარისათა დაიბეჭდა წიგნი ესე ფსალმუნთა წარსაგებელითა საფასეთათა ბეჭდისა ამის განმაადლებელისა კახთა მეფისა ერეკლე თეიმურაზის ძისასა. სამეფოსა ქალაქსა ტფილისს, პალატსა საპატრიარქოსა. დასაბამითგან 7147 განხორციელებითგან ღმრთისა სიტყჳსა 1749. სრულ იქმნა თვესა ოკტომბერსა. მესტამბე ამისი სიონის დეკანოზი (ნიკოლოზ). დაზგის მმართველი ჯის საყდრის დეკანოზი იოანე".

ამ ამონაწერიდან სამი რამ იქცევს ყურადღებას:

1. განმახლებლის როლში გამოდის ერეკლე და სათანადო ხარჯებსაც ის იღებს.

2. სტამბა გამართეს ქ. თბილისში „პალატსა საპატრიარქოსა“.

3. სტამბას თავისი მუშაკები ჰყავს: მესტამბე და დაზგის მმართველი. ჩანს, სტამბა უკვე მეტ-ნაკლებად რთული ორგანიზაცია იყო. მართალია, ესა თუ ის თხზულება, სასულიერო თუ საერო, იბეჭდებოდა „ბრძანებითა მეფისათა“ და „კურთხევითა კათოლიკოსითა“, მაგრამ სტამბას მაინც გააჩნდა საკუთარი სამოხელეო აპარატი. „პრობის მმართველი“, „მესტამბეთ-უხუცესი“, „ბეჭედის ზედამდგომელი“, „სტამბის სახმართა ზედა გამრჯელი“, „მთარგმნელი“, „სტილისტები“ და სხვ.

სტამბაში მუშაობა საპატიო საქმედ ითვლებოდა და სტამბის მუშები გარკვეული შეღავათებით სარგებლობდნენ. დავით ხუცესი სტამბაში მუშაობდა. მას 1784 წელს მორიგი ლაშქრობა ხვდა. წესით თუ თვითონ ვერ გავიდოდა მორიგ ლაშქარში, სამაგიერო მაინც უნდა გაეყვანა. მღვდელმა ერეკლეს არზა-საჩივარი მიართვა: „...შარშან პატრიარხის ბრძანებით სტამბაში მოველ და თუ ვიცოდი რამე, იმ ოსტატსაც და სხვებსაც ვასწავლიდი და წარემართა და შარშან თებერვალში მორიგის საბადლო გამომართვეს და სამუშაო კი არ მოგცა და ახლაც მთხოვენ“. ერეკლემ ბრძანება გასცა: „...ეს დავით ღვდელი სტამბაში განწესებულია, ესეც საქვეყნიერო და სჯულის სამსახურია. ამას მორიგეთ ნუ გამოიყვანთ“.

აღსანიშნავია, რომ სატამბო საქმე სულ უფრო და უფრო წინ მიდიოდა და წიგნების ბეჭდვაც ახლა უკვე გარკვეულ, წინასწარ შემუშავებულ წესს ემყარებოდა. წიგნების ბეჭდვა უნდა მომხდარიყო: „კანონსა ზედა ღრამატიკისასა“.

ერეკლე ცდას არ აკლებდა სტამბის მუშაობის გაუმჯობესებას. მას XVIII საუკუნის სამოციან წლებში სტამბა განუახლებია. გაცვეთილი იარაღ-ხელსაწყოები შეუკეთებია და სტამბისთვისაც ბინა გამოუცვლია. თუ 1749 წელს სტამბა აღდგენილ იქნა „პალატსა შინა საპატრიარქოსა“. 1764 წელს სტამბა უკვე „ეზოსა სამეფოსა“ გადაუტანიათ.

განახლებული სტამბა კიდევ უფრო მეტი წიგნების ბეჭდვის საშუალებას იძლეოდა. საინტერესოა, რომ ახლა ყურადღებას აქცევენ არა მარტო ნაბეჭდ წიგნთა რაოდენობას, არამედ ხარისხსაც: დასაბეჭდ წიგნებს ამოწმებენ, სტილისტურად მართავენ, გრამატი-

კულ „კანონსა ზედა“ ასწორებენ და ასე უშვებენ სტამბაში. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს 1751 წელს გამოცემული „კონდაკის“ უკანასკნელი გვერდი: „იუწყეთ, შვილნო ეკლესიისანო, რომელ ესე წიგნი საღმრთოსა მსახურებისა, გინა განგებაჲ ნწუხრისა და ღამისთევისა, ჟამთა ვითარებისაგან საქართველოსა ქვეყანასა შინა მწერალთა მიერ განრყვნილ იყო და წინაუკმო მეტნაკლული განწესება კანონისა და გალობისა ეწერათ და ამით ვიეთთამე უმეცრებითა დაეკნინებინათ. ხოლო აწ ძალითა ღმრთისათა სრულსა და ჭეშმარიტსა რუსულსა საღმრთოსა მსახურებისა წიგნსა ზედა შევამოწმეთ, და ჩვენი პირველი, რომელი მას ეწამა, იგი დავსწერეთ, ხოლო რომელი ნწერალთა შეეძინათ, იგი ყოველივე დაუტევეთ“.

XVIII საუკუნის 80 ან წლებში კვლავ საჭირო გახდა სტამბის საფუძვლიანი გადახალისება. სასტამბო იარაღ-მოწყობილობა გაცვდა, გაზრდილი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ახალი, გაუმჯობესებული საბეჭდი მანქანები იყო საჭირო. ასეთი იარაღების შოვნა ჩვენში არ შეიძლებოდა. ერეკლემ დაიწყო ხალხის ძებნა, რომლებიც თავს იდებდნენ სტამბის მოწყობილობათა მოტანას უცხოეთიდან. ერეკლესთან გამოცხადდა ჯინმე ბერძენი მელიტონი და მოახსენა: „საძიებელი ეგე შენი ვერა სადა იპოო, უკეთუ არა დიდსა პოლისსა შინა“. ერეკლემ მელიტონი კონსტანტინოპოლს მიავლინა. მან იქ სასტამბო მოწყობილობა იშოვა და სათანადო ხელოსნებიც დაითანხმა საქართველოში, თბილისში, სამუშაოდ წამოსვლაზე. ასე რომ 1781—1782 წლებში თბილისში სტამბა საფუძვლიანად იქნა განახლებულ-შეკეთებული. ზოგიერთი ცნობით, ამჯერად სტამბის მოწყობა ერეკლეს 20.000 მანეთი დაუჯდა.

1782 წელს განახლებულმა სტამბამ იმუშავა 1795 წლამდე. ეს იყო ქართულ წიგნთა ბეჭდვის აყვავების ხანა. აღსანიშნავია, რომ თუ 50-ან წლებში აღდგენილ სტამბაში წიგნებს ბეჭდავდნენ ნუსხური შრიფტით, ახლა ხმარებაში კვლავ მხედრულიც შემოდის.

XVIII საუკუნის 90 ან წლებში სათანადო შრიფტს უკვე თბილისშიც ასხამენ, რაც თავისთავად მოწმობს სასტამბო ხელოვნების თანდათან ზრდასა და სრულყოფას.

როგორც სამართლიანად შენიშნავს ამხ. ქრისტინე შარაშიძე, „წიგნის ტექნიკურ მხარესთან ერთად ამ ხანებში მისი მ ხ ა ტ ვ რ უ ლ ი მ ხ ა რ ე ც ვითარდება. თბილისის სტამბის წიგნი XVIII საუკუნის 90-ან წლებში თავს აღწევს წაბაძულობის სტადიას და ო რ ი გ ი-

ნალურ მხატვრულ ამოცანებს ისახავს. განსაკუთრებით ნათლად ჩანს ეს ფაქტი 1793 წელს დაბეჭდილი მარხვანის ორნამენტების და სხვა შემკულობათა მხატვრულ კომპოზიციებში. ეს წიგნი არაჩვეულებრივად მდიდარია ნაირ-ნაირი შემკულობით. ისი შრიფტი, ორნამენტები, თავკაზმულობანი და ბოლოკაზმულობანი უეჭველი თავისებურების ნიშანს ატარებენ".

საგულისხმოა, რომ თუ აქამდე წიგნების ბეჭდვა სამეფო უწყისში შედიოდა, ახლა ბეჭდვის საქმეს ხელს ჰკიდებენ უკვე კერძო პირნი. ერთი ასეთი კერძო პირთაგანი იყო ქრისტეფორე კეთერაშვილი.

1793 წელს დაბეჭდილ „მარხვანის" ბოლოსიტყვაობაში თვით ქრისტეფორე კეთერაშვილი წერს: „მებრძანა უკეთილმსახურესისა და უმაღლესისა კელმწიფისა ყოველისა საქართუ(ლ)ოჲსა ირაკლი მცირისა, მე, მისსა მონასა, მისის უმაღლესობის კარის მღვდელს მარტყოფელს კეთერაშვილს ქრისტეფორეს განმგეობაჲ და ზედამხედუ(ლ)ობაჲ სტამბისა, რომლისა სურვილი ფრიადი მაქუნდა და დავბეჭდე შრომითა და საფასითა ჩემითა მკედრული დაუჯდომელი უ (400) და კიტაიის სიბრძნე უ (400) ლოცუანი ჩ (1000); სახარება ყ (800); დავითნი ჩ (1000); სამოციქულო ჩ (1000); კუალად დაუჯდომელი ჩ (1000); ეანნი ჩ (1000); კვალად სახარება ყ (800); და მარხუანი ესე ჩ (1000). — ესე ყოველნი ზემოკსენებულნი წიგნნი დამიბეჭდავს ხარჯითა ჩემითა".

ის ფაქტი, რომ გამოსული წიგნის ტირაჟი 1000 ცალამდე ადის და ზოგი წიგნის მეორედ გამოცემა აუცილებელი ხდება, ამტკიცებს ქართულ წიგნზე მოთხოვნილების ზრდას და ნათლად გვისურათებს ქართველთა მწიგნობრობის მაღალ დონეს. საყურადღებოა, რომ თბილისში დაბეჭდილი წიგნი ვრცელდებოდა არა მარტო ქართლ-კახეთში, რომელიც 1762 წლიდან ერთს სამეფოს წარმოადგენდა, არამედ დასავლეთ საქართველოშიც. დავით ბატონიშვილი ამის შესახებ წერს:„... ბევრი ფიქრობს, რომ ქართველებს არ ჰქონდათ არც წიგნები და არც სტამბა და თითქოს ქართველებმა არ იცოდნენ წერა-კითხვა". ასეთ ვაჟბატონებს დავით ბატონიშვილი მოაგონებდა ქართველი კულტურის სიძველის შესახებ და დასძენდა: „პაპისჩემის მეფე ერეკლეს დროს დაარსდა თბილისში სტამბა, სადაც მთელი საქართველოსათვის საკმაოდ ბევრი წიგნები იბეჭდებოდა".

წიგნის ბეჭდვის გაფართოებამ აუცილებელი გახადა საამისო

შრომის შემდგომი დიფერენციაცია, სასტამბო შრომა დანაწევრდა. ერეკლეს დროინდელ სტამბაში ჩვენ გვხვდება მუშაკთა ასეთი თანამდებობები:

1. მესტამბეთუხუცესი — სტამბის გამგე — უფროსი
2. ზედამხედველი, ანუ ზედამდეგი — იგი მუშების საქმიანობას ადევნებდა თვალს
3. პლაკის მჭრელი — მეტრანპაჟი
4. დაზგის მმართველი
5. პრობის მმართველი — კორექტორი
6. წარმომდგინებელი ასოსი — ასოების ჩამომსხმელი
7. მწერალი (დ. კარიჭაშვილი ფიქრობდა, რომ ეს უნდა იყოს ასოების ნიმუშის დამწერიო)
8. სტამბის სახმართა ზედა გამრჯელი, თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, ეს თანამდებობა სამნეო ნაწილის გამგეს უდრიდა.
9. ლრამატიკის კანონზედ გამმართველი ანუ ქართულსა ენასა ზედა შემწყობი, ე. ი. სტილისტი, ტექნიკური რედაქტორი.
10. სტამბის მუშაკთა მასწავლებელი.

როგორც ვხედავთ, სტამბა საკმაოდ დიდი უნდა ყოფილიყო, რომ ამდენი თანამდებობები ჰქონოდა.

XVIII საუკუნის მთელ მანძილზე არა ერთი გამოჩენილი პროფესიონალი მესტამბე — მბეჭდავი გამოიზარდა საქართველოში. ასე რომ, თუ ვახტანგ VI-ის დროს, როცა სტამბა დაარსდა, მხოლოდ ერთი სპეციალისტი — უცხოეთიდან მოყვანილი მიხეილ უნგროვლახელი იყო, მალე ვახტანგისავე გამართულ სტამბაში ცნობილი სპეციალისტები გახდნენ: ნიკოლოზ ორბელიანი, გერმანე ხუცესმონაზონი, კვიპრიანე სამთავნელი, იოსებ ანჩისხატის დეკანოზი, გრიგოლ მხატვარი და სხვანი.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ერეკლეს მიერ განახლებულ სტამბაში სხვადასხვა დროს მოიხსენიებიან მესტამბე სპეციალისტ-მბეჭდავ-რედაქტორები: ზაქარია მოძღვარი (1751 წ.), იგივე ზაქარია გაბაშვილი, იგი ამ დროს იყო „ზედამხედველად და ქართულს ენასა შემწყობად"; ისაკ მცირე—ზაქარიას თანაშემწე; ნიკოლოზ სიონის დეკანოზი მომუშავებლად და წარმომადგინებლად ასოს (1751 წ.), იგივე ნიკოლოზი 1763, 1764 და 1772 წლებში იხსენიება მესტამბეთუხუცესად. იოანე მხატვარი, ზაქარია მარკოზის ძე, 1763 წელს იხსენიება როგორც ზედამდეგი, ხოლო 1764 და 1772 წლებში გამოცემულ წიგნებში „სტამბის სახმართა ზედა გამრჯე-

ლად“ ჩანს. მიხეილ მხატვრის ძე, იღუმენი. იგი არის „პრობის მმართველი და გამმართველი ღრამატიკის კანონსა ზედა“; ედიშერ თუმანიშვილი 1764 და 1772 წლებში ზედამდეგად იხსენიება; დავით მღვდელი, კარის საყდრის ხუცესი, გვარად ჩუბინიძე. იგი 1772—1794 წლებში იხსენიება დაზგის მმართავად, მწერლად და პლაკის მჭრელად; ტრიფილე არქიმანდრიტი, ქორაშვილი, წიგნების ცნობილი გადამწერი და მჭევრმეტყველი, 1793 და 1794 წლებში არის „ღრამატიკის კანონსა ზედა გამმართველი და პრობის მმართველი“, იოანე ოსესძე 1781—1791 წლებში ჩანს ღრამატიკის კანონზედ გამმართველად და პრობის მმართველად; პოღოს ოჰანისიანი, ტირაცუ, 1782 და 1783 წელს არის ასოს ასოსწარმომდგინებელი და მესტამბეთუხუცესი. იგი, როგორც სპეციალისტი, გარკვეული პირობით ერეკლემ მოიწვია კონსტანტინეპოლიდან; შიო ტურიშვილი 1783 და 1784 წლებში იხსენიება სტამბის ზედამდგომელად; აბრამ ურია, ყოფილი კარის მღვდელი. იგი 1764 წელს მოსკოვში იმყოფებოდა, ათანასე თბილელის მიერ დაარსებულ ქართულ სტამბაში მუშაობდა მესტამბედ, შემდეგ საქართველოში ჩამოვიდა და აქ ერეკლეს სტამბაში განაგრძო მუშაობა. იგი 1783, 1784 და 1786 წლებში იხსენიება დაზგის მმართველად და სტამბის უხუცესად.

ქრისტეფორე კეჟერაშვილი, კარის ხუცესი, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, შემდეგში სამეფო სტამბის იჯარით ამღები, თვითონ უშვებდა წიგნებს და შემოსავლის ნახევარი სამეფო ხაზინაში შეჰქონდა. ჩანს, იგი იმდენად დახელოვნებული იყო თავის საქმეში, რომ 1784 წელს იწოდება სტამბის მუშაკთა მოძღვრად და მასწავლებლად. 1790 წელს ქრისტეფორე კეჟერაშვილი გამგედ და დაზგის მმართველად ჩანს, ხოლო 1791—1794 წლებში „გამგებელად და ზედამხედველად ბეჭდისა“ იხსენიება.

რომანოზ ზუბაშვილი იყო მესტამბე, აქვე უნდა აღინიშნონ აგრეთვე: თევდორე დარბიაშვილი — დაზგის მმართველი (1787 წ.), ზაქარია გოგელიძე, მწერალი (1784 წ.), დავით ყორღანაშვილი, „ზედამდგომარე და სტამბის სახმართა ზედაგამრჯელი“ (1788 წ.), დიონისი კეჟერაშვილი, მწერალი (1790 წ.), გიორგი ჩუბინიძე და სხვა.

მიუხედავად იმისა, რომ სასტამბო საქმე საქართველოში ახალი იყო და ჟამთა სიავე ხელს უშლიდა სტამბის ნორმალურ მუშაობას, ქართველები მაინც ახერხებდნენ წიგნების ბეჭდვას და ამ ხელობის

არა ერთი სპეციალისტი მოღვაწეობდა მთელი საუკუნის მანძილზე. სამწუხაროდ, ჩვენ საშუალება არა გვაქვს სასტამბო საქმის ყველა სპეციალისტი წარმოვადგინოთ, რადგან ბევრი მათი ნამოღვაწარი ოსმალო-ირანელ დამპყრობთაგან ანთებულმა ხანძარმა შთანთქა და ცეცხლში დაიფერფლა მათი სახელიც.

ჩვენს მიერ ჩამოთვლილ სპეციალისტთა რაოდენობიდანაც მკითხველი შეამჩნევდა, რომ სტამბის სპეციალისტ-სწავლულთა არც ისე მცირე რიცხვი ყოფილა საქართველოში.

როგორც აღნიშნული იყო, ერეკლეს მიერ 1749 წელს აღდგენილმა სტამბამ იმუშავა 1795 წლამდე. ამ სტამბაში დაბეჭდილ წიგნთა არასრული სია ასეთია:

1. დავითნი, 1749 წელი, 362 გვერდი
2. ანტონ პირველი, ქადაგება, 1751 წელი, 32 გვერდი
3. კონდაკი, 1751 წელი, 216 გვერდი
4. დავითნი, 1763 წელი, 465 გვერდი
5. ლოცვანი, 1763 წელი, 46 გვერდი
6. კურთხევანი, 1764 წელი, 571 გვერდი
7. ეპისკოპოსთა მიმართ, 1768 წელი, 13 გვერდი
8. პარაკლიტონი, 1772 წელი, 583 გვერდი
9. ოჰანესიანი პოღოს, შესხმა პირუსლი ახლისა ამის წიგნთ საბეჭდავისათჳს, 1782 წელი, 30 გვერდი
10. კონდაკი, 1783 წელი, 320 გვერდი
11. დაუჯდომელი, 1784 წელი, ტირაჟი 400 ცალი
12. კიტაიის სიბრძნე, 1784 წელი, 128 გვერდი, ტირაჟი 400 ცალი
13. კურთხევანი, 1784 წელი, 677 გვერდი
14. ლოცვანი, 1784 წელი, 397 გვერდი, ტირაჟი 1000 ცალი
15. სახარება, 1786 წელი, 391 გვერდი, ტირაჟი 800 ცალი
16. ზატიკი, 1788 წელი, 506 გვერდი
17. კუსრეექსი ძლევისათჳს და შეწევნისა მჴედრობათასა, 1788 წელი, 13 გვერდი
18. დავითნი, 1783—1788 წლებში უნდა იყოს დაბეჭდილი, 457 გვერდი, ტირაჟი 1000 ცალი
19. დავითნი, 1790 წელი, 438 გვერდი, ტირაჟი 1000 ცალი
20. დაუჯდომელი, 1790 წელი, 224 გვერდი, ტირაჟი 1000 ცალი
21. ჟამნი, 1791 წელი, 304 გვერდი, ტირაჟი 1000 ცალი

22. სამოციქულო, 1791 წელი, 304 გვერდი, ტირაჟი 1000 ცალი
23. სახარება 1791 წელი, 301 გვერდი, ტირაჟი 800 ცალი
24. კონდაკი, 1793 წელი, 236 გვერდი
25. მარხვანი, 1793 წელი, 648 გვერდი, ტირაჟი 1000 ცალი
26. მცირე ლოცვანი, 1793 წელი, 286 გვერდი
27. კურთხევანი, 1794 წელი, 551 გვერდი
28. დავითნი, 1784—1795 წლებში დაბეჭდილი, 516 გვერდი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აქ მოტანილი წიგნების სია არაა სრული. მიუხედავად ამისა, ეს სიაც ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ერეკლეს სტამბის ნაყოფიერი მუშაობის შესახებ.

მკითხველი შეამჩნევდა, რომ გამოცემები წლების მიხედვით არაშანაბარია. ასე მაგალითად:

1749 წელს მხოლოდ ერთი სახელწოდების წიგნია გამოცემული 362 გვერდის მოცულობით, 1750 წელს სტამბას არ გამოუცია წიგნი, უფრო მართებული იქნებოდა გვეფიქრა, რომ სტამბამ კი გამოუშვა წიგნი, მაგრამ შემდეგში ჟამთა სიავემ შთანთქა ეს გამოცემა და ჩვენამდის აღარ მოაღწია.

1751 წლიდან ორი გამოცემა არის ჩვენამდის მოღწეული: „ქადაგება“ ანტონ პირველისა და „კონდაკი“.

1751 წლიდან 1763 წლამდე საქართველოში თითქოს შეწყვეტილა წიგნების ბეჭდვა. აქ კი ძნელი დასაჯერებელია ამ ამბის ახსნა ამ პერიოდში გამოცემული წიგნების შემდეგ პერიოდში მოსპობით. მიზეზი უმთავრესად სხვა რამ იყო. კერძოდ, ლეკობის ხშირი თავდასხმები. XVIII საუკუნის 50—60-ან წლებში ლეკობა ისე გახშირდა, რომ ქვეყნის სასიცოცხლო ძალები ლეკთა თავდასხმისაგან ქვეყნის დაცვას უნდებოდა. ასეთ პირობებში, გასაგებია, წიგნების ბეჭდვა მეორეხარისხოვან ამოცანად იქცა.

1763 წელს სტამბის მუშაობას აღმავლობა დასტყობია. ამ წელს თბილისის სტამბაში დაბეჭდილია 2 გამოცემა („დავითნი“ 465 გვერდი და „ლოცვანი“ 46 გვერდი). 1764 წელს სტამბამ შესძლო 571 გვერდიანი წიგნის გამოცემა.

მიუხედავად ამისა, XVIII საუკუნის 80-ან წლებამდე თბილისის სტამბა მაინც ყოველწლიურად ვერ ახერხებს წიგნების გამოცემას.

1782 წლიდან თბილისის სტამბის მუშაობაში ნამდვილი ნაყოფიერი პერიოდი დაიწყო. მას შემდეგ, რაც ერეკლემ საფუძვლიანად შეაკეთა სტამბა, წიგნების ბეჭდვის საქმე გაფართოვდა და

თანდათან აღმავლობის გზით წავიდა. 1784 წელს გამოიცა 4 წიგნი საერთო მოცულობით 1210 გვერდამდე. აღსანიშნავია, რომ 1784 წელს გამოცემული „ლოცვანი“, რომელიც 397 გვერდს შეიცავს, 1000 ცალის რაოდენობით დაიბეჭდა.

განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო სტამბის მუშაობა 1790 წლიდან 1795 წლამდე. დასახელებულ პერიოდში დაიბეჭდა 10 წიგნი 4267 გვერდის საერთო მოცულობით.

სასტამბო საქმის ასეთი გაფართოება იმ საერთო კულტურულ-საგანმანათლებლო მოძრაობის ერთი ნაწილთაგანი იყო, რომელსაც ადგილი ჰქონდა მაშინ საქართველოში და რომელიც XVI საუკუნიდან თანდათან ვითარდებოდა და იზრდებოდა.

აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე სამართლიანად წერს, რომ „აღნიშნულ პერიოდში (ლაპარაკია აღორძინების ხანაზე.—დ. გ.) ქართველ ერში თავი იჩინა ძლიერმა კულტურულ-საგანმანათლებლო მოძრაობამ: გამოცოცხლდა და გაუმჯობესდა სასკოლო საქმე, გაჩნდა ახალი ბუდე და წყაროები ლიტერატურული მუშაობისა, შემოღებული იქნა წიგნის ბეჭდვის ხელობა, საფუძველი დაედო ისეთ წიგნთსაცავებს, როგორიც იყო მცხეთისა და ანტონ კათალიკოსის, რომელთაგან უკანასკნელში 7000 ტომი ითვლებოდა. გაიზარდა წერა-კითხვის მცოდნეთა წრე, განსაკუთრებით ქალთა შორის, როგორც ამას ამოწმებს კაპიტანი იაზიკოვი (იაზიკოვი საქართველოში იმყოფებოდა XVIII საუკუნის 70-ან წლებში.—დ. გ.). თავის მოხსენებაში იგი ამბობს: „Что же принадлежит до благородных женщин, они все писать умеют“. გაფართოვდა ლიტერატურულ მოღვაწეთა წრე. თუ წინათ მწერლობას სათავეში მომეტებულ ნაწილად სამღვდელო-სასულიერო პირნი უდგნენ, ახლა ამ საქმეს ხელი მოჰკიდეს საერო პირებმაც“.

1795 წლის სექტემბერში ჩვენს საყვარელ დედაქალაქს, თბილისს, სპარსთა ურდოები დაეცნენ, ქალაქი გადაწვეს და თბილისის სტამბაც ცეცხლს მისცეს.

როცა ქარიშხალმა გადაიარა, მთებში გახიზნულმა ხალხმა საკუთარ კერას მოაშურა. თბილისში დაბრუნდა მთიულეთიდან ერეკლე მეორეც. გადმოგვცემენ, რომ ერეკლემ ავლაბარში მოსვლისთანავე ბრძანება გასცა, გაეთხარათ სტამბის ადგილსამყოფელი და მოეძებნათ სასტამბო იარაღები. დაიწყეს იარაღების შეგროვება. გამოირკვა, რომ სტამბის ერთი ნაწილი განჯაში გაეტაცნათ, ნაწილი შეკრებილ იქნა და მეტეხს მიუტანეს ერეკლეს. თბილისის სტამ-

ბის აღდგენას ერეკლე ვეღარ მოესწრო. დიდჭირნახული ერეკლე 1798 წ. გარდაიცვალა. მაგრამ სტამბის აღდგენაზე ზრუნვა არ შეწყვეტიათ. პლატონ იოსელიანი გადმოგვცემს, რომ „კვალად იწყეს სახლისა სტამბისა შენება, დაიბარეს ქალალდი ოსმალოდამ ახალტანისა გზითა და სპარსეთის საზღვარიდამ, შეუდგნენ ასოთ ჩაბოსხმასა, დაზგებისა კეთებასა და მბეჭდავთა შეკრებასა". დუბროვინიც გადმოგვცემს, რომ მარტყოფიდან და ნინოწმინდიდან ხის მასალა მოიტანეს და სტამბა კვლავ აღადგინესო. სტამბის აღდგენის ერთ-ერთი ინიციატორი იყო ზემოხსენებული ქრისტეფორე კეკელაშვილი. 1800 წელს სტამბამ განაახლა მუშაობა.

1801 წელს ქართლ-კახეთის სამეფოს დამოუკიდებლობა დასრულდა. იგი მეფის რუსეთმა თავის გუბერნიად გადააქცია. 1804 წელს საქართველოში ცარიზმის ჯარების მთავარსარდლის ციციანოვის ბრძანებით სტამბა ყველა თავისი მოწყობილობით ახლად დაარსებულ კეთილშობილთა სასწავლებელს გადაეცა.

4. გასართობ-სანახაობანი თბილისში

დიდი სტალინის ერთგული თანამებრძოლი, ქართველი ხალხის საყვარელი შვილი ლავრენტი პავლეს ძე ბერია თბილისის მშრომელთა სამასათასიან მიტინგზე 1938 წელს ამბობდა: „ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანმა ისტორიამ,—მძიმე გასაჭირსა და უბედურებასთან ერთად, როდესაც საქართველო ხანძრის ალში იყო გახვეული, განადგურებული და დამონავებული მრავალრიცხოვან მტერთა უამრავი ურდოების მიერ,—იცის აგრეთვე საკმაოდ ბევრი ბედნიერი და სასიხარულო დღე, როდესაც ხალხი განდევნიდა ხოლმე თავის მტრებს, როდესაც ძველი ქალაქი თბილისი—საქართველოს დედაქალაქი და გული—კვლავ აღორძინდებოდა ფერფლიდან და საყოველთაო-სახალხო ზეიმი მჩქეფარედ მოედებოდა საქართველოს მიწა-წყლის ხეობებსა და ჭალებს".

შემთხვევითი არ არის, რომ მეზობელი ქვეყნის ბევრი ხალხი მრავალჭირნახულ ჩვენს დედაქალაქს ძველად „სიხარულის სახლს" უწოდებდა.

ქართველი ხალხის ზეიმისა თუ მწუხარების ჟამს თბილისიც ქართველ ხალხთან იყო და თითოეული გამარჯვება ქართველი

ხალხისა თბილისსაც საზეიმოდ რთავდა, დამარცხება კი მწუხარებას მოუტანდა.

ყოველი გამარჯვება თბილისში დიდი სახალხო ზეიმით აღინიშნებოდა ხოლმე. ეს ზეიმი ეეშმარიტად სახალხო ზეიმის ხასიათს იღებდა.

ერთ ერთი ბრძოლა ქართველებმა თეიმურაზ მეორის სარდლობით მოიგეს. ეს გამარჯვება საზეიმოდ აღინიშნა თბილისში. ამ ზეიმის შესახებ თანამედროვე ისტორიკოსი პაპუნა ორბელიანი გადმოგვცემს: „აიყარა მეფე თეიმურაზ ლილოდან, შემობრძანდა ქალაქსა თბილისისასა, თვესა იელისა, მიეგებნენ მოქალაქენი ანუ დასნი სამღვდელონი, შეასხეს ქება და შესწირეს მადლობა ღმერთსა, გაუშალეს მოქალაქეთა ფეინდაზი მძიმე ლართა, შეიქნა სროლა ზარბაზანთა, რომე ყურთასმა აღარ იყო, ავლაბრით ალაყაფის კარამდის მორთვეს ბაზარი და განაბრწყინვეს ჩირახდნით, იყო სამი დღე და ღამე გაუწყვეტლად მეჯლისი და ლხინი უზომო, სიხარული ფრიადი“.

ერთ-ერთ ბრძოლაში ქართველებმა ირანელები მოიშველიეს და ოსმალები, რომლებიც ქართლის მოსათხრელად წამოსულიყვნენ და რიცხვმრავალნი იყვნენ, სასტიკად დაამარცხეს. ამ გამარჯვების აღსანიშნავად თბილისში „იყო სროლა ზარბაზანთა და ჰქნეს მოქალაქეთა ჩირახდანი, შეიქნა მეჯლისი სამი დღე და ღამე, იყო შადლუხი ზარბაზანთა, ცემა ქოსთა და სპილენძთა ეურთა, მორთეს ქალაქი ჩირახდნით“.

ჩვენი მატიანეები სავსეა მსგავსი ცნობებით.

მრავალომგადახდილი ქართველი ხალხი, როცა მტერს განდევნიდა ხოლმე თავისი მიწა-წყლიდან და თავის უხვ დოვლათს თვითონ იხმარდა, ზეიმობდა, ლხინობდა და თავისი გართობებითაც კი სამშობლოს დაცვის იარაღს სეედდა. ქართველ ხალხს სულითა და გულით უყვარდა თავისი დედაქალაქი—თბილისი. გრიგოლ ორბელიანი, უთუოდ, თავისი დროის ყველა ქართველის გულისნადებს გამოხატავდა, როცა წერდა: „კაცს შეუძლიან ყოველგან იყოს, თუნდ იაპონიაში, თუნდ შვეიცარიაში, თუნდ ინგლისში, მაგრამ ცხოვრებით კი მარტო თბილისში უნდა იცხოვროს“.

* * *

მრავალგვარი იყო ქართული სანახაობა-გასართობები. საუკუნეთა განმავლობაში ქართველი ხალხი იმუშავებდა თავისი სულიერი საზრდოს სხვადასხვა ფორმებს.

მრავალ სახახაობა-გასართობთა შორის, რომლებიც თბილისში ყოფილა გავრცელებული, აღვნიშნავთ მხოლოდ მთავარს.

ყ ე ე ნ ო ბ ა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში იცოდნენ. ამ სანახაობას საქართველოში საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს. აკად. ივ. ჯავახიშვილის აზრით, „ყეენობა", ისე როგორც სვანური „პურყვანობა" და „საქმისაის" ჩვეულება, „განაყოფიერებისა, შვილიერებისა და საერთოდ მოსავლიანობის მფარველი ღვთაების კვირიას თაყვანისცემისა და დღესასწაულის ნაშთია". ამ თამაშის მონაწილეთაგან ერთს „შაჰს" ან „ყეენს" უწოდებენ, მეორე გუნდის მეთაურს კი „მეფეს" და ბრძოლაშიც ყოველთვის მეფეს უნდა გაემარჯვა. ამნაირად, ამ დღესასწაულის დედააზრი უცხო ხალხის მეთაურის ქართველთა მეთაურისაგან მძლეობის განსახიერება უნდა ყოფილიყო სქესობრივი ძალისა და ნაყოფიერების სფეროში.

ამ სანახაობის შინაარსი შემდეგში შეცვლილა და, როგორც დ. ჯანელიძე სამართლიანად შენიშნავს, „საკულტო ცერემონიალისა და წარმართული მისტერიის წიაღიდან გამოსული ყეენობა საერო სანახაობად განვითარებულა და ქართველი ხალხის დამპყრობლებთან გმირული ბრძოლის გამომხატველად ქცეულა".

ყეენობა თბილისელთა საყვარელ სანახაობად ითვლებოდა. იგი იწყებოდა დიდმარხვის პირველ ორშაბათს, ანუ შავ ორშაბათს. ყეენობაში თბილისის მცხოვრებთა ყველა სოციალური ფენა იღებდა მონაწილეობას.

თბილისში ჩატარებული ყეენობის შესახებ მრავალი მასალაა შემონახული. ერთი კორესპონდენტი გაზეთ „კავკაზში" 1889 წელს წერდა: „ძველად, ქართველი მეფეების დროს, თბილისში ყოველი მხრიდან იკრიბებოდა ხალხი, რომელიც იკაზმებოდა ბერიკული ტანსაცმელით და უმეტესი წილი ცხენებზე სხდებოდნენ; მათ წინ უძღოდათ სპარსელ ყეენად მოკაზმული, რომელიც ვირზე იჯდა, მას სახე შემურული ჰქონდა და გადაბრუნებული ტყაპუჭი ეცვა. ისინი პირველყოვლისა სასახლისაკენ გასწევდნენ. ამ დღეს სავაჭროები და სახელოსნოები დახურული იყო. ქალაქი ღებულობდა საზეიმო-სადღესასწაულო სახეს. მსვლელობაში მონაწილეობდნენ ხელოსანთა ამქრები თავისი ნიშნებითა და მუსიკით. მთელ ამ ხალხს ეცვა ნაირნაირი ტანსაცმელი, უმეტესად ღია მყვირალა ფერისა და ნაწილობრივ კი გადმობრუნებული ტყაპუჭები. მხედრებსაც და ქვეითებსაც სახე შემურული ჰქონდათ. მეფის სასახლეს მიადგებოდნენ დიდი ხმაურით, იძახდნენ, ყეენს სალამიო. მეფეები, ჩვეულებ-

რივ, ხალხს სიხარულით ესალმებოდნენ და ნიღბოსანთ უხვად აჯილ-დოებდნენ ვერცხლის ფულით, რასაც პირდაპირ ქუჩაზე გადმოჰ-ყრიდნენ ხოლმე. შემდეგ ხალხი გასწევდა დიდებულთა სახლებისა-კენ და აქაც ნიღბოსნები უხვს საჩუქრებს ღებულობდნენ. საღა-მოს ხალხი მტკვრის ნაპირისკენ, რიყეზე მიდიოდა, სადაც ეწყობო-და შეკრებილი ფულით მხიარული ქეიფი—უკრავდა მუსიკა და დიდხანს, ნაშუაღამევის შემდეგაც, ხალხი ქეიფს განაგრძობდა."

„კვალის" 1893 წლის № 6-ში საკმაოდ ვრცლად არის აღწე-რილი ყეენობა, რომელიც ერმოლოვის (1817—1827) დროს მომხდა-რა. „მაშინ, ის იყო, სოლოლაკის მხარე შენდებოდა. მთავარ-მარ-თებლის გარშემო იბადებოდა ახალი ქალაქის უბანი ევროპულ ხუ-როთმოძღვრების გეგმაზედ. დადგა ყველიერის უკანასკნელი დღე-ები. მთელი ტფილისის ქალაქი: ავლაბარი, ნარიყალი და ჩუღუ-რეთი ყეენობის სათამაშოდ ემზადებოდა. სეიდაბადის ხელოსნებს, ფეიქრებს, ხუროებს და მჭედლებს ბევრი სამუშაო ჰქონდათ აღე-ბული. ისინი ამზადებდნენ ხის ხმლებსა და ხანჯლებს, საცერე რგოლებს და შურდულებს.

მთელი ქალაქი გაყოფილი იყო ორ უბნად. ერთი იყო ისანი და მეორე—ნარიყალი. ნარიყალს ემხრობოდენ ვერის მხრის მცხოვ-რებნი. ახალი სოლოლაკის უბანიც ამათკენ იყო. ისნის მხარეს შე-ადგენდა ავლაბარი, ჩუღურეთი და კუკიის მხარე.

ნარიყალის მცხოვრებლებისკენ იყვნენ მუხრან-ბატონი, ორბე-ლიანი, ბარათაშვილი და ერისთავი. ისნის მხარეზე იყვნენ კახე-თის მებატონეები: ჭავჭავაძე, ჩოლოყაშვილი, ციციშვილი, ჯან-დიერი, ჯორჯაძე და სხვ. ერმოლოვს ნარიყალელების მხარე ეჭი-რა. ყეენი უნდა გამოსულიყო ისნელებიდან და გზების ჯვარედინ-ზე ჩაეყენებინა თავისი მოხელეები, ჯარის უფროსები, რომ გამველ-გამომველელისათვის ხარჯი გამოერთმიათ. თვით ყეენი, შავად შე-მურული, თავისი მეუღლით უნდა წამოსულიყო და დაედგა ტახტი სეიდაბადის მაღლობზე, სადაც დღეს ბოტანიკურს ბაღთან ძველი ციხის ნანგრევია. ყეენს თავის ამალას გარდა ჯარიც თან ჰყავდა მომზადებული და ქალაქში სხვადასხვა უბანში უნდა დაეყენებინა. ამ დროს ნარიყალის მომხრენი საიდუმლოდ ამზადებდენ თავიანთ ჯარებს, რომელნიც ჩასაფრებულნი უნდა ყოფილიყვნენ სოლოლა-კის ხევში. დადგა დიდი ორშაბათი, პირველი დღე დიდმარხვისა. ტფილისის ქალაქის დუქნები დაიკეტა და მცხოვრებნი ნახევარი ყეენისაკენ იყვნენ, ნახევარი კი სოლოლაკის ხევში დაიმალა. ყე-

ენმა დაიდგა ტახტი სეიდაბადის მაღლობზედ. მისნი მოხელენი იპერდნენ გამვლელ-გამომვლელს და მიჰყავდათ ყეენთან თაყვანის საცემლად. ამ სახით განაგრძო ყეენმა თავის უფლება მთელს ტფილისის ქალაქზე შუადღემდის. ნაშუადღევს ყეენს მოახსენეს, რომ ქვეყანა აჯანყდაო, ერი განუდგა მას და ქართველების ჯარი სოლოლაკის მაღლობზე გადმოდგაო. მაშინვე ყეენი გაემზადა საომრად. თვითონ იგი და მისი მეუღლე შესხდენ სახედრებზე და შეუტიეს განდგომილებს. მოხდა შეტაკება მთაწმინდის სერზე. ისინი შეებრძოლენ ნარიყალას; შეიქნა ჯერ შურდულებით ქვის სროლა, მერე კი ხელდახელ ჩაერიენ კრივში. ზოგი მუშტით იბრძოდა, ზოგი ხის ხმლებით. ბევრს ცხვირი გაუტეხდა, ბევრს თავი, ბოლოს მაინც ნარიყალელებმა დაიფრინეს ყეენის გუნდი, რომელიც აქეთ-იქით გაიფანტა. თვითონ ყეენი თავის მეუღლით ჩავარდა საქართველოს ჯარის ხელში. ქართველებმა შესვეს ყეენი და მისი მეუღლე პირუკუღმა სახედრებზე, ჩაიყვანეს მტკვრის პირად და იქ ორივენი: ყეენი და მისი მეუღლე — ჩააგდეს მტკვარში.“

ჩვენ განგებ მოვიტანეთ ქართული ყეენობის შესახებ ორი ვრცელი ამონაწერი. მოტანილი ორი ცნობა ერთიმეორეს ავსებს და ყეენობას, როგორც მასობრივ ხალხურ გასართობს, რაც შემთხვევითი არ იყო, სრული ფორმით წარმოგვიდგენს.

ყეენობა ორმხრივ დანიშნულებას ასრულებდა. ერთი მხრით, ის იყო საშხედრო საქმის დაუფლების თავისებური ხერხი, ერთგვარი „მანეკრები“; მართლაც, თუ კაცი ქართულ სამხედრო ხელოვნების ისტორიას დაუკვირდება, ადვილად შეამჩნევს, რომ ყეენობაში დაცული თამაშობის სახეები: ძალთა დაჯგუფება, მთავარი იერიშის მიტანა მტრის, ყეენის, ბანაკზე, მასობრივი ხალხური აჯანყება მტრის გასადევნად და სხვა—იყო ქართველი ხალხის ბრძოლის ხერხი უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ.

მეორე მხრით, ყეენობა იყო თავისებური პროპაგანდაც. როგორც დავინახეთ, მასობრივი აჯანყების შედეგად ყეენი დატყვევებული იქნა მეუღლითურთ და მტკვარში გადააგდეს. ამით მაყურებელი რწმუნდებოდა, რომ, თუ ხალხში ერთპირობა იქნება, მტერი არ არის საშიში და მისი განდევნა ადვილია. დასასრულ, არ შეიძლება კიდევ ერთ გარემოებას არ გაესვას ხაზი: ყეენი ქალაქს იპყრობს და მოსახლეობას ხარკს ადებს. მძლავრობს, პარპაშობს. ამ სახის ჩვენება აღვივებდა მაყურებელში მტრისადმი სიძულვილს და რაზმავდა მას მტრის წინააღმდეგ.

* * *

სხვა მასობრივ სანახაობათა შორის, რომლებიც ქალაქ თბილისში ყოფილა გავრცელებული, აღსანიშნავია ბერიკაობა და კრივი.

ბერიკაობა, რომელიც ყველიერში მთელი კვირა გრძელდებოდა, ბევრ მაყურებელს იზიდავდა და ეს თამაში საყოველთაო ნხიარულებას იწვევდა. ბერიკები თავიანთ სამოქმედო პროგრამაში ასახავდნენ სოციალურ-კლასობრივ ბრძოლას, ყოფა-ცხოვრებას, უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლას და სხვა მსგავს მოვლენებს. გადმოგვცემენ, რომ ერეკლეს ჰყავდა გამოჩენილი ბერიკები: ოთარ ნორიოელი, იაონა-ბეიანა, თარხანი და გიორგი მახათაძე.

დიდ მასობრივ თამაშად ითვლებოდა კრივიც თავისი სხვადასხვა სახეობით. კრივში ქალაქის სხვადასხვა უბნები ერთმანეთს ესხმოდნენ თავს და ეს გართობა ხშირად ისეთ მწვავე ხასიათს იღებდა, რომ მოკრივეთაგან ბევრი თავპირდაბეტონეული და დაბეჟილი ბრუნდებოდა სახლში.

* * *

თბილისის მცხოვრებთათვის ერთ-ერთი საყვარელი სანახაობა იყო ყაბახი. ერთ-ერთი მოგზაური, რომელიც XVII საუკუნის 90-ან წლებში პირადად დასწრებია თბილისში გამართულ ყაბახს, დაწვრილებით აღწერს ამ თამაშს და დასძენს: თბილისში მეფის ნათესავის ქორწილი გადაიხადეს. ქორწილზე თავადები მოიპატიჟეს. განკარგულება იქნა გაცემული, ქალაქგარეთ დიდ მინდორზე ყაბახი გაემართათ, მინდვრის ცენტრში მაღალი ბოძი აღმართეს, მის წვერზე ვერცხლის თასი მოათავსეს. თამაშის მონაწილენი ცხენებზე ამხედრდნენ. ისინი ყაბახის მოშორებით განლაგდნენ და მოქმედებისათვის მოემზადნენ. ხელში მოიმარჯვეს მშვილდისრები. აი, მხედარმა ცხენს დეზი ჰკრა და ყაბახისაკენ გაეშურა. იგი თვალს არ აშორებდა ყაბახზე დამაგრებულ თასს, მიუახლოვდა ყაბახს და ისარი სტყორცნა, ისარმა ახლო გაიარა თასთან, ასე იმეორებდნენ სხვანიც. ბოლოს ერთმა თასი ძირს ჩამოაგდო, რამაც საზოგადო აღტაცება გამოიწვია.

იგივე მოგზაური მოგვითხრობს, რომ ყაბახის შემდეგ მეორე

თამაშობა გამართეს, და ამ მეორე თამაშს ასე აგვიწერს: რვად განაწილდნენ და იწყეს ბურთის თამაში. ასეთი ვარჯიშობის დროს აბ ხალხს განცვიფრებაში მოჰყავს მნახველი. მათ ცხენის მართვა შესანიშნავად იციან. ბურთის მიწიდან აღების დროს ისე იხრებიან ცხენიდან, რომ ჰგონიათ, ცხენიდან გადმოვარდებიანო.

ამ მეორე თამაშს „ჩოგანბურთს“ ან კიდევ „ცხენბურთს“ ეძახდნენ.

თუ როგორ ტარდებოდა ცხენბურთი ერეკლე II-ის დროს, შესანიშნავად აქვს აღწერილი ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანს. მოვიტანოთ ზოგი ადგილი მისი გამოუქვეყნებელი თხზულებიდან: მეფეს ნადიმის შემდეგ, ავტორის სიტყვით, „უცხოს დარახტულის და საუცხოვოს ცხენებით“ რამდენიმე ასეული კაცი უკან გაჰყვა... „ამათ თვითოეულად მარჯვენა ხელში თითო ჩოგანი ეჭირათ, ზოგი მოვარაყებული და ზოგი სხვადასხვა ფერად დაპრელებული. ერთიანი ეს რაზმი... ორ რაზმად გაიყო... ერთი ერთ მხარეს დადგა და მეორე მეორეს მხარეს. ერთი ცხენის გასაპენებელი მინდორი შუაში და

ტარებულიყო ცხენბურთი. აღსანიშნავია, რომ მეფემ და პოეტმა-თეიმურაზ მეორემ თავის თხზულებაში „სარკე თქმულთაში“ საგანგებოდ აგვიწერა „ყაბახის სროლა და ბურთაობის ანბავი“.

მეფე პოეტი ყაბახის შესახებ წერს:

„როდის იქნების ქორწილი ან სხვა დღეობა კარგიო,
ყაბახზე ოქროს ვაშლს შესმენ ძვირფასის იყოს, ვარგიო,
კარგა დაკაზმულს ცხენს ისხდენ, ზედ არ ეკიდოს ბარგიო,
კურტაკიანთა ვაჟთა თქვან: სროლაში მკლავი მარგიო!
ცხენს ისხდენ, კარგსა დაკაზმულს რახტით, უნაგირითაო,
მძიმეს ნაკერის ორთუქით, ბუშტით და ყუთაზითაო,
ვაჟკაცთა ეცვათ კურტაკი ბრტყელისა ზორტებითაო,
დაუწყონ სროლა ყაბახსა მათ ცხენის ჭენებითაო.

. . . . . .

ვინც ჩამოაგდებს ოქროს ვაშლს, მიართმევს მეფეს წინადა,
ფიცხლავ ჩააცმევს ხალათსა თავითად ფერხამდინადა...“ და სხვა.

თეიმურაზ მეორის სიტყვით, ყაბახს, ჩვეულებრივ, ბურთაობაც მოჰყვებოდა. ბურთაობაც ერცლად აქვს აღწერილი პოეტს. ჩოგნით მობურთალთა შესახებ იგი წერს:

„ორათ გაჰყოფენ, თითოს მხარს თორმეტს იქმონენ კაცებსა,
მობურთალს კაცის თავზედა მას დღეს მისცემენ ფარჩებსა...
მობურთლებს ბურთი შეუგდონ შუაზე მეიდანსაო,
იწყონ მოჭირვით ბურთობა, სცდილობენ გარდახრასაო,
ზოგი სცემს შიგნით და ზოგი ნაპირს ურბენდეს გზასაო
გამოუვარდეს გარს ბურთი, ეცადოს მოტაცნასაო...“

ცხენბურთს მარტო ბურთაობა კი არ უნდა ესწავლებინა მოთამაშისათვის, არამედ საერთოდ ცხენის წესიერად მართვა ჯარში თუ თამაშში. ამიტომაც თეიმურაზი საგანგებოდ აღნიშნავს:

„გამოჩნდეს სადავის ცოდნა ჯარსა და ბურთობაშია...“

აღსანიშნავია, რომ, თეიმურაზ II ის ცნობით, იყო ბურთაობის სხვა სახეც, რომელშიც 3-4 კაცი იღებდა მონაწილეობას და რომელსაც „რადრაბაგანს“ ეძახდნენ:

„ერთი არის სხვა ბურთობა რადრაბაგანს უძახიან,
გადრთის ბურთის უფრო ვსე ზნეობაში ჩააგდიან,
ბევრს კი არა, სამს-ოთხს კარგსა შებურთალსა შეადრიან,
ოთხისათვის სათამაშოდ ბურთი მიწას გააგდიან.“

როგორც ვხედავთ, ყაბახობა და ჩოგნით ბურთაობა უფრო სამხედრო-საწვრთნელი ხასიათის ვარჯიშობას წარმოადგენდა, რომ-

ცხენოსანთა ბურთაობა ჩოგნით.

XVII საუკ. იტალიელი მხატვრის ნახატი (კასტელის ნახატიდან).

ცხენოსანთა სროლა მიზანში (ყაბახი).

XVII საუკ. იტალიელი მხატვრის ნახატი (კასტელის ნახატიდან).

ლითაც მთელი მაშინდელი საზოგადოება ერთობოდა. ამით აიხსნება, რომ ყაბახის მოწყობა ხშირად სამხედრო მოხელეს, ყორჩიბაშს ევალებოდა.

* * *

ზემოაღნიშნულ სანახაობათა — ყეენობასა და ბერიკაობას გვერდით, რომელთაც ნახევრად სასცენო მოქმედების ხასიათი ჰქონდათ, თბილისში თეატრალური ხელოვნებაც ვითარდებოდა.

ქართული სცენისა და თეატრის ისტორია, როგორც აკად. კ. კეკელიძე მიუთითებს, XVIII საუკუნის უკანასკნელი წლებიდან იწყება. კულტურის ამ სახის ბუდე თბილისი იყო. ერეკლე ხშირად აგზავნიდა ახალგაზრდებს რუსეთში სწავლა-განათლების მისაღებად. ასე მაგალითად, რუსეთში სწავლობდნენ დავით ბატონიშვილი, ერასტი თურქისტანიშვილი, გიორგი ავალიშვილი, იოანე ორბელიანი და სხვ. ეს ახალგაზრდები რუსეთში ყოფნის დროს გასცნობიან თეატრსაც და სამშობლოში დაბრუნების შემდეგ აქაც დაუწყიათ წარმოდგენების გამართვა და პიესების დადგმა. ამ დასს შეერთებიან ქალებიც, თვით მეფეთა, ერეკლესა და გიორგის, და სხვა თავადიშვილთა ქალიშვილები. მათ სათანადო ბინებიც გამოუძებნიათ. წარმოდგენები თბილისში მესხიშვილის, ორბელიანისა და მელიქიშვილის სახლებში იმართებოდა. მაგრამ მარტო თეატრალური დასის შექმნა და შენობის გამონახვა როდი იყო საკმარისი. საჭირო იყო პიესებიც ქართულ ენაზე. ამაზედაც იწყება ზრუნვა და, ამგვარად, საფუძველი ეყრება ქართულ დრამატიულ მწერლობას. ჯერ თარგმანები ჩნდება. გიორგი ავალიშვილი 1794 წელს თარგმნის სუმაროკოვის კომედიებს: „რქის მატარებელი“, „დედა რაყიფი ქალისა“, „საჩხუბარი“ და სხვ. იგი ორიგინალურ ქართულ პიესებსაც წერს. მის ნაწარმოებად არის მიჩნეული „უბნობა მკედართა“, რომელიც ოთხი ნაწილისაგან შედგება. მასვე მიაკუთვნებენ პიესას „მეფე თეიმურაზი“ და სხვა.

პიესებს თარგმნიდა დავით ჩოლოყაშვილიც. მას 1795 წელს უთარგმნია რასინის „ეფიღენია“. აღსანიშნავია, რომ თარგმანში შეტანილი იყო მასალები ქართული სინამდვილიდან, რაც მას უფრო საინტერესოს ხდიდა მაყურებელთათვის.

ერეკლეს დროის სასცენო ხელოვნების ერთ-ერთი წარმომადგენელი იყო რუსეთიდან თბილისში დაბრუნებული ვინმე გაბრიელ

მაიორი, — რომელიც თურმე სცენაზე ძველი აღთქმის სიუჟეტებს წარმოადგენდა. ამ წარმოდგენებზე შესასვლელ ბილეთებს, ზოგი ისტორიკოსის ცნობით, ასეთი წარწერა ჰქონია: „შაური ორი, გაბრიელ მაიორი“. გაბრიელ მაიორმა პირველი ნაბიჯი გადადგა ამ მიმართებით. მალე ერეკლეს მზრუნველობით მის კარზე მსახიობთა მთელი დასი გაჩნდა, რომლის დანიშნულება ჩვეულებრივი თავშესაქცევი მოღვაწეობა კი არ იყო, არამედ სამშობლოს სიყვარულის ქადაგება.

აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის დროს გბირ მეომრებს გვერდში ამოუდგნენ ერეკლეს „თეატრის“ მსახიობები მაჩაბლის მეთაურობით და პირადი მაგალითებით ამხნევებდნენ ქართველებს. „მცხოვრებთაგან ტფილისისათა გამორჩეულ იქმნენ კაცნი მამაცნი და მარჯვენი, რომელთაცა აღირჩიეს წინაშეძღვრად თვისად კაცი ვინმე მსახიობი (რომელსა საზანდრად უხმობენ). ესე იყო ერთი წარჩინებულთა ძე, საკრავთა და მსახიობთა მეფისათა, მუზიკი და კომენდიანტი. და ესე იყო უფროსი მსახიობთა შორის და ცნობილი იყო სამეფოსა შინა. ესე იყო გვარეულობითა და სარწმუნოებითაცა ქართველი, რომელსაცა სახელს სდებდენ მაჩაბელად. ესე მიუძღვა გუნდსა მას ტფილისელთასა და მტერთა ზედა და ეპყრა ხელთა მისთა ბარბითი, ე. ი. დაირა და უკრავდა მასზედა შადიანსა, ხმასა მას, რომელ ლხინსა შინა დაუკვრენ ეამსა შინა უმეტეს სიხარულისასა, ვინაიდან ხმა ესე განამხიარულებს“.

საძულველი მტერი, რომლისათვის უცხო იყო სამშობლოს სიყვარული, გაკვირვებული დარჩა ამ ამბისაგან...

აკად. კ. კეკელიძის სამართლიანი შენიშვნით, „ერეკლეს მეფობით გათავდა, შეიძლება ითქვას, ისტორია ძველი ქართული თეატრისა, აღა-მაჰმად-ხანის შემოსევამ და ქვეყნის აოხრებამ, რომელსაც მალე ერეკლეს სიკვდილიც მოჰყვა, ბოლო მოუღო ქართულ თეატრსაც“.

5. თბილისის აბანოები

საქალაქო ცხოვრების ერთი შემადგენელ ნაწილთაგანია აბანო. ქალაქი აბანოების გარეშე წარმოუდგენელია. საქართველოს უძველეს ქალაქში მცხეთა-არმაზში, როგორც არქეოლოგიურმა გათხრებმა დაადასტურა საკმაოდ კეთილმოწყობილი აბანოები ყოფი-

ლა; ასევე იყო საქართველოს სხვა ქალაქებში. თბილისს ამ მხრივ განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ის ფაქტი, რომ ბუნებრივი თბილი წყალი თბილისში უხვად არსებობს, აქ აბანოების მოწყობის საუკეთესო პირობებს ქმნიდა.

არც ერთი უცხოელი მოგზაური-დამკვირვებელი, რომელიც კი თბილისში ყოფილა, არ წასულა ისე, რომ თავის დღიურებში სა-განგებოდ არ აღენიშნა თბილისის აბანოები.

942—943 წლებში თბილისში იყო არაბი მოგზაური იბნ ჰაუკალი. მან მრავალი საყურადღებო ცნობა დაგვიტოვა საქართველოსა და თბილისის შესახებ. თბილისის აბანოებზე კი იგი წერს: „ქალაქში ტიბერიადის აბანოების მსგავსი აბანოებია, მათი წყალი თბება უცეცხლოდ“.

ასეთსავე ცნობას გვაწვდიან XVII—XVIII საუკ. ევროპელი მოგზაურები. რუსი ვაჭარი, ვასილ გაგარა, XVII საუკუნის 40-ან წლებში თბილისზე გავლისას, აბანოებზე შენიშნავდა: აბანოებში ბანაობენ ბუნებრივი თბილი წყლით, როგორც ქრისტიანები, ისე მუსლიმანებიო. შარდენსაც შეუნიშნავს, რომ თბილისელი მცხოვრებნი უხვად სარგებლობდნენ ბუნებრივი თბილი წყლებით. ფრანგი მოგზაური, ტურნეფორი (1701 წ.) შენიშნავს, რომ თბილისის აბანოების წყლები წარმოადგენენ შესანიშნავ თბილ წყაროებს, რომელთა ტემპერატურა ასატანია. თბილისის აბანოებში არის აგრეთვე სხვა თბილი და გრილი წყალი. ეს აბანოები თავისებური გასართობებიც არიანო.

ვახუშტი ბაგრატიონი თბილისის აბანოების შესახებ წერს: „ტფილისს დის ცხელი წყალი კლდიდამ. არს მით აბანონი ექვსნი და დიდ შენნი, ავაზიანნი. მარადის მოჰდინარე ცხელი წყალი“.

ვახტანგ VI თბილისის აბანოებზე ერთ-ერთ ლექსში წერს:

> „რო გათავდეს ეს შექცევა, კვლავ მოვიდენ ისევ ტფილისს
> აბანოსა განისვენოს, ქებაც ითქმის მცირე ძილის“.

თბილისის აბანოების შესახებ 1770 წელს თავის ჩანაწერებში კაპიტანი იაზიკოვი შემდეგ საყურადღებო ცნობებს გვაწვდის: თბილისში საუკეთესოდ შეიძლება ჩაითვალოს ცხელი წყლები, ისინი მთიდან გამოდიან. აბანოები გამოყვანილია ქვის თაღებით, რომელნიც ას წელზე მეტია, რაც აუშენებიათ. მათში შუქი სარკმლიდან ჩადის. აუზები გაკეთებულია თლილი ქვისგან. ხალხი ერთ აუზში თავსდება. იქ წყალი ისეთი თბილია, რომ ადამიანს უჭირს გაძლება.

სხვა აუზებში წყალი ციცია და გოგირდის სუნი უდის. მცხოვრებლები იქ ბანაობენ და მოგვითხრობენ, რომ ქალაქში ქალები ცხელი წყლისაგან თეთრნი და სუფთანი არიან. ხოლო რომ მათი აბანოები ნამდვილად ჯანსაღია, მე ეს თვით საკუთარ თავზე გამოვცადე, დავდიოდი რა იქ ხშირადო. თბილისის აბანოებს დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია ალ. პუშკინზე. იგი წერს: „ჩამოვხტი ტრაქტირში. მეორე დღეს თბილისის განთქმულ აბანოებში წავედი... აბანოს შესავალთან მეაბანოე იჯდა, მოხუცი სპარსელი. მან კარი გამიღო, შევედი დიდ ოთახში, სპარსელმა აბანოში შემიყვანა: რკინა-გოგირდის წყარო კლდეში გამოკვეთილ აუზში ჩაჩხრიალებდა. დაბადებიდან არ შევხვედრივარ არც რუსეთში, არც თურქეთში თბილისის აბანოებზე უფრო დიდებულ რამეს. ავწერ დაწვრილებით.

სპარსელმა თათარ მექისეს მიანდო ჩემზე მზრუნველობა. უნდა გამოვტყდე, მექისე უცხვირო იყო; მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა თავისი საქმის ოსტატი ყოფილიყო. ჰასანმა (ასე ერქვა უცხვირო თათარს) დაიწყო იმით, რომ ქვის თბილ იატაკზე გამაწვინა, რის შემდეგაც შეუდგა ჩემი სხეულის ასოების მტვრევას, სახსრების დაჭიმვას, მუშტით ძლიერად ცემას; არა ვგრძნობდი მცირეოდენ ტკივილსაც კი, პირიქით, გასაოცარ შვებას განვიცდიდი. აზიელი მექისე ზოგჯერ აღტაცებაში მოდის და გახტება მხრებზე, დაცურავს ფეხებით ბარძაყებზე, ბუქნაობს ზურგზე... ამის შემდეგ დიდხანს მზილა შალის ქისით, მერე თბილი წყალი გადამასხა და დამიწყო ბანა ტილოს გასაპნულ ბუშტით. გამოუთქმელ სიამოვნებას განიცდით: ცხელი საპონი ჰაერივით გელამუნებათ!..“

ვინც კი თბილისის აბანოს იცნობს, მას არ შეიძლება არ ენიშნოს ალ. პუშკინის აქ მოტანილი დახასიათება.

მრავალი ქართული ხალხური ლექსის საგანი გამხდარა თბილისის აბანოები. ერთ-ერთი ხალხური ლექსი ასე ეღერს:

„ქალაქის აბანოები ბადალი ხმელეთისაო,
ძირიდან აშენებული, აუზები აქვს ქვისაო,
ვინც შევა, აგრე გაგიხდის, როგორც თოვლია მთისაო,
ქალი და რძალი გამოდის, ვითა ყვავილი ხისაო“.

პოეტი ი. გრიშაშვილი სამართლიანად წერს: „წინათ აბანო მსურველთათვის ყოველთვის ღია იყო; არც ბანაობის დრო იყო განსაზღვრული: ხალხს გათენებამდე შეეძლო შიგ ყოფნა. აბანო ზოგჯერ სოფლიდან ჩამოსულ გლეხისათვის სასტუმროს დანიშნუ-

ლებასაც ასრულებდა: საქონელს ბაკში მირეკავდა, თვითონ კი, განბანილ-განსპეტაკებულს, ორშაურად მთელ ღამეს აბანოში არხეინად ეძინა".

თბილისის აბანოების ისტორია განუყრელად არის დაკავშირებული ქალაქის საერთო ისტორიასთან. როდესაც მტერი თბილისს არბევდა, ირბეოდა და ინგრეოდა ქალაქის აბანოებიც.

მტარვალმა აღა-მაჰმად-ხანმა, როცა ქალაქი ცეცხლს მისცა, მიწასთან გაასწორა მისი აბანოები. მაგრამ მტერი განიდევნებოდა ხოლმე და ქალაქი გამოცოცხლებას იწყებდა. მკვდრეთით აღდგებოდა აბანოებიც.

თავი VII

თბილისის მმართველობა და საქალაქო წესწყობილება

1. თბილისის მმართველობა XII—XV საუკუნეებში

თბილისი 1122 წლიდან მეფის ქალაქად იყო გამოცხადებული და მართლაც საქართველოს მეფის კუთვნილებას შეადგენდა. ამ დროიდან მოკიდებული XIX საუკ. დამდეგამდე თბილისი სამეფო ქალაქი იყო.

დავით აღმაშენებელი, რომელმაც თბილისი მაჰმადიანთა მფლობელობისაგან გაათავისუფლა, სასტიკად უსწორდება მეფის ხელისუფლების მოწინააღმდეგე საქალაქო ფენებს და თბილისს, რომელიც 40 წლის განმავლობაში თვით მოქალაქეთა ხელში იყო და მოქალაქეების მიერ იმართებოდა, თვითმპყრობელი მეფე თავის ძლიერ ხელისუფლებას უმორჩილებს. ამიერიდან თბილისში ქალაქის გამგებლად და სხვა მოხელეებად მეფის მიერ დანიშნული პირები იყვნენ.

ქალაქის უფროსს, ქალაქის გამგებელს, საერთოდ, ძველ საქართველოში „ქალაქის მთავარი“ ან „ქალაქის თავადი“ (თავი, უფროსი) ეწოდებოდა. მაგრამ ეს იყო ზოგადი ტერმინი, რომლითაც ყველა ქალაქის გამგებელი შეიძლებოდა მოეხსენებინათ. საკუთრივ თბილისის გამგებელს მაშინ, როცა თბილისი საქართველოს მეფეთა ხელში იყო, „ა მ ი რ ა“ ან კიდევ „ამირათ ამირა“ ეწოდებოდა. „ამირა“ ქართულმა ენამ არაბულიდან შეითვისა. როგორც ვნახეთ, არაბები დიდხანს ბატონობდნენ აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ კი თბილისში. არაბთა მფლობელობამ განსაკუთრებული გავლენა მოახდინა საქალაქო ცხოვრებაზე. ბევრი სამოხელეო ტერმინი შეითვისა ქართულმა ენამ არაბულიდან და ერთი მათგანი „ამირა“ იყო.

თბილისის გამგებელი, ამირა, დიდგვარიან ფეოდალთა წრიდან

ინიშნებოდა მეფეთა მიერ. მაგალითად, თამარის დროს თბილისის ამირად, როგორც მისი ისტორიკოსი მოგვითხრობს, მეფეთაგან დანიშნული ყოფილა თბილისის მკვიდრი, ქართლის ერისთავთ-ერისთავი აბულასანი. აბულასანს, როგორც გავლენიან ფეოდალს, არა მარტო თბილისი ემორჩილებოდა, არამედ ქართლიც, ქალაქი რუსთავიცა და სხვა თემებიც.

თბილისის ამირათ-ამირა XII—XV საუკუნეების არა ერთ საბუთში მოიხსენიება. ეს ტერმინი თბილისის გამგებლის აღსანიშნავად, როგორც ქვემოთ დავინახავთ, XVII საუკ. დამდეგამდეც იხმარებოდა.

თბილისის ამირა ქალაქის უზენაესი გამგებელი იყო. მისი მოვალეობა XII—XV საუკ. თბილისში ისეთივე უნდა ყოფილიყო, როგორიც იყო გვიანფეოდალურ თბილისში მოურავისა (ამის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი).

თბილისში მეფის ხელისუფლების წარმომადგენლად და ქალაქის გამგებელად ამირა მარტო როდი იყო. მას საქალაქო საქმეების მოწესრიგებაში მეფის მიერ დანიშნული სხვა მოხელეებიც შველოდნენ. ფეოდალური თბილისის ერთ-ერთ უძველეს მოხელედ ჩანს ქალაქის ციხისთავი. ციხისთავის ხელისუფლება თბილისში ჯერ კიდევ მაშინ ჩანს (VI—VII საუკ.), როცა ქალაქი უცხოელთა ხელში იყო. „ციხისთავს“, როგორც ამ ტერმინის შინაარსიდანაც ირკვევა, ქალაქისა და მისი ციხის დაცვა-პატრონობა ევალებოდა. ქალაქისა და ქალაქის ციხის დასაცავად ციხისთავს „ქალაქის მცველნი“ და „ციხოვანნი“, ე. ი. ციხის დამცველები, ან კიდევ, როგორც მაშინ იტყოდნენ, „მეციხოვნენი“ ჰყავდა.

როგორც თბილისის ამირას, ისე ციხისთავის სასარგებლოდ თბილისში მცხოვრებნი, XII—XIV საუკუნეებში და შემდეგაც, „საამირო“ და „საციხისთაო“ გამოსაღებებს იხდიდნენ.

ამირასა და ციხისთავს გარდა, თბილისში მეფის სხვა მოხელეებიც იყვნენ. XI—XIII საუკ. ქართულ საბუთებში ხშირად მოიხსენიება არაბულიდან შემოსული ტერმინი „შურტა“ და ამასთან დაკავშირებით კიდევ „საშურტაო“ გამოსაღები. „შურტა“ თბილისში საპოლიციო ხელისუფლების წარმომადგენელი იყო და მას ქალაქში წესიერების დაცვა და საერთო ზედამხედველობა ევალებოდა. თბილისში იყო აგრეთვე „მეკოშრე“. „მეკოშრეს“ მესასწორეს უწოდებდნენ. იგი ქალაქში წონა-ზომის ზედამხედველი და მთავარი მწონავი უნდა ყოფილიყო. თბილისში სხვადასხვა კუთხეებიდან და-

უცხოეთიდან შემოტანილ საქონელზე დაწესებულ სათანადო ბაჟს „მებაჟე“ კრეფდა. „მებაჟეც“ მეფის მიერ იყო დანიშნული.

„მეკოშრე“ და „მებაჟე“ მუსტასიბს (წარმომდგარია არაბ. მუჰთასიბიდან) ემორჩილებოდნენ. მუსტასიბს ევალებოდა თვალყური ედევნებინა ქალაქში წონისა და ზომის წესიერად დაცვაზე, რომ არც გამყიდველი და არც მყიდველი მოტყუებული და დაზარალებული არ ყოფილიყო, ე. ი. იგი თბილისის ბაზრის ზედამხედველი იყო. მუსტასიბი შუა საუკუნეების თბილისის ერთ-ერთ დიდ მოხელედ ითვლებოდა.

ქალაქს თავისი მწერალი ჰყავდა. ქალაქის მწერალს ქალაქის მოსახლეობის, „ქალაქის სახლების და მამულების და ბაღების“ და სხვათა აღწერა ევალებოდა. ქალაქის აღწერას გარკვეული ეკონომიური მიზნებით აწარმოებდა სამეფო ხელისუფლება. ამიტომ „ქალაქის მწერალიც“ მეფის მოხელე იყო.

XII—XIII საუკ. თბილისში ქალაქის აღმწერელი მოხელე ისევ არაბული ტერმინით „ამადუნად“ ან კიდევ „ამიდად“ მოიხსენიება გიორგი III-ის 1170 წ. ერთ-ერთ სიგელში. შემდეგ ხანებში კი ამგვარ მოხელეს „ქალაქის მუშრიბი“ ან „ქალაქის მწერალი“ ეწოდებოდა.

ყველა ზემოხსენებული მოხელე — ამირა, ციხისთავი, შურტა, მეკოშრე, მებაჟე, მუსტასიბი და ამიდი, ანუ ამადუნი — მეფის მიერ იყო დანიშნული და მეფის ბრძანება-განკარგულებათა ადგილობრივ შემსრულებლად ითვლებოდა.

ქალაქის ამ მოხელეებს თვით ქალაქი ინახავდა თავისი შემოსავლითა და დასახელებულ მოხელეთათვის განკუთვნილ გამოსაღებთა გადახდით. თბილისის ამირას სასარგებლოდ მიდიოდა „საამირო გამოსაღები“. ციხისთავის სასარგებლოდ კი ქალაქის მცხოვრებლები და უცხოეთიდან მოსული ვაჭარ-ხელოსნები „საციხისთაოს“ იხდიდნენ. შურტასთვის კიდევ „საშურტო“ გამოსაღები იყო გაწერილი, მეკოშრისათვის „საკოშრე“, გუსტასიბისათვის „საგუსტასიბო“, ამიდისათვის „საამიდო“ და სხვა. ყველა ეს გამოსაღები XII—XIII საუკ. საბუთებში ხშირად არის მოხსენებული. ასე რომ ფეოდალური თბილისის ბიუროკრატული აპარატის შენახვა ისევ თბილისის ძირითად მოსახლეებზე, ყმა ვაჭრებსა და ხელოსნებზე იყო დაკისრებული.

ზემოდასახელებული მოხელეები მეფის მიერ დანიშნული, ე. ი. საქართველოს სამეფოს მოხელეები იყვნენ. მაგრამ ამ ხელისუფალ-

ოა გვერდით, საქართველოს დედაქალაქის ძირითად მოსახლეებს— მოქალაქეებს—თავიანთი, მათ მიერვე გაჩენილი ხელისუფალნიც ჰყავდათ. ასეთ მოხელეებად. თბილისის მოქალაქეების წარმომადგენლებად, XI—XIII საუკუნეებში, „ქალაქის მოხუცები“ ან, როგორც მაშინ უწოდებდნენ, „ტფილელი ბერები“ იყვნენ. „ტფილელნი ბერნი“ არა ერთხელ მოიხსენიებიან ძველ ქართულ საისტორიო ძეგლებში. ქალაქის უხუცესი თბილისში, როგორც ჩანს, ერთი როდი იყო. მოქალაქეთა ხელისუფლების წარმომადგენლად ქალაქის რამდენიმე უხუცესი ყოფილა.

ქალაქის უხუცესები საკმაოდ გავლენიანი პირები იყვნენ და არაბთა ბატონობის დროს თბილისში ამირას შემდეგ პირველ მოხელეებად ჩანან. მათ, როგორც ზემოთაც იყო ნაჩვენები, როცა თბილისში ამირა არ ყოფილა, ქალაქი საქართველოს მეფისათვის გადაუციათ. ჩანს, მათ შეეძლოთ სურვილისამებრ დაპირებოდნენ ქალაქის მიცემას ყველას და გადაეცათ კიდეც. მათ ხელში იყო აგრეთვე „კლიტენი ქალაქისანი“. მაგრამ მათ მხოლოდ თბილისის ის ნაწილი ემორჩილებოდა, რომელიც სწორედ ვაჭარ-ხელოსნებით იყო დასახლებული და არა ქალაქის გამაგრებული ადგილები. ე. ი. უხუცესებს ის უბანი, სადაც ქალაქის ძირითადი მოსახლეობა (მოქალაქეები) იყო თავმოყრილი. თბილისის ასეთ უბანს მტკვრის მარჯვენა ნაპირი წარმოადგენდა.

თუკი თბილისის ბერებს შეეძლოთ ქალაქი სხვისთვის გადაეცათ, ცხადია, შესაძლებელ შემთხვევაში, ქალაქს ისინი საკუთრადაც დაიპერდნენ. მართლაც, თბილისის ისტორიაში ყოფილა შემთხვევა, როცა ორმოცი წლის განმავლობაში ქალაქის მთელი მმართველობა სწორედ მოქალაქეთა წარმომადგენლების, „ტფილელ ბერთა“, ხელში ყოფილა. არაბი ისტორიკოსი ფარიკი XII საუკ. დამდეგის თბილისის შესახებ წერდა: „თბილისის ხალხმა ნეჯმ ად-დინ ილ-ღაზისთან კაცი გაგზავნა და სთხოვა ჩაებარებია თბილისი, რომელიც ორმოც წელს. დაახლოებით, თვით ხალხის ხელში იყო. მათი (თბილისელების) ხელმწიფეები იყო ჯგუფი ხალხისა, სახელად „ჯაფარის გვარი“, რომელსაც ორას წელს ეპყრო ბატონობა, შემდეგ კი იგი მოისპო და გამგებლობა თვით ხალხს ჩაუვარდა ხელში. თითო თვე თითოეული ამ ხალხიდან იღებდა ხელში გამგებლობას და ასე გაატარეს ორმოცი წელიწადი“. ამ ცნობიდან კარგად ჩანს, რომ თბილისში, ამირას ხელისუფლების გადაშენების შემდეგ, ქალაქის გამგებლობა თვით ხალხს, ე. ი. მოქალაქეებს

წარმომადგენლებს, ქართულ წყაროებში მოხსენებულ „ტფილელ ბერებს“ ჩაუგდიათ ხელში. თითოეული მათგანი თითო თვე მართავდა ქალაქს. ასე გაგრძელებულა ორმოცი წლის განმავლობაში. როგორც ვხედავთ, იმდროინდელ თბილისში მოქალაქეთა ხელის უფლება ძლიერი ყოფილა.

მაგრამ თბილისის ბერების გამგებლობა ქალაქში დიდხანს არ გაგრძელებულა. დავით აღმაშენებელმა აიღო თუ არა ქალაქი, იგი სამეფო ხელისუფლებას დაუქვემდებარა და ამით, ცხადია, ძლიერ შეზღუდა მოქალაქეთა წარმომადგენლების ხელისუფლება. თბილისელი მოქალაქენი, როგორც ჩანს, ადვილად არ თმობდნენ თავიანთ ხელისუფლებას და მეფეს ძლიერ წინააღმდეგობას უწევდნენ. დავით აღმაშენებელი ოთხი დღის განმავლობაში სასტიკად უსწორდებოდა ქალაქის ურჩ მოსახლეობას. ეს ბრძოლა მეფის გამარჯვებით დამთავრდა და ქალაქის დამოუკიდებლობასაც ბოლო მოეღო.

ჩვენ არ მოგვეპოვება საჭირო წყარო, რომ თბილისის ბერების უფლება-მოვალეობანი გავითვალისწინოთ, ან კიდევ ამ ხელისუფლების ისტორია წარმოვადგინოთ. „თბილელ ბერთა“, „ქალაქის უხუცესთა“ ხელისუფლება თბილისის შემოერთების შემდეგაც არსებობდა, მაგრამ არა წინანდელი უფლებებით. „თბილისის ბერების“ ხელისუფლებამ სხვა მხრივაც განიცადა ევოლუცია. თუკი ქალაქში მოქალაქეების წარმომადგენლად რამდენიმე უხუცესი ხელისუფალი იყო, XVI საუკ. შუა წლებიდან მაინც მოქალაქეებს საქალაქო მმართველობაში ერთი ხელისუფალი მ ა მ ა ს ა ხ ლ ი ს ი ჰყავდათ.

როგორც ვხედავთ, XII—XV საუკ. თბილისში ვერ განვითარდა მეფის ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი საქალაქო მმართველობა. მართალია, ერთ ხანს თბილისში „უხუცესთა საბჭო“ ბატონობდა, მაგრამ ეს მხოლოდ ეპიზოდური მოვლენა იყო თბილისის ცხოვრებაში. თვით ქალაქი და მისი მთელი ხელისუფლება მეფესა და მის დასაყრდენ წრეს, ფეოდალურ არისტოკრატიას, ეკუთვნოდა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფეოდალური არისტოკრატია არა მარტო პოლიტიკურად, არამედ ეკონომიურადაც ახერხებს ქალაქზე გაბატონებას და მოქალაქეთა ზედაფენის მიბირებით ქალაქის სრულ ბატონ-პატრონად იქცევა. ეს იყო მიზეზი, რომ თბილისში ვერ წარმოიშვა დამოუკიდებელი საქალაქო მმართველობა და შუა საუკუნეების თბილისმა ვერ მიიღო „ქალაქი კომუნის“ სახე.

2. თბილისის მმართველობა XVI—XVIII საუკუნეებში

ა) თბილისის მოურავი

მეფის მიერ ქალაქში წარგზავნილ მთავარ ხელისუფალს დიდხანს ძველებურ სახელს „ამირას" უწოდებდნენ. XVII საუკ. დამდეგსაც თბილისის „მთავარი გამგე", ცნობილი მოღვაწე გიორგი სააკაძე, „ამირათ-ამირად" იხსენიება.

მაგრამ ამ ხნის განმავლობაში „ამირათ-ამირა" არ ყოფილა ერთადერთი ტერმინი თბილისის მმართველის აღსანიშნავად. XVI საუკ. შუა წლებიდან, როგორც ეს ლუარსაბ I-ის 1552 წ. სიგელიდან ჩანს, „ამირას" მაგიერ თბილისის „მთავარი გამგის" აღსანიშნავად „მ ო ურ ა ვ ი ც" იხმარებოდა. „ქალაქის მოურავის" თანამდებობა საბოლოოდ და საყოველთაოდ მაინც XVII საუკ. დამდეგიდან იქნა შემოღებული „ქალაქის ამირას" მაგიერ. XVII საუკ. დამდეგს თბილისის ამირად წოდებული გიორგი სააკაძე იმავე საუკუნის ოციან წლებში და ადრეც უკვე „თბილისის მოურავად" იხსენიება. ასე რომ ძველ „ამირას" შინაარსობრივად სავსებით ფარავდა XVII საუკ. უკვე ოციან წლებიდან დამკვიდრებული „მოურავი".

XVI საუკ. ქართულ დოკუმენტებში „ქალაქის ამირას" ან კიდევ „მოურავის" მაგიერ, მათ გვერდით, იმავე შინაარსის მონღოლური ტერმინი „ტარუღაც" იხმარებოდა.

ამრიგად, თბილისის მთავარ გამგეს XII საუკუნიდან XVII საუკ. დამლევამდე ძირითადად „ამირათ-ამირა" ეწოდებოდა, XVI საუკუნის შუა წლებიდან ამავე მნიშვნელობით იშვიათად იხმარებოდა „მოურავიც", რომელიც საბოლოოდ XVII საუკ. ოციანი წლებიდან მკვიდრდება. „ამირათ-ამირას" და „მოურავის" პარალელურად და იმავე მნიშვნელობით, სიმონ I-ის დროიდან (1558—1600 წ. წ.) იხმარება „ტარუღა"-ც.

როგორც საქართველოს ერთიან სამეფოში, ისე შემდეგაც თბილისში ერთი მოურავი იყო. მოურავს მეფე ნიშნავდა. ერეკლე II-ის დროს ძველიდანვე განმტკიცებული წესი შეუშლიათ და კერძო მებატონეებსაც გაუჩენიათ ქალაქში მოსახლე თავიანთი ყმების მოურავები. მაგრამ ერეკლე II-ემ ამგვარი შეშლილი წესი გაასწორა და „ქალაქში მეფის მოურავის მეტი" სხვა მოურავი აღარ იყო.

მოურავი, როგორც ქალაქის უმაღლესი ხელისუფალი, განაგებ-

და ყოველივე იმას, რაც ქალაქში მეფის ბრძანებათა გატარებას შეეხებოდა: „ქალაქის სამოქალაქოსი ყოველივე მოურავს უნდა ეკითხოს“-ო, მოგვითხრობს თბილისის მოურავის უფლება-მოვალეობის განმსაზღვრელი დოკუმენტი.

ამიტომ მეფე იმ ბრძანებებს, რომელიც კი ქალაქს, მის მოსახლეობას შეეხებოდა, პირველ რიგში თბილისის მოურავს და ქალაქის სხვა მოხელეებს აცნობებდა. მოურავიც თავის ხელწერით ამოწმებდა მეფის ბრძანებას და მის გატარებას შეუდგებოდა.

რაკი მოურავი მეფის მოხელე იყო, ცხადია, მეფის ბრძანების გარეშე რაიმე ახალი წესის შემოღება ქალაქში ან, როგორც ძველი თბილისის მოურავები ამბობდნენ, „ახალი სჯულის დადება“ არ შეეძლოთ. პირიქით, მოურავის უფლება-მოვალეობა ძველიდანვე მტკიცედ იყო განსაზღვრული მეფეთა მიერ ე. წ. „სამოურაო წიგნებით“, ანუ „საძოურაოს გარიგების წიგნებით“.

„სამოურაო წიგნებიდან“ ჩანს, რომ თბილისის მოურავის უპირველესი მოვალეობაა „თავაზასა და ხათრს გარეშე“ ქეშმარიტი სამართლის წარმოება. მაგრამ ქალაქის სამართალზე ჩვენ ქვემოთ ვილაპარაკებთ. ახლა კი მოურავის სხვა მოვალეობებზე შევჩერდეთ.

თბილისის მოურავი, ერეკლე II-ის სიტყვით, „ქალაქის მოვლას და ბეჯითად გარჯას“ უნდა ცდილობდეს. ქალაქის მოურავს განსაკუთრებით ქალაქის ეკონომიური ცხოვრებისათვის უნდა ედევნებინა თვალყური. თავისი ხელქვეითი მოხელეების დახმარებით იგი ქალაქის ეკონომიური ცხოვრების ყოველ საკითხში ერეოდა. მაგალითად, მოურავს ქალაქის ბაღისათვის თვალყურის ჭერა ევალებოდა. ქალაქის მებაღენი მის განკარგულებაში უნდა ყოფილიყვნენ. ამიტომ იყო, რომ მოურავს ქალაქის ბაღში თავისი წილი ჰქონდა.

ზოგჯერ, კერძოდ ახალი წლის პირველ სამ დღეს, მოურავი ქალაქის ექვსსავე კარზე ბაღს თვითონ იღებდა და შემოსავლის ნახევარს თავად იტოვებდა, მეორე ნახევარი კი სამეფოდ მიდიოდა.

ქალაქში შემოსული საქონლის საერთო ბაჟს გარდა, თბილისის მოურავს სხვა საქონელზეც უნდა აეღო მისთვის კუთვნილი ბაჟი, კერძოდ, ღვინოზე, შეშაზე, ნახშირზე, ფიჩხზე, ზეთის ხილზე, ზეთზე, სხვადასხვა სახის თევზზე და სხვ. თბილისის მოურავის ერთერთ მოვალეობას შეადგენდა ქალაქში შემოტანილ საქონელზე ნიხრის დაწესება. მოურავი ყველა საქონელზე კი არ აწესებდა ნიხრს, არამედ მარტო სურსათ-სანოვაგეზე, კერძოდ ხორცეულზე, თევზე-

ულობაზე, ყურძენზე, ზეთისხილზე, საერთოდ ხილეულობასა და ღვინოზე. ზემოხსენებულ პროდუქტებზე, რაკი ბაზარზე ფასი მთელს წელიწადში ერთნაირი არ შეიძლებოდა ყოფილიყო, მოურავს, დებულების მიხედვით, ნიხრი სამ თვეში ერთხელ უნდა დაეწესებინა, ღვინოზე კი ნიხრის დაწესება წელიწადში ერთხელ ხდებოდა.

ნიხრის დაწესების დროს მოურავი ქალაქის სხვა მოხელეებსაც ისწრებდა: „ქალაქის მოურავმა... მელიქი, მამასახლისი, ნაცვალი და ქეთხუდები უნდა დაისწროს და ისე უნდა მისცეს ნიხრით“,— ნათქვამია „მოურავის გარიგების წიგნში“.

მოურავისა და მასთან ერთად ქალაქის სხვა მოხელეების მიერ შედგენილი ნიხრი ვაჭართა ყველა ამქრისათვის სავალდებულოდ ითვლებოდა. ზემოაღნიშნული პროდუქტებით მოვაჭრეებს საქონელი მოურავის მიერ დაწესებული ფასით უნდა გაეყიდათ. ზედმეტ ფასად გაყიდვა, ნიხრის დარღვევა დიდ დანაშაულად ითვლებოდა და ვაჭართა დამნაშავე ამქარი ამის გამო სათანადო ჯარიმას გადიხდიდა. მოურავი თვით ადევნებდა თვალყურს ნიხრის დაცვას და ამიტომ მის დარღვევისას აღებული ჯარიმა მოურავის სასარგებლოდ მიდიოდა.

მოურავი სხვა მხრივაც ადევნებდა ქალაქს თვალყურს. მის პირდაპირ მოვალეობას შეადგენდა ქურდების, ცუდი ზნის ქალებისა და სხვათა ძებნა-დაპატიმრება, საზომ-საწყაოთა სისწორისათვის თვალყურის დევნება და სხვ. ყველა ამ საქმისათვის მოურავს საგანგებო მოხელეები ჰყავდა, მაგრამ მათ შესახებ ქვემოთ ვისაუბრებთ. მოურავის მოვალეობის შესახებ გიორგი XII-ის შვილი იოანე ბაგრატიონი წერდა: იგი „იყოს ნაიბად (მოადგილედ.—შ. მ.) მეფისა, ხალხის მაყურებელი ქალაქებსა შინა, რამაც ანუ ადლნი, ანუ წონანი ანუ სხვა ნივთნი ჯეროვანის ფასით ისყიდებოდეს, ხორაგი და სხვანი ნივთნი და აქა სიხარბე და სიყალბე არა გამორნდებოდეს და ეს გაშინჯვდეს ყოველთვის და რიგს მისცემდეს“.

თბილისის მოურავი ვალდებული იყო, მეფის ქალაქში ყოფნისას, ყოველ დილით მოეხსენებინა მისთვის ქალაქის მდგომარეობის შესახებ. ხოლო თუ მეფე სხვაგან იმყოფებოდა, თვეში ერთხელ მაინც მიეწოდებინა სათანადო მოხსენებები.

ქალაქის მოურავი ვალდებული იყო აგრეთვე ყოველი წლის ბოლოს ქალაქის შემოსავალ-გასავლის, სამეფო ბაღებიდან, დუქნებიდან თუ სხვა ნაგებობიდან მიღებული შემოსავლის შესახებ სათანადო ანგარიშები ჩაებარებინა სამეფოს სახლთუხუცესისათვის.

თბილისის მოურავს თავისი სამსახურის შესრულებაში, როგორც აღვნიშნეთ, ქალაქის შემოსავლის ცალკეული სახეებიდან გასამრჯელო ჰქონდა დანიშნული. თბილისის მოურავის ყოველწლიური შემოსავალი XVIII საუკ. ბოლოს, ქალაქის უკანასკნელი მოურავის ესტ. ციციშვილის ანგარიშით, 263 თუმანს აღწევდა.

სხვა ქალაქთა მოურავებს შორის თბილისის მოურავი უპირველესი იყო და თავისი უფლებებით მათზე მაღლა იდგა. იოანე ბაგრატიონის ცნობით, თბილისის მოურავი სამეფოს მეორე კატეგორიის მოხელეთა რიგში იყო მოქცეული.

აღსანიშნავია, რომ დავით ბაგრატიონის ცნობით, თბილისის მოურავი, როგორც ქალაქის უპირველესი მოხელე, სამეფო საბჭოს წევრი და მისი სხდომების აქტიური მონაწილე იყო. თბილისის გამგებელს ასეთი პრივილეგიები ძველიდანვე ჰქონდა მოპოვებული. დამახასიათებელია, რომ თბილისის ამირა, აბულასანი, თამარის ისტორიკოსის ცნობით, სამეფო დარბაზის (საბჭოს) წევრი იყო. თბილისის მოურავის, ამ ისედაც ძლიერი მოხელის, გავლენა უფრო დიდი იყო, თუ კი ეს თანამდებობა დიდ ფეოდალს ეკავა, რომელსაც მასთან ერთად სხვა უფრო მაღალი თანამდებობაც ჰქონდა. ასე, მაგ., თბილისის მოურავად XVII—XVIII საუკ. ხშირად ყოფილან მეფის სახლთუხუცესი, ერისთავი, ამილახორი, სარდალი და სხვა ხელისუფალნი.

ბ) თბილისის მამასახლისი და მელიქი

ფეოდალური არისტოკრატიისა და მოქალაქეთა ბრძოლა პირველის გამარჯვებით დამთავრდა. ქალაქის ბატონ-პატრონად ძირითადად გაბატონებული საზოგადოებრივი წრის წარმომადგენლები გახდნენ. ეს განსაკუთრებით XIII საუკუნიდან გახდა შესამჩნევი. ამან გავლენა მოახდინა საქალაქო წესწყობილებაზე; ეს გავლენა პირველ რიგში ქალაქში მოქალაქეთა ხელისუფლების თანდათან შეზღუდვაში გამოიხატა. თუ XI—XIII საუკ. თბილისში მოქალაქეთა ხელისუფლების წარმომადგენლებად ქალაქის რამდენიმე უხუცესი, „ქალაქის ბერები“ იყვნენ, შემდეგ საუკუნეებში თბილისში „ქალაქის ბერები“ აღარ ჩანან და მათ ადგილს ქალაქის მამასახლისი იპერს. მაგრამ საქმე ისაა, რომ მამასახლისი თვითონ მოქალაქეებისგან არჩეული ხელისუფალი კი არ არის, არამედ მეფის დანიშ-

ნულია; ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ ქალაქის მმართველებში მოქალაქეებს თავიანთი წარმომადგენლები უკვე აღარ ჰყავთ.

მასალის სიმცირე შესაძლებლობას არ გვაძლევს თბილისის მამასახლისის თანამდებობის ისტორია სისრულით გავითვალისწინოთ. ირკვევა მარტო ის რომ XV—XVI საუკუნეებში არსებობდა თბილისის მამასახლისის თანამდებობა და მამასახლისს, ქალაქის მოურავის შემდეგ, საქალაქო საქმეების მართვა-გამგეობაში მეორე ადგილი ეჭირა.

XVI საუკ. შუა წლებიდან თბილისში ახალი თანამდებობაც ჩნდება — ესაა ქალაქის მელიქის თანამდებობა. ამავე საუკუნის 80-ან წლებიდან ქალაქის მოხელეთა იერარქიაში ერთგვარი ცვლილება ხდება: ქალაქის მელიქი თანდათან მეორე ადგილს იჭერს, მამასახლისი კი მესამე ადგილზე ინაცვლებს. ასე გრძელდება ქართლ-კახეთში მეფობის გაუქმებამდე (1801 წ.), ოღონდ ერთი მნიშვნელოვანი ცვლილებით: თბილისის მელიქისა და მამასახლისის ხელისუფლება ერთიანდება და ამ თანამდებობას ერთი პირი ასრულებს.

მაგრამ როდის მოხდა ამ თანამდებობათა გაერთიანება? სათანადო მასალების შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ XVI საუკუნის 50-ან წლებიდან, ვიდრე XVIII საუკ. 30-ან წლებამდე, თბილისის მამასახლისის ხელისუფლება არსებობდა დამოუკიდებლად და მელიქის ხელისუფლების პარალელურად. XVIII საუკ. 30-ან წლებიდან კი ეს ორივე თანამდებობა ვახტანგ VI-ის დროს დაწინაურებულ ბებუთაშვილთა საგვარეულოს ხელში დამკვიდრდა და ამით ფაქტიურად მამასახლისისა და მელიქის ხელისუფლებაც გაერთიანდა. ამიერიდან მოურავის შემდეგ თბილისის პირველი ხელისუფალი მელიქ-მამასახლისად იწოდებოდა. ამგვარ გაერთიანებას თავისი საფუძველი ჰქონდა.

ახლა ორიოდე სიტყვით მელიქის ხელისუფლების ისტორიის შესახებ.

არაბული წარმოშობის ტერმინი—მ ე ლ ი ქ ი საქართველოში და მის მეზობელ ქვეყნებში ადრე იყო ცნობილი, მაგრამ მელიქი, როგორც თბილისის ერთ-ერთი ხელისუფალი, ქალაქის მოსახლეობის ერთი წრის გამგებელი, გვიან ჩნდება. იგი მეზობელთა გავლენით შექმნილი თანამდებობა იყო. ამიტომ ამბობდა თბილისის უკანასკნელი მელიქ-მამასახლისი, დარჩია ბებუთაშვილი, რომ „მელიქობა აზიელთაგან არის დაწესებული და იმათით პატივით იცნობა მდგო-

შარეობა მათი და მამასახლისობა ქართველთ მეფეთაგან არის დაწესებული".

თბილისის მელიქის ხელისუფლება პირველად ლუარსაბ I-ის 1552 წლის საბუთში მოიხსენიება. შემდეგ კი, როგორც აღენიშნეთ, მელიქისა და მამასახლისის თანამდებობა გაერთიანდა. თბილისში მელიქ მამასახლისობა პირველად 1725 წელს აშხარბეგ ბებუთაშვილმა მიიღო.

არაბული ტერმინი „მელიქი" მეფეს, ხელმწიფეს რომ ნიშნავდა, ქართულში სულ სხვა გაგებით იხმარებოდა. ასევე სხვადასხვა გვარი მნიშვნელობა ჰქონდა ამ ტერმინს მეზობელ ქვეყნებში. აღმოსავლეთ საქართველოში მელიქი თავისი შინაარსით იგივე იყო, რაც მამასახლისი. დავით ბაგრატიონის ცნობით, ქართლ-კახეთის სამეფოს სოფლებში და ქალაქებში ქართველი მოსახლეობისათვის მამასახლისი ინიშნებოდა, სომხური მოსახლეობისათვის — მელიქი, რომელიც იმავე თანამდებობის მატარებელი იყო. დავით ბაგრატიონი წერდა: „სომხების მელიქი თბილისში, გორში და სხვა სოფლებში, სადაც სომხები ცხოვრობენ, თავიანთი მართველობით და უფლებებით სავსებით ემსგავსებიან... მამასახლისებს". ამ განმარტების მიხედვით, თბილისის მელიქი თბილისის სომხური მოსახლეობის მამასახლისი იყო.

XI—XII საუკუნიდან მოკიდებული სომხური მოსახლეობა საქართველოში მრავლდება. მაჰმადიანთაგან შევიწროებული სომხობა თავშესაფარს საქართველოს სამეფოში ეძებდა. საქართველოს სამეფო არა მარტო სომხურ პროვინციებს მფარველობდა, არამედ საქართველოში შემოხიზნულ სომხურ მოსახლეობასაც. სომხური პროვინციებისა და სომხური მოსახლეობის მიმართ საქართველოს მთავრობა ფრთხილად და წინდახედულად მოქმედებდა: „სომხური თემების მმართველებად ისეთ პირებს ნიშნავდა, რომელნიც ადგილობრივ მოსახლეობასთან უფრო ახლო იყვნენ თავისი სარწმუნოებითა თუ წარმოშობით", — წერს ს. ჯანაშია. ასევე წინდახედულად ექცეოდა საქართველოს მთავრობა საქართველოს ტერიტორიაზე შემოხიზნულ მაჰმადიანურ მოსახლეობასაც. როცა თბილისში განსაკუთრებით გამრავლდა სომხური მოსახლეობა, ქართლის მეფემ მათ თავისი ცალკე ხელისუფალი, მელიქი დაუნიშნა. მელიქი სომხეთში გავრცელებული სამოხელეო თანამდებობა იყო, სომხური რაიონების გამგებელი, რომელნიც ხანების მიერ ინიშნებოდნენ, ხშირად მელიქები ეწოდებოდათ.

საქართველოს მთავრობამ სომხურ მოსახლეობას მელიქები და-

უნიშნა არა მარტო თბილისში, არამედ გორშიაც და სხვაგანაც, სადაც კი ისინი ბინადრობდნენ. ამით აიხსნება, რომ ჩვენს ძველ წყაროებში ხშირად მოიხსენებიან: „სომხითის მელიქი“, „ლორის მელიქი“, „შულავრის მელიქი“, „ხამსის მელიქი“ და სხვ. ასე რომ თბილისის მელიქის თანამდებობა XVI საუკ. შუა წლებში ქართლის მეფის მიერ იყო შემოღებული თბილისის სომხური მოსახლეობისათვის და თბილისის პირველი მელიქებიც ისეთი პირები უნდა ყოფილიყვნენ, რომელნიც ამ მოსახლეობასთან ახლო იდგნენ სარწმუნოებითა და წარმოშობით.

საუკუნეთა განმავლობაში თბილისის სომხური მოსახლეობა, ქართულ გარემოსა და სახელმწიფოს პატრონობა-მფარველობის ქვეშ, თანდათან უახლოვდებოდა კულტურულად და ენობრივადაც ქალაქის ქართველ მოსახლეობას. ეს უკანასკნელი თავისი შეგნებით, კულტურულად და ენობრივად თითქმის არ განსხვავდებოდა ქალაქის სხვა ქართველი მოსახლეობისგან. ასე რომ თბილისის ქართველ და სომეხ მოსახლეობას შორის თანდათან იშლებოდა ზღვარი. ეს იყო ერთი ძირითადი მიზეზი, რომ XVIII საუკ. დამდეგიდან თბილისში მამასახლისისა და მელიქის თანამდებობა გაერთიანდა და თბილისის ქართული და სომხური წარმოშობის მოსახლეობის გამგეგელი უკვე ერთი პირი იყო, რომელიც ახლა მარტო თავის სამოხელეო სახელწოდებით (მელიქ-მამასახლისი) გამოხატავდა ორი სხვადასხვა თანამდებობის გაერთიანებას. ამას გარდა, მელიქი ქალაქში იმავე უფლებით სარგებლობდა, რაც ჰქონდა თბილისის მამასახლისს; ესეც უკარნახებდა ქართლის მეფეს, რომ ეს ორი ერთნაირი თანამდებობა გაეერთიანებინა და მელიქ-მამასახლისი მიეჩნია თბილისის ვაჭრულ-ხელოსნური მოსახლეობის ერთადერთ ხელისუფლად.

ახლა თბილისის მელიქ-მამასახლისის უფლება-მოვალეობის შესახებ ვილაპარაკოთ. თბილისის უკანასკნელი მელიქის, დარჩია ბებუთაშვილის განცხადებით, „თბილისში მელიქ-მამასახლისის შეუტყობრად არ მოხდებოდა რა“. მელიქ-მამასახლისი მოურავის ხელქვეითი მოხელე იყო და მართლაც, მეფის თუ მოურავის განკარგულებით, ყოველი საქალაქო საქმე მელიქ-მამასახლისს უნდა განეგო.

მელიქ-მამასახლისი მოურავთან ერთად ქალაქის სამართალში მონაწილეობას იღებდა, ზოგჯერ კიდევ, მელიქ-მამასახლისი ქეთხუდებისს თანდასწრებით ცალკეც აწარმოებდა სამართალს: „რაც

ტფილისში მამულის სადაო და ან ვაჭრის სამართალი მოხდებოდა, ყველა მელიქ-მამასახლისთან და ქეთხუდების თანადასწრებით უნდა მოხდეს და (განაჩენს) მელიქი დაბეჭდავს",—მოგვითხრობს დარჩია ბებუთაშვილი. თბილისის მელიქ-მამასახლისის ეს განცხადება სხვა არა ერთი დოკუმენტითაც დასტურდება. მაგრამ მელიქ-მამასახლისი სამართალს მხოლოდ მაშინ აწარმოებდა, თუ ამგვარი საქმის შესრულებას მას მეფე უბრძანებდა.

მელიქ-მამასახლისს ეკითხებოდა თბილისის მოქალაქეთა გაყრის საქმე. ასევე მათი შეყრის დოკუმენტსაც მელიქ-მამასახლისი ადასტურებდა. აქედან მიღებული სათანადო გასამრჯელოც მის სასარგებლოდ მიდიოდა. დარჩია მელიქ-მამასახლისი წერდა: „რომელიც მოქალაქე ძმა ძმას გაეყრება, ან ძმათ შეეყრება, საშუალოს ქონებიდან მელიქ-მამასახლისისათვის ერთს ნივთს რამეს აიღებდნენ ქონების მიხედვით და, თუ ამგვარი ნივთი არ იქნებოდა, თეთრს (ფულს) მისცემდნენ და ეგრეთვე, როდესაც ომათს შეყრილობისას, თუ გასამყრელოს წიგნს მელიქ-მამასახლისი დაუბეჭდავდა, სიგლის დასამტკიცებელს საბეჭდავს მისცემდნენ". ამგვარი უფლებით მხოლოდ თბილისის მელიქ-მამასახლისი იყო აღჭურვილი. სხვაგან კი ეს მოურავის მოვალეობას შეადგენდა.

თუ თბილისში მამული, დარბაზი, სახლი და სხვა გაიყიდებოდა და ნასყიდობის წიგნები შედგებოდა, მათ მელიქ-მამასახლისი დაამტკიცებდა. რაც მეტი ღირებულებისა იყო მამული, სახლი თუ დარბაზი, იმდენად მეტი გასამრჯელო უნდა მიეცათ მელიქ-მამასახლისისათვის. სანამ მელიქისა და მამასახლისის თანამდებობანი ცალ-ცალკე იყო, მანამდე ზემოაღნიშნულ, გასამრჯელოს მელიქი ცალკე იღებდა და მამასახლისი კიდევ ცალკე.

მეფე ქალაქში ხშირად სხვადასხვა სახის ბრძანებებს გასცემდა—ზოგ მოქალაქეს სათანადო სიგელით მეფე გადასახადებისაგან ათავისუფლებდა, ზოგს კიდევ მამულს, სახლს, დუქანს ან კიდევ ყმას უწყალობებდა. მეფის მიერ გაცემული ამგვარი სიგელები შეწყალებულებს თბილისის მოურავისა და მელიქ-მამასახლისისათვის უნდა წარედგინათ. ეს მოხელენი, თავის მხრით, დაუდასტურებდნენ წყალობის სიგელებს, ზედ ბეჭედს დაუსვამდნენ და საამისოდ სათანადო გასამრჯელოსაც, ან, როგორც მაშინ იტყოდნენ, „საბეჭდავს", მიიღებდნენ. „საბეჭდავის" სიდიდე ამ შემთხვევაშიც საქმის მიხედვით იყო.

გვიანფეოდალური ხანის თბილისის არა ერთი დოკუმენტი გვი-

დასტურებს, რომ ქალაქში იურიდიული საბუთების, სყიდვა-გაყიდვის, სავაჭრო გარიგებების, სითარხნის წიგნების თუ სხვათა დამმოწმებელი, დამამტკიცებელი და სისრულეში მომყვანი მელიქ-მამასახლისი იყო.

მელიქს სხვა საქალაქო საქმეებიც ეკითხებოდა. აღსანიშნავია, რომ მოქალაქედ მიჩნეული პირი მეფის ბრძანებით მოქალაქეთა დავთარში მელიქს უნდა შეეტანა.

მელიქ-მამასახლისს, როგორც მეფის მოხელეს, თბილისის შემოსავლიდან გარკვეული წილი ეკუთვნოდა, რაც მას მის მიერ შესრულებული სამსახურის გასამრჯელოდ ეძლეოდა. ასე მაგალითად, როცა თბილისელი ვაჭრები უცხოეთიდან დაბრუნდებოდნენ, ისინი ქალაქის მელიქ-მამასახლისს ნახავდნენ და შესაფერ საჩუქარს მიართმევდნენ. მელიქ-მამასახლისის სასარგებლოდ მიდიოდა აგრეთვე მოქალაქეთაგან აკრეფილი საქალაქო გამოსაღების, მალის, ერთი ნაწილი. აქედან მიღებული თანხა წელიწადში 12 თუმანს აღწევდა.

მელიქ-მამასახლისს თბილისის ვაჭარ-ხელოსანთა ამქრებიც ემსახურებოდნენ: ყოველ დღესასწაულ დღეს ამქრები როგორც თბილისის მოურავს, ისე მელიქ-მამასახლისს, ძღვენს მიართმევდნენ.

ქალაქის მელიქ-მამასახლისის მოვალეობა ზემოთქმულით არ ამოიწურებოდა. მეფე ამ მოხელეს ქალაქში მრავალ სხვა საქმესაც ავალებდა. ასე მაგალითად, თბილისში ჩამოყვანილ ხიზანთათვის ცარიელი სახლის მიცემა, ჯარისათვის საჭირო სურსათ-სანოვაგის ჩამოსატანად ქალაქიდან ურმების გაგზავნა, ქალაქში სამეფო დუქნების გაკეთება-შეკეთების ხელმძღვანელობა, ქალაქიდან სურსათ-სანოვაგისა თუ საჭ[illegible]ლის მიწოდება მეფე-დედოფლისა და სამეფო სახლის სხვა წევრებისათვის და სხვა—მელიქ-მამასახლისს მეფისაგან ხშირად ებრძანებოდა.

მელიქ-მამასახლისს ევალებოდა ქალაქში წესიერების მეთვალყურეობა. მას ასევე უნდა ეზრუნა ქალაქის სისუფთავეზე და სათანადო ზომები მიეღო ავადმყოფობის გავრცელების წინააღმდეგ. მისივე მოვალეობა იყო ქალაქში ხანძრის საწინააღმდეგო ზომების დაცვა, შენობების დროზე შეკეთება და სხვ.

მელიქ-მამასახლისის თანამდებობა ფეოდალურ თბილისში მემკვიდრეობით თანამდებობად გადაიქცა. ვახტანგ VI-ის დროიდან მოკიდებული ვიდრე ქართლ-კახეთში მეფობის გაუქმებამდე მელიქ-მამასახლისის თანამდებობა ძირითადად ბებუთაშვილებს ჰქონ-

დათ. მელიქ-მამასახლისი, ისე როგორც მოურავი, მეფის მიერ ინიშნებოდა, მეფე აძლევდა ამა თუ იმ პირს სათანადო სიგელს ამ თანამდებობაზე მისი დანიშვნის შესახებ. თბილისის მელიქ-მამასახლისად მოქალაქეთა წარმომადგენელი ინიშნებოდა და იგი ამ თანამდებობის ასრულების პერიოდში აზნაურის პატივით სარგებლობდა და ყოველგვარი საქალაქო გამოსაღებებისგან თავისუფლდებოდა. ასეთივე შეღავათით და პატივით სარგებლობდა მისი ოჯახიც. თანამდებობის დაკარგვასთან ერთად მელიქ-მამასახლისი ჰკარგავდა მინიჭებულ ღირსებას და უფლება-მოვალეობით ქალაქის იმ ფენას უთანაბრდებოდა, საიდანაც იყო გამოსული.

ზოგჯერ მოქალაქეთა წრიდან გამოსული მელიქ-მამასახლისი მეფისაგან თავადის წოდებასაც იღებდა და, მაშასადამე, ამ თანამდებობის მქონედ თბილისში ხშირად ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენელი იყო. XVIII საუკუნის თბილისში ასეთები იყვნენ ბებუთაშვილები.

მელიქ-მამასახლისი ქალაქის მოურავის შემდეგ თბილისში პირველი მოხელე იყო. იგი მოურავს შველოდა საქალაქო საქმეების გამგებლობაში. მაგრამ მოურავს, მელიქ-მამასახლისს გარდა, თბილისში სხვა ხელქვეითი მოხელეებიც ჰყავდა.

ბ) „ქალაქის ნაცვალი“ და „მოურავის ნაცვალი“

თბილისის მოურავს, მელიქ-მამასახლისისა და ქეთხუდებს გარდა, ქალაქის მართვა-გამგეობაში „ბატონის ნაცვალი“, ანუ „ქალაქის ნაცვალი“ და „მოურავის ნაცვალი“ შველოდნენ.

„ბატონის ნაცვალი“ მეფის მიერ დანიშნული მოხელე იყო, ხოლო „მოურავის ნაცვალი“ მისი უშუალო თანაშემწე იყო და თვით მოურავის მიერ იხიშნებოდა.

„ქალაქის ნაცვლის“ თანამდებობა ისევე ძველია, როგორც მოურავის ხელისუფლება ქალაქში; მას მელიქის ხელისუფლების გაჩენამდე ქალაქის მოხელეთა შორის მესამე ადგილი ეპირა.

თბილისში ადრე, ე. ი. მელიქ-მამასახლისის თანამდებობის გაერთიანებამდე, „ერთი მოურავი ყოფილა, ერთი მელიქი, ერთი მამასახლისი და ერთი ნაცვალი“.

„ქალაქის ნაცვალი“, ისე როგორც მელიქ-მამასახლისი, ქალაქის უმაღლეს ხელისუფალს, მოურავს, ემორჩილებოდა, თუმცა იგი მე-

ლიქ-მამასახლისის უშუალო თანაშემწე იყო და მისი ბრძანებით, „მისი სიტყვით“ მოქმედებდა.

ნაცვალი, დავით ბაგრატიონის სიტყვით, ქალაქის საპოლიციო უწყების წარმომადგენელი იყო.

ნაცვალი, მოურავის სურვილის მიხედვით, მელიქ-მამასახლისთან ერთად ქალაქის სამოსამართლო საქმეების გარჩევაშიც მონაწილეობდა. მაგრამ ნაცვლის მონაწილეობა სამართალში უსასყიდლო იყო. ასევე უსასყიდლო იყო ქალაქში გაცემული ნასყიდობისა თუ თავდახსნილობის წიგნების დამოწმება ნაცვლის მიერ.

„ქალაქის ნაცვალი“ ქალაქის ეკონომიურ ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა და ამიტომ მას ქალაქის შემოსავლიდან გარკვეული ნაწილი ეძლეოდა გასამრჯელოდ, მაგალითად, საქალაქო ბაჟის ერთი მეათედი ნაცვლისა იყო. მის სასარგებლოდ მიდიოდა აგრეთვე ღვინოზე, თევზზე, ზეთის ხილზე, ზეთზე და ქალაქში შემოსულ ნალზე აღებული ბაჟის ნაწილიც.

როგორც მოურავსა და მელიქ-მამასახლისს, ქალაქის ვაჭრებისა და ხელოსნების ამქრები ნაცვალსაც ემსახურებოდნენ.

„ქალაქის ნაცვლის“ უშუალო მოვალეობა იყო, თვალყური ედევნებინა ბაზარში წესიერების დაცვისათვის როგორც საზომ-საწყოთა სისწორის შემოწმების, ასევე ქურდთა და სხვა უწესოთა წინააღმდეგ ბრძოლის თვალსაზრისით: „ბატონის ნაცვალი და მოურავის ნაცვალი ყოველთვის უნდა სინჯავდეს ლიტრს, ადლს, საწყოს და ყოველსაე საწონს და გასაზომს და თუნგს და რომელსაც ნაკლებობა და სიმრუდე შეაჩნდეს, ჯარიმა უნდა წაერთვას, ამ ჯარიმის ათის თავი მოურავისა არის და ამ მოურავის ათის თავიდამ ათის თავი ბატონის ნაცვალისა არის“, — ნათქვამია „სამოურაოს გარიგების წიგნში“.

ნაცვალს ქალაქისათვის სხვა მხრივაც უნდა ეგდო ყური. კერძოდ, უშუალოდ მას სათანადო ზომები უნდა მიეღო ქალაქში სენის გავრცელების წინააღმდეგ. დაავადებულნი კი არ უნდა დაემალა, არამედ საამისოდ განკუთვნილ საავადმყოფოებში უნდა გადაეყვანა. წინააღმდეგ შემთხვევაში ქალაქის ნაცვალი სასტიკად ისჯებოდა. გიორგი XII-ის ერთი საბუთიდან ჩანს, რომ ქალაქის ნაცვალმა შერმაზანამ ქრთამები აიღო და სენით შეპყრობილნი ქალაქიდან არ გაიყვანა, პირიქით, დამალა და ამით სენის გამძვინვარებას ხელი შეუწყო. მეფემ ქალაქის მელიქ-მამასახლისს აცნობა: „ამ ძალიანის დანაშაულისათვის“ ნაცვალი შერმაზანა სხვა მძიმე

სასჯელის ღირსი იყო, მაგრამ ამჟამად თანამდებობიდან გადაყენება ვაკმარეთო.

ქალაქის ნაცვლის და საერთოდ ნაცვლის უფლება-მოვალეობის შესახებ საინტერესო ცნობები მოიპოვება დავით ბაგრატიონს. მისი სიტყვით, ქალაქის ნაცვალი თვალყურს ადევნებდა საზღვარგარეთიდან მოსულებს, კერძოდ უცხოელებს; აწარმოებდა მათ რეგისტრაციას და მათი ქცევა-მოქმედების შესახებ ყოველდღიურად აცნობებდა ქალაქის მოურავს. მოურავი კი ყოველთვიურ პატაკში ნაცვლის მოხსენებულს მეფეს აცნობებდა.

ქალაქის ნაცვალს ევალებოდა, თვალყური ედევნებინა საზოგადოებრივ ნაგებობათა შენახვის, ქალაქის სისუფთავის, გზათა და ქვაფენილთა კეთილმოწყობისა და სხვათათვის.

ასევე იგი ვალდებული იყო თვალი სჭეროდა საზოგადოებრივი ბაღების მოვლა-პატრონობაზე. ამისთვის მას უნდა გამოეყო 3 კაცი, რომელნიც სწორედ ამგვარ ბაღებზე იქნებოდნენ გაპიროვნებულნი.

ნაცვლის ხელმძღვანელობით უნდა მომხდარიყო ქალაქის მოსახლეობის ზუსტი აღწერა. ქალაქის ნაცვლის განკარგულებით ხდებოდა უცხოეთიდან მოსულების, ელჩებისა თუ კურიერების, დაბინავება. ამისათვის მოქალაქეთა შორის შემოღებული იყო მორიგეობა და უცხოეთიდან მოსულთა ჩასახლება მათ ბინებში მორიგეობით ხდებოდა.

ქალაქის ნაცვლის მოვალეობას შეადგენდა აგრეთვე თვალყური ედევნებინა, რომ ქალაქიდან არ გაპარულიყვნენ სასამართლო პასუხისგებაში მიცემულნი, ასევე შეუძლებელი მოვალენი და მათი თავმდებები. თუ ასეთი გაიპარებოდა, ნაცვალს დაუყოვნებლივ უნდა ეცნობებია მოურავისათვის, წინააღმდეგ შემთხვევაში თვით აგებდა პასუხს.

ნაცვალი პირველი აცნობებდა მოურავს ელჩების ჩამოსვლის შესახებ, მოურავი კიდევ ამას მეფეს მოახსენებდა. აღსანიშნავია, რომ ნაცვალი, როგორც მეფის მოხელე, თვალყურს ადევნებდა არა მარტო სამეფო სახლის ქალაქში მოსახლე ყმებს, არამედ კერძო მებატონეთა ყმებსაც. დავით ბაგრატიონის სიტყვით, ნაცვალს უნდა ეზრუნა, რომ ამგვარ ყმებს მათი პატრონები კანონიერად მოქცეოდნენ, არ დაეტვირთათ ისინი ზედმეტი გამოსაღებებით, არ გაეწიათ მათზე ძალმომრეობა და სხვა. ნაცვალს შეეძლო ყმების შემავიწროებელი მებატონე გადაეცა მოურავის სასამართლოსათვის. ხოლო ყველა ის, ვინც არ დაემორჩილებოდა ნაცვალს, ან

ხელს შეუშლიდა მას სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, იქნებოდა იგი სამეფო სახლის წევრი, დიდებული თავადი თუ აზნაური, დაისჯებოდა დაპატიმრებით, თანამდებობიდან ჩამოქვეითებით ან სხვაგვარი სასჯელით.

ნაცვალი ყოველ დილით მოახსენებდა მოურავს ქალაქის მდგომარეობისა და იქ მომხდარ შემთხვევათა შესახებ.

თბილისის ნაცვალს თავის სასარგებლოდ და პოლიციის მსახურთა შესანახად ეძლეოდა ქალაქში შემოსული ყოველგვარი ჯარიმის ერთი მეხუთედი და საერთო საქალაქო შემოსავლის გარკვეული ნაწილი. ამას გარდა, მისთვის განკუთვნილი იყო ე. წ. „თვის შაური", ე. ი. ყოველთვიური გამოსაღები ქალაქის დუქნებისა, თითოზე 5 კაპ. თვეში. ყოველივე ეს, ე. ი. ქალაქის ნაცვლის ყოველწლიური გასამრჯელო, 84 თუმანს აღწევდა.

თბილისის ისტორიაში იყო შემთხვევა, როცა ნაცვლის თანამდებობა მელიქ-მამასახლისობასთან ერთად ერთ პირს ჰქონდა. მაგრამ ეს იშვიათი და არაწესიერი მოვლენა იყო. ქალაქის ნაცვალი, როგორც მეფის ერთ-ერთი მოხელე თბილისში, ცალკე ინიშნებოდა. ნაცვლის თანამდებობა გვიანფეოდალურ თბილისში მოქალაქეთა — ვაჭარ-ხელოსანთა წრიდან გამოსულ პირებს ეჭირათ.

თბილისში მეფის ბრძანებათა სასწრაფოდ შესასრულებლად თვით მოურავი თავის ნაცვალს ნიშნავდა, მოურავის ნაცვალი მუდამ ესწრებოდა სურსათ-სანოვაგეზე ნიხრის მიცემას და, ქალაქის ნაცვლისაგან განსხვავებით, ნიხრის დაწესებაში მონაწილეობის მიღებისათვის სათანადო გასამრჯელოსაც იღებდა. მოურავის ნაცვალი ქალაქის ნაცვალთან ერთად თვალყურს ადევნებდა ბაზარში საზომ-საწყაოთა სისწორეს და დამნაშავეს აჯარიმებდა, ოღონდ ჯარიმაში მას წილი არ ედებოდა. „მოურავის ნაცვალი მუდამ ბაზარში უნდა დავიდოდეს და იჯდეს და ადლს, ლიტრას და თუნგს უნდა შინჯავდეს; რომელსაც ნაკლები ან ლიტრა, ან ადლი, ან თუნგი ექნება, ჯარიმა უნდა წაართვას. ათის თავს მოურავისათვინ აიღებს, სხვას მეფის სარქარში მიაბარებს", — აღნიშნულია „სამოურაოს გარიგების წიგნში".

თბილისის მოურავის ნაცვლის შემოსავალი XVIII საუკუნის დასასრულს წელიწადში 5 თუმანს არ აღემატებოდა.

დ) თბილისის სხვა მოხელენი

თბილისის მოხელეთა შორის გვიანფეოდალური ხანის დოკუმენტებში ხშირად მოიხსენიებიან „ქალაქის მებაჟენი". თბილისში რამდენიმე მებაჟე იყო. მათი რიცხვი ექვსზე ნაკლები არ იქნებოდა, რადგან XVIII საუკ. თბილისს ექვსი კარი ჰქონდა და სწორედ ამ კარებთან ისხდნენ ქალაქის მებაჟენი. ამას გარდა, მებაჟეები ჰყავდა არა მარტო მეფეს, არამედ სხვებსაც, მაგალითად, კათალიკოს-პატრიარქს და სხვა უწყებათა წარმომადგენლებს. მებაჟეთა უპირველესი მოვალეობა ქალაქში სავაჭროდ შემოტანილ საქონელზე ბაჟის აკრეფა იყო. ამიტომ, თუკი რომელიმე პირის ან ეკლესიის ყმა ვაჭარი ქალაქის ბაჟისაგან თავისუფლდებოდა, მეფის ამგვარი ბრძანება პირველ რიგში მებაჟეს ეცნობებოდა.

ამას გარდა, მებაჟეებს ევალებოდათ გაესინჯათ უცხოეთიდან შემოტანილი საქონელიც და თბილისიდან უცხოეთში გასატანიც, რომ ნებადაურთველი საქონელი არ შეესულ-გასულიყო. ყველა ამგვარი საქონელი პატრონს ჩამოერთმეოდა და სახელმწიფო ხაზინას გადაეცემოდა. თუ მებაჟე აკრძალულ საქონელს გაუშვებდა და ამას შეუტყობდნენ, იგი ჯარიმის სახით 7-ჯერ მეტს გადაიხდიდა, ვიდრე საქონლის ფასი იყო. ქალაქის საბაჟოში შემოტანილ და გატანილ საქონლის შეფასებას ესწრებოდა ორი მდივანბეგი, ქალაქის მოურავი, ნაცვალი და ვაჭართა ორი წარმომადგენელი. ხოლო ბაჟის ტარიფი, დავით ბაგრატიონის ცნობით, ყოველწლიურად მეფის ბრძანებით წესდებოდა. ჩვენ მოგვეპოვება თბილისის ბაჟის ტარიფი, რომელიც 1736 წელს შეუდგენიათ. საინტერესოა, თუ რა საქონელზე რამდენ ბაჟს იღებდნენ ამ დროისათვის, და ამიტომ აღნიშნული საბუთის შინაარსის მოტანას საჭიროდ მივიჩნევთ.

„თბილისის ბაჟის წიგნის" მიხედვით XVIII საუკ. 40-ან წლებში თუმნად ღირებულ ყოველ ფარჩაზე ბაჟს ერთ აბაზს იღებდნენ. ბეწვეულის საპალნეზე ორ მინალთუნს; ბამბის ბაჟი ცხენის, აქლემის, ჯორისა და ხარის საპალნეზე ათი შაური იყო, ვირის საპალნეზე კი ხუთი შაური. ხმელ თევზზე თითო ურემზე თვრამეტი შაური, საპალნეზე კი ექვსი შაური. გელაქნურის საპალნეზე 12 შაური; ორაგულისა და ზუთხის საპალნეზე—თითოზე ერთნახევარი თევზი. ბრინჯის ბაჟი ხარის საპალნეზე სამი შაური იყო, ვირისაზე 1 შაური, 1 ბისტი და 1 ფული. ხამ ხალათის — ცხენის და ჯორის საპალნეზე თერთმეტი აბაზი, აქლემის საპალნეზე თორ-

მეტი აბაზი, ვირის საპალნეზე ერთი მინალთუნი და ორი შაური ერბოზე, თაფლზე, ქონზე, შაბზე, რკინაზე ბაეი ცხენის, ჯორისა და ხარის საპალნეზე სამი შაური. ნალზე ცხენისა და ჯორის საპალნეზე ხუთი შაური; ვირის საპალნეზე ორი შაური, ერთი ბისტი და ერთი ფული; განჯიდან შემოტანილი და არზრუმისაკენ წასაღები აბრეშუმის ბაეი აქლემის, ცხენისა და ჯორის საპალნეზე ორი მინალთუნი იყო. საწვრილმანოზე ბაეი ცხენის, ჯორისა და ხარის საპალნეზე მინალთუნი და შვიდი შაური იყო: ზეითუნის ზეთზე ცხენის, ჯორისა და ხარის საპალნეზე 1 ლიტრა აიღებოდა ბაეად, ვირის საპალნეზე კიდევ 1/2 ლიტრა. თავრიზის ლილაზე ლიტრაზე ერთი შაური აიღებოდა. სპილენძზე ცხენის, ჯორისა და ხარის საპალნეზე ათი შაური, ვირის საპალნეზე ხუთი შაური. ენდროსა და მატყლის ბაეი ცხენის, ჯორისა და ხარის საპალნეზე ხუთი შაური იყო, ვირის საპალნეზე 2 1/2 შაური. მარილზე საპალნეზე ერთი შაური; ზეთზე საპალნეზე ექვსი შაური; ნესვსა და საზამთროზე თითო საპალნეზე 3-3 ცალი. კიტრზე ცხენის, ჯორისა და ხარის თითო საპალნეზე 12-12 ცალი, ვირის საპალნეზე კი 6. თამბაქოზე ყოველ საპალნეზე თითო ლიტრა; საპონზე საპალნეზე 10 შაური; ხმელ ტყავზე ცხენის, ჯორისა და ხარის საპალნეზე ხუთი შაური, ვირის საპალნეზე 2 1/2 შაური და სხვ. ზოგი საქონელი, მაგ. იარაღი, დავით ბაგრატიონის ცნობით, უბაეოდ შემოდიოდა თბილისში.

მებაეე ვალდებული იყო ყველა აქ ჩამოთვლილ და სხვა სახის საქონელზე ბაეი ზემოთნაჩვენები ნორმის მიხედვით აეღო. ფასების ცვლილებასთან დაკავშირებით ბაეის რაოდენობაც იცვლებოდა და, ცხადია, ერთ წელს დაწერილი ტარიფი დიდხანს ვერ გაძლებდა, ამიტომ მსგავსი საბაეო ტარიფები თბილისში ხშირად უნდა შეედგინათ, მაგრამ ჩვენამდე, სამწუხაროდ, მხოლოდ რამდენიმემ მოაღწია. „ქალაქის მებაეენი“ ქალაქის მოურავისა და ნაცვლის კონტროლით მოქმედებდნენ და ამიტომ ამ უკანასკნელთ, როგორც ვთქვით, ქალაქის სამეფო ბაეში სათანადო წილი ჰქონდათ.

ქალაქის მოურავს ქალაქში წესიერებისა და ქურდ-ავაზაკებისაგან მოქალაქეთა დასაცავად ჰყავდა ასასები. ასასებს სათავეში ასასების უფროსი, ანუ ასასბაში, ედგა. „ასასბაში და ასასები მოურავს უნდა ახლდნენ და იმის კარზედ უნდა იყვნენ, რომ ასასები მოურავის იასაულები არიან.“ — ნათქვამია „მოურავის გარიგების წიგნში“.

ასასებისა და ასასბაშის მოვალეობა XVIII საუკ. ბოლოს შემდეგნაირად იყო განსაზღვრული: „იყოს ასასბაში და ეს იცავდეს ქალაქთა შინა დუქანთა ღამე, სახლებთა და ქარვასლებთა ქურდებისაგან და მოჩხუბართ კაცთაც ეს შეიპყრობდეს და თავისსა მოურავსა ესე ცხად ეყოფოდეს, მისი ქალაქისა ესე გვარნი საქმენი. თუ ციცხლი გაჩნდებოდეს, ესენი უშველიდნენ", — მოგვითხრობს იოანე ბაგრატიონი.

ასასბაშისა და ასასების ამგვარი სამსახურის ასანაზღაურებლად ქალაქის მოსახლეობას გადასახადი ჰქონდა შეწერილი, რომელსაც „ჰასასის ფული" ეწოდებოდა. „ჰასასის ფულს იხდიდა" ქალაქში მოსაქმე დიდი თუ მცირე ხელოსანი და ვაჭარი.

გვიანფეოდალური ხანის თბილისის მოხელეთა შორის დასახელებული უნდა იქნეს აგრეთვე „ქალაქის მწერალი", ანუ „ქალაქის მუშრიბი". „ქალაქის მწერალი" მეფის მოხელე იყო და მას ქალაქის შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა და სათანადო დავთარში შეტანა ევალებოდა. მას ევალებოდა აგრეთვე, როგორც ეს არა ერთი საბუთიდან ჩანს, ქალაქის სახლების, მამულების, ბაღებისა და ასევე მოსახლეობის აღწერა მათზე სათანადო საქალაქო გამოსაღებთა გაწერის მიზნით. „ქალაქის მწერალი" ადგენდა აგრეთვე მოქალაქეთა დავთრებს. „ქალაქის მწერლის" გასამრჯელოს „მუშრიბანა" („სამუშრიბო") ეწოდებოდა.

„ქალაქის მწერლის" მიერ მეფის ბრძანებით ქალაქის სახლებზე, მამულებზე, ბაღებზე თუ ვაჭარ-ხელოსნებზე გაწერილი გადასახადების ამკრეფებად თბილისში საგანგებო მოხელეები იყვნენ, რომელთაც „თეთრის მკრებელნი", ან კიდევ „მახტის* ამკრეფნი" ერქვათ.

ქალაქის ეკონომიურ ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა აგრეთვე ყაფანდარიც. ყაფანდარი გვიანფეოდალური თბილისის ქალაქის მთავარი მესასწორე იყო. მას თავისი ყაფანი ჰქონდა. თბილისის ბაზარზე შემოტანილ საქონელზე ყაფანდარს სათანადო საყაფანდრო უნდა აეღო. 1736 წლის საბუთის მიხედვით, თბილისის ყაფანდარის სარგო შემდეგნაირად წარმოგვიდგება: ყაფანდარი ხორბალზე, ფქვილზე, ქერსა და ფეტვზე, საბუთის სიტყვით, „მძიმე თავზე" ერთ ბისტს აიღებდა, მსუბუქ თავზე კი ორ ფულს; ბამბის საპალნეზე ორ შაურს; ბრინჯისა და შაბის საპალნეზე ერთ

* მახტა ერთ-ერთ საქალაქო გამოსაღებს ეწოდებოდა.

ბისტს; მატყლის საპალნეზე ერთ შაურს; რკინასა და სპილენძზე ერთ ბისტს; ენდროს საპალნეზე ერთ ბისტსა და ერთ ფულს; ზეითუნის ზეთზე ერთ შაურს; ტყავის საპალნეზე ბისტნახევარს; ერბოსა, თაფლსა და ქონზე ყოველ ას ლიტრზე ორ შაურს და სხვ. თუ თბილისის ბაზარში ცხენი და ჯორი გაიყიდებოდა, ყაფანდარს თითო აბაზი უნდა აეღო, აქლემზე თოთხმეტი შაური, ვირზე და ძროხაზე ერთი შაური და სხვა ამგვარი გზით შემოსული ფულის ნაწილი თვით ყაფანდრის სასარგებლოდ მიდიოდა.

გვიანფეოდალური თბილისის მოხელეთა შორის „მ ი ნ ბ ა შ ი ც“ ივარაუდებოდა. მინბაში ამ დროისათვის (XVI—XVIII საუკ.) ციხისთავს ეწოდებოდა. მინბაშის მოვალეობა გვიანფეოდალურ ხანაში ისეთივე იყო, როგორიც ციხისთავისა შუა საუკუნეებში.

დასასრულ, ქალაქის მოხელეთა შორის უნდა მოვიხსენიოთ აგრეთვე ჯ ა რ ჩ ე ბ ი. ჯარჩები ქალაქში იმ საგანგებო მოხელეებს ეწოდებოდათ, რომელთაც ბაზრობის დღეს მეფის სხვადასხვა ბრძანებათა გამოცხადება ევალებოდათ. ჯარჩები აცხადებდნენ აგრეთვე პროდუქტებზე დაწესებულ ნიხრებს. მათ თავიანთი უფროსი ჰყავდათ, რომელსაც ჯარჩიბაში ეწოდებოდა.

ჩვენ ჩამოვთვალეთ ყველა ის მოხელე (დიდი თუ პატარა), რომელიც ამა თუ იმ თანამდებობაზე იყო დანიშნული და მონაწილეობას იღებდა თბილისის მართვა-გამგეობაში. მაგრამ მათ გარდა გვიანფეოდალური თბილისის მართვა-გამგეობაში ისეთი პირებიც იღებდნენ მონაწილეობას, რომელნიც, მართალია, ქალაქის მოხელეები არ იყვნენ, მაგრამ რომელთაც თავიანთი თანამდებობით საქალაქო საქმეებზე ხელი მიუწვდებოდათ. ასეთი იყო სამეფოს სახლთუხუცესი — სამეფო თანამდებობათა და შემოსავალ-გასავალთა პირველი გამგებელი; ეშიკაღასბაში — საპოლიციო სამსახურის უფროსი; ქარხნის ნაზირი — სამეფო სასახლის სამეურნეო დაწესებულებებისა და საწყობების მმართველი, სამეფო მდივნები და სხვა. ამგვარ მოხელეებსაც ქალაქის შემოსავლიდან ნაწილის გაღებით უნაზღაურდებოდათ თავიანთი არაპირდაპირი მონაწილეობა თბილისის მართვა-გამგეობაში.

თბილისის მართვა-გამგეობის ისტორია ნათლად გვიჩვენებს, რომ თითქმის ყველა თანამდებობა, რაც კი XI—XIII საუკუნეების თბილისში არსებობდა, შენარჩუნებული იქნა XVII—XVIII საუკუნეებშიც. რამდენიმე საუკუნის მანძილზე უცვლელად არსებობდა

თბილისის ამირას (მოურავის) ხელისუფლება, ასევე ციხისთავისა (მინბაშის), მებაჟისა, ქალაქის წწერლისა და სხვ. მართალია, საუკუნეთა მანძილზე ზოგმა თანამდებობამ სახელი შეიცვალა, მაგრამ შინაარსი ძირითადად მაინც შეინარჩუნა. მაგალითად XI—XIII საუკუნეების თბილისის შურტას ხელისუფლების გამკრძელებლად გვიანფეოდალურ ხანაში ასასბაში ჩანს, გიუსტრობისა — ქალაქის ნაცვალი, ხოლო მეკოშრისა—ყაფანდარი.

როგორც ვხედავთ, თბილისმა თავისი საქალაქო მართვა-გამგეობა XII საუკუნიდან მოკიდებული XIX საუკ. დამდეგამდე ძირითადად თითქმის უცვლელად შეინარჩუნა. მაგრამ ამ ხნის განმავლობაში მოხდა მნიშვნელოვანი ცვლილებებიც. ზოგი თანამდებობა ნელ-ნელა გადაშენდა, ზოგი ახალი დაწესდა. ფეოდალური არისტოკრატიის გამარჯვებამ „ქალაქის ბერების“ ხელისუფლება თანდათან გააქრო, ხოლო საქალაქო ცხოვრებაში მომხდარმა სხვადასხვა ცვლილებამ მელიქისა და სხვათა ხელისუფლება წარმოშვა. მომხდარი ცვლილებები ქალაქის მართვა-გამგეობაში ფეოდალური არისტოკრატიის კიდევ უფრო გაბატონებას უწყობდა ხელს...

ე) „ქალაქის სამართალი“

ვინ იყო გვიანფეოდალური ხანის თბილისის ძირითადი მოსახლეობის სამართლის მწარმოებელი? ვინ აწესრიგებდა მოქალაქეთა შორის წარმოშობილ დავას? ვის ეკუთვნოდა სასამართლო ხელისუფლება ქალაქში? საჭიროა ამ საკითხების გარკვევა.

როგორც აღვნიშნეთ, თბილისის მოურავის უფლებებში „ჭეშმარიტი სამართლის“ წარმოებაც შედიოდა. მოურავი სამართალს მარტო არ აწარმოებდა. მას მისი სურვილის მიხედვით ან ქალაქის სხვა მოხელენი ახლდნენ, ან კიდევ თვით მოქალაქენი. „ქალაქის მოურავის გარიგების წიგნში“ წერია: „მოურავი, თუ უნდა, მელიქ-მამასახლისსა და ნაცვალს სასამართლოში დაისწრებს და, თუ არ უნდა, არ დაისწრებს“. თუ სასამართლოს აღნიშნული მოხელეები არ ესწრებოდნენ, მოურავს „სამი-ოთხი სარწმუნო მოქალაქე“ და „ქეთხუდები ახლდებიან“, მხოლოდ მათი მონაწილეობა ამ შემთხვევაში უსასყიდლო იყო.

ზოგჯერ მოქალაქეთა მონაწილეობა სამართალში უფრო აქტიური ყოფილა. თუ მოურავი თვითონ არ ინებებდა სამართლის წარ-

მოებას, მაშინ, მისი ბრძანებით, „ორი უნდა თუ სამი მოქალაქე, იმათ დასმენ, სამართალს მოქალაქენი იქმოდენ“. მაგრამ მოურავის ბრძანების გარეშე მოქალაქენი სასამართლო საქმეებში ვერ ჩაერევოდნენ და, თუ ასეთი მოხდებოდა, „მოსამართლე მოქალაქეებს“ მოურავი დააჯარიმებდა. მოქალაქეთა, დიდვაჭართა სამართალი XI—XIII საუკუნეებიდან იყო ცნობილი. ერთ-ერთ უძველეს ქართული სამართლის ძეგლში ნათქვამია: „დიდვაჭარი... ჭკვიანი იქნების და კარგად ეცოდინების ბეჭობა და უსამართლოს არას იტყვის“. დიდვაჭარი ძველ თბილისში, ცხადია, მოქალაქეთა მოსამართლე იქნებოდა.

მოურავს, მის „სარწმუნო მოქალაქეებსა“ თუ მელიქ-მამასახლისს და ნაცვალს მხოლოდ სამოქალაქო საქმეებზე მიუწვდებოდათ ხელი. მოურავის მიერ შედგენილი სასამართლო სისხლის სამართლის საქმეებს ვერ გაარჩევდა. ასეთ საქმეებს ქალაქში საგანგებო მოსამართლე, მდივანბეგი, არჩევდა. ვახტანგ VI-ის დროიდან დაკანონებული იყო: „თუ ქალაქში (თბილისში) კაცის სიკვდილი მოხდეს ან მოქალაქისაგან ან სხვისგან, იმის სამართალი... მდივანბეგმან უყოს“. მდივანბეგი სამოქალაქო საქმეებსაც გაარიგებდა, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოქალაქე „გარეშე კაცს“, ე. ი. არათბილისელს, უჩიოდა, ან თუ თვით მოქალაქენი თავიანთი ნებით მდივანბეგთან მივიდოდნენ და შესჩივლებდნენ. დანარჩენ შემთხვევებში სამოქალაქო საქმეთა გამრიგებლად ქალაქის მოურავი იყო. მოურავს შეეძლო აგრეთვე მდივანბეგის ქალაქში არყოფნისას მოქალაქისა და „გარეშე კაცის“ საქმეც გაერჩია.

საკუთრივ თბილისში სისხლის სამართლის საქმეების საწარმოებლად მეფეთა მიერ საგანგებოდ ინიშნებოდა მდივანბეგი. ერეკლე II-ის დროს ქართლ-კახეთის სამეფოს 13-ზე მეტი მდივანბეგიდან ორი სპეციალურად თბილისში სამართლობდა. სამეფოს მდივანბეგებიდან თბილისის მდივანბეგის ცალკე გამოყოფა ერეკლე II-ის მიერ ჩატარებული სასამართლო რეფორმის შედეგი იყო. თბილისის მდივანბეგი, დავით ბაგრატიონის ცნობით, როგორც ქალაქის უმთავრესი მოხელე, სამეფო საბჭოს სხდომებს ესწრებოდა.

მოურავისა და მდივანბეგთა სასამართლოს მიერ გადაწყვეტილ საქმეს მეფე ამტკიცებდა.

* * *

გვიანფეოდალური თბილისის სამართლის განხილვისას განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს საკუთრების ე. წ. „ქალაქური წესი“.

XVIII საუკ. დამდეგამდე, თბილისში განმტკიცებული წესის მიხედვით, უმემკვიდროდ გადასული მოქალაქის ქონება იმას რჩებოდა, ვისი ყმაც იყო, ე. ი. მეფის, დედოფლის ან კიდევ კათალიკოსის კუთვნილებად ცხადდებოდა. მეფე კი ამ ქონებას საჭიროებისამებრ სხვას გადასცემდა. მოქალაქეთა უძრავი საკუთრების გადაცემის ასეთი წესი ზღუდავდა მათს ეკონომიურსა და უფლებრივ მდგომარეობას.

თბილისის მოქალაქეთა განსაკუთრებული დამსახურების გამო, ვახტანგ VI-მ 1722 წელს შემოიღო სრულიად ახალი, ვაჭარ-ხელოსანთათვის ხელსაყრელი, საკუთრების „ქალაქური წესი“. ამ ახალი წესის მიხედვით, უმემკვიდროდ გადასულ მოქალაქის უძრავი თუ მოძრავი საკუთრება—„საქონელი, სახლი, ქარი და აგარაკი, მამული და მიწა-წყალი“—მის შორეულ ნათესავსაც კი გადაეცემოდა.

არ გასულა დიდი ხანი, რომ „სოფლისა ამის ჩარხთა უკუღმა მოქცეულობითა“ ვახტანგის მიერ განმტკიცებული საკუთრების ქალაქური წესი მოიშალა და ერეკლე II-ს მისი განახლება და ხელახლა დაკანონება მოუხდა. ერეკლეს მიერ შემოღებული წესის მიხედვით, უმემკვიდროდ გარდაცვლილი და ვალდარჩენილი მოქალაქის სახლი და ქონება, ქალაქის გაწესების მიხედვით, უნდა გაყიდულიყო და აღებული თანხით ვალი გაესტუმრებინათ. მაგრამ კანონით მოქალაქის უძრავი ქონების შესყიდვა შეეძლო პირველ რიგში მის მოყვარეს ან შორეულ ნათესავს, ან არა და სხვა მოქალაქეს უნდა ეცადა, რომ, გარდაცვალებულის მაგიერ მის მამულზე ახლად დასახლებულს, სამსახური გაეწია მეფისათვის.

თუ მოქალაქეს ქვრივი ან ქალიშვილი დარჩებოდა, ესენი ქონების მემკვიდრეებად მიიჩნეოდნენ. მაგრამ, თუ მოქალაქის ქვრივი ან ქალიშვილი გარეშე კაცზე, ე. ი. არამოქალაქეზე და სხვის ყმაზე, გათხოვდებოდა, მაშინ მოქალაქის ქვრივის თუ ქალიშვილის მთხოვნელი—ყმა ჩამოერთმეოდა მის პატრონს, ქალის მამულზე დასახლდებოდა და სამეფო ყმად, მოქალაქედ აღირიცხებოდა: „ვინც სამეფო ვაჭრის ქალი შეაგულიანოს და კეთილშობილმან თვისსა ყმასა მისცეს, უკეთუ არს იგი ქვრივი და არა ყვის ძე, მა-

შინ ჩამოერთვას კაცი იგი კეთილშობილსა და დაასახლონ მამულსა ზედა ქვრივისა და შერაცხონ ქმარი იგი ვაჭრად, რომელიც დასწერონ ქალაქისა დავთარსა შინაც მოქალაქედ, ამათ რათა არა წარუწყმდეს სამეფოსა სახასო თვისი, მამული და ნაქონები".

ამრიგად, ვახტანგ VI-ისა და ერეკლე II-ის მიერ დადგენილი საკუთრების ქალაქური წესის მიხედვით, უმემკვიდროდ გარდაცვლილი მოქალაქის ქონება მეფეს კი არ რჩებოდა, როგორც ეს მანამდე ყოფილა, არამედ მიცვალებული მოქალაქის თუნდაც შორეულ მემკვიდრეს. თუ ასეთიც არავინ იყო, მაშინ გარდაცვლილი მოქალაქის სახლი სხვა მოქალაქეს უნდა ეყიდა. ხოლო, თუკი „გარეშე კაცი" მოქალაქის ქონებას ხელთ ჩაიგდებდა, „გარეშე კაცი" თვით მეფის ყმად იქცეოდა და ქალაქის დავთარში მოქალაქედ აღირიცხებოდა.

3. თბილისის ვაჭართა და ხელოსანთა ორგანიზაციები

ძველი თბილისის სოციალური წყობისა და მმართველობის ორგანიზაციის განხილვამ დაგვანახა, რომ მას შემდეგ, რაც ქალაქის მმართველობა მეფეთა ხელში გადავიდა, ქალაქის ძირითადი მოსახლეობის, მოქალაქეთა, უფლებები თანდათან შეიზღუდა და ფეოდალურმა არისტოკრატიამ იწყო ბატონობა ქალაქის სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიურ ცხოვრებაში. ეს ბრძოლა ქალაქში ბატონობისათვის ფეოდალურ არისტოკრატიასა და ქალაქის მოსახლეობას შორის საუკუნეთა მანძილზე გრძელდებოდა.

ფეოდალური არისტოკრატია ამ ბრძოლაში უფრო ორგანიზებულად გამოდიოდა და თანდათან სდევნიდა მოქალაქეებს ქალაქის მმართველობიდან. გაერთიანებული ფეოდალურ-ყაჩაღური არისტოკრატიის წინააღმდეგ ბრძოლა, ქალაქში შემოხიზნულ ყმა-გლეხთა კონკურენცია, მთელი ქვეყნის ფეოდალური წყობილება იყო ის მიზეზები, რომელთაც აიძულეს ქალაქის ძირითადი მოსახლეობა გაერთიანებულიყვნენ, მათი საქმიანობის მიხედვით, ცალკეულ ორგანიზაციებში — ამქრებში. ვაჭართა და ხელოსანთა ამქრული ორგანიზაციების ძირითადი მიზანი იყო თავი დაეცვათ ფეოდალური არისტოკრატიის ეკონომიური და პოლიტიკური შემოტევისაგან, გაევრცელებინათ ბაზარზე თავისი მონოპოლია და ამ გზით თავიდან აეცდინათ სოფლებიდან აყვავებულ ქალაქისაკენ მოზღვავებულ საბატონო ყმა-გლეხთა კონკურენცია.

საქალაქო ცხოვრების განვითარება, ხელოსნური წარმოების ზრდა, ხელოსან-ვაჭართა მისწრაფება გაერთიანებისაკენ აგრეთვე ჰქმნიდა პირობებს თბილისში ამქრული ორგანიზაციების წარმოშობისათვის. მნიშვნელობა ჰქონდა იმ საგარეო ურთიერთობასაც, რომელშიაც, VIII საუკუნიდან მოკიდებული, თბილისი იმყოფებოდა. ამ შემთხვევაში განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს თბილისის ურთიერთობა, ერთი მხრით, არაბების მიერ შექმნილ მაჰმადიანურ სამყაროსთან და, მეორე მხრით, ბიზანტიის იმპერიასთან. აღმოსავლეთის მაჰმადიანურ ქალაქებში უკვე VIII საუკუნეში არსებობდა ამქრული ორგანიზაციები. ასევე იყო ამქრული ორგანიზაციები ბიზანტიის ქალაქებშიც IX საუკუნიდან.

ზემოთქმული გვაძლევს საბუთს ვამტკიცოთ, რომ VIII—IX საუკ. თბილისში ვაჭარ-ხელოსანთა ამქრული ორგანიზაციები არსებობდა. სამწუხაროდ, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა ამ საკითხზე არას გვეუბნება, აქ საამისო პირდაპირი მითითება არ მოიპოვება. ამიტომ ძნელი ხდება არა თუ VIII—XIII საუკ. თბილისის ამქრული ორგანიზაციების შესწავლა, არამედ იმის დადგენაც კი, თუ რა ეწოდებოდა მაშინ ვაჭარ-ხელოსანთა ამგვარ ორგანიზაციას. ტერმინი „ჰამქარი“, ანუ „ამქარი“, რაც ხელოსნური ორგანიზაციების აღსანიშნავად იხმარებოდა XVII—XVIII საუკუნეებში, ძველი არ არის, ასევე შედარებით ახლო დროისაა ამავე შინაარსის ტერმინები „ასნაფი“ და „თაბუნი“.

მიუხედავად ამისა, ვაჭართა და ხელოსანთა ორგანიზაციების არსებობა VIII—XIII საუკ. თბილისში უდავო ფაქტად მიგვაჩნია და ზოგი არაპირდაპირი მითითებაც მოგვეპოვება ამ საკითხის შესასწავლად.

ზემოთ უკვე ვილაპარაკეთ, რომ თბილისში ვაჭრები, განსაკუთრებით დიდვაჭრები, ქალაქის მოსახლეობის შედარებით პრივილეგიურ წრეს ჰქმნიდნენ. მათ თავიანთი ორგანიზაციაც ჰქონდათ. ვაჭართა ორგანიზაციის სათავეში „ვაჭართა უხუცესი“ იდგა. ვაჭართა უხუცესად თვით დიდვაჭარი იყო და მას, მის ორგანიზაციაში მყოფ ვაჭართა გამგებლობის გარდა, უცხოეთიდან მოსულ ვაჭართა სათანადო წესისამებრ მიღებაც ევალებოდა. უცხო ქვეყნებიდან მოსულ ვაჭრებს პირველ რიგში ქალაქის ვაჭართუხუცესისათვის უნდა მიემართათ. ვაჭართუხუცესი უცხოელებს კაცს მიაგებებდა და მათ ქალაქში მხოლოდ დღის სინათლეზე შემოიყვანდა. უცხო ქვეყნის ვაჭართაგან საპატიო ვაჭრებს, დიდვაჭრებს,

მათთვის განკუთვნილ ადგილს მიუჩენდა და მოასვენებდა. საპატიო ვაჭრების შეგებება, მათი წაყვანა აგრეთვე ვაჭართუხუცესის მოვალეობა იყო. ამ მხრივ „ვეფხის ტყაოსანში“ საინტერესო ცნობაა დაცული:

„თქვენებრთა საბატიოთა მათ ჰმართებს გამოსვენება;
დამყენებელთა უბრძანებს, ჰმართებდეს ვის დაყენება...
. . . . . .
გამოგება და წაყვანა მას ჰმართებს, თქვენი ქენება.“

ეუბნებოდა უსენის მებაღე ავთანდილს ვაჭართუხუცესის მოვალეობის შესახებ.

უცხოელი ვაჭრებიც პატივით ეკიდებოდნენ ქალაქის ვაჭართუხუცესს. მასთან ცხადდებოდნენ, მოტანილ უძვირფასეს საქონელს უჩვენებდნენ, ძღვენსაც მიართმევდნენ. ვაჭართუხუცესი მის ქალაქში შემოტანილ საქონელზე სამეფო ბაჟს აიღებდა და ამის შემდეგ დანარჩენის თავისუფლად გაყიდვის ნებას მისცემდა.

ვაჭართუხუცესი არა მარტო ქალაქისა და უცხო ვაჭრებს ხელმძღვანელობდა და პატრონობდა, არამედ ქალაქის მოსახლეობის ვაჭრული ფენის სახელით მეფის წინაშეც გარკვეულ სამსახურს წევდა. ქალაქის წესი იყო, რომ ყოველ ახალ წელს დიდვაჭრებს მეფისათვის შესაფერი ძღვენი მიეტანათ და ამის შემდეგ კი ვაჭართუხუცესის მეთაურობით თვით სასახლეშიც გამოცხადებულიყვნენ.

„ამა ქალაქის წესია, დღესას მას ნავროზობასა...
ჩვენ დიდ-ვაჭართა ზედა ჩვაც დარბაზს მიღება ძღვენისა,
მათ საბოძვრისა ბოძება ჰმართებს მსგავსისა ჩვენისა“,—

ნათქვამია „ვეფხის ტყაოსანში“.

თუ ვაჭრები ძღვენს მეფეს მიართმევდნენ, ასეთივე საჩუქრებით ცხადდებოდნენ დედოფალთან ვაჭართა ცოლებიც. მაგრამ აქ არა მარტო დიდვაჭართა ცოლები მონაწილეობდნენ, არამედ ქალაქის ყოველი ვაჭრისა. ვაჭართა ძღვენით სამეფო სახლში მისვლა ვაჭართუხუცესის ხელმძღვანელობით ხდებოდა, დედოფალთან მათი ცოლებისა კი ვაჭართუხუცესის მეუღლის მეთაურობით.

ვაჭართუხუცესს, ზემოაღნიშნულის გარდა, სხვა მოვალეობაც ჰქონდა. კერძოდ, მას უნდა დაეწესებინა სათანადო ფასები გასაყიდ საქონელზე; გაენაწილებინა ამა თუ იმ საქონლის გასაღების რაიონი ვაჭართა შორის, რომ თვით ორგანიზაციის წევრთა შორის კონკურენციას არ ჰქონოდა ადგილი და სხვა. მაგრამ, სამწუხაროდ, ყოველივე ამაზე მასალები გვაკლია.

ვაჭართა ხელში იყო საქარავნო-სატრანზიტო ვაჭრობაც. როცა თბილისელი ვაჭრები უცხოეთში მიდიოდნენ, მათი ორგანიზაცია სხვა სახეს იღებდა. მოქარავნე ვაჭრებს „ქარავნისა უხუცესი“ ედგა სათავეში და ვაჭართუხუცესის მოვალეობას იგი ასრულებდა.

საქარავნო-სატრანზიტო თუ ადგილობრივი ვაჭრობის საწარმოებლად, სავაჭრო საქმიანობის გასანაწილებლად XIII საუკ. ვაჭრები სავაჭრო ამხანაგობებს—„ურტაღებს“ ჰქმნიდნენ. ურტაღი მონღოლური სიტყვაა და ამხანაგს, კერძოდ, სავაჭრო ამხანაგობის მონაწილეს ნიშნავდა. ამავე გაგებით იხმარებოდა იგი საქართველოში. ურტაღთა საქმიანობაზე ჩვენ ზემოთ გვქონდა საუბარი.

როგორც ვხედავთ, ვაჭართა ორგანიზაცია XII—XIII საუკ. საქართველოში რთული იყო. ასეთივე ორგანიზაცია ექნებოდათ ხელოსნებსაც. ზოგი ისტორიკოსის ვარაუდით, ხელოსნური ორგანიზაციები, გაერთიანებები თბილისში VIII საუკუნიდან მაინც არსებობდა. ხელოსნური ორგანიზაციების სათავეშიც, ხელობის მიხედვით, მათი „უხუცესები“ იდგნენ. ასე მაგალითად, კალატოზ ხელოსანთა ორგანიზაციას „კალატოზთა უხუცესი“ ედგა სათავეში. მკერვალებს „მკერვალთ უხუცესი“, მხატვრებს „მხატვართუხუცესი“ და სხვ. მსგავსი ტერმინები, ძველ ქართულ საისტორიო მწერლობაში რომ მოიხსენებიან, ხელოსანთა ორგანიზაციის არსებობაზე მიგვითითებენ. მაგრამ ამ საკითხზე ჩვენ სხვა კონკრეტული მასალა არ მოგვეპოვება და ამჟამად სიტყვას ვერ გავაგრძელებთ.

თუ XI—XIII საუკ. თბილისის ვაჭართა და ხელოსანთა ორგანიზაციების შესახებ მასალები თითქმის არ მოგვეპოვება, სამაგიეროდ XVII—XVIII საუკუნეებისათვის ამგვარი მასალა მრავლადაა და მათი გათვალისწინება შესაძლებლობას მოგვცემს თბილისის ვაჭარ-ხელოსანთა ორგანიზაციებზე მეტი სისრულით ვილაპარაკოთ.

* * *

გვიანფეოდალურ თბილისში ერთი დარგის ხელოსანთა თუ ვაჭართა ორგანიზაციისათვის, კავშირებისათვის „თაბუნი“ უწოდებიათ. მაგრამ თაბუნი ყოველგვარი ჯგუფის, დასის, რაზმის ზოგადი სახელი იყო და ამიტომ ხელოსნური კავშირების აღმნიშვნელ ტერმინად საქართველოში ადრევე დამკვიდრდა არაბული წარმოშობის სიტყვა „ასნაფი“, რომელიც ერთისა და იმავე ხელობის

კაცთა ჯგუფს ნიშნავდა. „ასნაფი“ გვიანფეოდალურ თბილისში ყველაზე გავრცელებული ტერმინი იყო ხელოსნური და სავაჭრო კავშირების აღსანიშნავად. XVIII საუკ. დასასრულისათვის „ასნაფის“ მნიშვნელობით შემოდის სპარსული ტერმინი „ჰამქარი“, რაც თანამოსაქმეს ნიშნავდა. XIX საუკუნეში „ჰამქარი“, ანუ „ამქარი“ ვაჭართა და ხელოსანთა გაერთიანების აღსანიშნავი ერთადერთი ტერმინი იყო. ასე რომ ხელოსანთა და ვაჭართა გაერთიანებებს გვიანფეოდალურ თბილისში თაბუნი, ასნაფი და ჰამქარი ერქვა. ყველა ესენი, ძირითადად, ერთი და იმავე შინაარსის მატარებელი ტერმინები იყო.

თბილისში მოსახლეობის ამქრებად გაერთიანების საფუძველს მოსაქმეობა წარმოადგენდა და ამის მიხედვით ამქარში ერთიანდებოდნენ არა მარტო ვაჭრები და ხელოსნები, არამედ ქალაქის სხვა მოსახლენიც, მათი საქმიანობის მიხედვით. ამქრებს გვიანფეოდალური ხანის თბილისში ცალ-ცალკე ჰქმნიდნენ მესანთლეები, ყასაბები, ბაყლები, ბაზაზები, სირაჯები, მაზმანები, მეწვრილმანეები, მკუპრავები, მქედლები, კალატოზები, ხუროები, მეპურეები, ზეინკლები, ხარაზები და სხვა ხელობისა თუ ვაჭრობის წარმომადგენლები. ვაჭართა და ხელოსანთა ამქრები თავიანთი ორგანიზაციით თითქმის არ განირჩეოდნენ ერთმანეთისაგან.

მას შემდეგ, რაც ამქრულმა ორგანიზაციამ დრო მოჰამა და თანდათან თავისი არსებითი მნიშვნელობის დაკარგვა დაიწყო, თბილისში ამქრებად გაერთიანება დაიწყეს არა მარტო ხელოსნებმა და ვაჭრებმა, არამედ ქალაქის მოსახლეობის სხვა ფენებმაც. ასე მაგალითად, ტვირთის მზიდველ მუშათა ამქრის, თულუხჩების, თივის გამყიდველებისა და სხვათა ამქრების გვერდით XIX საუკ. დამდეგის თბილისში ჩნდება აგრეთვე ქალაქის მათხოვრების ამქარიც კი! მაგრამ ასეთი მოვლენები, ცხადია, თბილისის საქალაქო ცხოვრებისათვის დამახასიათებლად არ შეიძლება მივიჩნიოთ.

ამქრული ორგანიზაციების გაფურჩქვნის დროს მასში ფაქტიურად მხოლოდ ხელოსნები ერთიანდებოდნენ. დროთა ვითარებაში ამქრული ორგანიზაციის ეს თავდაპირველი შინაარსი თანდათან შეიცვალა და ამქრულ ორგანიზაციებში, განსაკუთრებით გვიანფეოდალური ხანის თბილისში, გაერთიანება იწყეს არა მარტო ვაჭრებმა, არამედ ქალაქის მოსახლეობის სხვა ფენების წარმომადგენლებმაც.

ამქრული ორგანიზაციის ამგვარი ცვლილების შედეგი იყო ისიც,

რომ გვიანფეოდალური ხანის თბილისის ამქრებში ერთიანდებოდნენ არა მარტო თავისუფალი და სამეფო ხელოსნები, არამედ ქალაქში მუდმივად თუ დროებით მცხოვრები კერძო საბატონო ყმა ხელოსნებიც.

ხელოსნებისა თუ ვაჭრების ამქრებად გაერთიანებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა არც რელიგიურ მომენტს ჰქონდა. გვიანფეოდალური ხანის თბილისის ხელოსანთა თუ ვაჭართა ამქარში შეიძლებოდა ყოფილიყო მართლმადიდებელი, სომეხ-გრიგორიანი, კათოლიკე და ზოგ შემთხვევაში მაჰმადიანიც კი. ამქრული ორგანიზაციისათვის არც ეროვნული კუთვნილება იყო გადამწყვეტი და არც ის, ამქრის წევრი თბილისელი მცხოვრები იყო თუ საქართველოს რომელიმე ქალაქიდან ან კიდევ უცხო ქვეყნიდან მოსული. ყველას თანაბრად შეეძლო ამქარში შესვლა.

თბილისში ერთი და იმავე დარგის ხელოსანი თითო-ოროლა როდი იყო. ამას გარდა, ისინი გაფანტულნი იყვნენ ქალაქის სხვადასხვა კუთხეში და მათი გაერთიანება ერთ ამქარში შეუძლებელი ხდებოდა. ამიტომ ერთი და იმავე დარგის ხელოსნები რამდენიმე ამქარში იყვნენ გაერთიანებულნი. ასე მაგ., XIX საუკ. დამდეგისათვის მხერხავები თბილისში დაყოფილნი იყვნენ 5 ამქრად, ხუროები 7 ამქრად, კალატოზები 6 ამქრად, ტვირთმზიდავი მუშები 6 ამქრად, წყლის მზიდავები 2 ამქრად და ასე შემდეგ.

ახალი ამქრული ორგანიზაციების წარმოშობას გვიანფეოდალურ თბილისში არა მარტო ხელოსანთა რიცხობრივი ზრდა იწვევდა, არამედ ერთი დარგის ხელოსნური წარმოშობის თანდათანობითი სპეციალიზაციაც, მათი ვიწრო სპეციალურ ჯგუფებად დაყოფა. მაგ., XIX საუკ. დამდეგისათვის თბილისის მკერვალთა ამქარს ცალკე გამოეყო რუსულ ტანსაცმელთა მკერვალნი, ევროპულ ტანსაცმელთა მკერვალნი, კავკასურ ტანსაცმელთა მკერვალნი და ქართულ ტანსაცმელთა მკერვალნი. ასევე დანაწილდნენ ხარაზები, იარაღის მკეთებელნი, მჭედლები და სხვ.

ხელოსანთა თუ ვაჭართა ამქრის სათავეში ამქრის თავი იდგა, რომელსაც გვიანფეოდალურ თბილისში ოსტატს, ამქარბაშს (ამქრის თავს) ან უსტაბაშს (ოსტატთა თავს) უწოდებდნენ. XVII—XVIII საუკ. თბილისში იყო „ჭონების (მექუდეების) ოსტატი“, ანუ ჭონების უსტაბაში, „კალატოზების ოსტატი“, ანუ კალატოზების უსტაბაში და სხვ. ამიტომაც ცნობილი ლექსიკოგრაფი სულხან-საბა ორბელიანი „ოსტატს“ განმარტავდა „ხელოსანთ უფროსად“.

ამქრის თავის სახელის ამგვარი წარმოების გარდა, გვხვდება სხვაგვარი წარმოებაც, იმ ამქრის სახელის მიხედვითაც, რომლის მოთავედაც ესა თუ ის პირი ითვლებოდა, გვიანფეოდალურ თბილისში იყო: „სირაჯ-ბაში“, „ბაყალ-ბაში“, „ყასაბ-ბაში“, „აქიმ-ბაში“ და სხვ.

შუა საუკუნეების თბილისში, როცა საქალაქო ცხოვრება ჯერ კიდევ საბოლოოდ არ ჰქონდა დამორჩილებული ფეოდალურ არისტოკრატიას, ხელოსანთა თუ ვაჭართა ორგანიზაციის უფროსებს თვით ორგანიზაცია ირჩევდა. ამქრის თავის არჩევაში მონაწილეობდა ამქრის ყველა სრულუფლებიანი წევრი და ამ თანამდებობაზე, თავის დროზე, ამქრის ყოველი ღირსეული წევრი (სარწმუნოებისა და ეროვნული წარმოშობის მიუხედავად) შეიძლებოდა არჩეულიყო.

მაგრამ თბილისის ამქრულმა ორგანიზაციებმა ამ მხრივაც განიცადეს მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილებები სოციალურ გარდატეხათა შედეგი იყო. ფეოდალურმა არისტოკრატიამ საუკუნოვანი ბრძოლა თავისი გამარჯვებით დაამთავრა. ის ქალაქის ეკონომიურსა და განსაკუთრებით პოლიტიკურ ცხოვრებაში გაბატონდა. კერძოდ თბილისში, როგორც სამეფო ქალაქში, მეფის მოხელეები ბატონობდნენ, ქალაქის ძირითადი მოსახლეობის ხელისუფლება თანდათან შეიზღუდა, მათი წარმომადგენლობა ქალაქის მმართველობაში თანდათან გაუქმდა. სამეფო ხელისუფლება მიღწეულით არ დაკმაყოფილდა და თვით ხელოსანთა თუ ვაჭართა ორგანიზაციის საქმიანობაშიც ჩაერია. იგი შეეცადა ხელოსანთა თუ ვაჭართა ამქრული ორგანიზაციებიც თავის გავლენის ქვეშ მოექცია. ამის შედეგი იყო, რომ გვიანფეოდალურ თბილისში, კერძოდ კი XVIII საუკ. დასასრულს, მსხვილ ამქრულ გაერთიანებათა თავებს — ამქრის უსტაბაშებს—თვით მეფე ნიშნავდა. ჩვენ მოგვეპოვება არა ერთი დოკუმენტი, საიდანაც ირკვევა, რომ გიორგი XII-ეს 1799 და 1800 წლის ბრძანებებით თბილისის ბაზაზებისა და მეწვრილმანეების უსტაბაშები დაუნიშნავს. ასე რომ XVIII საუკ. დასასრულისათვის (და ამაზე ადრეც) თბილისის ამქრის თავებიც კი მეფეების მიერ ინიშნებოდნენ და ამით სამეფო ხელისუფლება ქალაქის მოსახლეობის ხელისუფლების ამ უკანასკნელ წარმომადგენლებსაც კი თავის მოხელეებად აქცევდა. ამით სამეფო ხელისუფლებას ეძლეოდა დიდი შესაძლებლობა ამქართა ცხოვრებაში ჩარეულიყო და ქალაქის ძირითადი მოსახლეობის ამ ორგანიზაციისა-

თვისაც თავისი ინტერესები ეკარნახა. ეს იყო სამეფო ხელისუფლების საქალაქო ცხოვრებაზე საბოლოო გამარჯვების ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი.

გიორგი XII-ის ზემოხსენებული ბრძანებიდან ისიც ირკვევა, რომ ამქრის აზრს, ამა თუ იმ პირის ამქრის უსტაბაშად დანიშვნის დროს, მეფე ანგარიშს უწევდა. ამქრის წევრები ამქრის უფროსის კანდიდატს წამოაყენებდნენ; მეფე, თუ ეს კანდიდატი მისაღები იყო, დაამტკიცებდა, მაგრამ თუ უსტაბაშად დანიშნული მეფის წინაშე თავის სამსახურს წესიერად ვერ გასწევდა, მეფე მას თანამდებობიდან გადააყენებდა. ასე, რომ სამეფო ხელისუფლება ამქრის ორგანიზაციაში აქტიურად ერეოდა.

1801 წელს რუსეთის ხელისუფლებამ ქართლ-კახეთში მეფობა გაუქმა. ამასთან დაკავშირებით მოიშალა თბილისის მმართველობის ძველი ორგანიზაცია. ფეოდალური არისტოკრატიის ბატონობას წყალი შეუდგა, ქალაქი თანდათან თავისუფლდება ამგვარი ბატონობისაგან და ქალაქის მოსახლეობა საქალაქო ცხოვრების ბატონ-პატრონი ხდება. ამიერიდან, რაკი მეფის ხელისუფლება აღარ იყო, ამქრები, ძველებურად, ამქრის თავებს თვითონ ირჩევდნენ. XIX საუკ. პირველ ნახევარში თბილისის ამქრის უსტაბაშთა არჩევნები ხდებოდა.

უსტაბაშად დანიშვნისა თუ არჩევის ვადა განსაზღვრული არ ყოფილა. ზოგი მათგანი სიკვდილამდეც კი რჩებოდა თავის თანამდებობაზე. უფრო ხშირად კი მათი ხელისუფლება მხოლოდ რამდენიმე წელს გრძელდებოდა. XIX საუკ. პირველ ნახევარში ამქრის წევრები ხშირად ამბობდნენ თურმე: „უსტაბაშის ადგილი ხომ არ გაგვიყიდია, ახლა სხვა ავირჩიოთ“.

თბილისში ამქრის თავი ამქრის უმაღლესი მოხელე იყო. იგი არჩევდა ამქრის წევრთა შორის წარმოშობილ სადაო საქმეებს. მას ევალებოდა თვალყური ედევნებინა, რომ ამქრის წევრთა შორის დაცული ყოფილიყო სიმშვიდე, კეთილ-განწყობილება, დახმარება აღმოეჩინა ამქრის ავადმყოფ და უძლურ წევრებისთვის, ამქრის გარდაცვლილი ღარიბი წევრი დაემარხა ამქრის ხარჯით, გასვენებას დასწრებოდა ამქრის ყოველი წევრი; ასევე ამქრის უსტაბაში ვალდებული იყო რელიგიური დღესასწაულების დროს უზრუნველეყო ამქრის წევრთა მისვლა ეკლესიაში ლოცვებზე, დახმარება აღმოეჩინა, ამქრის ძალებით, ქალაქში ეკლესიათა შეკეთებისა თუ შენებისას და სხვ.

ამქრის უსტაბაშა, როგორც მეფის მოხელე, ვალდებული იყო დაუყოვნებლივ შეესრულებინა მეფის და ქალაქის სხვა ხელისუფალთა განკარგულებები, თავის ამქარში მოეკრიბა საქალაქო გამოსაღებები და გადაეცა საამისოდ გამოყოფილ პირთათვის. უსტაბაში აწარმოებდა აგრეთვე ამქრის შეგირდის (მოწაფის) კურთხევას ოსტატად.

ამქრის უსტაბაშს ყოველივე ამის გამო „ხელოსანთა ოჯახის მამას“ უწოდებდნენ და იგი ხშირად გამოდიოდა არა მარტო ამქრის არაწესიერ წევრთა წინააღმდეგ, არამედ არაწესიერ მოვალეთა წინააღმდეგაც, რომელნიც დაკვეთის პირობებს არ შეასრულებდნენ. უსტაბაში ამ შემთხვევაში თავისი ამქრის წევრთა უფლების დამცველად გამოდიოდა.

უსტაბაში ანაწილებდა ამქრის წევრთა შორის სამუშაოს, გასაღების ბაზრის რაიონებს, ადგილობრივ ამოწმებდა მათ საქმიანობას და სხვ.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ უსტაბაში აწარმოებდა ამქრის ახალი წევრების მიღებას და, როგორც წესი, ატარებდა ამ ახალ წევრს საამქრო წიგნში, რომელსაც „საამქრო დავთარს“ უწოდებდნენ. უსტაბაშთან შეთანხმებით ხდებოდა აგრეთვე ამქრის წევრის მიერ შეგირდის აყვანაც.

უსტაბაშს თავისი ამქრის წევრების მიმართ შეეძლო გამოეყენებინა დასჯის შემდეგი საშუალებანი: დასჯის პირველ საფეხურს წარმოადგენდა ფულადი ჯარიმა, რომელსაც XIX საუკ. პირველ ნახევარში „ი ო ლ ს“ უწოდებდნენ. თუ დაჯარიმებული ამქრის წევრი მსჯავრს არ დაემორჩილებოდა, უსტაბაში მას დუქანს დაუკეტავდა და მანამ არ მისცემდა გასაღებს, სანამ დამნაშავე ჯარიმას არ გადაიხდიდა.

სასჯელის მეორე საფეხური ამქრის დამნაშავე წევრთან ყოველგვარი კავშირის გაწყვეტა, ანუ XIX საუკ. მეორე ნახევრის ტერმინით რომ ვთქვათ, „ბოიკოტი“ იყო. უსტაბაშის მიერ ამგვარად დასჯილ წევრს სხვა წევრები არც ესალმებოდნენ და არც რაიმე საქმეს დაიქერდნენ მასთან, ანუ როგორც თვით ხელოსნები იტყოდნენ — „არც იმასთან პური ეჭამოთ, არც იმის მკვდარზედ მივიდეთ“. თუ ამგვარი ღონისძიებაც არ გასჭრიდა, უსტაბაშის თხოვნით ამქრის ამგვარ წევრს ქალაქის სხვა ამქრებიც „ბოიკოტს“ გამოუცხადებდნენ. სასჯელის უკანასკნელ საფეხურს კი ამქრიდან გარიცხვა, საჯარო წყევლა და გაკიცხვა შეადგენდა. ცხადია, ამქრის

უსტაბაშს ხელი არ მიუწვდებოდა მისი ამქრის წევრების არც სამოქალაქო და არც სისხლის სამართლის საქმეზე. ამგვარ სამართალს ქალაქში, როგორც ზემოთ მივუთითეთ, სხვა მოხელეები აწარმოებდნენ.

ამქრის უსტაბაში ამგვარი საზოგადო საქმეების შესრულების გამო თავის საოსტატო საქმეებს ხშირად მოცდენილი იყო. სამაგიეროდ, ამქარი მას თავის სამსახურს სათანადო გასამრჯელოთი უნაზღაურებდა.

ამქრის ყოველ წევრს უსტაბაშის სასარგებლოდ გარკვეული გამოსაღები ეკავებოდა. ამგვარი გამოსაღებისაგან ესა თუ ის წევრი მხოლოდ უსტაბაშის ნებართვით თავისუფლდებოდა. საამქრო წესებიდან ჩანს, რომ ამქრის შემოსავლის თითო თუმანზე ერთი აბაზი, ზოგჯერ ორი შაური ამქრის უსტაბაშის სასარგებლოდ მოდიოდა. ამას ამქრის წევრები „საოსტატო სარგოს“ უწოდებდნენ.

ამქრის უსტაბაში გასამრჯელოს სხვა საამქრო საქმეების გადაწყვეტის დროსაც ღებულობდა. თუ ამქრის წევრთა სადაო საქმეებს გაარჩევდა, ან კიდევ საამხანაგო წიგნებს დაადასტურებდა, უსტაბაშისათვის სათანადო პირებს გასამრჯელო უნდა მიეცათ.

ამქრის უსტაბაში გასამრჯელოს იღებდა მაშინაც, როცა იგი შეგირდს ოსტატად აკურთხებდა. აღსანიშნავია, რომ უსტაბაში საჩუქრების სახით ერთგვარ გასამრჯელოს იღებდა მომხმარებელთაგანაც იმ სამსახურის გამო, რომელსაც იგი ამა თუ იმ პირს უწევდა მუშახელისა თუ სხვ. მიწოდებით. ამგვარ საჩუქრებს „სახალათეს“ უწოდებდნენ.

საამქრო საქმეების მოწესრიგებაში ამქრის უსტაბაშს სხვა არჩეული პირებიც შველოდნენ. მას თანაშემწედ მამასახლისს, ან როგორც უცხოურად უწოდებდნენ, აღსაყალს ურჩევდნენ. ამქრის მამასახლისიც უვადოდ არჩეული პირი იყო. მის მოვალეობას, უსტაბაშის ქალაქში არ ყოფნის ან ავადმყოფობის შემთხვევაში, უსტაბაშის მაგივრობის გაწევა შეადგენდა. მამასახლისი ამქრის უსტაბაშის სამართალშიც ესწრებოდა. საამისოდ მას სათანადო გასამრჯელოც ჰქონდა. ასევე იგი გასამრჯელოს იღებდა შეგირდის ოსტატად კურთხევის დროს.

ამქარში თანამდებობის პირს წარმოადგენდა ე. წ. იგითბაშიც, ანუ ამქრის იასაული. იგი თვით უსტაბაშის მიერ ინიშნებოდა ამქარში შემავალ წევრთაგან დროებით, თითო თვით, მორიგეობით. იგითბაში უსტაბაშის შიკრიკი იყო, რომლის შეშწეობითაც იგი თა-

ვის განკარგულებებს აცნობებდა ამქარში გაერთიანებულ ხელოსნებს. იგი მოუწოდებდა ამქრის წევრებს სადღესასწაულო გამოსვლებში, გასვენებაზე, ლოცვებზე და სხვ. იგითბაშის შემწეობით აცნობებდა უსტაბაში სხვა ამქრის თავებს თავის გადაწყვეტილებას და სხვ. იგითბაშსაც თავისი მოვალეობის შესრულებისათვის ამქრისაგან გასამრჯელო ეძლეოდა.

ამქრის მოხელე იყო აგრეთვე ხაზინადარი. ხაზინადარი უვადოდ ირჩეოდა ამქრის წევრების მიერ. ხაზინადრად ყოველთვის ყველაზე სანდო და მცოდნე პირს ირჩევდნენ. ხაზინადარს ებარა ამქრის სალარო და მისი ანგარიში. ანგარიშის საწარმოებლად მას საგანგებო დავთარი ჰქონდა, სადაც ამქრის შემოსავალი და გასავალი აღირიცხებოდა.

სააჰქრო სალაროდან ფულის გაცემას ხაზინადარი მხოლოდ უსტაბაშის ნებართვით აწარმოებდა, ეს უკანასკნელი კიდევ ამქარს უთანხმდებოდა ამა თუ იმ ხარჯის გაწევის შესახებ.

ამქრის სალაროში შედიოდა: ამქრის წევრთა ჯარიმები, ოსტატად კურთხევის შესატანი, დამოუკიდებლად მუშაობის უფლების მიღებისათვის სათანადო შესატანი, ამქრის წევრის შესატანი ახალდაბადებულ ბავშვთათვის, შემოსავალი, რომელიც ამქარმა მიიღო ჭირისუფლისგან მიცვალებულის დაკრძალვაზე დასწრება — „გაპატიოსნებისათვის“ და სხვ.

აღსანიშნავია, რომ მეტყავეების ამქრის სალაროში XIX საუკ. 50-ან წლებში 500 მანეთი ჰქონიათ ამგვარი გზით მოგროვილი. სალაროს თანხა ცალკეულ ამქრის წევრთა ან მათი ობლად დარჩენილი ბავშვების დასახმარებლად და საერთო საამქრო საქმეებზე იხარჯებოდა.

* * *

ამქრული გაერთიანება ამა თუ იმ ხელობის შესწავლა-გადაცემის ორგანიზაციაც იყო. ამგვარი გაგებით, ამქარში ერთიანდებოდნენ არა მარტო ხელობის მცოდნე ოსტატები, არამედ მათი მოწაფეებიც. ხელოსანთა ყოველ ამქარს ხელობის შემსწავლელი მოწაფეები ჰყავდა; მათ შეგირდებს უწოდებდნენ.

ყოველ ოსტატს, „ხელობით სრულს“, შეეძლო აეყვანა მოწაფეასაყვან მოწაფეთა რაოდენობა განსაზღვრული არ იყო. ოღონდ ეს

ოსტატს უსტაბაშთან უნდა შეეთანხმებინა. შეთანხმება ოსტატსა და მის შეგირდს შორის ხშირად წერილობით ფორმდებოდა, ზოგჯერ კიდევ სიტყვიერად. მოწაფეთა და მასწავლებლის შეთანხმებას ამქრის უსტაბაში ესწრებოდა.

აღსანიშნავია, რომ თბილისის ზოგი ამქრის წესდება სასტიკად კრძალავდა ერთი ოსტატის მიერ მეორე ოსტატის შეგირდის გადაბირებას. დამნაშავე ამგვარ შემთხვევაში ჯარიმდებოდა.

შეგირდად ასაყვანის წლოვანებაც წინასწარ დაწესებული უნდა ყოფილიყო. ეს კი იმ ხელობის მიხედვით წესდებოდა, რომელიც შეგირდს უნდა შეესწავლა. მაგალითად, მჭედლები და დაბაღები (მეტყავეები) შეგირდად 13 წლისაზე ნაკლებს არ მიიღებდნენ, რაკი მათი მუშაობა დიდ ფიზიკურ შრომას მოითხოვდა. სხვა, უფრო მსუბუქი სამუშაოების შემსრულებელნი კი—მკერვალნი, ფეიქარნი და სხვები,— შეგირდად 9—10 წლის ბავშვს იყვანდნენ, ზოგჯერ 8 წლისასაც კი.

სხვადასხვა იყო სწავლების ვადაც სხვადასხვა ამქარში, თბილისის ამქრებში საშუალოდ 3-დან 6 წლამდე აღწევდა. გვიანფეოდალური საქართველოს კანონები ოსტატს ავალდებულებდა: კეთილსინდისიერად მოპყრობოდა შეგირდს, შეესწავლებინა მთელი ხელობა უნაკლოდ, ხოლო სწავლების ვადის დამთავრების შემდეგ კი ოსტატად ეკურთხებინა. უსტაბაშს ევალებოდა თვალყური ედევნებინა, რომ სწავლების ვადადამთავრებული შეგირდი ოსტატს კიდევ თვითონ არ გაეჩერებინა. ამგვარ შემთხვევაში დამნაშავე სათანადო ჯარიმას გადაიხდიდა.

სხვადასხვა მასალიდან ირკვევა, რომ თბილისის ზოგ ამქარში სწავლება უხელფასო იყო. მასწავლებელი ზოგჯერ თავის შეგირდს აცმევდა და აჭმევდა კიდეც. თბილისის ამქრებში ე. წ. „საოსტატო“ გამოსაღებს, ანუ სწავლის ქირას ცვლიდა ის საჩუქარი, რომელსაც მოწაფე ოსტატად კურთხევის დროს თავის მასწავლებელს მიართმევდა და რომელსაც „სახალათე“, ანუ „ხალათი“ ეწოდებოდა.

რაკი თბილისის ამქრებში მოწაფე სწავლის ქირას არ იხდიდა, სამაგიეროდ სწავლების დროის განმავლობაში იგი ამქარში ასრულებდა როგორც ტექნიკურ, სახელოსნო სამუშაოს, ასევე არატექნიკურსაც, თავისი მასწავლებლის საოჯახო-საშინაო საქმეებსაც და ამგვარ სამუშაოში ის არავითარ გასამრჯელოს არ იღებდა. მის მიერ შესრულებული სამუშაო მთლად ოსტატის სასარგებლოდ მი-

დიოდა და იშვიათად მასწავლებელი თავის მოწაფეს ერთგვარ საჩუქარს უწყალობებდა, რომელსაც „შეგირდანა“ ეწოდებოდა. „შეგირდანას“ მიცემა ოსტატის „ნებასა და პატიოსნებაზე“ იყო დამოკიდებული. „შეგირდანა“ მოწაფეს ჩვეულებრივ შაბათობით, მუშაობის დამთავრების შემდეგ, ეძლეოდა: სწავლების პირველ წელს მცირე, ხოლო შემდეგ შედარებით მეტი ფულადი საჩუქრის სახით.

სწავლების ვადის დამთავრების შემდეგ ხელობის ცოდნის დასტური მას ოსტატად დალოცვით უნდა მისცემოდა. ზოგ ამქარში შეგირდის ოსტატად წარდგენა სათანადო საკონტროლო სამუშაოს შესრულების, მისი გასინჯვისა და მიღების შემდეგ ხდებოდა, ზოგან კი ხელობაში გამოცდა ხდებოდა. ყოველივე ამის შემდეგ მას ოსტატად დალოცავდნენ. მაგრამ დალოცვა წლის ყოველ დროს კი არ ხდებოდა, არამედ წელიწადში ერთხელ, აპრილის დამლევსა და მაისის დამდეგს. ამ დღეებში ყველა დარგის ხელოსნები მართავდნენ ე. წ. ჰამქრობას. ეს იყო მათი საღღესასწაულო დღეები....

შეგირდის ოსტატად დალოცვის მთელი ცერემონიალი მთავრდებოდა ე. წ. „საღვთო სადილით“. ოსტატად დალოცვილს შეჰქონდა ამქრის სალაროში „დასალოცი“ თანხა. იგი ასაჩუქრებდა აგრეთვე უსტაბაშსა და თავის მასწავლებელს. ახალი ოსტატი ყოველივე ამის შემდეგ ნებას იღებდა გაეხსნა ცალკე სახელოსნო, გაეღოდუქანი. საამისოდაც მას სათანადო შესატანი, „გასაღები“ შეჰქონდა ამქრის სალაროში.

მაგრამ თბილისის ამქრებში იყო შემთხვევა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც თანდათან გაძლიერდა კონკურენცია თვით ამქრის წევრთა შორის, რომ ოსტატად კურთხეულს ცალკე სახელოსნოს გახსნის უფლებას არ მისცემდნენ და თავის მასწავლებელთან სტოვებდნენ თანაშემწედ და არა დამოუკიდებელ ხელოსნად. ამგვარ ხელოსნებს გვიანფეოდალურ თბილისში „ოსტატის ამხანაგებს“ ან „ქარგლებს“ უწოდებდნენ. უფლებრივად და ეკონომიურად ისინი ოსტატს ვერ უთანაბრდებოდნენ და წლების განმავლობაში ასე რჩებოდნენ ამქარში. მაგრამ „ოსტატის ამხანაგები“, ქარგლები თბილისის ხელოსანთა მხოლოდ ზოგ ამქარს ჰყავდა. ასე რომ ეს მოვლენა გვიანფეოდალური ხანის თბილისის ხელოსნური წარმოებისათვის, ამქრული ცხოვრებისათვის დამახასიათებლად არ შეიძლება მივიჩნიოთ.

* * *

ამქრული ორგანიზაცია არსებითად ხელოსნური წარმოებისათვის იყო დამახასიათებელი. მაგრამ თბილისში ამქრებად, როგორც აღვნიშნეთ, არა მარტო ხელოსნები, არამედ ვაჭრებიც ერთიანდებოდნენ. თუმცა ვაჭართა ორგანიზაცია ბევრ რამეში განსხვავდებოდა ხელოსანთა ამქრული ორგანიზაციისაგან.

თბილისის ვაჭრებში, მათი საქმიანობის მიხედვით, სამი ძირითადი ნაწილი გაირჩეოდა. პირველს ვაჭარ-მედუქნენი შეადგენდნენ, რომლებიც ვაჭრობდნენ ადგილობრივი ნაწარმითა და უცხოეთიდან სხვათა მიერ შემოტანილი საქონლით. ასეთები იყვნენ თბილისელი ბაყლები, მეწვრილმანენი, სირაჯები, ბაზაზები, მესანთლეები და სხვ.

ასეთ ვაჭართა გვერდით ბითუმად მოვაჭრენიც იყვნენ, რომელნიც აგრეთვე უცხოეთში არ მიდიოდნენ და სხვების ჩამოტანილ საქონელს აწვდიდნენ ვაჭარ-მედუქნეებს.

ვაჭართა მნიშვნელოვან ნაწილს მსხვილი ვაჭრები შეადგენდნენ, რომლებიც უცხო ქვეყნებში იძენდნენ საქონელს და თბილისს აწვდიდნენ. ასეთი ვაჭრები იყვნენ უმთავრესად პირველ მოქალაქეთა შორის აღრიცხულნი.

ცხადია, თბილისის ვაჭარ-მედუქნეებსა და უცხო ქვეყნებში მოვაჭრეებს ერთნაირი ორგანიზაცია არ ექნებოდათ.

ვაჭარ-მედუქნეთა ამქრის თავს გვიანფეოდალურ თბილისში, როგორც აღვნიშნეთ, მეფე ნიშნავდა; მეფის ბრძანებითვე განისაზღვრებოდა ვაჭართა ამქრის (ბაზაზბაშისა თუ მეწვრილმანეთა უსტაბაშის) უფლება, მოვალეობა და სარგოც. ვაჭართა ამქრის თავების უპირველესი მოვალეობა ქალაქის მოსახლეობის სხვადასხვა პროდუქტებით, საქონლით უზრუნველყოფა და სხვა საჭირო თადარიგის მიცემა იყო. ასე მაგალითად, ყასბების თავის, ანუ ყასაბბაშის მიერ უნდა „განიწესებოდეს ყასბები და სახალხო საკლავის რიგის მომცემი ეს იყოს, რომ არ აკლდეს ხალხთა ხორცი"; სირაჯების დაკითხვით და ფასდადებით თბილისში იყიდებოდა ღვინო, არაყი და სხვა სასმელი. ჩორქჩიბაში კიდევ ფქვილს დაურიგებდა ქალაქის მეპურეებს და ასევე დააწესებდა ფასს პურზე. ამას გარდა, ჩორქჩიბაშს თვალყური უნდა ედევნებინა, რომ ხალხს არ დაჰკლებოდა პური, ქერი, სიმინდი და ფეტვი. ბაყალბაშს ბაყლები ექვემდებარებოდნენ და მისი ფასდადებით გაიყიდებოდა

თბილისში ერბო, ყველი, ბრინჯი, თევზი, ხიზილალა და მისთანა სხვა.

მეწვრილმანეთა უსტაბაშის განკარგულებით, მეწვრილმანეები ჰყიდდენ: ჩაის, შაქარს, ყავას, ინას, მიხაკს, დარიჩინს, მინის ჭურჭელს და სხვა საწვრილმანოს. სარაჯბაშის დაფასებით თბილისში იყიდებოდა სამხედრო იარაღი: უნაგირი, თოქალთო, ცხენის სხვა აკაზმულობა და სხვ. ბაზაზბაში „დასდებდეს ფასსა მაუდსა, ფარჩათა, ჩითთა, ლეინთა, ბანბასა, მატყლსა და სხვათა საბაზაზოთა ნივთთა და იმ სახედ გაისყიდებოდეს". მესანთლეების უსტაბაში აფასებდა და თავის ამქრის წევრთა მეშვეობით ქალაქში ყიდდა სანთლებს, ქონს, კანდლებს, პატრუქს, ნამწვის მოსახოც მაშებს, ნავთს და სხვ. მასვე ეკითხებოდა საპნის გამოხარშვა. მისი განკარგულებით საპონი ქალაქგარეთ უნდა დაემზადებინათ, რომ მისი სუნი ქალაქში არ დამდგარიყო და მოსახლეობა არ შეეწუხებინა. ყაზაზბაშს ძაფის, ზონრის, ბაბთის, ფოჩის გამყიდველნი ემორჩილებოდნენ. მის ამქარში შედიოდნენ აგრეთვე სხვადასხვა სახის ბაწარ-საბელთა მგრეხელნიც. ასევე იყო განსაზღვრული სხვა ამქრის უსტაბაშთა მოვალეობანი.

ამ მოვალეობებს ამქრის თავები მეფის მოხელეთა კონტროლის ქვეშ ასრულებდნენ. ქალაქის ამქრის თავებს მეფისაგან თუ მის მოხელეთაგან ებრძანებოდა სხვადასხვა საჭიროებისათვის სათანადო სურსათისა თუ საქონლის მიწოდება. ამგვარ სამსახურზე ამქრის თავები ბეჯითად უნდა ყოფილიყვნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში მეფე მათ გადააყენებდა.

ვაჭართა ამქარს თავისი დაწერილი წესდება ჰქონდა (ამგვარი წესდებები ჰქონდა აგრეთვე ხვლოსანთა ამქრებსაც). ამქრის წესდებას „პირობის წიგნი" ეწოდებოდა. აქ აღნუსხული იყო ამქრის როგორც ეკონომიური, უფლებრივი, ასევე საყოფაცხოვრებო საკითხები. მაგალითად, მეწვრილმანეთა ამქრის წესდება 12 მუხლისაგან შედგებოდა. აქ შემდეგ საკითხებზე იყო საუბარი: ამქრის წევრთა შორის ურთიერთ პატივისცემის განმტკიცებაზე, რომ ამქარში „დიდი დიდათ უნდა იყოს და პატარა პატარათ." ქალაქში, რაც საწვრილმანო შემოვიდოდა, წესდების მიხედვით, ამქარს უნდა შეეძინა და არა მის ცალკეულ წევრებს. ვინც საქონელს მალვით და ცალკე იყიდდა, მას დააჯარიმებდნენ და მალვით ნაყიდი საქონლის ნახევარი ამქრის სასარგებლოდ მიდიოდა. ასევე, ვინც ახალ დუქანს გააღებდა, მას ამქრის სასარგებლოდ ჯარიმა უნდა

გადაეხადა. თუ ამქრის წევრს იგითბაში შეატყობინებდა და არ შოვიდოდა, მას ხუთი აბაზი უნდა წართმეოდა ჯარიმად. თუ ამქრის წევრი მკვდრის გასვენებას დააკლდებოდა, ჯარიმად აბაზს გადაიხდიდა. საქონლის გაყიდვაში ამქრის წევრებს ერთი პირი უნდა შეენახათ, ერთმანეთისათვის კონკურენციაა არ უნდა გაეწიათ. დამნაშავე ამგვარ შემთხვევაშიც დაჯარიმდებოდა. ამქრის ყოველი წევრი ვალდებული იყო ამქრის „პირობის წიგნს“ დამორჩილებოდა; წინააღმდეგ შემთხვევაში „წესდება“ ძმობიდან გაგდებით იმუქრებოდა.

აღსანიშნავია, რომ ამქრის წესდებას თვით მეფე და ქალაქის მოხელე, კერძოდ შელიქ-მამასახლისი, ადასტურებდნენ.

სხვანაირად იყო მოწყობილი „ყოველთა ქვეყანათა მავალ“ ვაჭართა ორგანიზაცია. ამგვარ ვაჭრებს, უმეტეს შემთხვევაში, მოგზაურობა უხდებოდათ უცხო ქვეყნებში. მათ თბილისიდან გაჰქონდათ სხვადასხვა საქონელი, ასევე შემოჰქონდათ უცხო ქვეყნებიდანაც. გვიანფეოდალურ ხანაში, როგორც აღვნიშნეთ, ქართლ-კახეთის სამეფოს გაჰქონდა ღვინო ირანში. ბეწვეულობა—ირანსა და ოსმალეთში; აბრეშუმი, ენდრო—არზრუმში და ინდოეთშიც. ამას გარდა, თბილისიდან გადიოდა მატყლი, ერბო, თაფლი და სხვ. სამაგიეროდ შემოდიოდა რკინა, მარილი, თევზი და სხვა. თბილისის გაცხოველებული ეკონომიური ურთიერთობა მეზობელ ქალაქებთან გვიანფეოდალურ ხანაში საგარეო ვაჭრობის თავისებურ ორგანიზაციას მოითხოვდა როგორც ვაჭრობის წარმოების, ისე საქონლის ერთი ქალაქიდან მეორეში გადატანის თვალსაზრისით. ამგვარი ვაჭრობის მწარმოებელნი ამარაგებდნენ როგორც თბილისელ ხელოსანთა, ასევე ვაჭართა ამქრებს.

საგარეო სატრანზიტო ვაჭრობას გვიანფეოდალურ ხანაშიც „ვაჭართუხუცესი“ მეთაურობდა, მაგრამ საქონლის შემოტანის თუ გატანის ორგანიზატორი ქარავანთუფროსი, ანუ ქარავანბაში იყო. იოანე ბაგრატიონი ამასთან დაკავშირებით წერდა: „იყოს ქარავანთ და ვაჭართ უფროსი და მას ეკითხებოდეს ვაჭრებისა და სხვათა ქვეყნებსა შინა აღებ-მიცემის საქმე და ამასაც ჰყვანდეს ხელქვეითნი“.

თბილისში საქონლის შემოტანა და გატანა უმთავრესად ქარავნებით ხდებოდა. ქარავნები ძირითადად აქლემებისაგან იყო შედგენილი, ზოგჯერ კიდევ ცხენისა, ჯორისა, ვირისა და ხარისაგანაც კი. ქარავანი ზოგჯერ მრავალრიცხოვანი იყო, მასში რამდენიმე

ათეული კაცი ერთიანდებოდა. ქარავნის მოგზაურობას ქარავანბაში მეთაურობდა. მას თავისი ხელქვეითი მოხელეებიც ჰყავდა.

საქონლით დატვირთულ ქარავანს შორეული და სახიფათო გზების გავლა უხდებოდა. ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო მეკობრეთა თავდასხმა. ამიტომ ქარავანს თან დაცვაც ახლდა. XVIII საუკ. ერთ-ერთი ვაჭარი მოგვითხრობს: „ვაჭართა ქარავანს ხშირად უხდებოდა გზაზე იარაღით თავი დაეცვა ლეკთა და სხვათა ბრბოების თავდასხმისაგან". „თავრიზიდან ჩვენს სოფელში,—წერს იგივე პირი,—საქონლით დატვირთული თბილისელი ვაჭრები მოვიდნენ, რომელთა ქარავანში მომუშავეებად იყო 50-მდე კაცი. ისინი მიდიოდნენ თბილისში და შეიარაღებულნი იყვნენ, როგორც იტყვიან, თავიდან ფეხებამდე". სამეფო ხელისუფლება ზრუნავდა საქარავნო გზების დაცვაზე, ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა მოქარავნეებს. მათთვის ეწყობოდა გზებზე ქარვასლები, სადაც ქარავანი ისვენებდა და ღამეს ათევდა. გზებზე მოწყობილ ქარვასლებში გაჩერება და დასვენება უფასო იყო. საქართველოს ტერიტორიაზე გამავალ გზებზე უძველესი დროიდან მრავლად იყო ასეთი ქარვასლა.

XVII საუკ. ცნობილი მოგზაური შარდენი ერთ-ერთი ამგვარი ქარვასლის შესახებ წერდა: „მდ. დებედაზე ძლიერ ლამაზი ხიდის გვერდით არის ლამაზი ქარვასლა, რომელიც უკვე დაძველებულია და იწყებს დანგრევას. მისი არქიტექტურა გასაოცარია. მასში მრავალი ოთახია... მთელს საქართველოში მე არ მინახავს ამაზე ულამაზესი ხიდი და ულამაზესი ქარვასლა".

შარდენი ქარვასლების დაწერილებით აღწერისას ჩერდება იმ მომსახურეობაზეც, რასაც ქარვასლები უწევდნენ ქარავნებს: „ამგვარ სასტუმროებში სხვა არაფერია ოთხი კედლის გარდა. ყოველი მგზავრი შედის და იკავებს პირველ თავისუფალ ოთახს იმ მხარეს, რომელიც უფრო მოეწონება და რჩება იმდენს ხანს, რამდენიც სურს. ამისათვის წასვლის დროს ის არაფერს იხდის... რადგან მსგავსი შენობები აგებულია ქველმოქმედებისა და მოგზაურთა მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით, მომსახურეობისათვის ქარვასლის მეკარეებს და მსახურებს განსაზღვრული ხელფასი ეძლევათ. მეკარე იქ ჰყიდის ყველაფერს, რაც საჭიროა ცხენებისათვის, ასევე პირველი მოთხოვნილების საგნებს, როგორიცაა პური და ღვინო... კარაქი, რძის ნაწარმი, ხილი, ფრინველი და სხვა".

ამგვარი ქარვასლები ეწყობოდა მოქარავნე ვაჭართა უზრუნ-

ველსაყოფად. მაგრამ ფეოდალური ქვეყანა მაინც ვერ იცავდა ვაჭრებს თავდასხმისაგან და ფეოდალური თბილისის საქარავნო-სატრანზიტო ვაჭრობა გვიანფეოდალურ ხანაში დიდ დაბრკოლებებს აწყდებოდა.

4. ამქრული ორგანიზაციები და თბილისის საქალაქო ცხოვრება

თბილისის ყოველ ამქარს ქალაქში თავისი უბანი, კვარტალი ან რიგი ჰქონდა. იქ თავს იყრიდნენ ერთი დარგის ხელოსნები, ან კიდევ ერთნაირი ნაწარმითა და პროდუქტებით მოვაჭრენი. უცხო დამკვირვებელი, რომელიც კი გვიანფეოდალურ თბილისში ყოფილა, ქალაქისათვის დამახასიათებელ ამ ნიშანს ყოველთვის ხაზს უსვამდა.

ცალკეული დარგის ხელოსნებს თუ ვაჭრებს ბაზრებშიც ცალკე რიგები ეჭირათ: თბილისში „ბევრია ყოველგვარი ხელოსანი და ყოველი სახის ხელოსნობას აქვს ცალკე უბანი“, — წერდა იაზიკოვი 1770 წლის თბილისის შესახებ. კლაპროტიც XIX საუკ. პირველ წლების თბილისის შესახებ შემდეგს მოგვითხრობს: „თბილისის ბაზარზე... სხვადასხვა დარგის ხელოსნებია. ერთი ქუჩა მხოლოდ მეფეხსაცმელეებს უჭირავს, მეორე მექუდეებს, მჭედლებს, ზეინკლებს, ოქრო მჭედლებს, იარაღის მკეთებლებს. ყველანი აქ მუშაობენ ყველას თვალწინ“.

საინტერესო სანახავი იყო ფეოდალური თბილისის ბაზარი სხვადასხვა დარგის სახელოსნოებით, იქ მომუშავე ოსტატებით და მოფუსფუსე ვაჭრებით. ამიტომ ამბობდნენ ძველ თბილისში ნამყოფი უცხოელები, რომ „ყოველივე ეს უცხოელთათვის ისე საინტერესო სანახაობაა, რომ ბაზარში გასეირნება ერთი სასიამოვნო რამეა თბილისში“.

ხელოსანთა ამქრების გარკვეულ რიგებად დანაწილება დიდხანს დარჩა თბილისში. ამგვარად იყვნენ ისინი ცალკე უბნებად თავმოყრილნი მთელი XIX საუკ. განმავლობაში. თბილისსა და აღმოსავლეთის სხვა ქალაქებში ცალკეული დარგის ამქართა ერთ რიგებში თუ კვარტალებში თავმოყრას თავისი გარკვეული მიზანი ჰქონდა. ამგვარი გზით ისინი იცდენდნენ სხვა მსგავსი ხელობის ამქრის კონკურენციას. ქალაქის ცალკეული რაიონები და უბნები მონათესავე ამქართა შორის ნაწილდებოდა და ამით თავიანთ რაიონებში სხვა

რაიონის ამქრის წევრთა კონკურენციას თავიდან იცდენდნენ. ამას გარდა, ერთ უბანში თავმოყრილ ამქრის წევრებს ამქრის თავი ადვილად უწევდა კონტროლს, ასევე ქალაქის მმართველობასაც უადვილდებოდა ზედამხედველობა. ამგვარ დანაწილებას მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე საჭირო შემთხვევაში საქალაქო რაზმების, ამქრების მიხედვით, შესაქმნელად.

თბილისის ამქრები წარმოადგენდნენ ქალაქის ადგილობრივ გარნიზონს, რომელიც ხშირად იცავდა ქალაქს მტრის თავდასხმისაგან. მოქალაქეთა ეს ერთგვარი გარნიზონები სწორედ ამქრების მიხედვით ყალიბდებოდა.

თბილისის ხელოსანთა და ვაჭართა ამქარი ქალაქის მოსახლეობას დახმარებას უწევდა სხვა გასაჭირის დროსაც. ქალაქში ეპიდემიის გავრცელების დროს, როცა თითქმის ყველა ბედის ანაბარა ტოვებდა თავის ავადმყოფს და ქალაქიდან გარბოდა, ამქრის წევრები უძველესი დროიდან წმინდა მოვალეობად მიიჩნევდნენ დარჩენილიყვნენ ქალაქში და პატრონობა გაეწიათ მკვდრებისათვის, გაეწმინდათ ქალაქი მათგან და დაემარხათ ისინი. ამ უძველესი ჩვეულების გადმონაშთი იყო ძველ თბილისში არსებული წესი — საპატიო პირის გასვენებასა და დაკრძალვაში ამა თუ იმ ამქრის მიწვევა. XIX საუკუნეში, განსაკუთრებით მის პირველ ნახევარში, თბილისში არც ერთი „საპატიო წევრი" არ დაიკრძალებოდა ისე, რომ მისი გასვენების ცერემონიალში რომელიმე ამქარს თავისი დროშით მონაწილეობა არ მიეღო. ეს ამქრის წესდებაშიც საგანგებოდ იყო აღნიშნული: „ვინც მკვდარზედ დააკლდეს, აბაზი ოოლი (ჯარიმა) აქვს", — ნათქვამია XVIII საუკ. დასასრულს შედგენილ თბილისის მეწვრილმანეთა ამქრის წესდებაში. „მკვდარზე დასწრება", ცხადია, მკვდრის გასვენებაში მონაწილეობის მიღებას გულისხმობდა.

მოქალაქეები, თბილისის ხელოსანთა და ვაჭართა ამქრები, ქალაქის საერთო დღესასწაულის მოწყობის ინიციატორი და აქტიური მონაწილენი იყვნენ. ესეც თბილისში ძველიდანვე არსებული წესი იყო. თამარ მეფის ისტორიკოსს, სხვათა შორის, აღნიშნული აქვს, როცა ქართველთა ძლევამოსილმა ლაშქარმა რუქნადინზე გაიმარჯვა (1204 წ.), სახელოვანი ლაშქრის დასახვედრად „მოქალაქეებმა თბილისი საზეიმოდ შეკაზმეს". ასეთი წესი გვიანფეოდალური ხანის თბილისშიც არსებობდა. ისტორიკოსი პაპუნა ორბელიანის სიტყვით, როცა თეიმურაზ II ირანიდან დაბრუნდა, „სა-

ღამოს დროს მობრძანდნენ ქალაქსა ტფილისსა, მიეგებნენ მოქალაქენი. . შეასხმიდნენ ქებასა და მადლობდნენ ღმერთსა ბატონის მობრძანებისათვის; გაუშალეს მოქალაქეებმა ფეინდაზი, მორთეს ბაზარი და აღლამპრეს ჩირაღდანით... შეიქმნა სროლა თოფთა, ზარბაზანთა, ზამბურაკთა და იყო შადლუხი სიხარულისა".

ზემოხსენებული იოანე ბაგრატიონი საქართველოს ქალაქებში, კერძოდ თბილისში არსებული ამგვარი წესის შესახებ წერდა: „ოდეს ხელმწიფე შევა ერთს ქალაქიდამ მეორეში, მაშინ მუნებური ვაჭარნი ფარჩას გაუშლიან შესავალს ქალაქის ბჭეში და ზედან გარდაუვლის ხელმწიფე... ამას უწოდებენ ფიანდაზს". ქალაქის საზეიმოდ მორთვა, ქალაქის „ჩირაღდნებით აღლამპრება" თბილისში იცოდნენ მტრებზე გამარჯვების დროს, მეფეთა ტახტზე ასვლის დროს, მეფეთა ქორწინების, მეფისწულის დაბადების, ზავის ჩამოგდების, ქალაქში უცხო ქვეყნის ხელმწიფეთა მოსვლის, რელიგიური დღესასწაულების დროს და სხვა საზეიმო შემთხვევებში. გვიანფეოდალური ხანის დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ ამქრების მონაწილეობა მსგავს დღესასწაულებში მათ მოვალეობად ითვლებოდა. ამქრები ზეიმითა და საჩუქრებით უნდა შეხვედროდნენ, ზოგ შემთხვევაში, ქალაქის დიდ მოხელეებსაც, მაგალითად, ქალაქის მოურავს, თუკი ის სხვაგან დიდი ხნით ნამყოფი თბილისში ბრუნდებოდა.

ყოველივე ამით გვიანფეოდალური თბილისის ამქრები გამოხატავდნენ თავიანთ აქტიურ მონაწილეობას საქალაქო ცხოვრებაში — მის ჭირსა და ლხინში.

* * *

გვიანფეოდალური თბილისის ამქრების მონაწილეობა საქალაქო ცხოვრებაში ზემოთქმულით არ ამოიწურება. ამქარსა და მის წევრებს მრავალგვარი ვალდებულება ჰქონდათ თვით მეფისა და ქალაქის სხვადასხვა მოხელის წინაშე. ეს ვალდებულებანი იმ გამოსაღებებით გამოიხატებოდა, რომლებიც თბილისის მცხოვრებლებს სახელმწიფოს სასარგებლოდ უნდა გადაეხადათ.

თბილისის მცხოვრებთა, მოქალაქეთა ერთ-ერთ უძველეს გამოსაღებს წარმოადგენდა ე. წ. „მახტა". მახტას თბილისის ყველა მცხოვრები როდი იხდიდა. „მახტა" მხოლოდ მოქალაქეთა, ანუ ქა-

ლაქში მოსახლე სამეფო ყმათა გამოსაღები იყო. თბილისზე მახტა ყოველწლიურად 4000 მანეთის რაოდენობით გაიწერებოდა. მოქალაქენი თანხის ამ რაოდენობას შეძლების მიხედვით ინაწილებდნენ. პირველ მოქალაქეებად აღრიცხულნი სხვებზე მეტს იხდიდნენ, სხვები კიდევ ნაკლებს და ასე შემდეგ. თბილისის მოქალაქენი XVIII საუკ. ბოლოს ამ სამეფო გამოსაღების გადახდის უნარიანობის თვალსაზრისით 17 ჯგუფად იყვნენ დაყოფილი.

მახტა საკომლო გამოსაღები იყო. მახტას არ იხდიდნენ თბილისში მოსახლე კერძო საბატონო და საეკლესიო ყმა ხელოსნები და ვაჭრები, მოქალაქეთა ქვრივნი და ობლები (სრულწლოვანებამდე), მეფის მიერ ამ გადასახადისაგან განთავისუფლებული მოქალაქენი და თბილისში ახლად მოსული თავისუფალი ხელოსნები.

თუ თბილისის მოქალაქეები, სხვადასხვა შემოსევათა და ქალაქის აოხრების გამო დაზარალდებოდნენ, ამ სამეფო გამოსაღებისაგან რამდენიმე წლით თავისუფლდებოდნენ. მაგალითად, აღა-მაჰმად ხანის შემოსევის შემდეგ (1795) თბილისელ მოქალაქეებს არ გადაუხდიათ მახტა 1802 წლამდე. თბილისის მოქალაქენი მახტის გარდა იხდიდნენ აგრეთვე პირად გადასახადს, რომელსაც „მ ა ლ ი“ ეწოდებოდა. ყოველი ცოლიანი მოქალაქე მალს წლიურად 1 მანეთისა და 20 კაპ. რაოდენობით იხდიდა; უცოლო მოქალაქე კი 60 კაპ. იხდიდა.

ეს ორი გადასახადი მხოლოდ მოქალაქეთა გამოსაღები იყო. მოქალაქენი, თბილისის ვაჭარ-ხელოსანთა სხვა ფენებთან ერთად, სხვა სამსახურსაც სწევდნენ სამეფო ხელისუფლების წინაშე. ასე მაგალითად, სხვა ხელოსან-ვაჭრებთან ერთად, ისინი იხდიდნენ კაცის თავზე შაურს „ქეშიკის, ასასის ფულს“. ასევე იხდიდნენ ე. წ. მასრაფსაც. სხვა სამეფო გამოსაღებები მათ ქალაქში არ ეკისრებოდათ.

თუ მოქალაქენი სახელმწიფოს, მეფის სასარგებლოდ გამოსაღებს იხდიდნენ, საბატონო და საეკლესიო ვაჭრები და ხელოსნები თავიანთ უშუალო ბატონებს ემსახურებოდნენ, მაგრამ მათაც, როგორც თბილისში მცხოვრებთ და აქ მოსაქმეთ, სახელმწიფო გამოსაღებებიც ედვათ. ამრიგად, კერძო საბატონო ყმა ხელოსან-ვაჭრებს ორმხრივი სამსახურის გაწევა უხდებოდათ. საბატონო ყმა ხელოსნები და ვაჭრები იხდიდნენ: ასასის ფულს, კაცის თავზე თითო შაურს, აძლევდნენ ბაჟს, ბეჟდის ფულს, სურსათს და სხვ. ამას გარდა, მოქალაქეებთან ერთად, მათ ევალებოდათ აგრეთვე მასრაფის გადახდაც.

თბილისი XVIII საუკუნის დასასრულს

1796 წ. გრავიურა

ზემოდასახელებული გადასასადების უმეტესობა სამეფო ხაზინაში მიდიოდა, ნაწილი კი თვით საქალაქო საქმეებს ხმარდებოდა. მასრაფი, მაგალითად, ქალაქის კეთილმოწყობაზე იხარჯებოდა. მასრაფის ერთი ნაწილი სადღესასწაულო დღეებისათვის იყო გადადებული, მეორე—ქალაქის განათების მოწყობისათვის, ფარნების შეკეთებისათვის; ნაწილი კიდევ ქალაქის ხიდების, ქვაფენილების და სხვა საზოგადოებრივ ნაგებობათა შენახვა-მოვლაზე იხარჯებოდა.

თბილისის ვაჭრულ ხელოსნური მოსახლეობა სამეფოს წინაშე საქსახურს სხვადასხვა სახის ბეგარითაც სწევდა. თბილისში მოსაქმე ხელოსნები და ვაჭრები, ყმა იყო თუ თავისუფალი, საბატონო თუ საქეფო, სამხედრო ბეგარას იხდიდნენ. ქალაქის უშიშროების უზრუნველსაყოფად ისინი მორიგეობით ქალაქის ახლომახლო საყარაულოებს დარაჯობდნენ. საჭირო შემთხვევაში კი, როგორც ითქვა, იარაღასხმულნი იბრძოდნენ ქალაქის დასაცავად.

ამქრებს, მოქალაქეებს ხშირად ეკისრებოდათ ქალაქის საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობათა და მოედანთა თავიანთი ხარჯით შეკეთება. თუ სამეფო საწყობებსა და სხვა დანიშნულების სახლებს შეკეთება ან აღდგენა დასჭირდებოდა, ესეც ქალაქის ვაჭარ-ხელოსნებზე დაკისრებული ბეგარა იყო.

ერთ დროს სავალდებულოდ შემოღებული ამგვარი სამსახური, დროთა ვითარებაში, თბილისის ხელოსნებისა და ვაჭრების ამქრებისათვის საპატიო მოვალეობად იქცა: XIX საუკ. პირველ ნახევარში თბილისის ამქრები თავიანთი სურვილით გამოდიოდნენ და მონაწილეობას იღებდნენ ქალაქის საზოგადო დანიშნულების შენობათა აგებაში. ამ დროს თბილისის ამქრებს არა ერთხელ მიუღიათ მონაწილეობა ეკლესიის მშენებლობაში, ქალაქის გზების გაყვანაში და მისთანა სხვაში, ამქრის წევრთა უსასყიდლო შრომით ან სათანადო თანხის გაღებით. ზოგჯერ რომელიმე ამქარი ამა თუ იმ ეკლესიის აშენების მთელ ხარჯებს კისრულობდა.

ზემოაღნიშნული გამოსაღებები და ბეგარა ქალაქის მოსახლეობას მხოლოდ მეფის სასარგებლოდ უნდა გაეწია. ამას გარდა თბილისის ვაჭარ-ხელოსანთა ამქრებს თავისი სხვადასხვა სახის სამსახურით ფეოდალური ქალაქის მმართველობის მთელი ბიუროკრატიული აპარატიც უნდა შეენახა. თბილისის გამგებლის, მოურავის სასარგებლოდ ქალაქის ამქრებს მრავალგვარი ვალდებულება აწვათ. ყოველ ამქარს, თავისი ხელობის მიხედვით, დაკისრებული ჰქონდა მოურავისათვის ამა თუ იმ სამსახურის გაწევა. მაგალითად, მესანთ-

ლეების ამქარს ევალებოდა ყოველ აღდგომის დღესასწაულის დღეს ორი ლიტრა სანთელი მიერთმია მოურავისათვის. ამგვარივე ვალდებულება ჰქონდათ მათ ნათლისღების დღისთვისაც. ასე რომ მარტო მესანთლეთა ამქარი მოურავს წელიწადში 4 ლიტრა სანთელს მიართმევდა, ჩამოსხმულს თუ ჩამოუსხმელს, როგორც ეს მოურავს „ეპრიანებოდა". ამას გარდა მესანთლეებს სხვა საერთო ვალდებულებებიც ჰქონდათ მოურავის წინაშე.

ყასბების ამქარი „წმიდა აღდგომას" მოურავს ორ გამორჩეულ ჭედილას მიართმევდა, ასევე ორ ჭედილას—ნათლისღების დღეს. ამას გარდა, ყასბების ყოველ დუქანს ევალებოდა, მოურავისათვის სამ-სამი ლიტრი „კარგი და გამორჩეული თხის ქონი" მიერთმია. ყასბების დუქნებში დაზგებიც იყო გამართული და სამოურავო გამოსაღები დუქნების ცალკეულ დაზგებსაც და ერთ დაზგაში გაერთიანებულ ცალკე წევრებსაც კი ეკისრებოდათ.

თავისი საქმიანობის მიხედვით ჰქონდა დაკისრებული სამოურავო გამოსაღები ბაყლების ამქარსაც. ბაყლები ვალდებულნი იყვნენ ნათლისღებას მოურავისათვის მიერთმიათ ბრინჯი თავისი ერბოთი, ყველიერში კიდევ ბრინჯი ერბოთი, დიდმარხვას 50 ლიტრა სამარხო თავისი ნიგვზით.

სხვადასხვა მოვალეობა ჰქონდა დაკისრებული სირაჯებსაც: „მოურავმა სხვაგან ერთი და ორი თვე რომ დაიგვიანოს და ქალაქში მოვიდეს სირაჯბაში სირაჯებს უნდა მიუძღვეს და მოურავს ტიკით ღვინო უნდა მიართვან. აგრეევ ბაჰყალბაშმა ხილი", — ნათქვამია „მოურავის გარიგებაში". ამგვარადვე მოურავის წინაშე თავიანთი ხელობით სამსახურს სწევდნენ მკუპრაველების, მაზმანების, მჭედლების, მეეურჭლეების, მეთევზეების, მებაღეებისა და სხვათა ამქრები.

აღნიშნულს გარდა, ყოველი ამქარი ვალდებული იყო კაცის თავზე გადაეხადა სამოურავო გამოსაღები ე. წ. სატარუღო, რომელიც XVIII საუკ. ბოლოსათვის ექვს შაურს უდრიდა. ამას გარდა, თბილისის ყოველი ამქარი მოურავს წელიწადში ერთ ბატკანს, ორ-სამ თავ შაქარს და სხვ. მიართმევდა.

სხვადასხვა მოვალეობა ჰქონდა დაკისრებული თბილისის ამქრებს ქალაქის სხვა მოხელეთა — მელიქ-მამასახლისის, „ბატონის ნაცვლის", მოურავის ნაცვლის და სხვათა სასარგებლოდ. მაგრამ ამაზე ამჟამად სიტყვას არ გავაგრძელებთ.

ასეთი იყო ძველი თბილისის საქალაქო მმართველობა, საქალაქო ცხოვრება, ვაჭარ-ხელოსანთა ამქრები, მათი როლი და მონაწილეობა ქალაქის პოლიტიკურ და ეკონომიურ ცხოვრებაში.

მოტანილი მასალიდან კარგად ვხედავთ, თუ როგორ შესძლო ფეოდალურმა არისტოკრატიამ ხელთ ეგდო ქალაქში პოლიტიკური ბატონობა, როგორ თანდათან გადააქცია მან ქალაქის ფართო (ვაჭარ ხელოსანთა) მოსახლეობა თითქმის უუფლებო ფენად. ფეოდალური არისტოკრატიის შემოტევებისაგან თავდასაცავად წარმოშობილი ხელოსან-ვაჭართა ორგანიზაციებიც კი ფაქტიურად სამეფო ხელისუფლებას დაუქვემდებარდა. ყოველივე ამის შედეგად გვიანფეოდალურ თბილისში გაბატონებული ფეოდალური არისტოკრატია თბილისის ძირითადი მოსახლეობის არა მარტო პოლიტიკურს, არამედ ეკონომიურ ექსპლოატაციასაც ორგანიზებულად ახორციელებდა.

თბილისის ვაჭრები და ხელოსნები ვალდებულნი იყვნენ სამსახური გაეწიათ არა მარტო მეფისა და კერძო მებატონეთა სასარგებლოდ, არამედ თავიანთი საქმით შეენახათ თბილისის მთელი ფეოდალურ-ბიუროკრატიული აპარატიც.

ფეოდალური ურთიერთობა ბატონობდა თბილისის მმართველობისა და საქალაქო ცხოვრების სხვა სფეროშიც. ქართლ-კახეთში მეფობის გაუქმების შემდეგაც თბილისს მთელი ნახევარი საუკუნე დასჭირდა ამ ფეოდალური ჩიხიდან საბოლოოდ გამოსელისათვის.

* * *

როგორც ვხედავთ, თბილისის ჩვენ მიერ მოთხრობილი ისტორია ფეოდალური ქალაქის ისტორიაა. თბილისი, როგორც ქალაქი, საქართველოში ფეოდალური წყობილების გამარჯვებამ წარმოშვა. მისი შემდგომი განვითარებაც (XIX საუკუნემდე) ფეოდალიზმის ბატონობის ხანაში მიმდინარეობდა.

თბილისის თავგადასავლის ეკონომიური, სოციალური და კულტურული მდგომარეობის, მმართველობისა და წესწყობილების ზემომოტანილი მიმოხილვა ნათლად წარმოგვიდგენს ფეოდალური ქალაქის სახეს, რომელიც ძირითადად საერთო იყო საქართველოს ქალაქებისათვის...

თბილისი ფეოდალურ ქალაქად დარჩა XIX საუკ. 40-ან წლებამდე. XIX საუკუნე ახალი, ბურჟუაზიული თბილისის დაბადების საუკუნე იყო, რაც წინამდებარე შრომის ავტორებს შემდგომი შესწავლისა და განხილვის საგნად აქვთ მიჩნეული.

ს ა რ ჩ ე ვ ი

ავტორებისაგან 3
შ ე ს ა ვ ა ლ ი 5
თავი I— ქალაქ თბილისის წარმოშობა 13
თავი II— თბილისის თავგადასავალი 29
თავი III— თბილისის ტერიტორია და გარეგანი სახე 96
თავი IV— თბილისის ეკონომიური სახე 146
თავი V— ძველი თბილისის სოციალური სახე 176
თავი VI— თბილისის კულტურული სახე 195
თავი VII— თბილისის მმართველობა და საქალაქო წესწყობილება 245

ფასი 5 მან. 30 კაპ.
უდა 1 მან.

6 მან. 30 კაპ.

ვ. ტოგოლნიძის რედაქციით

ИСТОРИЯ ТБИЛИСИ

(На грузинском языке)

Министерство Просвещения ГССР

ДЕТГИЗДАТ

1952 г.

მხატვარი—გ. ნადირაძე, მხატ. რედაქტორი—ე.ბ. ბალდავაძე, ტექრედაქტორი—ქ. დემუროვა, კორექტორები—ზ. გორგაძე, ნ. ჩირაძე, გამომშვები—ზ. მეძმარიაშვილი.

გადაეცა წარმოებას 26'III—52, ხელმოწერილია დასაბეჭდად 7VIII 52, ნაბეჭდ ფორმათა რაოდ. 18½, სააღრიცხვო ფორმ. რაოდ 17½ ანაწყობის ზომა 6×9½, ზომა №359 ქაღალდის ზომა 60×92, ტირაჟი 8.000, უე 03099

გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი-"ს სტამბა პლეხანოვის პრ.№ 181